ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი

დემოგრაფია

სახელმძღვანელო

მეორე გამოცემა
გადამუშავებული და დამატებული

შემდგენლები
გიორგი წულაძე
ნიკა მაღლაფერიძე
ავთანდილ სულაბერიძე

თბილისი
2009

სახელმძღვანელოში განხილულია დემოგრაფიის როგორც თანამედროვე მეცნიერების ძირითადი დებულებები და ცნებები.

წიგნში ასახულია დემოგრაფიის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. მოცემულია ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდები, მაგალითები და სხვა.

სახელმძღვანელო განკუთვნილია როგორც უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, ისე მომიჯნავე დარგების სპეციალისტებისათვის და დემოგრაფიის პრობლემებით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

ნებისმიერი მასალის გამოყენებისას აუცილებელია სახელმძღვანელოს მითითება.

გამოყენებული უცხოური ლიტერატურიდან ცალკეული ადგილები თარგმნეს თამაზ ზუბიაშვილმა, გიორგი ლორთქიფანიძემ, თამარ შინჯიაშვილმა, შორენა წიკლაურმა და ლია წულაძემ.

რედაქტორი გ. ლორთქიფანიძე

ტექსტი პერსონალურ კომპიუტერზე მოამზადა მარინა ხაჩატუროვამ.

© ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წიგნი დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში

ISBN 978-9941-0-1524-3

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

1. დემოგრაფია და დემოგრაფიული თეორიები 7
   1.1. დემოგრაფია როგორც მეცნიერება 7
   1.2. დემოგრაფიის სპეციალიზაცია 10
   1.3. დემოგრაფიული შემთხვევა, პროცესი, მოვლენა და მდგომარეობა 15
   1.4. მოსახლეობის აღწარმოება და მოსახლეობის აღწარმოების ტიპი 18
   1.5. დემოგრაფიული გადასვლის თეორია 21
   1.6. შობადობის თეორიები 29
   1.7. ეპიდემიოლოგიური და ჯანმრთელობის გადასვლის თეორია 37
   1.8. გარე მიგრაციის თეორიები 44
   1.9. სტაციონარული და სტაბილური მოსახლეობის მოდელები 51

2. ინფორმაციის წყაროები მოსახლეობის შესახებ 58
   2.1. მოსახლეობის აღწერა 58
   2.2. დემოგრაფიულ შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვა 71
   2.3. მოსახლეობის რეგისტრი 75
   2.4. სპეციალური შერჩევითი გამოკვლევები 77

3. მოსახლეობის რაოდენობა და სტრუქტურა 83
   3.1. მოსახლეობის რაოდენობა 83
   3.2. მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა) 84
   3.3. მოსახლეობის შემადგენლობის სახეობები 85
   3.4. მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა 86
   3.5. სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა 87
   3.6. ასაკი 89
   3.7. დემოგრაფიული დაბერება 93
   3.8. თაობა 95
   3.9. დემოგრაფია და გენდერი 98

4. დემოგრაფიული ანალიზის მეთოდები 103
   4.1. დემოგრაფიული ბადე 103
   4.2. დემოგრაფიული ერთობლიობები 108
   4.3. ჰიპოთეზური თაობის ანალიზი 114
   4.4. რეალური თაობის ანალიზი 116
   4.5. თვისებრივი კვლევის მეთოდები დემოგრაფიაში 119

5. შობადობა, რეპროდუქციული ქცევა და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, დემოგრაფია და სექსუალობა 124
   5.1. შობადობა 124
   5.2. შობადობის ფაქტორები 125
   5.2. შობადობის კოეფიციენტები 126
   5.3. შობადობის ინდექსები 130
   5.4. რეპროდუქციული ქცევა 136
   5.5. რეპროდუქციული ქცევის ინდიკატორები 143
   5.6. რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები 148
   5.7. დემოგრაფია და სექსუალობა 151

6. მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა 155
   6.1. მოკვდაობასთან დაკავშირებული ცნებები 156
   6.2. მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ევოლუცია 158
   6.3. მოკვდაობის დონის მაჩვენებლები 167
   6.4. სტანდარტიზაციის მეთოდი 171
   6.5. დეკომპოზიციის მეთოდი 176
   6.6. მოკვდაობის ცხრილები 178
   6.7. მოკვდაობის მოდელური ცხრილები 185
   6.8. მოკვდაობა სიკვდილის მიზეზების მიხედვით 186

6.9. თვითშენახვითი ქცევა ... 187
6.10. მოკვდაობის პრობლემები ... 190

7. მოსახლეობის აღწარმოება ... 196
7.1. მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლები ... 196
7.2. მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმი ... 198
7.3. მოსახლეობის აღწარმოების ევოლუცია ... 200

8. ქორწინება, ოჯახი და ქორწინების შეწყვეტა ... 202
8.1. ქორწინება ... 202
8.2. ქორწინებასთან დაკავშირებული ცნებები ... 204
8.3. ქორწინების მაჩვენებლები ... 208
8.4. ოჯახი ... 210
8.5. ოჯახთან დაკავშირებული ცნებები ... 211
8.6. შვილიანობა და შიგაოჯახური როლების სტრუქტურა ... 220
8.7. ქორწინების შეწყვეტა ... 223

9. მოსახლეობის მიგრაცია ... 227
9.1. მოსახლეობის მიგრაცია ... 227
9.2. მოსახლეობის მიგრაციის ისტორია ... 230
9.3. გარე (საერთაშორისო) მიგრაციის შესახებ მონაცემთა მოპოვების სისტემები ... 233
9.4. გარე მიგრანტების შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა განზოგადების ძირითადი პრინციპები ... 235
9.5. მიგრაციის ძირითადი მაჩვენებლები ... 237

10. დემოგრაფიული პროგნოზი ... 241
10.1. დემოგრაფიული პროგნოზის არსი ... 241
10.2. პროგნოზირების მეთოდი ... 242

11. დემოგრაფიული პოლიტიკა ... 246
11.1. დემოგრაფიული პოლიტიკის არსისა და მიზნის თეორიულ-მეთოდოლოგიური წანამძღვრები ... 247
11.2. მოსახლეობის აღწარმოება, როგორც დემოგრაფიულ ურთიერთობათა კვლევის საგანი და დემოგრაფიული პოლიტიკის ობიექტი ... 248
11.3. დემოგრაფიული პოლიტიკის კონცეპტუალური შეხედულებანი ... 256
11.4. სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები ... 268
11.5. დემოგრაფიული პოლიტიკის მსოფლიო გამოცდილება ... 282

მოკლე ცნობები სახელმძღვანელოში მოტანილი ზოგიერთი მეცნიერის შესახებ ... 306

გამოყენებული ლიტერატურა ... 317

დანართი 1. ფართობთა წილი ნორმალური მრუდისას 0-დან Z ფარგლებში ... 326

დანართი 2. ქართულ-ინგლისური ლექსიკონი ... 327

დანართი 3. English-Georgian Dictionary ... 360

წინასიტყვაობა

2006 წლისათვის დემოგრაფია ისწავლებოდა მსოფლიოს 329 უნივერსიტეტში. მარტო 1980 წლიდან, მხოლოდ ინგლისურ, ფრანგულ და იტალიურ ენაზე გამოიცა 141 დემოგრაფიის სახელმძღვანელო.

საქართველოში ყოველწლიურად მრავალი დემოგრაფიული ხასიათის ნაშრომი გამოდის. იგივეს ვერ ვიტყვით დემოგრაფიის სახელმძღვანელოებზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არანაკლებ საჭიროა, ვიდრე სიღრმისეული მეცნიერული ნაშრომები. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს მდგომარეობა ამ მიმართულებით რამდენადმე გამოსწორდა.

პირველი დემოგრაფიული სახის სახელმძღვანელო საქართველოში გ. გამყრელიძის ავტორობით 1955 წელს გამოვიდა ("დემოგრაფიული სტატისტიკა").

აღსანიშნავია მ. ხმალაძის ავტორობით ჯერ 1986 წელს გამოცემული ლექციების კურსი ("მოსახლეობის სტატისტიკა დემოგრაფიის საფუძვლებით"), ხოლო 1994 წელს დეპონირებული დემოგრაფიის სახელმძღვანელო ("დემოგრაფიის საფუძვლები". დეპონირებულია "ტექინფორმში", 19-05-94 წ. ნომრით: 938-94).

ყურადღებას იქცევს ა. სახვაძის მიერ რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი ვ. ბორისოვის სახელმძღვანელო, რომელსაც მთარგმნელმა შენიშვნები და საქართველოს შესახებ მონაცემები კომენტარებით დაურთო და რომელიც 2001 წელს გამოიცა.

სახელმძღვანელოს როლს გარკვეულწილად ასრულებდა გ. წულაძის მიერ შედგენილი "დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი", რომლის პირველი გამოცემა 2000 წელს მოხდა, ხოლო მეორე – გადამუშავებული და დამატებული – გამოიცა 2005 წელს.

2006 წელს მ. შელიას ავტორობით გამოიცა "ხალხთმოსახლეობის ეკონომიკა და დემოგრაფია. სალექციო მასალა. ნაწილი I, II და III". მისივე ავტორობით 2007 წელს გამოვიდა "ხალხთმოსახლეობის ეკონომიკა და დემოგრაფია. ლექციების კურსი".

მოცემული სახელმძღვანელო მეორე გადამუშავებული და დამატებული გამოცემაა. პირველი გამოცემა 2007 წელს გამოვიდა.

მეორე გამოცემაში გათვალისწინებულია აგრეთვე დემოგრაფიის საგნის პირველი გამოცემის სახელმძღვანელოთი სწავლების გამოცდილება.

წინამდებარე სახელმძღვანელო ასახავს თანამედროვე დემოგრაფიული მეცნიერების თეორიულ საფუძვლებს. მასში ასევე მოცემულია დემოგრაფიული მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდები. ამდენად, მოცემული სახელმძღვანელო, მისი შემდგენლების აზრით, გარკვეულწილად, ავსებს მანამდე გამოცემულ სახელმძღვანელოებს.

მოცემული სახელმძღვანელო ეფუძნება სპეციალურ დემოგრაფიულ ლიტერატურას და სხვა სახელმძღვანელოებსა და ენციკლოპედიებში მოტანილ მასალას.

სახელმძღვანელოს შემდგენლებს არა აქვთ პრეტენზია ორიგინალობაზე. ამასთან, აღვნიშნავთ, რომ მოცემულ სახელმძღვანელოში თავმოყრილი და განხილული საკითხები აქამდე გამოქვეყნებულ დემოგრაფიულ სახელმძღვანელოებში ერთდროულად არ გვხვდება.

შემდგენლები მადლობას უხდიან ყველას, ვინც დახმარება აღმოუჩინა სახელმძღვანელოზე მუშაობისას.

კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ სახელმძღვანელოს შემდგომ გაუმჯობესებას, მადლიერებით მივიღებთ.

1. დემოგრაფია და დემოგრაფიული თეორიები

1.1. დემოგრაფია როგორც მეცნიერება

დემოგრაფია (ბერძნულად ნიშნავს: დემოს – ხალხი და გრაფო – ვწერ) წარმოადგენს მეცნიერებას მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შესახებ. დემოგრაფიული პროცესები განპირობებულია საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარებით.

ტერმინი "დემოგრაფია" პირველად გამოიყენა ფრანგმა მეცნიერმა აშილ გიიარმა 1855 წელს თავისი წიგნის სათაურში – "ადამიანთა სტატისტიკის ელემენტები ანუ შედარებითი დემოგრაფია". ა. გიიარის განმარტებით დემოგრაფია ესაა "ადამიანთა მოდგმის ბუნებრივი და სოციალური ისტორია". ტერმინმა "დემოგრაფია" ოფიციალური აღიარება მოიპოვა ჰიგიენისა და დემოგრაფიის საერთაშორისო კონგრესის ჟენევის სესიაზე 1882 წელს; გავრცელება ჰპოვა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. თავდაპირველად ტერმინი "დემოგრაფია" გამოიყენებოდა როგორც მოსახლეობის სტატისტიკის სინონიმი.

1871 წელს გერმანელი ეკონომისტის ერნსტ ენგელის მიერ შემოთავაზებული იყო ტერმინი "დემოლოგია" – მეცნიერების აღსანიშნავად, რომელიც მისი თქმით შეისწავლის შინაგანი ბუნებისა და ცვალებადობის წარმოქმნას სახელმწიფოსა და ადამიანთა სხვა ერთობებში. ე. ენგელის აზრით, დემოგრაფიისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ აღწერს ამ პროცესს, დემოლოგია მოწოდებულია ახსნას მისი არსი. დემოგრაფიისა და დემოლოგიის ასეთი დაპირისპირება არ დამკვიდრდა მეცნიერებაში, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში ტერმინი "დემოლოგია" მაინც გამოიყენება და მისი დამკვიდრების მცდელობას ბოლო პერიოდშიც ჰქონდა ადგილი.

1946 წელს ამერიკელი სოციოლოგის ს. დოდის მიერ შემოთავაზებულ იქნა ტერმინი "დემოსკოპია". ტერმინი იშვიათად გამოიყენება. აღნიშნავს სხვადასხვა მეთოდებით ინფორმაციის მიღებას მოსახლეობის შესახებ. ზოგჯერ თანამედროვე დემოგრაფიულ ლიტერატურაში დემოსკოპიას განიხილავენ როგორც დემოგრაფიული სტატისტიკის ნაწილს. ზოგიერთ შემთხვევაში დემოსკოპიის ქვეშ გულისხმობენ ნებისმიერი სახის ინფორმაციის (არა მარტო დემოგრაფიული) მოპოვებისა და ანალიზის თეორიას, მეთოდიკასა და პრაქტიკას.

დემოგრაფიის, დემოსკოპიისა და დემოლოგიის გარდა ვხვდებით სხვა ტერმინის დამკვიდრების მცდელობასაც. ასეთ ტერმინს "დემომეტრია" მიეკუთვნება, რომელიც დემოგრაფიული პროცესების გაზომვას გულისხმობს, ანუ მათემატიკური მეთოდების გამოყენებას დემოგრაფიაში. ტერმინი შემოთავაზებულ იქნა 1966 წელს შვედი მეცნიერის ჰ. ჰიურენიუსის მიერ როგორც მათემატიკური დემოგრაფიის სინონიმი. ტერმინი "დემომეტრია" გავრცელდა მას შემდეგ, რაც 1969 წელს გამოვიდა ავსტრიელი დემოგრაფის ვ. ვინკლერის წიგნი იგივე სათაურით. მოცემულ ნაშრომში დემომეტრიას უფრო ფართე შინაარსი აქვს და მათემატიკური დემოგრაფიის გარდა გულისხმობს დემოგრაფიულ მოდელებს და დემოგრაფიული კოეფიციენტების მიღების მეთოდოლოგიას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დემოგრაფიისა და დემომეტრიის შორის ისეთი სახის განსხვავებაა როგორიც სოციოლოგიასა და სოციომეტრიას და ფსიქოლოგიასა და ფსიქომეტრიას შორის.

ცნობები მოსახლეობის შესახებ უძველესი დროიდან იყო ცნობილი.

მიუხედავად ამისა, მიიჩნევენ, რომ პირველი მეცნიერული და თეორიული დემოგრაფიული სახის ნაშრომი – "შესავალი" – მოსახლეობის შესახებ იბნ ხალდუნის მიერ იქნა შესრულებული 1377 წელს.

მოსახლეობის განვითარების კანონზომიერებათა შესახებ მეცნიერული კვლევა ძირითადად მაინც XVII საუკუნეში იღებს დასაწყისს. მის ფუძემდებლად მიჩნეულია ინგლისელი ჯონ გრაუნტი, რომლის ავტორობითაც 1662 წელს

გამოქვეყნდა ნაშრომი “ბუნებრივი და პოლიტიკური დაკვირვებანი მოკვდაობის ბიულეტენთა საფუძველზე”.

ჯონ გრაუნტმა შეისწავლა მონაცემები გარდაცვლილთა და დაბადებულთა შესახებ ლონდონში 80 წლის პერიოდისათვის და მოსახლეობისათვის მთელი რიგი კანონზომიერები გამოავლინა.

მან დაადგინა, რომ ბიჭები იბადება მეტი, ვიდრე გოგონები. ამასთან, დაბადებულთა შორის სქესთა თანაფარდობა ლონდონისათვის შეადგენდა 14:13-თან (ბიჭები იბადებოდა 7,7%-ით მეტი, ვიდრე გოგონები). მის მიერვე დადგენილ იქნა, რომ გარდაცვლილებს შორის მამაკაცები მეტი იყო, ვიდრე ქალები. ამასთან, ლონდონში, იმ დროს, მოკვდაობა აღემატებოდა შობადობას და ლონდონის მოსახლეობა იზრდებოდა მხოლოდ ჩამოსულების ხარჯზე, რაც შეეხება პროვინციას, იქ შობადობა აღემატებოდა მოკვდაობას და ყოველი ქორწინება საშუალოდ 4 დაბადებას იძლეოდა. ჯონ გრაუნტმა ასევე დაადგინა, რომ დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობის საფუძველზე შეიძლება მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა. მისივე თქმით, გარდაცვლილთა ასაკობრივი სტრუქტურის საფუძველზე, შესაძლებელი იყო მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის განსაზღვრა. ჯონ გრაუნტს სხვა დამსახურებებიც მიუძღვის.

დემოგრაფიის ჩამოყალიბებაში აღსანიშნავია ედმუნდ ჰალეის წვლილი, რომელმაც 1693 წელს პირველმა ააგო მოკვდაობის სრული ცხრილი.

დემოგრაფიის საგნის გაგება და შინაარსი იცვლებოდა ცოდნის გაღრმავებისა და მეცნიერების დიფერენციაციასთან ერთად. XX საუკუნის შუა პერიოდში გარკვეულ იქნა, რომ დემოგრაფია არ დაიყვანება მარტოოდენ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა და მიგრაციის სტატისტიკამდე. შეცნობილ იქნა, რომ დემოგრაფიას აქვს თავისი კვლევის სპეციფიკური საგანი, სინამდვილის გარკვეული მხარე, რომელსაც არ შეისწავლის არც ერთი სხვა მეცნიერება; კერძოდ – ადამიანთა თაობის განახლება, ე.ი. შობადობის, მოკვდაობის, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ფორმირებისა და აგრეთვე ქორწინებისა და განქორწინების პროცესების ურთიერთქმედება, რაც მთლიანობაში მოსახლეობის აღწარმოებას განეკუთვნება.

იმავე დროს მიგრაცია სულ უფრო ხშირად განიხილება როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების საგანი, რომელიც შეისწავლის ადამიანთა განსახლება-გადაადგილების კანონზომიერებებსა და მათ ცვალებადობას. მიუხედავად ამისა, მოცემულ სახელმძღვანელოში, მიგრაციას გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი, ვინაიდან დემოგრაფს, დემოგრაფიული ვითარების განხილვა-ანალიზისას, უწევს მიგრაციული პროცესების გათვალისწინება.

დემოგრაფია ამუშავებს დემოგრაფიული პროცესებისა და დემოგრაფიული სტრუქტურების აღწერილობის, ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდებს. პრაქტიკულად დემოგრაფიული კვლევის სფეროში შედის დემოგრაფიული ვითარების აღწერილობა, ქვეყანაში, მის ცალკეულ რაიონებში ან მოსახლეობის ჯგუფებში დემოგრაფიული ტენდენციებისა და ფაქტორების ანალიზი. სხვადასხვა თაობაში, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებსა და ზოგადად მოსახლეობაში დემოგრაფიული პროცესების თავისებურებების შესწავლის საფუძველზე, დემოგრაფია აფასებს მათ შესაძლებელ ცვალებადობას მომავალში და შეიმუშავებს დემოგრაფიულ პროგნოზებს.

დემოგრაფია შეისწავლის არა ცალკეული ადამიანის მახასიათებლებსა და მათ ცვალებადობას, არამედ მათ ერთობლიობებს, რომლებსაც გარკვეული მახასიათებლები აქვთ. ასეთი ერთობლიობები ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით ერთგვაროვანია. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დემოგრაფიულ ერთობლიობაში შეიძლება შედიოდნენ არა მარტო ადამიანები, არამედ ოჯახი ან უფრო მსხვილი

ისეთი ჯგუფები, როგორიცაა თაობა. ასეთ შემთხვევაში შესწავლის ობიექტი ხდება ჯგუფის სტრუქტურაც.

ცალკეული დემოგრაფიული შემთხვევები – დაბადება, სიკვდილი, ქორწინება და ქორწინების შეწყვეტა დემოგრაფიაში განიხილება როგორც სიმრავლე, როგორც ასეთ შემთხვევათა თანმიმდევრობა, რომელიც თაობის ცხოვრების მანძილზე ხდება. დემოგრაფიულ შემთხვევათა თანმიმდევრობა წარმოქმნის დემოგრაფიულ პროცესებს: შობადობას, მოკვდაობას, ქორწინებას, განქორწინებას, დაქვრივებას და მათი ურთიერთმოქმედების შედეგად მოსახლეობის აღწარმოებას.

არსებული ნორმები და განწყობები განსაზღვრავენ შესაბამის დემოგრაფიულ ქცევას: მატრიმონიალური – ქორწინებაში შესვლა და ოჯახის ფორმირება, რეპროდუქციული – ბავშვთა შობა, თვითშენახვითი – დამოკიდებულება ჯანმრთელობისა და სიცოცხლისადმი.

მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებისა და ზოგადად მოსახლეობის აღწარმოების ძირითადი ტენდენციების შესწავლა ეფუძნება ისტორიულ პრინციპს. ამ პრინციპის თანმიმდევრული გამოყენება გულისხმობს არა მარტო დემოგრაფიული პროცესების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის შესწავლას, არამედ დემოგრაფიული პროცესების ისტორიული ტენდენციების გახსნა-გამოვლენასაც. დემოგრაფიული განვითარების ინერციულობა, რომელიც განპირობებულია დემოგრაფიული პროცესებისა და სტრუქტურების ურთიერთგავლენით, განსაზღვრავს დემოგრაფიულ ცვალებადობათა ხანგრძლივობას როგორც კალენდარული, ისევე ისტორიული მასშტაბით.

დემოგრაფია ადამიანთა ერთობლიობებში მიმდინარე გარკვეულ პროცესებს იკვლევს. ასეთ შემთხვევაში ერთობლიობების ანალიზი მაკრო დონეს გულისხმობს. ამ თვალსაზრისით დემოგრაფია ყოველგვარი მსჯელობის გარეშე შეიძლება განვიხილოთ მაკროდემოგრაფიად.

ინდივიდუალურ დონეზე ყურადღების გადატანამ გამოიწვია მიკროდემოგრაფიის გამოჩენა.

მიკროდემოგრაფიის წარმოქმნა თვითონ დემოგრაფიის განვითარებიდან გამომდინარეობდა. გარკვეულ ეტაპზე საჭირო გახდა სხვა მეცნიერებების ცოდნისა და გამოცდილების მოზიდვა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო დემოგრაფიული პროცესის მიმდინარეობის კანონზომიერებათა ახსნა, მით უფრო როდესაც საქმე პროცესის დინამიკასა და მის განვითარებას ეხებოდა.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შობადობა. შობადობას დემოგრაფია ტრადიციულად მაკრო დონეზე განიხილავს. ამ თვალსაზრისით შობადობა მაკროდემოგრაფიას შეიძლება მივაკუთვნოთ. რეპროდუქციული ქცევა ინდივიდუალურ დონეს გამოხატავს და იგი მიკროდემოგრაფიის საგანს მიეკუთვნება.

ცხადია, რეპროდუქციული ქცევის კვლევისას, ცალკეული ინდივიდუალური შედეგები საბოლოოდ ერთობლივი სახით წარმოჩინდება დემოგრაფიაში. ის მნიშვნელოვანი დასკვნაც კი, რომ საზოგადოების დემოგრაფიული განვითარებისას შობადობის კლება ძირითადად განპირობებული იყო "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" შემცირებით – გამომდინარეობს ქცევის ინდივიდუალურ დონეზე განხილვის მოდელიდან.

დემოგრაფიის შემდგომ განვითარებას მოჰყვა როგორც მაკროდემოგრაფიის ანალიზის მეთოდების სრულყოფა, ისე მიკროდემოგრაფიის განვითარება თავისი მეთოდებითა და ანალიზით.

დემოგრაფთა ნაწილში აღნიშნულმა ზოგჯერ გაუგებრობა გამოიწვია. მიკროდემოგრაფია მაკროდემოგრაფიის პარალელურად ვითარდებოდა. ზოგიერთთა აზრით მათ შორის დაპირისპირება თუ არა, გარკვეული დაშორება შეიქმნა.

დემოგრაფია დიდი ხნის განმავლობაში იყენებდა და იყენებს მოდელირების მეთოდებს. მიკრომოდელირება ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი გახდა დემოგრაფიაში.

იგი ფართოდ გამოიყენება ოჯახის, მოსახლეობის აღწარმოების, მიგრაციისა და სხვა კვლევებისას. არის მოსაზრება, რომლის მიხედვით მოდელირებამ ხელი უნდა შეუწყოს მაკროსა და მიკროს შორის შესაძლებელი განსხვავების დაძლევას.

ამავე დროს, მთელ რიგ მეცნიერებებში, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული დემოგრაფიასთან, მიკრო და მაკრო დონეები ჰარმონიულ ურთიერთობაში იმყოფებიან.

მიკროდემოგრაფია მიმართული უნდა იყოს მნიშვნელოვანი მაკროდემოგრაფიული პრობლემების კვლევისა და ასახსნელად.

მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა ახსნის მიზნით, დემოგრაფია იყენებს სხვა მეცნიერებათა ცოდნასა და გამოცდილებას. აქედან გამომდინარე, დემოგრაფიას მჭიდრო კავშირი აქვს სხვა მეცნიერებებთან. მოსახლეობის აღწარმოების განხილვა, როგორც პროცესისა, განსაზღვრავს მის კავშირს ისტორიულ მეცნიერებასთან. დემოგრაფიის კავშირი ეკონომიკურ მეცნიერებებთან გამომდინარეობს დემოგრაფიულ პროცესებზე მწარმოებლურ ძალთა განვითარების დონისა და ეკონომიკური ფაქტორების გავლენიდან. მოსახლეობის აღწარმოების დამოკიდებულება სოციალურ ინსტიტუტებსა და სოციალურ კავშირებზე განაპირობებს მის კავშირს სოციოლოგიასთან. დემოგრაფიულ ქცევათა სახეობების შესწავლა განსაზღვრავს დემოგრაფიის კავშირს ფსიქოლოგიასთან. ზოგიერთი დემოგრაფიული შემთხვევა რეგლამენტირებულია სამართლებრივი ნორმებით, ხოლო დემოგრაფიული პოლიტიკა კანონმდებლობითაც ხდება განმტკიცებული, რაც მიუთითებს დემოგრაფიის კავშირს სამართლისმცოდნეობასთან. ადამიანთა განსახლება და მათი გადაადგილება გავლენას ახდენს მოსახლეობის აღწარმოებაზე. ამასთან, დემოგრაფიული პროცესები მიმდინარეობენ და განიხილებიან გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა შორის. ეს კი განსაზღვრავს დემოგრაფიის კავშირს გეოგრაფიულ მეცნიერებასთან. დემოგრაფიას კავშირი აქვს ასევე მედიცინასთან, ბიოლოგიასთან და სხვა მეცნიერებებთან. აღსანიშნავია დემოგრაფიის კავშირი მათემატიკასთან.

1.2. დემოგრაფიის სპეციალიზაცია

დემოგრაფიის კავშირმა სხვა მონათესავე მეცნიერებებთან და ზოგადად თვით დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების განვითარებამ განაპირობა დემოგრაფიული მეცნიერების შიგნით სხვადასხვა დარგის ჩამოყალიბება და განვითარება, რომლებსაც ქვემოთ წარმოვადგენთ.

აღწერილობითი (დესკრიფციული) დემოგრაფია – დემოგრაფიის დარგი, რომლის მიზანს შეადგენს კონკრეტული ქვეყნის ან რეგიონის ტერიტორიაზე მოსახლეობის განაწილების, დემოგრაფიული პროცესების დონისა და ტენდენციების ზოგადი რაოდენობრივი დახასიათება, აღწერა.

ბიოლოგიური დემოგრაფია (ბიოდემოგრაფია) – დემოგრაფიის დარგი ბიოლოგიისა და დემოგრაფიის მიჯნაზე. შეისწავლის შობადობისა და მოკვდაობის პროცესების ურთიერთქმედების ბიოლოგიურ და დემოგრაფიულ დეტერმინანტებს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დღეგრძელობისა და დაბერების პრობლემებს. ფართოდ იყენებს მათემატიკურ და სტატისტიკურ მოდელირებას, ექსპერიმენტულ მეთოდებს და გენეტიკასა და ევოლუციურ ფსიქოლოგიას.

გამოყენებითი დემოგრაფია – დემოგრაფიის დარგი, რომლის მიზანია მოსახლეობისა და დემოგრაფიული პროცესების შესახებ მონაცემების გამოყენება გაანგარიშებათა დასაბუთებისა და პრაქტიკული გადაწყვეტისათვის სოციალურ-ეკონომიკური დაგეგმვის, ქალაქთმშენებლობისა და სხვა სფეროებისათვის, რომელიც ეხება ადამიანთა დიდი მასების ცხოველქმედებას.

ეთნიკური დემოგრაფია (ეთნოდემოგრაფია) – დემოგრაფიის დარგი ეთნოგრაფიისა და დემოგრაფიის მიჯნაზე. შეისწავლის ხალხების ან ეთნოსების აღწარმოების თავისებურებებსა და რაოდენობის დინამიკას.

ეთნიკური დემოგრაფია თავისი კვლევებისას ძირითადად იყენებს ეთნიკურ სტატისტიკას, მოსახლეობის აღწერის მასალებს, დემოგრაფიული და ეთნოგრაფიული სპეციალური გამოკვლევის შედეგებს და სხვა ისეთი მეცნიერებების მასალებსა და მონაცემებს, როგორიცაა სოციოლოგია, გეოგრაფია, ანთროპოლოგია, მედიცინა და სხვა.

ეთნიკური დემოგრაფია როგორც მეცნიერული დისციპლინა ჩამოყალიბებას იწყებს XX საუკუნის დასაწყისიდან. ეთნიკური დემოგრაფიის ჩამოყალიბება განაპირობა იმ მდგომარეობამ, რომ დემოგრაფიული ქცევა დაკავშირებულია მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებთან და ადათ-წესებთან. ამასთან, ზოგიერთი დემოგრაფიული პროცესის არსის გაგება შეუძლებელია ეთნოგრაფიული მასალის გამოყენებისა და დემოგრაფიული მონაცემების გარკვეულ ეთნოსთან დაკავშირების გარეშე.

ეკონომიკური დემოგრაფია – დემოგრაფიის დარგი, რომელიც შეისწავლის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის აღწარმოების ურთიერთკავშირს, დემოგრაფიული პროცესების ხასიათის გავლენას ეკონომიკური ზრდის სტრუქტურასა და პროპორციებზე.

ეკონომიკური დემოგრაფიის მიერ გამოყენებული ანალიზის სპეციფიკურ ხერხებს შორის აღსანიშნავია – ასაკობრივი ეკონომიკური ცხრილები, ეკონომიკურ-დემოგრაფიული გაანგარიშებები და მათემატიკური ეკონომიკურ-დემოგრაფიული მოდელები.

ეკონომიკური დემოგრაფიის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების მეცნიერულად დამუშავების პირველი ცდები XIX საუკუნის შუა პერიოდს განეკუთვნება. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ინგლისელი უ.ფარი და რუსი ა. როსლავსკი-პეტროვსკი. XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ამერიკელმა მეცნიერმა ა. ჰანსენმა განიხილა მოსახლეობის მატების ტემპის შემცირების უარყოფითი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. XX საუკუნის მეორე ნახევარში დემოგრაფები ა. ლანდრი, ა. სოვი, ჟ. ბურჟუა-პიშა, ლ. ანრი, ე. კოული, კ. ბოულდინგი და სხვები, განიხილავენ წარმოებისა და მოსახლეობის მატების ურთიერთკავშირის პრობლემებს. სადღეისოდ შემუშავებულია "მოსახლეობა-ეკონომიკა" სახის სხვადასხვა მოდელი, რომელშიც მოსახლეობის აღწარმოების პროცესი განიხილება ეროვნული შემოსავლის მოცულობის, მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი ეროვნული პროდუქტის, ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული კალორიებისა და სხვათა მიხედვით.

ეკონომიკური დემოგრაფიის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს დემოგრაფიული პოლიტიკის სხვადასხვა ღონისძიების შესაძლებელი ეკონომიკური შედეგების ანალიზი.

თეორიული დემოგრაფია – დემოგრაფიის დარგი, რომლის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის აღწარმოების ხასიათისა და მასში მიმდინარე ცვლილებების ახსნა, დემოგრაფიული ქცევისა და დემოგრაფიული პროცესებისა და სტრუქტურების ურთიერთგავლენის გარკვევა, აგრეთვე მოსახლეობის აღწარმოების განვითარების ისტორიული ტენდენციებისა და მოსახლეობის აღწარმოების ტიპების შეცვლის კანონზომიერებათა გაგება-განმარტება.

თეორიული დემოგრაფიის შესწავლის ყველა ეტაპის ამოსავალს წარმოადგენს დაწყებული სამუშაო ჰიპოთეზების ფორმულირებიდან მოპოვებული და გაანალიზებული ინფორმაციის განზოგადებამდე.

ისტორიული დემოგრაფია – დემოგრაფიის დარგი, რომელიც მოსახლეობის აღწარმოებას ისტორიული თვალსაზრისით შეისწავლის. ისტორიული

დემოგრაფიის ძირითად მიზანს შეადგენს მოსახლეობის აღწარმოების ისტორიული კანონზომიერებების დადგენა.

ისტორიულ დემოგრაფიაში გამოყოფენ კონკრეტული კვლევის სამ ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებას. პირველი – შეისწავლის მოსახლეობის რაოდენობის ისტორიულ დინამიკას, მისი შემადგენლობის ცვალებადობას, სიმჭიდროვეს, განსახლებასა და მიგრაციას. მეორის მიზანია – დემოგრაფიული პროცესების ისტორიული ევოლუციის ყოველმხრივი ანალიზი და მოსახლეობის აღწარმოების ისტორიული ტიპების კვლევა. მესამე მიმართულება დაკავშირებულია დემოგრაფიული განვითარების ისტორიული განპირობებულობისა და ისტორიაში დემოგრაფიული ფაქტორების როლის ერთიანობის ახსნის ამოცანის გადაწყვეტასთან.

წყაროების მდგომარეობის თვალსაზრისით ისტორიული დემოგრაფია იყოფა სამ პერიოდად: "დამწერლობამდელი", "სტატისტიკამდელი" და "სტატისტიკური".

ისტორიული დემოგრაფიის ანალიზის ელემენტებს ჯერ კიდევ ჯ. გრაუნტის ნაშრომი შეიცავდა (XVII საუკუნე), თუმცა ისტორიული დემოგრაფიის ჩამოყალიბება, როგორც მეცნიერული დარგისა, XIX საუკუნის ბოლოს იწყება. პირველად სწორედ ამ პერიოდში იქნა გამოყენებული ტერმინი "ისტორიული დემოგრაფია", რომელმაც ფართო გავრცელება XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო.

ისტორიულ დემოგრაფიაში აღსანიშნავია ლ. ანრის, ფ. არიესის, დ. გლასის, ა. ლანდრის, პ. ლასლეტის, ჯ. რასელის, დ. შელესტოვის, ჯ. ჰაჯნალისა და სხვა მეცნიერთა შრომები. ამ მხრივ საქართველოში აღსანიშნავია კ. ანთაძის, პ. გუგუშვილის, ივ. ჯავახიშვილის, ვ. ჯაოშვილისა და სხვა შრომები.

მათემატიკური დემოგრაფია – ფორმალური დემოგრაფია, წმინდა დემოგრაფია, დემოგრაფიის დარგი, რომელიც შეისწავლის მოსახლეობის აღწარმოების რაოდენობრივ და თვისებრივ კანონზომიერებებს მათემატიკური მეთოდებით დემოგრაფიული მოდელების გამოყენების საფუძველზე.

დემოგრაფიულ გამოკვლევებში მათემატიკური დემოგრაფიის მეთოდები გამოიყენება: 1) მოსახლეობის სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე დემოგრაფიული პროცესებისა და ცალკეული დემოგრაფიული მაჩვენებლების მიღებისათვის, რომელთა შორის ბევრის სწორი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი დემოგრაფიული მოდელების ფარგლებში; 2) დემოგრაფიული პროცესების კანონზომიერებათა შესწავლისას მის ცალკეულ კომპონენტებს შორის კავშირის არსებობის გამოვლენის, გაზომვისა და დასაბუთებისათვის; 3) დემოგრაფიული პროგნოზირებისას, რეტროსპექტული შეფასებებისა და სხვა გაანგარიშებისას, რომელიც ეხება მოსახლეობას; 4) მოსახლეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების ამოცანათა განსაზღვრისა და დაზუსტებისათვის.

თანამედროვე მათემატიკური დემოგრაფია იყენებს მათემატიკური ანალიზის, ალბათობის თეორიის, მათემატიკური სტატისტიკისა და მათემატიკის სხვა დარგების მეთოდებს.

მათემატიკურ დემოგრაფიასთან მიკუთვნება განისაზღვრება დემოგრაფიული მოდელის არსებობით.

მათემატიკური დემოგრაფიის განშტოებას წარმოადგენს პოტენციური დემოგრაფია (იხ. პოტენციური დემოგრაფია).

მათემატიკური დემოგრაფიის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ჯ. გრაუნტის (1662 წელი) ნაშრომთან. მათემატიკურ დემოგრაფიაში აღსანიშნავია დ. ბერნულის (1760 წელი), ი. მიურეს (1764 წელი), ბ. გომპერცის (1825 წელი), ა. კეტლეს (1835 წელი), ლ. ა. ბერტილიონის (1874 წელი), ვ. ლექსისის (1875 წელი), რ. ბეკის (1886 წელი), ა. ლოტკას (1907-1925 წლები), ჰ. ლესლისა (1945 წელი) და სხვათა შრომები.

პოტენციური დემოგრაფია – განიხილავს მოსახლეობას როგორც გარკვეული სასიცოცხლო პოტენციალის მატარებლების ერთობლიობას, რომელიც იზომება წელიწად-ადამიანებში. პოტენციური დემოგრაფიის მაჩვენებლებს საფუძვლად უდევს დრო, რომელშიც საშუალოდ მოსალოდნელია იცოცხლოს ყოველი ასაკის ერთობლიობის წარმომადგენელმა მოცემულ პერიოდში, მოსახლეობის შესასწავლ ჯგუფში, არსებული მოკვდაობის დონის შესაბამისად.

პოტენციური დემოგრაფიის ძირითად პრინციპებს საფუძვლად დაედო შვეიცარელი დემოგრაფის ლ. ჰერშის შრომები, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული. პოტენციურ დემოგრაფიაში აღსანიშნავია პოლონელი დემოგრაფის ე. ფილროზეს შრომები.

რეგიონული დემოგრაფია – შეისწავლის ქვეყნის ცალკეული რეგიონებისა და ტერიტორიების თავისებურებათა გათვალისწინებით მათი მოსახლეობის ფორმირებისა და აღწარმოების კანონზომიერებებს.

სამხედრო დემოგრაფია – დემოგრაფიის დარგი, რომელიც შეისწავლის დემოგრაფიული ფაქტორების როლს სამხედრო საქმესა და სამხედრო ეკონომიკაში და ომების გავლენას მოსახლეობის აღწარმოებასა და დემოგრაფიულ პროცესებზე.

სოციოლოგიური (სოციალური) დემოგრაფია – დარგი, რომელიც ჩამოყალიბდა დემოგრაფიისა და სოციოლოგიის მიჯნაზე. შეისწავლის დემოგრაფიული და სოციალური პროცესების ურთიერთგავლენას. სოციოლოგიური დემოგრაფია ყურადღებას უთმობს ძირითადად სოციალური ნორმების, დემოგრაფიული ქცევის სხვადასხვა სახეობის და მათი შესაბამისი განწყობებისა და ფაქტორების კვლევას. სოციოლოგიურ დემოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციოლოგიურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ მეთოდებს. დემოგრაფიული პროცესების თავისებურებათა და მათი განმაპირობებელი მექანიზმების სრულყოფილი ახსნა მოითხოვს სოციოლოგიური დემოგრაფიის მეთოდებისა და თეორიული ბაზის გამოყენებას.

დემოგრაფიის ისტორია – დემოგრაფიის დარგი, რომელიც შეისწავლის დემოგრაფიული მეცნიერების განვითარების ისტორიულ პროცესს. დემოგრაფიის ისტორიის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს იმ თეორიული დასკვნებისა და განზოგადებების კრიტიკული ანალიზი, რომელიც დემოგრაფიული ცოდნის დაგროვების პროცესში მიიღება. ასევე მნიშვნელოვანია დემოგრაფიული განვითარების კონცეფციათა შეფასება.

დემოგრაფიის ისტორიის სფეროში შედის დემოგრაფიული კვლევებისა და დემოგრაფიული პროგნოზების შემუშავების პრაქტიკას შორის კავშირის შესწავლა, სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე დემოგრაფიული პოლიტიკის ფორმირებაში მოსახლეობის აღწარმოების შესახებ ცოდნის როლის განსაზღვრა და სხვა.

დემოგრაფიული ისტორია - კაცობრიობის ისტორიული განვითარების პროცესის ორგანული ნაწილი, რომელიც ასახავს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკასა და მოსახლეობის აღწარმოების ცვალებადობას. დემოგრაფიული ისტორია წარმოადგენს ისტორიული დემოგრაფიის შესწავლის საგანს (იხ. ისტორიული დემოგრაფია).

თანამედროვე ადამიანის (Homo sapiens) დემოგრაფიული ისტორიის საწყისი პერიოდი ჩამოყალიბდა დაახლოებით 50 ათასი წლის წინ. მიჩნეულია, რომ მეზოლითის დასაწყისში (დაახლოებით 15 ათასი წლის წინ) პირველყოფილი ადამიანები განსახლდნენ ყველა მატერიკზე და იმ დროისათვის მათი რაოდენობა შეადგენდა რამდენიმე მილიონს. ნეოლითის დასაწყისისათვის (7 ათასი წელი ჩვენს ერამდე) მათმა რაოდენობამ დაახლოებით 10 მილიონი შეადგინა. მოსახლეობის მატების ტემპი ძალიან დაბალი იყო და შეადგენდა დაახლოებით 10-20% ათასწლეულის მანძილზე. ასეთი მდგომარეობა განპირობებული იყო ძალიან

მაღალი მოკვდაობით – 50 და მეტი მოსახლეობის 1000 სულზე. განსაკუთრებით მაღალი იყო ჩვილთა მოკვდაობა. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 20 წელს არ აღემატებოდა. ამოწყდომისაგან ადამიანებს ძალიან მაღალი შობადობა იცავდა, რომელიც მხოლოდ უმნიშვნელოდ ჭარბობდა იმ დროის მოკვდაობას.

ნეოლითის ხანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ რევოლუციას მოჰყვა მითვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა (ძირითადად VI-III ათასწლეული ძვ.წ.; ახლო აღმოსავლეთში – ძვ.წ. VIII–VII ათასწლეული), საფუძველი შეექმნა მყარად ბინადარ ცხოვრებას, ჩნდება მძლავრი დასახლებები. წინა პერიოდთან შედარებით რამდენადმე შემცირდა მოკვდაობა, თუმცა ის საკმაოდ მაღალი იყო, ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 30 წელს. ძვ.წ. მეხუთე ათასწლეულისათვის მოსახლეობის რაოდენობამ მსოფლიოში შეადგინა დაახლოებით 30 მილიონი.

წინანდელთან შედარებით არსებული პირობების გაუმჯობესებას მოჰყვა მოსახლეობის მატების რამდენადმე დაჩქარება და უკვე ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობამ მიაღწია დაახლოებით 230 მილიონს. უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების ჩათვლით მოსახლეობის მატების ტემპი მაინც დაბალი იყო, მოკვდაობა და შობადობა მაღალ დონეზე რჩებოდა და სხვაობა მათ შორის მნიშვნელოვანი არ იყო. ამის გამო მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა ნელა მატულობდა. ათასი წლის მანძილზე მან ასი მილიონითაც კი არ მოიმატა და შეადგინა დაახლოებით 305 მილიონი 1000 წელს. მართალია, ნელი ტემპებით, მაგრამ მოსახლეობის რაოდენობა განაგრძობს მატებას და 1500 წლისათვის შეადგენს დაახლოებით 440 მილიონს, ხოლო 1650 წელს – 550 მილიონს.

XVIII საუკუნეში მრეწველობის განვითარებასა და მასთან დაკავშირებულ მეცნიერულ-ტექნიკურ და კულტურულ პროგრესს მოჰყვა მედიცინის განვითარება და ახალი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების ჩამოყალიბება, რომელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო ვითარდებოდა. ამის შედეგად შესამჩნევი კლება იწყო მოკვდაობამ: 1500-დან 1800 წლამდე 35-40-დან 30-35-მდე მოსახლეობის 1000 სულზე; 1800-დან 1900 წლამდე – 20-25-მდე და 1900-დან XX საუკუნის შუა პერიოდისათვის – 10-15-მდე მოსახლეობის 1000 სულზე. იზრდება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რომელმაც განვითარებულ ქვეყნებში მიაღწია XIX საუკუნის შუა პერიოდისათვის 40 წელს, ხოლო 1905 წლისათვის 45-55 წელს.

XX საუკუნემდე ოჯახის დაგეგმვა არ იყო ფართოდ გავრცელებული, რის შედეგადაც, მართალია, შობადობა მცირდებოდა, მაგრამ მისი დონე მაინც მაღალი იყო. მაგ., XIX საუკუნის ბოლოს ის საშუალოდ შეადგენდა 40-ს მოსახლეობის 1000 სულზე და შემცირდა 35-მდე მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისისათვის.

შობადობის მაღალ დონეზე შენარჩუნებას და ამავე დროს მოკვდაობის შემცირებას მოჰყვა მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდა. მოსახლეობის რაოდენობამ მსოფლიოში 1800 წლისათვის შეადგინა დაახლოებით 950 მილიონი, 1900 წელს – 1650 მილიონი, ხოლო 1950 წელს – 2508 მილიონი. 1988 წლის მონაცემებით, 1950 წელს შედარებით, ის გაორკეცდა და შეადგინა 5112,3 მილიონი. 2005 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობამ გადააჭარბა 6 მილიარდს (6477 მილიონი), ხოლო პროგნოზით 2050 წლისათვის 9 მილიარდს მიაღწევს და შეიძლება გადააჭარბოს კიდეც.

დემოგრაფიული სტატისტიკა – მოსახლეობის სტატისტიკა, სტატისტიკის დარგი, რომელიც სტატისტიკურ მეთოდებს იყენებს მოსახლეობის აღწარმოების, რაოდენობის, შემადგენლობისა და განლაგების შესახებ მონაცემების მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზისათვის.

დემოგრაფიული სტატისტიკა წარმოიქმნა XVII საუკუნის ბოლოს როგორც პოლიტიკური არითმეტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტი და იყო სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის ერთ-ერთი პირველი დარგი. XX საუკუნის

დასაწყისამდე მას დემოგრაფიასთან აიგივებდნენ. თანამედროვე დემოგრაფიული სტატისტიკისათვის დამახასიათებელია ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის მრავალფეროვანი მეთოდები. იმავდროულად დემოგრაფიული სტატისტიკა დემოგრაფიის შემადგენელი ნაწილი გახდა.

დემოგრაფიქსი – ტერმინი, რომლითაც აშშ და დასავლეთის რიგ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში აღნიშნავენ დემოგრაფიული მონაცემებისა და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას ბიზნესში, ძირითადად მარკეტინგში.

დემოგრაფიქსი შეისწავლის მოსახლეობასა და შინამეურნეობებს როგორც საქონლისა და მომსახურების პოტენციურ მომხმარებლებს, ხოლო დემოგრაფიულ ცვლილებებს – ზემოქმედების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს მოხმარების ბაზრებზე.

პალეოდემოგრაფია – შეისწავლის უძველეს ადამიანურ ერთობებში მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებს. წარმოადგენს ისტორიული დემოგრაფიის ნაწილს. პალეოდემოგრაფიის ინფორმაციულ ბაზას შეადგენს შემდეგი წყაროები: წერილობითი (აღწერების დოკუმენტები, ეპიტაფიები), პალეოანთროპოლოგიური (ადამიანის ნამარხი ჩონჩხების ანალიზის შედეგები), ეთნოარქეოლოგიური (ეთნოგრაფიული დაკვირვებები, ექსტრაპოლირებული უძველეს ისტორიაზე). პალეოდემოგრაფია დაკავებულია ამ წყაროების შესწავლით და მოიცავს საზოგადოების განვითარების მთელ დამწერლობამდელ პერიოდსაც. წყაროების თავისებურება განსაზღვრავს პალეოდემოგრაფიის, როგორც არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, ეთნოლოგიისა და დემოგრაფიის მიჯნაზე მყოფ დარგს.

დემოგრაფიის ზემომოყვანილი დარგების ფარგლებში მიმდინარეობს შემდგომი სპეციალიზაციის პროცესი. მაგ., სოციოლოგიურ დემოგრაფიაში – შობადობის სოციოლოგია, ოჯახის სოციოლოგია და სხვა.

1.3. დემოგრაფიული შემთხვევა, პროცესი, მოვლენა და მდგომარეობა

დემოგრაფიაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ დემოგრაფიულ შემთხვევას, პროცესსა და მოვლენას.

დემოგრაფიული შემთხვევა ხდება ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში და გააჩნია მნიშვნელობა ადამიანთა თაობის ცვლისათვის, მოსახლეობის რაოდენობის, მისი სტრუქტურის, საქორწინო წყვილთა და ოჯახის ცვალებადობისათვის.

დემოგრაფიული შემთხვევა აღნიშნავს ადამიანის მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფში შესვლას ან გამოსვლას. ზოგი დემოგრაფიული შემთხვევა ზრდის მოსახლეობის ან ოჯახთა რაოდენობას (დაბადება, ქორწინებაში შესვლა), ზოგიერთი – ამცირებს მათ (სიკვდილი, ქორწინების შეწყვეტა), ხოლო ზოგიერთი დემოგრაფიული შემთხვევა იწვევს მოსახლეობის ერთი ჯგუფიდან მეორეში გადასვლას (დაბალი ასაკობრივი ჯგუფიდან მაღალში გადასვლა) და ცვლის მხოლოდ მოსახლეობის შემადგენლობას.

მოუხედავად იმისა, რომ დემოგრაფიული შემთხვევა ხდება ცალკეული ადამიანისათვის, დემოგრაფიაში ისინი განიხილება როგორც დროის გარკვეულ მანძილზე მომხდარი შემთხვევების ერთობლიობა მთელ მოსახლეობაში, ან მის ცალკეულ ჯგუფებში. ერთგვაროვან დემოგრაფიული შემთხვევათა თანმიმდევრობა წარმოქმნის დემოგრაფიულ პროცესს.

დემოგრაფიული შემთხვევები იყოფა განუმეორებად და განმეორებად შემთხვევებად. განუმეორებადი დემოგრაფიული შემთხვევა შეიძლება ერთი და იგივე ადამიანს მოუვიდეს მხოლოდ ერთხელ (სიკვდილი), განმეორებადი დემოგრაფიული შემთხვევა ერთი და იგივე ადამიანს სიცოცხლის მანძილზე შეიძლება რამდენჯერმე აღენიშნოს (ბავშვის დაბადება). ზოგჯერ განმეორებადი

შემთხვევებისათვის იხმარება რიგითობა (მეორე ბავშვის გაჩენა). თუ მითითებულია შემთხვევის რიგითობა, მაშინ ის განუმეორებადი ხდება.

დემოგრაფიაში დემოგრაფიული შემთხვევა განიხილება როგორც შემთხვევითი, თანაბრად შესაძლებელი ყველა ადამიანისათვის, რომელიც მოცემულ მდგომარეობაში იმყოფება. მიჩნეულია, რომ დემოგრაფიული შემთხვევა გარკვეული ალბათობით ხდება, რომელიც დროზე ან მოცემულ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული.

დემოგრაფიული შემთხვევების ალბათობა წარმოადგენს დროის ერთეულში ადამიანთა ერთობლიობის რაოდენობის ცვალებადობის ზომას, რომელიც სხვადასხვა სახის დემოგრაფიული შემთხვევების გავლენით კოჰორტას წარმოქმნის.

დემოგრაფიული ანალიზისას დემოგრაფიული შემთხვევების ალბათობა გამოიხატება გარკვეული დროის განმავლობაში მომხდარი დემოგრაფიული შემთხვევის მქონე ადამიანების რაოდენობის შეფარდებით იმ ადამიანთა რაოდენობასთან, რომელთა შორის ეს შემთხვევა შეიძლება მომხდარიყო. მაგ., პირმშოს დაბადების ალბათობა არის წლის განმავლობაში დაბადებული პირმშოების რაოდენობის შეფარდება წლის დასაწყისში არსებული ქალების იმ რაოდენობასთან, რომლებსაც ჯერ არ გაუჩენიათ არც ერთი ბავშვი. დემოგრაფიული შემთხვევების ალბათობა წარმოადგენს ფარდობით სიდიდეს, რომელიც ახასიათებს მოცემული დემოგრაფიული შემთხვევის შესაძლებლობას ერთი ადამიანისათვის, იმ პირობით, რომ ყველა ადამიანისათვის, მოცემული კოჰორტიდან, თანაბრად არის შესაძლებელი ეს შემთხვევა და გამოითვლება კოჰორტის რიცხოვნობის მიმართ განსახილველი დროის შუალედის დასაწყისისათვის. რაც უფრო მეტია დროის შუალედი, მით უფრო მეტი შემთხვევა შეიძლება მოხდეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აქ პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება არ არსებობს, ვინაიდან მოცემული შემთხვევის გავლენით იცვლება კოჰორტის საწყისი რაოდენობა.

დემოგრაფიული პროცესი არის ადამიანთა სიცოცხლეში თანამოსახელე (ერთგვაროვანი) შემთხვევების თანმიმდევრობა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს თაობათა ცვლისათვის. დემოგრაფიულ პროცესს მიეკუთვნება შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, ქორწინების შეწყვეტა (განქორწინება, დაქვრივება).

დემოგრაფიული ანალიზისას თაობის რიცხოვნობის ცვალებადობა განიხილება ერთ, ორ ან რამდენიმე დემოგრაფიულ პროცესთან დამოკიდებულებაში. დემოგრაფიული პროცესი შეისწავლება დროსა და ასაკთან დამოკიდებულებაში, აგრეთვე მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში მისი მიმდინარეობის ხასიათის მიხედვით. დემოგრაფიული პროცესის ძირითად მახასიათებელს მისი ინტენსივობა წარმოადგენს.

დემოგრაფიულ პროცესებს შორის გამოყოფენ შევსების (შობადობა, ქორწინება) და დაკლების (მოკვდაობა, ქორწინების შეწყვეტა) პროცესებს.

დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობა დემოგრაფიული პროცესის დაძაბულობის ხარისხია და მისი ძირითადი მახასიათებელი.

დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობა იზომება დემოგრაფიულ შემთხვევათა სიხშირით თაობაში ან მოსახლეობაში, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოადგენენ ინტენსივობის შეფარდებით სიდიდეებს. დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობის მაჩვენებლებს მიეკუთვნება სხვადასხვა სახის დემოგრაფიული კოეფიციენტები, დემოგრაფიული შემთხვევის ალბათობა და დემოგრაფიული პროცესის ძალა.

წარმოდგენა დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობაზე საფუძვლად უდევს დემოგრაფიულ ანალიზს და დემოგრაფიულ მოდელირებას.

დემოგრაფიული პროცესის ძალა დემოგრაფიული შემთხვევის ალბათობაა დროის უსასრულოდ მცირე შუალედში. დემოგრაფიული პროცესის ძალა წარმოადგენს დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობის ზუსტ გამოხატულებას. თუ კოჰორტა (თაობა) იცვლის თავის რიცხოვნობას მხოლოდ მოცემული პროცესის გავლენით და დროის განმავლობაში მოხდა E დემოგრაფიული შემთხვევა და კოჰორტის რიცხოვნობა შეიცვალა P_t - დან P_{t+Dt} - მდე, მაშინ ცვალებადობის ალბათობა დროის ერთეულამდე დაყვანილ იქნება:

$$P_t = \frac{P_{t+\Delta t} - P_t}{P_t \Delta t} = \frac{E}{P_t \Delta t}$$

თუ შემთხვევათა რაოდენობას, ისევე როგორც კოჰორტის რიცხოვნობას განვიხილავთ დროის უწყვეტი $\Delta t \to 0$ ფუნქციის სახით, მაშინ შემთხვევაში ცვალებადობის ალბათობა გახდება დემოგრაფიული პროცესის ძალად და გამოისახება ფორმულით:

$$M_t = \frac{P_{t+dt} - P_t}{P_t dt} = \frac{dP_t}{P_t dt} = \frac{P'(t)}{P_t} \quad ,$$

სადაც d არის დიფერენციალის ნიშანი, $P'(t)$ – P_t წარმოებული ფუნქცია დროში. თუ მრიცხველში აღებულია მოსახლეობის მატების სიდიდე, მაშინ ანალოგიური გამოსახულება მართებული იქნება მოსახლეობის მატებისათვის, რომელიც შობადობისა და მოკვდაობის გავლენით წარმოებს.

ვინაიდან დემოგრაფიული ანალიზისას კოჰორტა, ჩვეულებრივ, განიხილება, როგორც დემოგრაფიული პროცესის გავლენით შემცირებადი ერთობლიობა (მაგ. მოკვდაობის დროს), ამიტომ $P_{t+\Delta t} \angle P_t$ -ზე და M_t უარყოფითი სიდიდეა. ჩვეულებრივ, პროცესის ინტენსივობა გამოიხატება დადებითი სიდიდით, ამიტომ

$$M_t = -\frac{P'(t)}{P_t}$$

დემოგრაფიული მოვლენა მნიშვნელოვანი ცვლილებებია დემოგრაფიულ პროცესებში, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ მოსახლეობის აღწარმოებაზე. დემოგრაფიულ მოვლენად მიიჩნევა არა ყოველგვარი ცვალებადობა, არამედ ისეთი, რომელსაც მოჰყვება არსებითი შედეგები მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით.

დემოგრაფიული შემთხვევისაგან განსხვავებით, რომელიც ერთეულ აქტს განეკუთვნება, დემოგრაფიული მოვლენა მთელ მოსახლეობას ან ადამიანთა დიდ ჯგუფებს მიეკუთვნება. მაგ., დაბადება – დემოგრაფიული შემთხვევაა, ხოლო ჩვილთა მოკვდაობის შემცირება – დემოგრაფიული მოვლენა.

პირობითად დემოგრაფიული მოვლენა შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: 1. დემოგრაფიული მოვლენა განპირობებული უშუალოდ მოსახლეობის აღწარმოებით და მისი კომპონენტების ურთიერთკავშირით; 2. დემოგრაფიული მოვლენა გამოწვეული მოსახლეობის აღწარმოების სხვა ბუნებრივ ან საზოგადოებრივ პროცესებთან ურთიერთობებით. პირველს მოსახლეობის აღწარმოების კომპონენტების (ბავშვთა შობა, ამოწყდომა და სხვ.) გარდა შეიძლება მივაკუთვნოთ მოვლენები, რომლებიც გამოხატავენ მოსახლეობის შინაგან ურთიერთმოქმედებას (მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის სტაბილიზაცია მოსახლეობის აღწარმოების უცვლელი რეჟიმის შენარჩუნებისას, დემოგრაფიული დაბერება და სხვა). დემოგრაფიული მოვლენის მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ის მოვლენები, რომლებიც გამოწვეულია გარე ფაქტორების გავლენით – დემოგრაფიული გადასვლა, დემოგრაფიული აფეთქება და სხვა.

ერთ-ერთ ცნობილ დემოგრაფიულ მოვლენას ***დემოგრაფიული კომპენსაცია*** მიეკუთვნება. მისი არსი ის არის, რომ ზოგიერთი მიზეზის გამო გადადებული (ან უფრო მოკლე ვადებში დაჩქარებული), თაობის სიცოცხლეში მომხდარი დემოგრაფიული შემთხვევები, რომლებიც არღვევენ მათი დადგომის ბუნებრივ

მსვლელობას, ამ მიზეზების გაქრობის შემდეგ მიმდინარეობენ მომატებული (ან შემცირებული) ინტენსივობით. ასეთი მდგომარეობა განაპირობებს კომპენსაციურ ეფექტს.

დემოგრაფიულ კომპენსაციას საფუძვლად უდევს მოსახლეობის შესაბამისი დემოგრაფიული კონტიგენტებით ამოწურვა ან შევსება. მაგ., დაქორწინება შესაძლებელია ქორწინებაში არმყოფი პირებისათვის; ბავშვის გაჩენა – იმ ოჯახებში, რომლებშიც უკანასკნელი წლის მანძილზე არ იყო ახალდაბადებული. როდესაც არსებობს ზოგიერთი პირობა, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე ხელს უშლის ამა თუ იმ სახის დემოგრაფიული შემთხვევის მოხდენას, მაშინ მოსახლეობაში წარმოებს იმ პირთა დიდი რაოდენობის დაგროვება, რომლებისთვისაც ასეთი დემოგრაფიული შემთხვევები შესაძლებელია. ხელშემშლელი პირობების აცილებისას ეს დემოგრაფიული შემთხვევები ერთბაშად ადამიანთა დიდ რაოდენობაში ხდება. ამას მოჰყვება გარკვეული დემოგრაფიული მაჩვენებლების მკვეთრი ამაღლება, რასაც თავის მხრივ მოსდევს შესაბამისი კონტინგენტების ამოწურვა. ამის შედეგად მაჩვენებლის ამაღლებას მოჰყვება მისი შემცირება.

მის მაგალითს წარმოადგენს შობადობისა და ქორწინების ზოგადი კოეფიციენტების ამაღლება ომის შემდგომ წლებში.

დემოგრაფიული კომპენსაცია პირველად XIX საუკუნის ბოლოს ფრანგმა პიერ ემილ ლევასიერმა აღწერა.

დემოგრაფიული მდგომარეობა წარმოადგენს ადამიანის მდგომარეობას, რომელსაც მოსახლეობის აღწარმოებისათვის აქვს მნიშვნელობა.

დემოგრაფიული ანალიზისას ადამიანის სიცოცხლე განიხილება როგორც ერთი დემოგრაფიული მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა, დაწყებული დაბადებიდან და სიკვდილით დამთავრებული. მოსახლეობის აღწარმოებისათვის არსებითია მდგომარეობა ქორწინებამდე, ქორწინებაში, განქორწინება ან დაქვრივება, ამა თუ იმ შემადგენლობის ოჯახში ყოფნა და სხვა. ერთი დემოგრაფიული მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა დემოგრაფიული შემთხვევების შედეგად წარმოებს. მაგ., დაქორწინება ცვლის ქორწინებით მდგომარეობას. ერთიდან სხვა დემოგრაფიულ მდგომარეობაში გადასვლის ალბათობა განსხვავდება ამა თუ იმ მდგომარეობისათვის და დამოკიდებულია მდგომარეობის ხანგრძლივობაზე. მაგ., ბავშვის დაბადება ქორწინებაში შესაძლებელია მხოლოდ ქორწინებაში მყოფებისათვის და ამ შემთხვევის ალბათობა ქორწინების პირველ წლებში უფრო მეტია, ვიდრე მომდევნო წლებში. ამიტომ ასეთ გადასვლათა სიხშირე ან მათი განმაპირობებელი შემთხვევების რაოდენობა ჩვეულებრივ განიხილება როგორც დროის ფუნქცია და მოცემულ დემოგრაფიულ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობა. ერთიდან სხვა დემოგრაფიულ მდგომარეობაში გადასვლათა ერთობლიობა საკუთრივ მოსახლეობის აღწარმოების პროცესს წარმოადგენს.

1.4. მოსახლეობის აღწარმოება და მოსახლეობის აღწარმოების ტიპი

მოსახლეობის აღწარმოება თაობათა მუდმივი განახლების პროცესია, რომელიც შობადობისა და მოკვდაობის ურთიერთქმედების შედეგს წარმოადგენს.

მოსახლეობის აღწარმოება ალბათური პროცესია, რომელსაც წარმოქმნის შობადობისა და მოკვდაობის მრავალი ერთეული შემთხვევა. პოპულაციის ხანგრძლივი არსებობა გულისხმობს მისი გარემოსთან ურთიერთქმედების პირობების შენარჩუნებას, რაც შესაძლებელია დემოგრაფიული შემთხვევების გარკვეული სახით მოწესრიგების შემთხვევაში. მსგავს პროცესებს ადგილი აქვს ბუნებაშიც. ბუნებაში პოპულაციის გამრავლებას აქვს ბიოლოგიური საფუძვლები.

ადამიანის წარმოშობისა და მისი და საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე პოპულაციის აღწარმოების მართვის სისტემა განიცდის თვისებრივ ცვლილებას. გამრავლების ბიოლოგიურ მექანიზმებთან ერთად თავს იჩენს მართვის სოციალური მექანიზმები და ფუნქციონირებას იწყებს მოსახლეობის აღწარმოების მართვის ახალი სისტემა.

მოსახლეობის აღწარმოება თავის განვითარებაში გაივლის სხვადასხვა ეტაპს, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოების განვითარებასთან. ისტორიულად მოსახლეობის აღწარმოების ყოველი მსხვილი ეტაპისათვის დამახასიათებელია დემოგრაფიული პროცესების თავისებური მსვლელობა შესაბამისი დემოგრაფიული ურთიერთობებით და დემოგრაფიული ქცევით. მოსახლეობის აღწარმოების ამ თვისებრივ ნიშანთა ხანგრძლივი დროის მანძილზე შენარჩუნებასა და განზოგადებას მივყავართ მოსახლეობის აღწარმოების ტიპების ცნებასთან და კაცობრიობის დემოგრაფიული ისტორიის განხილვასთან, როგორც ამ ტიპების თანმიმდევრობით ცვლასთან.

მოსახლეობის აღწარმოების პროცესის რაოდენობრივ ზომაზე წარმოდგენას იძლევა მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის მაჩვენებლები, რომლებშიც გაერთიანებულია შობადობისა და მოკვდაობის რეჟიმის მაჩვენებლები. ისინი მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეგზოგენურ პარამეტრებს მიეკუთვნებიან და განსაზღვრავენ მის ენდოგენურ პარამეტრებს – მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას, აგრეთვე მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტს (ან მოსახლეობის ბუნებრივი მატების ჭეშმარიტ კოეფიციენტს).

მოსახლეობის აღწარმოება ერგოდიულ პროცესს წარმოადგენს.

ერგოდიულობის თვისება დემოგრაფიაში იმით გამოიხატება, რომ მოსახლეობის წარსული ასაკობრივი სტრუქტურის გავლენა მომდევნოზე დროთა განმავლობაში თანდათან სუსტდება და ასაკობრივი სტრუქტურა დამოკიდებული ხდება წინამავალი პერიოდის მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმზე. ანსხვავებენ ძლიერ და სუსტ ერგოდიულობის თვისებას.

ძლიერი ერგოდიულობის თვისება გულისხმობს, რომ თუ რომელიმე მოსახლეობისათვის შობადობისა და მოკვდაობის ინტენსივობა უცვლელი ხდება დროში, მაშინ ასეთი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა და მასზე დამოკიდებული პარამეტრები (მაგ., ზოგადი კოეფიციენტები), როგორც უნდა ყოფილიყო აქამდე, თანდათან უახლოვდება ზოგიერთ ზღვრულ მნიშვნელობას, დამოკიდებულს შობადობისა და მოკვდაობის ასაკობრივ ინტენსივობაზე. ასეთ დროს მოსახლეობას ეწოდება ასიმპტოტურად სტაბილური მოსახლეობა, ხოლო მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ზღვრულ მნიშვნელობებთან მიახლოების პროცესს – მოსახლეობის სტაბილიზაცია. ძლიერი ერგოდიულობის თვისება პირველად დადგენილ იქნა ალფრედ ჯეიმს ლოტკას მიერ XX საუკუნის პირველ მესამედში.

ზოგადად სუსტი ერგოდიულობის თვისება არ გულისხმობს შობადობისა და მოკვდაობის ასაკობრივი ინტენსივობის უცვლელობას და უშვებს ასაკობრივი სტრუქტურის ცვალებადობას დროში. ე. კოულმა 1957 წელს უჩვენა საწყისი ასაკობრივი სტრუქტურის გავლენის შესუსტება დროში. ა. ლოპესმა 1961 წელს დაამტკიცა, რომ თუ ორ მოსახლეობას, დროის გარკვეული მომენტიდან დაწყებული, ახასიათებს შობადობისა და მოკვდაობის ერთნაირი ასაკობრივი ინტენსივობა (გინდაც დროში ცვალებადი), მაშინ ისინი თანდათან მიიღებენ ერთნაირ ასაკობრივ სტრუქტურას (შესაძლებელია დროში ცვალებადს).

ერგოდიულობის თვისება მნიშვნელოვანია მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე გავლენის სწორი გაგებისათვის.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ეგზოგენური პარამეტრების როლი დემოგრაფიული სტაბილიზაციის პროცესში, რომელიც იწყება მას შემდეგ, როდესაც ეს პარამეტრები მუდმივი (გარკვეულ ფარგლებში) გახდება. ასეთ

შემთხვევაში მოსახლეობა მიისწრაფვის წონასწორობის მდგომარეობისაკენ, რომლის დროსაც ის სტაბილური ხდება. მისი ასაკობრივი შემადგენლობა განისაზღვრება შობადობისა და მოკვდაობის რეჟიმით, ხოლო მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა არ არის დამოკიდებული ასაკობრივ შემადგენლობაზე (ძლიერი ერგოდიულობა). ამ დინამიკაში ასაკობრივი შემადგენლობის დამოუკიდებელი მნიშვნელობა შეიმჩნევა მხოლოდ სტაბილიზაციის დამთავრების შემდეგ და ის საბოლოო ხდება.

საბოლოო ჯამში მოსახლეობის აღწარმოების პროცესი და მისი შედეგები დამოკიდებული არიან ეგზოგენურ პარამეტრებზე.

პირველი ცდები მოსახლეობის აღწარმოების გააზრებისა, როგორც შობადობისა და მოკვდაობის ერთიანობისა, გამოთქმული იყო ლ. ეილერის მიერ XVII საუკუნეში. მიუხედავად ამისა, ხანგრძლივი დროის მანძილზე, ანალიზის ინტერესის სფეროს უფრო მისი ცალკეული შემადგენლები წარმოადგენენ, ვიდრე მოსახლეობის აღწარმოება მთლიანობაში. მხოლოდ XX საუკუნის პირველი ათწლეულიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც შეიქმნა სტაბილური მოსახლეობის მოდელი, შესაძლებელი გახდა მოსახლეობის აღწარმოების პროცესის მთლიანობაში დანახვა და მისთვის დამახასიათებელი შინაგანი რაოდენობრივი დამოკიდებულების გაგება. დასრულებული სახით ეს მოდელი წარმოდგენილ იქნა ამერიკელი დემოგრაფის ალფრედ ლოტკას მიერ (1907 წელი), თუმცა მას ბევრი წინამორბედი ჰყავდა და შემდგომშიც არაერთმა დემოგრაფმა შეიტანა თავისი წვლილი მასთან დაკავშირებით.

მოსახლეობის აღწარმოების ტიპი წარმოადგენს კატეგორიას, რომელიც ასახავს მოსახლეობის აღწარმოების ყველაზე მნიშვნელოვან თვისებრივ მხარეებს მეტ-ნაკლებად მსგავს ისტორიულ, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა პირობებში. მოსახლეობის აღწარმოების ტიპი მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმთან და განსაზღვრავს იმ საზღვრებს, რომელშიც შეიძლება იცვლებოდეს აღწარმოების პროცესის რაოდენობრივი მახასიათებლები. ეს უკანასკნელი შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსახლეობის აღწარმოების ტიპის იდენტიფიკაციისათვის, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებულ იქნება მათი მთელი სისტემა, რადგან რომელიმე ცალკეული მაჩვენებელი შეიძლება ერთნაირი იყოს სხვადასხვა მოსახლეობის აღწარმოების ტიპისათვის.

თითოეული მოსახლეობის აღწარმოების ტიპის ჩამოყალიბება და განვითარება იმავე დროს არის შესაბამისი შობადობისა და მოკვდაობის ტიპის ჩამოყალიბება და განვითარება.

სხვადასხვა მოსახლეობის აღწარმოების ტიპი წარმოადგენს კაცობრიობის დემოგრაფიული ისტორიის თანმიმდევრულ ეტაპებს. ამასთან დაკავშირებით გამოყოფდნენ მოსახლეობის აღწარმოების სამ ტიპს – არქეტიპს, ტრადიციულს და თანამედროვეს. დემოგრაფების ნაწილი გამოყოფს მოსახლეობის აღწარმოების მეოთხე ტიპს – უახლესს. (იხ. ნაწილი 1.5. დემოგრაფიული გადასვლის თეორია).

მოსახლეობის აღწარმოების ტიპთაშორისი პერიოდი წარმოიქმნება მოსახლეობის აღწარმოების ერთი ძირითადი ტიპის მეორეთი შეცვლის პერიოდში. მოსახლეობის აღწარმოების ტიპთაშორისი პერიოდი აერთიანებს როგორც წარმავალი, ისევე მომავალი ტიპებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ძირითადი ტიპებისაგან განსხვავებით მოსახლეობის აღწარმოების ტიპთაშორისი პერიოდი მდგრადი არ არის და არ შეუძლია ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობა.

ტერმინი „მოსახლეობის აღწარმოების ტიპთაშორისი პერიოდი“ შემოტანილია ავთანდილ სულაბერიძის მიერ მოსახლეობის აღწარმოების შუალედური ტიპის ნაცვლად. მისი აზრით, სხვადასხვა კრიტერიუმით, მოსახლეობის აღწარმოების შუალედური ტიპი ვერ აკმაყოფილებს „ტიპი“-სათვის დამახასიათებელ ძირითად

მოთხოვნებს და ამდენად იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ მოსახლეობის აღწარმოების ტიპად.

მოსახლეობის აღწარმოების ტიპის ფაზა კატეგორიაა, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის აღწარმოების ტიპის შემადგენელ ნაწილს, მისი განვითარების საფეხურს და ასახავს მის ფარგლებში მიმდინარე შობადობისა და მოკვდაობის ცვალებადობას. ფაზები გამოყოფილი იყო მხოლოდ მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპისათვის. თითოეულ ფაზას შეესაბამება შობადობისა და მოკვდაობის გარკვეული რეჟიმი.

დემოგრაფიული კანონები არის დემოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივი აუცილებელი, მყარი, მუდმივგანმეორებადი, არსებითი კავშირი და ურთიერთგანპირობებულობა.

დემოგრაფიული კანონების მოქმედება მნიშვნელოვანწილად მოსახლეობის აღწარმოების არეალით შემოიფარგლება და დემოგრაფიულ ურთიერთობებს ასახავს. დემოგრაფიული კანონები დემოგრაფიულ ურთიერთობათა განვითარების კანონებია.

დემოგრაფიული კანონები იყოფა საერთო (ზოგად), კერძო და სპეციფიკურ კანონებად.

საერთო დემოგრაფიული კანონები, როგორც წესი, მოქმედებენ კაცობრიობის არსებობის მთელ მანძილზე, თუმცა გზადაგზა გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდიან. ასეთებია: მოსახლეობის აღწარმოების, დემოგრაფიული გადასვლისა და სხვა კანონები. კერძო დემოგრაფიული კანონებისთვის დამახასიათებელია განცალკევებულ დემოგრაფიულ კანონზომიერებათა ასახვა. მათ მიეკუთვნება: მოსახლეობის გაფართოებული, მარტივი და შეკვეცილი აღწარმოების კანონები და ა.შ. სპეციფიკური დემოგრაფიული კანონები მოქმედებენ საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპზე. ასეთი კანონებია: შობადობის კლების, დემოგრაფიული დაბერების და სხვა კანონები.

დემოგრაფიულ კანონებს მიეკუთვნებიან: ზოგადად მოსახლეობის აღწარმოების, მოსახლეობის გაფართოებული, მარტივი და შეკვეცილი აღწარმოების, დემოგრაფიული გადასვლის, მოსახლეობის რაოდენობის განუხრელი მატების, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის, შობადობის კლების, დემოგრაფიული დაბერების კანონები.

დემოგრაფიული კატეგორიები მასობრივი, განმეორებადი, დემოგრაფიული შემთხვევებისა და პროცესების, საერთოდ დემოგრაფიულ ურთიერთობათა განზოგადებული აბსტრაქტული (თეორიული) გამოხატულებაა. დემოგრაფიულ კატეგორიებს მიეკუთვნება მოსახლეობა, შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება, ოჯახი, კოჰორტა, ეთნოსი, ეროვნება, ბავშვების ყოლის მოთხოვნილება, რეპროდუქციული განწყობა, რეპროდუქციული ქცევა, თვითშენახვითი (თვითმოვლითი) ქცევა, დემოგრაფიული ვითარება, დეპოპულაცია, დემოგრაფიული კრიზისი, დემოგრაფიული ოპტიმუმი, დემოგრაფიული დატვირთვა და სხვა.

დემოგრაფიული კანონები და დემოგრაფიული კატეგორიები გამოყო და კლასიფიკაცია გაუკეთა ლეო ჩიქავამ 2001 წელს.

1.5. დემოგრაფიული გადასვლის თეორია

დემოგრაფიული გადასვლის თეორია გამოიყენება დემოგრაფიაში მოსახლეობის აღწარმოების ტიპების ცვლის ასახსნელად.

ტერმინი "დემოგრაფიული გადასვლა" შემოთავაზებულ იქნა 1945 წელს ამერიკელი დემოგრაფის ფ. ნოუტსტაინის მიერ. თავდაპირველად დემოგრაფიული გადასვლის კონცეფცია შემუშავებულ იქნა ფრანგი დემოგრაფის ა. ლანდრის მიერ 1909-1934 წლებში, რომელმაც მის აღსანიშნავად გამოიყენა ტერმინი "დემო-

გრაფიული რევოლუცია". აღნიშნული ტერმინი გამოიყენებოდა ისტორიული განვითარების პროცესში მოსახლეობის აღწარმოებაში მომხდარი ძირითადი ცვლილებების აღსანიშნავად. თანამედროვე დემოგრაფიულ ლიტერატურაში ტერმინი "დემოგრაფიული რევოლუციის" ნაცვლად ძირითადად გამოიყენება ტერმინი "დემოგრაფიული გადასვლა".

ზოგიერთი ავტორი განასხვავებს დემოგრაფიულ რევოლუციას დემოგრაფიული გადასვლისაგან. ასეთ შემთხვევაში დემოგრაფიული რევოლუცია განიხილება როგორც დემოგრაფიული გადასვლის კულმინაციური მდგომარეობა, რომელიც მოსახლეობის აღწარმოების ნახტომისებურ თვისებრივ ცვალებადობას წარმოადგენს, ან სხვანაირად რომ ითქვას, ის არის მოსახლეობის აღწარმოების ერთი ტიპიდან სხვაზე ნახტომისებური გადასვლა.

პირველად იდეა დემოგრაფიული ტიპების რეპროდუქციული ქცევის შესახებ ა. ლანდრიმ ჩამოაყალიბა 1909 წელს სტატიაში "მოსახლეობის სამი ძირითადი თეორია". მოგვიანებით, 1924 წელს სტატიაში "პროგრესის იდეა" მან ჩამოაყალიბა ცნება მოსახლეობის აღწარმოების სამი რეჟიმის შესახებ. პირველ რეჟიმს ა. ლანდრი უწოდებს პრიმიტიულს. მის შემთხვევაში ქორწინებისა და შობადობის რეგულირებას ადგილი არა აქვს და მოსახლეობის რაოდენობას ძირითადად მოკვდაობა არეგულირებს. მეორე რეჟიმის შემთხვევაში შობადობას ზღუდავს ქორწინებათა გადადება და უქორწინობა. მესამე რეჟიმი თანამედროვეა. მისი ძირითადი ნიშანია შობადობის განზრახ, ანუ ცნობიერი შეზღუდვა, რომელიც დამახასიათებელია ეკონომიკურად განვითარებული უმრავლესი ქვეყნისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ა. ლანდრის შემთხვევაში მოსახლეობის აღწარმოების ტიპები ყოველთვის არ შეესაბამება ისტორიულ ეპოქებს.

ლანდრის პროგნოზები საკმაოდ პესიმისტური იყო. მისი აზრით შობადობის შემცირებას მომავალში შეიძლება მოჰყოლოდა მოსახლეობის რეგრესი და ცივილიზაციის დაღუპვაც კი. ა. ლანდრი აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად საკმაოდ თანამედროვე ღონისძიებებს გვთავაზობდა – შესაბამისი ფსიქოლოგიური განწყობის ცვლილებას, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ სათანადო რეპროდუქციული განწყობის ჩამოყალიბებას.

დემოგრაფიული გადასვლის კონცეფციის წარმოშობას ზოგიერთ შემთხვევაში უკავშირებენ 1929 წელს ლეონ რაბინოვიჩის ავტორობით გამოცემულ ნაშრომს "მოსახლეობის პრობლემა საფრანგეთში".

ზოგჯერ დემოგრაფიული გადასვლისა და დემოგრაფიული რევოლუციის სინონიმად გამოიყენება ტერმინი "დემოგრაფიული მოდერნიზაცია".

დემოგრაფიული გადასვლა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც გადასვლა ტრადიციული წონასწორობიდან, რომლისთვისაც დამახასიათებელია მაღალი შობადობა და მაღალი მოკვდაობა, ახალ წონასწორობაზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია დაბალი შობადობა და დაბალი მოკვდაობა. დემოგრაფიული გადასვლის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის აღწარმოების პროცესების შეგუება ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან.

რაც შეეხება დემოგრაფიულ წონასწორობას, ის შეიძლება განვსაზღვროთ როგორც წონასწორობა შობადობასა და მოკვდაობას შორის, ერთი მხრივ, და ყველა სხვა, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებისადმი, მეორე მხრივ, იმ პირობებში, რომელიც მოცემულია დემოგრაფიული და არადემოგრაფიული პროცესების ურთიერთქმედებით.

XIX საუკუნის ბოლოს დადგენილ იქნა, რომ შობადობისა და მოკვდაობის დონეები ძირითადად განპირობებულია არა ბიოლოგიური კანონებით, არამედ სოციალური პირობებით. ამასთან, ისტორიული განვითარების პროცესში მიმდინარეობს მოსახლეობის აღწარმოების ტიპის მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებები.

დემოგრაფიული გადასვლის თეორიის ზოგად ელემენტს წარმოადგენს დემოგრაფიული განვითარების პერიოდიზაცია, რომელიც შეესაბამება სამ მსხვილ ისტორიულ ეტაპს – მიმთვისებლური მეურნეობის, აგრარულ და ინდუსტრიულ საზოგადოებას.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული გამოყოფენ მოსახლეობის აღწარმოების ოთხ ტიპს: არქეტიპს, ტრადიციულს, თანამედროვესა და ბოლო პერიოდში – უახლესს (დეპოპულაციურს).

მოსახლეობის აღწარმოების არქეტიპი დამახასიათებელი იყო კაცობრიობის ისტორიის ადრეული ეტაპისათვის, კლასობრივამდელი საზოგადოებისათვის. ის ჩამოყალიბდა პალეოლითის ხანაში და დაკავშირებული იყო პალეოლითის ეკონომიკასთან და იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან, რომლებიც მის ბაზაზე ვითარდებოდნენ. ამ არქეტიპის დროს მოკვდაობა ძალიან მაღალი იყო და პრაქტიკულად უცვლელი რჩებოდა ათასწლეულების მანძილზე. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა დაახლოებით 20 წელს. ერთი დედის ცოცხლად დარჩენილი ბავშვების რაოდენობა საშუალოდ ორის ფარგლებში მერყეობდა. ამის გამო ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა თითქმის არ იცვლებოდა და ძალიან ნელა იზრდებოდა. მოსახლეობის მატების ტემპი წელიწადში შედგენდა 0,001-0,03%. მოსახლეობის აღწარმოების არქეტიპმა გასტანა ნეოლითის ხანამდე.

მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციული ტიპი დამახასიათებელი იყო კაპიტალისტურამდელი, აგრარული კლასობრივი საზოგადოებისათვის და კაპიტალისტური განვითარების საწყისი სტადიისათვის. მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციული ტიპი წარმოიშვა ნეოლითის ხანაში და ემთხვევა ამ დროს მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ რევოლუციას (მიმთვისებლური მეურნეობიდან წარმოებრივ მეურნეობაზე გადასვლა, რასაც მოჰყვა მყარად ბინადარი ცხოვრების საფუძვლის შექმნა და მძლავრი დასახლებების გაჩენა). მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციული ტიპი გაბატონებული იყო XVIII საუკუნემდე, თუმცა ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობას XX საუკუნეშიც ეს ტიპი ახასიათებდა.

მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციული ტიპის მოკვდაობა ორი კომპონენტისაგან შედგებოდა: ე.წ. „ნორმალური" მოკვდაობა, რომელიც შეიმჩნეოდა შედარებით ხელსაყრელ პერიოდში და "კატასტროფული" მოკვდაობა, რომელიც დამახასიათებელი იყო განსაკუთრებული არახელსაყრელი პერიოდისათვის. მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციული ტიპის დროს მოკვდაობა საკმაოდ მაღალი იყო, ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაახლოებით 30 წელს შეადგენდა.

მთელი ტრადიციული პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ქორწინების მსგავსი ფორმები. დემოგრაფიული თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადრეული ქორწინების ასაკი და იმათი ძალიან დაბალი წილი, ვინც საერთოდ არ ქორწინდებოდა.

შობადობის თვალსაზრისით, აღსანიშნავია ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების არარსებობა, რისი შედეგიც იყო შობადობის მაღალი დონე. მაღალი შობადობისა და მაღალი მოკვდაობის პირობებში დაბალი იყო მოსახლეობის მატების ტემპი, რომელიც წელიწადში საშუალოდ 0,03 – 0,04%-ს შეადგენდა.

მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპი თავდაპირველად წარმოიქმნა XVIII საუკუნის ბოლოს დასავლეთ ევროპის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში (საქართველოში – XIX საუკუნეში). ამ დროიდან მოყოლებული იწყება მოკვდაობის ფაქტორების შეზღუდვა. იზრდება მედიცინის როლი, თავი იჩინა ახალმა სანიტარულ-ჰიგიენურმა პირობებმა, რაც გამომდინარეობდა მრეწველობის

განვითარებიდან და მასთან დაკავშირებული მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული პროგრესიდან.

XIX საუკუნის შუა პერიოდამდე მოკვდაობა ძირითადად გამოწვეული იყო ეგზოგენური ფაქტორებით (ტუბერკულოზი, პნევმონია, ინფექციური და პარაზიტული დაავადებები). XX საუკუნის მოკვდაობა ძირითადად გამოწვეულია ენდოგენური ფაქტორებით (გულ-სისხლძარღვთა და სხვა).

თანამედროვე ტიპის დროს წინასთან (ტრადიციულთან) შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. უკვე XIX საუკუნის შუა პერიოდისათვის განვითარებულ ქვეყნებში მან 40 წელს მიაღწია, ხოლო 1905 წლისათვის 45-55 წელს.

რაც შეეხება შობადობას, მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის დროს, წინამორბედისაგან განსხვავებით, ყურადღებას იქცევს რაოდენობრივი ცვლილებები. მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპისათვის წინასთან შედარებით შობადობის დაბალი დონეა დამახასიათებელი. თვისებრივი თვალსაზრისით მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპისათვის არსებითია ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება, რომელიც უცხოა წინა ტიპებისათვის. სწორედ ამ უკანასკნელმა განაპირობა შობადობის დონეებში რაოდენობრივი სხვაობა მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციულ და თანამედროვე ტიპებს შორის.

ტრადიციული საზოგადოების მოთხოვნაა უზრუნველყოს მოსახლეობის აღწარმოება მაღალი მოკვდაობის პირობებში მაღალი შობადობით. ინდუსტრიალიზაცია მნიშვნელოვნად ამცირებს მოკვდაობის დონეს, რაც მრავალშვილიანობას არასაჭიროს ხდის და რასაც მოსდევს შობადობის შემცირება. ბავშვების გაჩენა ადამიანის ცნობიერი არჩევანის შედეგი ხდება, ხოლო პიროვნების ავტონომიზაცია განსაზღვრავს ორიენტაციას მცირეშვილიანობაზე.

ამდენად, დემოგრაფიული გადასვლის პირველ ეტაპზე წარმოებს მოკვდაობის ტიპის გარდაქმნა – მცირდება ეგზოგენური მოკვდაობა, სიკვდილის შემთხვევები დაბლიდან მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში გადაინაცვლებს, იზრდება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და მოსახლეობის აღწარმოების ეკონომიურობა. დემოგრაფიული გადასვლის მეორე ეტაპზე იცვლება შობადობის ტიპი.

მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის ფარგლებში შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებელთა გარკვეული პირობითი საფეხურები გამოიყოფა, რომლებსაც მოსახლეობის აღწარმოების ფაზებს (სტადიებს) უწოდებენ. გამოყოფენ რამდენიმე ფაზას:

I ფაზის დროს მოკვდაობა უფრო მნიშვნელოვნად კლებულობს, ვიდრე შობადობა, რაც იწვევს მოსახლეობის ბუნებრივი მატების სწრაფ ზრდას.

II ფაზის დროს მოკვდაობის კლება გრძელდება და ფაზის ბოლოსათვის მიიღწევა ყველაზე დაბალი მაჩვენებელი. ამავე დროს კლებას იწყებს შობადობა. შობადობის კლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოკვდაობისა, ამიტომ მოსახლეობის ბუნებრივი მატება თანდათან ნელდება.

III ფაზის დროს იზრდება მოკვდაობა. ეს ზრდა გამოწვეულია ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებით (დემოგრაფიული დაბერებით). შობადობის შემცირება ნელდება და ფაზის ბოლოს აღწევს მარტივი აღწარმოებისათვის საჭირო დონეს. თუმცა იმავე დროს მოკვდაობა მაინც უფრო ნაკლებია შობადობაზე.

IV ფაზის დროს მოკვდაობა იზრდება და აღწევს შობადობის დონეს – დაახლოებით 13-ს მოსახლეობის 1000 სულზე. ამით დემოგრაფიული სტაბილიზაციის პროცესი უნდა დამთავრდეს. ამის შემდეგ მოსახლეობის რაოდენობის ზრდა უნდა შეწყდეს და ერთ უცვლელ დონეზე დარჩეს.

მოცემული სქემა ასახავს დემოგრაფიული განვითარების მთავარ მიმართულებას, მაგრამ არ გამორიცხავს გარკვეულ ცვალებადობასა და გადახრას ძირითადი ტენდენციებისაგან.

აღნიშნულ სქემას საფუძვლად უდევს რაციონალიზმის იდეა, რომლის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მოსახლეობის აღწარმოების რეგულირების ჰომეოსტატურობა (შობადობის დონე საბოლოო ჯამში განისაზღვრება მოკვდაობის დონით).

დემოგრაფების ნაწილი მიიჩნევს, რომ IV ფაზის დასრულების შემდეგ მოსალოდნელია V ფაზის დადგომა. მის დროს შობადობის ძლიერი კლების შედეგად იწყება მოსახლეობის რაოდენობის შემცირება.

დემოგრაფთა ნაწილს კი მიაჩნია, რომ IV ფაზის დასრულების შემდეგ მოსალოდნელია თვისებრივად ახალი მოსახლეობის აღწარმოების ტიპი, რომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იქნება დეპოპულაცია.

უმრავლეს შემთხვევაში, როგორც მოსახლეობის აღწარმოების ერთი ტიპი მეორეთი არ იცვლება ერთბაშად და ტიპთაშორის პერიოდს აქვს ადგილი, ისე ფაზებს შორის არსებობს ***მოსახლეობის აღწარმოების ფაზათაშორისი პერიოდი.*** ის წარმოადგენს მოსახლეობის აღწარმოების რომელიმე ტიპის ფარგლებში ერთი ფაზის მეორეთი შეცვლისას არსებულ პერიოდს. გამოყოფენ ფაზიდან ფაზაზე გადასვლის ორ სახეს: ფარულს, ანუ დახურულს და მეორეს – აშკარას, ანუ ღიას. ამასთან, მოსახლეობის აღწარმოების ფაზათაშორისი პერიოდის დასადგენად მთელი რიგი კრიტერიუმებია მიჩნეული.

მოსახლეობის აღწარმოების უახლესი (დეპოპულაციური) ტიპი ეს ის ტიპია, რომელიც დადგება მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის შემდეგ. მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპისათვის დამახასიათებელია შობადობაზე მოკვდაობის მეტობა, რომელიც დეპოპულაციის სახით ჩამოყალიბდება.

ქართველ დემოგრაფთა შორის მოსახლეობის აღწარმოების უახლესი (დეპოპულაციური) ტიპის შესწავლაში აღსანიშნავია ავთანდილ სულაბერიძისა და ვლადიმერ სულაბერიძის წვლილი.

ზოგიერთი ავტორის მიერ დემოგრაფიულ ლიტერატურაში მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი მოსახლეობის აღწარმოების „ცივილიზებული ტიპი“.

პირველად 1979 წელს და საბოლოოდ, გარკვეული შესწორებებით, 1990 წელს ვაჟა გუჯაბიძის მიერ წარმოდგენილ იქნა დემოგრაფიული გადასვლის მოდიფიცირებული მოდელი.

იგი წარმოადგენს დემოგრაფიული გადასვლის კონცეფციის ერთ-ერთ ნაირსახეობას. სამ და ოთხ სტადიანი მოდელებისაგან განსხვავებით, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის კომპონენტების ცვალებადობას ის განიხილავს ხუთი საფეხურის სახით. დემოგრაფიული გადასვლის მოდიფიცირებული მოდელი ეხება მოსახლეობის აღწარმოების მხოლოდ თანამედროვე ტიპს.

პირველი სტადია შეესაბამება ინდუსტრიამდელი რევოლუციის პერიოდის საზოგადოების განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ დონეს, როდესაც შობადობისა და მოკვდაობის მაღალი დონის გამო მოსახლეობის ბუნებრივი მატება ძალიან დაბალი იყო. შემდგომში, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შედეგად, იწყება მოკვდაობის შემცირება (15‰-მდე), ხოლო შობადობის დონე კი კვლავ მაღალი რჩება, რასაც მოჰყვა მოსახლეობის ბუნებრივი მატების სწრაფი ზრდა (II სტადია). მესამე სტადიის დროს იწყება შობადობის დონის შემცირება, ხოლო მოკვდაობა სტაბილიზდება დაბალ დონეზე (5-10‰). მოსახლეობის ბუნებრივი მატება ამ სტადიაში ყველაზე მაღალია (25-30‰-ზე მეტი). მეოთხე სტადიას ახასიათებს შობადობის დონის სწრაფი კლება (14-15‰-მდე) და მოკვდაობის სტაბილური დონე (10‰ -მდე), რის შედეგადაც ბუნებრივი მატება მცირდება დაბალ დონემდე (5-10‰). საბოლოო, მეხუთე სტადიაში კი, შობადობა და მოკვდაობა სტაბილიზდება 15‰-ის დონემდე, რის შედეგადაც

მოსახლეობის ბუნებრივი მატება ხდება ყველაზე დაბალი. შობადობის დონის კლების შედეგად გარკვეული პერიოდის შემდეგ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა გაუარესდება, მოკვდაობა გაიზრდება და შეიძლება შობადობასაც გადააჭარბოს. ამიტომ მომავალში მოსალოდნელია მოსახლეობის ბუნებრივი მატების ნულოვანი დონე ან ძალიან უმნიშვნელო მატება (ან კლებაც კი).

ქვემოთ მოტანილ დიაგრამაზე (1.1.) წარმოდგენილია დემოგრაფიული გადასვლა ფაზების მიხედვით ისე, როგორც ის გამომდინარეობს სადღეისოდ არსებული დემოგრაფიული გადასვლის კლასიკური მოდელიდან.

დიაგრამა 1.1. დემოგრაფიული გადასვლა ფაზების მიხედვით მსოფლიოსა და მსოფლიოს რეგიონების მიხედვით და საქართველოში (1950-2050 წწ.)



—— შობადობა
– – მოკვდაობა
—— 13,4‰, მოსახლეობის ნულოვანი მატება სტაბილურ მოსახლეობაში

2005-2050 წწ. მოცემულია პროგნოზის საშუალო ვარიანტით

ნაკლებად განვითარებული რეგიონები



აფრიკა



აზია



საქართველო



ევროპა



ლათინური ამერიკა და კარიბები





როგორც მოტანილი დიაგრამიდან ჩანს, მსოფლიოს რეგიონები დემოგრაფიული გადასვლისა და ფაზების მიხედვით განსხვავდებიან რამდენიმე ნიშნით: გარკვეულ ფაზაში ყოფნით, ფაზების დადგომის პერიოდით და ფაზის ხანგრძლივობით.

გარდა ამისა მოტანილი დიაგრამიდან გამომდინარეობს, რომ ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს შემთხვევაში უდავოა მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის არსებობა, რომლის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს დეპოპულაცია წარმოადგენს.

1.6. შობადობის თეორიები

სადღეისოდ დემოგრაფია მიეკუთვნება სოციალურ მეცნიერებებს და ის შეიძლება განვიხილოთ როგორც ინტერდისციპლინარული მეცნიერება.

დემოგრაფია ძირითადად და ტრადიციულად შობადობასა და მოკვდაობაზე ფოკუსირდება. მათგან შობადობას უფრო მდიდარი და ამომწურავი თეორიული საფუძვლები გააჩნია.

შობადობის დონის ცვლილება დემოგრაფიისათვის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს. ამ მხრივ დემოგრაფიული გადასვლის თეორია გვთავაზობს პარადიგმულ სქემას, რომელიც ხსნის შობადობის მაღალი დონიდან დაბალზე გადასვლის ტენდენციებს.

არსებითი მნიშვნელობა აქვს შობადობის პროცესის განხილვას მაკრო და მიკრო დონეზე.

შობადობისა და შობადობის ცვლილების შესახებ სრული წარმოდგენისათვის აუცილებელია აღნიშნული ორივე დონის შესახებ დეტერმინანტების ცოდნა.

შობადობასთან დაკავშირებულ იდეებს მივყავართ კლასიკურ ანტიკურ ხანაში და უძველეს ჩინელ ფილოსოფოსებთან, თუმცა ისინი დღევანდელი ხედვით განზოგადების დაბალ დონედ შეიძლება ჩაითვალოს.

XVIII საუკუნეს დასასრულსა და XIX დასაწყისში თომას მალთუსის შრომებს დიდი დამსახურება მიუძღვის მოსახლეობის ცვლილების პრინციპების პირველი სისტემური მოცემის საკითხში.

თომას მალთუსის შეხედულებებს საფუძვლად უდევს იმ დროს პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებებში არსებული მოსაზრებები.

მისი ნაშრომი “მოსახლეობის კანონის გამოცდილება ...”, რომელიც 1798 წელს გამოიცა ძირითადად ყურადღებას აქცევდა მოსახლეობის გამრავლებისა და არსებობის საშუალებების ზრდის პრობლემას.

მალთუსი მოსახლეობის აღწარმოებაში ხაზს უსვამდა ბიოლოგიური ფაქტორების განმსაზღვრელ როლს და მიაჩნდა, რომ ბიოლოგიურ თავისებურებათა გამო მოსახლეობა იზრდება გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე არსებობის საშუალებანი. აქედან გამომდინარე, ხალხის სავალალო მდგომარეობის მიზეზად მიჩნეული იყო მისი უზომო გამრავლება. მოსახლეობის რაოდენობასა და წარმოების საშუალებათა რაოდენობას შორის თანაფარდობის რეგულირებისათვის, მალთუსის აზრით, აუცილებელია მოსახლეობის რაოდენობის შემცირება. იგი თვლიდა, რომ გადამეტმოსახლეობის არარსებობის შემთხვევაში აღმოიფხვრებოდა ის მთავარი მიზეზი, რომელიც იწვევდა დამპყრობლურ გეგმებს, ხოლო ქვეყნის შიგნით – ტირანიასა და აღშფოთებას. მალთუსი მოუწოდებდა ღარიბებს თავი შეეკავებინათ ქორწინებისაგან და აელაგმათ თავიანთი "გამრავლების ინსტიქტი". მალთუსი ხაზს უსვამდა თავისი კანონის აბსოლუტურობას და აღნიშნავდა, რომ მართებული არ იქნებოდა იმის დაშვება თითქოს მოსახლეობის მართვის კანონებმა განიცადეს რაიმე ცვალებადობა მას შემდეგ, რაც არსებობს ქვეყნიერება. მალთუსის მოსახლეობის თეორიაში დემოგრაფიული პროცესების ბიოლოგიური დეტერმინიზმიდან გამომდინარეობს სოციალური მოვლენების დემოგრაფიული დეტერმინიზმი. მალთუსის აზრით, სიღარიბის მთავარი მიზეზი არ არის დამოკიდებული მართვის წესსა და ქონების არათანაბარ განაწილებაზე. მალთუსის მოსახლეობის თეორიას ჰქონდა დისციპლინათაშორისი ხასიათი და მოიცავდა როგორც დემოგრაფიას, ისევე ფილოსოფიას, პოლიტეკონომიასა და პოლიტოლოგიას. მალთუსის შეხედულებებმა არსებითი გავლენა მოახდინა XIX-XX სს. საზოგადოებრივი მეცნიერებების განვითარებაზე.

დემოგრაფიული გადასვლის თეორიიის მიხედვით შობადობის ცვლილება ზემოთ იყო აღწერილი.

მოცემულ შემთხვევაში, მასთან დაკავშირებით, ცალკეულ მომენტებზე შევჩერდებით.

ენსლი კოულის აზრით დემოგრაფიული გადასვლის თეორია იმდენად არის კარგი, რამდენადაც ხსნის შობადობისა და მოკვდაობის ცვლილებებს და ეს ცვლილებები პროგნოზირებადია. მისი აზრით, სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ძნელია მოსახლეობის განსაზღვრა, რომელიც უკვე მზადაა შობადობის შესამცირებლად.

ენსლი კოულმა და მისმა კოლეგებმა პრინსტონის უნივერსიტეტიდან ჩაატარეს ფართომასშტაბიანი გამოკვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპაში შობადობის მოდერნიზაციისა და ტემპის განსაზღვრას. მათმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ შობადობის მოდერნიზაციასა და სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირი არ არის.

სადღეისოდ დემოგრაფიული გადასვლის თეორიაში პრობლემას წარმოადგენს ის, თუ რა დონემდე შეიძლება მოხდეს შობადობის შემცირება. ის, რომ შობადობისა და მოკვდაობის დონეები გათანაბრდება 13,4 ‰ ფარგლებში, როგორც ეს სტაბილური მოსახლეობის თეორიულ მოდელშია, უკვე ნათელია, რომ არ შეესაბამება რეალობას და ნათლად ჩანს ევროპის ქვეყნების მაგალითიდან გამომდინარე.

სწორედ აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ იყო, რომ გამოითქვა მოსაზრება მეორე დემოგრაფიული გადასვლის შესახებ.

მეორე დემოგრაფიული გადასვლა დემოგრაფიული განვითარების ეტაპია, რომელიც გულისხმობს შობადობის შემცირებას დაბალ დონემდე, დემოგრაფიულ დაბერებას, არასტაბილურ ქორწინებას, განქორწინებათა მატებას, თავისუფალ კავშირთა და ქორწინების გარეშე შობადობის ზრდას და ა.შ. მიიჩნევენ, რომ მეორე დემოგრაფიული გადასვლა ინდივიდუალური ავტონომიისა და ინდივიდუალური არჩევანის უფლების ზრდის შედეგია, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის გაფართოებასთან.

ბიოლოგია და უშუალოდ განმსაზღვრელი ფაქტორები. მაღალიდან დაბალ შობადობაზე გადასვლა ძირითადად იმ შეხედულებას ეფუძნება, რომ გადასვლის შემდგომ ეტაპზე ბავშთა შობა წარმოადგენს ცოლ-ქმრისა, ან ცალკეული პიროვნების ცნობიერი გადაწყვეტილებისა და შეზღუდვის შედეგს, მაშინ როდესაც გადასვლამდე არსებითი მნიშვნელობა აქვს ბიოლოგიურ პრინციპებს, შეუზღუდავ შობადობას.

ამასთან დაკავშირებით არსებითი მნიშვნელობა გააჩნია ბუნებრივი შობადობის ცნებას.

ეს ის შობადობაა, რომელიც არ იზღუდება ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებითა და ხელოვნური აბორტებით. ერთმანეთთან არ უნდა გავაიგივეოთ ბუნებრივი შობადობა და ნაყოფიერება, ვინაიდან ნაყოფიერება ბოლომდე არ რეალიზდება ბუნებრივ შობადობაში.

ნაყოფიერება წარმოადგენს ქალის, მამაკაცის ან საქორწინო წყვილის განაყოფიერებისა და ცოცხალი ბავშვების დაბადების ბიოლოგიურ უნარს. ნაყოფიერება ძირითადად დამოკიდებულია გენეტიკურ თავისებურებებზე, მეუღლეების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ქორწინებაში მეუღლეთა თვისებების შეთავსებაზე. ქალის ნაყოფიერება ხასიათდება ჩასახვის უნარით, ნაყოფის მუცლით ტარებით და ცოცხალი ბავშვის დაბადებით, ხოლო მამაკაცის ნაყოფიერება – განაყოფიერების უნარით. ამასთან, ცნობილია, რომ მეუღლეები, რომლებსაც ცალ-ცალკე გააჩნიათ ნორმალური ნაყოფიერება, რეგულარული სქესობრივი ურთიერთობისა და კონტრაცეპციის გამოუყენებლობის შემთხვევაშიც ვერ აღწევენ ჩასახვას, რაც მათი ბიოლოგიური შეუთავსებლობის შედეგია.

ინდივიდუალური ნაყოფიერება ფართო საზღვრებში ვარირებს, სრული უნაყოფობიდან 35 ცოცხლად დაბადებულ ბავშვამდე მთელი ცხოვრების მანძილზე (ერთნაყოფიანი მშობიარობისას). ადამიანის საშუალო სახეობრივი ნაყოფიერება შეადგენს 10-12 ცოცხლად დაბადებას მთელი ცხოვრების მანძილზე ან 12-15 ორსულობას (მკვდრადშობადობისა და მუცლის მოწყვეტის ჩათვლით).

დემოგრაფიულ გამოკვლევებში ნაყოფიერებას შეისწავლიან როგორც შობადობისა და რეპროდუქციული ქცევის ერთ-ერთ ფაქტორს.

ბუნებრივი შობადობის კონცეფცია გამოიყენება ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების ხარისხის გასაზომად, რომელიც განისაზღვრება ფარდობითი სხვაობით რეალურ შობადობასა და ბუნებრივ შობადობას შორის.

ბუნებრივი შობადობის განსაზღვრის ერთ-ერთი მეთოდი ეფუძნება შემდეგ დაშვებას: თანამედროვე მოსახლეობის შობადობის რეალურ დონეს უტოლებენ რომელიმე მოსახლეობის ჰიპოთეზური შობადობის დონეს, რომელიც არ იყენებს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს, ხელოვნურ აბორტებს, რომელსაც დაქვეითებული არა აქვს ნაყოფიერება და რომელშიც გავრცელებული არ არის უქორწინობა და გვიანდელი ქორწინება. ამ პრინციპზეა აგებული კოულის ინდექსი, რომელიც ეფუძნება შობადობის ჰიპოთეზურ მაქსიმუმს და ბორისოვის ინდექსი, რომელიც ეფუძნება ბუნებრივი შობადობის ჰიპოთეზურ მინიმუმს. კოულის შემთხვევაში ერთი ქალის მიერ ცოცხლად დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა შეადგენს 12,44 15-49 წლის ინტერვალისათვის, ხოლო ბორისოვის შემთხვევაში – 7,95 20-49 წლის ინტერვალისათვის.

ტერმინი "ბუნებრივი შობადობა" 1961 წელს შემოიღო ფრანგმა დემოგრაფმა ლუი ანრიმ.

1978 წელს ჯ. ბონგაარტსის მიერ შემოთავაზებულ იქნა შობადობის უშუალო ფაქტორების გავლენის მოდელი. ის წარმოადგენს განსხვავებას შობადობის პოტენციურად შესაძლებელ დონესა და შობადობის რეალურ დონეს შორის. ბონგაარტსის შეფასებით ნაყოფიერების ჯამობრივი კოეფიციენტი 15,3-ის ტოლია.

შობადობის ეკონომიკური თეორიები

ზოგიერთი მიდგომით ოჯახში ბავშვების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალური გადაწყვეტილებით, რომელიც განიხილება შემოსავლისა და ფასების ეკონომიკური კონტექსტის ფარგლებში.

გარი ბეკერმა (1960-1991) განავითარა სამომხმარებლო არჩევანის თეორია, რომელიც ცნობილია ჩიკაგოს სკოლის ახალი საშინაო ეკონომიკის სახელით.

აღნიშნული მიკრო-ეკონომიკური მიდგომა მოიცავს როგორც შემოსავლისა და ფასების ცვალებადობას, ისე ბავშვების ხარისხსა და ბიუჯეტის შეზღუდვას დროის განაწილებისა და ღირებულების გათვალისწინებით.

ნავარაუდევია, რომ შინამეურნეობები აწარმოებენ უამრავ სამომხმარებლო საქონელს, მათ შორის ბავშვებს.

ეს მოდელი აკავშირებს ბავშვთა შობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს შინამეურნეობების სხვა გადაწყვეტილებებთან.

ბავშვთა ხარისხის ცნება ცენტრალურია ბეკერის თეორიაში და გამოიყენება შემოსავლისა და ბავშვების რაოდენობის შორის კავშირის ასახსნელად. ბავშვთა ხარისხი, ბეკერის აზრით, ელასტიურია, თუ მხედველობაში მივიღებთ შემოსავალს, მაშინ როდესაც აღნიშნული არ ეხება ბავშვების რაოდენობას. ეს გულისხმობს იმას, რომ ბავშვების სასურველი რაოდენობა შეიძლება შემცირდეს შემოსავლის ზრდასთან ერთად, რადგან თითოეულ ბავშვზე დანახარჯები შეიძლება გაიზარდოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა ხარისხის ელასტიურობის მიუხედავად, ოჯახში დაბადებული ყველა ბავშვი ერთი და იგივე ხარისხის მქონეა.

ეს ვარაუდი უარყოფილია ემპირიულად მიღებული მრავალი მონაცემით.

სამომხმარებლო არჩევანის თეორიის ახალი ეკონომიკური ვერსია დამუშავებულ იქნა რიჩარდ ესტერლინის მიერ (1975-1985).

მოცემული მოდელიდან გამომდინარეობს, რომ შობადობის ყველა განმსაზღვრელი ფაქტორი – ჯანმრთელობა, განათლება, ურბანიზაცია და ა.შ. – დამოკიდებულია ოჯახში ბავშვების ყოლაზე, შემოსავალზე, ფასებზე, ბავშვთა დახმარებაზე. მოტივაცია ბავშვთა შობის შესაზღუდად მხოლოდ მაშინ გამოვლინდება, თუ ბავშვების დაკმაყოფილება გადააჭარბებს მათზე მოთხოვნილებას და, რაც უფრო დიდია ბავშვების დაკმაყოფილება, მოთხოვნილებასთან შედარებით, მით უფრო მაღალია ბავშვთა შობის შეზღუდვის მოტივაცია.

ესტერლინს მიაჩნია, რომ პიროვნების სასურველი ცხოვრების სტილი ყალიბდება მშობლების ოჯახში ახალგაზრდობაში შეძენილი გამოცდილების საფუძველზე.

შობადობის ეკონომიკური თეორიები გამდიდრებულ იქნა ***ფსიქოლოგიური მიდგომით.*** მათ შორის აღსანიშნავია ბავშვთა შეფასების მიდგომა და ფსიქოლოგიური შეფასებითი ალბათობის მოდელის გამოყენება.

ბავშვთა შეფასების მიდგომა ეფუძნება მასლოუს შეხედულებებს. მის საფუძველზე ჰოფმანმა აჩვენა, რომ ბავშვთა ყოლის მოტივაცია დამოკიდებულია ბავშვების მიმართ ეკონომიკურ და არაეკონომიკურ დანახარჯებზე. ბავშვების შეფასება, მოცემულ სქემაში, გამოვლინდა როგორც შუალედური ცვლადი სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, სქესობრივ ასპექტებსა და რეპროდუქციულ ქცევას შორის კავშირის ახსნისას. მოცემული მიდგომის ემპირიული მასალა მოპოვებულ იქნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე 1970-იანი წლების ბოლოსა და 1980-იანი წლების დასაწყისში.

შეფასებითი ალბათობის მოდელი დემოგრაფიაში წარმოადგენდა მცდელობას დაეკავშირებინა ერთმანეთთან შობადობა, კონტრაცეპტივების გამოყენება და ქალთა შრომის ბაზარზე მონაწილეობა.

მოცემულ მოდელში არსებითია ის მდგომარეობა, რომ რეპროდუქციული ქცევის სარწმუნო მაჩვენებელი განისაზღვრება განზრახვით. ამასთან, მოცემული მოდელი ითვალისწინებს სოციალური გარემოს გავლენას შობადობაზე.

შეფასებითი ალბათობის მოდელში მიკრო-ეკონომიკურ თეორიასთან კავშირი განიხილება პიროვნების ინდივიდუალური რეპროდუქციული ქცევის ჩამოყალიბებასთან მიმართებაში.

ტექნოლოგიებისა და შეხედულებების დიფუზიური მოდელები.

წლების განმავლობაში დემოგრაფიული გადასვლის თეორია შეივსო დამატებითი შეხედულებებით. მათ შორის იყო მრავალი მცდელობა ეკონომიკური კუთხით მიდგომისა, რომლებიც ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა. კულტუროლოგიური მიდგომები უფრო მეტად იმედის მომცემი აღმოჩნდა. მათ კვალდაკვალ დემოგრაფიის თეორიაში შევიდა დიფუზიის კონცეფციები. მოცემულ მოდელში დიფუზია აიხსნება როგორც პროცესი, სადაც ახალი სოციალური ნორმები ვრცელდება ერთი ადგილიდან, სოციალური ჯგუფიდან ან პიროვნებიდან მეორეში. ახალი შეხედულებების, ან ტექნოლოგიების გავრცელებას მოსდევს ცხოვრების წესის გარკვეული მოდიფიკაცია. განსხვავება შობადობაში შეიძლება გამოწვეული იყოს ეთნიკურობით. შობადობის ცვალებადობა შეიძლება დამოკიდებული იყოს კომუნიკაციური არხების გავრცელებასთან და მიგრაციასთან. ტაილანდის მაგალითზე ისიც კი იყო ნაჩვენები, რომ კონტრაცეპციის მეთოდების გამოყენება სოფლის მოსახლეობაში დამოკიდებულია სასაუბრო ენაზე.

კულტუროლოგიური, სტრუქტურული და სოციალური ორგანიზაციის მიდგომები.

შობადობის ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და უშუალო დეტერმინანტების მიდგომებისაგან განსხვავებით მათ არა აქვთ კონცეფციის, ან თეორიის სისტემის ჩამოყალიბებული სახე. მათთვის ძირითადი დამახასიათებელია ის, რომ ისინი ფოკუსირდებიან საზოგადოების, კულტურის ან სოციალური ორგანიზაციის სტრუქტურულ დონეზე. ისინი შეიცავენ ასპექტებს სოციოლოგიიდან ან ანთროპოლოგიიდან და მთლიანობაში შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც დემოგრაფიული გადასვლის თეორიის გამდიდრება ან მოდიფიკაცია.

მოცემულ მიდგომებში განიხილება ისეთი საკითხები, როგორიცაა ჰომეოსტატურობა, წარმოების სახეები, კეინის რისკისა და დაზღვევის ინსტიტუციონალური მიდგომა, კოლდუელის კეთილდღეობის თეორია, ოჯახზე ორიენტირებული ანალიზი, მეორე დემოგრაფიული გადასვლა და სხვა შობადობასთან მიმართებაში.

კონცეფციათა ნაწილი შობადობას უკავშირებს ბავშვების სარგებლიანობას. ***შობადობის სარგებლიანობის კონცეფციების*** ძირითადი არსი შემდგომში მდგომარეობს: ბავშვების მაღალ სარგებლიანობას მაღალი შობადობა მოჰყვება, ხოლო დაბალ სარგებლიანობას – დაბალი შობადობა. აქ ძირითადად მხედველობაში აქვთ ბავშვების ეკონომიკური და სოციალური სარგებლიანობა.

შობადობის სარგებლიანობის კონცეფციების მიხედვით წარსულში მაღალი შობადობა გამოწვეული იყო ბავშვების ეკონომიკური და სოციალური სარგებლიანობით. ბავშვები წარმოადგენდნენ ოჯახის კეთილდღეობის საფუძველს. შობადობის სარგებლიანობის კონცეფციების თანახმად, თანამედროვე პერიოდში ბავშვებმა დაკარგეს წინანდებური ეკონომიკური და სოციალური სარგებლიანობა, რასაც მოჰყვა შობადობის შემცირება.

ერთ-ერთ ცენტრალურ ცნებას შობადობის თეორიაში წარმოადგენს ***ბავშვთაცენტრიზმი***. ის შეიძლება განვსაზღვროთ როგორც მშობლების დამოკიდებულება ბავშვებისადმი თანამედროვე ოჯახში, რომელიც გულისხმობს მშობლების პასუხისმგებლობას ბავშვების კეთილდღეობისადმი. ძველი ოჯახის ცენტრში იმყოფებოდა მამის ავტორიტეტი. თანამედროვე ოჯახის ცხოვრება დამოკიდებულია ბავშვებსა და მათ მომავალზე. ამასთან, ბავშვთაცენტრიზმი

შედარებით ახალი მოვლენაა, რომელიც უცხოა წარსული ეპოქის ოჯახებისათვის. ბავშვთაცენტრიზმის განვითარების შედეგად წინა პლანზე გამოდის მშობლების პასუხისმგებლობა შვილებისადმი, მათი სიცოცხლისადმი, ჯანმრთელობისადმი, განათლებისადმი, მომავლისადმი და სხვა. ბავშვთაცენტრიზმს გააჩნია დემოგრაფიული შედეგები. დემოგრაფების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ბავშვთაცენტრიზმი იწვევს ბავშვთა შობის ინტენსივობის შემცირებას.

ისტორიული ტიპების შობადობის კონცეფცია წარმოადგენს დემოგრაფიული გადასვლის კლასიკურ მოდელს. სადღეისოდ დემოგრაფიული გადასვლის თეორია პრაქტიკულად წარმოდგენილია აღნიშნული კონცეფციის საფუძველზე და ძირითადად ასეთად განიხილება მოცემულ სახელმძღვანელოში. მოსახლეობის აღწარმოების ტიპებისა და მისი პერიოდიზაციის შესაბამისად გამოყოფს შობადობის სამ ისტორიულ ტიპს – I – არქიტიპს, II – ტრადიციულ ტიპს და III – თანამედროვე ტიპს, რომლებიც იმავე დროით საზღვრებში იყო გაბატონებული, როგორც მოსახლეობის აღწარმოების შესატყვისი ტიპები.

ისტორიული ტიპების შობადობის კონცეფციის თანახმად, შობადობის ერთი ტიპი განსხვავდება მეორისაგან არა იმდენად შესაბამისი ქცევის რაოდენობრივი მიზნებით, რამდენადაც უპირველეს ყოვლისა ამ ქცევის მართვის მეთოდებით, მოტივაციის ხასიათით, დემოგრაფიული ურთიერთობების მთელი წყობილებით.

ისტორიული ტიპების შობადობის კონცეფციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ მდგომარეობას, რომ ტრადიციული ტიპის შობადობისას აუცილებელი არ იყო მოთხოვნილების გააზრება და სუბიექტის მიერ მოქმედებასა და შედეგს შორის კავშირის გაცნობიერება. შობადობის ტრადიციული ტიპისათვის უპირველეს ყოვლისა დამახასიათებელი იყო ბავშვთა შობის წარმართვისა და მშობლებისათვის მის სარგებლობას შორის კავშირის არარსებობა.

თვითონ არჩევის იდეა და თავისი ქცევიდან გამომდინარე, შედეგებს შორის კავშირურთიერთობა აბსოლუტურად უცხო იყო ტრადიციული საზოგადოების ადამიანისათვის (ბავშვთა შობის საკითხში). ის აზრი, რომ საკუთარი სურვილის მიხედვით შეიძლება მეტი ან ნაკლები ბავშვების გაჩენა, საერთოდ წარმოუდგენელია თანამედროვე საზოგადოებამდე (მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპამდე) არსებული ადამიანისათვის.

ისტორიული ტიპების შობადობის კონცეფციის თანახმად, შობადობის თანამედროვე ტიპამდე ადგილი არ ჰქონდა ბავშვთა შობის შიგაოჯახურ რეგულირებას როგორც მასობრივ მოვლენას. შობადობის თანამედროვე ტიპიდან მოყოლებული ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება ღებულობს მასობრივ ხასიათს.

ისტორიული ტიპების შობადობის კონცეფციის მიხედვით, თანამედროვე ტიპამდე, ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების არარსებობა და შესაბამისად მაღალი შობადობა ძირითადად გარკვეულ, დაცვით რეაქციას წარმოადგენდა იმ დროს არსებული მაღალი მოკვდაობის წინააღმდეგ. მოკვდაობის შემცირებას მოჰყვა დემოგრაფიულ ურთიერთობათა ცვლილება, ბავშვთა შობის საკითხისადმი მშობლების ცნობიერი დამოკიდებულება და ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების გავრცელება.

მოცემული კონცეფცია შემუშავებულ იქნა ა. ვიშნევსკის მიერ ძირითადად 1972-1982 წწ.

დევის-ბლეიკის შობადობის კონცეფცია წარმოადგენს დემოგრაფიული გადასვლის თეორიის ნაირსახეობას. იგი უარყოფს ჰომეოსტატური რეგულირების იდეას და ეფუძნება მოკვდაობის დინამიკისაგან შობადობის ევოლუციის ფარდობითი დამოუკიდებლობის წანამძღვარს.

ამ კონცეფციაში მოსახლეობის აღწარმოების ორივე კომპონენტი განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, მაგრამ ამ დეტერმინაციის მექანიზმები განსხვავებულია შობადობისა და მოკვდაობის შემთხვევაში.

დევის–ბლეიკის შობადობის კონცეფციის მიხედვით აგრარული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაცია განაპირობებს მრავალშვილიანობის სუბიექტურ რაციონალობას, მათ შორის მის ეკონომიკურ სარგებლობას. აქედან გამომდინარეობს, რომ შობადობის ტიპის შეცვლა დამოკიდებულია არა იმდენად მოკვდაობის შემცირებაზე, რამდენადაც ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებზე, რომლებიც აყალიბებენ საზოგადოებრივი წარმოების ინდუსტრიული ტიპის ორგანიზაციას.

მოცემული კონცეფცია შემოთავაზებულ იქნა ამერიკელი დემოგრაფების კ. დევიდისა და ჯ. ბლეიკის მიერ 1949-1956 წწ. ნაშრომებში.

კოლდუელის შობადობის კონცეფცია წარმოადგენს დემოგრაფიული გადასვლის თეორიის ნაირსახეობას. ამ კონცეფციის თანახმად, მიღებული გადაწყვეტილებების იდენტურობისა და სოციალურად განსაზღვრული მიზნების ბუნებიდან გამომდინარე, შობადობას ყოველ საზოგადოებაში აქვს რაციონალური ხასიათი. შემგროვებელთა, მონადირეთა და მომთაბარე მესაქონლეთა "პრიმიტიული" საზოგადოება და ტრადიციული საზოგადოება ახალისებს მაღალ შობადობას. ამისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს "სიმდიდრის ნაკადს" (ეკონომიკური სარგებლობა, რომელიც მიიღება სიცოცხლის მანძილზე პროდუქტების, ფულის, შრომის, მომსახურების, დაცვის, გარანტიების, სოციალური და პოლიტიკური მხარდაჭერის სახით). ეს "სიმდიდრის ნაკადი" შეიძლება მიმართული იყოს უმცროსი თაობიდან უფროსზე ან პირიქით. რეპროდუქციული ქცევის ტიპისათვის მნიშვნელოვანია ამ "ნაკადის" მიმართულება. როდესაც "ნაკადი" მიემართება ზევით, ე.ი. უფროსი თაობისაკენ, მაშინ არსებობს დაინტერესება მრავალრიცხოვან შთამომავლობაში და მიმდინარეობს შესაბამისი რეპროდუქციული ქცევა, რომელიც განსაზღვრავს შობადობის მაღალ დონეს. როდესაც "ნაკადი" მიემართება ქვემოთ, ე.ი. უმცროსი თაობისაკენ, მაშინ დაინტერესებას მრავალრიცხოვან თაობაში ადგილი არა აქვს, რასაც მოჰყვება შესაბამისი რეპროდუქციული ქცევა, რომელიც განსაზღვრავს შობადობის დაბალ დონეს. "პრიმიტიულ" და ტრადიციულ საზოგადოებაში "სიმდიდრის ნაკადი" მიემართება ქვემოდან ზემოთ, ხოლო ინდუსტრიულში – მშობლებიდან შვილებისაკენ, რაც იწვევს მათ შორის რეპროდუქციული ქცევის განსხვავებას.

კოლდუელის შობადობის კონცეფცია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს აგრეთვე ოჯახის ეკონომიკურ სტრუქტურას და საზოგადოების "კულტურულ სუბსტრუქტურას". კოლდუელის შობადობის კონცეფციის მიხედვით რეპროდუქციული ქცევის ტიპის ცვლილებისათვის მნიშვნელობა აქვს ოჯახური წარმოების წესიდან კაპიტალისტურზე გადასვლასა და ბოლოს, კოლდუელის შობადობის კონცეფცია მიხედვით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს "კულტურული სუბსტრუქტურა", რომლის ცვლილებას მოჰყვება რეპროდუქციული ქცევის ახალი ნიმუშების მიღება. ამ ურთიერთქმედებაში გადამცემ რგოლს წარმოადგენს თაობათაშორისი "სიმდიდრის ნაკადი".

მოცემული კონცეფცია შემოთავაზებულ იქნა ავსტრალიელი დემოგრაფისა და სოციოლოგის ჯ. კოლდუელის მიერ 1976-1981 წწ. ნაშრომებში.

შობადობის განწყობისეული კონცეფცია განიხილავს რეპროდუქციულ ქცევასა და მის ევოლუციას ქართული ფსიქოლოგიური სკოლის განწყობის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით გამოჰყოფენ ფსიქიკური აქტივობის სამ დონეს, რომელიც განსაზღვრავს რეპროდუქციული ქცევის მიმდინარეობას და შობადობას.

პირველი დონის რეპროდუქციული განწყობისა და შესაბამისი რეპროდუქციული ქცევის ფორმირება წარმოადგენს ინდივიდის შინაგანი არაცნობიერი აქტივობის შედეგს. ასეთ შემთხვევაში ბავშვთა შობა განისაზღვრება ნაყოფიერებით და გამოიხატება ბუნებრივი შობადობით. რეპროდუქციული ქცევა მიმდინარეობს იმპულსურ დონეზე, ცნობიერების მონაწილეობის გარეშე და

ადგილი არა აქვს ბავშვთა შობის შიგაოჯახურ რეგულირებას. ასეთი მდომარეობა არსებობდა უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე, მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპამდე.

ფსიქიკური აქტივობის მეორე დონე აღმოცენდება ობიექტივაციის საფუძველზე. ობიექტივაცია* ადამიანისათვის მისაღები ბავშვების რაოდენობის არჩევის საშუალებას იძლევა, რასაც მანამდე არ ჰქონდა ადგილი.

ეს თეორიული შედეგი შემდგომში ნებელობის** დახმარებით ღებულობს პრაქტიკულ რეალიზაციას. ნებელობა წარმოადგენს მესამე, უმაღლესი დონის – სოციალურის ძირითად ნიშანს და მის საფუძველზე მიიღწევა ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება, რომელიც დამახასიათებელია მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპისათვის.

შობადობის განწყობისეული კონცეფცია შობადობის ევოლუციისა და რეპროდუქციული ქცევის ერთი დონიდან მეორეზე გადასვლას უკავშირებს მოკვდაობის დინამიკასა და მის ცვალებადობას. შობადობის განწყობისეული კონცეფცია წარმოადგენს დემოგრაფიული გადასვლის თეორიის ნაირსახეობას.

მოცემული კონცეფცია შემოთავაზებულ იქნა გ. წულაძის მიერ 1984-1990 წლების ნაშრომებში.

რეპროდუქციული ქცევის დისპოზიციური რეგულაციის კონცეფცია ეფუძნება ვ. იადოვის პიროვნების სოციალური ქცევის დისპოზიციურ რეგულაციას.

ვ. იადოვი დისპოზიციური რეგულაციისათვის იყენებს დ. უზნაძის განწყობის თეორიისათვის დამახასიათებელ ზოგად სქემას იმ განსხვავებით, რომ განწყობის ადგილი დისპოზიციას უკავია.

ამის გამო შობადობის განწყობისეულ კონცეფციასა და რეპროდუქციული ქცევის დისპოზიციური რეგულაციის კონცეფციას შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს. შობადობის განწყობისეული კონცეფციის შემთხვევაში რეპროდუქციული ქცევა შესაბამისი განწყობის რეალიზაციას წარმოადგენს, რომელიც "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების", შესაბამისი სიტუაციისა და ოპერაციული შესაძლებლობების საფუძველზე აღმოცენდება. რეპროდუქციული ქცევის დისპოზიციური რეგულაციის კონცეფციის მიხედვით დისპოზიციის სისტემა ქცევის რეგულაციის ძირითად ფსიქოლოგიურ მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც ბავშვების ყოლის მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციით განისაზღვრება.

---

* **ობიექტივაცია** წარმოადგენს მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელ აქტივობას. "ობიექტივაცია" არის ქცევის შეფერხების შედეგად ადამიანის აქტივობის შეჩერება, რათა აზროვნებისა და ნებელობის დახმარებით გამოინახოს სიტუაციისათვის ადეკვატური ქცევა. ობიექტივაციის ცნება დემოგრაფიაში გამოიყენება რეპროდუქციული ქცევის თავისებურებათა ასახსნელად. ობიექტივაციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ადამიანი რეპროდუქციული განწყობის წარმოშობის დროს თეორიული მსჯელობის საგნად გახდის ბავშვებს. ადამიანის წინაშე წარმოიქმნება გადასაჭრელი საკითხი – ბავშვების რა რაოდენობა იყოლიოს მან. ის ასეთ შემთხვევაში დროებით "შეჩერდება", გაიაზრებს შექმნილ ვითარებას და მსჯელობის სპეციალურ ობიექტად აქცევს მას. ადამიანს ასეთ დროს ექმნება ობიექტივირებული წარმოდგენა. ობიექტივაციის შემდეგ ადამიანი უკვე განსაზღვრავს ბავშვების თავისთვის მისაღებ რაოდენობას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ობიექტივაციის შემდეგ ადამიანი ბავშვების შესაძლებელი, "განუსაზღვრელი" რაოდენობიდან ირჩევს ბავშვების გარკვეულ რაოდენობას, რომელიც მან უნდა იყოლიოს, ე.ი. ობიექტივაცია შერჩევითობის, ანუ არჩევანის შესაძლებლობას იძლევა, რასაც მანამდე არა აქვს ადგილი.

ობიექტივაცია შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დემოგრაფიული ქცევის სხვა სახეობათა შესწავლის შემთხვევაშიც.

** **ნებელობა** – ადამიანის უნარი წარმართოს თავისი ქცევა და საქმიანობა პიროვნულად მისაღები სოციალურ ფასეულობათა სისტემის მიხედვით. ტერმინი ნებელობა დემოგრაფიაში ძირითადად გამოიყენება რეპროდუქციულ ქცევასთან დაკავშირებით.

სადღეისოდ დისპოზიციური მექანიზმის მოქმედების საკითხი სოციალურ ფსიქოლოგიაში სათანადოდ არ არის დამუშავებული. ამ მხრივ განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის გამოყენებას რეპროდუქციული ქცევის ასახსნელად მეტი უპირატესობა გააჩნია.

ორივე კონცეფციის მიხედვით შობადობის ცვლილება ძირითადად გამოწვეულია ბავშვების ყოლის მოთხოვნილების ცვალებადობით (შობადობის კლება – ბავშვების ყოლის მოთხოვნილების შემცირებით).

არის განსხვავებებიც. რეპროდუქციული ქცევის დისპოზიციური რეგულაციის კონცეფციის მიხედვით შობადობა ყოველთვის სოციალურად განსაზღვრული იყო და არასოდეს არ ჰქონდა ადგილი "სტიქიურობას" (შორეულ წარსულშიც კი). შობადობის განწყობისეული კონცეფციის თანახმად გარკვეულ პერიოდში ბავშვთა შობა თავისუფალი იყო ყოველგვარი სოციალურისაგან და იმპულსურად მიმდინარეობდა.

რეპროდუქციული ქცევის დისპოზიციური რეგულაციის კონცეფცია ადამიანის ცნობიერებას ზოგადად ე.წ. "დემოგრაფიულ ცნობიერებას" უკავშირებს, მაშინ როდესაც შობადობის განწყობისეული კონცეფციის მიხედვით ადამიანს "ცნობიერება" სავსებით შეიძლება ჰქონდეს ჩამოყალიბებული, მაგრამ ბავშვთა შობას არაცნობიერად მიმართავდეს.

რეპროდუქციული ქცევის დისპოზიციური რეგულაციის კონცეფცია შემოთავაზებულ იქნა ა. ანტონოვის მიერ 1980 წელს.

ზემოთ მოტანილი შობადობის ასახსნელად მოცემული კონცეფციები, თუ მიდგომები ცალ-ცალკე არ იძლევიან სრულ სურათს, მაგრამ მათ, მთლიანობაში, შეაქვთ თავისი წვლილი რეპროდუქციული ქცევისა და შობადობის პროცესის შესწავლისა და გაგების საკითხში.

1.7. ეპიდემიოლოგიური და ჯანმრთელობის გადასვლის თეორია

ეპიდემიოლოგიური გადასვლის თეორია შემოთავაზებულ იქნა 1971 წელს ამერიკელი (აშშ) მეცნიერის აბდელ რ. ომრანის მიერ. ეპიდემიოლოგიის ეტიმოლოგიიდან თუ გამოვალთ, ბერძნულად epi ნიშნავს ზე (თან, შემდეგ), demos – ხალხი და logos – სიტყვა, მოძღვრება.

ომრანის განმარტებით, ეპიდემიოლოგია წარმოადგენს იმის გამოკვლევას, რაც "შეეხება" ადამიანთა ჯგუფებს. ხოლო უფრო კონკრეტულად, ეპიდემიოლოგია შეისწავლის ავადობისა და მოკვდაობის განაწილებას, აგრეთვე ამ მოვლენათა დეტერმინანტებსა და შედეგებს მოსახლეობის ჯგუფებში.

ეპიდემიოლოგიური გადასვლის კონცეფცია მოწოდებულია ახსნას ავადობისა და მოკვდაობის მიზეზების მიხედვით განაწილების ისტორიული პროცესის ცვალებადობის მიზეზები და კანონზომიერებები.

ეპიდემიოლოგიური გადასვლის დეტერმინანტების, ხასიათისა და ტემპებიდან გამომდინარე, გამოყოფილ იქნა ეპიდემიოლოგიური გადასვლის სამი მოდელი: კლასიკური, ანუ დასავლეთის (აგებული ინგლისის, უელსის და შვედეთის მაგალითზე), აჩქარებული გადასვლის (აგებულია იაპონიის მაგალითზე) და თანამედროვე, ანუ შენელებული მოდელი (აგებული ჩილესა და შრი ლანკას მაგალითზე, დამახასიათებელი განვითარებადი ქვეყნებისათვის).

ეპიდემიოლოგიური გადასვლის კონცეფცია ეფუძნება რამდენიმე წანამძღვარს.

პირველი წანამძღვარი. მოკვდაობა და მოსახლეობის დინამიკა.

ეპიდემიოლოგიური გადასვლის კონცეფციის ძირითადი წანამძღვარი ის არის, რომ მოკვდაობა წარმოადგენს მოსახლეობის დინამიკის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს.

შობადობის მაქსიმუმი შეზღუდულია ბიოლოგიური ჩარჩოებით. თანამედროვე საზოგადოებამდე (ტრადიციულ საზოგადოებაში), ბავშვთა შობის შიგაოჯახური

რეგულირების არარსებობის პირობებში, შობადობის მაქსიმალური დიაპაზონი ძირითადად შეადგენდა 30-50 დაბადებას მოსახლეობის 1000 სულზე.

მოკვდაობის დიაპაზონი კი გაცილებით ფართო იყო და მოკვდაობის კოეფიციენტის მყარი ზედა ზღვარი პრაქტიკულად არ არსებობდა. 30 გარდაცვალება მოსახლეობის 1000 სულზე უნდა მივიჩნიოთ სანდოდ მისი ქვედა ზღვარის განსაზღვრისას. მოკვდაობის ზედა ზღვარი, თანამედროვე საზოგადოებამდე, შეიძლება ყოფილიყო გაცილებით მეტი აღნიშნულ სიდიდეზე, ეპიდემიებისა და შიმშილობის წლებში.

თანამედროვე საზოგადოებამდე მოკვდაობის დონე მაღალი რჩებოდა ე.წ. ხელსაყრელ წლებშიც.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას იყო ძალიან მოკლე. მაგალითად, ძველ საბერძნეთში 18 წელი, რომში – 22, შუა საუკუნეების ბრიტანეთში – 17-35, ჟენევაში XVI-XVII საუკუნეებში – შესაბამისად 22 და 26 წელი.

ასეთი დაბალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობისას მოსახლეობაში ტიპური იყო ახალგაზრდა ასაკის პირების სიჭარბე.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შობადობა აღწევდა ბიოლოგიურ მაქსიმუმს, არაიშვიათად დეპოპულაციას მაინც ჰქონდა ადგილი ეპიდემიების, ომებისა და შიმშილობების გამო, რომლებიც იწვევდნენ ძალიან მაღალ მოკვდაობას.

აქედან გამომდინარე, მოსახლეობის მატებას ციკლური ხასიათი ჰქონდა და მოსახლეობის მატებისათვის ხანგრძლივი დრო იყო საჭირო.

ამდენად, თანამედროვე საზოგადოებამდე ცვალებადი, მაგრამ ყოველთვის მაღალი მოკვდაობის დონე წარმოადგენდა გადამწყვეტ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავდა მოსახლეობის მატების დაბალ ტემპებს.

XVII საუკუნის შუა პერიოდიდან მოსახლეობის მატება დედამიწაზე "კარგავს" ციკლურ ხასიათს და გარდაიქმნება ექსპონენციალურ მრუდად.

მიუხედავად ამისა, დასავლეთის სამრეწველო რევოლუციამდე, მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაში, მოკვდაობა ინარჩუნებდა წამყვან როლს.

XIX საუკუნემდე, დასავლეთ ევროპაში, როგორც შობადობა, ისე მოკვდაობა, მერყეობდა ფართო საზღვრებში და იმყოფებოდა მაღალ დონეზე, თუმცა *მოკვდაობის ცვალებადობის დიაპაზონი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე შობადობის მერყეობის დიაპაზონი.*

მოსახლეობის განუხრელი ზრდის საწყისი პერიოდი, თითქმის ყველა ქვეყანაში, ხასიათდებოდა მოკვდაობის კოეფიციენტის მაჩვენებლებში ორი მნიშვნელოვანი ცვლილებით მაინც. კერძოდ, რყევები გახშირდა და გახდა ნაკლებად მკვეთრი, ხოლო დასაწყისში მოკვდაობის ნელი და ზოგჯერ ძნელად შესამჩნევი შემცირება თანდათან დაჩქარდა და შემდეგ უკვე XX საუკუნეში განიცადა სტაბილიზაცია შედარებით დაბალ დონეზე.

ამასთან, მოსახლეობის რაოდენობის მუდმივ მატებას დედამიწაზე თან ახლდა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის განუხრელი ზრდა.

მეორე წანამძღვარი. ცვლილებები მოკვდაობისა და ავადობის მაჩვენებლებში.

ეპიდემიოლოგიური გადასვლის პერიოდში, მოკვდაობისა და ავადობის მაჩვენებლებში წარმოებს ხანგრძლივი ძვრა, რის შედეგადაც ავადობისა და მოკვდაობის ისეთი ძირითადი მიზეზები, როგორიც არის ინფექციურ დაავადებათა პანდემიები თანდათან ადგილს უთმობენ დეგენერაციულ (სისხლის მიმოქცევის სისტემის, ახალწარმონაქმნები, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის და სხვა) და პროფესიულ დაავადებებს.

ეპიდემიოლოგიურ გადასვლას, მოკვდაობის მაჩვენებლების მიხედვით, ჩვეულებრივ ჰყოფენ სამ მთავარ, თანმიმდევრულ პერიოდად (სტადიად).

1. *ავადობისა და შიმშილობის სტადია.* ხასიათდება მოკვდაობისა და მოკვდაობის მერყეობის მაღალი დონით, რის შედეგადაც მოსახლეობის

განუხრელი ზრდა შეუძლებელია. ამ პერიოდში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას დაბალ დონეზეა და მერყეობს 20 და 40 წელს შორის.

2. *პანდემიების კლების სტადია.* ხასიათდება მოკვდაობის თანდათანობითი კლებით. ამასთან, მოკვდაობის შემცირების ტემპი თანდათან ჩქარდება, იქიდან გამომდინარე, რომ ეპიდემიების პიკები ნაკლებად ხშირი ხდება, ან საერთოდ ქრება. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას მატულობს 30-დან 50 წლამდე. მოსახლეობა განუხრელად მატულობს.

3. *დეგენერაციული და პროფესიული დაავადებების სტადია.* ხასიათდება მოკვდაობის შემდგომი შემცირებით, რომელიც სტაბილიზდება შედარებით დაბალ დონეზე. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას თანდათან იზრდება, ვიდრე არ გადააჭარბებს 50 წლის ასაკს. სწორედ ამ სტადიისას შობადობა ხდება მოსახლეობის მატების გადამწყვეტი ფაქტორი.

ავადობისა და შიმშილობის სტადია წარმოადგენს ჯანმრთელობისა და დაავადებათა იმ მაჩვენებლების გაგრძელებას, რომლებიც დამახასიათებელი იყო თანამედროვე საზოგადოებამდე (ტრადიციული საზოგადოებისათვის). ამ პერიოდში მოკვდაობის ძირითად დეტერმინანტებად გვევლინება ეპიდემიები, შიმშილი, ომები. მაგალითად, ჯ.გრაუნტის გამოკვლევებიდან გამომდინარეობს, რომ XVII საუკუნის შუა პერიოდში, ლონდონში, გარდაცვლილთა 3/4 მოდიოდა ინფექციურ დაავადებებზე, შიმშილობასა და გინეკოლოგიური სახის გართულებებზე, ხოლო გულ-სისხლძარღვთა დაავადებებსა და კიბოზე მოდიოდა გარდაცვლილთა 6%-ზე ნაკლები. მოყვანილი რიცხვები საკმაოდ მიახლოებითია, მაგრამ ისინი მაინც კარგად უჩვენებენ იმ დროის მოკვდაობის სტრუქტურას.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად შეინიშნება ინფექციურ დაავადებათა თანდათანობითი შემცირება და იმავდროულად დეგენერაციულ დაავადებათა მატება.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ინფექციურ დაავადებათა შემცირებისა და დეგენერაციულ დაავადებათა მატების ტენდენცია უფრო მკაფიო ხასიათს ღებულობს, ხოლო 1945 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა მოკვდაობა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისაგან.

იაპონიაში, სადაც ეპიდემიოლოგიური გადასვლა დაჩქარებულად მიმდინარეობდა, ცვლილება ინფექციური დაავადებებიდან დეგენერაციულ დაავადებებზე უფრო მკაფიოდ იყო გამოხატული და მხოლოდ რამდენიმე ათწლეული დასჭირდა კლასიკური ეპიდემიოლოგიური გადასვლის ქვეყნებისაგან განსხვავებით.

განვითარებად ქვეყნებში გადასვლა ინფექციურიდან დეგენერაციულ დაავადებებზე დაწყებულია და მიმდინარეობს, თუმცა ყველგან არ არის დამთავრებული.

ინფექციური და დეგენერაციულ დაავადებებზე გადასვლის დეტერმინანტები წარმოადგენენ რთულ მოვლენას. ასეთი დეტერმინანტების სამი ძირითადი კატეგორიის გამოყოფა შეიძლება.

1. **ეკობიოლოგიური დეტერმინანტები.** მოკვდაობის ეს დეტერმინანტები მოწმობენ რთული წონასწორობის არსებობაზე ავადმყოფობების გამომწვევებს, გარემოში არახელსაყრელი პირობების დონესა და ორგანიზმის გამძლეობას შორის. ეს დეტერმინანტები არ, ან ძნელად ექვემდებარებიან აღწერას. მიუხედავად ამისა უდავოა, რომ ყვავილით დაავადების გამოკლებით, შავი ჭირისა და სხვა პანდემიური დაავადებების შემცირება ევროპაში არ იყო დაკავშირებული მედიცინის პროგრესთან.

2. სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დეტერმინანტები. ისინი მოიცავენ ცხოვრების, ჰიგიენისა და კვების დონეს. ჰიგიენა და კვება იმიტომ არიან გაერთიანებული მოცემულ და არა სამედიცინო დეტერმინანტების ჯგუფში,

რომ მათი გაუმჯობესება დასავლეთის ქვეყნებში სოციალური ცვლილებების შედეგი იყო და არა მიზანმიმართული ზომებისა მედიცინის სფეროში.

3. სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს დეტერმინანტები. ისინი მოიცავენ პროფილაქტიკური და სამკურნალო ხასიათის სპეციფიკურ ღონისძიებებს, მიმართულს დაავადებათა წინააღმდეგ. მათში შედის სანიტარული პირობების გაუმჯობესება, პროფილაქტიკური აცრები და თერაპიული ეფექტური ზომების გატარება.

სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს ფაქტორები თავის მნიშვნელობას იძენენ ეპიდემიოლოგიური გადასვლის გვიანდელ სტადიაზე დასავლეთის ქვეყნების შემთხვევაში, მაგრამ დაჩქარებული და თანამედროვე ეპიდემიოლოგიური გადასვლის ტიპებისათვის მათი გავლენა საგრძნობია უკვე საწყის სტადიაზე.

მოკვდაობის კლება ევროპასა და უმრავლეს დასავლეთის ქვეყანაში, XIX საუკუნის განმავლობაში, რომელიც ასახულია ეპიდემიოლოგიური გადასვლის კლასიკურ მოდელში, განისაზღვრებოდა ეკობიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენით. სამედიცინო ფაქტორების გავლენა, XX საუკუნემდე, ძირითადად შემთხვევით ხასიათს ატარებდა, ხოლო ამ დროისათვის ინფექციურ დაავადებათა პანდემიები უკვე მნიშვნელოვნად შემცირებული იყო.

მოკვდაობის შემცირება განვითარებად ქვეყნებში უფრო გვიანდელი მოვლენაა და როგორც ეპიდემიოლოგიური გადასვლის თანამედროვე (შენელებული) მოდელიდან ჩანს, აქ სამედიცინო ფაქტორებს გააჩნია უფრო უშუალო და მნიშვნელოვანი როლი.

მესამე წანამძღვარი. მოკვდაობის შედარებითი ალბათობა სქესისა და ასაკის მიხედვით. ეპიდემიოლოგიური გადასვლის განმავლობაში ჯანმრთელობისა და ავადობის მაჩვენებლების ყველაზე სიღრმისეული ცვლილებები შეიმჩნევა ბავშვებსა და ახალგაზრდა ასაკის ქალებში.

სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, რომელიც შეიმჩნევა პანდემიათა შემცირებასთან ერთად, ძირითადად შეეხო ორივე სქესის ბავშვებს და მდედრობითი სქესის მოზარდებსა და ფერტილური ასაკის ქალებს. ამის მიზეზი ის არის, რომ მოსახლეობის აღნიშნულ ჯგუფებში უფრო მაღალია მიდრეკილება ინფექციური დაავადებებისადმი, რომლებიც დაკავშირებულია კვების ნაკლებობასთან.

მართალია, ცვლილებები ავადობის მაჩვენებლებსა და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდაში შეიმჩნევა ყველა ასაკობრივ ჯგუფში, მაგრამ ბავშვთა მოკვდაობის ყველაზე მნიშვნელოვანი კლება აღინიშნება ერთიდან ოთხ წლამდე ასაკში.

15 წლამდე ასაკის ბავშვების მოკვდაობის მაჩვენებლების განუხრელი კლება განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, ინგლისში ის XIX საუკუნის ბოლოდან დაიწყო.

მეოთხე წანამძღვარი. ეპიდემიოლოგიური გადასვლის პერიოდში სხვადასხვა ცვალებადი სიდიდეების ურთიერთგანპირობებულობა. მოცემული ეპიდემიოლოგიური გადასვლისათვის დამახასიათებელი ცვლილებები მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ავადობის მაჩვენებლებში მჭიდროდ არის დაკავშირებული დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ გადასვლებთან.

1. *ურთიერთკავშირი დემოგრაფიულ ცვლილებებთან.*

ეპიდემიოლოგიური გადასვლისას მოკვდაობის შემცირებას მოჰყვება შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტებს შორის სხვაობის ზრდა (პირველ და მეორე სტადიაზე), რაც ხელს უწყობს მოსახლეობის რაოდენობის მატებას.

იცვლება მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურა და კმაყოფაზე მყოფ პირთა წილი.

ჯანმრთელობისა და ავადობის მაჩვენებლების პოზიტიური მიმართულებით ცვლილება ქალებისა და ბავშვებისათვის, ამაღლებს მათთვის გარკვეული ასაკის მიღწევის მაჩვენებელს, რასაც ურთიერთსაწინააღმდეგო გავლენა აქვს შობადობაზე.

ერთი მხრივ, ჯანმრთელობის გაუმჯობესება და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა სულ უფრო დამახასიათებელი ხდება ფერტილური ასაკის ქალებისათვის, რაც ზრდის ნაყოფიერებას.

მეორე მხრივ, ეპიდემიოლოგიური გადასვლის გვიანდელ სტადიებზე შეინიშნება ჩვილთა და ბავშვების გარდაცვალების ალბათობის შემცირება, რაც ხელს უწყობდა შობადობასთან მიმართებაში საწინააღმდეგო ეფექტის გამოჩენას – ინტერგენეტიკური ინტერვალების გაზრდას.

შობადობის შემცირება, ეპიდემიოლოგიური გადასვლის საშუალო და მომდევნო სტადიებზე, ძირითადად შემდეგი ფაქტორებით აიხსნება:

ა) *ბიოფიზიოლოგიური ფაქტორები.*

ახალდაბადებულებისათვის ალბათობის ზრდას, იცოცხლოს ჩვილობისა და ადრეული ბავშვობის ასაკზე მეტხანს, მოჰყვება მისი ძუძუთი კვების პერიოდის გახანგრძლივება, რაც ხელს უწყობს დედის მშობიარობის შემდგომი პერიოდის მატებას და წარმოადგენს ჩასახვის საწინააღმდეგო ბუნებრივ საშუალებას. არსებული მონაცემებით, ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის მიუხედავად, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად, თანდათან მატულობს ინტერგენეტიკური ინტერვალების სიგრძე. ინტერვალების ზრდა ახალგაზრდა, ფერტილური ასაკის ქალებში, რომლებმაც იყოლიეს ბავშვების მცირე რაოდენობა, ხელს უწყობს ცოცხლად დაბადებული ბავშვების საერთო რაოდენობის შემცირებას. ის წარმოადგენს იმ ძირითად მექანიზმს, რომელიც ცოცხლად მყოფთა მაჩვენებლების ზრდას უკავშირებს შობადობის შემცირებას.

ბ) *სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.*

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამაღლებასთან ერთად უმჯობესდება კვება და სანიტარული პირობები, რასაც მოჰყვება გარდაცვალების ალბათობის შემცირება ბავშვობის ასაკში. ბავშვებისათვის გარკვეულ ასაკს მიღწევის ალბათობის ზრდასთან ერთად, მრავალშვილიანი ოჯახის ყოლის სურვილი შეიძლება შემცირდეს სოციალურ და ეკონომიკურ სისტემებში მიმდინარე ცვლილებების გავლენით, რის შედეგადაც ბავშვი უკვე აღმოჩნდება არა ოჯახის დამხმარე, არამედ ზედმეტი პირი. ამასთან ერთად ბავშვთა შობის კონტროლის ტექნოლოგიაში გაუმჯობესებები ხელს უწყობენ მცირეშვილიანი ოჯახის ნორმების დამკვიდრებას.

გ) *ფსიქოლოგიური ფაქტორები.*

ჩვილთა და ბავშვობის ასაკში ცოცხლად მყოფთა მაჩვენებლების ზრდა ძირს უთხრის სოციალურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ მიზეზთა კომპლექსს, რომლებიც უბიძგებენ ადამიანებს ბევრი ბავშვის ყოლისაკენ, ხოლო საზოგადოებას – მაღალი შობადობის ორიენტაციისაკენ. როგორც კი ცოლ-ქმარი რწმუნდება, რომ მათი შთამომავლობა, განსაკუთრებით ვაჟი, მათზე მეტხანს იცოცხლებს, იზრდება ბავშვთა შობის შეზღუდვის ალბათობა. მცირდება არა მარტო მშობელთა ძალისხმევა "დაკარგული ბავშვების კომპენსაციისადმი", არამედ თვითონ მშობელთა ძალისხმევა და მათი ემოციები ღებულობს თვისებრივად ახალ ელფერს, ვინაიდან ბავშვი მცირერიცხოვან ოჯახში შეიძლება ღებულობდეს მეტ დაცვას, ზრუნვასა და უკეთეს აღზრდას.

2. *ურთიერთკავშირი სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებთან*

ურთიერთკავშირი ეპიდემიოლოგიურ გადასვლასა და სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს შორის რთულ ხასიათს ატარებს. განვითარებულ ქვეყნებში

ეპიდემიოლოგიური გადასვლა ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებით იყო განპირობებული, განვითარებად ქვეყნებში კი – საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მომხდარი ცვლილებებით. მოკვდაობისა და ავადობის შემცირება ხელს უწყობს შრომის ეფექტიანობის ამაღლებას და აქედან გამომდინარე ეკონომიკურ მწარმოებლურობას.

მოხმარებასა და წარმოებას შორის თანაფარდობას თუ გავაანალიზებთ სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის სხვადასხვა დონისათვის, შევნიშნავთ, რომ დაბადებისას 20-30 წლის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შემთხვევაში მოხმარების მოცულობა ჭარბობს წარმოებას.

40 და მეტი წლის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შემთხვევაში უკვე წარმოების მოცულობა აჭარბებს მოხმარებას. ამასთან, წარმოების მოცულობის ოპტიმალური მეტობა შეესაბამება 50 წელს სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას. შემდეგ, საპენსიო ასაკის მოსახლეობისათვის წარმოების მეტობა მოხმარებაზე მნიშვნელოვნად კლებულობს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ წარმოების მოცულობის არსებითი მეტობა მოხმარებაზე 40-50 წლის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობისას წარმოადგენს ნამეტს, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს კაპიტალდაბანდებებსა და ტექნიკის განვითარებაზე. სინამდვილეშიც, მთელი რიგი სადღეისოდ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობის პერიოდი შეესაბამება სწორედ აღნიშნულ სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას დაბადებისას.

მეხუთე წანამძღვარი. ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე, ეპიდემიოლოგიური გადასვლის მოდელების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

1. *ეპიდემიოლოგიური გადასვლის კლასიკური (დასავლეთის) მოდელი.*

დამახასიათებელი იყო დასავლეთ ევროპის უმრავლესი ქვეყნისათვის. მაღალი მოკვდაობა (30 ‰ -ზე მეტი) და მაღალი შობადობა (40 ‰-ზე მეტი) ნელა და წინსვლით გადადის დაბალ მოკვდაობაზე (10 ‰-ზე ნაკლები) და დაბალ შობადობაზე (20 ‰-ზე ნაკლები).

კლასიკური გადასვლის პირვანდელი დეტერმინანტები იყო სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.

კლასიკური გადასვლის გვიანდელ სტადიაზე (XX საუკუნის 20-30-იანი წლები) მოკვდაობის ძირითადი მიზეზები იყო არა ინფექციური, არამედ დეგენერაციული და პროფესიული დაავადებები.

2. *ეპიდემიოლოგიური გადასვლის აჩქარებული მოდელი.*

მოცემული მოდელისათვის დამახასიათებელია მოკვდაობის სწრაფი, აჩქარებული შემცირება. ძირითადი თავისებურება ის არის, რომ მოკვდაობის 10 ‰-მდე შემცირებისათვის საჭიროა გაცილებით ნაკლები დრო, ვიდრე კლასიკური გადასვლის მოდელის შემთხვევაში.

მოცემული გადასვლის მოდელის ქვეყნებში როგორც სახელმწიფოს, ისე ადამიანების მისწრაფებები და ინტერესები ხელს უწყობდა შობადობის შემცირებას შედარებით მოკლე დროში.

3. *ეპიდემიოლოგიური გადასვლის თანამედროვე (შენელებული) მოდელი.*

ასახავს გადასვლას, რომელიც დამახასიათებელია უმრავლესი განვითარებადი ქვეყნებისათვის. ამ ქვეყნების ნაწილში მოკვდაობის შემცირება დაიწყო XX საუკუნის დასაწყისში, მაგრამ მისი კლება მიმდინარეობდა ნელა და არამყარად, ცვალებადობით. მოკვდაობის სწრაფი შემცირება, და ამასთან ფართომასშტაბიანი, შეინიშნება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ეპიდემიოლოგიური გადასვლის დეტერმინანტებად გვევლინება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში გატარებული პროგრამები და ღონისძიებები.

ამ პროგრამებისა და ღონისძიებების მეშვეობით შესაძლებელი გახდა მოკვდაობის შემცირება, მაშინ როდესაც შობადობა რჩებოდა საკმაოდ მაღალ დონეზე, რასაც მოჰყვა მოსახლეობის სწრაფი მატება.

მოცემული მოდელის ქვეყნებში, მართალია, მიღწეულია წარმატებები ქალებისა და ბავშვების მიერ გარკვეული ასაკის მიღწევის საკითხში, მაგრამ ჩვილთა და ბავშვების მოკვდაობა მაინც ძალიან მაღალ დონეზე რჩება.

ბოლო დროს, ეპიდემიოლოგიური თეორიის გვერდით, თუ მის სანაცვლოდ, შემუშავებულ იქნა ჯანმრთელობის გადასვლის თეორია.

ტერმინი "ჯანმრთელობის გადასვლა" დაფუძნებას იწყებს 1991 წელს, როდესაც ჯონ კოლდუელმა, ჯულიო ფრენკმა და სხვებმა პროცესის ზოგადი დახასიათებისათვის შემოიღეს აღნიშნული ცნება. მათი განმარტებით ჯანმრთელობის გადასვლის თეორიას უნდა აეხსნა ჯანმრთელობის მდგომარეობის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების ცვლილება.

ჯანმრთელობისა და ეპიდემიოლოგიური გადასვლის თეორიები გარკვეულწილად მსგავსია.

ჯანმრთელობის გადასვლის თეორია ეფუძნება იმ ძირითად პოსტულატს, რომ დაავადებები დემოგრაფიული თვალსაზრისით შეიძლება დანახულ იქნას, უპირველეს ყოვლისა, როგორც სიკვდილის მიზეზი და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის განსაზღვრელი. ამდენად, აღნიშნული წარმოადგენს მოსახლეობის დინამიკის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს.

თითქმის იმავე დროს, როდესაც აბდელ ომრანმა გამოაქვეყნა თავისი თეორია, მირკო გრმეკმა (1969 წელი) შემოგვთავაზა პათოცენოზის (pathocenosis) კონცეფცია, რომელიც შემდეგ უფრო განავრცო და ფუნდამენტური სახით წარმოადგინა (1983 წელი).

მირკო გრმეკი აღნიშნავს, რომ პათოცენოზში შეიძლება არსებობდეს ურთიერთობის სამი ტიპი: სიმბიოზი, ანტაგონიზმი და ინდიფერენტულობა.

მირკო გრმეკის შეხედულებით ინდიფერენტულობა ყველაზე ხშირი მდგომარეობაა.

სიმბიოზის შემთხვევები შეიძლება გამოწვეული იყოს გენეტიკური, ეკოლოგიური და სოციალური მიზეზებით, რომლებიც ხშირად ერთიანად წარმოგვიდგებიან.

ანტაგონიზმის შემთხვევები უფრო ფარულ სახეს ატარებენ. მაგ., ტუბერკულიოზით გამოწვეულ ინფექციას შეუძლია გამოიწვიოს იმუნიზაცია კეთრის საწინააღმდეგოდ. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კეთრის უკუგდებას მ. გრმეკი უკავშირებს ტუბერკულიოზის გავრცელებას.

პირველი პათოცენოზისათვის დამახასიათებელი იყო ძლიერი ინფექციური დაავადებებისა და ეპიდემიების არსებობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში (კლასიკური საბერძნეთი).

მეორე პათოცენოზისათვის ასევე დამახასიათებელი იყო ეპიდემიების გავრცელება, მაგრამ წინანდელთან შედარებით უფრო მოკლევადიანი (იბერია, იტალია).

მესამე პათოცენოზისათვის დამახასიათებელია დიდი ეპიდემიები, რომლებიც ხანგრძლივ პერიოდს მოიცავენ (რომის იმპერიის დაცემის პერიოდი).

მეოთხე პათოცენოზის პერიოდი გავრცელებული იყო 440-800 წლებში. მისთვის დამახასიათებელია კეთრისა და შავი ჭირის გავრცელება, თუმცა უკანასკნელი მალევე გაუჩინარდა (ევროპა).

მეხუთე პათოცენოზი მოიცავს 800-1100 წლების პერიოდს. ამ დროს გაუჩინარდა როგორც შავი ჭირი და ყვავილი, ისე რეგრესი განიცადა კეთრმა.

მოსახლეობამ დაიწყო მატება, თუმცა სოფლის მეურნეობის განვითარებას მოჰყვა ჭვავის პარაზიტული სოკოთი გამოწვეული ჭირი, რომელიც ცენტრალური აზიიდან შემოვიდა. ასევე გავრცელდა მალარია და იფეთქა გრიპის ეპიდემიებმა.

მეექვსე პათოცენოზი მოიცავს 1100-1347 წლებს. თავი იჩინა ყვავილმა და კეთრმა. გაიზარდა ტუბერკულიოზი, თუმცა მოცემული პერიოდი თავისუფალი იყო დიდი ეპიდემიისაგან. XIV საუკუნის მიჯნაზე ევროპის მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მეშვიდე პათოცენოზი 1347 წლიდან იწყება და 1550 წლამდე გრძელდება. 1347 წელს ევროპაში გავრცელებას იწყებს შავი ჭირი. იმავე დროს თავი იჩინა დიზენტერიამ და ყვავილმა. XV საუკუნის შუა პერიოდისათვის ევროპის მოსახლეობა ნახევარზე მეტად შემცირდა.

მერვე პათოცენოზი შეესაბამება რენესანსის ხანას (1550-1700 წწ.). შავი ჭირი და კეთრი პრაქტიკულად გაუჩინარდა. მეორეს მხრივ ევროპაში გავრცელებას იწყებს დიფტერია, ტიფი, ხოლო ამერიკიდან შემოტანილ იქნა სიფილისი.

მეცხრე პათოცენოზი მოიცავს XVIII საუკუნეს. ამ დროს გაიზარდა ყვავილითა და ტიფით დაავადებათა სიხშირე, თავი იჩინა გრიპმა, გაიზარდა სიფილისის დაავადებათა შემთხვევები, კვლავ გამოჩნდა მალარია.

მეათე პათოცენოზი იწყება XIX საუკუნის მიჯნაზე. ამ დროს მიღწეული წარმატებებიდან შესაძლებელი გახდა ინფექციური დაავადებების შეზღუდვა. მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს ჰიგიენის სფეროში მიღწეული წარმატებები. მიუხედავად ამისა იმრავლა ტუბერკულიოზის დაავადებამ და უბედურმა შემთხვევებმა.

მეთერთმეტე პათოცენოზის დასაწყისად მიიჩნევენ XX საუკუნის მიჯნას, როდესაც მედიცინის მიღწევებმა შესაძლებელი გახადა ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ რადიკალური ზომების მიღება.

ფაქტობრივად, ბოლო ორმა პათოცენოზმა კაცობრიობა მიიყვანა ახალ მდგომარეობამდე. წარსულში დაავადებებთან ბრძოლა ადამიანის მხრივ ირიბ როლს თამაშობდა. სადღეისოდ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ადამიანის ჩარევა და მისი ზემოქმედება დაავადებებზე.

დემოგრაფიული თვალსაზრისით, მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ცვლილება. მართალია სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა სადღეისოდ მნიშვნელოვნად გაზრდილია, მაგრამ XXI საუკუნეშიც რეგიონებსა და ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება შეიმჩნევა, რაც საერთო ჯამში ჯანმრთელობის მდგომარეობის უთანასწორობიდან გამომდინარეობს. მაგ., იაპონიაში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ორივე სქესისათვის 82 წელს შეადგენს. მაშინ, როდესაც რუსეთში 65 წელია, ხოლო აფრიკაში – საშუალოდ 52 წლის ფარგლებშია. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ 1960-იანი წლების შუა პერიოდში იაპონიისა და რუსეთის მოსახლეობას მსგავსი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ჰქონდათ.

1.8. გარე მიგრაციის თეორიები

გარე მიგრაციის თეორიის შექმნას დიდი ხნის ისტორია აქვს. XIX საუკუნის ბოლოს ე.გ. რავენშტაინმა (1885, 1889) ჩამოაყალიბა მიგრაციის კანონები, ინგლისში მიგრაციის ემპირიული ანალიზის საფუძველზე და ამ ფენომენის გასაანალიზებლად პირველი თეორიული სტრუქტურა შექმნა. თუმცა ზოგიერთ მის მიერ შემოთავაზებულ პრინციპს ვერ უწოდებ უნივერსალურს, მათი უმრავლესობა მაინც წარმატებით გამოიყენებოდა XX საუკუნეში მიგრაციის ტენდენციების ასახსნელად. რავენშტაინი ამტკიცებდა, რომ მიგრაციის ძირითადი მიზეზია ეკონომიკური ფაქტორი და მიგრაციის ძირითადი მიმართულებაა აგრარული დასახლებებიდან ინდუსტრიული და კომერციული ცენტრებისკენ. დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში კვლავაც არ არსებობს მიგრაციის ერთიანი თეორია, თუმცა

სერიოზული პროგრესი იგრძნობა ახსნის სხვადასხვა მცდელობის შემოთავაზების თვალსაზრისით.

1.8.1. ეკონომიკური მიდგომა

ეკონომიკური თვალსაზრისით, გარე მიგრაცია შრომის ხელახალი დანაწილების მექანიზმია. შესაბამისად, გარე მიგრანტებს აიგივებენ მუშებთან და არსებული ეკონომიკური თეორიები ცდილობენ შრომითი მიგრაციის ახსნას, მოიაზრებენ რა მის ქვეშ ეკონომიკურად აქტიური ინდივიდების საერთაშორისო მოძრაობას. შესაძლოა, უძველესი თეორია, რომელიც მიზნად ისახავდა შრომითი მიგრაციის ახსნას, ადამ სმიტისა და მისი პერიოდის ეკონომისტების ნააზრევიდან მოდის, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ შრომითი მიგრაციის მიზეზია შრომაზე განსხვავებული მოთხოვნა სხვადასხვა ადგილებში. ამდენად, ადამ სმიტი ამბობდა, რომ აუცილებელია ადგილი ჰქონდეს შრომის თავისუფალ ცირკულაციას, რათა ხელი შეეწყოს მუშების ბუნებრივ მოძრაობას დაბალი ანაზღაურების მქონე ადგილებიდან მაღალი ანაზღაურების მქონე ადგილებში, რომ მოხდეს ეკონომიკური პროგრესი როგორც მიგრანტთა სამშობლოში, ისე მიგრაციის ადგილებში, და რომ თავად მიგრანტების პროგრესსაც ჰქონდეს ადგილი.

1.8.2. მიგრაციის ნეოკლასიკური თეორია

თანამედროვე მკვლევრებმა (ტოდარო, 1976; ჰარისი და ტოდარო, 1970) მოახდინეს კლასიკური თეორიის მოდიფიკაცია და მიგრაციის ნეოკლასიკური თეორია შეიმუშავეს, რომლის თანახმად, ის ქვეყნები, სადაც შრომის მაღალი წილია კაპიტალთან შედარებით, ნაკლები საბაზრო ანაზღაურებით გამოირჩევიან, ის ქვეყნები კი, სადაც შრომის დაბალი წილია კაპიტალთან შედარებით, მეტი საბაზრო ანაზღაურებით გამოირჩევიან. ეს სხვაობები შემოსავალში უბიძგებს მუშებს დაბალი ანაზღაურების ქვეყნებიდან მაღალი ანაზღაურების ქვეყნებს მიაშურონ; შედეგად კი, მუშახელის რაოდენობა კლებულობს და ანაზღაურება იზრდება მიგრანტთა სამშობლოში და მუშახელის რაოდენობა იზრდება და ანაზღაურება კლებულობს მიგრაციის ადგილებში, იქმნება რა ვითარება, როცა სხვაობა ანაზღაურებაში ასახავს მხოლოდ მიგრაციის ხარჯებს. ამ მომენტში გარე მიგრაცია წყდება.

ამ თეორიის რეალურ პირობებში გამოყენებისას, მიგრაციის სარგებელი იზომება ინდივიდუალურ დონეზე მიღებული წმინდა შემოსავლით დროის დადგენილ მონაკვეთში. წმინდა შემოსავალი კი წარმოადგენს სხვაობას მიგრაციის ქვეყანაში მოსალოდნელ ანაზღაურებასა და მიგრანტის სამშობლოში მოსალოდნელ ანაზღაურებას შორის. მიგრაციის ქვეყანაში მოსალოდნელი ანაზღაურება იზომება ინდივიდის უნარების გამრავლებით მის მიერ სამუშაოს შოვნის ალბათობაზე; მსგავსად ამისა, მიგრანტის სამშობლოში მოსალოდნელი ანაზღაურება იზომება მიგრანტის რეალური შემოსავლის გამრავლებით სამშობლოში სამუშაოს შოვნის ალბათობაზე. წმინდა შემოსავლები გამოითვლება დროის გარკვეულ მონაკვეთში და საბოლოო ჯამი გამოიყენება მიგრაციის სარგებლის შესაფასებლად (მესი, 1993; ტოდარო, 1976; ჰარისი და ტოდარო, 1970).

ნეოკლასიკურ თეორიას თავისი შეზღუდვები აქვს, საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოსა და იმ პოლიტიკური გადაწყვეტილებების გაუთვალისწინებლობის ჩათვლით, რომლებიც გავლენას ახდენენ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე მიგრაციის შესახებ (პაპადემეტრო და მარტინი, 1991).

1.8.3. მიგრაციის ახალი ეკონომიკა

ნეოკლასიკური თეორიის შეზღუდვებმა ახალი თეორიების გაჩენა გამოიწვია, რომელთა შორის უახლესია მიგრაციის ახალი ეკონომიკის თეორია, რომელიც

ფოკუსირებას ახდენს მიკროეკონომიკურ დონეზე, თუმცა მიიჩნევს, რომ ადამიანები ინდივიდუალურად კი არ იღებენ მიგრაციის გადაწყვეტილებას, არამედ ჯგუფთან, ძირითადად შინამეურნეობასთან თუ ოჯახთან, შეთანხმებით, რათა მაქსიმალურად გაზარდონ მოსალოდნელი შემოსავალი და მინიმალურად შეამცირონ საბაზრო ჩავარდნასთან დაკავშირებული რისკი, რაც საკმაოდ ხშირია განვითარებად ქვეყნებში, სოცუზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის არარსებობის გამო (სტარკი, 1991). ამ თეორიის თანახმად, შინამეურნეობები ამცირებენ ეკონომიკურ რისკს იმით, რომ შრომითი ძალის გადანაწილებას ახდენენ. ამ პერსპექტივიდან, ოჯახის გარკვეული წევრების გაგზავნა სხვა ქვეყანაში სამუშაოდ, სადაც ხელფასები და სამუშაო პირობები დამოუკიდებელია ადგილობრივი ეკონომიკური პირობებისგან, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებისაგან დაზღვევის საშუალებას წარმოადგენს. გარე მიგრაციის შედეგად მიღებული სარგებელი ეხმარება შინამეურნეობებს გარკვეული კაპიტალის შოვნის გზით, პროდუქტიულობა აიმაღლოს მშობლიურ ქვეყანაში. მიგრაციის ეს ფუნქცია საკმაოდ მნიშვნელოვნად არის მიჩნეული განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც კაპიტალის ბაზარი სუსტია, უამრავ ადამიანს არ შესწევს უნარი ისარგებლოს საბანკო მომსახურებით და ა.შ. ამ თეორიის თანახმად, როცა მიგრანტთა ოჯახების ეკონომიკური პირობები უმჯობესდება ამ რეგიონში მცხოვრებ სხვა ოჯახებთან შედარებით, ამ უკანასკნელთაც უჩნდებათ მიგრაციის სურვილი, მაშინაც კი, თუ ადგილი არა აქვს მოსალოდნელი შემოსავლის ცვლილებას.

ამ თეორიის ემპირიულმა გამოყენებამ აჩვენა, რომ თუმცა ჩვეულებრივ იკვლევენ ხოლმე განვითარებადი ქვეყნების რამდენიმე მცირე სასოფლო დასახლებიდან განვითარებულ ქვეყნებში მიგრაციას და ასეთ კვლევებს ვერ ვუწოდებთ რეპრეზენტატულს, ამ თეორიის გარკვეული დასკვნები მართლდება, კერძოდ, მიგრაციის ქვეყნებიდან მიღებული ფულადი გზავნილობები იწვევს მიგრანტთა სამშობლოში ინვესტიციების ზრდას (მაგ.: მიწის, ტექნიკისა და დაქირავებული მუშახელის გამოყენების ზრდა) და შემოსავალზე ორიენტირებული აქტივობების გაფართოვებას (განათლება, აღჭურვილობა, აქციები). შედეგად, ფულადი გზავნილობები თანდათანობით იწვევს შინამეურნეობის შემოსავლის ზრდას, რაც მალე თავად გზავნილის ღირებულებას აღემატება (ტეილორი, 1992).

1.8.4. ოჯახური მიგრაცია და მიგრაციის სელექციურობა

ეს თეორია ნეოკლასიკური მოდელის გაფართოვებას წარმოადგენს, მიიჩნევს რა, რომ მიგრაციის დიდი ნაწილი მოიცავს მთელი ოჯახების მიგრაციას და არა ცალკეული ოჯახის წევრებისა. მინსერი (1978) იკვლევდა ოჯახის სხვადასხვა წევრებზე შემოსავლის განსხვავებული ოდენობის გავლენას. ასეთი მიდგომა უფრო რეალისტურია, რადგან ოჯახის ერთი წევრი შეიძლება მოელოდეს ზრდას, მეორე კი – დანაკარგს პოტენციურ შემოსავალში მიგრაციის ქვეყანაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ოჯახი შედგება ერთზე მეტი ეკონომიკურად აქტიური პიროვნებისაგან, კონფლიქტური მიზნების წარმოშობის ალბათობა რეალურად არსებობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ოჯახში ორი დაქორწინებული ზრდასრული ადამიანია, მათზე დამოკიდებული ან დამოუკიდებელი შვილებით, მინსერი (1978) აჩვენებს, რომ მიგრაციამ შეიძლება წარმოშვას „მჭიდროდ დაკავშირებული წამსვლელები" ან „მჭიდროდ დაკავშირებული დამრჩენები," და რომ ინდივიდისა და წყვილის ოპტიმალურ სტრატეგიებს შორის სხვაობა დამოკიდებულია კორელაციის ხარისხზე ქმრისა და ცოლის სარგებელს შორის მიგრაციიდან. მხოლოდ მაშინ, როცა ადგილი აქვს სრულყოფილ კორელაციას, ინდივიდისა და წყვილის ოპტიმალური სტრატეგიები ემთხვევა ერთმანეთს.

ბორჯასმა და ბრონარსმა (1989) გამოიყენეს მინსერის თეორია, რათა გაეანალიზებინათ შეერთებულ შტატებში მიგრაციის სელექციურობა. მხოლოდ

ინდივიდუალური მიგრანტების შესწავლის საფუძველზე, ბორჯასმა (1987) აჩვენა, რომ მიგრანტის სამშობლოსა და მიგრაციის ქვეყანას შორის შემოსავლის სხვაობა გავლენას ახდენს იმ ადამიანის ტიპზე, რომელიც მიგრაციაში მიდის. თუ შემოსავლის სხვაობა უფრო მაღალია მიგრაციის ქვეყანაში, საშუალოზე მაღალი განათლების მქონე ადამიანებს უჩნდებათ მიგრაციის სურვილი, რადგან უფრო მაღალი ხელფასის ქონა შეუძლიათ მიგრაციის ქვეყანაში. თუკი შემოსავლის სხვაობა უფრო მაღალია მიგრანტის სამშობლოში, უფრო დაბალი განათლების მქონე ადამიანებს უჩნდებათ მიგრაციის სურვილი. თუმცა დაქორწინებული წყვილების შემთხვევაში, სელექციურობის ეფექტი მცირდება, რადგან მიგრანტები განათლების ნაკლები დონით, რომლებიც არ წავიდოდნენ დამოუკიდებლად მიგრაციაში იმ ქვეყანაში, სადაც შემოსავლის სხვაობა მაღალია, აღარ შეფერხდებიან, თუ დაქორწინებულნი არიან უფრო მაღალი განათლების მქონე ადამიანებზე.

1.8.5. ორმაგი შრომითი ბაზრის თეორია

მიგრაციის ნეოკლასიკური თეორიისა და მიგრაციის ახალი ეკონომიკის თანახმად, მიგრაცია ძირითადად ინდივიდებისა თუ ოჯახების მიერ გაკეთებული რაციონალური არჩევანის შედეგს წარმოადგენს. ამის საპირისპიროდ, სხვა ეკონომიკური თეორიები საკითხს მაკროეკონომიკური თვალსაზრისით უდგებიან და ამტკიცებენ, რომ გარე მიგრაცია ძირითადად იმ საერთაშორისო ძალების ზემოქმედების პროდუქტია, რომელიც ინდივიდუალურ არჩევანს სცილდება და ზღუდავს მას. ორმაგი შრომითი ბაზრის თეორიის თანახმად, გარე მიგრაცია გამოწვეულია უცხოური მუშა ხელის პერმანენტული მოთხოვნით განვითარებულ ქვეყნებში (პიორე, 1979), რასაც რამდენიმე ფაქტორი იწვევს: ჯერ ერთი, ხელფასები ასახავს არა მარტო პროდუქციისა და მოთხოვნის პირობებს, არამედ სტატუსსა და პრესტიჟს. შესაბამისად, რათა შენარჩუნებულ იქნას არსებული შრომითი იერარქია, ხელფასები ვერ უპასუხებს თავისუფალ ცვლილებებს მუშებით უზრუნველყოფაში. ამ პირობებში, დამქირავებლები, რომლებიც ეძებენ ნაკლებგანათლებულ მუშახელს, რომელიც იერარქიული სტრუქტურის ძირში იმყოფება, ვერ გაზრდიან ხელფასებს, რადგან ამით დაირღვევა სოციალური ბალანსი სტატუსსა და ანაზღაურებას შორის: ხელფასების გაზრდა იერარქიული სტრუქტურის ძირში გამოიწვევს ხელფასების გაზრდის მოთხოვნას იერარქიის ზედა დონეზეც. რათა თავიდან აიცილონ ასეთი ზეწოლა შრომითი ძალის ნაკლებობის პირობებში, დამქირავებლები ცდილობენ იაფი გადაწყვეტილება მონახონ: უცხოური მუშახელის იმპორტი, რომელიც თანახმა იქნება დაბალ ანაზღაურებაზე. მეორე ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის ადგილობრივი მუშახელის დაქირავებას, არის ის, რომ იერარქიული სტრუქტურის ძირში მყოფი სამსახურები არ იძლევა აღმავალი სოციალური მობილობის საშუალებას. ამიტომ ასეთ სამუშაოზე მხოლოდ ის დათანხმდება, ვისთვისაც ის მხოლოდ ფულის შოვნის საშუალებაა და არ აწუხებს სტატუსის ამაღლების პრობლემა. უცხოელი მუშები განვითარებადი ქვეყნებიდან (განსაკუთრებით, არალეგალური სტატუსის მქონენი) თანახმა არიან ამგვარ სამსახურებზე, რადგან მათი დაბალი ხელფასი განვითარებულ ქვეყნებში გაცილებით მაღალია, ვიდრე საშუალო ხელფასი განვითარებად ქვეყნებში. და ბოლოს, მესამე ფაქტორი, რომელიც ნაკლებგანათლებული მუშახელის ზრდას იწვევს განვითარებულ ქვეყნებში, ორმაგი ეკონომიკის განვითარებაა, რომელიც ხასიათდება კაპიტალ-ინტენსიური პირველადი სექტორისა და შრომა-ინტენსიური მეორადი სექტორის თანაარსებობით, აგრეთვე სეგმენტირებული შრომითი ბაზრით. პირველად სექტორში მომუშავე ადამიანები სტაბილურ, მაღალანაზღაურებად სამუშაოს ფლობენ; მეორად სექტორში მომუშავენი კი არასტაბილურ და დაბალანაზღაურებად სამუშაოს, რომლიდანაც შეიძლება ნებისმიერ დროს დაითხოვონ და რომელიც, რა თქმა უნდა, არც დაწინაურების საშუალებას იძლევა.

რადგან ადგილობრივი მუშახელი არ თანხმდება ამგვარ სამუშაოზე, ამ სექტორში მუშახელის ნაკლებობას უცხოელი მუშახელი ავსებს. ეს განსაკუთრებით იმ საზოგადოებებში ხდება, სადაც ქალები და თინეიჯერები, სოციალური შეზღუდვებისა თუ უკეთესი სამუშაო პირობების გამო, არ მონაწილეობენ მეორად სექტორში.

1.8.6. მსოფლიო სისტემების თეორია

კიდევ ერთი მიდგომა, რომელიც ცდილობს გარე მიგრაციის მიზეზების ახსნას, აგებული მარქსის იდეებზეა საერთაშორისო კაპიტალიზმის შესახებ (პაპადემეტრუ და მარტინი, 1991; ვალერშტაინი, 1974). ცნობილი ისტორიულ-სტრუქტურული მოდელის თუ მსოფლიო სისტემების თეორიის სახელით, იგი გვთავაზობს, რომ მიგრაციის წყაროს წარმოადგენს ინსტიტუციური თუ სექტორული დისბალანსი, რომელსაც იწვევს სახელმწიფოს ჩართვა მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში. მსოფლიო შრომითი ბაზარი სამ ძირითად ზონადაა დანაწილებული: ცენტრი, ნახევრად პერიფერია და პერიფერია. ამ სამ ზონას შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, მათ შორის სხვადასხვა სახის შრომით მიგრაციას წარმოშობს (პორტესი, 1995; საზენი, 1988; პეტრასი, 1981). ძირითადად, მიგრაციას ადგილი აქვს ყოფილ კოლონიზატორ ქვეყნებსა და მათ ყოფილ კოლონიებს შორის და ამას არსებული კულტურული, ლინგვისტური, ადმინისტრაციული, სატრანსპორტო და კომუნიკაციური კავშირები უწყობს ხელს. ცენტრალურ ქვეყნებში, მსოფლიო ეკონომიკის მენეჯმენტი კონცენტრირებულია შედარებით მცირერიცხოვან ქალაქურ ცენტრებში საბანკო, ფინანსური, პროფესიული სერვისისა და მაღალტექნიკური ინფრასტრუქტურის ფარგლებში. თუ გავითვალისწინებთ ამ ქალაქებში არსებულ ძლიერ მოთხოვნას ნაკლებგანათლებულ მუშახელზე და მძიმე ინდუსტრიის რაოდენობის შემცირებას, პერიფერიულ ქვეყნებთან არსებულ მაღალგანვითარებულ სატრანსპორტო და კომუნიკაციურ ქსელებთან ერთად, ისინი საკმაოდ მიმზიდველი ხდება გარე მიგრანტებისთვის (საზენი, 1991).

1.8.7. სოციოლოგიური მიდგომა

თუმცა ეკონომიკური ფაქტორები ძალიან მნიშვნელოვანია, თუ არა დომინანტური, მიგრაციული გადაწყვეტილებების მიღებისას, ეკონომიკური თეორიები ხშირად ვიწროდაა მიჩნეული, რადგან ისინი არ ითვალისწინებენ მიგრაციის ისეთ მიზეზებს, როგორიცაა იძულებით დევნილობა, უკეთეს კლიმატში ცხოვრების სურვილი, ან თუნდაც მომავალი მეუღლის ძიება უკეთეს საქორწინო ბაზარზე. ამ ფაქტორების გათვალისწინების მცდელობას წარმოადგენს *ლის* (1966) თეორია, რომლის თანახმად, მიგრაციის მიზეზია პოზიტიური ფაქტორების არსებობა მიგრაციის ქვეყანაში და ნეგატიური ფაქტორების არსებობა მიგრანტის სამშობლოში. რაც უფრო დიდია სხვაობა „მიზიდულობის ძალებს" შორის (პოზიტიურს მინუს ნეგატიური ფაქტორები) სამშობლოსა და მიგრაციის ქვეყანას შორის, მით უფრო სავარაუდოა მიგრაციის ალბათობა.

ეკონომიკური თეორიის მსგავსად, სოციოლოგიური თეორიაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არა ინდივიდუალურ, არამედ ჯგუფურ, ოჯახურ მიგრაციას, როცა ოჯახის ერთი წევრი მიდის, ფუძნდება და შემდეგ სხვა წევრებიც მიყავს. მიგრაციული ქსელები წარმოადგენს სოციალურ კაპიტალს, რომლის საფუძველზეც ადამიანები იღებენ საჭირო ინფორმაციას, აგრეთვე ფინანსურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, რაც ხელს უწყობს მიგრაციასა და ადაპტაციის პროცესს, და ამცირებს რისკ-ფაქტორებს. მიგრაციული ქსელების ეფექტური მოქმედება ხელს უშლის მთავრობას აკონტროლოს მიგრაციული ნაკადების ზომა, მით უმეტეს, როცა ახალი მიგრანტების შემოსვლა ოფიციალურად ნებადართულია წინა მიგრანტებთან ნათესაური კავშირების საფუძველზე.

1.8.8. მიგრაციული გადასვლა

ამ მიდგომის თანახმად, გარე მიგრაცია მჭიდრო კავშირშია დემოგრაფიული გადასვლის სტადიებთან. ზელინსკიმ (1971) აღმოაჩინა, რომ მოდერნიზაცია კავშირშია მიგრაციის ნიმუშების სპეციფიკურ ცვლილებებთან და საზოგადოების მოდერნიზაციის თითოეულ ეტაპს მობილობის საკუთარი ნიმუში შეესაბამება. ზელინსკის მოდელი გამოყოფს მიგრაციის 5 ძირითად ტიპს: გარე მიგრაცია; შიდა მიგრაცია; მიგრაცია სოფლიდან ქალაქში; მიგრაცია სოფლიდან სოფელში; და მთელი რიგი მოკლევადიანი მობილობა, რასაც ავტორი ცირკულაციას უწოდებს.

ზელინსკიმ მიგრაციაზე ტრანსპორტირების გაუმჯობესების გავლენაც კი გაითვალისწინა. ტრანსპორტირების გაუმჯობესებასთან ერთად, ადამიანებს შეუძლიათ დარჩნენ თავიანთ სამშობლოში და იმოგზაურონ სამსახურში და უკან, მაშინ როცა განუვითარებელი ტრანსპორტირების შემთხვევაში, მათ აუცილებლად მოუწევდათ სამუშაო ადგილას გადასვლა. ელექტრონული კომუნიკაციების გაუმჯობესებასთან ერთად, მეტ ადამიანს აქვს საშუალება იმუშაოს შინ, აღარ იქმნება რა გაუთავებელი მოძრაობის აუცილებლობა.

მიგრაციული გადასვლის კონცეფციის თანახმად, მიგრაციული პროცესების განვითარება გადის რიგ ფაზას (სტადიას), რომელიც დაახლოებით შეესაბამება დემოგრაფიული გადასვლის ფაზებს.

ქვეყანაში, რომელიც დემოგრაფიული გადასვლის პირველ ფაზაში იმყოფება, მაღალია მოსახლეობის ბუნებრივი მატება. ამასთან, დაბალია ეკონომიკური განვითარების დონე. ასეთი მდგომარეობა იწვევს მოსახლეობის ემიგრაციას (მუდმივ საცხოვრებლად, „ტვინთა გადინებას“, შრომით მიგრაციას) ეკონომიკურად უფრო განვითარებულ ქვეყნებში. ემიგრაციის დონე ძალიან მაღალია, ხოლო იმიგრაციას პრაქტიკულად არა აქვს ადგილი.

დემოგრაფიული გადასვლის მეორე ფაზაში მყოფი ქვეყნის მოსახლეობის ბუნებრივი მატება თანდათან ნელდება. ამავე დროს უცხოური ინვესტიციები, დახმარებები და საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილობები რამდენადმე ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ამას ემატება უცხოური კვალიფიციური სპეციალისტების ჩამოსვლა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კონტრაქტით იმიგრანტი მუშების ჩამოსვლა. მთლიანობაში, პირველ ფაზასთან შედარებით, კლებულობს ემიგრაცია და იწყება იმიგრაციის პროცესი, რომელიც თანდათან იკრებს ძალას.

დემოგრაფიული გადასვლის მესამე ფაზაში მყოფი ქვეყნის მოსახლეობის შობადობის დონე დაბალია, იზრდება მოკვდაობა, ბუნებრივი მატება შემცირებულია, მიმდინარეობს დემოგრაფიული დაბერება. ეკონომიკური მდგომარეობა, წინა ფაზასთან შედარებით, უკეთესი უნდა იყოს. ემიგრაციის დონე კიდევ უფრო კლებულობს, ხოლო იმიგრაციის - მატულობს და მესამე ფაზის ბოლოსათვის (დაწყებული დაახლოებით მეორე ნახევრიდან) აჭარბებს ემიგრაციას. ამასთან შეიძლება დაიწყოს იმ ყოფილ მოქალაქეთა დაბრუნების პროცესი, რომლებიც ქვეყნიდან პირველი ფაზის დროს წავიდნენ, „ტვინთა გადინების“ სახით.

დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე ფაზის დროს მოკვდაობა იზრდება და აღწევს შობადობის დონეს. ამის შემდეგ მოსახლეობის რაოდენობის ზრდა წყდება. ამ დროისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს ქვეყნის მაღალი ეკონომიკური განვითარება და შესაბამისად მაღალი შემოსავლების დონე. ეს კი იწვევს იმიგრაციის შემდგომ ზრდას (განსაკუთრებით კვალიფიციური სამუშაო ძალის), ხოლო ემიგრაცია ძალიან დაბალ დონემდე დადის.

ზემოთ მოყვანილი სქემა ზოგადი ხასიათისაა. ქვეყნის ადგილობრივი სპეციფიკა განსაზღვრავს მისგან გარკვეულწილად განსხვავებულ გარე მიგრაციული პროცესების რეალურ მიმდინარეობას.

1.8.9. პოლიტიკური მეცნიერების წვლილი

პოლიტიკური მეცნიერების კონტექსტში, გარე მიგრაცია განიხილება არა იმდენად ცალკეული ინდივიდების, არამედ სახელმწიფოებს შორის ინტერაქციის საფუძველზე, რადგანაც გარე მიგრანტები ერთი საზოგადოების წევრობას წყვეტენ და მეორე საზოგადოების წევრები ხდებიან. ამ პერსპექტივიდან, გარე მიგრაცია წარმოადგენს არსებული სოციალური ორგანიზაციის წამყვანი ნორმიდან გადახრას, რომლის თანახმად, საზოგადოება ტერიტორიაზე დაფუძნებული, თვითაღწარმოებადი კულტურული და სოციალური სისტემაა, მაშინ როცა საერთაშორისო მექანიზმები იძლევიან თავისუფლებას დატოვო ნებისმიერი ქვეყანა საკუთარის ჩათვლით. არსებობს უნივერსალური და აშკარა თანხმობა სრულიად საპირისპირო პრინციპთან დაკავშირებით, კერძოდ, ყოველ ქვეყანას აქვს უფლება შეზღუდოს უცხოელების დინება მისი მიმართულებით – უფლება, აუცილებელი საზოგადოების ინტეგრაციის მისაღწევად.

ამრიგად, ამ თეორიის თანახმად, ერთის მხრივ, ინდივიდები ცდილობენ მაქსიმალური კეთილდღეობა მოიპოვონ სხვადასხვა არჩევანის გამოცდის გზით, ერთი პოლიტიკური იურისდიქციიდან სხვაში გადასვლის ჩათვლით, და მეორეს მხრივ, ურთიერთგამომრიცხავი საზოგადოებებისგან, რომლებიც მოქმედებენ, როგორც ორგანიზებული სახელმწიფოები, რათა მოახდინონ კოლექტიური მიზნების მაქსიმალიზაცია, თავიანთი საზღვრების ფარგლებში ინდივიდთა შესვლა-გამოსვლის კონტროლის გზით. გარე მიგრაცია დაკავშირებულია ფუნდამენტურ დაძაბულობასთან ინდივიდთა ინტერესებსა და საზოგადოების ინტერესებს შორის. თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ გარკვეულ ვითარებაში საზოგადოებისა და ინდივიდის ინტერესები შეიძლება დაემთხვას ერთმანეთს, ქვეყანაში დარჩენის, გამგზავრებისა თუ უკან დაბრუნების საკითხებთან დაკავშირებით. გარე მიგრაციის შესწავლისას ამოსავალი უნდა იყოს სწორედ ის, თუ რა ზომით ემთხვევა ან ეწინააღმდეგება ერთმანეთს საზოგადოებისა და ინდივიდის ინტერესები, ისევე როგორც გათვალისწინებულ უნდა იქნას როგორც მიგრაციის ქვეყნის, ისე მიგრანტთა მშობლიური ქვეყნის ინტერესები.

1.8.10. სისტემური მიდგომა

თითოეული განხილული თეორია წარმოადგენს გარე მიგრაციის მიზეზებისა და დინამიკის ახსნის მცდელობას. უფრო სრულყოფილი თეორიის შექმნის მიზნით, მათ გარკვეულ კომბინაციას გვთავაზობს მიგრაციული სისტემების თეორია. ამ მიდგომის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს მოსახლეობის სამეცნიერო შესწავლის კავშირის (IUSSP) გარე მიგრაციის კომიტეტის მოღვაწეობა, რომლის შედეგებიც გამოქვეყნდა 1992 წელს.

სისტემური მიდგომა მთელ რიგ მოსაზრებებს ეფუძნება: პირველ რიგში, მიგრაცია ქმნის ერთიან სივრცეს, აერთიანებს რა მიგრაციის ქვეყანასა და მიგრანტის სამშობლოს. მიგრაციის მიზეზებისა და შედეგების გასაგებად, აუცილებელია ამ ერთიანი სივრცის მხედველობაში მიღება. მეორეც, მიგრაცია არის ერთ-ერთი იმ პროცესთაგანი, რომელიც აკავშირებს მიგრაციის ქვეყანასა და მიგრანტის სამშობლოს და მჭიდრო კავშირშია სხვა ისტორიულ, კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებთან. მესამეც, პროცესები, რომლებიც აკავშირებენ მიგრაციის ქვეყანასა და მიგრანტის სამშობლოს, დროთა განმავლობაში ორივე ქვეყნის პირობების ცვლილებას იწვევენ. მეოთხეც, სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს თამაშობს გარე მიგრაციის დინების განსაზღვრაში, სხვა სახელმწიფოებთან ეკონომიკური, პოლიტიკური თუ

სტრატეგიული კავშირების ხელშეწყობით, რამაც შეიძლება ირიბი გზით გამოიწვიოს მიგრაცია. მეხუთეც, აუცილებელია იმ მექანიზმების განსაზღვრა, რომელთა გზით მაკროეკონომიკური დონე გავლენას ახდენს მიგრაციის გადაწყვეტილებაზე ინდივიდუალურ დონეზე. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია მიგრაციული ქსელები, რომლებიც შედგება მიგრანტებისგან, მათი ნათესავებისგან, მეგობრებისგან და ნაცნობებისგან, რომელთა სოციალური და ნათესაური ურთიერთობები მოქმედებს, როგორც კავშირები მიკროეკონომიკურ დონეზე მიგრაციის ქვეყანასა და მიგრანტის სამშობლოს შორის. სხვა მექანიზმები მოიცავენ დამქირავებელთა ინტერესებს, მულტინაციონალურ კორპორაციებს, საგანმანათლებლო ინსტიტუტებს, სამხედრო ერთეულებს და სხვებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანთა საერთაშორისო დინებაზე. შესაბამისად, სისტემური მიდგომა დაფუძნებულია მიგრაციული სისტემის, როგორც ქვეყნების ქსელის გაგებაზე, რომელთა შორის მიგრაცია დიდადაა განპირობებული მთელი რიგი ქსელების ფუნქციონირებით, რომლებიც აკავშირებენ მიგრაციის აგენტებს აგრეგაციის სხვადასხვა დონეზე.

ქვეყნების ჯგუფი ჩაითვლება სისტემის შემქმნელად იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. მათ მსგავსი პოზიცია აქვთ მიგრაციასთან დაკავშირებით; ისინი შეიძლება ჩაითვალოს მიგრაციის წყაროდ ან დანიშნულების ადგილად;

2. დანიშნულების ადგილად ჩათვლილი ქვეყნები გამოირჩევიან ეკონომიკური განვითარების ერთნაირი დონით, კულტურული განვითარების მაღალი დონითა და მსგავსი ინსტიტუციონალური სტრუქტურებით;

3. ისინი გამოირჩევიან ერთიანობით მიგრაციასთან დაკავშირებულ პოლიტიკაში და მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები აქვთ.

1.9. სტაციონარული და სტაბილური მოსახლეობის მოდელები

1.9.1. სტაციონარული მოსახლეობა

სტაციონარული მოსახლეობა არის მნიშვნელოვანი დემოგრაფიული მოდელი და წარმოადგენს სტაბილური მოსახლეობის მოდელის კერძო შემთხვევას. სტაციონარული მოსახლეობის მოდელი დამოუკიდებელია მოკვდაობის ცხრილის აგების პროცედურისგან და ამ მხრივ მოხერხებულია განვიხილოთ სტაციონარული მოსახლეობის მოდელი მოკვდაობის ცხრილის ჭრილში.

სტაციონარული მოსახლეობის მოდელის განსაზღვრება ეფუძნება სამ დემოგრაფიულ პირობას:

1. მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები მუდმივია კალენდარული დროის მიხედვით (არ არის მუდმივი ასაკის მიხედვით)

2. დაბადებულთა რაოდენობა მუდმივია კალენდარული დროის მიუხედავად. დაბადებულთა ერთი და იგივე რაოდენობა ემატება მოსახლეობას კალენდარული დროის ნებისმიერ ერთეულში (დროის ერთეული შეიძლება იყოს წელი, თვე ან დღე);

3. ყოველ ასაკობრივ ინტერვალში მიგრაციის ნეტო კოეფიციენტი უდრის ნულს, ანუ იგულისხმება, რომ გვაქვს ჩაკეტილი (დახურული) მოსახლეობა.

სტაციონარული მოსახლეობის მოდელსა და მოკვდაობის ცხრილს შორის ურთიერთკავშირის დასადგენად შემოვიტანოთ შემდეგი აღნიშვნები: დავუშვათ l_0 აღნიშნავს დაბადებულთა რაოდენობას სტაციონარულ მოსახლეობაში, მაშინ

მოკვდაობის ცხრილის სვეტები და ელემენტები სტაციონარული მოსახლეობის არსებობის შემთხვევაში მიიღებენ ახალ ინტერპრეტაციას:

l_x – x ასაკს მიღწეულ ინდივიდთა რაოდენობა ნებისმიერ კალენდარულ დროს, $l_x = l_0 \cdot {}_x p_0$;

${}_n L_x$ – $(x, x+n)$ ასაკობრივ ინტერვალში ცოცხალ ინდივიდთა რაოდენობა ნებისმიერ კალენდარულ დროს;

T_x – x ასაკს და x ასაკს ზემოთ მიღწეულ ინდივიდთა რაოდენობა ნებისმიერ კალენდარულ დროს;

${}_n d_x$ – გარდაცვალებათა წლიური რაოდენობა $(x, x+n)$ ასაკობრივ ინტერვალში;

e_0^0 – გარდაცვალების საშუალო ასაკი ნებისმიერ კალენდარულ დროს.

ერთ-ერთი ძნელად აღსაქმელი ფაქტია, თუ რატომ ემთხვევა სტაციონარული მოსახლეობის მოდელში l_0 დაბადებულთა კოჰორტის მიერ $(x, x+n)$ ასაკობრივ ინტერვალში ნაცხოვრებ ადამიან-წელიწადთა რაოდენობა ${}_n L_x$, $(x, x+n)$ ასაკობრივ ინტერვალში ცოცხალ ინდივიდთა რაოდენობას. ქვემოთ მოტანილ ცხრილ1.1.-ში განხილულია სტაციონარული მოსახლეობა, სადაც წლიური დაბადებების რაოდენობა არის 365000, ანუ სტაციონარული მოსახლეობის განმარტებიდან დღიურ დაბადებულთა რაოდენობა შეადგენს 1000-ს. დაბადებიდან x ასაკამდე (ცხრილში ასაკი გამოხატულია დღეებში) მიღწევის ალბათობა აღნიშნულია ${}_x p_0$-ით. ამ დაშვებების თანახმად და მიგრაციის არარსებობის შემთხვევაში მოსახლეობის სიდიდე და სტრუქტურა ცხოვრების პირველ წელიწადს იქნება მუდმივი, რაც ნათლად ჩანს 1 იანვარს დაბადებულ კოჰორტაზე თვალის მიდევნებით.

ცხრილი 1.1.

ასაკი დღეების მიხედვით x	x ასაკამდე მიღწევის ალბათობა	1 იანვარი	2 იანვარი	3 იანვარი	4 იანვარი	5 იანვარი	6 იანვარი	...	31 დეკემბერი
0	1.000	1000	1000	1000	1000	1000	1000	...	1000
1	0.970		970	970	970	970	970	...	970
2	0.950			950	950	950	950	...	950
3	0.946				946	946	946	...	946
4	0.942					942	942	...	942
.	.							...	.
.	.							...	.
365	0.900							...	900

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ კონკრეტულ ასაკამდე მიღწეულ ინდივიდთა რაოდენობა მუდმივია კალენდარული დროის მიხედვით. მუდმივობა შედეგია ყოველწლიურად მუდმივ დაბადებულთა რაოდენობის ნამრავლისა ყოველწლიურად მუდმივ კონკრეტულ ასაკამდე ცოცხლადობის ალბათობაზე.

0-დან 1-წლამდე ინტერვალში ცოცხლადმყოფ ინდივიდთა რაოდენობა ${}_1N_0$ ტოლია:

$$ {}_1N_0 = 1000 + 970 + 950 + \cdots + 900 $$

ცხოვრების პირველ წელს დაბადებულთა კოჰორტის მიერ ნაცხოვრებ ადამიან-წელთა რაოდენობა ტოლია დღიური კოჰორტების მიერ ნაცხოვრებ ადამიან-წელთა რაოდენობისა 365-ზე ნამრავლისა. ყოველი დღიური კოჰორტა 1-ელ იანვარს იცხოვრებს 1000(1/365) ადამიან-წელიწადს, 2 იანვარს იცხოვრებს 970(1/365) ადამიან-წელიწადს და ა.შ. 31 დეკემბერს იცხოვრებს 900(1/365) ადამიან-წელიწადს. ამგვარად, წლიური კოჰორტის მიერ ცხოვრების პირველ წელიწადს ნაცხოვრები ადამიან-წელიწადი იქნება:

$$ {}_1L_0 = 365 \cdot [1000/365 + 970/365 + 950/365 + \ldots + 900/365] = 1000 + 970 + 950 + \ldots + 900 $$

ამგვარად, ${}_1N_0 = {}_1L_0$. ანუ დამტკიცდა სტაციონარული მოსახლეობისათვის დამახასიათებელი თვისება: წლიური კოჰორტის მიერ ნაცხოვრებ ადამიან-წელიწადთა რაოდენობა ყოველ ასაკობრივ ინტერვალში ემთხვევა ამ ასაკობრივ ინტერვალში ცოცხლადდარჩენილ ინდივიდთა რაოდენობას ნებისმიერ კალენდარულ დროს. მოკვდაობის ცხრილის აღნიშვნებით შევეცადოთ აღვწეროთ სტაციონარული მოსახლეობის ინდიკატორები. როგორც ცნობილია შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (შ.ზ.კ.) ტოლია დაბადებულთა რაოდენობა შეფარდებული მოსახლეობის მთლიან რაოდენობასთან, ანუ მოკვდაობის ცხრილის აღნიშვნებით სტაციონარული მოსახლეობის შემთხვევაში შ.ზ.კ. $= \frac{l_0}{T_0}$, რადგან სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაბადებისას ტოლია $\frac{T_0}{l_0}$-ის, შ.ზ.კ. $= \frac{1}{e_0^0}$, ანუ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი წარმოადგენს დაბადებისას სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შებრუნებულ სიდიდეს. ქვემოთ მოტანილ თეორიულ მაგალითში ნათლად ჩანს შ.ზ.კ. $= \frac{1}{e_0^0}$ კავშირი: წარმოვიდგინოთ მოსახლეობა, სადაც 60 წლის ასაკამდე მოკვდაობას ადგილი არა აქვს, 60 წლის ზემოთ ვერავინ ვერ მიაღწევს. წლიურად დაბადებულთა რაოდენობა აღვნიშნოთ B-თი, მაშინ მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა იქნება $60 \cdot B$, შესაბამისად შობადობის ზოგადი კოეფიციენტი კი $\frac{B}{60 \cdot B} = \frac{1}{60}$. ჩვენს მიერ მოტანილ მაგალითში ყოველი დაბადებული ცხოვრობს 60 წელს, მოსახლეობის ყოველი ნაცხოვრები 60 ადამიან-წელიწადი ყოველწლიურად წარმოშობს ერთ დაბადებულს.

რადგან სტაციონარულ მოსახლეობაში მოსახლეობის რაოდენობა ყოველ ასაკში დროში მუდმივია, შესაბამისად მოსახლეობის მთლიანი რაოდენობაც მუდმივია, აქედან გამომდინარე მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი დაემთხვევა შობადობის ზოგად კოეფიციენტს და უდრის $\frac{1}{e_0^0}$-ს.

რადგან სტაციონარულ მოსახლეობაში x ასაკს მიღწეულ ინდივიდთა რაოდენობა l_x ყოველწლიურად მუდმივია, მაშინ ეს რაოდენობა ყოველწლიურად უნდა გაუტოლდეს x და უფროს ასაკში გარდაცვლილთა რაოდენობას. ამიტომ:

$$_{\infty}M_x = \frac{l_x}{T_x} = \frac{1}{[T_x / l_x]} = \frac{1}{e_x^0},$$

რაც ნიშნავს, რომ სტაციონარულ მოსახლეობაში, მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტი ღია ინტერვალში ტოლია x ასაკს მიღწეულთათვის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შებრუნებულის.

სტაციონარულ მოსახლეობაში $(x, x+1)$ ასაკობრივ ინტერვალში ცოცხალ ინდივიდთა პროპორცია ტოლია:

$$_1C_x^S = \frac{_1L_x}{T_0} = \frac{_1L_x}{l_0} \cdot \frac{l_0}{T_0} \approx \frac{l_{x+0.5}}{l_0} \cdot \text{შ.ზ.კ.}$$

როგორც ზემოთ დავინახეთ სტაციონარული მოსახლეობის მოდელში გამოჩნდა ძალიან საინტერესო კავშირი ისეთ დემოგრაფიულ მახასიათებლებს შორის, როგორიცაა: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, შობადობა, მოკვდაობა და ასაკობრივი სტრუქტურა. ამ კავშირის სიცხადე არის ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ ენიჭება ასეთი მნიშვნელობა სტაციონარული მოსახლეობის მოდელს. ქვემოთ მოტანილი ცხრილი განიხილავს საქართველოში მამაკაცების მოკვდაობას 2005 წელს, როგორც სტაციონარულ მოსახლეობას.

ცხრილი 1.2.

დაბადებულთა და გარდაცვლილთა წლიური რაოდენობა $= l_0 = 100000$;
ინდივიდთა რაოდენობა, რომლებმაც მიაღწიეს 20 წელს ნებისმიერ კალენდარულ წელს $= l_{20} = 96371$;
30-დან 35 წლის ასაკამდე ინტერვალში ცოცხალ ინდივიდთა რაოდენობა $= {}_5l_{30} = 470963$;
60 და უფრო ასაკის მქონე ინდივიდთა რაოდენობა $= T_{60} = 1224962$;
მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა $= T_0 = 6732997$;
გარდაცვლილთა საშუალო ასაკი $= e_0^0 = 67.33$;
შ.ზ.კ. = მ.ზ.კ = $\frac{1}{e_0^0} = 1/67.33 = 0.0149$;
60 წლის ზევით მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტი $= \frac{1}{e_{60}^0} = \frac{1}{16.79} = 0.0596$
25-დან 30 წლამდე ასაკის ინდივიდთა პროპორცია $\frac{{}_5L_{25}}{T_0} = \frac{476703}{6732997} = 0.0708$

1.9.2 სტაბილური მოსახლეობა

სახელმძღვანელოს მოცემულ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ ისეთ მნიშვნელოვან დემოგრაფიულ მოდელს, როგორიცაა სტაბილური მოსახლეობის მოდელი. სტაციონარული მოსახლეობის მოდელი წარმოადგენს სტაბილური მოსახლეობის მოდელის კერძო შემთხვევას. ორივე მოდელს ახასიათებს მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების მუდმივობა და მიგრაციის არარსებობა კალენდარული დროის ნებისმიერ მომენტში. განსხვავება ისაა, რომ სტაბილური მოსახლეობის მოდელში დაბადებულთა რაოდენობა კალენდარული დროის მიხედვით იზრდება

ექსპონენციალურად (ანუ ყოველწლიური ბუნებრივი მატების კოეფიციენტი არის მუდმივი):

$$B(t) = B(0) \cdot e^{rt},$$

სადაც B-თი აღნიშნულია დაბადებულთა რაოდენობა, t-თი კი კალენდარული დრო.

სტაბილური მოსახლეობის მოდელის უკეთ გასაგებად განვიხილოთ თეორიული, "არაჰუმანური" მოსახლეობის მაგალითი, რომელშიც ვერცერთი ინდივიდი ვერ აღწევს 5 წლის ასაკს. ჰიპოთეზური მოკვდაობის ცხრილი გამოიყურება შემდეგნაირად (იხ. ცხრილი 1.3.):

საილუსტრაციო მოდელში დავუშვათ, რომ 1800 წლის 1 იანვარს დაბადებულთა რაოდენობამ შეადგინა 1000, ცხრილში წარმოდგენილი $\frac{l_a}{l_0}$ სვეტის მიხედვით 1801 წლის 1 იანვარს 1 წლის ასაკს მიაღწევს 600 ინდივიდი ($1000 \cdot 0.6$), 1802 წლის 1 იანვარს 2 წლის ასაკს მიაღწევს 400 ინდივიდი ($1000 \cdot 0.4$) და ა.შ.

ცხრილი 1.3.

a ასაკი	l_a	$\frac{l_a}{l_0}$
0	100000	1
1	60000	0.6
2	40000	0.4
3	20000	0.2
4	5000	0.05
5	0	0

ცხრილი 1.4.

ასაკი	1800/01/01	1801/01/01	1802/01/01	1803/01/01	1804/01/01	1805/01/01	1806/01/01
0	1000	1000·e	$1000 \cdot e^{2r}$	$1000 \cdot e^{3r}$	$1000 \cdot e^{4r}$	$1000 \cdot e^{5r}$	$1000 \cdot e^{6r}$
1			$600 \cdot e^{r}$	$600 \cdot e^{2r}$	$600 \cdot e^{3r}$	$600 \cdot e^{4r}$	$600 \cdot e^{5r}$
2			400	$400 \cdot e^{r}$	$400 \cdot e^{2r}$	$400 \cdot e^{3r}$	$400 \cdot e^{4r}$
3				200	$200 \cdot e^{r}$	$200 \cdot e^{2r}$	$200 \cdot e^{3r}$
4					50	$50 \cdot e^{r}$	$50 \cdot e^{2r}$
5						0	0

ცხრილში ნათლად არის ნაჩვენები 1800 წლის 1 იანვარს დაბადებული კოჰორტა წლების მიხედვით, რომელიც ცხრილში განლაგებულია ქვემოდან პირველ დიაგონალზე. რადგან დაბადებულთა რაოდენობა კალენდარული დროის მიხედვით იზრდება ექსპონენციალურად r მუდმივი ბუნებრივი მატების კოეფიციენტით, 1801 წლის 1 იანვარს დაბადებულთა რაოდენობა იქნება $1000 \cdot e^{r}$, ამ კოჰორტას თუ დავაკვირდებით, 1802 წლის 1 იანვარს ამ კოჰორტიდან 1 წლის ასაკს მიაღწევს $1000 \cdot e^{r} \cdot 0.6$, 1803 წლის 1 იანვარს 2 წლის ასაკს მიაღწევს $1000 \cdot e^{r} \cdot 0.4$ და ა.შ. (იხ. ცხრილი, ქვემოდან მეორე დიაგონალი). 1802 წლის 1

იანვარს დაბადებულთა კოჰორტა $1000 \cdot e^{2r}$ დაბადებულთა რაოდენობით განლაგდება ცხრილის ქვემოდან მესამე დიაგონალზე და ა.შ.

თუ შევადარებთ 1805 წლის 1 იანვრის მოსახლეობას 1806 წლის 1 იანვრის მოსახლეობასთან, დავინახავთ, რომ ყოველ ასაკობრივ ინტერვალში 1806 წელს e^r-ჯერ მეტი მოსახლეობაა, ვიდრე 1805 წელს, ანუ 1806 წლის მოსახლეობა პროპორციონალურია 1805 წლის მოსახლეობის, პროპორციონალურობის კოეფიციენტი კი მუდმივია კალენდარული დროის მიხედვით. პროპორციონალურობის კოეფიციენტს ასაკის კომპოზიციასაც უწოდებენ.

რადგან შობადობა ყოველწლიურად იზრდება r მუდმივი ბუნებრივი მატების კოეფიციენტით და მთლიანი მოსახლეობა იგივე კოეფიციენტით იზრდება 1805 წლიდან, ცხადია ამ პერიოდიდან მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტიც, როგორც სხვაობა შობადობის ზოგად კოეფიციენტსა და ბუნებრივი მატების კოეფიციენტს შორის იქნება ასევე მუდმივი.

ცხრილში მოსახლეობა 1805 წლიდან დაწყებული არის სტაბილური მოსახლეობა. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის რაოდენობა იზრდება, მას გააჩნია კალენდარულ დროსთან მიმართებაში მუდმივი შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, მუდმივი მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი და მუდმივი ბუნებრივი მატების კოეფიციენტი. სტაბილური მოსახლეობა ყოველ ასაკობრივ ინტერვალში იზრდება ერთი და იგივე პროპორციით, რომელიც თავის მხრივ ემთხვევა წლიური შობადობების ზრდის პროპორციას. ეს მახასიათებლები გაყვება სტაბილურ მოსახლეობას ბოლომდე, სანამ არ მოხდება მოსახლეობის დესტაბილიზაცია გამოწვეული შობადობის ზრდის ცვლილებით ან მოკვდაობის კოეფიციენტების ცვლილებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტაბილური მოსახლეობის ასაკის კომპოზიცია განისაზღვრება ორი ფაქტორით: არსებული მოკვდაობის ცხრილის მახასიათებლებით და შობადობის წლიური ზრდის კოეფიციენტით. ამის საილუსტრაციოდ 1805 წლის 1 იანვრის მეზობელი ასაკობრივი ინტერვალის მოსახლეობის რაოდენობა გავყოთ დაბადებულთა რაოდენობაზე (იხ. ცხრილი):

$$\frac{N(1)}{B} = e^{-r} \cdot p(1) \qquad \frac{N(2)}{B} = e^{-r} \cdot p(2),$$

სადაც $N(1)$ და $N(2)$ აღნიშნავს 1 წლის და შესაბამისად 2 წლის ასაკს მიღწეულ ინდივიდთა რაოდენობას. როგორც ფორმულებიდან ჩანს 1 წლის ასაკს მიღწეულ ინდივიდთა რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე დაბადებულთა რაოდენობა არა მხოლოდ იმიტომ, რომ დაბადებულთა რაოდენობიდან ზოგმა ვერ მიაღწია ერთი წლის ასაკს ($p(1)$ 1 წლამდე მიღწევის ალბათობა არ აღემატება 1-ს), არამედ იმიტომაც, რომ ერთი წლის ინდივიდები ეკუთვნიან 1804 წლის დაბადებულთა კოჰორტას, რომლის დაბადებულთა რაოდენობაც ნაკლებია 1805 წლის დაბადებულებზე e^{-r}-ჯერ (დაშვების თანახმად r დადებითია). 1805 წელს ორი წლის ასაკს მიღწეულთა რაოდენობა კიდევ უფრო მცირეა 1805 წელს დაბადებულთა რაოდენობასთან შედარებით, რაც აიხსნება იმით, რომ ბევრმა ვერ მიაღწია ორი წლის ასაკს და 1803 წელს დაბადებულთა რაოდენობაც ნაკლებია 1805 წლის დაბადებულებზე e^{-2r}-ჯერ. $p(2) = p(1) \cdot {}_1p_1$.

თუ შევაფარდებთ 1805 წელს ორი წლის ასაკს მიღწეულთა რაოდენობას, ერთი წლის ასაკს მიღწეულთა რაოდენობასთან, მივიღებთ:

$$\frac{N(2)}{N(1)} = e^{-r} \cdot {}_1p_1,$$

აქაც ცხადია, რომ ახალგაზრდა კოჰორტა უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე მომდევნო კოჰორტათა რაოდენობა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრმა ვერ მიაღწია უფროს ასაკს, არამედ იმიტომაც, რომ განსხვავება იყო დაბადებულთა

რაოდენობაშიც. სწორედ ასეთი ზრდადობის ფაქტორი და არა მაღალი მოკვდაობა არის მნიშვნელოვანი მიზეზი განვითარებად ქვეყნებში ახალგაზრდა ასაკობრივი სტრუქტურისა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით.

1804 წლის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია გამოვსახოთ t დროში a ასაკს მიღწეულ ინდივიდთა რაოდენობის კავშირი t დროში დაბადებულთა $B(t)$ რაოდენობის საშუალებით:

$$N(a,t) = B(t) \cdot e^{-ra} \cdot p(a)$$

ფორმულის ტოლობის ორივე მხარეს თუ გავყოფთ $N(t)$-ზე, მივიღებთ:

$$c(a,t) = b(t) \cdot e^{-ra} \cdot p(a),$$

სადაც $c(a,t)$ არის t დროში a ასაკს მიღწეულ ინდივიდთა პროპორცია, $b(t)$ კი შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, მაგრამ, როგორც ჩვენ შევნიშნეთ, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი დროში მუდმივია 1804 წლიდან, ანუ $b(t) = b$ და $c(a,t) = b \cdot e^{-ra} \cdot p(a) = c(a)$. როგორც ბოლო ფორმულიდან ჩანს ასაკის კომპოზიცია მუდმივია და გამოისახება შობადობის ზოგადი კოეფიციენტით, ბუნებრივი მატების კოეფიციენტით და ცოცხლადობის ალბათობით, ანუ თუ მოსახლეობა სტაბილურია, გვაქვს ცხადი, კომპაქტური და გამოყენების თვალსაზრისით ძალიან სასარგებლო კავშირი დემოგრაფიულ პროცესებს შორის. ეს ურთიერთკავშირი არსებობს სტაციონარული მოდელისთვისაც, რომელიც უფრო მარტივი მოდელია და მისთვის ფორმულაში r უდრის ნულს.

2. ინფორმაციის წყაროები მოსახლეობის შესახებ

მოსახლეობასა და მოსახლეობაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების შესახებ ინფორმაციის რამდენიმე წყარო არსებობს. მათ შორის აღსანიშნავია მოსახლეობის აღწერები, დემოგრაფიულ შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვა, მოსახლეობის რეგისტრები და მოსახლეობის შერჩევითი გამოკვლევები.

2.1. მოსახლეობის აღწერა

მოსახლეობის აღწერა წარმოადგენს განსაზღვრული დროისათვის ქვეყნის ან მისი რომელიმე ნაწილის თითოეულ მცხოვრებზე დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ცნობების შეკრებას. ზოგჯერ ცნება – „მოსახლეობის აღწერა" შეიცავს აგრეთვე მონაცემთა დამუშავებასა და გამოქვეყნებას. გაერო-ს სტატისტიკური კომისიის განსაზღვრით, მოსახლეობის აღწერა წარმოადგენს დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და სოციალურ მონაცემთა შეკრების, განზოგადების, შეფასების, ანალიზისა და გამოქვეყნების, ან სხვა სახით გავრცელების ერთიან პროცესს, რომელიც გარკვეული დროისათვის ეხება ქვეყანაში მყოფ ყველა პირს ან ქვეყნის განსაზღვრულ ნაწილს. მოსახლეობის აღწერის მიზანია სქესისა და ასაკის, სოციალური, ქორწინებითი და ოჯახური მდგომარეობის, ეროვნული კუთვნილებისა და სხვათა მიხედვით მცხოვრებთა საერთო რაოდენობის, მათი შემადგენლობის, დასახლებულ პუნქტებს შორის მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება – განაწილების, მათი განათლების დონის, პროფესიისა და საქმიანობის და ა.შ. შესახებ ცნობების დადგენა. ასეთი ცნობების შეგროვებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების განსაზღვრისათვისა და განვითარებისათვის, მოსახლეობის მეცნიერული შესწავლისათვის და სხვა.

მოსახლეობის აღწერა წარმოებს პერიოდულად, წინასწარ განსაზღვრულ დროს. აღწერის თარიღის დადგენისას წლის ისეთი დრო უნდა შეირჩეს, როცა მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილება მინიმალურია. წინასწარ შედგენილი პროგრამა ითვალისწინებს აღწერის მომზადებისა და ჩატარების ღონისძიებებს; მუშავდება სააღწერო ფურცელი, რომელშიც ჩამოთვლილია ყველა კითხვა, რომელზეც უნდა უპასუხოს თითოეულმა სრულწლოვანმა პირმა თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე. მცირეწლოვანების შესახებ ცნობებს იძლევიან მათი მშობლები ან ახლობლები. ყველა ცნობა იკრიბება დროის გარკვეული მომენტის, ე.წ. კრიტიკული მომენტის მიხედვით. აღწერა წარმოებს წინასწარ მომზადებული, სპეციალურად გამოყოფილი აღმწერების მიერ. როგორც წესი, მოსახლეობის აღწერას აწარმოებენ ოჯახების შემოვლისა და გამოკითხვის გზით. ზოგჯერ ცნობები მიიღება ფოსტით დაგზავნილი კითხვარების პასუხებით, ან სარეგისტრაციო პუნქტში, სადაც მცხოვრებლები უნდა გამოცხადდნენ გარკვეულ დროს. საჭირო ცნობათა წრე განისაზღვრება აღწერის პროგრამით.

აღწერის მომზადება და ჩატარება მოითხოვს კარგ ორგანიზაციას, პუნქტუალობას, სიზუსტეს, რათა შეკრებილი ცნობები მაქსიმალურად ასახავდეს რეალურ სურათს (არ შეიძლება ვინმეს გამოტოვება ან მეორედ აღრიცხვა). აღწერის შედეგები მუშავდება გარკვეული პროგრამის საფუძველზე. წარმოებს აღწერის ფურცლებში შესული ერთგვაროვანი ცნობების კოდირება, რაც აღწერის მასალების ელექტრონული დამუშავების საშუალებას იძლევა.

2.1.1. მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებული საკითხები

მოსახლეობის აღწერებისას გამოყოფენ აღრიცხული მოსახლეობის შემდეგ ***კატეგორიებს: მუდმივი მოსახლეობა, ფაქტობრივი მოსახლეობა და იურიდიული მოსახლეობა***. უმრავლეს შემთხვევაში მოსახლეობის აღწერისას ითვალისწინებენ

მუდმივ, ან ფაქტობრივ მოსახლეობას, ან ორივეს. იურიდიული მოსახლეობა მოსახლეობის აღწერებისას ძალიან იშვიათად აღირიცხება.

მუდმივი მოსახლეობა მოსახლეობის ძირითადი კატეგორიაა, რომელიც აერთიანებს ადამიანთა ერთობლიობას, რომლისთვისაც მოცემული დასახლებული პუნქტი ან ტერიტორია მოცემული დროისათვის წარმოადგენს ჩვეულებრივი ბინადრობის ადგილს. მუდმივი მოსახლეობა აღირიცხება მოსახლეობის აღწერებისას XIX საუკუნის შუა პერიოდიდან დაწყებული. მუდმივი ბინადრობის განსაზღვრის კრიტერიუმები იცვლებოდა დროთა განმავლობაში და განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.

ფაქტობრივი მოსახლეობა მოსახლეობის ძირითადი კატეგორიაა, რომელიც აერთიანებს ადამიანების ერთობლიობას, რომელიც აღწერის მომენტში მოცემულ დასახლებულ პუნქტში ან მოცემულ ტერიტორიაზე იმყოფება. ფაქტობრივი მოსახლეობა აღირიცხება მოსახლეობის აღწერებისას ა. კეტლეს მიერ ბელგიაში 1846 წელს ჩატარებული აღწერიდან მოყოლებული.

ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში ფაქტობრივი მოსახლეობის ნაცვლად ხშირად არასწორად გამოიყენება ტერმინი "სახეზე მყოფი მოსახლეობა".

იურიდიული მოსახლეობა მოსახლეობის კატეგორიაა, რომელიც აერთიანებს მოცემულ დასახლებულ პუნქტთან რეგისტრაციის რომელიმე წესით დაკავშირებულ ადამიანთა ერთობლიობას (მაგ. ჩაწერით). იურიდიული მოსახლეობა არ არის მუდმივი და ფაქტობრივი მოსახლეობის შესატყვისი, ვინაიდან ეს უკანასკნელი ორი კატეგორია გამოიყოფა ადამიანთა ბინადრობის ფაქტობრივი ხასიათის საფუძველზე და არა მისი ადმინისტრაციული გაფორმების მიხედვით.

მოსახლეობის აღწერის ხანგრძლივობა წარმოადგენს პერიოდს, რომლის განმავლობაში ტარდება მოსახლეობის აღწერა. მოსახლეობის აღწერის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს ერთი დღე (ერთდღიანი აღწერისას), რამდენიმე დღე ან კვირა.

მოსახლეობის ერთდღიანი აღწერა წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობის აღწერას, რომელიც ერთი დღის განმავლობაში ტარდება. მოსახლეობის ერთდღიანი აღწერის მიზანია მოსახლეობის "მომენტალური სურათის" მიღება, რომელიც მუდმივად იცვლება დაბადებათა და გარდაცვალებათა შედეგად. ამასთან, ჩვეულებრივ მოსახლეობის გამოკითხვა და სააღწერო ფურცლების შევსება წინასწარ წარმოებს, ხოლო აღწერის დღეს აღმწერები ხელახლა შემოივლიან სახლებს, ამოშლიან გარდაცვლილებს და ჩაწერენ დაბადებულებს. ამით ცნობები მოსახლეობის რაოდენობის შესახებ დაიყვანება მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტის მდგომარეობამდე. მოსახლეობის ერთდღიანი აღწერა რთულია ჩვეულებრივზე, ვინაიდან საჭიროებს ყოველი ოჯახის ორჯერად შემოვლას და შესაბამისად აღმწერების დიდ რიცხვს.

პირველი მოსახლეობის ერთდღიანი აღწერა ჩატარებულ იქნა ბელგიაში 1846 წელს ადოლფ კეტლეს ხელმძღვანელობით, რომელსაც ეკუთვნის ერთდღიანი აღწერის იდეა.

მოსახლეობის საცდელი აღწერა წარმოადგენს ქვეყნის მცირე ნაწილის მოსახლეობის მთლიან გამოკვლევას, რომელიც ტარდება მოსახლეობის აღწერის მეთოდის, მისი ინსტრუმენტარის, კითხვათა ფორმულირების, ცნობათა შეკრების ორგანიზაციის წესის, აღწერაში მონაწილე პერსონალის დატვირთვისა და მოსახლეობის მოსალოდნელი აღწერის სხვა მეთოდური და ორგანიზაციული საკითხების შესამოწმებლად. ჩვეულებრივ, მოსახლეობის საცდელი აღწერა ტარდება ქვეყნის რამდენიმე რაიონში, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან ბუნებრივ-სამეურნეო პირობებით, მოსახლეობის შემადგენლობითა და მოსახლეობის ტერიტორიული განსახლების ხასიათით.

მოსახლეობის აღწერის თარიღი ეს არის მოსახლეობის აღწერის დაწყების წელი, თვე და პირველი დღე. აღწერის თვის დადგენისას ისეთი დრო უნდა შეირჩეს, როცა მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილება მინიმალურია.

ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის აღწერის თარიღად იღებენ 1 იანვარს (მაგ., უნგრეთი) ან 31 დეკემბერს (მაგ., ბელგია, ესპანეთი), რაც მოსახერხებელია დემოგრაფიული გაანგარიშებებისათვის.

საქართველოში, ბოლო პერიოდში, ჩატარებული აღწერებისას მოსახლეობის აღწერის თარიღად აღებულ იქნა იანვრის შუა რიცხვები.

მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტი წარმოადგენს მთელი ქვეყნისათვის ერთიანი დროის ზუსტ მომენტს, რომელსაც შეესაბამება მოსახლეობის აღწერისას შესაკრები ცნობები. მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტის დადგენა შესაძლებლობას იძლევა მიღებულ იქნას მოსახლეობის მომენტალური სურათი. ადამიანები იბადებიან, კვდებიან, ქორწინდებიან, განქორწინდებიან, იცვლიან თავიანთ სოციალურ მდგომარეობას, გადაადგილდებიან ერთი ადგილიდან მეორეში და სხვა. ყოველი დღის ბოლოსათვის მოსახლეობა უკვე ის არ არის, რაც დილისათვის იყო. მოსახლეობის აღწერის კრიტიკულ მომენტს აქვს მნიშვნელობა ერთდღიანი მოსახლეობის აღწერის დროსაც და მით უფრო მაშინ, როდესაც მოსახლეობის აღწერა გრძელდება რამდენიმე დღეს. მოსახლეობის აღწერის ყველა დღის განმავლობაში სააღწერო ფურცლებში ჩაიწერება ცნობები ქვეყნის ყველა მცხოვრების შესახებ მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტის მდგომარეობის მიხედვით.

ჩვეულებრივ, მოსახლეობის აღწერის კრიტიკულ მომენტად მიიჩნევენ შუაღამეს მოსახლეობის აღწერის პირველი დღის წინ. ეს აიხსნება იმით, რომ მოსახლეობას აღწერენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და ადამიანთა უმრავლესობა შუაღამისას იმყოფება სახლში.

უკვე XX საუკუნის ბოლოს მსოფლიოში მოსახლეობათა აღწერების უმრავლესობა ითვალისწინებდა მოსახლეობის აღწერის კრიტიკულ მომენტს. მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებში (აშშ, ფინეთი) მოსახლეობის აღწერის თარიღს ადგენენ გარკვეული დღით, მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტის გარეშე.

XX საუკუნიდან მოყოლებული საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის ყველა აღწერისას მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტად მიჩნეულ იქნა აღწერის პირველი დღის წინა შუაღამე.

მოსახლეობის აღწერის (სააღწერო) უბანი მოსახლეობის აღწერისას პირობითად გამოყოფილი ტერიტორიაა, რომელთა მცხოვრებლების შესახებ შეკრებენ ცნობებს ან მათ შეკრებას ხელმძღვანელობს აღმწერი (რამდენიმე აღმწერს ხელმძღვანელობს ინსტრუქტორ-კონტროლიორი). მოსახლეობის აღწერის უბანი წარმოადგენს სააღწერო დარაიონების ერთ-ერთ ელემენტს. მოსახლეობის აღწერის უბნებად იყოფა მთელი ქვეყნის დასახლებული ტერიტორია. მოსახლეობის აღწერის უბნები იქმნება აგრეთვე შორეული მგზავრობის მატარებლებში, გემებზე და სხვა. მოსახლეობის აღწერის უბნების საშუალო ზომები დამოკიდებულია აღწერის პროგრამაზე, ჩატარების მეთოდსა და ვადებზე. ისინი განისაზღვრება მოსახლეობის რაოდენობის მიმდინარე შეფასების საფუძველზე და, როგორც წესი, მოიცავს კომპაქტურ ტერიტორიას – ქალაქურ დასახლებებში ერთ ან რამდენიმე კვარტალს, სასოფლო დასახლებებში – მის ნაწილს, მთლიანად ერთ დასახლებას ან რამდენიმე მცირე დასახლებულ პუნქტს.

სააღწერო დარაიონება წარმოადგენს რაიონის (ქალაქის) ტერიტორიის დაყოფას სხვადასხვა რანგის უბნებად მოსახლეობის აღწერის ჩატარებისათვის საჭირო სამუშაოს ორგანიზაციისათვის. სააღწერო დარაიონება წარმოებს რაიონის რუკების, ქალაქის კვარტალების გეგმებისა და მოსახლეობის რაოდენობის არსებულ შეფასებათა საფუძველზე.

სააღწერო დარაიონების მიზანია – სრულად მოიცვას მოსახლეობა, რაციონალურად განალაგოს პერსონალი სააღწერო უბნებზე მუშაობისათვის, შეამსუბუქოს მოსახლეობის აღწერის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა, უზრუნველყოს მოსახლეობის აღწერის მასალების წინასწარი დათვლა და მათი წარმოდგენა დამუშავებისათვის. სააღწერო დარაიონების საფუძველს წარმოადგენს სააღწერო პერსონალზე დატვირთვის მიღებული ნორმები. საქართველოში ჩატარებული აღწერებისას ერთ სააღწერო განყოფილებაზე მოდიოდა 6-8 საინსტრუქტორო უბანი, ერთ საინსტრუქტორო უბანზე – 4-5 სააღწერო უბანი, ერთ სააღწერო უბანზე – 550-650 მოსახლე.

მოსახლეობის აღწერის ინსტრუმენტარი დოკუმენტთა ერთობლიობაა, რომელიც განკუთვნილია მოსახლეობის შესახებ მონაცემების შეკრებისა და წინასწარი შედეგების შეჯამებისათვის. ასეთ დოკუმენტებად მიიჩნევენ: 1) მოსახლეობის აღწერის ფურცლებს, გამოკვლევის ბლანკებს და მოსახლეობის აღწერის პროგრამით გათვალისწინებულ სხვა ბლანკებს; 2) მონაცემთა შეკრების ორგანიზებისა და აღრიცხვის სისრულის უზრუნველყოფისათვის საჭირო დოკუმენტებს; 3) შედეგების შეჯამებისათვის საჭირო მასალებს, წინასწარი შედეგების ჩათვლით.

ანსხვავებენ ძირითად და მოსახლეობის აღწერის დამხმარე ინსტრუმენტარს. ძირითადს მიეკუთვნება პროგრამით გათვალისწინებულ კითხვებზე პასუხების ჩაწერისათვის საჭირო ბლანკები და ინსტრუქცია მათი შევსებისათვის. დანარჩენი ინსტრუმენტარი მიჩნეულია დამხმარედ.

მოსახლეობის აღწერის (სააღწერო) ფურცელი წარმოადგენს მოსახლეობის აღწერის ძირითად დოკუმენტს. ის წარმოადგენს ბლანკს, აღწერის პროგრამის შესაბამისად, მასში დაბეჭდილ კითხვებზე პასუხების ჩაწერისათვის. მოსახლეობის აღწერის მეთოდის, გამოკითხვისა და მასალის დამუშავების მიხედვით განასხვავებენ ინდივიდუალური და სიობრივი ფორმის მოსახლეობის აღწერის ფურცლებს. მოსახლეობის აღწერის ინდივიდუალური ფურცელი განკუთვნილია ერთი ადამიანის შესახებ ცნობების ჩაწერისათვის, ხოლო სიობრივი მოსახლეობის აღწერის ფურცელში ჩაიწერება ცნობები რამდენიმე ადამიანის შესახებ. თანამედროვე მოსახლეობის აღწერებისას სიობრივი მოსახლეობის აღწერის ფურცელი გამოიყენება სრული აღწერისათვის, ხოლო მოსახლეობის აღწერის ინდივიდუალური ფურცელი – შერჩევითი აღწერისათვის.

მოსახლეობის აღწერის პროგრამა ადამიანების, ოჯახების მახასიათებელი ნიშნების ნუსხაა ან ცნობები მათ შესახებ, რომლებიც გროვდება მოსახლეობის აღწერისას. მოსახლეობის აღწერის პროგრამის შესაბამისად აღწერის ფურცელში და სხვა სტატისტიკურ ფორმულარებში შეიტანება კითხვები, რომლებიც ასახავენ: 1) სამისამართო ცნობებს; 2) მოსახლეობის კატეგორიას; 3) დემოგრაფიულ ნიშნებს (სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა); 4) მოქალაქეობას, ეროვნებას, სარწმუნოებას; 5) მოსახლეობის განათლების დონეს; 6) სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს (დასაქმება, სამუშაო ადგილი, არსებობის საშუალებათა წყაროები, საზოგადოებრივი ჯგუფი და სხვა); 7) ქორწინებასა და შობადობას; 8) მიგრაციას (დაბადების ადგილი, ბინადრობის ადგილი გარკვეული დროის უკან და სხვ.) და სხვა. თანამედროვე მოსახლეობის აღწერის პროგრამები ფართოვდება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების, შემადგენლობის, შობადობის, მიგრაციისა და მოსახლეობის რაოდენობის პროგნოზირების შესწავლისა და დადგენის მიზნით. მოსახლეობის ზოგიერთი ჯგუფისათვის, სხვებთან შედარებით, მოსახლეობის აღწერის პროგრამა უფრო ვრცელია. მაგ., ქორწინებაში მყოფებს ეკითხებიან ქორწინების რიგითობას და დაქორწინების თარიღს; ქალებს – დაბადებული ბავშვების რაოდენობის შესახებ და სხვა. მოსახლეობის აღწერის პროგრამა დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ვითარებაზე. ქვეყნებში სადაც ადგილი აქვს

ინტენსიურ მიგრაციულ პროცესებს უფრო დაწვრილებით შეისწავლება მიგრაცია. ქვეყნებში, სადაც მაღალია ან დაბალი მოსახლეობის მატების ტემპი მეტ ყურადღებას უთმობენ შობადობას. იმ ქვეყნებში, სადაც სათანადო დონეზე არ იმყოფება დემოგრაფიული შემთხვევების მიმდინარე აღრიცხვა (ძირითადად განვითარებადი ქვეყნები) მოსახლეობის აღწერის პროგრამაში აქცენტი ამ უკანასკნელზეა გადატანილი.

თვითაღრიცხვა მოსახლეობის აღწერის ან მოსახლეობის გამოკვლევის ჩატარებისას მონაცემთა მოპოვების მეთოდია, რომლის დროსაც პასუხებს დასმულ შეკითხვებზე აფიქსირებს (ჩაწერს) არა რეგისტრატორი, არამედ თვით გამოსაკითხი პირი. რეგისტრატორები ჯერ დაარიგებენ აღწერის ფურცლებს (ან კითხვარებს) და შემდეგ კრეფენ მათ შევსებულებს. ზოგჯერ კითხვარები დაიგზავნება ფოსტით. თვითაღრიცხვის მეთოდის გამოყენება დაიწყეს XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მოსახლეობის აღწერებისას. სადღეისოდ ის გავრცელებულია ეკონომიკურად განვითარებულ ბევრ ქვეყანაში. თვითაღრიცხვის მეთოდის გამოყენება საჭიროებს მოსახლეობის შედარებით მაღალ კულტურულ დონეს და ამასთან მიზანშეწონილია, რომ გამოკვლევის (აღწერის) პროგრამა არ იყოს რთული.

თვითგამორკვევის პრინციპი მოსახლეობის აღწერისას (გამოკვლევისას) – წესი, რომლის თანახმად ადამიანის კუთვნილება მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფთან განისაზღვრება მისი თვითშეგნებით, თვითონ ადამიანის მიერ. თვითგამორკვევის პრინციპი გამოიყენება ძირითადად მაშინ, როდესაც ადამიანის მიკუთვნება მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფთან არ შეიძლება (ან გართულებულია) ობიექტური მიზეზების გამო.

ხშირად თვითგამორკვევის პრინციპის გამოყენება გულისხმობს სანდოობის ამაღლებას და ასეთ დროს გარკვეული მონაცემები აღწერისას (გამოკვლევისას) აღირიცხება გამოსაკითხი პირის სიტყვებიდან გამომდინარე, შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე მაშინაც კი, როდესაც არსებობს შესაძლებელი პასუხის მკაცრი ობიექტური კრიტერიუმები.

მოსახლეობის აღწერის მასალები პირველადი ან კრებსითი მონაცემებია, რომლებიც მიიღება მოსახლეობის აღწერის შედეგად. განასხვავებენ: 1) საკუთრივ მოსახლეობის აღწერის პირველად მასალებს – აღწერის ფურცლებს ან სხვა დოკუმენტებს, რომლებიც შეიცავენ ცნობებს ცალკეული ადამიანის ან ოჯახის შესახებ. ისინი წარმოადგენენ იმ საფუძველს, რომელთა დამუშავების შედეგად მიიღება ცნობები მოსახლეობის რაოდენობის, შემადგენლობის, განლაგებისა და აღწარმოების შესახებ; 2) მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავების შედეგები – სხვადასხვა სახის კრებსითი მონაცემები მოსახლეობის შესახებ, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილების სისტემით და შეიცავენ სტატისტიკურ მონაცემებს მოსახლეობის შესახებ. ზოგჯერ მოსახლეობის აღწერის მასალებს უწოდებენ იმ დოკუმენტების ერთობლიობას, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობის აღწერის ორგანიზებასთან.

მოსახლეობის აღწერის (გამოკვლევის) მასალის კოდირება – მოსახლეობის აღწერის, გამოკვლევის, დემოგრაფიული შემთხვევების მიმდინარე აღრიცხვის ან სხვა ინდივიდუალური და ჯგუფური მონაცემებისათვის პირობითი ნიშნების მინიჭება გამოთვლითი ტექნიკის საშუალებით მათი აღქმის, დამუშავებისა და შენახვის უზრუნველყოფის მიზნით.

მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავება მოსახლეობის აღწერისას ცალკეული პირების ან ოჯახების შესახებ მიღებული ცნობების გარდაქმნაა კრებსით, განზოგადებულ მაჩვენებელთა ერთობლიობაში, რომლებიც მოსახლეობის ან მის ცალკეულ ჯგუფს ახასიათებს. მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავება წარმოადგენს ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა სისტემას შეკრებილ ცნობათა დამუშავებისათვის მომზადების, კოდირებისა და კრებსით

მონაცემთა დათვლისათვის. მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავება ხორციელდება მისი პროგრამის შესაბამისად. მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავება წარმოებს ორ ეტაპად. პირველი ეტაპი – მასალის მომზადებაა ავტომატიზებული დამუშავებისათვის. ის გულისხმობს აღწერის ფურცლებში არსებულ ცნობათა ისეთ მდგომარეობაში მოყვანას, რომ ისინი გამოსადეგი აღმოჩნდეს გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებით დამუშავებისათვის. მეორე ეტაპი – გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებით კრებსითი მონაცემების დათვლაა.

მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავების ჭრილი რომელიმე ერთი ნიშნის მიხედვით მოსახლეობის თვისებრივად ერთგვაროვანი ჯგუფების ნაკრებია, რომლისთვისაც მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავებისას ღებულობენ თანამოსახელე ცხრილებს კრებსითი მონაცემებით. ანსხვავებენ მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავების ტერიტორიულ და თემატურ ჭრილს. ტერიტორიული ახასიათებს მოსახლეობის შემადგენლობას ცალკეული ტერიტორიის მიხედვით, ხოლო თემატური – მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების სოციალურ-დემოგრაფიულ შემადგენლობას (მაგ., სქესის, ასაკის, ეროვნების და სხვ. მიხედვით). როგორც წესი, ორივე ჭრილი შეთავსებით გამოიყენება.

მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავების პროგრამა წარმოადგენს ნიშანთა დაჯგუფებებისა და შეთავსებათა სისტემას, რომლის საფუძველზე მოსახლეობის აღწერისას მიღებული ინდივიდუალური ცნობები გარდაიქმნება კრებსით განზოგადებულ სიდიდეებად, რომლებიც ახასიათებენ მოსახლეობის რაოდენობას, შემადგენლობას, განლაგებასა და აღწარმოებას მთლიანად ან ცალკეული ჯგუფების მიხედვით. მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავების პროგრამა განსაზღვრავს იმ ცნობათა წრესა და შინაარსს, რომლებიც აუცილებელია მიღებულ იქნას მოსახლეობის აღწერისას. მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავების პროგრამა განისაზღვრება საკუთრივ მოსახლეობის აღწერის პროგრამის საფუძველზე.

მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავების პროგრამა შეიცავს რამდენიმე ძირითად თემას: დემოგრაფიული დახასიათება (მოსახლეობის რაოდენობა, ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობა, ქორწინებითი მდგომარეობა, ოჯახური შემადგენლობა და სხვა), კულტურული დახასიათება (მოსახლეობის განათლების დონე სხვადასხვა ასაკობრივი და სქესობრივი ჯგუფების მიხედვით და სხვა), სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება (განაწილება არსებობის საშუალებათა წყაროების, მეურნეობის დარგების, დასაქმების მიხედვით), მიგრაციული დახასიათება (ბინადრობის ხანგრძლივობა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე და სხვა), მოსახლეობის აღწარმოების დახასიათება (ქალების განაწილება ასაკისა და მათ მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობის მიხედვით დიფერენცირებული სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნით), მოსახლეობის განლაგების დახასიათება (განაწილება ქალაქისა და სასოფლო დასახლებული პუნქტებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ჭრილში).

2.1.2. მოსახლეობის აღწერების ისტორია

თანამედროვე აღწერებს წინ უსწრებდა მოსახლეობის აღრიცხვა აზიისა და აფრიკის სახელმწიფოებში ჯერ კიდევ მე-3 ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე (ჩვ.წ-მდე). მოიპოვება ცნობები მოსახლეობის აღრიცხვაზე ეგვიპტეში (მიახლოებით 2800 – 2250 წწ. ჩვ.წ-მდე), მესოპოტამიაში, ინდოეთში, ჩინეთში (2238 წ. ჩვ.წ-მდე), იაპონიაში, რომლებიც წარმოებდა სამხედრო და ფისკალური მიზნებისთვის (საგამოსაღებო დაბეგვრა). აღრიცხვა მიმდინარეობდა ჩანაწერების ფორმით ან სიმბოლოების გამოხატვის საშუალებით. მაგ., მეომრების რიცხვი განისაზღვრებოდა ისრების დაბოლოებების მიხედვით (სკვითები) ან გროვაში ნატყორცნი ქვების ოდენობით (თემურ-ლენგი). არსებობს ცნობები მოსახლეობის აღწერებზე ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში. ასე, ჩვ.წ-მდე IV

საუკუნის ბოლოს ატიკაში ჩატარდა მიწერილი მოსახლეობის ყველა კლასის მოწიფული მამაკაცების აღრიცხვა. ძველ რომში ჩვენი წელთაღრიცხვამდე 435 წლიდან რეგულარულად ტარდებოდა ე.წ. *ცენზები*. რომის თითოეული მოქალაქე ვალდებული იყო დაეფიცა და ისე ეცნობებინა სპეციალურად არჩეული ცენზორისათვის საკუთარი სახელი, ასაკი, ოჯახის წევრების სახელი და ასაკი, თან მიეწოდებინა ცნობები თავისი საკუთრების შესახებ. ეს ცნობები საფუძვლად ედებოდა მოსახლეობის სამხედრო ფორმირებებში განაწილებას, სახალხო კრებაში ხმების განსაზღვრას და საგამოსაღებო დაბეგვრის ოდენობის დადგენას. ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში აღრიცხვის ელემენტები უკავშირდებოდა სათანადო კადასტრებში მეურნეობების აღწერას. პირველ რიგში ეს ეხებოდა არა ადამიანებს ან ოჯახებს, არამედ ისეთ დასაბეგრ ერთეულებს, როგორიც იყო სახლი ან კერა. მაგ., ასეთი წესით ჩატარდა 1086 წელს ინგლისში ვილჰელმ დამპყრობლის მიერ 34 საგრაფოს მიწათაღწერა, რომელიც ცნობილია "*მეორედ მოსვლის წიგნის*" ("Domesday Book")-ის სახელწოდებით. შუა საუკუნეებში მოსახლეობის აღრიცხვა ჩატარდა ჯერ ზოგიერთ ქალაქში (ნიურნბერგი 1449 წელი, სტრასბურგი 1474 წელი), შემდეგ კი მთელ ციურიხის კანტონში 1567 წელს. XVIII საუკუნის შუა წლებიდან ინტერესი მოსახლეობის შესწავლისადმი მატულობს. მის აღრიცხვას იწყებენ რიგ ევროპულ სახელმწიფოებში (ავსტრია, ბავარია, ჰოლანდია, დანია, ესპანეთი), ასევე აზიაში (იაპონია) და ამერიკაში. მაგრამ ეს აღრიცხვები გრძელდებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში და არ მოიცავდა მთელ მოსახლეობას (განსაკუთრებით პრივილეგირებულ ჯგუფებს), ზოგჯერ კი მხოლოდ ზრდასრულ მამაკაცებზე მონაცემების შეგროვებით შემოიფარგლებოდა.

მოსახლეობის აღწერები, ამ ცნების თანამედროვე გაგებით, ჩვეულებრივ უკავშირდება მოსახლეობის აღწერებს 1790 წელს (აშშ), 1800 წელს (შვედეთი, ფინეთი), 1801 წელს (ინგლისი, დანია, ნორვეგია, საფრანგეთი). მოსახლეობის აღწერათა წარმოშობა და განვითარება განპირობებული იყო სახელმწიფოს მოთხოვნით მიეღო დეტალური და რეგულარული ინფორმაცია მოსახლეობის რაოდენობაზე, მის განთავსებასა და შემადგენლობაზე, ასევე მის ისეთ დამახასიათებელ ნიშნებზე, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო დროის გარკვეული პერიოდისთვის. საკუთრივ მოსახლეობის აღწერების ისტორიაში შეიძლება გამოვყოთ სამი ეტაპი. პირველ ეტაპზე (XVIII საუკუნე ბოლო – XIX საუკუნე პირველი ნახევარი) საფუძველი ეყრება აღწერების ორგანიზაციის საფუძვლებს, მათი პროგრამების განსაზღვრას. ამ პერიოდში დაიწყო მოსახლეობის აღწერების რეგულარულად ჩატარება ყოველ ათ წელიწადში აშშ და ინგლისმა, ყოველ ხუთ წელიწადში – საფრანგეთმა და შვედეთმა, ყოველ სამ-ოთხ წელიწადში – ავსტრიამ. არარეგულარულად მოსახლეობის აღწერები ტარდებოდა ასევე დანიაში, ისლანდიაში, ნორვეგიასა და ზოგიერთ კოლონიაში – ძირითადად ამერიკის ტერიტორიაზე. მოსახლეობის ამ აღწერებში გათვალისწინებული იყო ნიშნების შეზღუდული რაოდენობა. ისინი არ მოიცავდნენ მთელ მოსახლეობას. მათი მასალების დამუშავებას კი მრავალი წელი სჭირდებოდა. ასე აშშ-ში მოსახლეობის პირველი აღწერისას (1790) აღინიშნებოდა მხოლოდ შინამეურნეობის უფროსის სახელი, თავისუფალი პირების, თეთრკანიანი ქალების და მონების რაოდენობა. მოსახლეობის აღწერის დროს საფრანგეთში (1801) აღირიცხებოდა მხოლოდ სქესი და ქორწინებითი მდგომარეობა, ინგლისში (1801) – სქესი და შინამეურნეობის უფროსის საქმიანობა (მიწათმოქმედება, ვაჭრობა თუ მრეწველობა). მეორე ეტაპზე (XIX საუკუნის მეორე ნახევარი – XX საუკუნის პირველი ნახევარი) ტარდება მოსახლეობის აღწერები ევროპისა და ამერიკის ყველა ქვეყანაში, ასევე აფრიკისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში. ვითარდება მოსახლეობის აღწერების თეორია, უფრო სრულყოფილი ხდება მათი ჩატარების პრაქტიკა, წარმოებს ახალი ნიშნების შემოტანა, ფართოვდება მოსახლეობის აღწერისა და მათი დამუშავების პროგრამები.

მოსახლეობის აღწერების შემდგომი სრულყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბელგიის (1846) მოსახლეობის აღწერას, რომელიც ჩატარდა *ა. კეტლეს* ხელმძღვანელობით და წარმოჩინდა როგორც ერთგვარი გარდამტეხი მომენტი მოსახლეობის აღწერაზე თანამედროვე წარმოდგენების თვალსაზრისით; ეს იყო პირველი აღწერა, რომელიც ერთ დღეში ჩატარდა (ერთდღიანი) და რომლის დროსაც მკაცრად აღირიცხა *ფაქტობრივი მოსახლეობა*. უფრო მრავალფეროვანი გახდა მოსახლეობის აღწერის ინსტრუმენტარი (შემოღებულ იქნა სპეციალური სააღწერო ბლანკები და მათი გამოყენების სათანადო ინსტრუქციები). დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოსახლეობის აღწერები ერთი დღის განმავლობაში ტარდება, იწყება თვითაღრიცხვის გამოყენება, ხდება აღსარიცხი ნიშნების, განსაკუთრებით ასაკისა და საქმიანობის, შინაარსობრივი დაკონკრეტება. ასე მაგ., ნაცვლად თავდაპირველად გათვალისწინებული 2-3 ასაკობრივი ჯგუფისა იწყება 5-10 წლიანი ჯგუფების გამოყოფა; XIX საუკუნის 40-50-იან წლებიდან მრავალ ქვეყანაში პირველ რიგში ითვალისწინებენ პიროვნების მიერ ნაცხოვრები წლების კონკრეტულ ოდენობას, და მხოლოდ შემდეგ მის დაბადების დღეს, თვესა და წელს (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია და სხვა). მოსახლეობის აღწერის ახალ პროგრამებში შეტანილი ახალი ნიშნები უკავშირდება ზოგადი მახასიათებლების, წერა-კითხვის ცოდნისა და განათლების დონის, მიგრაციის (განსაკუთრებით იმიგრაციის – აშშ-ში), შობადობისა და მოკვდაობის, ასევე მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების (დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხების) კვლევას. იწყება როგორც ფაქტობრივი, ისე მუდმივი მოსახლეობის, ან ამ ორივე კატეგორიის ერთად აღრიცხვა, ასევე ისეთი მასალების დამუშავება, როგორიც იყო, კერძოდ, მოსახლეობის შემადგენლობის სოციალურ-ეკონომიკური ნიშნების მიხედვით აღრიცხვა მხოლოდ მუდმივი მოსახლეობიდან გამომდინარე (აშშ, კანადა). მოსახლეობის აღწერების მეცნიერულ დასაბუთებას დიდად შეუწყო ხელი საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესების გამართვამ. მოსახლეობის აღწერის ჩატარების ძირითადი წესები შემუშავებულ იქნა კონგრესის სესიაზე ბრიუსელში (1853), შემდგომ ისინი იხილებოდა და იხვეწებოდა მომდევნო სესიებზე და საბოლოოდ დაყვანილ იქნა ერთიან ფორმაზე სანქტ-პეტერბურგში (1872) ჩატარებულ სესიაზე. ამ კონგრესებზე აღინიშნა მოსახლეობის აღწერის ძირითადი პრინციპები, ხაზი გაესვა პერიოდულობის მნიშვნელობას, განხილულ იქნა აღსარიცხი მოსახლეობის კატეგორიები და მოსახლეობის აღწერის პროგრამები, შემუშავდა ნიშნების სისტემა (15 მათგანი მიჩნეულ იქნა სავალდებულოდ, 8 კი – არასავალდებულოდ). შემდგომში მოსახლეობის აღწერების მიმართ რეკომენდაციების შემუშავება იკისრეს სტატისტიკის საერთაშორისო ინსტიტუტმა და გაერო-ს სტატისტიკურმა კომისიამ.

მესამე – თანამედროვე – ეტაპი იწყება XX საუკუნის შუა წლებიდან, რაც უკავშირდება მოსახლეობის შესახებ ინფორმაციის გაზრდის მოთხოვნას. მოსახლეობის აღწერები ჩატარდა აზიის მთელ რიგ ქვეყანაში, ასევე აფრიკაშიც, – ამ კონტინენტზე ახლადშექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში მოსახლეობის აღწერები დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ჩატარდა. 1970-იან წლებში მოსახლეობის აღწერები პირველად ჩატარდა ისეთ ქვეყნებში, როგორც იემენის არაბული რესპუბლიკა, კატარი, გაერთიანებული არაბული ემირატები, საუდის არაბეთი, ავღანეთი. XX საუკუნის ბოლოსთვის მოსახლეობის აღწერებმა პრაქტიკულად მთელი მსოფლიოს მოსახლეობა მოიცვა.

1993 წლის დასაწყისისთვის მსოფლიოში ჩატარებული მოსახლეობის აღწერათა საერთო რაოდენობამ (სახელმწიფოთა და ტერიტორიათა თანამედროვე დაყოფის მიხედვით) გადააჭარბა 2 ათასს. გარდა წინასწარ გაწეული დიდი სამუშაოებისა სააღწერო პროგრამებისა და მათი დამუშავებისა და პუბლიკაციების პროგრამების შესაქმნელად, უფრო სრულყოფილი გახდა თვით აღწერის ჩატარების ორგანიზება. დიდი მოცულობის ინფორმაციის მიღების აუცილებლობამ

განაპირობა შერჩევითობის მეთოდის ფართო გამოყენება როგორც მონაცემთა მოპოვებისას (აშშ), ისე მათი დამუშავებისას (იაპონია, საფრანგეთი, იტალია). მოსახლეობის აღწერას წინ უძღვის აღსარიცხი მოსახლეობის კატეგორიების განსაზღვრა და დაკონკრეტება. ზოგიერთ ქვეყანაში ითვალისწინებენ მხოლოდ მუდმივ მოსახლეობას (აშშ, იაპონია, გერმანია, ინდოეთი, ფილიპინები), სხვებში – მხოლოდ ფაქტობრივ (დიდი ბრიტანეთი, ბრუნეი, ტანზანია), ზოგში – ორივეს ერთად (ბულგარეთი, უნგრეთი, იტალია). სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის აღწერის პროგრამები დროთა განმავლობაში განიცდიან მნიშვნელოვან ცვლილებას. მრავალ ქვეყანაში გაქრა აუცილებლობა წერა-კითხვის ცოდნის დონის, აღმსარებლობის, ფიზიკური ნაკლოვანებების შესწავლისა, სამაგიეროდ გაიზარდა მოთხოვნილება განათლების, პროფესიული მომზადების, შობადობის, მიგრაციის შესწავლისადმი. მიუხედავად ამისა, აზიისა და აფრიკის განვითარებადი ქვეყნებისთვის საკითხი წერა-კითხვის ცოდნის შესახებ დღესაც უაღრესად მნიშვნელოვანია და შედის მოსახლეობის აღწერის პროგრამებში. რიგ ქვეყანაში დიდ ინტერესს იწვევს ქანქარისებური მიგრაცია (დასავლეთი ევროპის ქვეყნები, აშშ, იაპონია). მოსახლეობის აღწერის პროგრამებში დიდი ადგილი ეთმობა დასაქმებისა და უმუშევრობის შესწავლას. მოსახლეობის აღწერებში ზოგიერთი ნიშნის შეტანა უკავშირდება მიმდინარე ეტაპზე გარკვეული ინფორმაციის მიმართ ეროვნულ ინტერესებს. ასე მაგ., ახალი ზელანდიის მოსახლეობის აღწერისას (1981) ცალკე გამოიყო სპეციალური კითხვა თამბაქოს მოწევასთან დაკავშირებით. ზოგჯერ ერთი და იგივე ნიშანი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულადაა გააზრებული, რაც ართულებს მონაცემების საერთაშორისო შედარებას. ზოგიერთ ქვეყანაში ითვალისწინებენ ფაქტობრივ ქორწინებით მდგომარეობას (ყოფილი სსრკ-ს ქვეყნები, აშშ, კანადა და სხვა), ზოგში – იურიდიულს (დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, ფინეთი). განსხვავებულადაა გააზრებული მოსახლეობის ეკონომიკური მახასიათებლები. მოსახლეობის აღწერის პროგრამებში გაიზარდა ინტერესი რეტროსპექტიული მახასიათებლების, მოსახლეობის პროფესიული, საწარმოო და ტერიტორიული მობილობის კომპლექსური შესწავლისადმი. ასე, 5, 10 წლის წინანდელი საცხოვრებელი ადგილის თაობაზე კითხვას დაემატა კითხვა 5 წლის წინანდელი საქმიანობის (დარგის მითითებით – იტალია, 1972; სამეურნეო დარგისა და საქმიანობის მითითებით – აშშ, 1970) და 10 წლის წინანდელი საქმიანობის (უნგრეთი, 1970) შესახებ. მაგ., 1980 წელს უნგრეთში მოსახლეობის აღწერისას შეისწავლებოდა პიროვნების დასაქმების ისტორია (როდის დაიწყო მუშაობა, რას საქმიანობდა 1938, 1949, 1960, 1970-იანი წლებში, ასევე მამის საქმიანობა გამოსაკითხის დაბადების მომენტში და 1938 და 1980 წლების 1 იანვრისათვის). 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანების დასაწყისში განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის აღწერებისას დაიწყეს უფრო დეტალური მონაცემების შეგროვება იმიგრანტების ადაპტაციის (დაბადების ადგილი, წარმოშობა, ენების ცოდნა, სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები) და ეკონომიკური აქტივობის (სოციალური სტატუსი, ნამუშევარი დრო, შემოსავალი, დასაქმების სექტორი) გამოსაკვლევად. ხშირად საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნით უფრო დეტალურად შუქდება მოსახლეობის განსაკუთრებული ჯგუფების (ბავშვები, ახალგაზრდები, ხანში შესული ადამიანები) მდგომარეობა.

მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა საქართველოში (რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში) ჩატარდა 1897 წლის 9 თებერვლის (28 იანვრის) მდგომარეობით. მის ორგანიზებასა და პროგრამას საფუძვლად დაედო სემიონოვ ტიან-შანსკის პროექტი. აღირიცხებოდა მოსახლეობის სამი კატეგორია: ფაქტობრივი, მუდმივი და იურიდიული (მიწერილი); ძირითადად ახდენდნენ ფაქტობრივი მოსახლეობის მონაცემთა დამუშავებას. განზრახული იყო მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავება გამომთვლელი მანქანების საშუალებით, ამიტომ მიღებულ იქნა საწერი ფორმის სააღრიცხვო ფურცლები: A-

ფორმის ფურცლები (სასოფლო მეურნეობებისათვის) უნდა შევსებულიყო აღმწერების მიერ, ხოლო B (Б-რუსულად) ფორმისა (საკუთრებითი მეურნეობებისა და კომლებისათვის) და C (В-რუსულად) ფორმის (ქალაქის მოსახლეობისათვის) – ბინათმფლობელების მიერ (თვითაღრიცხვის მეთოდი). მაგრამ ბევრის უწიგნურობის გამო ფორმების დიდი ნაწილის შევსება თვითონ აღმწერებს მოუწიათ. აღწერა ჩატარდა *ერთდღიანი აღწერის* მეთოდით. სააღწერო ფურცლების დარიგება და შევსება ხდებოდა სოფლებში აღწერის დღემდე 20-30-ით, ხოლო ქალაქებში 5-10 დღით ადრე. ქალაქებში 9-10 თებერვალს, ხოლო სოფლად 9-12 თებერვალს აღმწერებმა შეაგროვეს შევსებული ფურცლები და შეიტანეს მათში ცვლილებები კრიტიკული მომენტიდან გამომდინარე. მოსახლეობის აღწერის პროგრამა შეიცავდა 14 ნიშანს: შინამეურნეობის უფროსისადმი და ოჯახის უფროსისადმი დამოკიდებულება, ასაკი, სქესი, ქორწინებითი მდგომარეობა, წოდება ან საზოგადოებრივი მდგომარეობა, დაბადების ადგილი, მიწერის ადგილი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, არყოფნისა ან დროებითი საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნა, აღმსარებლობა, მშობლიური ენა, წერა-კითხვის ცოდნა და განათლება, საქმიანობა, ხელობა, სარეწი, თანამდებობა ან სამსახური (ძირითადი და არაძირითადი საქმიანობისა და სამხედრო ბეგარისადმი მიმართების გამოყოფით). გარდა ამისა ხდებოდა ფიზიკური ნაკლოვანებების აღნიშვნაც. პროგრამაში არ შედიოდა კითხვა ეროვნების შესახებ. განათლებისა და სწავლის შესახებ კითხვების ერთ კითხვად გაერთიანება არ იძლეოდა განათლების დონის დადგენის საშუალებას.

შემდეგი აღწერა საქართველოში 1926 წელს შედგა (17 დეკემბრის მდგომარეობით). ეს პირველი საკავშირო აღწერა იყო (საქართველო იმ დროს სსრკ-ში შედიოდა). მოსახლეობის აღწერა დაიწყო 17 დეკემბერს და გაგრძელდა 7 დღის განმავლობაში საქალაქო ტიპის დასახლებებში და 14 დღის განმავლობაში სოფლად. აღირიცხებოდა ფაქტობრივი, ასევე მუდმივი მოსახლეობა ქალაქად.

მოსახლეობის აღწერის პროგრამა შეიცავდა 14 ნიშანს (ქვეპუნქტებთან ერთად): სქესს, ასაკს, ეროვნებას, მშობლიურ ენას, დაბადების ადგილს, ადგილზე ცხოვრების ხანგრძლივობას აღწერის მომენტისათვის, ქორწინებით მდგომარეობას, წერა-კითხვის ცოდნას, ფიზიკურ ნაკლოვანებებს, ფსიქიურ ჯანმრთელობას, საქმიანობას (ძირითადის და არაძირითადის გამოყოფით) და სხვა.

1937 წელს ჩატარდა მოსახლეობის მორიგი აღწერა. 1-დან 5 იანვრამდე აღმწერები ავსებდნენ სააღწერო ფურცლებს, ხოლო ერთი დღის განმავლობაში – 6 იანვარს – ახდენდნენ ჩანაწერების დაყვანას კრიტიკული მომენტისათვის. აღირიცხებოდა მხოლოდ ფაქტობრივი მოსახლეობა (პროექტით გათვალისწინებული იყო როგორც ფაქტობრივი, ისე მუდმივი მოსახლეობის აღწერა). მოსახლეობის აღწერის პროგრამა შეიცავდა 14 ნიშანს (პროექტით გათვალისწინებული იყო 28 ნიშანი): სქესი, ასაკი, ეროვნება, მშობლიური ენა, რელიგია, მოქალაქეობა, წერა-კითხვის ცოდნა, სასწავლო დაწესებულების დასახელება, კლასი ან კურსი, საშუალო ან უმაღლესი სკოლის დამთავრება, საქმიანობის (სამსახურის) სახეობა, სამუშაო ადგილი, საზოგადოებრივი ჯგუფი, ქორწინებითი მდგომარეობა. კომისიის მიერ პროექტიდან გამოირიცხა საცხოვრისების აღწერა, ოჯახი, საკითხები დაბადების ადგილისა და დასახლებაში ცხოვრების ხანგრძლივობაზე, არაძირითად საქმიანობაზე, საქმიანობაში მდგმარეობაზე (რაც იძლეოდა სოციალური სტატუსის ობიექტურ დახასიათებას), დარჩა ქორწინებითი მდგომარეობის მხოლოდ 2 კატეგორია. გამარტივებულ იქნა ბევრი კითხვის ფორმულირება. ამავე დროს დაემატა კითხვა რელიგიაზე, რომელიც ჩამოყალიბდა როგორც "გამოკითხულის ამჟამინდელი საკუთარი მრწამსი". აღმწერებისათვის შედგენილი ინსტრუქცია არ შეიცავდა აღწერისათვის საჭირო მრავალ მნიშვნელოვან წესს. იმდროინდელი ხელისუფლების მიერ მიჩნეულ იქნა, რომ მოსახლეობის აღწერა ჩატარდა უხეში შეცდომებით. აღწერის

ორგანიზატორები ცენტრში და პერიფერიაზე რეპრესირებულ იყვნენ, ხოლო 1939 წელს დაინიშნა ახალი აღწერის ჩატარება. 1937 წლის მოსახლეობის აღწერის არქივებში გადარჩენილი ძირითადი მასალები გამოქვეყნდა მხოლოდ 1990 წელს.

1939 წლის მოსახლეობის აღწერა შედგა 17 იანვრის მდგომარეობით. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე პირველად აღირიცხებოდა როგორც მუდმივი, ისე ფაქტობრივი მოსახლეობა. აღმწერები ახდენდნენ თავისი უბნების წინასწარ შემოვლას. სააღწერო ფურცლების შევსება დაიწყო 17 იანვარს და გაგრძელდა 7 დღე ქალაქად და 10 დღე სოფლად. სიითი ფორმის სააღწერო ფურცელი ივსებოდა თითოეულ ბინაზე, ბინის ფარგლებში კი – თითოეულ ოჯახზე. მოსახლეობის აღწერის პროგრამა შეიცავდა 16 ნიშანს: დამოკიდებულება ოჯახის უფროსისადმი, ჩაწერის ხასიათი საცხოვრებელ ადგილზე (მუდმივი თუ დროებითი), მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და იქ არყოფნის ხანგრძლივობა (დროებით მაცხოვრებლებისათვის), აღწერის დროს საცხოვრებელ ადგილზე არყოფნის ხანგრძლივობა (დროებით გასულებისათვის), სქესი, ასაკი, ქორწინებითი მდგომარეობა (ორი კატეგორია), ეროვნება, მშობლიური ენა, მოქალაქეობა, წერა-კითხვის ცოდნა, სასწავლო დაწესებულების დასახელება და სწავლების საფეხური (მოსწავლეთათვის), საშუალო ან უმაღლესი სკოლის დამთავრება, საქმიანობა ან არსებობის სხვა წყაროს მითითება, სამუშაოს ადგილი, საზოგადოებრივი ჯგუფი.

1937 წელს დაშვებული ხარვეზების შიშით გაძლიერდა კონტროლი მოსახლეობის აღრიცხვის სიზუსტეზე: მოსახლეობის აღწერის დამთავრების შემდეგ 10 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა მუდმივი საკონტროლო შემოვლა. შემოღებულ იქნა სააღწერო ფურცლის კითხვების შემცველი საკონტროლო ბლანკი, რომელიც ივსებოდა მოცემულ შენობაში ყველა მუდმივ ან დროებით მცხოვრებზე, რომლებიც მოსახლეობის აღწერის მომენტში იმყოფებოდნენ მის გარეთ, ისეთ ადგილას, სადაც ექვემდებარებოდნენ აღწერას ფაქტობრივი მოსახლეობის შემადგენლობაში. გარდა ამისა, ყველას, ვინც აღიწერებოდა როგორც დროებითი მცხოვრები ან გასამგზავრებლად ემზადებოდა, ხელზე გაეცემოდა ცნობა აღწერის გავლის შესახებ.

1959 წლის მოსახლეობის აღწერა შედგა 15 იანვრის მდგომარეობით. 11-დან 14 იანვრამდე აღმწერებმა თავისი უბნების ყველა საცხოვრისი წინასწარ შემოიარეს. 15 იანვრიდან დაიწყო სააღწერო ფურცლების შევსება, რაც გაგრძელდა 8 დღის განმავლობაში როგორც ქალაქად, ისე სოფლად. მოსახლეობის აღწერის პროგრამა შეიცავდა 15 ნიშანს: დამოკიდებულება ოჯახის უფროსისადმი, არყოფნის ხანგრძლივობა (დროებით გასულებისათვის), მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და იქ არყოფნის ხანგრძლივობა (დროებით მცხოვრებლებისათვის), სქესი, ასაკი, ქორწინებითი მდგომარეობა, ეროვნება, მშობლიური ენა, მოქალაქეობა, წერა-კითხვის ცოდნა, სასწავლო დაწესებულების დასახელება (მოსწავლეთათვის), სამუშაო ადგილი, საქმიანობა, არსებობის წყაროს მითითება (სამუშაოს არმქონეთათვის), საზოგადოებრივი ჯგუფი. 1959 წლის მოსახლეობის აღწერა ორგანიზაციული და მეთოდური თვალსაზრისით ახლოს იყო 1939 წლის მოსახლეობის აღწერასთან, თუმცა მას ახასიათებდა თავისებურებებიც: მთიანი დასახლებებისა და სოფლებისათვის დადგინდა აღწერის ერთიანი ვადა, უფრო დეტალურად გამოკვლეულ იქნა განათლების მახასიათებლები; პირველად მასალების დამუშავებისას გამოყენებულ იქნა შერჩევითობის მეთოდი (საოჯახო მასალების დამუშავება). დამუშავების პროგრამა შეიცავდა 36 ცხრილს. მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავება ჩატარდა ცენტრალიზებულად და მთლიანად იყო მექანიზირებული. წინასწარი შედეგები გამოიცა 1959 წელში, საბოლოო – 17 ტომად – 1962-1963 წლებში.

1970 წლის მოსახლეობის აღწერა შედგა 15 იანვრის მდგომარეობით. აღირიცხებოდა როგორც მუდმივი, ისე ფაქტობრივი მოსახლეობა. აღწერა გამოკითხვის მეთოდით წარმოებდა, თუმცა დაშვებული იყო სააღწერო

ფურცლების თვითშევსებაც. საორგანიზაციო და მეთოდური თვალსაზრისით 1970 წლის მოსახლეობის აღწერა ორი წინა აღწერის მსგავსი იყო, თუმცა მისი პროგრამა გაცილებით ფართო იყო. მონაცემთა შეგროვებისას გამოყენებულ იქნა შერჩევის მეთოდი. გამოიყენებოდა სიითი ფორმის სააღწერო ფურცლების ორი სახეობა: პირველი შეიცავდა 11 ნიშანს და ივსებოდა ყოველი ოთხი საცხოვრისიდან სამში; მეორე დამატებით შეიცავდა კიდევ 7 კითხვას და ივსებოდა ყოველ მე-4 საცხოვრისში (25%-იანი შერჩევა). მოსახლეობის აღწერის ერთიანი ნაწილის პროგრამა შეიცავდა 11 ნიშანს: დამოკიდებულება ოჯახის უფროსისადმი, არყოფნის მიზეზი და ხანგრძლივობა (დროებით გასულებისათვის), მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და მასში არყოფნის ხანგრძლივობა (დროებით მცხოვრებლებისათვის), სქესი, ასაკი, ქორწინებითი მდგომარეობა, ეროვნება, მშობლიური ენა, აგრეთვე გამოკითხულის მიერ სსრკ ხალხების ენების თავისუფლად ფლობა, მოქალაქეობა, წერა-კითხვის ცოდნა, სასწავლო დაწესებულების ტიპი (მოსწავლეთათვის), არსებობის საშუალების წყარო. მოსახლეობის აღწერის პროგრამის შერჩევითი ნაწილი შეიცავდა 7 ნიშანს: მუშაობის ადგილი, საქმიანობა (პენსიონერებისათვის – ყოფილი ძირითადი საქმიანობა), მუშაობის ხასიათი და ხანგრძლივობა 1969 წელს, (1969 წელს არასრული წლის მანძილზე მომუშავეთათვის), საზოგადოებრივი ჯგუფი, აღწერის ადგილას ცხოვრების ხანგრძლივობა, წინა მუდმივი საცხოვრებლის ადგილამდე, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზეზი.

1970 წლის მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავების პროგრამა დაახლოებით 1,5-ჯერ უფრო ფართო იყო, ვიდრე წინა აღწერისა. პირველადი მასალების დიდი ნაწილი დამუშავდა მუდმივ მოსახლეობასთან მიმართებაში; გამოყენებულ იქნა მასალათა დამუშავების უპერფორაციო მეთოდი ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაზე, რისთვისაც სააღრიცხვო ფურცლების ყველა მონაცემი გადაჰქონდათ სპეციალურ ბლანკებზე – ტექნიკურ მატარებლებზე. შემდეგ ინფორმაცია შეჰყავდათ ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებში. მოსახლეობის აღწერის შედეგები გამოიცა 7 თემატურ ტომად 1972-1973 წლებში.

1979 წლის მოსახლეობის აღწერა შედგა 17 იანვრის მდგომარეობით.

მოსახლეობის აღწერა ჩატარდა გამოკითხვის მეთოდით. აღირიცხებოდა როგორც ფაქტობრივი, ისე მუდმივი მოსახლეობა, თუმცა დამუშავებისას ძირითადი ყურადღება დაეთმო მუდმივ მოსახლეობას. მოსახლეობის აღწერის პროგრამა შეიცავდა 16 ნიშანს, აღწერისას გამოიყენებოდა შერჩევის მეთოდი და სააღწერო ფურცლების ორი ფორმა: ფორმა 2C (ერთიანი აღწერა) შეიცავდა 11 კითხვას, რომლებზეც პასუხებს გასცემდა მთელი მოსახლეობა; ფორმა 3 (შერჩევითი აღწერა) დამატებით შეიცავდა კიდევ 5 კითხვას, რომლებზეც უპასუხა მუდმივი მოსახლეობის 25%-მა (ეს ფორმა ივსებოდა ყოველ მეოთხე საცხოვრისში). მოსახლეობის ერთიანი აღწერის კითხვები იყო: დამოკიდებულება ოჯახის უფროსისადმი, სქესი, ასაკი, არყოფნის მიზეზი და ხანგრძლივობა (დროებით გასულებისათვის), მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და მასში არყოფნის ხანგრძლივობა (დროებით მცხოვრებლებისათვის), ქორწინებითი მდგომარეობა, ეროვნება, უცხოელებისთვის – ასევე მოქალაქეობა, მშობლიური ენა და სსრკ სხვა ხალხთა ენების თავისუფლად ფლობა, განათლება, მოსწავლეთათვის – სასწავლო დაწესებულების ტიპი, არსებობის საშუალების წყარო. შერჩევითი აღწერის კითხვები იყო: მუშაობის ადგილი, საქმიანობა მუშაობის ადგილზე, საზოგადოებრივი ჯგუფი, მოცემულ დასახლებულ პუნქტში უწყვეტი ცხოვრების ხანგრძლივობა, ქალებისათვის – შვილების რაოდენობა (მკვდრადშობილების გარეშე). 1970 წლის მოსახლეობის აღწერისგან განსხვავებით პროგრამაში ჩართული იყო ახალი კითხვა დაბადებულ ბავშვთა რაოდენობის შესახებ. გაშლილად იყო წარდგენილი საკითხი ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ.

სახალხო მეურნეობაში დამატებითი შრომითი რესურსების ჩართვის შესაძლებლობების შესწავლის მიზნით დასაქმებული შრომისუნარიანი ასაკის პირებისათვის შედგენილი იყო ცალკე სააღწერო ფურცელი, რომელიც 9 კითხვას შეიცავდა.

1989 წლის მოსახლეობის აღწერა შედგა 12 იანვრის მდგომარეობით. წინა მოსახლეობის აღწერების მსგავსად წარმოებდა საკონტროლო ბლანკების შედგენა და გაიცემოდა ცნობები აღწერის გავლის თაობაზე.

აღრიცხული იყო მოსახლეობის ორი კატეგორია – ფაქტობრივი და მუდმივი, ძირითადი ყურადღება ეთმობოდა მუდმივი მოსახლეობის დამუშავებას. მოსახლეობის აღწერის პროგრამა შეიცავდა 25 ნიშანს. გამოიყენებოდა სააღწერო ფურცლების ორი ფორმა: ფორმა 2C ორ პიროვნებაზე (ერთიანი აღწერა) შეიცავდა 20 კითხვას, რომლებზეც პასუხებს გასცემდა მთელი მოსახლეობა; ფორმა 3B ერთ პიროვნებაზე (შერჩევითი აღწერა) დამატებით შეიცავდა კიდევ 5 კითხვას, რომლებზეც უპასუხა მუდმივი მოსახლეობის 25%-მა (ეს ფორმა ივსებოდა ყოველ მეოთხე საცხოვრისში). მოსახლეობის ერთიანი აღწერის კითხვები იყო: დამოკიდებულება ოჯახის წევრის მიმართ, რომელიც პირველ ნომრად წერია, სქესი, არყოფნის მიზეზი და ხანგრძლივობა (დროებით გასულებისათვის), მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და მასში არყოფნის ხანგრძლივობა (დროებით მცხოვრებლებისათვის), დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, ქორწინებითი მდგომარეობა, ეროვნება, უცხოელებისათვის – ასევე მოქალაქეობა, მშობლიური ენა და სსრკ სხვა ხალხთა ენების თავისუფლად ფლობა, განათლება, დაამთავრა თუ არა პროფტექნიკური სასწავლებელი, მოსწავლეთათვის – სასწავლო დაწესებულების ტიპი, არსებობის საშუალებების წყაროები (დასაშვები იყო ორი წყაროს მითითება), საცხოვრებელი პირობების დასახასიათებლად – სახლის აშენების პერიოდი, გარე კედლების სამშენებლო მასალა, ვის საკუთრებაშია სახლი (სახელმწიფო ორგანიზაციის, საცხოვრებელი-სამშენებლო კოოპერატივის და ა.შ.), საცხოვრებლის ტიპი, საცხოვრებლის კეთილმოწყობის დონე, დაკავებული საცხოვრებელი ოთახების ოდენობა, საერთო და საცხოვრებელი ფართობის ზომა. შერჩევითი აღწერის კითხვები იყო: სამუშაო ადგილი, საქმიანობა სამუშაო ადგილზე, საზოგადოებრივი ჯგუფი, მოცემულ დასახლებულ პუნქტში უწყვეტად ცხოვრების ხანგრძლივობა; ქალებისათვის – რამდენი შვილი გააჩინა, მათ შორის რამდენია ცოცხალი.

2002 წელს (17 იანვრის მდგომარეობით) ჩატარდა საქართველოს მოსახლეობის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში განხორციელებულმა ღრმა თვისებრივმა პოლიტიკურმა, საზოგადოებრივმა, ეკონომიკურმა, დემოგრაფიულმა და სხვა ცვლილებებმა განაპირობა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მომზადებისა და ჩატარების აუცილებლობა.

როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების დონეზე შეიქმნა დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა მრავალმხრივი საინფორმაციო ბაზა. იგი შეიცავს ინფორმაციას მოსახლეობის რაოდენობის, მისი ეროვნული შემადგენლობის, ენობრივი კუთვნილების, ოჯახური და ქორწინებითი მდგომარეობის, სქესისა და ასაკის, მოქალაქეობის, სარწმუნოების, არსებობის საშუალებათა წყაროების, დასაქმების, მიგრაციული აქტივობისა და ა.შ. შესახებ.

მოსახლეობის აღწერის პროგრამა შეიცავდა 39 ნიშანს (ყველა ფორმა, ემიგრანტთა სააღწერო ფურცლის ჩათვლით).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო, ისე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნები, ჩართულია მოსახლეობის აღწერის ჩატარების ათწლიან ციკლში, რაზეც გაეროს შესაბამისი სამსახურები სისტემატურ მონიტორინგს აწარმოებენ, იძლევიან სათანადო რეკომენდაციებს.

აღწერის პროგრამა შეადგინა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა სათანადო ექსპერტების მონაწილეობით, გაეროსა და დსთ-ის სტატკომიტეტის რეკომენდაციების, წინა აღწერებისა და ანალოგიური ღონისძიების საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩატარების გამოცდილების თვალსაზრისით.

აღწერას უნდა მოეცვა საქართველოს იურისდიქციაში მყოფი მთელი ტერიტორია, აღრიცხულიყო თითოეული ადამიანი როგორც მუდმივად (ან დროებით არმყოფი), ისე აღწერის კრიტიკულ მომენტში ადგილზე მყოფი ყველა დროებით მცხოვრები. უნდა აღწერილიყო მოსახლეობის ორი კატეგორია – მუდმივი და ფაქტობრივი.

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სტატისტიკური დაკვირვების ერთეულად, ადრე ტრადიციულად მიღებული "ოჯახის" ნაცვლად, 2002 წლის აღწერისას გამოყენებულიყო "შინამეურნეობა". ასეთი ცვლილება განპირობებულია სტატისტიკის სფეროში განვითარების საერთო მიმართულებით. "შინამეურნეობა" გულისხმობს პირთა ერთობლიობას, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ბიუჯეტითა (ან მისი ნაწილით) და ნათესაური, ან არანათესაური ურთიერთობით. იგი, შეიძლება, შედგებოდეს ერთი პირისგანაც, რომელიც წინა აღწერებში აღიწერებოდა, როგორც "მარტოხელა".

სტატისტიკის დეპარტამენტმა დიდი მუშაობა გასწია აღწერის შედეგების მეთოდოლოგიური ბაზის შესაქმნელად.

პასუხისმგებლობა აღწერის მომზადება-ჩატარების, მისი მასალების დამუშავების, შედეგების გამოქვეყნებისა და გავრცელებისათვის დაეკისრა საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტს და მის ტერიტორიულ ორგანოებს.

ქვეყნის ბიუჯეტში შექმნილი სირთულეების გამო, სტატისტიკის დეპარტამენტმა ვერ შეძლო მოსახლეობის საცდელი აღწერის ჩატარება.

მოსახლეობის აღწერის მომზადებისა და ჩატარებისათვის გაწეულმა მთლიანმა ხარჯებმა, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, შეადგინა იმდროინდელი კურსით 1 ლარი და 84 თეთრი (აშშ-ის დოლარებში – 86 ცენტი).

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები გამოიცა 4 ტომად 2003-2004 წლებში.

2.2. დემოგრაფიულ შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვა

დემოგრაფიულ შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვას ზოგჯერ უწოდებენ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მიმდინარე აღრიცხვას. იგი გულისხმობს დაბადების, გარდაცვალების, დაქორწინებისა და განქორწინების შემთხვევების შესახებ ცნობების შეგროვებას. დემოგრაფიულ შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვის მიზანია მოსახლეობის რაოდენობასა და შემადგენლობაზე მონაცემების (რომლებიც მუდმივად იცვლება დაბადებებისა და გარდაცვალებების შედეგად), ასევე დემოგრაფიული პროცესების დამახასიათებელი ნიშნების რეგულარულად მოპოვება. დემოგრაფიულ შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვის სპეციფიკა ის არის, რომ დემოგრაფიული შემთხვევები ექცევიან დაკვირვების ქვეშ მათი იურიდიული გაფორმების მომენტში, ვინაიდან თითოეულ მათგანს სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია. დემოგრაფიულ შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვის სისრულე დამოკიდებულია ფაქტის იურიდიულ აღიარებაზე. მაგ., იქ, სადაც მრავალცოლიანობა აკრძალულია კანონით, თუმცა დაშვებულია ტრადიციით, მეორე ცოლთან ქორწინება აღრიცხვას არ ექვემდებარება. იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე რეგისტრაცია არ მიმდინარეობს ან ცუდათაა მოწესრიგებული, ანალოგიური მონაცემების დადგენა ზოგჯერ ხდება რეტროსპექტულად, მოსახლეობის აღწერის ან გამოკვლევის საშუალებით (მაგ., ოჯახში დაბადებების ან გარდაცვალებების რიცხვის დადგენა აღწერის წინა წლის განმავლობაში).

დაბადებებისა და გარდაცვალებათა სიების შედგენა ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში ხდებოდა. შუა საუკუნეებში ევროპის ქვეყნებში ნათლობები და დაკრძალვები რეგისტრირდებოდა საეკლესიო სამწყსოების ე.წ. მეტრიკულ წიგნებში. რეგისტრაციის ეს ფორმა დაკანონდა 1563 წელს ტრიდენტის კრების მიერ, რომელმაც ასევე ქორწინებათა რეგულარული ჩაწერა დააწესა. მონაცემთა შეგროვების ცენტრალიზებული სისტემის არარსებობის პირობებში მათი განზოგადება მთლიანად ქვეყნის მასშტაბში იშვიათობა იყო. დემოგრაფიულ შემთხვევათა შესახებ ცნობები შედარებით რეგულარულად იკრიბებოდა მხოლოდ უდიდეს ევროპულ ქალაქებში XVII-XVIII საუკუნეების დასაწყისიდან. XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში საეკლესიო რეგისტრაციის შესაბამისი მონაცემების ცენტრალიზებულად შეგროვების მცდელობებს ადგილი ჰქონდათ ევროპის ქვეყნების უმეტესობაში, ხოლო XIX საუკუნის პირველ ნახევარში სტატისტიკური დაწესებულებების შექმნასთან დაკავშირებით რეგისტრაციის ფუნქციები საეკლესიო დაწესებულებებიდან გადავიდა საერო დაწესებულებების ხელში. დემოგრაფიულ შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვის თანამედროვე ფორმები ჩამოყალიბდა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში.

XX საუკუნის შუა წლებიდან ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში დემოგრაფიულ შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვა არსებობს რეგისტრაციის საერთოეროვნული სისტემის ფარგლებში სპეციალური სახელმწიფო ორგანოების, ან ჯანდაცვის დაწესებულებების მიერ დემოგრაფიულ შემთხვევათა სავალდებულო რეგისტრაციის სახით. შემთხვევათა რეგისტრაცია და ანგარიშების შედგენა ეკისრება სპეციალურ მოხელეებს ან ჯანდაცვის მუშაკებს, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით სოფლად – ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებს. რეგისტრატორების მოვალეობაში ზოგჯერ შედის შეგროვებული მონაცემების განზოგადება და დარეგისტრირებულ შემთხვევათა რაოდენობაზე სტატისტიკური ანგარიშების შედგენა.

პასუხისმგებლობა დაბადების რეგისტრაციაზე, როგორც წესი, ეკისრება მშობლებს, ზოგჯერ სამშობიარო დაწესებულებების წარმომადგენლებს, ხოლო გარდაცვალების რეგისტრაციაზე – გარდაცვლილის ნათესავებს, ექიმს, იშვიათ შემთხვევებში დამკრძალავი ბიუროს მფლობელს. ქორწინებისას აუცილებელ მონაცემებს ქორწინების ფორმის (სამოქალაქო თუ საეკლესიო) მიხედვით წარადგენენ ან ქორწინებაში შემავალნი, ან ქორწინების დამრეგისტრირებელი პირები; განქორწინებისას – განსაქორწინებელნი ან სასამართლო.

რეგისტრაციისათვის დგინდება განსაზღვრული ვადა, როგორც წესი, მონაცემთა სისრულისა და სიზუსტის უზრუნველყოფისათვის ხანმოკლე პერიოდია სასურველი. ჩვეულებრივ, დაბადების რეგისტრაცია სავალდებულოა მოხდეს ერთი თვის განმავლობაში, გარდაცვალებისა – მყისიერად ან რამდენიმე დღეში (არა უმეტეს 5-ისა). ქორწინებისა და განქორწინების შესახებ მონაცემების ჩაწერა ხდება ამ შემთხვევების რეგისტრაციასთან ერთად.

შემთხვევის ფაქტის კონსტატაციის გარდა რეგისტრაციის დროს ითვალისწინებენ თავად შემთხვევისათვის დამახასიათებელ ნიშნებს იმ ადამიანებისათვის, რომელთა ცხოვრებაშიც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ შემთხვევას. რეგისტრაციისას დაფიქსირებული ნიშნების ნუსხა და შინაარსი დემოგრაფიულ შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვის პროგრამას შეადგენენ. შემთხვევის დახასიათება ჩვეულებრივ შეიცავს მონაცემებს მისი დადგომისა და რეგისტრაციის ადგილისა და დროის შესახებ, ასევე შემთხვევის სპეციფიკით განსაზღვრული ნიშნების (გარდაცვალების, ქორწინების მიზეზი და ა.შ) შესახებ. შემთხვევასთან დაკავშირებულ პირთა დახასიათება ჩვეულებრივ უფრო დეტალურია: გათვალისწინებულია მათი სქესი და დაბადების თარიღი (ან ასაკი), ეროვნება (მოქალაქეობა), ქორწინებითი მდგომარეობა, მუდმივი საცხოვრებელი

ადგილი, ასევე ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები (განათლების დონე, საქმიანობა, არსებობის საშუალებათა წყარო).

დაბადების რეგისტრაციისას აღნუსხავენ მშობლების შესაბამის ნიშნებს, ხოლო ახალდაბადებულისათვის – დაბადების თარიღს, სქესს, მონაცემებს ფიზიკური განვითარების შესახებ (წონა, სიმაღლე). აღნიშნავენ ასევე მშობიარობის მრავალნაყოფიერებას, დაბადების რიგითობას, დაბადების ადგილს (ბინაზე თუ სამშობიარო დაწესებულებაში). გარდაცვალების რეგისტრაციისას ჩვეულებრივ აღნიშნავენ მის თარიღსა და ადგილს, გარდაცვალების მიზეზს – რასაც ადასტურებს ექიმი, აუცილებლად – გარდაცვლილის დაბადების თარიღს (ასაკს) და სქესს, ასევე მის საქმიანობასა და ქორწინებით მდგომარეობას. ბავშვის გარდაცვალების შემთხვევაში ითვალისწინებენ მშობლების მახასიათებელ ნიშნებს. ქორწინების რეგისტრაციისას ქორწინებაში შემსვლელთა ასაკის გარდა აღინიშნება მათი ყოფილი ქორწინებითი მდგომარეობა, ზოგჯერ წინა ქორწინებებში შეძენილი ბავშვების რიცხვი, ქორწინების რიგითობა როგორც საქმროსათვის, ისე საცოლისათვის, ასევე მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური ნიშნები. განქორწინების რეგისტრაციისას აღინიშნება თითოეული მეუღლის ასაკი, ქორწინების რიგითობა და ხანგრძლივობა, ქორწინებაში შეძენილი ბავშვები და ა.შ..

თითოეული შემთხვევის ამსახველი ინდივიდუალური მონაცემები ფიქსირდება ან სარეგისტრაციო ჩანაწერის მეორე ეგზემპლიარში, ან სტატისტიკური დამუშავებისათვის განკუთვნილ სპეციალურ საბუთში.

საქართველოში დემოგრაფიულ შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვას საფუძვლად ედება სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩაწერა. დაბადების რეგისტრაცია წარმოებს ბავშვის დაბადების ადგილის ან მშობლების (ან ერთ-ერთი მათგანის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამშობიარო დაწესებულების (საავადმყოფოს) მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე, რომელიც ადგენს ბავშვის დაბადების ფაქტსა და თარიღს. განცხადება დაბადების შესახებ კეთდება მშობლების (ან ერთ-ერთი მათგანის) მიერ, ხოლო მშობლების ავადმყოფობის ან სიკვდილის შემთხვევაში – ნათესავების, მეზობლების ან იმ სამშობიარო დაწესებულების (საავადმყოფოს) ადმინისტრაციის მიერ, რომელშიც დედა ბავშვის დაბადებისას იმყოფებოდა. ის უნდა გაკეთდეს ბავშვის დაბადებიდან არაუგვიანეს ერთი თვის განმავლობაში, ხოლო მკვდრადშობადობის შემთხვევაში – არაუგვიანეს სამი დღისა დაბადების მომენტიდან. ტყუპების დაბადებისას, თითოეულ მათგანზე კეთდება ცალკე სააქტო ჩანაწერი. მკვდრადდაბადებული ბავშვი რეგისტრირდება როგორც დაბადებული, მაგრამ კეთდება აღნიშვნა მკვდრადდაბადების შესახებ. თუკი ბავშვის სიკვდილი დადგა მალევე მისი დაბადების შემდეგ, კეთდება ორი ჩანაწერი: დაბადებაზე და გარდაცვალებაზე. ქორწინებაში მყოფი დედა და მამა იწერებიან ბავშვის მშობლებად ნებისმიერი მათგანის განცხადების საფუძველზე. თუ მშობლები ქორწინებაში არ იმყოფებიან, ჩანაწერი დედის შესახებ კეთდება დედის განცხადების საფუძველზე, ხოლო მამის შესახებ – დედის და მამის ერთობლივი განცხადების საფუძველზე, ან სასამართლოს დადგენილებით. დაბადების აქტის ჩანაწერში მითითებულია დაბადებულის სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი, რიგითობა, დაიბადა ერთ, თუ მრავალნაყოფიანი მშობიარობისას, დაიბადა მკვდარი თუ ცოცხალი; ასევე მშობლების დაბადების თარიღი, ასაკი, ეროვნება, განათლების დონე, მუშაობის ადგილი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და იქ ცხოვრების ხანგრძლივობა, ქორწინების რეგისტრაციის თარიღი და მამის შესახებ ჩანაწერის საფუძველი.

გარდაცვალების რეგისტრაცია წარმოებს იმ ადგილის მიხედვით, სადაც ცხოვრობდა გარდაცვლილი ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც დაფიქსირდა სიკვდილი გარდაცვალების საექიმო მოწმობის (ან საფერშლო ცნობის) საფუძველზე. განცხადება გარდაცვალების შესახებ შეიძლება გაკეთდეს

გარდაცვლილის ნათესავების, მისი მეზობლების, საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციების მუშაკთა და სხვა პირების, ასევე იმ დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, სადაც მოხდა გარდაცვალება. განცხადება უნდა გაკეთდეს გარდაცვალებიდან არა უგვიანეს სამი დღის, ხოლო ძალადობრივი სიკვდილის, თვითმკვლელობის, უბედური შემთხვევისგან სიკვდილის, ასევე გვამის პოვნის შემთხვევაში – არა უგვიანეს დღე-ღამისა სიკვდილის დადგომის ან გვამის პოვნის მომენტიდან. გარდაცვალების აქტის ჩანაწერში მითითებულია გარდაცვალების თარიღი, ადგილი და მიზეზი, გარდაცვლილის სქესი, მისი დაბადების თარიღი და ადგილი, ასაკი, ქორწინებითი მდგომარეობა, განათლების დონე, ეროვნება, მუშაობის ადგილი და არსებობის საშუალებათა წყარო, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და იქ ცხოვრების ხანგრძლივობა, ხოლო ერთ წლამდე გარდაცვლილთათვის – დედის შესაბამისი მახასიათებელი ნიშნები, ასევე დედის ასაკი და გარდაცვლილი ბავშვის რიგითობა.

ქორწინების რეგისტრაცია წარმოებს სარ-ის (სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის) ორგანიზაციაში ერთობლივი განცხადების საფუძველზე და არანაკლებ ერთი თვის შემდეგ განცხადების შეტანის დღიდან. ქორწინებისათვის აუცილებელია ქორწინებაში შემსვლელი პირების ურთიერთთანხმობა და მათ მიერ საქორწინო ასაკის მიღწევა. ქორწინების აქტის ჩანაწერში ქორწინებაში შემსვლელთათვის მითითებულია დაბადების თარიღი, ასაკი, დაბადების ადგილი, წინა ქორწინებითი მდგომარეობა, ეროვნება, განათლების დონე, მუშაობის ადგილი ან არსებობის საშუალებათა წყარო, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და იქ ცხოვრების ხანგრძლივობა, ასევე მონაცემები 18 წლამდე ასაკის საერთო შვილების შესახებ.

ქორწინების გაუქმების რეგისტრაცია წარმოებს ქორწინებაში მყოფი პირების, ან ერთ-ერთი მათგანის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მათი სარ-ის ორგანოში ერთობლივი განცხადების საფუძველზე, ხოლო არასრულწლოვანი შვილების არსებობის ან მეუღლეებს შორის დავის წარმოქმნის შემთხვევაში – სასამართლოს გადაწყვეტილებით. ქორწინება შეიძლება გაუქმდეს ასევე ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე, თუკი მეორე მეუღლე სასამართლოს მიერ აღიარებულია არაქმედითუნარიანად სულიერი ავადმყოფობის ან ჩამორჩენილი გონებრივი განვითარების, ასევე მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვის, ან თავისუფლების არანაკლებ 3 წლით აღკვეთის გამო. ნებისმიერ შემთხვევაში ქორწინება მიიჩნევა გაუქმებულად მხოლოდ განქორწინების აქტის ჩაწერის მომენტიდან. განქორწინების აქტის ჩანაწერში მითითებულია ქორწინების ადგილი და თარიღი, განქორწინების საფუძველი, განქორწინების თარიღი, თითოეული განსაქორწინებლისათვის – დაბადების თარიღი, ასაკი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და იქ ცხოვრების ხანგრძლივობა, ეროვნება, განათლების დონე, მუშაობის ადგილი ან არსებობის საშუალებათა წყარო, რიგითობით რომელ ქორწინებაში იმყოფება იგი, ასევე მონაცემები 18 წლამდე ასაკის საერთო შვილების შესახებ.

სააქტო ჩანაწერები კეთდება ორ ეგზემპლიარად. პირველები რჩება სარ-ის ორგანოს არქივში, მეორეები გადაეცემა სტატისტიკურ სამსახურს დამუშავებისათვის.

დემოგრაფიულ შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვის მასალების დამუშავება მოითხოვს ფაქტების რაოდენობის დათვლას და მათ დაჯგუფებას ყველა რეგისტრირებული ნიშნის (თუ მათი ურთიერთშეთავსების) მიხედვით. ასეთი დაჯგუფებების სისტემა ქმნის დემოგრაფიულ შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვის მონაცემთა დამუშავების პროგრამას. ამასთან, ასეთი დამუშავება მოიცავს არა უკლებლივ ყველა ნიშანსა, თუ მათ შესაძლო ურთიერთშეთავსებებს, არამედ უპირატესად ისეთებს, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა დემოგრაფიული ანალიზისათვის.

2004 წლიდან საქართველოში დაინერგა დაბადებათა და გარდაცვალებათა შემთხვევების მიმდინარე აღრიცხვის ახალი სისტემა. ის გულისხმობს ფაქტების მოპოვებას უშუალოდ ჯანდაცვის სისტემის დაწესებულებებიდან, ან გარდაცვალების შემთხვევაში ექიმის დამოწმებით.

2004 წლიდან, სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ წარმოებს როგორც "აღრიცხვის ახალი სისტემით", ისე სარ-ის ორგანოებიდან შემოსული ინფორმაციის დამუშავება, მათი შედარება და შევსება.

2.3. მოსახლეობის რეგისტრი

მოსახლეობის რეგისტრი არის მცხოვრებთა სახელობითი და რეგულარულად განახლებადი ნუსხა, რომელიც ემსახურება მოსახლეობის ადმინისტრაციული აღრიცხვის მიზნებს.

ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის რეგისტრს აწარმოებენ უმცირეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (დასახლებულ პუნქტებში, თემებში, მუნიციპალიტეტებში, სამწყსოებსა და სხვა) გამოყოფილი ცალკეული პირები, შინამეურნეობებისა თუ საოჯახო სიების, წიგნების, კართოთეკების (XX საუკუნის შუა წლებიდან ხშირად ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მეხსიერებაში შენახული ე.წ. *მოსახლეობის ავტომატიზირებული კართოტეკების*) სახით. მოსახლეობის რეგისტრები განკუთვნილია მიმდინარე წესით ან გარკვეული პერიოდულობით მოცემული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მცხოვრებთა ინდივიდუალური მონაცემების ან შესაბამისი მოსახლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის (ან მათში ცვლილებების) შესახებ ცნობათა მისაღებად.

მოსახლეობის რეგისტრები, კერძოდ, შინამეურნეობების (ოჯახების) და ცალკეული პირების რეგისტრები – ყველაზე ადრე მოიხსენიება ახალ წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში (ჩინეთი) და ახალი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში (იაპონია). პირველი ევროპული ქვეყნები, რომლებშიც, საეკლესიო სამწყსოებში მოქალაქეობროვი მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა საფუძველზე, შეიქმნა მოსახლეობის რეგისტრი, იყვნენ შვედეთი და ფინეთი. ევროპაში მოსახლეობის რეგისტრებმა ჰპოვეს შემდგომი გავრცელება XVIII-XIX საუკუნეებში.

გაეროს სტატისტიკური ბიუროს სპეციალისტების შეფასებით, მოსახლეობის რეგისტრი (და მოსახლეობის აღრიცხვის სხვა მსგავსი სისტემები) ფუნქციონირებენ თითქმის 60 ქვეყანაში. მოსახლეობის რეგისტრებს აწარმოებენ ტერიტორიული ერთეულების ადმინისტრაციული ორგანოები (როგორც წესი, მათი უმდაბლესი რგოლები).

რეგისტრები, პირველ რიგში, განკუთვნილია სათანადო ტიპის ინფორმაციაზე ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მათი მონაცემები გამოიყენება გადასახადის გადამხდელთა, სამხედრო ვალდებულთა, პოლიტიკური (პარტიული) და ადმინისტრაციული საარჩევნო სიების შესადგენად და ა.შ.

ევროპის უმრავლეს ქვეყანაში მოსახლეობის რეგისტრების წარმოების ზოგადი ხელმძღვანელობა ევალებათ ცენტრალურ სახელმწოფო დაწესებულებებს: შინაგან საქმეთა ან იუსტიციის სამინისტროების ორგანოებს, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში კი სტატისტიკურ ორგანოებს. ცენტრალიზაცია აადვილებს ერთიანი დოკუმენტაციის გამოყენებას, უზრუნველყოფს დაკვირვებათა პროგრამების, რეგისტრაციის მეთოდებისა და პრინციპების ერთგვაროვნებას.

მოსახლეობის რეგისტრის წარმოების პროცესში ხდება მოცემულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები პირების შესახებ ინფორმაციის პერიოდულად განახლება. ადრე მიღებულ მონაცემებს ემატება ისეთები, როგორიცაა ბავშვის დაბადება, შვილის აყვანა, ქორწინება, ქორწინების შეწყვეტა განქორწინების თუ მეუღლის გარდაცვალების გამო, საქმიანობასა თუ საქმიან სტატუსში ცვლილება, განათლების დონის, სახელის, გვარის ან საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.

დაკვირვების პროგრამა განისაზღვრება არსებული ეროვნული თავისებურებებით. როგორც წესი, იგი შეიცავს ძირითად დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ ნიშნებს, რომლებიც აისახება მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიულ შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვის პროგრამებში. ცალკეული ნიშნების ცვლილებათა აღრიცხვას აწარმოებენ კონკრეტული პირების (ზოგჯერ – შინამეურნეობების) მიმართ. ევროპული ქვეყნების უმეტესობაში ინდივიდუალური და ჯგუფური დაკვირვების მეთოდები ურთიერთშეთავსებულია.

მოსახლეობის რეგისტრის წარმოების წესები საკმაოდ რთულია, ამიტომ აღრიცხვის აღნიშნული მეთოდი გამოიყენება იურიდიული მოსახლეობის კატეგორიის მიმართ მცირე მოსახლეობისა და ტერიტორიის მქონე ისეთ ქვეყნებში, რომლის მოსახლეობაც ხასიათდება შედარებით მაღალი საერთო კულტურით. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედი სავალდებულო წესები ითვალისწინებენ იმას, რომ ქვეყნის თითოეული მოქალაქე აუცილებლად გატარებული უნდა იყოს ერთ-ერთი თემის (მუნიციპალიტეტი, სამწყსო და ა.შ.) მოსახლეობის რეგისტრში და ვალდებულია ატყობინებდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ყველა ცვლილებისა და თითოეული იმ მოვლენის შესახებ, რომლებიც ექვემდებარება იურიდიულ გაფორმებას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებში. ეს წესები გულისხმობენ ინფორმაციის პერსონიფიკაციისა და კონფიდენციალობის პრინციპების მკაცრად დაცვას, მოსახლეობის რეგისტრის მწარმოებელი ორგანოებისა და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების მწარმოებელი ორგანოების სავალდებულო კოოპერირებას, მოსახლეობის რეგისტრში დაგროვილი მონაცემების სიზუსტის ყოველწლიურ გადამოწმებას სპეციალური გამოკვლევებისა და მოსახლეობის აღწერათა მასალების გამოყენების გზით.

დაკვირვების ინდივიდუალური მეთოდის გამოყენებისას თითოეულ ახალშობილზე იხსნება ინდივიდუალური ბარათი (ჩანაწერი სიასა ან წიგნში), რომელიც ასევე შეიცავს ისეთ ნიშნებს, როგორც სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი, დაბადების მოწმობის ნომერი, ეროვნება, აღმსარებლობა, დამოკიდებულება ოჯახის უფროსის მიმართ. ბარათში გათვალისწინებულია აგრეთვე სპეციალური გრაფები, რომლებიც ივსება მოცემული პიროვნების შემდგომი ცხოვრების მანძილზე. ქორწინებაში შესვლისას – ქორწინების თარიღი და ადგილი, მეუღლის სახელი, გვარი და დაბადების ადგილი. გარდაცვალების შემთხვევაში – გარდაცვალების თარიღი, ადგილი და მიზეზი. ბარათები იხსნება აგრეთვე საზღვარგარეთიდან საცხოვრებლად იმ ჩამოსულებზე, რომლებსაც ქვეყანაში ადრე არ უცხოვრიათ. გარდაცვლილთა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მუდმივ საცხოვრებლად გასულთა ბარათები ინახება არქივში. დაკვირვების ჯგუფური მეთოდის გამოყენებისას ცალკეული პიროვნების დამახასიათებელი რომელიმე ნიშნის ცვლილება ასახვას ჰპოვებს იმ ადამიანების ბარათებში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოცემულ პიროვნებასთან საერთო ცხოვრებისა და ახლო ნათესაობის ნიშნებით. ასე მაგ., დედის ინდივიდუალურ ბარათში აღინიშნება ბავშვის სახელი, დაბადების თარიღი და სქესი; ანალოგიური აღნიშვნები კეთდება ასევე შინამეურნეობისა ან ოჯახის უფროსის ბარათშიც. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში აღნიშვნა კეთდება ცოცხლად დარჩენილი მეუღლის ბარათში. აღნიშვნა განქორწინებისა და ქორწინებითი მდგომარეობის შეცვლის შესახებ კეთდება ყოფილი მეუღლეების ინდივიდუალურ ბარათებში და ა.შ.

მოსახლეობის რეგისტრი შიდა და გარე მიგრაციის გათვალისწინებისა და დემოგრაფიული შემთხვევების მიმდინარე აღრიცხვის შემოწმების საშუალებას იძლევა. ამავე დროს მისი დახმარებით შესაძლებელია მთლიანად ქვეყანაში და მის ცალკეულ რეგიონში მოსახლეობის რაოდენობის მიმდინარე შეფასების გაკეთება იმ ნიშნების საფუძველზე, რომლებიც აღირიცხება დაკვირვებისას. დაკვირვების სისტემა ასევე საშუალებას იძლევა გამოვიკვლიოთ მოსახლეობა, როგორც არა

მარტო ცალკეული პიროვნებების, არამედ როგორც შინამეურნეობების (ოჯახების) ერთობლიობა.

რიგ ქვეყანაში მოსახლეობის რეგისტრის მასალები გამოიყენება მოსახლეობის აღწერის მომზადებისას (საარწერო დარაიონება, წინასწარი მონაცემების მოპოვება აღწერას დაქვემდებარებული მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე) და მისი ჩატარების ხარისხის შესაფასებლად. მათ ასევე იყენებენ როგორც საფუძველს შერჩევითი გამოკვლევებისა და დემოგრაფიის სფეროში ისტორიული ხასიათის კვლევების წარმოებისათვის.

2.4. სპეციალური შერჩევითი გამოკვლევები

სპეციალური შერჩევითი გამოკვლევები დემოგრაფიაში ხშირად სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევის სახელითაა ცნობილი და მასში იგულისხმება დემოგრაფიული ქცევის შესახებ მეცნიერული ცოდნის გამომუშავების პროცესი ემპირიული მონაცემების მოპოვების, დამუშავებისა და ინტერპრეტაციის მეცნიერულად რეგლამენტირებული პროცედურა. ის არკვევს სოციალურ-ეკონომიკური და სხვა ფაქტორების გავლენას დემოგრაფიულ ცვლადებზე ქცევითი ასპექტების, ფასეულობითი ორიენტაციების, მოტივებისა და განწყობის შესწავლის გზით. სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევისას გამოიყენება სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევების მეთოდები.

საქმე ის არის, რომ დემოგრაფიული მეცნიერება თავისი განვითარებისას სულ უფრო მეტად ცდილობდა აეხსნა დემოგრაფიული პროცესების განმაპირობებელი მექანიზმები. ამისათვის ფაქტობრივი სტატისტიკური მასალის ანალიზი უკვე საკმარისი არ იყო.

რაც უფრო უღრმავდებოდა დემოგრაფია პროცესების შესწავლას, მით უფრო მკაფიოდ გამოიხატებოდა სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევების ჩატარების როლი. შერჩევითი გამოკვლევების თვალსაზრისით დემოგრაფია თავის არსენალში სულ უფრო მეტად იწყებს სოციოლოგიის გამოყენებას და ამასთან ბუნებრივია, სოციოლოგიის იმ ნაწილის ათვისებას, რომელიც შერჩევითი გამოკვლევების მეთოდოლოგიასა და სტატისტიკას ეფუძნება.

შერჩევა. შერჩევის სხვადასხვა სახეობა არსებობს. ძირითადად ისინი ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს – შემთხვევით პრინციპზე აგებული შერჩევის სახეები და არაშემთხვევით პრინციპზე აგებული შერჩევა.

არაიშვიათად, გინდაც ერთი კონკრეტული გამოკვლევის ფარგლებში, გამოიყენება როგორც ერთი, ისე მეორე შერჩევის პრინციპები, კომბინირებული სახით, ერთდროულად.

რატომ არის საჭირო შერჩევა?

ზემოთ განხილული იყო მოსახლეობის აღწერა, რომელიც ქვეყნის ყველა მცხოვრებს მოიცავს. ამასთან, მოსახლეობის აღწერა რთული ჩასატარებელია პროცედურული თვალსაზრისით და ძვირად ღირებულიცაა. აქედან გამომდინარე მოსახლეობის აღწერისას კითხვათა შეზღუდული რაოდენობაა მოცემული და კარგ პერიოდულობად ითვლება თუ ის ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც ტარდება.

დემოგრაფს, რომელიმე საკითხის შესწავლისათვის, შეიძლება არ აკმაყოფილებდეს მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული ინფორმაცია. ასეთ დროს ის მიმართავს შერჩევით გამოკვლევას.

აღწერისაგან განსხვავებით, რომელიც ყველა მცხოვრებს მოიცავს, შერჩევითი გამოკვლევა მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ნაწილისაგან გულისხმობს ინფორმაციის მოპოვებას.

არის სხვა არსებითი განსხვავებაც. დასმული ამოცანიდან გამომდინარე შერჩევითი გამოკვლევა შეიძლება მოსახლეობის რომელიმე ჯგუფზე იყოს

ორიენტირებული. მაგ., რეპროდუქციულ ქცევასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისას დემოგრაფს შეიძლება აინტერესებდეს მხოლოდ ფერტილური ასაკის (პირობითად 15-49 წლის) ქალები. ასეთი ქალების რაოდენობა რომელიმე ქვეყანაში შეიძლება ერთი მილიონის ფარგლებში იყოს, ხოლო სხვა შემთხვევაში – ას მილიონსაც აღემატებოდეს.

აღნიშნული ერთობლიობა სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევისას გენერალურად მიიჩნევა და განისაზღვრება შესასწავლი საგნიდან გამომდინარე, რომლებიც შემოსაზღვრულია შესაბამისი გამოკვლევის პროგრამით და ტერიტორიულ-დროული საზღვრებით.

ერთი დემოგრაფისათვის და გინდაც მკვლევართა ჯგუფისათვის, რთული იქნებოდა მთელი გენერალური ერთობლიობის მოცვა. ამასთან, ასეთი საჭიროებაც არ არის, ვინაიდან სტატისტიკიდან გამომდინარე, ცნობილია, რომ შეიძლება გენერალური ერთობლიობიდან, გარკვეულ შერჩევაზე დაფუძნებით, მივიღოთ ინფორმაცია საკმაოდ მაღალი სანდოობით.

აქედან გამომდინარე, შერჩევითი ერთობლიობა, შეიძლება განვსაზღვროთ როგორც გენერალური ერთობლიობის ნაწილი, რომელიც დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს.

აღნიშნული და მათთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ ვრცლად არის მოცემული სპეციალურ ლიტერატურაში. ამიტომ ქვემოთ მოკლედ შევეხებით ზოგიერთ მათგანს, კონკრეტული მაგალითების მოტანით.

შემთხვევითი შერჩევის სახეობები. დემოგრაფიაში შერჩევითი გამოკვლევებისას ძირითადად გამოიყენება შემთხვევითი განუმეორებადი სისტემატიური და სერიული შერჩევის სახეები.

შემთხვევითი განუმეორებადი შერჩევა. მოცემული შერჩევის სახის კლასიკური მაგალითის განხილვისას ითვლება, რომ უნდა გაგვაჩნდეს ინფორმაცია გენერალური ერთობლიობის ყველა ერთეულის შესახებ. ბარათებზე დაიტანება გენერალური ერთობლიობის ერთეულთა ნომრები.

თუ ჩვენს შემთხვევაში გენერალური ერთობლიობა მაგ., 1000 ერთეულს შეადგენს, ხოლო შერჩევითი ერთობლიობა 100 ერთეულით განვსაზღვრეთ, ბარათების არევის შემდეგ, ბარათების დასტიდან, შემთხვევითად ამოიღება 100 ბარათი. ამოღებული ბარათები იქნება ჩვენი შერჩევითი ერთობლიობა.

სისტემატიური შემთხვევითი შერჩევა. მოცემულ შერჩევას საფუძვლად ედება გარკვეული სიები. ერთეულთა შერჩევა წარმოებს ერთი და იგივე ინტერვალით, ანბანის ან დანომრილი სიის მიხედვით.

პირველი ერთეული გენერალური ერთობლიობიდან განისაზღვრება შემთხვევით (მაგ., შემთხვევით რიცხვთა ცხრილიდან).

გენერალური ერთობლიობა, თუ 1000 ერთეულიდან შედგება, ხოლო შერჩევის მოცულობა 100-ია, ინტერვალი იქნება 10-ის ტოლი. მაგ., პირველი ერთეული თუ 5 იყო, შემდეგი იქნება 15, 25, 35 და ა.შ..

სერიული შერჩევა. მის შემთხვევაში შერჩევის ერთეულები წარმოადგენენ ე.წ. სტატისტიკურ სერიებს, ასეთი ერთეული შეიძლება იყოს დაწესებულება, სასკოლო კლასი, ან სტუდენტთა ჯგუფი, ოჯახი და სხვა. მაგ., თუ შეისწავლება სტუდენტი-ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევა, ან ორიენტაციები და გენერალურ ერთობლიობას 1000 სტუდენტი შეადგენს, ხოლო შერჩევის მოცულობა 100 სტუდენტით არის განსაზღვრული, და, ამასთან, ჯგუფში საშუალოდ 20 სტუდენტია, სერიათა რაოდენობა 50 იქნება (1000 : 20). აქედან გამომდინარე, შემთხვევით შესარჩევი იქნება 5 სერია (ჯგუფი). ამ 5 ჯგუფის არჩევისას შეიძლება გამოყენებულ იქნას შემთხვევითი განუმეორებადი შერჩევა.

შერჩევითი გამოკვლევის სანდოობა.

2006 წელს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ ჩატარებულ იქნა სტუდენტი-ახალგაზრდობის სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევა. კითხვათა ნაწილი მიმართული იყო ოჯახში ბავშვების რაოდენობის დასადგენად, მათ შორის ოჯახში ბავშვების იდეალური რაოდენობის გამოსავლენად. გამოკითხულ იქნა 1100 რესპონდენტი.

გამოკვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ სტუდენტ-ახალგაზრდობამ დაასახელა ოჯახში იდეალურად ბავშვების შემდეგი რაოდენობა:

	დასახელებული ბავშვების რაოდენობა						სულ (n)
x_i	0	1	2	3	4	5	
n_i	2	22	319	555	133	69	1100

მოტანილი განაწილებიდან გამოვიანგარიშოთ სხვადასხვა მაჩვენებელი.

საშუალო. უფრო ხშირად (ჩვეულებრივ) დემოგრაფიაში გამოიყენება შეწონილი საშუალო არითმეტიკული (x), რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$x = \frac{\sum x_i n_i}{n}$$

ზემოთ მოტანილი ცხრილიდან გამომდინარე:

$$x = \frac{(0 \cdot 2) + (1 \cdot 22) + (2 \cdot 319) + (3 \cdot 555) + (4 \cdot 133) + (5 \cdot 69)}{1100}$$

სათანადო გაანგარიშებებიდან x = 2,91, ე.ი. სტუდენტებმა, საშუალოდ, იდეალურად დაასახელეს 2,91 ბავშვი.

საშუალო კვადრატული გადახრა (S) წარმოადგენს კვადრატულ ფესვს დისპერსიიდან (S^2). საშუალო კვადრატული გადახრა ახასიათებს საშუალო მნიშვნელობების გაბნევას, თუ საშუალო მნიშვნელობებს აღვნიშნავთ x-ით, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ საშუალო მნიშვნელობები იცვლება ინტერვალში ($x+ S, x- S$). საშუალო კვადრატული გადახრა გამოითვლება ფორმულით:

$$S = \sqrt{\frac{\sum (x_i - x)^2 n_i}{n}}$$

ზემოთ მოტანილი ცხრილიდან გამომდინარე:

$$S = \sqrt{\frac{(0 - 2{,}91)^2 \cdot 2 + (1 - 2{,}91)^2 \cdot 22 + (2 - 2{,}91)^2 \cdot 319 + (3 - 2{,}91)^2 \cdot 555 + (4 - 2{,}91)^2 \cdot 133 + (5 - 2{,}91)^2 \cdot 69}{1100}}$$

სათანადო გაანგარიშებებიდან S=0,87, ე.ი. სტუდენტების მიერ დასახელებული ბავშვების საშუალო იდეალური რაოდენობა (2,91) იცვლება ინტერვალში (2,91 + 0,87, 2,91 - 0,87).

რეპრეზენტატულობის შეცდომა. ახასიათებს გენერალური და შერჩევითი ერთობლიობების საშუალოთა დამთხვევის ხარისხს.

დავუშვათ აღნიშნული გამოკვლევისას გამოყენებულ იქნა შემთხვევითი განუმეორებადი შერჩევა. მაშინ რეპრეზენტატულობის შეცდომა (M) გამოითვლება ფორმულით:

$$M = \sqrt{\frac{S^2}{n}(1 - \frac{n}{N})},$$

სადაც N გენერალური ერთობლიობის მოცულობაა (თბილისში 2006 წელს დაახლოებით 90000 სტუდენტი იყო).

ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან გამომდინარე

$$M = \sqrt{\frac{0,76}{1100}(1-\frac{1100}{90000})}$$

სათანადო გაანგარიშებებიდან გამომდინარე M=0,026, რაც გენერალური და შერჩევითი ერთობლიობების საშუალოთა დამთხვევის მაღალ ხარისხზე მეტყველებს.

დავუშვათ გამოკითხვა სისტემატიური შერჩევის საფუძველზე განხორციელდა. ასეთ შემთხვევაში რეპრეზენტატულობის შეცდომა გამოითვლება ფორმულით:

$$M = \frac{S}{\sqrt{n}},$$

ანუ, მოცემულ შემთხვევაში, რეპრეზენტატულობის შეცდომა ტოლი იქნება:

$$M = \frac{0,87}{\sqrt{1100}} = \frac{0,87}{33,166} = 0,026$$

ამდენად, რეპრეზენტატულობის შეცდომა შემთხვევითი განუმეორებადი და სისტემატიური შერჩევებისას მსგავსია.

დავუშვათ გამოკითხვა ჩატარდა სერიული შერჩევის საფუძველზე. ასეთ დროს რეპრეზენტატულობის შეცდომა გამოითვლება ფორმულით:

$$M = \sqrt{\frac{s^2_{x_i}(C-l)}{l(C-1)}} \quad ,$$

სადაც $s^2_{x_i}$ სერიული საშუალოების დისპერსიაა.

C – სერიების რაოდენობა გენერალურ ერთობლიობაში, l – სერიების რაოდენობა შერჩევით ერთობლიობაში.

სერიების საშუალოების დისპერსია, თუ 0,87-ის ტოლია, ხოლო სერიების რაოდენობა გენერალურ ერთობლიობაში მოცემული გამოკვლევისას 4500 იყო და სერიების რაოდენობა შერჩევით ერთობლიობაში 55 შეადგენდა, მაშინ რეპრეზენტატულობის შეცდომა სერიული შერჩევისას ტოლი იქნება:

$$M = \sqrt{\frac{0,76(4500-55)}{55(4500-1)}} = \sqrt{\frac{3378,2}{247445}} = \sqrt{0,01365} = 0,117$$

ამდენად, სერიული შერჩევისას რეპრეზენტატულობის შეცდომის სიდიდე გაცილებით მეტია, ვიდრე შემთხვევითი განუმეორებადი და სისტემატიური შერჩევისას.

სანდოობის ინტერვალი. მისი განსაზღვრისათვის უპირველესად საჭიროა ზღვრული შეცდომის დადგენა, რომელიც გაიანგარიშება ფორმულით:

$$\Delta = tM \text{ , სადაც } t = \frac{1-\alpha}{2} \quad .$$

მოცემულის არსი ის არის, რომ გარკვეული ალბათობით (1-α) შეიძლება დამტკიცდეს, რომ გენერალური ერთობლიობის საშუალო (μ) იმყოფება ინტერვალში $(x - t\frac{S}{\sqrt{n}}; x + t\frac{S}{\sqrt{n}})$, რომელიც სანდოობის ინტერვალის სახელით არის ცნობილი.

განვიხილოთ აღნიშნული კონკრეტულ მაგალითზე. შეგახსენებთ, რომ ჩვენს შემთხვევაში გამოკითხული იყო 1100 სტუდენტი.

დავუშვათ გვაინტერესებს ალბათობით ($1-\alpha$), რომელიც ჩვენს შემთხვევაში 0,95-ის ტოლია (ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ – 0,95-ის ალბათობით) სანდოობის ინტერვალის დადგენა.

საშუალო კვადრატული გადახრა (S – ფესვი დისპერსიიდან) 0,87-ის ტოლია.

t მოცემულია ცხრილში (იხ. დანართი 1).

მისი სიდიდე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, განისაზღვრება ფარდობით: $\frac{0,95}{2} = 0,475$. მოცემულ ცხრილში უნდა მოიძებნოს 0,475-ის სიდიდე (იხ. დანართი 1). როგორც ვხედავთ, t-ს ვერტიკალური მნიშვნელობისას მოცემულია 1,9, ხოლო ჰორიზონტალური მნიშვნელობებისას, მეასედის სიზუსტით 0,06, ანუ, t=1,96.

აქედან გამომდინარე $\Delta = tM = 1,96 \cdot 0,026 = 0,05$.

ამდენად, 0,95-ის ალბათობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ გენერალური ერთობლიობის საშუალოს (μ) სანდოობის ინტერვალი შეადგენს: $(2,91-0,05) < \mu < (2,91+0,05)$. შეგახსენებთ, რომ 2,91 არის სტუდენტების მიერ დასახელებული ოჯახში ბავშვების საშუალო იდეალური რაოდენობა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ გენერალური ერთობლიობის საშუალო იდეალური რაოდენობა 0,95-ის ალბათობით მინიმუმ იქნებოდა 2,86 და მაქსიმუმ – 2,96 (შემთხვევითი განუმეორებადი და სისტემატიური შერჩევისას).

კვოტური შერჩევა. შერჩევის ეს სახეობა არ მიეკუთვნება შემთხვევით შერჩევას. მიუხედავად ამისა, კვოტური შერჩევა ხშირად გამოიყენება როგორც სოციოლოგიური, ისე დემოგრაფიული სახის გამოკვლევებში. ამასთან, მთელი რიგი ცნობილი ცენტრები (მაგ., გელაპის ინსტიტუტი) გამოკვლევებს ძირითადად კვოტური შერჩევის საფუძველზე ახორციელებენ. მეთოდოლოგიური გამოკვლევების შედეგებით დადგენილ იქნა, რომ კვოტური შერჩევის საფუძველზე მიღებული მონაცემები მაღალი სანდოობით გამოირჩევა და არაფრით ნაკლები არ არის შერჩევის შემთხვევით სახეობებზე.

კვოტური შერჩევის ძირითადი პრინციპია გენერალური ერთობლიობის დაყოფა გარკვეულ ჯგუფებად და შერჩევის ერთობლიობის განსაზღვრა იმ პროპორციებით, რომლითაც ისინი წარმოდგენილი არიან გენერალურ ერთობლიობაში. გენერალურ ერთობლიობაში ჯგუფები შეიძლება გამოყოფილ იქნენ ისეთი ნიშნებით, როგორიც არის ასაკი, სქესი, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა, მოსახლეობის განაწილება რეგიონების მიხედვით, განათლება, ქორწინებითი მდგომარეობა და სხვა. ნიშნების შერჩევა კვლევის სპეციფიკასა და ინფორმაციის წყაროებზეა დამოკიდებული. მაგ., იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შევისწავლით მხოლოდ ქალებს, ცხადია სქესის ნიშანი კვოტური შერჩევისას მხოლოდ ერთი იქნება – ქალები. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია სხვა ნიშნები.

მაგალითისათვის მოვიყვანთ საქართველოში 2005 წელს მამაკაცთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევას, რომელიც კვოტურ შერჩევას ეფუძნებოდა.

მოცემულის გარდა გამოიყენებოდა ისეთი კვოტური ნიშნები, როგორიცაა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა და მამაკაცების განაწილება რეგიონების მიხედვით. ამასთან, მოტანილი კვოტური ნიშნები დიფერენცირებული იყო ერთმანეთთან მიმართებაში. აქ იგულისხმება, რომ ერთდროულად გათვალისწინებული იყო როგორც მამაკაცის ასაკი, ისე მისი ქორწინებითი მდგომარეობა, განათლების დონე, საცხოვრებელი ადგილი რეგიონისა და ქალაქ-სოფლის მიხედვით.

კვოტური შერჩევა ვინაიდან არაშემთხვევით სახეობას განეკუთვნება, ამიტომ მის შემთხვევაში არ გაიანგარიშება რეპრეზენტატულობის შეცდომა და სხვა მაჩვენებლები.

რა თქმა უნდა ეს ხელს არ უშლის იმას, რომ მის საფუძველზე მიღებული მონაცემებისათვის გაანგარიშებულ იქნას საშუალო კვადრატული გადახრა და სხვა სტატისტიკური მაჩვენებელი.

ცხრილი 2.1. გენერალური და შერჩევითი ერთობლიობები (მამაკაცთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა, საქართველო 2005)

	რაოდენობა		პროცენტული განაწილება	
	გენერალური ერთობლიობა	შერჩევითი ერთობლიობა	გენერალური ერთობლიობა	შერჩევითი ერთობლიობა
ასაკი				
15-19	178950	537	16.6	16.6
20-24	161928	485	15.0	15.0
25-29	151234	454	14.0	14.0
30-34	144154	432	13.4	13.4
35-39	151456	455	14.0	14.0
40-44	157156	471	14.6	14.6
45-49	133576	400	12.4	12.4
სულ	1078454	3234	100.0	100.0
ქორწინებითი მდგომარეობა				
დაქორწინებული	592968	1778	55.0	55.0
არასოდეს ყოფილა ქორწინებაში	462282	1387	42.9	42.9
ქვრივი, განქორწინებული	23204	69	2.1	2.1
სულ	1078454	3234	100.0	100.0
განათლების დონე				
უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი	297896	892	27.6	27.6
პროფესიული	176574	530	16.4	16.4
საშუალო	430758	1293	39.9	40.0
არასრული საშუალო	173226	519	16.1	16.0
სულ	1078454	3234	100.0	100.0

აღვნიშნავთ, რომ გენერალური და შერჩევითი ერთობლიობების გარდა შეიძლება საქმე გვქონდეს პირობით ისეთ ერთობლიობებთან, როგორიც არის გამოკითხულთა ერთობლიობა და დამუშავებული ერთობლიობა.

საქმე ის არის, რომ გენერალური ერთობლიობიდან გამომდინარე შეიძლება განისაზღვროს შერჩევითი ერთობლიობა, პრაქტიკულად უკვე კონკრეტულად გამოკითხულთა რაოდენობის სახით, თუ გამოკითხულები ნიშნების მიხედვით, შეიძლება განსხვავდებოდეს შერჩევით განსაზღვრული ერთობლიობისაგან. ასევე, სხვადასხვა მიზეზით, გამოკითხულთა ერთობლიობიდან ყველა ერთეული შეიძლება არ გამოდგეს დამუშავებისათვის და ამდენად მიიღება ერთობლიობა, რომელიც განსხვავდება ზემოთ მოტანილი პირველი სამისაგან.

პრაქტიკულად ანალიზს ექვემდებარება დამუშავებული ერთობლიობა.

3. მოსახლეობის რაოდენობა და სტრუქტურა

3.1. მოსახლეობის რაოდენობა

ანსხვავებენ თეორიული მოსახლეობის რაოდენობას, რომელიც გამოიყენება დემოგრაფიულ ანალიზსა და დემოგრაფიულ მოდელებში (მაგ., სტაბილური მოსახლეობა) და ფაქტობრივი მოსახლეობის რაოდენობას (რომელიმე ტერიტორიის, ქვეყნის, რაიონის და ა.შ.). მოსახლეობის რაოდენობა დაბადებათა და გარდაცვალებათა გამო მუდმივად იცვლება. დემოგრაფიაში მოსახლეობის რაოდენობა განიხილება როგორც დემოგრაფიული პროცესებისა და მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურისა (ჩაკეტილი მოსახლეობა) და მიგრაციის (ღია მოსახლეობა) ურთიერთქმედების შედეგი. მოსახლეობის რაოდენობა გამოიყენება დემოგრაფიული კოეფიციენტებისა და რიგი სხვა მაჩვენებლების გაანგარიშებისას. მონაცემები მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მიიღება მოსახლეობის აღწერისას, ხოლო აღწერებს შორის პერიოდში – მიმდინარე აღრიცხვის მონაცემთა საფუძველზე.

დემოგრაფიული გაანგარიშებებისას ჩვეულებრივ გამოიყენება მოსახლეობის საშუალო რაოდენობა, რომელიც წარმოადგენს რომელიმე კალენდარული პერიოდების დასაწყისის მოსახლეობის საშუალო რაოდენობას და ასეთი სახელწოდებით არის ცნობილი.

მაგ., 2005 წლის მოსახლეობის საშუალო რაოდენობა წარმოადგენს 2005 წლის 1 იანვრისათვის დაფიქსირებული მოსახლეობისა და 2006 წლის 1 იანვრისათვის არსებული მოსახლეობის საშუალოს, ანუ მათ ჯამს გაყოფილს ორზე. მაგ., სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 2005 წლის 1 იანვრისათვის, თუ საქართველოს მოსახლეობა იყო 4321,5 ათასი, ხოლო 2006 წლის 1 იანვრისათვის – 4401,3 ათასი, 2005 წლის საშუალო მოსახლეობის რაოდენობა იქნება:

$$\frac{4321,5+4401,3}{2}=4361,4\,.$$

მოსახლეობის რაოდენობის ცვალებადობის გამოსახატავად ძირითადად გამოიყენება მოსახლეობის მატების (ცვალებადობის) კოეფიციენტი, რომელიც წარმოადგენს გარკვეულ პერიოდში ფაქტობრივი მოსახლეობის საერთო მატების შეფარდებას იმავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რაოდენობასთან. მოსახლეობის ცვალებადობის კოეფიციენტი შეიძლება გამოისახოს როგორც აბსოლუტურ რიცხვებში, ისე პროცენტულად (%) და პრომილეთი (‰), თუ მიღებულ შედეგს გავამრავლებთ შესაბამისად 100 ან 1000-ზე. მოსახლეობის ცვალებადობის კოეფიციენტი შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი ან ნულის ტოლი სიდიდე იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობის რაოდენობა შესაბამისად იზრდება, კლებულობს ან რჩება უცვლელი. მოსახლეობის ცვალებადობის კოეფიციენტი (ΔP) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$\Delta P=\frac{P_1-P_0}{P},$$

სადაც P_o არის მოსახლეობის რაოდენობა პერიოდის დასაწყისში; P_1 – მოსახლეობის რაოდენობა პერიოდის დასასრულისათვის; P – მოსახლეობის საშუალო რაოდენობა. მოსახლეობის საერთო მატება გარკვეული დროის ინტერვალის დასაწყისისა და ბოლოსათვის მოსახლეობის რაოდენობებს შორის სხვაობაა. მოსახლეობის საერთო მატება გამოისახება აბსოლუტური რიცხვით. ის შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი და (ან) ნულის ტოლი. მოცემული ტერიტორიისათვის მოსახლეობის საერთო მატება მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა და მოსახლეობის მიგრაციული მატების ჯამის ტოლია.

მაგ., სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 2005 წლის 1 იანვრისათვის მოსახლეობის რაოდენობა 4321,5 ათასის ტოლი იყო, ხოლო 2006 წლის 1

იანვრისათვის – 4401,3 ათასი. უკვე ზემოთ გაანგარიშებულიდან მოსახლეობის საშუალო რაოდენობა 2005 წლისათვის შეადგენდა 4361,4 ათასს.

მოტანილი ფორმულიდან გამომდინარე მოსახლეობის მატების (ცვალებადობის) კოეფიციენტი ტოლი იქნება: $\Delta P = \frac{4401,3 - 4321,5}{4361,4} = 0,018$.

მიღებულს, თუ გავამრავლებთ 100-ზე, მივიღებთ მოსახლეობის მატებას 1,8%-ის ფარგლებში, ანუ, 18‰. მოტანილიდან გამომდინარეობს, რომ 2005 წლიდან 2006 წლამდე საქართველოს მოსახლეობა გაიზარდა 1,8%-ით.

3.2. მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა)

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა (სტრუქტურა) წარმოადგენს დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შესწავლის მიზნით მოსახლეობის განაწილებას ასაკობრივი ჯგუფებისა და ასაკობრივი კონტინგენტების მიხედვით. მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა ახასიათებს რა ასაკობრივი ჯგუფების თანაფარდობას, ამასთან იგი მისი და მოსახლეობის დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური მახასიათებლების ურთიერთკავშირის შეფასების საშუალებას იძლევა. ზოგადი სტრუქტურული ცვლილებების შეფასებისას გამოიყენება გამსხვილებული განაწილება სამ ასაკობრივ ჯგუფად: 0-14 წელი, 15-59 და 60 და მეტი (ან 0-14, 15-64 და 65 და მეტი).

დემოგრაფიული თვალსაზრისით მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა წარსულის მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის და მიგრაციის ევოლუციის შედეგია და ამასთანავე მომავალი დემოგრაფიული განვითარების დამოუკიდებელი კომპონენტია.

შვედმა დემოგრაფმა გ. სუნდბერგმა გამოყო მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის სამი ძირითადი ტიპი: 1) პროგრესული – მოსახლეობის მთელ რაოდენობაში ბავშვების დიდი წილით, რომელსაც შეესაბამება მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი მაჩვენებელი; 2) სტაციონარული – მთელ მოსახლეობაში საბავშვო და მოხუცებულობის ასაკობრივი ჯგუფების თითქმის გაწონასწორებული წილი. ასეთი სტრუქტურის მქონე მოსახლეობის ბუნებრივი მატება ძალიან უმნიშვნელოა ან უცვლელ დონეზე იმყოფება (სტაციონარულია); 3) რეგრესული – მთელ მოსახლეობაში ხანდაზმული და მოხუცებულობის ასაკის ადამიანების შედარებით დიდი წილი. მას შეესაბამება მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება. მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის ტიპების ამგვარი გამოყოფა ფართოდ არის გავრცელებული დემოგრაფიაში.

მოტანილის კარგ მაგალითს წარმოადგენს 1926-2003-2030 წლების საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შედარება.



პროგრესული სტაციონარული რეგრესული

როგორც ვხედავთ, 1926 წელს საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურა პროგრესულთან იყო ახლოს, 2003 წელს სტაციონარულის მსგავსი იყო, ხოლო 2030 წელს რეგრესულის ფორმას მიიღებს.

3.3. მოსახლეობის შემადგენლობის სახეობები

მოსახლეობის გეოგრაფიული შემადგენლობა (სტრუქტურა) წარმოადგენს მოსახლეობის საერთო რაოდენობის განაწილებას დაკვირვების ტერიტორიული ობიექტების მიხედვით. ტერმინი "მოსახლეობის გეოგრაფიული შემადგენლობა" ასახავს დემოგრაფიულ-გეოგრაფიული ინფორმაციის გავრცელებულ ფორმებს, რომლებიც ჩვეულებრივ მოყვანილია მსოფლიოს ან რომელიმე ქვეყნისათვის სტატისტიკურ ცნობარებსა და სტატისტიკურ პუბლიკაციებში.

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა (სტრუქტურა) ასახავს მოსახლეობის განაწილებას ეთნიკური კუთვნილების ნიშნის მიხედვით. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შეიძლება განსხვავებულ იქნას როგორც ცალკეული ქვეყნის და მისი რომელიმე რაიონისათვის, ისე ქვეყანათა ჯგუფისა (მაგ., დასავლეთ ევროპა) და მთლიანად მსოფლიოსათვის. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის განსაზღვრისათვის, ეთნიკური კუთვნილების პირდაპირი მონაცემების გარდა, გამოიყენება მონაცემები მშობლიური ენის შესახებ.

მოსახლეობის ენობრივი შემადგენლობა (სტრუქტურა) არის ცალკეული რაიონის, ქვეყნის, კონტინენტის და მთლიანად მსოფლიოს მოსახლეობის განაწილება სხვადასხვა ენობრივი მაჩვენებლის (მშობლიური ენა, სალაპარაკო ენა, წიგნიერობის ენა) მიხედვით.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა (სტრუქტურა) ეს არის მოსახლეობის განაწილება ეროვნული კუთვნილების ნიშნის მიხედვით.

მოსახლეობის ოჯახური შემადგენლობა (სტრუქტურა) წარმოადგენს ადამიანთა განაწილებას სხვადასხვა სიდიდის, შემადგენლობისა და ტიპის ოჯახების მიხედვით. მოსახლეობის ოჯახური შემადგენლობა გამოიხატება ოჯახების დაჯგუფებით ამა თუ იმ მახასიათებლების მიხედვით (ოჯახის წევრთა რაოდენობა, ოჯახში ბავშვების რაოდენობა და სხვა) და აგრეთვე ამ მახასიათებლებით ყველა ოჯახის წევრების დაჯგუფებით. საყოველთაოდ მიღებული მოსახლეობის ოჯახური შემადგენლობის მაჩვენებელთა სისტემა არ არსებობს. ის დამოკიდებულია მოსახლეობის აღწერის პროგრამაზე და მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავების პროგრამაზე. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მოცემულ ქვეყანაში მიღებულ ოჯახის განმარტებას.

მოსახლეობის ოჯახური შემადგენლობა პირდაპირ ან ირიბად განიცდის პრაქტიკულად ყველა დემოგრაფიული პროცესისა და ცხოვრების პირობების მთელი ერთობლიობის გავლენას, რომელთა ზემოქმედების შედეგად მიმდინარეობს ეს პროცესები.

მოსახლეობის ოჯახური შემადგენლობა უნდა განვასხვაოთ ოჯახის შემადგენლობისაგან, რომელიც გულისხმობს ერთი ოჯახის წევრების განაწილებას დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ნიშნების მიხედვით.

მოსახლეობის პროფესიული შემადგენლობა (სტრუქტურა) ასახავს შრომის დანაწილების საფუძველზე მუშაკების განაწილებას პროფესიების მიხედვით, რომელიც გულისხმობს ადამიანების მომზადებას გარკვეული სამუშაოს შესრულების, მათ მიერ შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებისათვის. მოსახლეობის პროფესიული შემადგენლობის დემოგრაფიული ასპექტის შესწავლა ითვალისწინებს შრომის ფსიქოფიზიოლოგიური განსხვავების აღრიცხვას სქესის მიხედვით, ჯანმრთელობისათვის მავნე პროფესიებისა და წარმოების სახეობების კლასიფიკაციასა და აღრიცხვას და სხვა. დემოგრაფიაში მოსახლეობის პროფესიული შემადგენლობა გამოიყენება პროფესიულ დაავადებათა და მოკვდაობის შესწავლისათვის.

მოსახლეობის რასობრივი შემადგენლობა (სტრუქტურა) წარმოადგენს მოსახლეობის განაწილებას რასობრივი ნიშნის კუთვნილების მიხედვით მცირე და

დიდი რასების, გარდამავალი ტიპების და ა.შ. გამოყოფით. რასობრივი კუთვნილების აღრიცხვას აწარმოებენ მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნის (აშშ, ბრაზილია და სხვ.) მოსახლეობის აღწერისას, იქ სადაც მოსახლეობის რასობრივი შემადგენლობა რთულია, ხოლო რასობრივი ურთიერთობები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და უფრო ხშირად გამწვავებულია. რასობრივ აღრიცხვას აწარმოებენ გამარტივებულად, ჩვეულებრივ, კანის ფერის მიხედვით.

მოსახლეობის რეგიონული შემადგენლობა (სტრუქტურა) წარმოადგენს მოსახლეობის განაწილებას ტერიტორიული ნიშნის მიხედვით. მოსახლეობის რეგიონული შემადგენლობა არის მოსახლეობის გეოგრაფიული სტრუქტურის ნაირსახეობა.

მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა (სტრუქტურა) არის მოსახლეობის განაწილება რელიგიური ნიშნის კუთვნილების მიხედვით. მოსახლეობის ეთნიკური, ეროვნული და ენობრივი შემადგენლობისაგან განსხვავებით მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა ეხება არა მთელ მოსახლეობას, არამედ მის მორწმუნე ნაწილს.

მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა (სტრუქტურა) წარმოადგენს მოსახლეობის განაწილებას სოციალური ჯგუფების მიხედვით.

მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობა (სტრუქტურა) ასახავს მოსახლეობის განაწილებას მდედრობითი და მამრობითი სქესის ადამიანების მიხედვით. იზომება მოსახლეობაში ან მის ჯგუფებში მამაკაცებისა და ქალების წილით (პროცენტით), ან მამაკაცების რიცხვით, რომელიც მოდის ყოველ 100 (1000) ქალზე. მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობა ყალიბდება სქესთა რაოდენობის თანაფარდობით დაბადებისას და ქალებისა და მამაკაცების მოკვდაობის განსხვავებით.

მოსახლეობის ქორწინებითი შემადგენლობა (სტრუქტურა) წარმოადგენს მოსახლეობის განაწილებას ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით. მხედველობაში მიიღება არა მთელი მოსახლეობა, არამედ 16 (ან 15) და უფროსი ასაკის მოსახლეობა. როგორც წესი, მოსახლეობის განაწილება ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით წარმოდგენილია ორივე სქესისათვის ცალ-ცალკე.

3.4. მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა

ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა წარმოადგენს ასაკისა და სქესის მიხედვით ადამიანთა განაწილების გრაფიკულ გამოსახულებას. ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა წარმოადგენს ორმხრივი მიმართულების დიაგრამას, რომელზეც ყოველი ასაკისა და სქესის ადამიანთა რაოდენობა ან მათი წილი მოსახლეობაში გამოსახულია გარკვეული მასშტაბის ჰორიზონტალური ზოლით (საფეხურით). ზოლები ერთმანეთზეა განლაგებული ასაკის ზრდის მიხედვით, ჩვეულებრივ 0-დან 100 წლამდე; მარცხნივ მამაკაცებია, მარჯვნივ ქალები. ვინაიდან მოკვდაობის შედეგად ადამიანთა რაოდენობა უფროს ასაკში ნაკლებია, ვიდრე დაბალ ასაკში (როგორც წესი), გრაფიკულ გამოსახულებას, მოცემულ შემთხვევაში, აქვს პირამიდის ფორმა.

ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა აიგება მოსახლეობის აღწერების ან მოსახლეობის გამოკვლევების მონაცემების საფუძველზე, ჩვეულებრივ, ერთი ან 5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდის საფეხურების ფართობი (მასშტაბში) შეესაბამება ყოველი ასაკისა და სქესის მოსახლეობის რაოდენობას ან მათ წილს (%) მოსახლეობაში. ამასთან საფეხურის სიგრძე შეესაბამება მოცემულ ასაკობრივ ერთეულზე მოსულ ადამიანთა რაოდენობას.

ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა გამოხატავს ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურას დროის ამა თუ იმ მომენტისათვის. ის აფიქსირებს წინა პერიოდის მოსახლეობის აღწარმოების და მიგრაციის შედეგს. საფეხურების შედარებითი სიგრძე უფროსი ასაკიდან უმცროს ასაკამდე, იძლევა წარმოდგენას მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე შობადობისა და მოკვდაობის პროცესების გავლენაზე (ხანგრძლივი დროის მანძილზე). ამასთან, მიგვითითებს მოცემული მომენტისათვის ჩამოყალიბებული ასაკობრივი სტრუქტურის გავლენას მოსახლეობის პერსპექტიულ ზრდაზე.



1989 წლის საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა (ათასობით)

3.5. სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა წარმოადგენს მოსახლეობაში ან მის ამა თუ იმ ჯგუფში მდედრობითი და მამრობითი სქესის პირთა რაოდენობის თანაფარდობას. ძირითადად იზომება მამაკაცთა რაოდენობით, რომელიც მოდის 100 ან 1000 ქალზე, ზოგჯერ – მამრობითი სქესის პირთა წილით (%) ორივე სქესის პირთა შორის.

ადამიანის სიცოცხლის პერიოდიდან გამომდინარე, სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობას ყოფენ პირველად, მეორეულ და მესამეულად.

პირველადი სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა წარმოადგენს მამრობითი და მდედრობითი ზიგოტების რაოდენობის თანაფარდობას განაყოფიერებისას. ის შეადგენს ადამიანის ბიოლოგიის კვლევის ობიექტს. მიახლოებითი შეფასებით, პირველადი სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა შეადგენს 125-130 მამრობით ჩანასახს 100 მდედრობითზე.

დემოგრაფიის კვლევის ობიექტს წარმოადგენს მეორეული და მესამეული სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა.

მეორეული სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა წარმოადგენს ბიჭებისა და გოგონების რაოდენობის თანაფარდობას ცოცხლად დაბადებულთა შორის. როგორც წესი, ის ნაკლებია პირველად სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაზე. მეორეული სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა შეადგენს 105-106 ბიჭს 100 გოგონაზე, ანუ 51,2%-ს ბიჭების სასარგებლოდ. ეს თანაფარდობა განსხვავდება

ქვეყნების მიხედვით, მაგრამ იშვიათად აღემატება 107, და ასევე იშვიათად არის 104-ზე ნაკლები.

სქესთა მეორეული თანაფარდობის შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ის ჯერ კიდევ 1662 წელს იყო აღწერილი ჯ. გრაუნტის მიერ, რომელიც აღნიშნავდა, რომ ბიჭები ყოველთვის მეტი იბადება, ვიდრე გოგონები. თანაფარდობა დაბადებულ ბიჭებსა და გოგონებს შორის ლონდონისათვის შეადგენდა 14/13, ანუ 107,7 ბიჭს 100 გოგონაზე.

1814 წელს პ. ლაპლასმა ევროპის მსხვილ ქალაქებში დაბადებათა შესწავლისათვის გამოიყენა ალბათობის თეორია. ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სქესთა მეორეულ თანაფარდობაში ბიჭების სიჭარბე გოგონებზე ზოგად კანონს წარმოადგენდა.

ვ. ლექსისი იკვლევდა რა სქესთა მეორეულ თანაფარდობას, ასკვნიდა მის მუდმივობას და აღნიშნავდა, რომ ყოველი ქვეყნისათვის გადახრა საშუალოსაგან მით უფრო დიდია, რაც უფრო ნაკლებია დაბადებათა საერთო რაოდენობა.

1830 წელს კ. ბერნული აღნიშნავდა სქესთა მეორეულ თანაფარდობაში ბიჭების მეტ სიჭარბეს ქორწინებაში დაბადებულებისათვის ქორწინების გარეშე დაბადებულებთან შედარებით.

1895 წელს ჟ. ბერტილიონმა დაადგინა, რომ ქორწინებაში მყოფი ქალების პირველი მშობიარობა ბიჭების მეტ წილს იძლევა, ხოლო ქორწინებაში არმყოფი ქალებისა – ნაკლებს.

შენიშნულ იქნა, რომ ომების დროს და ომის შემდგომ პერიოდში, ომში მონაწილე ქვეყნების მოსახლეობაში არსებული სქესთა მეორეული თანაფარდობა იცვლება და მეტი ბიჭი იბადება.

ს. ნოვოსელსკის მონაცემებით, ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში, პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში სქესთა არსებული მეორეული თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულთა შორის 104-105, ომისა და ომის შემდგომ პერიოდში შეიცვალა თანაფარდობით 106-108.

ვ. გეოდაკიანის მონაცემებით, მეორე მსოფლიო ომის დროს დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში სქესთა მეორეული თანაფარდობა გაიზარდა 1,5-2,0 %-ით.

სქესთა მეორეული თანაფარდობა ქვეყნის შიგნით შეიძლება განსხვავდებოდეს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფისათვის. კერძოდ, როგორც წესი, რეგისტრირებულ ქორწინებაში ბიჭები მეტი იბადება, ვიდრე ქორწინების გარეშე. რაც უფრო მაღალია დაბადების რიგითობა, მით უფრო ნაკლები ბიჭები იბადება. დაბალ ასაკში, განსაკუთრებით 20 წლამდე, დედებს მეტი ბიჭი ებადებათ, ვიდრე უფროს ასაკში.

სქესთა მეორეული თანაფარდობა დამოკიდებულია სქესთა პირველად თანაფარდობაზე, მუცლტარების პირობებზე, ჩანასახების მოკვდაობაზე და სხვა.

მესამეული სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა წარმოადგენს მამრობითი და მდედრობითი სქესის პირთა თანაფარდობას ფერტილურ ასაკში, ან ფერტილური ასაკის ცალკეულ ჯგუფში. ხშირად განიხილება აგრეთვე სხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის. მესამეული სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა მნიშვნელოვნად მერყეობს და დამოკიდებულია მამაკაცებისა და ქალების ასაკობრივ მოკვდაობაზე.

დემოგრაფიაში ანსხვავებენ აგრეთვე სტაციონარულ და ნორმალურ სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობას.

სტაციონარული სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა წარმოადგენს მამრობითი და მდედრობითი სქესის პირთა თანაფარდობას სტაციონარულ მოსახლეობაში. ყველა ასაკისათვის ის დამოკიდებულია მამაკაცთა და ქალების მოკვდაობაზე ყველა წინა ასაკში.

ნორმალური სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა წარმოადგენს სტაციონარულ და მეორეულ სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობათა ნამრავლს გაყოფილს 100-ზე ან 1000-ზე. სქესთა ნორმალური რაოდენობრივი თანაფარდობა

დამოკიდებულია როგორც მამაკაცებისა და ქალების მოკვდაობის, ისე დაბადებულთა შორის ბიჭებისა და გოგონების თანაფარდობაზე.

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის სიდიდე ირღვევა ნებისმიერი უზუსტობებისა და დაბადებულთა არასრული რეგისტრაციის, ან რეგისტრაციის წარმოების შეცვლისას.

სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაზე დამოკიდებულია ქორწინებათა რაოდენობა და სიხშირე, აგრეთვე დაბადებათა რაოდენობა და საერთო ჯამში კი მოსახლეობის აღწარმოება.

3.6. ასაკი

ასაკი არის ადამიანის სიცოცხლის ესა თუ ის ხანა, პერიოდი დაბადებიდან ნებისმიერ მომენტამდე. განარჩევენ ორგანიზმის ქრონოლოგიურ (კალენდარულ) და ფიზიოლოგიურ (ბიოლოგიურ) ასაკს. ქრონოლოგიური ასაკი იზომება დაბადებიდან გავლილი დროის (ჩვეულებრივ წლების) მიხედვით. ფიზიოლოგიური ასაკი განისაზღვრება ნივთიერებათა მიმოცვლის მდგომარეობით და ორგანიზმის ფუნქციით, აგრეთვე ამ პროცესების შესატყვისობით ადამიანის პოპულაციის ასაკობრივ ნორმებთან.

დემოგრაფიაში ასაკი დროის შუალედია პიროვნების დაბადებიდან ამ პიროვნების აღწერის მომენტამდე. ცნობები ასაკის შესახებ მიიღება მოსახლეობის აღწერებისა და გამოკვლევების დროს გამოკითხვის გზით, აგრეთვე დემოგრაფიული შემთხვევების (ქორწინება, განქორწინება და სხვ.) მიმდინარე რეგისტრაციისას – ძირითადად შესაბამის დოკუმენტებში ჩაწერის საფუძველზე. მოსახლეობის აღწერის პროგრამა ზოგ ქვეყანაში ითვალიწინებს ასაკის რეგისტრაციას დაბადების ზუსტი თარიღის (წელი, თვე, დღე) აღნიშვნით.

ზუსტი ასაკი წარმოადგენს დროის მონაკვეთს დაბადებისა და ადამიანის ცხოვრების გარკვეულ მომენტს შორის. ყველაზე ხშირად დემოგრაფიაში ზუსტი ასაკი გამოისახება მთელი რიცხვით. მაგ., ზუსტ ასაკს – 18 წელს ადამიანი აღწევს თავისი 18 წლის შესრულების დღეს.

ზოგჯერ ტერმინი "ზუსტი ასაკი" გამოიყენება დამახინჯების გარეშე გაზომილი ასაკის აღსანიშნავად. ეს გამოწვეულია იმით, რომ ადამიანები გამოკითხვისას არასწორად მიუთითებენ თავიანთ ასაკს, ან ამრგვალებენ (ზრდიან ან ამცირებენ მას), ან კიდევ შესაძლებელია, რომ მოხუცებს აღარც კი ახსოვდეთ თავიანთი ასაკი, რის გამოც ისინი უთითებენ არაზუსტ ასაკს.

საშუალო ასაკი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ან ასაკის მიხედვით რომელიმე დემოგრაფიული შემთხვევის მიახლოებითი, განმაზოგადებელი მახასიათებელია. საშუალო ასაკი წარმოადგენს მთელი ერთობლიობის აბსტრაქტულ ტიპურ მახასიათებელს. გარკვეული თვალსაზრისით ის ანიველირებს შემთხვევით და არაშემთხვევით ცვალებადობას და რეალური ერთობლიობის ერთეულთა ერთი სიდიდით ზოგადი დახასიათების საშუალებას იძლევა.

საშუალო ასაკი გამოითვლება როგორც ყველა ადამიანის ასაკთა მნიშვნელობის საშუალო არითმეტიკული მოცემული მოსახლეობისათვის, თაობებისათვის, აგრეთვე ადამიანებისათვის, რომელთა სიცოცხლეში ადგილი ჰქონდა რომელიმე დემოგრაფიულ შემთხვევას.

დედის საშუალო ასაკი ბავშვების გაჩენისას ქალების საშუალო ასაკია. განისაზღვრება როგორც საშუალო შეწონილი არითმეტიკული დედის თაობისა და მათ ბავშვებს შორის ინტერვალით.

პრაქტიკულად დედის საშუალო ასაკი მიახლოებით უდრის თაობის სიგრძის საშუალოს სტაბილურ მოსახლეობაში.

არსებული მონაცემების ანალიზის თანახმად ეს მაჩვენებელი გარკვეულწილად დროში მდგრადია და სხვადასხვა ქვეყანაში 25-30 წლის ფარგლებშია.

გარკვეული თვალსაზრისით დედის საშუალო ასაკის მაჩვენებლის ცვალებადობა შობადობის დონის ტენდენციის დახასიათებისთვისაა გამოსადეგი. რაც უფრო მცირეა დედის საშუალო ასაკი მით ნაკლებია შობადობის დონე.

საშუალო საქორწინო ასაკი ქორწინების ასაკის ერთ-ერთი განმაზოგადებელი მახასიათებელია. წარმოადგენს გარკვეულ პერიოდში (მაგ., მოცემულ წელს) დაქორწინებულთა მთელი ერთობლიობის საშუალო ასაკს. საშუალო საქორწინო ასაკი გამოითვლება როგორც საშუალო არითმეტიკული. ამასთან იგულისხმება, რომ ყოველ X ასაკში დაქორწინება მოდის X-დან X+1 წლამდე ასაკობრივი ინტერვალის შუაზე.

გარდაცვლილთა საშუალო ასაკი დემოგრაფიული მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს რომელიმე პერიოდის განმავლობაში, მოსახლეობის მოცემულ ჯგუფში გარდაცვლილთა განაწილებას ასაკის მიხედვით. იგი მიიღება გარდაცვლილთა ასაკების სიდიდეების საშუალო არითმეტიკულით.

გარდაცვლილთა საშუალო ასაკი განისაზღვრება მოკვდაობის დონით ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის თავისებურებებით.

გარდაცვლილთა განაწილება ასაკის მიხედვით წარმოადგენს გარდაცვლილთა საერთო რაოდენობაში გარდაცვლილთა წილს მოცემულს ყოველი ასაკობრივი ინტერვალისათვის. ანსხვავებენ გარდაცვლილთა განაწილებას ასაკის მიხედვით მოკვდაობის ცხრილებიდან გამომდინარე (ე.წ. ცხრილური) და რეალურ მოსახლეობაში (ე.წ. ფაქტობრივი).

ცხრილური გარდაცვლილთა განაწილება ასაკის მიხედვით მოცემულია გარდაცვლილთა ასაკობრივი რიცხვების მწკრივით. ცხრილური გარდაცვლილთა განაწილება ასაკის მიხედვით ემთხვევა დაბადებულთა განაწილებას სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით, რომელიც დამოკიდებულია მოკვდაობის დონეზე ყოველ ასაკობრივ ინტერვალში.

ფაქტობრივი გარდაცვლილთა განაწილება ასაკის მიხედვით არსებითად არის დამოკიდებული მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე. მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შობადობისა და მოკვდაობის დონეთა ცვალებადობა. ამიტომ ფაქტობრივი გარდაცვლილთა განაწილება ასაკის მიხედვით გამოიყენება სხვადასხვა ასაკის მოკვდაობის დონის თანაფარდობის შეფასებისათვის და, როგორც წესი, არ იძლევა სარწმუნო შედეგებს.

ასაკობრივი ინტერვალი წარმოადგენს სხვაობას ასაკობრივი ჯგუფის საზღვრებს შორის, რომელიც ამასთან შეიცავს ასაკობრივი ჯგუფის ქვედა და ზედა მაჩვენებლებს. მაგ., 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ასაკობრივი ინტერვალი შეადგენს 5 წელს, ხოლო 40-49 წლის ასაკობრივ ჯგუფში – 10 წელს.

ასაკობრივი კლასიფიკაცია არის ადამიანთა ასაკის განაწილება მეტნაკლებად მსხვილ ჯგუფებად, რომელიც აერთიანებს მათ რომელიმე სოციალური ან დემოგრაფიული ფუნქციის მსგავსების საფუძველზე. გამოიყენება მთელი მოსახლეობის ან ადამიანთა გარკვეული ერთობლიობის შესწავლისას. ასაკობრივ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს წარმოდგენა ასაკობრივი პერიოდიზაციის შესახებ. ასაკობრივი კლასიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა გამოყოფილ იქნას ესა თუ ის ასაკობრივი კონტინგენტი. ასაკობრივი კლასიფიკაციის კრიტერიუმის შერჩევა დამოკიდებულია გამოკვლევათა მიზნებზე. დემოგრაფიაში უპირატესობას ანიჭებენ ასაკობრივ კლასიფიკაციას ერთი ან 5 წლიანი ჯგუფებით. ქორწინებისა

და შობადობის შესწავლისას გამოყოფენ საქორწინო და ფერტილურ ასაკს. ეკონომიკური თვალსაზრისით გამოყოფენ 3 ასაკობრივ ჯგუფს – სამუშაომდელს, სამუშაოს, სამუშაოს შემდგომს. საერთაშორისო პრაქტიკაში ეს უკანასკნელი შემდეგი სახით არის წარმოდგენილი – 0-14, 15-64, 65 და მეტი.

თანამედროვე საერთაშორისო შედარებისას გამოიყენება შემდეგი ასაკობრივი კლასიფიკაცია:

1) ჩვილობა – 1 წლამდე, 2) სკოლამდელი ასაკი – 1-4 წელი, 3) სკოლის ასაკი – 5-14, 4) ახალგაზრდობა – 15-24, 5) მაქსიმალური აქტივობის წლები – 25-44, 6) საშუალო ასაკი – 45-64, 7) მოხუცებულობის ადრეული პერიოდი – 65-74, 8) მოხუცებულობა – 75 წელი და მეტი.

ასაკობრივი კონტინგენტი ეს არის მსგავსი დემოგრაფიული ან სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების მქონე ერთი ან რამდენიმე ასაკობრივი ჯგუფის ადამიანთა ერთობლიობა.

ასაკობრივი კონტინგენტის საზღვრები განპირობებულია ადამიანთა ფიზიოლოგიური თავისებურებებით და დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებზე და მათ ამსახველ კანონმდებლობაზე.

ასაკობრივი პერიოდიზაცია ასახავს ცალკეულ ეტაპებად ადამიანის სიცოცხლის გამიჯვნას, რომელიც წარმოებს არჩეული კრიტერიუმების მიხედვით. ასეთ კრიტერიუმებად შეიძლება არჩეულ იქნას ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და ადამიანის სხვა მახასიათებლები.

არსებობს ასაკობრივი პერიოდიზაციის რამდენიმე ტიპი. არსებული ასაკობრივი პერიოდიზაციებიდან ყველაზე მეტადაა გავრცელებული და საკმაო ანატომიურ-ფიზიოლოგიური საფუძვლების მქონეა ადამიანის სიცოცხლის დაყოფა შემდეგ დიდ ასაკობრივ პერიოდებად: 1) ბავშვობა – დაბადებიდან სქესობრივ მომწიფებამდე, ე.ი. 12-13 წლამდე გოგონები, 13-14 წლამდე ბიჭები; 2) მოზარდობა (სქესობრივი მომწიფების ხანა – 12-13 წლიდან 16 წლამდე გოგონები, 13-14 წლიდან 17 წლამდე ბიჭები; 3) ჭაბუკობა – 16-25 წლის ქალები, 17-26 წლის მამაკაცები; 4) სრულასაკოვნობა – 25-40 წლის ქალები, 26-45 წლის მამაკაცები; 5) მოწიფულობა – 40-55 წლის ქალები, 45-60 წლის მამაკაცები; 6) ხანშიშესულობა – 55-75 წლის ქალები, 60-75 წლის მამაკაცები; 7) სიბერე – 75 წელს ზემოთ ქალებიც და მამაკაცებიც.

თანამედროვე ინგლისელი ფიზიოლოგები გამოყოფენ 5 ასაკობრივ პერიოდს: 1) ადრეული ბავშვობა – 7 წლამდე; 2) გვიანდელი ბავშვობა – 7-14 წლამდე; 3) ახალგაზრდობა – 14-25 წელი; 4) მოწიფულობა – 25-50 წელი და 5) მოხუცებულობა – 50 წლის ზემოთ.

ასაკის დამახინჯება ხდება მოსახლეობის აღწერებისას, სხვადასხვა სახის გამოკვლევებისას და ა.შ. ადამიანების მიერ ასაკის არასწორი ან არაზუსტი მითითება.

ასაკის დამახინჯების რამდენიმე ფორმა არსებობს: 1. ასაკის დამახინჯება განზრახ, სხვადასხვა სახის შეღავათების მიღების ან სხვა მიზეზით, 2. ასაკის დამახინჯება შემთხვევით, წინასწარი განზრახვის გარეშე, გამოწვეული ადამიანის მიერ თავისი დაბადების წლის არცოდნით ან დავიწყებით და სხვა მიზეზით.

ასაკის დამრგვალება ეს არის ადამიანების მიერ ფაქტობრივი ასაკის მაგივრად იმ ასაკის მითითება, რომლის დაბოლოება დამრგვალებულია "0"-მდე ან „5"-მდე.

ამის მსგავსად ადგილი აქვს ადამიანების მიერ დაბადების წლის დამრგვალებას.

დემოგრაფიაში ასევე გამოყოფენ რეპროდუქციის, სამუშაოს, საპენსიოს და სხვა ასაკს.

რეპროდუქციის ასაკი ეს ქალის ასაკია, რომელშიც ის აჩენს ბავშვებს. ქალების უმრავლესობა ბავშვებს აჩენს არა ფერტილური ასაკის დაწყებისა და დამთავრების მანძილზე, არამედ მის გარკვეულ შუალედში. ჩვეულებრივ ბავშვებს აჩენენ დაქორწინების შემდეგ და უკანასკნელ ბავშვს იყოლიებენ ფერტილური ასაკის დამთავრებამდე. გამოკვლევების შედეგები გვიჩვენებენ, რომ საქართველოში ქალები ბავშვების გაჩენას საშუალოდ იწყებენ დაახლოებით 25 წლის ასაკში, ხოლო უკანასკნელ ბავშვებს აჩენენ საშუალოდ 30 წლის ასაკში.

ფერტილური ასაკი უნდა განვასხვავოთ რეპროდუქციის ასაკისაგან. ფერტილური ასაკი ქალის ასაკია, რომელშიც მას გააჩნია ბავშვის გაჩენის უნარი. როგორც წესი ფერტილური ასაკის ქვეშ იგულისხმება 15-49 წლის ქალების ასაკი, ხოლო დაბალი შობადობის ქვეყნებში – ზოგჯერ 15-44 წლის ასაკი. ფერტილურ ასაკში მყოფი ქალების წილზე გარკვეულად დამოკიდებულია დაბადებულთა რაოდენობა და შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე.

ქორწინების ასაკი ქორწინების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია. ის იზომება როგორც დროის ინტერვალი ადამიანის დაბადებისა და ქორწინების თარიღს შორის. ინფორმაცია ქორწინების ასაკის შესახებ მიიღება მოსახლეობის აღწერების, მოსახლეობის გამოკვლევებისა და მიმდინარე აღრიცხვის შედეგად.

დემოგრაფიული ანალიზისას ყოველთვის განიხილება ადამიანთა ერთობლიობისათვის და წარმოადგენს განაწილებას ამ მაჩვენებლის მიხედვით, ან მის საშუალოს როგორც ამ განაწილების განმაზოგადებელ მახასიათებელს. ჩვეულებრივ ქორწინების ასაკის გაანგარიშება წარმოებს ცალ-ცალკე როგორც პირველი და ხელახალი ქორწინებისათვის, ასევე მამაკაცებისა და ქალებისათვის.

ჩვეულებრივად ქალები მამაკაცებზე ადრე ქორწინდებიან. ქორწინების ასაკი მამაკაცებისა და ქალებისათვის ფართოდ ვარირებს; გვხვდება ქორწინებები, სადაც მამაკაცი გაცილებით უფროსია ქალზე, და, პირიქით, თუმცა უფრო ხშირად განსხვავება მამაკაცისა და ქალის ქორწინების ასაკს შორის მნიშვნელოვანი არ არის – ქორწინებისას საშუალოდ მამაკაცები 2-3 წლით უფროსები არიან ქალებზე.

საქორწინო მინიმალური ასაკი ეს ის ასაკია, რომლიდანაც ქორწინება ნებადართულია კანონით ან ადათ-წესებით. უმრავლეს ქვეყანაში საქორწინო მინიმალური ასაკი დადგენილია კანონმდებლობით სქესობრივი მოწიფულობის ასაკის, ქორწინებაში შემსვლელთა ფსიქოლოგიური და სოციალური სიმწიფის, აგრეთვე მოცემული ქვეყნის ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით.

წარსულში საქორწინო მინიმალური ასაკი განისაზღვრებოდა გაბატონებული რელიგიის ნორმებით და იყო ძალიან დაბალი. კათოლიკური ეკლესიის კანონით ის შეადგენდა 12 წელს ქალებისათვის და 14 წელს მამაკაცებისათვის, ხოლო პროტესტანტულის – 14 წელს ორივე სქესისათვის. შარიათის კანონებით კი საქორწინო მინიმალური ასაკი განისაზღვრებოდა ქალებისათვის 9 წლის ასაკით, მამაკაცებისათვის 15 წლის ასაკით.

გაერო-ს გენერალური ანსამბლეის 1965 წლის 3 ნოემბრის რეზოლუციით გაერო-ში შემავალ ქვეყნებს ეძლევათ რეკომენდაცია კანონმდებლობით განსაზღვრონ საქორწინო მინიმალური ასაკი არანაკლები 15 წლიდან.

საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი საქორწინო მინიმალური ასაკი შეადგენს ქალებისათვის 16 წელს და მამაკაცებისათვის 17 წელს.

ქორწინების იდეალური ასაკი ახასიათებს ადამიანის წარმოდგენას, მის ორიენტაციას ქორწინების ასაკის მიმართ. წარმოდგენა ქორწინების იდეალური ასაკის შესახებ ყალიბდება ეკონომიკური და სოციალური პირობების, მორალის,

რელიგიის და სხვ. ზეგავლენით. მონაცემები ქორწინების იდეალური ასაკის შესახებ მიიღება სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევების შედეგად.

მონაცემები ქორწინების იდეალური ასაკის მაჩვენებლის შესახებ და მისი გადახრა ფაქტობრივი ქორწინების ასაკისაგან გვიჩვენებს, რომ დაბალი ქორწინების ასაკის მქონე ქვეყნებში ქორწინების იდეალური ასაკი შესამჩნევად აღემატება ფაქტობრივს, ხოლო შედარებით გვიანდელი ქორწინების ასაკის ქვეყნებში – ნაკლებია ფაქტობრივზე. საქართველოში როგორც ქალებისათვის, ისევე მამაკაცებისათვის ქორწინების იდეალური ასაკი და ქორწინების ფაქტობრივი ასაკი საშუალოდ უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სამუშაომდელი ასაკი წარმოადგენს ადამიანის ასაკის ერთ-ერთ პირობით საფეხურს დასაქმებიდან გამომდინარე. სამუშაომდელი ასაკის საზღვარი განისაზღვრება შრომითი კანონმდებლობით. საქართველოში ის შეადგენს 16 წელს.

სამუშაო ასაკი წარმოადგენს დასაქმებიდან გამომდინარე ადამიანის ასაკის ერთ-ერთ პირობით საფეხურს.

სამუშაოს შემდგომი ასაკი არის ადამიანის ასაკის ერთ-ერთი პირობითი საფეხური, დასაქმებიდან გამომდინარე. სამუშაოს შემდგომი ასაკი საპენსიო კანონმდებლობის შესაბამისად ითვლება. ბევრ ქვეყანაში სამუშაოს შემდგომი ასაკი. როგორც მამაკაცებისათვის, ისევე ქალებისათვის იწყება 65 წლიდან.

საპენსიო ასაკი ეს ის ასაკია, რომლის მიღწევის შემდეგ ინიშნება მოხუცებულობის პენსია. საპენსიო ასაკი გამოიყენება როგორც უფროსი ასაკის მოსახლეობის შრომისუნარიანობის პირობითი კრიტერიუმი. ამ ასაკს მიღწეული პირები ითვლებიან პირობითად შრომისუუნაროებად. ბევრ ქვეყანაში საპენსიო ასაკი ჩვეულებრივად 62-65 წელია, ამასთან ზოგან მამაკაცებისა და ქალებისათვის თანატოლია.

საქართველოში კანონმდებლობით იგი ქალებისათვის 60, ხოლო მამაკაცებისათვის 65 წლამდეა განსაზღვრული.

დემოგრაფიაში გამოიყენება აგრეთვე ისეთი ცნება როგორიცაა "*დემოგრაფიული დატვირთვა*". დემოგრაფიული დატვირთვა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ზოგადი დახასიათებაა. ის უჩვენებს ბავშვებისა (0-14 წელი) და ხანდაზმული და მოხუცი ადამიანების (60 წლის და უფროსი, ან 65 წლის და უფროსი) რაოდენობის თანაფარდობას სამუშაო ასაკის მოსახლეობის (პირობითად 15-59 წელი) რაოდენობასთან.

3.7. დემოგრაფიული დაბერება

დემოგრაფიული დაბერება წარმოადგენს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ხანშიშესული და მოხუცი ადამიანების წილის ზრდას. დემოგრაფიული დაბერების მიზეზია ხანგრძლივი ცვლილებები მოსახლეობის აღწარმოების ხასიათში.

ანსხვავებენ "დაბერებას ქვემოდან", რომელიც შობადობის კლების შედეგად ბავშვების რაოდენობის შემცირებით განისაზღვრება და "დაბერებას ზემოდან", რომელიც გამოწვეულია მოხუცებულობის ასაკში მოკვდაობის დონის შემცირებით და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდით, რასაც მოჰყვება მოხუცი ადამიანების რაოდენობისა და წილის ზრდა. აღმოჩნდა, რომ დემოგრაფიულ დაბერებას ძირითადად განაპირობებს "დაბერება ქვემოდან". სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა ნაკლებად მოქმედებს დემოგრაფიულ დაბერებაზე, ვინაიდან მისი განმაპირობებელი მოკვდაობის შემცირება ძირითადად ბავშვების ასაკს ეხება, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს მოსახლეობის გაახალგაზრდავებას.

დემოგრაფიული დაბერება შემჩნეულ იქნა XIX საუკუნის ბოლოს, მაგრამ მისი მნიშვნელობის, მასშტაბებისა და მიზეზების გაცნობიერება მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო.

დემოგრაფიული დაბერების პროცესის შეფასებისათვის შემუშავებულია სხვადასხვა სკალა. ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სკალაა ჟ. ბოჟე-გარნიეს მიერ შემუშავებული და ე. როსეტის მიერ განვითარებული სკალა:

ეტაპი	60 და უფროსი ასაკის პირთა წილი (%) მთელ მოსახლეობაში	მოსახლეობის დაბერების ეტაპები და დონეები
I	8-ზე ნაკლები	დემოგრაფიული სიყმაწვილე
II	8-დან 10-მდე	სიბერის პირველი კარიბჭე
III	10-დან 12-მდე	საკუთრივ სიბერის კარიბჭე
IV	12 და მეტი	დემოგრაფიული სიბერე
	12-დან 14-მდე	დემოგრაფიული სიბერის საწყისი დონე
	14-დან 16-მდე	საშუალო დონე
	16-დან 18-მდე	მაღალი დონე
	18 და მეტი	ძალიან მაღალი დონე

65 წლისა და უფროსი ასაკის პირთა რაოდენობის ფარდობითი შეფასებისათვის გაეროს დემოგრაფების მიერ შემუშავებულია სამ საფეხურიანი სკალა: 4% ნაკლები – ახალგაზრდა მოსახლეობა; 4-7% – მოსახლეობა სიბერის კარიბჭეზე; 7%-ზე მეტი – დაბერებული მოსახლეობა.

დემოგრაფიული დაბერების შეფასებისათვის გამოიყენება შესაბამისი კოეფიციენტები. გამოიანგარიშება ორი შემთხვევისათვის:

$$1)\ D_{60} = \frac{P_{60+}}{P} \cdot 100, \qquad 2)\ D_{65} = \frac{P_{65+}}{P} \cdot 100,$$

სადაც P_{60+} და P_{65+} არის შესაბამისად, 60 წლისა და უფროსი ასაკის და 65 წლისა და უფროსი ასაკის პირთა რაოდენობა; P – მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა. დემოგრაფიული დაბერების კოეფიციენტები გამოისახება პროცენტებში (%).

დემოგრაფიული დაბერების დონის მაჩვენებლად ზოგჯერ გამოიყენება სოვის ინდექსი, რომელიც უჩვენებს 60 და უფროსი ასაკის თანაფარდობას 20 წლამდე ასაკის მოსახლეობის რაოდენობასთან.

$D_I = \frac{P_{60+}}{P_{-20}}$, სადაც P_{60+} 60 და უფროსი ასაკის მოსახლეობაა, ხოლო P_{-20} – 20 წლამდე ასაკის მოსახლეობა. პროცენტული გამოსახულებისათვის მიღებული სიდიდე უნდა გამრავლდეს 100-ზე.

დემოგრაფიაში აგრეთვე გამოყოფენ ***დღეგრძელობას***. დღეგრძელობა არის ადამიანის მიერ 80 წლისა და უფრო მაღალი ასაკის მიღწევა. დღეგრძელობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა მატერიალური პირობები, კულტურული დონე, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, ცხოვრების პირობები და შრომის ხასიათი. დღეგრძელობაზე გავლენას ახდენს ასევე ბიოლოგიური ფაქტორები, რომლებიც საფუძვლად უდევს ადამიანის მემკვიდრეობითობას; აგრეთვე მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ ფაქტორებს.

ზოგჯერ დღეგრძელობის შესწავლა გართულებულია ადამიანის ასაკის შესახებ სანდო ინფორმაციის არარსებობის გამო, ვინაიდან ზოგიერთი მოხუცი თავის ფაქტობრივ ასაკს ხელოვნურად ზრდის და აზვიადებს.

დღეგრძელობის დონე ჩვეულებრივ განისაზღვრება 80 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობის შეფარდებით 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობასთან (გამოისახება პრომილებში, ანუ შეფარდება გამრავლებული 1000-ზე). გამოიანგარიშება მამაკაცებისა და ქალებისათვის ცალ-ცალკე. მაგ., 2002 წელს ჩატარებული აღწერის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ დღეგრძელობის დონე საქართველოში შეადგენდა: მამაკაცებისათვის – 59,4 და ქალებისათვის – 114,4 (შეფასებითი მონაცემებით შესაბამისად 89,2 და 127,4). სტატისტიკის დეპარტამენტის პროგნოზის საშუალო ვარიანტიდან გამომდინარე 2050 წელს საქართველოში დღეგრძელობის დონე, დღევანდელთან შედარებით, გაიზრდება და მამაკაცებისათვის შეადგენს 133,9, ხოლო ქალებისათვის – 178,8 (შეფასებით მონაცემებზე გაკეთებული პროგნოზით შესაბამისად 138,6 და 212,7).

საინტერესოა სტაციონარული მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის წარმოდგენა შობადობისა და მოკვდაობის სხვადასხვა დონეებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაბადებისას	ასაკობრივი ჯგუფების წილი (%)			შობადობისა და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები (‰), რომლებიც ტოლია
	0-14	15-59	60+	
20	38,2	57,8	4,0	50,1
30	31,9	60,6	7,5	33,4
40	27,5	61,1	11,4	25,0
50	24,4	60,6	15,0	20,0
60	22,2	59,7	18,1	16,6
70	20,6	58,7	20,7	14,3

მოტანილი ცხრილიდან გამომდინარეობს, რომ დემოგრაფიული დაბერების ძირითადი მიზეზი არის შობადობის შემცირება. მოკვდაობის შემცირება, გარკვეულწილად, არ წარმოადგენს დემოგრაფიული დაბერების ძირითად მიზეზს. დემოგრაფიული გადასვლის პირველ ეტაპზე, მოკვდაობის შემცირება წინ უსწრებს შობადობის კლებას და ამდენად დემოგრაფიული გადასვლის დასაწყისში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოსახლეობის გაახალგაზრდავებას.

3.8. თაობა

დემოგრაფიაში თაობის ცნების ქვეშ ძირითადად იგულისხმება გარკვეულ პერიოდში (ჩვეულებრივ, კალენდარული წლის ტოლი) დაბადებულ ადამიანთა ერთობლიობა. თაობა იგივეა, რაც კოჰორტა დაბადების წლის მიხედვით.

გარდა ამისა, ტერმინი "თაობა" შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ორი მნიშვნელობით: 1) ცოლ-ქმრული წყვილის ან ცოლ-ქმრულ წყვილთა ერთობლიობის შთამომავლობა ნათესაობის ხარისხის მიხედვით. ამასთან, თვითონ ეს წყვილი (მშობლები) ითვლება ნულოვან თაობად, ხოლო მათი შვილები – პირველ თაობად, შვილიშვილები – მეორე თაობად და ა.შ.; 2) ნათესაობის საფეხურიდან ორ ნათესავს შორის პირდაპირი ხაზით წარმოქმნილი, ანუ საერთო წინაპრებისაგან წარმოშობილი (დედა – ქალიშვილი, მამა – ვაჟიშვილი).

ვინაიდან დემოგრაფია განიხილავს არა ცალკეულ ადამიანებს ან ოჯახებს, არამედ მათ ერთობლიობებს, თაობა ამ აზრით, შეიძლება იყოს მხოლოდ საშუალო სიდიდე.

კოჰორტა წარმოადგენს ადამიანთა ერთობლიობას, რომლებმაც ერთი და იმავე პერიოდში განიცადეს გარკვეული დემოგრაფიული შემთხვევა (მაგ., ადამიანთა

ჯგუფი, რომელიც დაქორწინდა რომელიმე ერთ წელს; ქალების ჯგუფი, რომელმაც გააჩინა პირველი ბავშვი რომელიმე ერთ წელს და სხვა). ადამიანთა ჯგუფი, რომელიც დაიბადა რომელიმე კალენდარულ პერიოდში, კოჰორტის გარდა ასევე მოიხსენიება თაობის სახელწოდებით. კოჰორტის გამოსაყოფი დროის ინტერვალი (ერთი ან რამდენიმე წელი) დამოკიდებულია ანალიზის მიზნებსა და ინფორმაციული მასალის თავისებურებებზე.

ტერმინი "კოჰორტა" 1947 წელს შემოიღო ამერიკელმა დემოგრაფმა პასკალ უელპტონმა. პირველად კოჰორტა გამოყენებულ იქნა რეალური კოჰორტის ანალიზისას. შემდგომში მან მიიღო უნივერსალური ხასიათი. თანამედროვე დემოგრაფიაში განასხვავებენ რეალურ კოჰორტას (რეალური ანალიზის ობიექტი) და ჰიპოთეზურ კოჰორტას (ჰიპოთეზური ანალიზის ობიექტი).

რეალურ კოჰორტაში ყველა დემოგრაფიული შემთხვევა, რომელთა მოხდენა აერთიანებს ადამიანებს კოჰორტაში, წარმოებს კალენდარული დროის გარკვეულ ინტერვალში, ხოლო შემდგომი შესაძლებელი შემთხვევები, რომელთა სიხშირე იზომება, გაგრძელებულია მომავალ დროში კოჰორტის ფორმირების კალენდარული პერიოდის მიმართ. მაგ., შობადობის სიხშირე (f_τ) რეალურ საქორწინო კოჰორტაში ტოლი იქნება:

$$f_\tau = \frac{N_{t+\tau}}{W_t},$$

სადაც W_t – ქალების რაოდენობა, რომელიც დაქორწინდა t წელს; τ – ინტერვალი, რომელიც გავიდა დაქორწინების მომენტიდან ბავშვის გაჩენის მომენტამდე; $N_{t+\tau}$ – დაბადებათა რაოდენობა W_t რეალურ კოჰორტაში მოცემული ქორწინების ხანგრძლივობისას.

ჰიპოთეზურ კოჰორტაში ყველა შემთხვევა, რომელთა სიხშირე იზომება, წარმოებს კალენდარული დროის გარკვეულ ინტერვალში, რომელიც ითვლება ჰიპოთეზური კოჰორტის ფორმირების პერიოდად, ხოლო წინამავალი შემთხვევები გაგრძელებულია წარსულ დროში ამ პერიოდის მიმართ. მაგ., შობადობის სიხშირე (f_τ) ჰიპოთეზურ საქორწინო კოჰორტაში ტოლია:

$$f_\tau = \frac{N_{t,\tau}}{W_\tau}$$

სადაც $N_{t,\tau}$ არის დაბადებათა რაოდენობა t კალენდარულ პერიოდში τ ქორწინების ხანგრძლივობისას; W_τ – დაქორწინებული ქალების რაოდენობა იგივე t კალენდარულ პერიოდში τ ქორწინების ხანგძლივობით.

დემოგრაფიული პროცესის ანალიზი კოჰორტაში ეფუძნება ამა თუ იმ დემოგრაფიული შემთხვევის დადგომის სიხშირის გაზომვას დროის ინტერვალთან დამოკიდებულებაში, რომელიც გავიდა წინა შემთხვევის დადგომის მომენტიდან.

რეალური თაობა არის კოჰორტა დაბადების წლის მიხედვით; ერთდროულად დაბადებული ადამიანების ერთობლიობა ან თანატოლების ერთობლიობა. რეალური თაობა წარმოადგენს ძირითად ცნებას დემოგრაფიული პროცესების შესწავლისას რეალური თაობის ანალიზის მეთოდით.

თანატოლებად მიიჩნევა ერთდროულად დაბადებული ადამიანები. დემოგრაფიული ანალიზისას თაობა განიხილება როგორც ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც დაიბადნენ დროის რომელიმე მომენტში ან დროის ინტერვალში, ჩვეულებრივად – 1 წელი ან 5 წელი და წარმოქმნიან რეალურ თაობას. "თანატოლების" კატეგორია წარმოადგენს ძირითად ცნებას რეალური თაობის მეთოდის ანალიზისას.

ჰიპოთეზური თაობა ადამიანთა პირობითი ერთობლიობაა, რომელთა სიცოცხლის მანძილზე (ან მათი რომელიმე დემოგრაფიულ მდგომარეობაში ყოფნისას) დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობა ყოველ ასაკში შეესაბამება

მოცემულ კალენდარულ პერიოდში არსებულს. ამასთან, სხვადასხვა ასაკის ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ამ კალენდარულ პერიოდში, განიხილებიან როგორც ერთი და იგივე თაობის წარმომადგენლები. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა დავახასიათოთ დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობა, მოცემულ კალენდარულ პერიოდში, მაჩვენებელთა იმ სისტემით, რომელიც თითქოს ასახავს ამ თაობის რაოდენობის ან შემადგენლობის ცვალებადობას სიცოცხლის მანძილზე მოცემული პროცესის გავლენით. კრებსითი მონაცემები ასეთი ერთობლიობისათვის გამოიყენება თაობისათვის მთლიანობაში. ჰიპოთეზური თაობის მაჩვენებლები გაგებულ უნდა იქნას როგორც რომელიმე წარმოსახვით კოჰორტაში ამ პროცესის მიმდინარეობის შედეგი. ჰიპოთეზური თაობის კრებსითი დემოგრაფიული მახასიათებლები (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტები და ა.შ.) განისაზღვრება დემოგრაფიული პროცესების ასაკობრივი საზომით მოცემული პერიოდისათვის ჰიპოთეზური თაობის წარმომქნელი ერთდროულად მცხოვრები რეალური თაობის მიერ. ამასთან მიიჩნევა, რომ დემოგრაფიული მახასიათებლები რჩება უცვლელი კალენდარული პერიოდის დონეზე თაობის მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ჰიპოთეზური თაობა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ცნებას ჰიპოთეზური ანალიზისას. ჰიპოთეზური თაობის საფუძველზე აგებული დემოგრაფიული მაჩვენებლები იძლევიან საჭირო ინფორმაციას არსებული დემოგრაფიული ვითარების შესახებ, მაგრამ მათი დინამიკა განიცდის გავლენას რეალურ თაობებში მიმდინარე პროცესების ინტენსივობის ცვალებადობასთან ერთად.

ჰიპოთეზური თაობის ცნების ელემენტები ჯერ კიდევ XVII საუკუნეში გამოჩნდა. მისი ჩამოყალიბება XIX საუკუნეში მოხდა, თუმცა დასრულებული სახით ჰიპოთეზური თაობა XX საუკუნის 40-50-იან წლებში წარმოდგა, პ. უელპტონის, ლ. ანრისა და სხვების მიერ ჰიპოთეზური ანალიზის ინტენსიური დამუშავების შემდეგ.

თაობა შეიძლება იყოს როგორც მამაკაცების, ისე ქალების.

მამაკაცების თაობა ერთი და იგივე დროის პერიოდში (კალენდარული წლის ან რამდენიმე წლის ტოლი) დაბადებული მამაკაცების ერთობლიობაა. მამაკაცების თაობა იგივეა, რაც მამაკაცების კოჰორტა დაბადების წლის მიხედვით.

ქალების თაობა ერთი და იგივე დროის პერიოდში (კალენდარული წლის ან რამდენიმე წლის ტოლი) დაბადებული ქალების ერთობლიობაა. ქალების თაობა იგივეა, რაც ქალების კოჰორტა დაბადების წლის მიხედვით.

თაობის სიგრძე მშობლებისა და მათი შვილების თაობების გამყოფი დროის საშუალო ინტერვალია. არსებობს თაობის სიგრძის გამოთვლის პირდაპირი და ირიბი მეთოდი.

პირდაპირი მეთოდი ეფუძნება რეალური თაობის სქემას და განისაზღვრება მშობლებისა და მათი შვილების საშუალო ასაკებს შორის სხვაობით. თაობის სიგრძის გამოთვლის ირიბი მეთოდი ეფუძნება ჰიპოთეზური თაობის სქემას. არსებობს თაობის სიგრძის ირიბი მეთოდით გაანგარიშების რამდენიმე ვარიანტი. ირიბი მეთოდის ერთ-ერთი პირველი ვარიანტი შემოთავაზებულ იქნა ა. ლოტკას მიერ XX საუკუნის 20-იან წლებში რომლის თანახმად თაობის სიგრძე (T) შემდეგნაირად გამოითვლება:

$$T = \frac{\ln R_0}{r},$$

სადაც R_0 – მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი; r – სტაბილური მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი.

3.9. დემოგრაფია და გენდერი

ლექსიკონში თუ მოვნახავდით სიტყვა "გენდერს" ("გენდერ") ინგლისურში მას რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა: გრამატიკაში სქესის გამოხატულება, აგრეთვე ხუმრობით სქესი (ბიოლოგიური თვალსაზრისით). რაც შეეხება სიტყვა "სექსს" ("sex") – იგი ყოველთვის სქესის (ბიოლოგიური მნიშვნელობით) გამოსახატავად გამოიყენებოდა.

ზოგადად, სოციალურ მეცნიერებაში სიტყვა "გენდერი" არ გამოიყენებოდა, ხოლო დემოგრაფიაში მხოლოდ ამას წინათ შემოვიდა.

ინგლისურენოვან დემოგრაფიულ ლიტერატურაში სქესის აღსანიშნავად ტრადიციულად გამოიყენებოდა სიტყვა "sex". 1900-1964 წლების ქორწინებისა და ოჯახის შესახებ 12 ათასი დასახელების ლიტერატურის ანალიზმა აჩვენა, რომ სიტყვა გენდერი საერთოდ არ იყო გამოყენებული.

მხოლოდ 1972 წელს ჯონ მანიმ შემოგვთავაზა, რომ სიტყვა "სექსი" ("სქესი") გამოყენებულიყო თავისი პირდაპირი დანიშნულების მიხედვით, ბიოლოგიური განსხვავების აღსანიშნავად, ხოლო სიტყვა "gender" ("გენდერი") გამოგვეყენებინა სქესისათვის დამახასიათებელი ქცევითი განსხვავებების, მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლებს შორის სოციალურ ურთიერთობათა განვითარების აღსანიშნავად.

სოციალურ მეცნიერებებში გენდერი დამოკიდებულია როლზე, სოციალიზაციასა და შესაძლებლობებზე.

გენდერული როლი გენდერული ნორმებით არის განპირობებული და წარმოგვიდგება როგორც სქესისათვის განსაზღვრული და დიფერენცირებული მისაღები ქცევები. მისაღები ქცევების საზღვრები განსხვავდება მამაკაცებისა და ქალებისათვის და ეს საზღვრები განსაზღვრულია სოციალური გარემოთი.

არის რამდენიმე თეორია, რომლებიც სხვადასხვაგვარად აფასებს რეპროდუქციული როლების განსხვავებას, რომლებიც თავის მხრივ საფუძვლად ედება სამუშაო ძალის გენდერულ განსხვავებას. არსებობს მოსაზრებაც თითქოს ქცევების სქესობრივი განსხვავება უბრალო ისტორიული შემთხვევითობაა. ბიოლოგიური თეორიის თვალსაზრისით სქესობრივი ჰორმონები განსაზღვრავენ ქცევის სქესობრივ დიფერენციაციას და რეპროდუქციული ფუნქციის განვითარებას როგორც ადამიანებში, ისე ცხოველებში, თუმცა განსხვავებულად.

მამაკაცებისა და ქალების ქცევების სოციალური მოლოდინები გენდერული სისტემით აღიწერება. გენდერული სისტემის მოლოდინები განსაზვრავენ როლების განსხვავებას მამაკაცებსა და ქალებს შორის და წარუდგენენ მათ განსხვავებულ უფლებებსა და მოვალეობებს. გენდერული სისტემა მოიცავს როლების, უფლებებისა და სტატუსების კომპლექსს, რომლებიც განასხვავებენ მამაკაცსა და ქალს მოცემულ საზოგადოებაში ან კულტურაში. აღნიშნული განსხვავებები შეიძლება ღებულობდეს ქალებსა და მამაკაცებს შორის დაპირისპირებისა და უთანასწორობის სახეს და აყალიბებდეს გენდერულ სტრატიფიკაციას. გენდერული სტრატიფიკაცია შეიძლება გამოიხატებოდეს ისეთი ტერმინებით როგორიც არის სიმდიდრე, ძალაუფლება და პრესტიჟი. მაგ., ძალაუფლება მოიცავს ავტონომიურობას – მოქმედების თავისუფლებას, არჩევითობას, მატერიალური რესურსების კონტროლს და სხვა.

ქალის სტატუსის გაუმჯობესება და გენდერულ განსხვავებათა შემცირება გულისხმობს ქალის უფლებების გაზრდას. გაეროს პროგრამით ქალების სასარგებლოდ უნდა გადაიდგას მთელი რიგი ნაბიჯები: პოლიტიკის სფეროში, განათლებაში, ჯანმრთელობაში, სამუშაო ბაზარზე, სოციალურ უზრუნველყოფაში და ამასთან უნდა აღმოიფხვრას ყველა სახის დისკრიმინაცია.

1960-იანი წლებიდან ფემინისტები აღნიშნავდნენ ქალის სტატუსის არსებით დემოგრაფიულ მნიშვნელობას, თუმცა 1980-იან წლებამდე ამას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ჩატარებული კვლევების შედეგად ქალის სტატუსის

მნიშვნელობამ უფრო გამოხატული ხასიათი მიიღო. გაერომ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა აღნიშნულში დიდი წვლილი შეიტანეს. აღინიშნა ქალის სტატუსის მნიშვნელობა დემოგრაფიული სახის ქცევებში.

ქორწინება ქალსა და მამაკაცს შორის სანქციონირებული კავშირის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც საფუძვლად ედება ოჯახის ფორმირებას. ყოველი საზოგადოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქორწინების, განქორწინების, ცოლ-ქმრული ურთიერთობების, ოჯახის წევრების უფლება-მოვალეობების მართვის წესებსა და ნორმებს. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ რჩება მამაკაცებისა და ქალების უფლებებს შორის განსხვავებები აღნიშნულ ასპექტებთან დაკავშირებით.

მსოფლიოში არის ქვეყნები სადაც ქალის ქორწინების მინიმალურ ასაკად იურიდიულად მიჩნეულია 12, ან 14 წელი. აღნიშნულ ასაკში ყოველ წელს მსოფლიოში მილიონობით გოგონა ქორწინდება.

ოჯახის წევრები თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდნენ. ამავე დროს იშვიათი არ არის, როდესაც ოჯახში გავრცელებულია ძალადობა, რომლის მსხვერპლი ძირითადად ქალები არიან.

განვითარებულმა ქვეყნებმა განიცადეს მნიშვნელოვანი ცვლილებები: ქორწინებების სიხშირე კლებულობს, თანაცხოვრების შედეგად ხდება ქორწინებების გადავადება და ქორწინება ნაკლებად მყარია. ამასთან მატულობს ქორწინების გარეშე შობადობა. იქ, სადაც გავრცელებულია ქალთა დასაქმება და ეკონომიკური სიტუაცია ხელსაყრელია, ოჯახში ცვლილებები მით უფრო ნათელია. ოჯახური სიტუაციების არამდგრადობის მატებას აქვს უარყოფითი გავლენა ბავშვების ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე. მარტოხელა დედები სულ უფრო გავრცელებულ და ჩვეულ მოვლენას წარმოადგენენ.

განვითარებულ ქვეყნებში მამაკაცებისა და ქალების ქცევათა შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქალები მძიმე არჩევანის წინაშე დგანან სამუშაოს, კარიერისა და ოჯახურ ცხოვრებას შორის.

გენდერულ სისტემებს გარკვეული გავლენა აქვთ რეპროდუქციულ ქცევაზე და იწვევენ შობადობის ცვლილებას. განვითარებად ქვეყნებში ეს ცვლილებები საგრძნობი აღმოჩნდა. მნიშვნელობა ჰქონდა ისეთ გარემოებას როგორიც არის გადაადგილების თავისუფლება, უფლებები ოჯახში, ხმის უფლება ოჯახურ გადაწყვეტილებებში კონტრაცეპციასა და შობადობასთან დაკავშირებით. დადგენილ იქნა, რომ იმ განვითარებად ქვეყნებში, სადაც ქალების დასაქმება და ავტონომია გავრცელებული არ არის, შობადობა არ კლებულობს ან ნელა კლებულობს.

განვითარებულ ქვეყნებში გამოვლენილ იქნა საინტერესო მოვლენა – მეტი გენდერული თავისუფლება დაკავშირებულია უფრო მაღალ შობადობასთან. ამან გაოცებაც კი გამოიწვია, ვინაიდან მიჩნეულ იყო, რომ ქალის სტატუსის გაფართოებას და დასაქმებას უნდა მოყოლოდა შობადობის შემცირება. განვითარებულ ქვეყნებში, თანამედროვე ეტაპზე, პირიქით მოხდა – ქალები, რომლებსაც გააჩნიათ მეტი ავტონომია და უფლებები, უფრო სრულად ახერხებენ ბავშვების ყოლის მოთხოვნილების რეალიზაციას და საერთო ჯამში უფრო მაღალი შობადობით გამოირჩევიან. ფაქტობრივად, ყველაზე დაბალი შობადობა სადღეისოდ სამხრეთ ევროპის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც უფრო ადრეულ და ხანგრძლივ ეკონომიკურ კრიზისსა და ახალგაზრდობის უმუშევრობას მოჰყვა ქორწინებათა კლება, ხოლო დაქორწინებული ქალებისათვის ადეკვატური დახმარებების ნაკლებობა ხელს უშლის მათ ერთ ბავშვზე მეტის ყოლას და ეს მაშინ, როდესაც სწორედ სამხრეთ ევროპის ქვეყნებში ქალის სტატუსი უფრო ტრადიციულ სახეს ატარებს და გენდერული განსხვავებებიც უფრო თვალსაჩინოა.

დემოგრაფიული გამოკვლევები კარგა ხნის განმავლობაში იგნორირებდნენ მამაკაცების როლს რეპროდუქციული და კონტრაცეპტივებთან დაკავშირებულ

გადაწყვეტილებების მიღებისას. ოჯახის დაგეგმვის პროგრამები განვითარებად ქვეყნებში მიმართული იყო მხოლოდ ქალებზე. რეალურ პრობლემას წარმოადგენდა ოჯახის დაგეგმვის პროგრამებში მამაკაცების ჩაურთველობა. უმნიშვნელო იყო იმის მცდელობა, რომ ქალებსა და მამაკაცებს მიეღოთ ერთობლივი გადაწყვეტილება ოჯახში ბავშვების სასურველი რაოდენობის ყოლასთან, ინტერგენეტიკურ ინტერვალებთან და კონტრაცეპციასთან დაკავშირებით.

განვითარებად ქვეყნებში პრაქტიკული მიდგომის თვალსაზრისით ქალებზე აქცენტის გადატანა შეიძლება გამართლებული იყოს იმით, რომ მათ არ სურდეთ ბევრი ორსულობა. მეორე მხრივ, ფაქტობრივად ქალებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ოჯახისათვის ისეთი საკვანძო საკითხები როგორიც არის ოჯახის სიდიდე. აღმოჩნდა, რომ მამაკაცები ქალებთან შედარებით ნაკლებად არიან დაინტერესებული კონტრაცეპციის გამოყენებაში, თუმცა კონტრაცეპციის გამოყენება-არგამოყენების საკითხის გადაჭრისას მამაკაცების აზრი იყო გადამწყვეტი.

საბოლოოდ, ოჯახის დაგეგმვის პროგრამების წარმატება ბევრად არის განსაზღვრული მამაკაცების დამოკიდებულების შეცვლასთან ქალების, ქორწინების, ოჯახის, ბავშვების მიმართ.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მამაკაცების რეპროდუქციული ჯანმრთელობის, კონტრაცეპციული და რეპროდუქციული ქცევის შესწავლა ისევე უნდა მიმდინარეობდეს როგორც ქალებისას.

განვითარებულ ქვეყნებში ბავშვთა შობის კონტროლი მამაკაცების პრეროგატივას წარმოადგენდა, ვინაიდან ძირითადად გამოიყენებოდა ისეთი მეთოდები, როგორიც არის კონდომი და შეწყვეტილი სქესობრივი აქტი. ქალები ბავშვთა შობის შეზღუდვისათვის ძირითადად აბორტს იყენებდნენ. თანამედროვე კონტრაცეპციის შემოტანასა და გავრცელებას მოჰყვა ქალების უფრო აქტიური ჩართვა ოჯახის დაგეგმვაში და აბორტების კლება. აივ/შიდსის გამოჩენამ და გავრცელებამ ხელი შეუწყო პარტნიორებს შორის მეტ შეთანხმებულობას ინფექციის თავიდან აცილების უზრუნველყოფისათვის და სქესობრივი ურთიერთობების მეტი სანდოობისათვის.

ოჯახის წევრთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა ტრადიციულად ქალების პასუხისმგებლობას წარმოადგენდა, მაგრამ იქ, სადაც წარმოდგენა ქალის სტატუსზე ძალიან დაბალია, ქალები გამოირიცხებიან თანამედროვე მედიცინასთან ურთიერთობიდან. ამას კი სავალალო შედეგები მოჰყვება მთელი ოჯახისათვის. სწორედ მთელი საზოგადოების ინტერესს წარმოადგენს ქალისათვის თანამედროვე ჯანდაცვასთან ხელმისაწვდომობა და სათანადო ინფორმაციით უზრუნველყოფის შესაძლებლობა. დადგენილია, რომ გენდერული სისტემა მოქმედებს ჩვილთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლისუნარიანობაზე და ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა უმჯობესდება დედის უფლებამოსილების ზრდასთან ერთად. მაგ., ახლო-აღმოსავლეთის ისლამურ ქვეყნებში იქ, სადაც ქალის თავისუფლება შეზღუდულია, ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესია.

ქალების განათლების დონესა და ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის ურთიერთკავშირი არსებობს. ქალების განათლების დონის ზრდასთან ერთად მატულობს ბავშვების ცოცხლად დარჩენის ალბათობა.

ბიჭების გოგონებთან შედარებით ბიოლოგიური სისუსტის მიუხედავად ზოგიერთ ქვეყანაში შეინიშნება გოგონების უფრო მაღალი მოკვდაობა. დადგენილ იქნა რომ აღნიშნული გამომდინარეობდა გოგონების კვებისა და სამედიცინო მომსახურების დისკრიმინაციით ბიჭებთან შედარებით.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად მოკვდაობა ზოგადად მცირდებოდა, თუმცა მამაკაცების ჭარბმოკვდაობა გაიზარდა. საზოგადოებაში, სადაც ბიჭის უპირატესობა გოგონაზე აშკარა არ არის, დაახლოებით 10-15%-ით მამრობით ჩვილთა მოკვდაობა აღემატება მდედრობითს. განვითარებულ ქვეყნებში მამაკაცთა

ჭარბმოკვდაობა გამოხატულ ხასიათს უფროს ასაკში (65 წლის ასაკის ფარგლებში) ღებულობს. განვითარებად ქვეყნებში, ისტორიულად, შეიმჩნეოდა ქალთა ჭარბმოკვდაობა განსაკუთრებით ჩვილობისა და რეპროდუქციულ ასაკში.

ქალები, მამაკაცებთან შედარებით, უფრო ყურადღებიანი არიან თავისი ჯანმრთელობის მიმართ. მოკვდაობის სქესობრივი განსხვავება შესაძლებელია ამ მდგომარეობიდან გამომდინარეობდეს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მამაკაცები უფრო მეტად იმყოფებიან ფიზიკური და ფსიქოლოგიური რისკის ქვეშ.

განვითარებად ქვეყნებში, სადაც მაღალია ჩვილთა და დედათა მოკვდაობა, დედათა მზრუნველობასა და მოკვდაობას შორის კავშირი თვალსაჩინოა. რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, სადაც ჩვილთა და დედათა მოკვდაობა დაბალია, კავშირი მზრუნველობის ინტენსივობასა და მოკვდაობას შორის არ შეიმჩნევა.

არსებობს გარკვეული ინფორმაცია გენდერსა და მიგრაციასთან დაკავშირებით. ითვლება, რომ მიგრაციაში მამაკაცები უფრო აქტიურად მონაწილეობენ და სტერეოტიპიც კი ჩამოყალიბდა, რომ ქალები მიჰყვებიან მამაკაცების მიგრაციას. მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში ქალები სულ უფრო აქტიურად ერთვებიან მიგრაციულ პროცესებში და ეს ჩართვა მათი ნებელობით არის განსაზღვრული. განსაკუთრებით ეს ეხება დაუქორწინებელ და ახალგაზრდა ქალებს 20 წლის ასაკამდე და დაახლოებით 45 წლის ასაკს მიღწეულ ქალებს, აგრეთვე ქვრივებსა და განქორწინებულებს. ისტორიულად ქალების მიგრაციას ხელს უშლიდა მისი როლი ოჯახში და ქალის სამუშაოს სპეციფიკასთან დაკავშირებული ასპექტები. ქალების უფრო დაბალი განათლების დონეც ამცირებდა მათი დასაქმების შესაძლებლობას და ზღუდავდა მიგრაციას, თუმცა ვითარება სწრაფად და მნიშვნელოვნად შეიცვალა და ქალების სულ უფრო მეტი რაოდენობა მიგრირებს დამოუკიდებლად. შემჩნეულია, რომ მიგრაციაში მონაწილე ქალებს ბავშვების ნაკლები რაოდენობა ჰყავთ.

არის გარკვეული კავშირი გენდერსა და დაბერებას შორის. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ უფროს ასაკებში ქალები რაოდენობრივად ჭარბობენ მამაკაცებს.

ზოგიერთ კულტურაში რეპროდუქციულ ასაკზე უფროს ქალებს მეტი უფლებები და მოქმედების თავისუფლება აქვთ დაბალი ასაკის ქალებთან შედარებით. უფროსი ასაკის ქალებს მეტი პოტენციალი აქვთ იმისთვის, რომ მამაკაცებს გადაწყვეტილებების მიღებაში დაუპირისპირდნენ.

გენდერულ სისტემასთან დაკავშირებით შესაძლებელია ხანგრძლივი მსჯელობა და სათანადო მაგალითების მოყვანა, მაგრამ ერთ-ერთ ყველაზე ძირითად და მნიშვნელოვან საკითხს მიეკუთვნება ის, თუ როგორ უნდა იქნას გაზომილი გენდერული სისტემა? რა ინდიკატორები უნდა იყოს გამოყენებული საამისოდ?

სტრატიფიკაცია მოცემულ შემთხვევაში საკმაოდ მრავალფეროვანია. ყურადღებას ამახვილებენ ისეთ ასპექტებზე როგორიც არის ძალაუფლება, სიმდიდრე, პრესტიჟი, გადაადგილების თავისუფლება და სხვა. მაგ., ძალაუფლებას აფასებდნენ 6 კომპონენტის მიხედვით: 1. თვითპატივისცემის გრძნობა და მომავლის ხედვა; 2. მობილობა; 3. ეკონომიკური უსაფრთხოება; 4. სტატუსი და გადაწყვეტილებების მიღების უფლება შინამეურნეობის ფარგლებში; 5. საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში ეფექტიანი ურთიერთქმედების შესაძლებლობა; 6. ოჯახის გარე ჯგუფებში მონაწილეობა.

სხვა შემთხვევაში გენდერული ქცევის განსხვავებათა გამოვლენისათვის გამოიყენებოდა: ქორწინება, ცოცხლად დაბადებული ბავშვები, სექსუალური ორიენტაცია, კარიერის მნიშვნელობა, ბავშვების მნიშვნელობა, მოვალეობათა განაწილება ოჯახში, გარკვეული სქესისათვის განსაზღვრული ძირითადი საქმიანობა, ძირითადი ინტერესები, სიამოვნება, ბავშვების დაცვა, დასაქმებულებში ქალების წილი, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი და სხვა.

გენდერული ქცევის განსაზღვრისათვის გამოიყენება აგრეთვე ქალისათვის დამახასიათებელი როლები: პროფესიული, საქორწინო, საყოფაცხოვრებო, დედის, საზოგადოებრივი, ოჯახისა და ინდივიდუალური. აღნიშნული ინდიკატორები გამოსადეგია მამაკაცებისათვისაც და ასეთ შემთხვევაში წარმოსახავენ გენდერულ განსხვავებებს.

მიჩნეულია, რომ გენდერულ განსხვავებათა შეფასებისათვის საკმარისია მონაცემთა გამოყენება 4 ისეთი სფეროდან როგორიცაა: განათლება, დასაქმება, ხელფასი, დროის გამოყენება.

ასევე მიჩნეულია, რომ გენდერული განსხვავებების კვლევას მაშინ ექნება მნიშვნელოვანი მიღწევები და სანდო შედეგები, როდესაც ანალიზი გაითვალისწინებს გენდერული სისტემის მოქმედებას შემდეგ დონეებზე: 1. საზოგადოებრივი ნორმები და ფასეულობები; 2. შრომის ბაზრის თავისებურებები; 3. ოჯახის სტრუქტურა და თავისებურებები; 4. ინდივიდუალური თავისებურებები და ურთიერთობები.

გენდერულ ურთიერთობათა შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პროგრამას “Generations & Gender Programme” (GGP).

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სტანდარტული კითხვარით და მეთოდოლოგიით რეპრეზენტატული ფართომასშტაბიანი პანელური გამოკვლევების ჩატარებას სხვადასხვა ქვეყანაში, ამასთანავე კონტექსტუალურ მონაცემთა ბაზის შექმნას, რომელიც საჭიროა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში მყოფი ქვეყნების კვლევის შედეგების შედარებითი ანალიზისათვის. კონტექსტუალურ მონაცემთა ბაზის შექმნა გულისხმობს აღნიშნულ პრობლემებზე არსებული სტატისტიკური, საკანონმდებლო და სხვა ტიპის ინფორმაციის შეგროვებას და განთავსებას სტანდარტულ ფორმატში პროექტის ვებ-გვერდზე.

პროექტს “Generations & Gender Programme” საერთო კოორდინაციას უწევს გაეროს ეკონომიკური კომისიის ევროპის ოფისი. სადღეისოდ აღნიშნულ პროგრამაში ჩართულია მრავალი ქვეყანა.

საქართველო აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთო მისი დაწყებისთანავე – 2000 წლიდან. 2006 წელს მოსახლეობის კვლევის ეროვნულმა ცენტრმა (GCPR), საფრანგეთის დემოგრაფიული კვლევის ეროვნული ინსტიტუტის (INED) და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის (UNFPA – Georgia) მხარდაჭერით ჩაატარა ფართომასშტაბიანი გამოკვლევის პირველი ეტაპი, ხოლო 2009 წელს დაიწყო მეორე ეტაპი.

4. დემოგრაფიული ანალიზის მეთოდები

4.1. დემოგრაფიული ბადე

დემოგრაფიული ბადე ცნობილია ასევე ლექსის-პრესას ბადის სახელწოდებით. წარმოადგენს ადამიანთა ერთობლიობებისა და მათ სიცოცხლეში მომხდარ შემთხვევათა გამოსახატავ გრაფიკს, რომელიც განკუთვნილია ამა თუ იმ თაობაში დემოგრაფიული პროცესების ძირითადი მახასიათებლების გაანგარიშებისა და ამ პროცესების დროში მიმდინარეობის ანალიზისათვის.

დემოგრაფიული ბადე ემსახურება დემოგრაფიულ ერთობლიობებს შორის, გეომეტრიული გზით, ლოგიკური თანაფარდობის დასაბუთებას, იმ რიცხვების მიღებას (მაგ., ზუსტად განსაზღვრული ასაკის ადამიანების ოდენობას), რომელთა მნიშვნელობების დადგენა უშუალოდ ვერ ხერხდება. დემოგრაფიული ბადე აადვილებს განივი (ჰიპოთეზური თაობის), სიგრძივი (რეალური თაობის) ანალიზისა და დემოგრაფიული ცხრილების შედგენისათვის აუცილებელ გაანგარიშებებს.

დემოგრაფიული ბადე, როგორც დემოგრაფიული პროცესების ანალიზის ინსტრუმენტი შემოიღო გერმანელმა მეცნიერმა ვ. ლექსისმა 1875 წელს. XX საუკუნის შუა პერიოდიდან დაიწყეს ფრანგი დემოგრაფის რ. პრესას მიერ შემუშავებული დემოგრაფიული ბადის გამოყენება, რომელსაც რამდენადმე სხვა სახე აქვს ვ. ლექსისის დემოგრაფიულ ბადესთან შედარებით, თუმცა მათი აგების პრინციპები ერთმანეთს შეესაბამება (განსხვავება შეიმჩნევა მხოლოდ სიცოცხლის ხაზისა და იზოქრონის განლაგებაში კოორდინატთა სიბრტყეზე და როგორც ამის შედეგი – გამოსახულ ერთობლიობათა კონფიგურაციაში). ამიტომაც ჩვენ ქვემოთ აღვწერთ სწორედ ამ უკანასკნელის (პრესას), ყველაზე გავრცელებული და მოხერხებული, სახეობის დემოგრაფიული ბადის აგებულებას.

დემოგრაფიული ბადე გამოსახავს დემოგრაფიულ შემთხვევათა ცვლილების შედეგად კოჰორტის რაოდენობის შემცირებას მართკუთხა კოორდინატთა სისტემაში. ჰორიზონტალურ ღერძზე გადაითვლება კალენდარული დრო, ვერტიკალურზე – ამა თუ იმ დემოგრაფიულ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობა (ასაკი, ქორწინების ხანგრძლივობა და ა.შ.). კოორდინატთა ღერძები ჩვეულებრივ იყოფა თანატოლ მონაკვეთებად, რომლებიც შეესატყვისება დროისა და მდგომარეობის ხანგრძლივობის ერთი და იგივე მონაკვეთებს. ღერძებიდან აღმართული პერპენდიკულარები ქმნიან კვადრატებისაგან შემდგარ ბადეს, რომლის გვერდის სიგრძე შეესაბამება დროის ერთეულს (იხ. დიაგრამა 4.1.). სკალის დანაწევრების ხარისხი დამოკიდებულია შესასწავლი მოვლენის გავლენით კოჰორტის შეცვლის სისწრაფეზე. მაგ., ჩვილთა მოკვდაობის შესწავლისას სკალა დაყოფილია თვეებისა და ზოგჯერ დღეების მიხედვით. სხვა დემოგრაფიული პროცესების შესწავლისას – ძირითადად წლების მიხედვით, ნაკლებად – ხუთი წლის მიხედვით.

დემოგრაფიულ ბადეზე ანალიზი ხორციელდება სამი სახის პარალელური ხაზების მეშვეობით: ჰორიზონტალური – ასაკის ხაზი, ვერტიკალური – იზოქრონა, რომელიც აერთიანებს დროის ერთი და იგივე მომენტებს და დიაგონალური – სიცოცხლის ხაზი, რომელიც მიდის მარცხნიდან მარჯვნივ ზევით 45 გრადუსიანი კუთხით. ხაზების სახელწოდებები უკავშირდება იმ გარემოებას, რომ დემოგრაფიული ბადე შემუშავდა მოკვდაობის შესწავლის მიზნით. თანამედროვე პერიოდში ანალიზის მეთოდები, დემოგრაფიული ბადის გამოყენებით, განზოგადდა ასევე სხვა დემოგრაფიული პროცესების (ქორწინების, შობადობის, განქორწინების) მიმართაც. ჰოროზონტალურ ღერძზე აითვლება ნებისმიერ მოცემულ მდგომარეობაში შესვლის კალენდარული დრო (მაგ., ქორწინების შესწავლისას – დაბადების ან მინიმალური საქორწინო ასაკის მიღწევის დრო, განქორწინების შესწავლისას – დაქორწინების თარიღი და ა.შ.), ხოლო ვერტიკალურზე – ამ

მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობა (მაგ., ასაკი, ქორწინების ხანგრძლივობა და ა.შ.).

დიაგრამა 4.1.



სიცოცხლის ხაზი იწყება ჰორიზონტალურ ღერძზე მოცემულ მდგომარეობაში შესვლის შესაბამის წერტილში და ასახავს ადამიანის ამ მდგომარეობაში ყოფნას, ხოლო ხაზის ბოლო – ანუ *შემთხვევის წერტილი* (წერტილი A დიაგრამაზე 4.2.) – ამ მდგომარეობიდან მისი გასვლის მომენტს (დაქორწინებას, ბავშვის დაბადებას, განქორწინებას და ა.შ.). იმის გამო, რომ დროისა და მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობის ანგარიში ხდება ერთსა და იგივე დროის ერთეულში (წლებში), შემთხვევის წერტილის პროეცირებით ვერტიკალზე შეიძლება განისაზღვროს, თუ მოცემულ მდგომარეობაში ყოფნის რომელი წლის განმავლობაში ჰქონდა ადგილი განსახილველ დემოგრაფიულ შემთხვევას, ხოლო შემთხვევის წერტილის პროეცირებით ჰორიზონტალზე – შემთხვევის თარიღი. მაგ., დიაგრამა 4.2.-ზე გამოსახულია ადამიანის სიცოცხლე, რომელიც დაიბადა 1987 წლის 1 ოქტომბერს და გარდაიცვალა 1990 წლის 1 აპრილს 2 წლისა და 6 თვის ასაკში.

ორგანზომილებიან დემოგრაფიულ ბადეზე შესაძლებელია დემოგრაფიულ შემთხვევათა სამი განზომილების ასახვა – ამა თუ იმ დემოგრაფიულ მდგომარეობაში შესვლის, მასში ყოფნის ხანგრძლივობისა და შემთხვევის დადგომის (მოცემული მდგომარეობიდან გამოსვლის) ან დაკვირვების დროის მიხედვით, რაც გამომდინარეობს ამ სამ პარამეტრს შორის დამოკიდებულებიდან: $t = T + y$, სადაც t არის შემთხვევის დადგომის ან დაკვირვების დაწყების თარიღი, T – მოცემულ მდგომარეობაში შესვლის თარიღი, y – შემთხვევის მომენტის ან დაკვირვების მომენტისათვის მოცემულ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალიზისას იგულისხმება არა სიცოცხლის ცალკეული ხაზები, არამედ ამ ხაზების ჯგუფები, რომლებიც შეესაბამებიან მოცემულ მდგომარეობაში გარკვეული პერიოდის მანძილზე შესულ ადამიანთა ერთობლიობას (მაგ., დაბადებულთა, დაქორწინებულთა კოჰორტები და ა.შ.), ანუ – შესაბამისად – არა ცალკეული წერტილები, არამედ ამა თუ იმ შეზღუდული დროის განმავლობაში მომხდარი დემოგრაფიული შემთხვევების შესატყვის წერტილთა ჯგუფები. ამასთან, თავად სიცოცხლის ხაზები და შემთხვევათა

წერტილები დემოგრაფიულ ბადეზე პირდაპირ არ დაიტანება, ისინი უნდა წარმოვიდგინოთ.

დიაგრამა 4.2.



დემოგრაფიული შემთხვევები ამა თუ იმ რეალური თაობის სიცოცხლეში გამოისახება დიაგონალური ზოლით, რომლის ფუძე ჰორიზონტალურ ღერძზე წარმოადგენს კოჰორტის საწყის რიცხოვნობას და მისი ჩამოყალიბების პერიოდს, ხოლო შემთხვევათა წერტილები დიაგონალურ ზოლზე – ამ კოჰორტის სიცოცხლის მანძილზე გამოსაკვლევ შემთხვევებს. მაგ., დიაგრამა 4.3.-ზე შესაბამისად 1987 წლის 1 იანვრის და 1988 წლის 1 იანვრის შესატყვისი სიცოცხლის ხაზებით შემოსაზღვრული დიაგონალური ზოლი გამოხატავს შემთხვევებს, მომხდარს 1987 წელს დაბადებულთა (დაქორწინებულთა) სიცოცხლეში.

ამ ზოლის შემადგენელი სიცოცხლის ხაზების გადაკვეთა ასაკისა ან მდგომარეობის ხანგრძლივობის ხაზებთან შეესაბამება მოცემული კოჰორტის ადამიანების იმ რაოდენობას, რომლებმაც იცოცხლეს ასაკისა ან მდგომარეობის ხანგრძლივობის ზუსტ მნიშვნელობებამდე. მაგ., დიაგრამა 4.3.-ზე გამოსახული ხაზი *AB* გვიჩვენებს 1987 წელს დაბადებულთაგან იმ რაოდენობას, რომელმაც ზუსტად 1 წლის ასაკამდე იცოცხლეს, ან 1987 წელს დაქორწინებულებს შორის იმ რაოდენობას, ვინც ქორწინება პირველი წლის ბოლოსთვის შეინარჩუნა. ესაა – მოსახლეობის პირველი ერთობლიობები. მათი რიცხვითი მნიშვნელობების დადგენა სტატისტიკური დაკვირვების საშუალებით პრაქტიკულად შეუძლებელია, მათი განსაზღვრა სწორედ დემოგრაფიული ბადის მეშვეობით ხდება.

ამ ზოლის წარმომქმნელი სიცოცხლის ხაზების გადაკვეთა იზოქრონებთან შეესაბამება მოცემული კოჰორტის იმ ადამიანების რაოდენობას, რომლებმაც მოცემულ მდგომარეობაში დროის ამა თუ იმ მომენტამდე იცოცხლეს. მაგ., *CD* ხაზი დიაგრამაზე 4.3. გამოსახავს 1987 წელს დაბადებული ადამიანების იმ რაოდენობას, რომლებმაც 1990 წლის 1 იანვრამდე იცოცხლეს, ან 1987 წელს დაქორწინებულთა შორის იმათ რაოდენობას, ვინც ქორწინება 1990 წლის 1 იანვრამდე შეინარჩუნა. ესაა – მოსახლეობის მეორე ერთობლიობები. მათ რიცხვით მნიშვნელობებს გვაძლევს დროის განსაზღვრულ მომენტში ჩატარებული

სტატისტიკური დაკვირვება. ამიტომ ზოგჯერ იზოქრონებს ადწერის ხაზებსაც უწოდებენ.

დიაგრამა 4.3.



ორი პარალელური ჰორიზონტალით ჩამოჭრილი დიაგონალური ზოლის ნაწილები მოიცავენ შემთხვევებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ამ კოჰორტის ადამიანებში მოცემულ მდგომარეობაში მათი ყოფნისას დროის გარკვეულ ინტერვალში. მაგ., დიაგრამაზე 4.3. ფიგურა 1 გამოსახავს შემთხვევებს 1987 წლის კოჰორტაში, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 1-დან 2 წლამდე ზუსტი ასაკის ინტერვალში. ესაა – შემთხვევების პირველი ერთობლიობები. ვხედავთ, რომ მოცემული თაობის სიცოცხლეში მათ ადგილი ჰქონიათ ორი კალენდარული წლის (1988 და 1989) განმავლობაში.

ორი პარალელური ვერტიკალით ჩამოჭრილი დიაგონალური ზოლის ნაწილები მოიცავენ შემთხვევებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ამ კოჰორტის ადამიანებში დროის გარკვეულ პერიოდში. მაგ., დიაგრამაზე 4.3. ფიგურა 2 გამოსახავს შემთხვევებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ განსახილველ კოჰორტაში 1990 წლის განმავლობაში. ესაა – შემთხვევების მეორე ერთობლიობები. ვხედავთ, რომ ისინი მოიცავენ შემთხვევებს, რომლებიც ხდებოდა მოცემულ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობის ორი წლიური მონაკვეთის მანძილზე (2 და 3 წელი).

ორი პარალელური ჰორიზონტალისა და ორი პარალელური ვერტიკალის გადაკვეთით მიღებული ფიგურა მოიცავს შემთხვევებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მდგომარეობის ხანგრძლივობის გარკვეული ინტერვალისა და კალენდარული დროის გარკვეული ინტერვალის განმავლობაში. მაგ., დიაგრამაზე 4.3. ფიგურა 3 გამოსახავს შემთხვევებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 1991 წლის განმავლობაში მდგომარეობის ხანგრძლივობის 1-დან 2-წლამდე ინტერვალში. ესაა – შემთხვევების მესამე ერთობლიობები. ისინი მოიცავენ შემთხვევებს, რომლებიც ხდებოდა არა ერთი (როგორც ადრე), არამედ ორი მომიჯნავე თაობის სიცოცხლეში (დიაგრამაზე 4.3. – 1989 და 1990 წლების თაობები). დემოგრაფიულ ბადეზე ვერტიკალური ზოლის შემქმნელი ასეთი ერთობლიობების წყება ახასიათებს ჰიპოთეზურ თაობას.

შემთხვევათა ერთობლიობების რიცხვით მნიშვნელობებს გვაძლევს მათი მიმდინარე აღრიცხვა კალენდარული წლის მანძილზე, რომლის დროსაც ფიქსირდება მოცემულ მდგომარეობაში (დაბადება, ქორწინება) შესვლის თარიღი და ასაკი ან მდგომარეობის ხანგრძლივობა.

დემოგრაფიულ ბადეზე ასევე გამოისახება სამივე კოორდინატით (დაბადების დრო, დაკვირვების დრო და მდგომარეობის ხანგრძლივობა) შეზღუდული შემთხვევების ერთობლიობები, ე.წ. შემთხვევების ელემენტარული ერთობლიობები. მათი რიცხვითი მნიშვნელობები შეიძლება მივიღოთ მიმდინარე აღრიცხვის შედეგად, როდესაც კალენდარული წლის განმავლობაში აღრიცხული შემთხვევებისათვის ასევე ფიქსირდება ადამიანების გარკვეულ მდგომარეობაში შესვლის ის პერიოდი, რომლის განმავლობაში აღნიშნული შემთხვევები მოხდა, და მოცემულ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობაც (მაგ., დაბადების დრო და ასაკი). დემოგრაფიულ ბადეზე ფიგურები და ხაზები ჩვეულებრივ აღინიშნება ასოებით, რომლებიც მიგვითითებენ ან ხაზის მონაკვეთის დასაწყისსა და ბოლოზე, ან ამა თუ იმ ფიგურის შემადგენელი ხაზების გადაკვეთის წერტილებზე.

პრესას მიერ შემოთავაზებული დემოგრაფიული ბადე ლექსისის მიერ შემოთავაზებული ბადისგან (დიაგრამა 4.4.) გარეგნულად განსხვავდება კოორდინატთა სიბრტყეზე სიცოცხლის ხაზების (ლექსისის ბადეზე ისინი ვერტიკალურია) და დროის ხაზების – იზოქრონების – სხვანაირი განლაგებით, შესაბამისად მასზე გამოსახული ერთობლიობის განსხვავებული კონფიგურაციითაც.

დიაგრამა 4.4.



დიაგრამაზე 4.4. გამოსახულია: 1990 წლის 1 იანვრის იზოქრონა. ზუსტად 3 წლის ასაკის შესატყვისი ასაკის ხაზი და 1988 წლის 1 იანვარს დაბადებული ადამიანის სიცოცხლის ხაზი. ასევე გამოსახულია შემდეგი დემოგრაფიული ერთობლიობები: *AB* – მოსახლეობის პირველი ერთობლიობა – 1 წლის ასაკამდე ცოცხლად მიღწეულები 1990 წლის დაბადებულთაგან; *C* – მოსახლეობის მეორე ერთობლიობა – 1991 წლის 1 იანვრამდე ცოცხლად მიღწეულები 1988 წელს დაბადებულთა თაობიდან; ფიგურა 1 – შემთხვევათა პირველი ერთობლიობა – (მაგ., 1 წლის ასაკში გარდაცვლილები 1987 წელს დაბადებულთა თაობიდან); ფიგურა 2 – შემთხვევათა მეორე ერთობლიობა (მაგ., 1991 წელს გარდაცვლილები 1988 წელს დაბადებულთა თაობიდან); ფიგურა 3 – შემთხვევათა მესამე

ერთობლიობა – (მაგ., 1991 წელს 1 წლის ასაკში გარდაცვლილები). დიგრამების შედარებიდან ჩანს, რომ პრესას ბადე უფრო თვალსაჩინოდ ასახავს მოვლენებს.

დემოგრაფიული ბადე გვაძლევს საშუალებას შემთხვევის ყოველი ორი დროითი მახასიათებლის მიხედვით განვსაზღვროთ მესამე, მართებულად მივაკუთვნოთ ეს შემთხვევები ამ თუ იმ თაობებსა თუ მდგომარეობის ხანგრძლივობის ინტერვალებს. ზუსტ ასაკში მყოფი ადამიანების რიცხვისაგან ასაკის ინტერვალებში მომხდარი შემთხვევების რიცხვის თანმიმდევრული გამოკლების გზით შესაძლებელია გამოვთვალოთ მოცემული თაობისათვის ზუსტ ასაკში მყოფი ადამიანების რაოდენობათა მთელი რიგი მნიშვნელობები, რომელთა მიღება უშუალო დაკვირვებების საშუალებით შეუძლებელია და, ასევე, წარმოვიდგინოთ კოჰორტის შემცირება, როგორც ამა თუ იმ გამოსაკვლევი პროცესის ზეგავლენის შედეგი. ამრიგად, თეორიასთან სრულ შესატყვისობაში ხერხდება დემოგრაფიულ შემთხვევათა შესაბამისი ალბათობების ემპირიულ მნიშვნელობათა გამოთვლა ასაკისა ან მდგომარეობათა ხანგრძლივობის ყოველი ინტერვალისათვის. დემოგრაფიული ბადე გვაძლევს დემოგრაფილი პროცესების თვალსაჩინო გამოსახულებას როგორც რეალური, ისე ჰიპოთეზური თაობებისათვის, ასევე იძლევა წარმოდგენას მოსახლეობისა თუ მისი ჯგუფების თანამედროვე შემადგენლობის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებისგან ფორმირების შესახებ. ამით გვიადვილდება მოსახლეობის თანამედროვე შემადგენლობაზე სხვადასხვა თაობებში მომხდარი წინა დემოგრაფიული ცვლილებების ზეგავლენის შეფასება. ყოველივე ამის გამო დემოგრაფიული ბადე დემოგრაფიული ანალიზის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. მისი აგების პრინციპები წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი სოციალური პროცესების შესწავლისას, როგორებიცაა მოსახლეობის მიგრაცია, მოსახლეობის ჯანმრთელობის ცვლილება და სხვა.

4.2. დემოგრაფიული ერთობლიობები

დემოგრაფიული ერთობლიობები არის ადამიანების, ასევე მათი სიცოცხლის განმავლობაში მომხდარი დემოგრაფიული შემთხვევების ჯგუფები, რომელთა გამოყოფა ხდება დემოგრაფიული პროცესების ანალიზის, ცხრილების შედგენისა და სხვა გამოთვლების დროს.

დემოგრაფიული შემთხვევები (მაგ., დაქორწინება, ბავშვის დაბადება, გარდაცვალება) განიხილება დემოგრაფიულ ანალიზში, როგორც გარკვეულ დემოგრაფიულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა (მაგ., დაქორწინებულების, განქორწინებულების და სხვა ნებისმიერ მდგომარეობაში მყოფთ) ცხოვრებაში მომხდარი ფაქტები. ამ მოვლენებს შეიძლება გააჩნდეთ სამი დროითი კოორდინატი: მოცემულ დემოგრაფიულ მდგომარეობაში ადამიანის შესვლის კალენდარული თარიღი (მაგ., დაბადების თარიღი, დაქორწინების თარიღი), შემთხვევის დადგომის მომენტისათვის ასეთ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობა (მაგ., ასაკი, ქორწინების ხანგრძლივობა) და თვით შემთხვევის წარმოჩენის კალენდარული თარიღი (მაგ., გარდაცვალების თარიღი, ქორწინების შეწყვეტის თარიღი). ადამიანების თაობაში ამა თუ იმ დემოგრაფიული შემთხვევის (დაბადების, დაქორწინების, გარდაცვალების) სიხშირე, რომლითაც იზომება დემოგრაფიული პროცესის მიმდინარეობის ინტენსივობა, განისაზღვრება ასეთ შემთხვევათა რაოდენობის ადამიანების იმ რიცხვთან ურთიერთშეპირისპირებითა და შედარებით, რომელთაც შესაძლებელია ეს შემთხვევები მოსვლოდათ. ამასთან, სიხშირე განიხილება ამა თუ იმ დემოგრაფიული მდგომარეობისათვის დამახასიათებელ სამ ნიშანთან მიმართებაში: აღნიშნულ მდგომარეობაში შესვლა, მასში ყოფნის ხანგრძლივობა და სათანადო კალენდარული დრო. ამისდა შესაბამისად ერთმანეთისგან განასხვავებენ ცალკე შემთხვევათა ერთობლიობას (მაგ., გარდაცვალების შემთხვევა, განქორწინება) და ცალკე მოსახლეობის ერთობლიობას –

ანუ ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც იმყოფებიან გარკვეულ დემოგრაფიულ მდგომარეობაში (მაგ. ცოცხლები, დაქორწინებულები). ვინაიდან დემოგრაფიული შემთხვევების შედეგად ადამიანების ნაწილი გადადის ერთი მდგომარეობიდან მეორეში, ასეთი შემთხვევების რაოდენობა შეიძლება ასევე განხილულ იქნას როგორც მოცემული პროცესის (გარდაცვალების შედეგად ერთობლიობიდან ამორიცხვის ჩათვლით) ზეგავლენით მომხდარ დემოგრაფიულ მდგომარეობათა ცვლილების შემთხვევების რაოდენობა.

წარმოდგენები დემოგრაფიულ ერთობლიობაზე შეიქმნა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოკვდაობის ასაკთან დამოკიდებულების შესწავლასთან ერთად. გარდაცვლილთა კლასიფიციკაციის მნიშვნელობა ამოწყდომის ასაკისა და დაბადების წლის მეშვეობით განსაზღვრისათვის, პირველად აღნიშნულ იქნა 1751 წელს ინგლისელი მეცნიერის კ. მორისის მიერ. მოგვიანებით, 1821 წელს, ორმაგი კლასიფიკაციის როლის მნიშვნელობა დეტალურად დაასაბუთა ფრანგმა მათემატიკოსმა ჟ. ფურიემ. ცოცხალთა და გარდაცვლილთა სხვადასხვა სახეობის ერთობლიობებს შორის დამოკიდებულებათა სისტემა შემუშავებულ იქნა ჰოლანდიელი სტატისტიკოსის ა.ვან პესის მიერ 1866 წელს.

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, ასაკზე დამოკიდებული დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობის გაზომვათა აღრიცხვისთვის მოსახლეობის სტატისტიკის მონაცემების გამოყენების მცდელობისას, რამდენიმე გერმანელმა მეცნიერმა დაასრულა დემოგრაფიული ერთობლიობის შესახებ ე.წ. ფორმალური სწავლების შემუშავება. დასაბუთდა წარმოდგენა დემოგრაფიულ ერთობლიობაზე მოკვდაობის კვლევასთან მიმართებაში; გამოცალკევდა ერთმანეთისაგან ცოცხლებისა და გარდაცვლილების ერთობლიობები; დემოგრაფიაში ძირითადად დღემდეა შენარჩუნებული მაშინ შემუშავებული სათანადო ტერმინოლოგია. იმთავითვე წარმოდგენილ იქნა დემოგრაფიული ერთობლიობებისა და მათი დროში ცვლილებების ურთიერთკავშირის ანალიზის გრაფიკული ხერხი დემოგრაფიული ბადის მეშვეობით.

დიაგრამა 4.5. შემთხვევათა ერთობლიობები



მოცემულ მდგომარეობაში შესვლის დროის რიცხვითი მნიშვნელობების, მასში დარჩენის ხანგრძლივობის, ასევე კალენდარული დროის რიცხვითი მნიშვნელობების შეჯერების გზით სხვადასხვა ფარგლებში შესაძლებელია შემთხვევათა მრავალი ერთობლიობის შექმნა. დემოგრაფიულ ანალიზში ყველაზე დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა შემთხვევათა

ერთობლიობების ხუთი სახეობა. სამი მათგანი იქმნება მითითებული კოორდინატების ერთმანეთთან დაწყვილებით, ხოლო ორი სახეობა, ე.წ. ელემენტარული ერთობლიობები, სამივე კოორდინატით განისაზღვრება. დემოგრაფიულ ბადეზე მოვლენათა ეს ერთობლიობები გამოისახება სწორი ჩაკეტილი ფიგურების სახით და, როგორც წესი, დროის ერთწლიანი ინტერვალებისთვის.

შემთხვევათა პირველი ერთობლიობები (ანუ პირველი სახეობის დემოგრაფიული ერთობლიობები) მოიცავენ შემთხვევებს, რომლებსაც დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში ადგილი ჰქონდათ რაღაც გარკვეული მდგომარეობის მქონე ადამიანებში, რომლებიც თავად ამ მდგომარებაში რაღაც გარკვეულ პერიოდში შევიდნენ. დემოგრაფიულ ბადეზე ასეთი ერთობლიობები გამოისახება ჰორიზონტალურად მდგომარეობის ხანგრძლივობის ზუსტი მნიშვნელობებით შემოფარგლული პარალელოგრამის სახით, ხოლო დიაგონალურად – მოცემულ მდგომარეობაში შესვლის კალენდარული წლების ზღვრული მნიშვნელობებით.

შემთხვევათა მეორე ერთობლიობები (ანუ მეორე სახეობის შემთხვევათა ერთობლიობები) მოიცავენ შემთხვევებს, რომლებსაც კალენდარული დროის რაღაც ინტერვალის განმავლობაში ადგილი ჰქონდათ გარკვეული მდგომარეობის მქონე იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ამ მდგომარებაში რაღაც გარკვეულ პერიოდში შევიდნენ. დემოგრაფიულ ბადეზე ასეთი ერთობლიობები გამოისახება ვერტიკალურად კალენდარული წლების ზღვრული მნიშვნელობებით შემოფარგლული პარალელოგრამის სახით, ხოლო დიაგონალურად – მოცემულ მდგომარეობაში შესვლის კალენდარული წლების ზღვრული მნიშვნელობებით (მაგ., დიაგრამა 4.5, ფიგურა 2 – გარდაცვალებათა რიცხვი 1987 წლის 1 იანვარსა და 1988 წლის 1 იანვარს შორის დაბადებულებში ან დაბადებულები 1987 წლის 1 იანვარსა და 1988 წლის 1 იანვარს შორის გათხოვილებში).

შემთხვევათა მესამე ერთობლიობები (ანუ მესამე სახეობის დემოგრაფიული ერთობლიობები) მოიცავენ შემთხვევებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ კალენდარული დროის რაღაც ინტერვალში და გარკვეული ხანგრძლივობის მონაკვეთის განმავლობაში ადამიანების გარკვეულ მდგომარეობაში ყოფნისას. დემოგრაფიულ ბადეზე ასეთი ერთობლიბები გამოისახება ჰორიზონტალურად – მდგომარეობის ხანგრძლივობის ზღვრული მნიშვნელობებით შემოფარგლული მართკუთხედის სახით, ხოლო ვერტიკალურად – კალენდარული წლების ზღვრული მნიშვნელობებით. თუკი კალენდარული დროისა და მდგომარეობის ხანგრძლივობის ინტერვალები ერთმანეთს დაემთხვა, ფიგურა ღებულობს კვადრატის სახეს. (მაგ. დიაგრამა 4.5, ფიგურა 3 – გარდაცვალებათა რაოდენობა 1989 წელს 2-3 წლის ასაკის ინტერვალში ან დაბადებულთა რაოდენობა ქალებში 1989 წელს მათი გათხოვებიდან მე-3 წლის განმავლობაში).

შემთხვევათა ელემენტარული ერთობლიობები მოიცავენ შემთხვევებს, რომლებიც განისაზღვრება სამივე კოორდინატით: დაკვირვების კალენდარული ხანგრძლივობით, მოცემულ მდგომარეობაში შესვლის დროით და მასში დარჩენის ხანგრძლივობით. დემოგრაფიულ ბადეზე ისინი გამოისახება მართკუთხა სამკუთხედებით, რომლებიც შემოფარგლულია ჰორიზონტალურად – მდგომარეობის – ხანგრძლივობის ზუსტი მნიშვნელობებით, ხოლო ვერტიკალურად – კალენდარული წლების საზღვრებით; დიაგონალურად – მოცემულ მდგომარეობაში შესვლის კალენდარული წლების საზღვრებით (მაგ., დიაგრამა 4.5, ფიგურა 4 – გარდაცვალებათა რაოდენობა 1988 წელს 1-2 წლის ასაკის ინტერვალში 1986 წელს დაბადებულებში, ან დაბადებულთა რაოდენობა 1989 წელს გათხოვილებში ქორწინების მესამე წლის განმავლობაში). ყოველი თაობისათვის, – იმისდა მიხედვით, თუ როგორაა განლაგებული სამკუთხედის მიმართ მისი ჰიპოთენუზა, რომელიც, თავის მხრივ, საზღვრავს მოცემულ მდგომარეობაში

(დაბადებისა და ქორწინების თარიღები და სხვა) შესვლის დროით ინტერვალს, – არჩევენ შემთხვევათა ელემენტარული ერთობლიობების ორ სახეობას: ზედას (დიაგრამა 4.5. ფიგურა 4 – რომელიც მოთავსებულია ამ საზღვრის ზევით) და ქვედას (დიაგრამა 4.5. ფიგურა 5 – საზღვრის ქვევით).

შემთხვევათა ერთობლიობების რაოდენობრივ მნიშვნელობებს ძირითადად ადგენენ დემოგრაფიულ შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვის მონაცემების მიხედვით. ამასთან, კალენდარული წლის განმავლობაში თითოეული შემთხვევისათვის ამა თუ იმ მდგომარეობაში შესვლის წელსაც (მაგ., დაბადების წელს) თუ გავითვალისწინებთ, შესაძლებელი იქნება შემთხვევათა მეორე სახეობის ერთობლიობათა დადგენაც. ამ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობის (მაგ., ასაკის) გათვალისწინების შემთხვევაში კი – შემთხვევათა მესამე სახეობის ერთობლიობების დადგენა. ორივე ამ მახასიათებლის (მოცემულ მდგომარეობაში შესვლის დრო და მასში ყოფნის ხანგრძლივობა) გათვალისწინებისას კი შემთხვევათა ელემენტარულ ერთობლიობებს დავადგენთ. ერთი კალენდარული წლის განმავლობაში დაკვირვების წარმოებით შემთხვევათა პირველი ერთობლიობების უშუალოდ დადგენა შეუძლებელია: მათი დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ელემენტარული ერთობლიობების შეჯამებით. შემთხვევათა ერთობლიობების მნიშვნელობები შესაძლებელია ასევე დავადგინოთ რეტროსპექტიულად, ანამნეზური გამოკვლევების შედეგად, თუ აღირიცხება გამოკითხულთა ამა თუ იმ მდგომარეობაში შესვლისა და ამ მდგომარეობაში მომხდარი ყველა შემთხვევის თარიღები (მაგ., თითოეული გამოკითხული ქალის გათხოვებისა და ამ ქორწინებაში მის მიერ ყველა გაჩენილი ბავშვის დაბადების თარიღი). ვინაიდან ეს მნიშვნელობები ითვალისწინებენ შემთხვევებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მხოლოდ მათთვის, ვინც გამოკითხვის ჩატარების მომენტამდე იცოცხლა, ისინი არ იგივდება მიმდინარე აღრიცხვის ანალოგიურ მონაცემებთან. იმისდა მიხედვით, თუ დროის როგორი ინტერვალებისათვის ახდენენ დაკვირვებათა მონაცემების დამუშავებას, დემოგრაფიულ შემთხვევათა ერთობლიობების რაოდენობრივი მნიშვნელობები ჩვეულებრივ მოიცავენ დროის ერთწლიან ან ხუთწლიან ინტერვალებს.

მოსახლეობის ერთობლიობები ესაა გარკვეულ დემოგრაფიულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ჯგუფები, რომლებიც აღმოჩნდნენ ამ მდგომარეობაში განსაზღვრული კალენდარული პერიოდის განმავლობაში (მაგ., ერთი და იგივე წელს დაბადებულები ან ქორწინებაში ერთდროულად შესულნი, რომელიც ცნობილია ასევე კოჰორტის სახელწოდებით). პერიოდის ხანგრძლივობა, როგორც წესი, განისაზღვრება ერთი ან ხუთი წლით. განასხვავებენ ასეთი ერთობლიობების ორ სახეობას.

მოსახლეობის პირველი ერთობლიობები (მოსახლეობის პირველი სახის ერთობლიობები) – ესაა ადამიანთა ჯგუფები, რომლებმაც მიაღწიეს მოცემულ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობის ზუსტ მნიშვნელობას. მაგ., დემოგრაფიულ ანალიზში ფართოდ გამოიყენება ე.წ. პირველი ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ერთი და იგივე კალენდარული პერიოდის განმავლობაში დაბადებულ ადამიანებს (კოჰორტა დაბადების წლის მიხედვით), რომლებმაც ერთნაირად ზუსტ ასაკს მიაღწიეს. მისი კერძო შემთხვევაა დაბადებულთა ერთობლიობა. სხვა მაგალითია ქორწინებაში ერთი და იგივე პერიოდში შესულ ადამიანთა ერთობლიობა (ქორწინებითი კოჰორტა), რომლებმაც ერთნაირად ზუსტ ქორწინების ხანგრძლივობას მიაღწიეს.

დემოგრაფიულ ბადეზე მოსახლეობის პირველი ერთობლიობა აისახება სიცოცხლის ხაზების რიცხვით, რომლებიც გადაკვეთენ ჰორიზონტალური წრფის მონაკვეთს – მონაკვეთის სიგრძე შეესაბამება კოჰორტის წარმოქმნის პერიოდს. ანალიზისას ჩვეულებრივ განიხილება მოსახლეობის პირველ ერთობლიობათა მთელი წყება, რომლებიც შეესაბამება რომელიღაც კოჰორტისათვის მოცემულ

მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობის თანმიმდევრულ მთელ რიცხვით მნიშვნელობას (მაგ., დიაგრამაზე 4.6. გამოსახულია ცოცხლების პირველი ერთობლიობები ზუსტად 1 და 2 წლის ასაკში 1987 წლის თაობიდან).

დიაგრამა 4.6. მოსახლეობის ერთობლიობები



მოსახლეობის მეორე ერთობლიობები (ან მოსახლეობის მეორე სახის ერთობლიობები) – ესაა ადამიანების ჯგუფები, რომლებმაც მოცემულ მდგომარეობაში ყოფნისას მიაღწიეს გარკვეულ კალენდარულ მომენტს (მაგ., ცოცხლების მეორე ერთობლიობა მოიცავს ადამიანებს, რომლებიც დაიბადნენ ერთი და იგივე კალენდარული პერიოდის განმავლობაში და მიაღწიეს ერთი და იგივე კალენდარულ მომენტს). დემოგრაფიულ ბადეზე მოსახლეობის მეორე ერთობლიობა აისახება დაკვირვების ვერტიკალური წრფის მონაკვეთის გადამკვეთი სიცოცხლის ხაზების რიცხვით – მონაკვეთის სიგრძე შეესაბამება კოჰორტის წარმოქმნის პერიოდს. ანალიზისას ჩვეულებრივ განიხილება მოსახლეობის მეორე ერთობლიობათა მთელი წყება, რომლებიც შეესაბამება კალენდარული წლების შესაბამის თანმიმდევრულ სასაზღვრო მნიშვნელობებს გარკვეული კოჰორტის სიცოცხლეში (მაგ., დიაგრამაზე 4.6. გამოსახულია ცოცხალთა მეორე ერთობლიობები 1985 წლის განმავლობაში დაბადებული თაობის 1986, 1987 და 1988 წლების დასაწყისისათვის).

მოსახლეობის პირველი (და მეორე) ერთობლიობები განისაზღვრება ორი დროითი კოორდინატით – კოჰორტის ფორმირების ხანგრძლივობითა და დაკვირვების ხანგრძლივობით (ანუ მდგომარეობის ხანგრძლივობით). ანალიზისას ასევე გამოყოფენ: ცოცხლების ერთობლიობას, რომელიც განისაზღვრება მხოლოდ ერთი კოორდინატით; თანამედროვეთა ერთობლიობას – გარკვეულ მომენტში ცოცხალი ადამიანების ერთობლიობას (დაბადებულებს განსხვავებულ დროში და განსხვავებული ასაკის მქონეთ); თანატოლების ერთობლიობას – ერთი პერიოდის განმავლობაში დაბადებულ ადამიანებს (განსხვავებული ასაკისა და განსხვავებულ დროში მცხოვრებთ); და ტოლების ერთობლიობას – ერთი ასაკის ადამიანებს (სხვადასხვა დროს დაბადებულებს და სხვადასხვა დროში მცხოვრებთ).

ვინაიდან ჩვეულებრივ დაბადების დრო და ასაკი იზომება წლების მთელ რიცხვით მნიშვნელობებში, დემოგრაფიულ ბადეზე ცოცხლების ორი უკანასკნელი ერთობლიობა გამოისახება ზოლებით, რომელთა სიგანე შეესაბამება დროის აღებულ ინტერვალს, ხოლო თანამედროვეთა ერთობლიობა – ხაზით, რომელიც შეესაბამება დაკვირვების მომენტს (მაგ., დიაგრამა 4.7. გამოსახულია 1988 წლის 1 იანვრისათვის ცოცხალ თანამედროვეთა ერთობლიობა, !985 წელს დაბადებული თანატოლების ერთობლიობა და განსხვავებულ წლებში დაბადებულებისა და 2 წლის ასაკის ტოლების ერთობლიობა.

მონაცემები მოსახლეობის მეორე ერთობლიობათა კონკრეტული რიცხვითი მნიშვნელობების შესახებ დგინდება მთელი მოსახლეობისა ან მისი ცალკეული ჯგუფებისათვის მოსახლეობის აღწერებისა და მოსახლეობის გამოკვლევების მონაცემების საფუძველზე, რომელთა პროგრამებში ამ მიზნით გათვალისწინებულია მოცემულ დემოგრაფიულ მდგომარეობაში შესვლის დრო და მასში დარჩენის ხანგრძლივობა. დიაგრამიდან 4.6. ჩანს, რომ თუკი აღწერის მომენტი შეესაბამება ან ახლოსაა კალენდარული წლის დასაწყისთან, მაშინ მოცემულ მდგომარეობაში შესვლის პერიოდი ზუსტად ემთხვევა მდგომარეობის ხანგრძლივობის ინტერვალს, რაც საშუალებას იძლევა აღირიცხოს მხოლოდ მოცემულ დემოგრაფიულ მდგომარეობაში შესვლის წელი. მოსახლეობის პირველ ერთობლიობაში გაერთიანებული ადამიანები მდგომარეობის ხანგრძლივობის ზუსტ მნიშვნელობებს აღწევენ არა ერთდროულად, არამედ დროის რაღაც პერიოდის განმავლობაში (მაგ, წლის მანძილზე დაბადებულები ზუსტად ორი წლის ასაკს მიაღწევენ ასევე მთელი წლის მანძილზე). ამიტომ მოსახლეობის პირველ ერთობლიობათა დადგენა შეუძლებელია ისეთი აღწერებისა ან გამოკვლევების შედეგად, რომლებიც ტარდება გარკვეული მომენტისათვის შექმნილი ვითარების მიხედვით, ხოლო მდგომარეობის ხანგრძლივობის ზუსტ მნიშვნელობამდე მიღწევის ყველა შემთხვევის სრული მიმდინარე აღრიცხვა პრაქტიკულად შეუძლებელია. მოსახლეობის პირველ ერთობლიობათა კონკრეტული მნიშვნელობები ჩვეულებრივ მიიღება ან გამოთვლების შედეგად (როგორც მოსახლეობის მეორე ერთობლიობათა ორი მომიჯნავე მნიშვნელობის საშუალო), ან რეტროსპექტიულად – ანამნეზურ გამოკვლევათა მონაცემების შესაბამისი დამუშავების გზით.

დემოგრაფიულ ერთობლიობათა შორის შემდეგი ურთიერთკავშირი არსებობს: დემოგრაფიულ შემთხვევათა პირველი ერთობლიობა წარმოადგენს მოსახლეობის ორ თანმიმდევრულ პირველ ერთობლიობათა შორის სხვაობას, ხოლო დემოგრაფიულ შემთხვევათა მეორე ერთობლიობა – ორ თანმიმდევრულ მეორე ერთობლიობათა შორის სხვაობას. შემთხვევათა ელემენტარული ერთობლიობები საშუალებას გვაძლევს გადავიდეთ მოსახლეობის პირველი ერთობლიობიდან მეორეზე და პირიქით, ასევე გადავიდეთ შემთხვევათა ნებისმიერი ერთობლიობიდან სხვა ნებისმიერ ერთობლიობაზე. ასე, მოსახლეობის პირველი ერთობლიობა მიიღება თუკი მოსახლეობის მეორე ერთობლიობას მივუმატებთ იგივე მასშტაბის შემთხვევათა ქვედა ელემენტარულ ერთობლიობას, ხოლო მოსახლეობის მეორე ერთობლიობა მიიღება მოსახლეობის პირველი ერთობლიობიდან შემთხვევათა ქვედა ელემენტარული ერთობლიობის გამოკლების შედეგად. შემთხვევათა ერთობლიობები შეიძლება მიღებულ იქნას ზედა და ქვედა შემთხვევათა ელემენტარული ერთობლიობების დაწყვილებული აჯამვით. მოსახლეობის პირველი და მეორე ერთობლიობები მოცემულ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობის მნიშვნელობებისთვის და შემდგომი კალენდარული მომენტებისთვის შეიძლება მიღებულ იქნას იგივე მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობის წინა

მნიშვნელობების ერთობლიობებისთვის შესაბამისად შემთხვევათა პირველ და მეორე ერთობლიობების (იმავე თაობისათვის) მიმატების გზით.

დიაგრამა 4.7. თანამედროვეების, თანატოლებისა და ტოლების ერთობლიობები



დემოგრაფიული პროცესების ერთდროულად სხვადასხვა მდგომარეობებში შესწავლისას დემოგრაფიული ერთობლიობები იქმნება შესაბამისი ნიშნების ჭრილში.

დემოგრაფიულ ანალიზში წარმოდგენას დემოგრაფიულ ერთობლიობათა შესახებ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ერთობლიობათა შორის ურთიერთკავშირი საფუძვლად უდევს დემოგრაფიული შემთხვევების ალბათობებისა და დემოგრაფიული კოეფიციენტების გამოთვლასა და დემოგრაფიული ცხრილების შედგენას. დემოგრაფიულ ერთობლიობათა შესახებ წარმოდგენებსა და მათ შესწავლაზეა დაფუძნებული ჰიპოთეზური და რეალური თაობის ანალიზის მეთოდები. დემოგრაფიული ერთობლიობები საშუალებას იძლევა სწორად გამოვთვალოთ დემოგრაფიულ შემთხვევათა სიხშირე, თაობის ორი დროითი კოორდინატის მიხედვით განვსაზღვროთ მესამე, ცალკეულ ადამიანებსა და შემთხვევებზე სტატისტიკური დაკვირვებისას მკაფიოდ მივაკუთვნოთ ისინი ამა თუ იმ ერთობლიობას, ზუსტად ჩამოვაყალიბოთ დაკვირვების პროგრამის შეკითხვები.

4.3. ჰიპოთეზური თაობის ანალიზი

დავუშვათ მოსახლეობას ვაკვირდებით $[0,T]$ დროის მონაკვეთში. თუ კონკრეტულმა ადამიანმა იცხოვრა ამ დროის მონაკვეთში 1 წელი, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ადამიანის მიერ ნაცხოვრებია ერთი ადამიან-წელიწადი, თუ ადამიანმა იცხოვრა 24 საათი $[0,T]$ დროის მონაკვეთში, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ადამიანის მიერ ნაცხოვრებია 1/365 ადამიან-წელიწადი. ყოველი ადამიანის მიერ ნაცხოვრებ ადამიან-წელიწადთა ჯამი მოგვცემს მოსახლეობის მიერ ნაცხოვრებ ადამიან-წელიწადს.

ზემოთ მოტანილის ადვილად აღსაქმელად დაგვეხმარება სიცოცხლის ხაზებზე დაკვირვება. რადგან ჩვენ გვაინტერესებს $[0,T]$ დროის მონაკვეთი, $[0,T]$ მონაკვეთის გარეთ არსებული სიცოცხლის ხაზები გავა ჩვენი დაკვირვების არეალიდან. ნახაზი 4.1. გვიჩვენებს 7 ადამიანის სიცოცხლის ხაზს, რომელსაც

ვაკვირდებით 1981 წლის 1 იანვრის დღის 12 საათიდან 1982 წლის 1 იანვრის დღის 12 საათამდე. ნახაზზე წელიწადი დაყოფილია კვარტალების მიხედვით.

ნახაზი 4.1. 7 სიცოცხლის ხაზი ადამიანების, რომლებმაც იცოცხლეს 1981 წლის 1 იანვრიდან 1982 წლის 1 იანვრამდე



ნახაზი 4.2. ადამიან-წელიწადად გარდაქმნილი სიცოცხლის ხაზები



როგორც ნახაზი 4.1.-დან ჩანს პირველი ადამიანის სიცოცხლის ხაზი გრძელდება მთელი დაკვირვებადი წლის განმავლობაში, მეექვსე ადამიანი კი დაიბადა 1981 წლის 1 აპრილს და გარდაიცვალა 1 ოქტომბერს, შესაბამისად მის მიერ ნაცხოვრებია ექვსი თვე, ანუ $\frac{1}{2}$ ადამიან-წელიწადი. რა თქმა უნდა, მოსახლეობის მიერ ნაცხოვრები ადამიან-წლების ამ ხერხით შეფასება მოხერხებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობის რეგისტრში დაფიქსირდებოდა ყოველი ადამიანის ზუსტი დაბადების, გარდაცვალების და ქვეყნიდან გასვლის ან ქვეყანაში შემოსვლის ზუსტი თარიღი.

მოსახლეობის მიერ ნაცხოვრები ადამიან-წლების შეფასების ალტერნატიული გზა მდგომარეობს შემდეგში: დასაკვირვებელი დროის მონაკვეთი იყოფა უფრო მცირე მონაკვეთებად და მარტივად ხდება დროის ამ მცირე მონაკვეთების განმავლობაში ცოცხალი ადამიანების რაოდენობის დათვლა. ჩვენ მაგალითში 4 ადამიანი არ გარდაცვლილა 1981 წლის 1 იანვრიდან 1981 წლის 1 აპრილამდე, ანუ მათ მიერ ნაცხოვრებია $4(\frac{1}{4})=1$ ადამიან-წელიწადი. შემდეგი კვარტალის განმავლობაში ცოცხალი იყო 6 ადამიანი, შესაბამისად მათ მიერ ნაცხოვრებია $6(\frac{1}{4})=1.5$ ადამიან-წელიწადი და ა.შ. მთლიანობაში 7 ადამიანის მიერ 1 წლის

განმავლობაში ნაცხოვრებია 4.75 ადამიან-წელიწადი, რომელიც რა თქმა უნდა ემთხვევა წინა მეთოდით გამოთვლილ სიდიდეს (იხ. ნახაზი 4..2).

ამ ალტერნატიული მეთოდით ჩვენ ფაქტობრივად შევაფასეთ $N(t)$ მრუდის ქვემოთ მოთავსებული ფართობი 1981 წლის 1 იანვრიდან 1982 წლის 1 იანვრამდე. $N(t)$-თი აღნიშნულია t კალენდარულ დროს ცოცხალ ადამიანთა რაოდენობა. ფართობი გამოიანგარიშება მრუდის ქვემოთ მოთავსებული ფიგურის სიმაღლის ნამრავლით ფუძის სიგანეზე. ჩვენ შემთხვევაში $N(t)$ არის სიმაღლე და დასაკვირვებელი დროის მონაკვეთის სიდიდე წარმოადგენს სიგანეს. რადგან ჩვენს მიერ მოტანილ მაგალითში (იხ. ნახაზი 4.2.) სიმაღლე წარმოადგენს ადამიანთა რაოდენობას, ხოლო სიგანე კვარტალს, ანუ წელიწადის მეოთხედს, ბუნებრივია ფართობი გამოისახოს ადამიანი-წელიწადის საშუალებით. თუ 1981 წლის 1 იანვრიდან 1981 წლის 1 აპრილამდე ნაცხოვრებ ადამიან-წელიწადს აღვნიშნავთ $PY[1981.00,1982.00]$-ით, მაშინ:

$$PY[1981.00,1982.00] = 4(.25) + 6(.25) + 5(.25) + 4(.25) = 4.75,$$

ეს ჯამი შეიძლება ჩავწეროთ შემდეგნაირად:

$$PY[1981.00,1982.00] = \sum_{i=1}^{4} N_i \ \Delta_i,$$

სადაც N_i არის i-ურ კვარტალში ცოცხალ ადამიანთა რაოდენობა, Δ_i კი წარმოადგენს კვარტალის სიგრძეს, ანუ $\frac{1}{4}$-ს. თუ ჩვენ კვარტალის მაგივრად ადამიანებს დავაკვირდებოდით დღიურად, მაშინ ზემოთ მოტანილ ჯამს ექნებოდა შემდეგი სახე:

$$PY[1981.00,1982.00] = N(01/01/1981)\cdot\frac{1}{365} + N(02/01/1981)\cdot\frac{1}{365} + \cdots + N(31/12/1981)\ \frac{1}{365} = \sum_{i=1}^{365} N_i \ \Delta_i$$

თუ ჩვენ გვექნებოდა საშუალება $N(t)$ სიგრძე გაგვეზომა დროის ისეთ პატარა მონაკვეთში, როგორიცაა dt, მაშინ ზემოთ მოტანილი ჯამი შეიძლება ჩავწეროთ შემდეგი ინტეგრალის საშუალებით:

$$PY[1981.00,1982.00] = \int_{1981.00}^{1982.00} N(t)\cdot dt$$

ინტეგრალის სახით წარმოდგენილია იგივე ჯამი, $\sum_{i=1}^{4} N_i \ \Delta_i$, მაგრამ Δ_i, რომლითაც აღნიშნული გვქონდა დღეები, შეცვლილია უფრო პატარა dt დროის მონაკვეთებით.

4.4. რეალური თაობის ანალიზი

ქვემოთ განხილულ იქნება კოჰორტისათვის მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების და გარდაცვალების ალბათობების გამოთვლის მეთოდები.

მაგალითად, 1940 წელს დაბადებული კოჰორტისთვის 25-დან 30 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტი შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგნაირად:

$$ {}_5m_{25}^{1940} = \frac{\text{1940 წელს დაბადებულთაგან 25 წლიდან 30 წლამდე გარდაცვლილთა რაოდენობა}}{\text{1940 წ. დაბადებულთაგან 25 წლიდან 30 წლამდე ნაცხოვრები ადამიან - წელი}}$$

აღსანიშნავია, რომ კოჰორტის გარდაცვლილთა და კოჰორტის მიერ ნაცხოვრები ადამიანი-წელის დასათვლელად საჭიროა დავაკვირდეთ კოჰორტას 1965 წლიდან (როდესაც კოჰორტის წევრები გახდნენ 25 წლის) 1970 წლამდე (როდესაც კოჰორტის წევრებს შეუსრულდათ 30 წელი).

$[x, x+n]$ ასაკობრივ ჯგუფში კოჰორტის გარდაცვალების ალბათობა აღვნიშნოთ ${}_nq_x$. მაშინ იმის ალბათობა, რომ 1940 წელს დაბადებული კოჰორტა გარდაიცვლება 1 წლამდე ასაკში ტოლია:

$$ {}_1q_0^{1940} = \frac{\text{1940 წელს დაბადებულთაგან 0 - 1 ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილთა რაოდენობა}}{\text{1940 წელს დაბადებული კოჰორტის რაოდენობა}} $$

შესაბამისად, 1940 წელს დაბადებული კოჰორტის 25-დან 30 წლამდე ასაკში გარდაცვალების ალბათობა გამოითვლება შემდეგნაირად:

$$ {}_{30}q_{25}^{1940} = \frac{\text{1940 წელს დაბადებულთაგან 25 - 30 ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილთა რაოდენობა}}{\text{1940 წელს დაბადებული კოჰორტის მიერ 25 წელს მიღწეულთა რაოდენობა}} $$

აღსანიშნავია, რომ 1940 წელს დაბადებული კოჰორტის 0-დან 1 წლამდე გარდაცვლილებზე დაკვირვება ხდება 2 წლის განმავლობაში (დაკვირვება მიმდინარეობს როგორც 1940, ისე 1941 წელს), რაც გამოწვეულია იმით, რომ 1940 წელს დაბადებულებს 1 წელი უსრულდებათ 1941 წლის განმავლობაში. 1941 წელს გარდაცვლილებში შედის როგორც 1940 წელს დაბადებულები, ისე 1941 წელს დაბადებულებიც. გარდაცვალების ალბათობების გამოსათვლელი გზა უფრო თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ლექსისის დიაგრამაზე (ბადეზე).

ნახაზი 4.3. ლექსისის დიაგრამა, რომელიც მოიცავს 1995 წელს დაბადებული კოჰორტის სიცოცხლის ხაზებს.



ნახაზი 4.3. წარმოადგენს ლექსისის დიაგრამას, რომელიც მოიცავს 6 ადამიანის სიცოცხლის ხაზს. ორდინატთა ღერძზე გადაზომილია ასაკი, რომელზეც დაკვირვება ხდება 2 წლის ასაკში. აბსცისთა ღერძზე გადაზომილია კალენდარული დრო, რომელიც აითვლება 1995 წლიდან. ცხადია, 1995 წელს დაბადებული კოჰორტის სიცოცხლის ხაზები მოთავსდება 45°-იან პარალელოგრამში, რომლის პარალელური გვერდები იღებს სათავეს 1995 წლის და 1996 წლის 1 იანვარს. სიცოცხლის ხაზი მთავრდება ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში. მაგალითად, ნახაზ 4.3.-ში 6 ადამიანიდან 2 ადამიანმა ვერ მიაღწია 1 წლის ასაკს. აქედან გამომდინარე:

$$ {}_1q_0^{1995} = \frac{2}{6} = 0{,}3333 $$

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით არ შეიძლება 2 წლის ასაკამდე გარდაცვლილთა ალბათობის გამოთვლა იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც მიაღწიეს 1996 წელს 1 წლის ასაკს. ეს გამოწვეულია იმით, რომ კოჰორტის წევრები შეიძლება გარდაიცვალონ 1997 წელს, ხოლო ეს ინფორმაცია დიაგრამაზე არ არის მოტანილი.

ნახაზი 4.3.-ზე მოტანილი სიცოცხლის ხაზები შეიძლება ჩავწეროთ ახალი დიაგრამის სახით.

ნახაზი 4.4. ლექსისის დიაგრამა, რომელიც ასახავს 1995 წელს დაბადებული კოჰორტის მდგომარეობას



ახალ ნახაზზე გარდაცვლილთა რაოდენობა ჩაწერილია იმავე პარალელოგრამში, რაც წინა ნახაზზე იყო წარმოდგენილი. მაგ., თუ აღწერა ჩატარდებოდა 1996 წლის 1 იანვარს, მაშინ 1996 წლის 1 იანვრისთვის გვექნებოდა 1 წლამდე ასაკის 5 ადამიანი (1 გარდაიცვალა). იმ შემთხვევაში, თუ აღწერა არ ჩატარდებოდა 1996 წლის 1 იანვარს, მაშინ 1 წლამდე ასაკში გვეყოლებოდა 2 კოჰორტის წარმომადგენელი. ნახაზზე 4.4. ნაჩვენები ციფრი 4 (1) გვიჩვენებს, რომ 6 ადამიანიდან 1996 წლის 1 იანვრიდან 1997 წლის 1 იანვრამდე პერიოდში 4 ადამიანს შეუსრულდა 1 წელი და 1 გარდაიცვალა.

ნახაზი 4.5. ლექსისის დიაგრამა, რომელზეც მოცემულია სიმბოლოები, რომლებიც ასახავენ კოჰორტის სიცოცხლის ციკლს



$B_0(95)$ – 1995 წელს დაბადებულთა რაოდენობა

$B_1(95)$ – 1995 წლამდე დაბადებულთა რაოდენობა, რომელთაც 1995 წელს შეუსრულდათ 1 წელი.

$B_1(96)$ – 1996 წლამდე დაბადებულთა რაოდენობა, რომელთაც 1996 წელს შეუსრულდათ 1 წელი.

${}_sD_0(95)$ – 1995 წელს 1 წლამდე ასაკის გარდაცვლილთა რაოდენობა, რომლებიც დაიბადნენ 1995 წელს.

${}_pD_0(95)$ – 1995 წელს 1 წლამდე ასაკის გარდაცვლილთა რაოდენობა, რომლებიც დაიბადნენ 1994 წელს.

${}_pD_0(96)$ – 1996 წელს 1 წლამდე ასაკის გარდაცვლილთა რაოდენობა, რომლებიც დაიბადნენ 1995 წელს.

ზემოთ მოტანილ აღნიშვნებში ${}_1q_0^{1995}$-ის გამოსათვლელ ფორმულას ექნება შემდეგი სახე:

$$ {}_1q_0^{1995} = \frac{{}_sD_0(95)+{}_pD_0(96)}{B_0(95)} = \frac{1+1}{6} = 0{,}3333 $$

ახალი ფორმულით და ადრე მოტანილი ფორმულით მიღებული შედეგი იდენტურია. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ აღნიშვნებსა და ჩაწერის ფორმაში.

4.5. თვისებრივი კვლევის მეთოდები დემოგრაფიაში

დემოგრაფია დემოგრაფიულ შემთხვევათა სიმრავლეს შეისწავლის. დემოგრაფიას საქმე აქვს მასობრივ მოვლენებთან და მათ რაოდენობრივი კვლევის მეთოდების საფუძველზე შეიცნობს. მოცემული ნაშრომის, ისე როგორც სხვა დემოგრაფიული სახის ნაშრომთა დიდი უმრავლესობა, სწორედ რაოდენობრივი კვლევის მეთოდებზეა აგებული. მათთან შედარებით, მნიშვნელოვნად ნაკლებად, მაგრამ დემოგრაფიაში თვისებრივი კვლევის მეთოდებიც გამოიყენება, რომლებსაც ქვემოთ დავუთმობთ გარკვეულ ადგილს.

იყო დრო, როდესაც რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენება დემოგრაფიაში, ან უფრო მართებულად რომ ვთქვათ, მოსახლეობის კვლევისას ბრიტანულ სოციალურ და კულტურულ ანტროპოლოგიასა და ფრანგულ ეთნოლოგიაში XX საუკუნის შუა პერიოდამდე ეჭვს არ იწვევდა და ჩვეულებრივ პროცედურას მიეკუთვნებოდა. მას შემდეგ, რაც დემოგრაფიაში დაიხვეწა და შემუშავებულ იქნა სპეციალური სტატისტიკური ანალიზის მეთოდები ანტროპოლოგების ყურადღება მის მიმართ შემცირდა. აღნიშნულს დემოგრაფიაში დაემატა სათანადო საინფორმაციო ბაზის განსაზღვრა მოსახლეობის აღწერების, რეგისტრების, მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვის და სპეციალური კვლევების სახით, რომელთა მონაცემებიც რიცხვით სიმრავლეებზე იყო დაფუძნებული. იმავე დროს დემოგრაფთა ნაწილი ყოველთვის დაინტერესებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდებით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დემოგრაფთა გარკვეული წრე უარყოფითად აფასებდა არარაოდენობრივი მეთოდების გამოყენებას. სხვათა აზრით რაოდენობრივი კვლევის მეთოდები კარგი იყო და უნდა გამოყენებულიყო ჰიპოტეზების შესამოწმებლად, ცვლადებს შორის კავშირის დასადგენად, მაშინ როდესაც თვისებრივი კვლევის მეთოდები მიმართული უნდა ყოფილიყო შინაარსობრივი მხარის დასადგენად და იმ მდგომარეობის გასარკვევად, რომლებსაც ადამიანები აძლევდნენ თავის ქცევას. ამ თვალსაზრისით მეცნიერული ფაქტები და მათი ინტერპრეტაცია შეიძლება შეუთავსებელი ყოფილიყო. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევდა, რომ კვლევის ორი სხვადასხვა მეთოდის მიუხედავად, ისინი შეიძლება გაერთიანდეს და კომპლექსურად იქნას გამოყენებული მეცნიერულ-კვლევითი პროექტებისას.

ქვემოთ მოტანილი მაგალითები ძირითადად განვითარებად ქვეყნებში ჩატარებულ გამოკვლევებს ეფუძნება. სწორედ განვითარებად ქვეყნებშია ხშირი დემოსტატისტიკური რაოდენობრივი ინფორმაციის ნაკლებობა. ამ თვალსაზრისით, თვისებრივი კვლევის მეთოდები გამოსადეგია და შეიძლება ერთადერთი წყაროც კი აღმოჩნდეს რომელიმე დემოგრაფიული სახის კვლევისას.

დემოგრაფიულ გამოკვლევებში არარაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენება ხშირად წარმოსდგება როგორც რაიმე დემოგრაფიულად შესასწავლი საკითხის განმარტებითი ბაზის გაფართოება და ამ მიდგომას "ყოვლადმომცველ დემოგრაფიად" მიიჩნევენ.

აღნიშნულის მაგალითად გამოდგება საფრანგეთში 1991 წელს საქორწინო წყვილთა კვლევა, რომლის დროს შეისწავლებოდა ასაკობრივი განსხვავებები მეუღლეებს შორის. პირველ რიგში გამოყენებულ იქნა 1989 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის დროს გამოკითხულ იქნა 45 წლის ასაკამდე 3000 წყვილი. შემდგომ ეტაპზე მათგან გამოყოფილ იქნა და ჩატარდა 75 ინტერვიუ. 250 კითხვათა საერთო რაოდენობიდან, მოცემულ შემთხვევაში, კითხვარი შეიცავდა 40 ღია კითხვას. გამოკითხვამ აჩვენა რომ ახალგაზრდა ქალები, იმავე ასაკის მამაკაცებთან შედარებით უფრო მეტად არიან ორიენტირებული ისეთ წყვილზე, სადაც მამაკაცია უფროსი. ამასთან, გამოკითხვის შედეგებით ახალგაზრდები მსჯელობდნენ სოციალურ ასაკზე, გამომდინარე არა იმდენად ასაკთან დაკავშირებული გარეგნობიდან, რამდენადაც სოციალური სტატუსისა და ავტონომიიდან.

მაღალი შობადობის მქონე აფრიკის მოსახლეობის (გამბიის სოფლად) 1998 წელს ჩატარებული გამოკვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ის ქალები, რომლებმაც განიცადეს რეპროდუქციული სირთულეები (აბორტი, მკვდრადშობადობა, ჩვილთა მოკვდაობა) უფრო მეტად არიან ორიენტირებული თანამედროვე დასავლურ კონტრაცეპციაზე, ვიდრე სხვა ქალები. საერთო კვლევა მოიცავდა 2980 ფერტილური ასაკის ქალს 40 სოფლიდან. შემდგომში მათგან 270-ს, რომლებსაც ჰქონდათ ორსულობა უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში,

ჩაუტარდათ ინტერვიუების სერია 15 თვის მანძილზე ყოველთვიურად. აღმოჩნდა, რომ ბავშვის დაბადება ქალის მიერ აღიქმება როგორც სხეულის რესურსების დანაკლისი, ხოლო ქალის რეპროდუქციული პოტენციალი განისაზღვრება ღმერთის მიერ დადგენილი რაოდენობით, რომელიც მცირდება არა ასაკთან ერთად, არამედ გადატანილი ორსულობებითა და მშობიაროებებით. კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ თანამედროვე კონტრაცეპცია თავისუფლად შეიძლება მოერგოს ტრადიციულ რაციონალობას.

საინტერესოა ბრაზილიის ჩრდილოეთში 1997 წელს ჩატარებული გამოკვლევის შედეგები, რომელიც ბავშვთა მოკვდაობას ეხებოდა. დადგენილ იქნა, რომ 5 წლამდე ასაკის გარდაცვლილი ბავშვებისა და დაბადებულების საკმაო რაოდენობა რეგისტრირებული არ იყო. რეგისტრირებულ შემთხვევათა 75% მითითებული არ იყო სიკვდილის მიზეზი. ძირითადად მითითებული იყო სიკვდილის შემდეგი მიზეზები: "გული გაუჩერდა, სუნთქვა გაუჩერდა, შიმშილი, სისუსტე, დაცემა და ა.შ.". ამ მიმართულებით ჩატარებული თვისებრივი გამოკვლევის შედეგებმა გამოავლინა დედების ფატალური დამოკიდებულება ჩვილებისადმი. ამასთან, მიიჩნეოდა რომ ბავშვების ნაწილს თავად არ უნდა სიცოცხლე და აქედან გამომდინარე დედები არ ზრუნავდნენ სუსტი ბავშვების გადარჩენაზე.

თვისებრივი კვლევებისას ღია კითხვები ყველაზე გავრცელებულია და დახურული კითხვებისაგან განსხვავებით ბუნებრივია წინასწარ არ არის განსაზღვრული პასუხის შინაარსი, ფორმა და სიგრძე. ღია კითხვების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების კვლევისას, რომლის დროსაც გამოიყენება ტერმინები: მაგ., გარემოს დაცვა, სექსუალობა, ცუდი ჯანმრთელობა. ამასთან, შესაძლებელია რესპონდენტის რეაქციის დაფიქსირება კითხვაზე, დამატებითი კომენტარები და სხვა.

"ჩართული დაკვირვება" დემოგრაფიაში, ამ ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობით, პრაქტიკულად არ გამოიყენება. დემოგრაფიასთან მიმართებაში ის გულისხმობს იმ სახის დაკვირვებას, რომელიც ზემოთ იყო განხილული ბრაზილიაში ბავშვთა მოკვდაობის შემთხვევაში.

ფოკუს-ჯგუფების გამოყენება დემოგრაფიული პრობლემების კვლევისას მსჯელობის საგანს წარმოადგენს და მას არ განიხილავენ როგორც კვლევის მეთოდიკას ამ უკანასკნელის მკაცრი გაგებით. იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც პირვანდელი კონტაქტისა და მოქმედებათა მობილიზაციის მეთოდი და არა სათანადო კვლევითი ინსტრუმენტი. ზოგიერთ შემთხვევაში დემოგრაფებს ხიბლავს ფოკუს-ჯგუფების მეთოდი როგორც სწრაფი შედეგების მომცემი და იაფი, თუმცა მისი მონაცემები ძალიან იშვიათად განიხილება როგორც მეცნიერულად დასაბუთებული. დემოგრაფიულ ლიტერატურაში დემოგრაფიული მიზნებისათვის ფოკუს-ჯგუფების გამოყენებას საეჭვო ტექნიკად მიიჩნევენ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დემოგრაფების მიერ თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენება ხშირად განიხილება როგორც გარკვეული წინასწარი ან დამხმარე პროცედურა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მონაცემების მოპოვებას.

დემოგრაფია მუდმივადაა მიმართული მონაცემთა ხარისხისა და სანდოობის ამაღლებისაკენ. დემოგრაფიული კვლევის საწყის ეტაპებზე თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენება სულ უფრო გავრცელებული ხდება და მიმართულია პირვანდელი ჰიპოტეზების გასამდიდრებლად. ასევე მისაღები ხდება თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენება მოპოვებული ინფორმაციის შესამოწმებლად სოციოლოგიურ-დემოგრაფიულ გამოკვლევებისას.

წინასწარი თვისებრივი კვლევა ხელს უწყობს როგორც ჰიპოტეზების სრულყოფას, ისე შეიძლება გამოყენებულ იქნას რაოდენობრივი კვლევის პრაქტიკული პროცედურების შემუშავებისას. რეპროდუქციული ქცევის, ქორწინებისა და ოჯახთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას ხშირად მხოლოდ ქალებს ეკითხებოდნენ, თუმცა თვისებრივმა კვლევებმა აჩვენა, მოცემულ

საკითხებთან დაკავშირებით, ასევე მამაკაცების და განსაკუთრებით კი ცოლ-ქმრის გამოკითხვის მიზანშეწონილობა.

დემოგრაფიული მეცნიერების განვითარების შესახებ მსჯელობისას დემოგრაფები აღნიშნავენ მეთოდების ცვლილებასა და განვითარებასაც, თუმცა იშვიათად უთითებენ თეორიულ ინოვაციებს. განსაკუთრებით ეს ეხება თვისებრივი კვლევის მეთოდებს.

ტრადიციულად დემოგრაფია აქცენტირდება იმ მოვლენებზე, რომლებიც შეიძლება განსაზღვრულ იქნას რაოდენობრივი მაჩვენებლებით. რაოდენობრივი მაჩვენებლების სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით წარმოებს მოვლენის დეტერმინანტებისა და თვისებრივი მხარის დადგენა-გამოვლენა. რაოდენობრივისაგან განსხვავებით თვისებრივი მიდგომისას ძირითადია იმ პროცესებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც ადგენენ დამოკიდებულებას სოციალურ ქცევასა და ობიექტურ სტრუქტურებს შორის. მის შემთხვევაში მონაცემთა აღწერის პროცესი შედარებით რთულია, ვინაიდან საწყისად მოცემული ქცევის გარდაქმნას უბრალო ცვლადებში ადგილი არ ჰქონია. მოცემული მიდგომისას წინააღმდეგობა დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს, თუ მოვლენებს შორის, რომლითაც უნდა აიხსნას აგრეთვე დეტერმინანტები, ქრება, რაც შესაძლებლობას იძლევა ყურადღება გადავიტანოთ პრობლემებზე, რომლებიც თავდაპირველად არ განიხილებოდა როგორც ცენტრალური (ან ცვლადების გარდაქმნა რთულია).

მაგ., აფრიკულ ქვეყნებში, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, დემოგრაფების მხრიდან ქორწინება განიხილებოდა როგორც შობადობის უბრალო დეტერმინანტი, რომელიც არ იმსახურებდა რაიმე კონკრეტულ ყურადღებას. ანტროპოლოგიისა და მისი მეთოდების საფუძველზე დემოგრაფების ნაწილმა შეძლო ქორწინების დაკვირვება და აღწერა, როგორც კავშირის ფორმირების პროცესის თავისი ხანგრძლივობითა და ეტაპებით. ამ პროცესებზე დაკვირვებამ მაშინ აიღო სოციალური ორგანიზაციის ანალიზატორის ფუნქცია, განსაკუთრებით სხვადასხვა თაობათა და გენდერული ურთიერთობების შემთხვევაში.

დემოგრაფიაში, ტრადიციული მიდგომისაგან განსხვავებით, ანტროპოლოგიისა და სოციოლოგიიდან შემოდის სოციალური და კულტურული სტრუქტურების ანალიზი, რომლებშიც ფუნქციონირებენ ადამიანები. საკმაო დროის განმავლობაში, დემოგრაფიული კვლევებისას, პრაქტიკულად უცნობი იყო კულტურისა და სოციალური ორგანიზაციის გავლენა დემოგრაფიულ ქცევაზე. ზოგიერთი დემოგრაფი შეეცადა ინდივიდუალური ქცევის ანალიზისა და სოციალური ორგანიზაციის გაერთიანებას დემოგრაფიული პროცესების ასახნელად. მაგ., მშობიარობის შემდგომი თავშეკავება აფრიკულ ქვეყნებში დიდი ხნის განმავლობაში განიხილებოდა როგორც შობადობის ფაქტორი. სქესობრივი თავშეკავება უფრო სიხშირის შეთანხმებული შემცირებით გამოიხატებოდა, ვიდრე სქესობრივი ურთიერთობის სრული დათრგუნვით. ახალგაზრდა ქალები უფრო ხშირად ამცირებდნენ თავშეკავების პერიოდებს, ვიდრე ქალები, რომლებსაც ჰყავდათ ბევრი შვილი და რომლებიც აგრძელებდნენ სქესობრივი თავშეკავების პერიოდს.

დემოგრაფიის ევოლუციის სხვა მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გენდერული ანალიზი, რომელიც თავდაპირველად უცხო იყო ტრადიციული დემოგრაფიისათვის და მოგვიანებით იწყო დამკვიდრება. დემოგრაფიაში მოსახლეობის, დემოგრაფიული პროცესებისა და სხვა კატეგორიების ანალიზისას ტრადიციულად გამოიყოფოდა სქესი (მაგ., მოსახლეობა სქესის მიხედვით, დაბადებულები, გარდაცვლილები, დაქორწინებულები და განქორწინებულები სქესის მიხედვით, სიცოცხლის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით და სხვა). ზემოთ გენდერული როდია ხაზგასმული ამ მიზეზით. საქმე ისაა, რომ მოცემულ შემთხვევაში გენდერული ანალიზის ქვეშ ნაგულისხმებია სხვა სპეციფიკური

ასპექტები. მაგ., შობადობის შემცირება აზიის ზოგიერთ ქვეყანაში (ჩინეთი) გამოწვეული იყო მამრობითი სქესის უპირატესობით მდედრობითთან შედარებით, რასაც თავისი ახსნა ჰქონდა. ტრადიციულად ქალი დაქორწინებისას მიდიოდა მშობლიური ოჯახიდან, ხოლო ვაჟი ოჯახში რჩებოდა და მშობლების მომვლელი ხდებოდა. ასეთმა მდგომარეობამ თანამედროვე პირობებში, ორსულობისას სქესის დიაგნოსტიკის შემოღებასთან ერთად, გამოიწვია გოგონათა მიმართული აბორტი და ცოცხლად დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი დისპროპორცია ბიჭების სასარგებლოდ. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ მდგომარეობას ჩინეთში ხელი შეუწყო შობადობის შემცირებისაკენ მიმართულმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ. სახელმწიფო მკაცრ ზომებს იღებდა იმ ოჯახების მიმართ, რომლებიც ერთ ბავშვზე მეტს იყოლიებდნენ და რომლებსაც ერთ ბავშვზე მეტის ყოლა ეკრძალებოდათ. სხვა მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შიდსიდან გამომდინარე პრობლემა. თვისებრივმა კვლევებმა აჩვენა, რომ აფრიკის ქვეყნებში ქალები უარს ვერ ეუბნებოდნენ აივ/შიდსით დაავადებულ ქმრებს დაუცველ სქესობრივ ურთიერთობაზე. მეორე მხრივ, გამოკვლევებით ისიც დადგინდა, რომ ცოლ-ქმრის აივ/შიდსით ინფიცირებულობის შემთხვევაში ბავშვთა შობის ზრდას ჰქონდა ადგილი.

თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენება დემოგრაფიაში არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც რაიმე ახალი დისციპლინის შექმნა დემოგრაფიის გვერდით. თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებამ ხელი უნდა შეუწყოს დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტასა და დემოგრაფიის შემდგომ განვითარებას.

5. შობადობა, რეპროდუქციული ქცევა და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, დემოგრაფია და სექსუალობა

5.1. შობადობა

შობადობასთან დაკავშირებული საკითხები წარმოდგენილი იყო მოცემული სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში დემოგრაფიული გადასვლისა და შობადობის თეორიების განხილვისას.

შობადობა ბავშვთა შობის პროცესია ადამიანთა ერთობლიობაში, რომელიც თაობას ან მოსახლეობას შეადგენს. შობადობა მოკვდაობასთან ურთიერთქმედებისას ქმნის მოსახლეობის აღწარმოებას.

ადამიანის მიერ შთამომავლობის აღწარმოების უნარი შობადობის ბიოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. ბავშვთა შობის პოტენციური შესაძლებლობა ეფუძნება ნაყოფიერებას, რომლის რეალიზაცია წარმოებს ქალების ერთობლიობაში რეპროდუქციული ქცევის მეშვეობით. რეპროდუქციული ქცევის საბოლოო შედეგი – ოჯახში ბავშვების რაოდენობა – ცხოვრების წესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და მჭიდროდაა დაკავშირებული მის სხვა კომპონენტებთან.

შობადობის მაქსიმალურად შესაძლებელ დონეს აფასებენ ნაყოფიერების დონით. ნაყოფიერების დონის გაზომვის პირდაპირი მეთოდები არ არსებობს. მას აფასებენ ირიბად – განაყოფიერების უნარის ან ბუნებრივი შობადობის დონის საფუძველზე, რომელიც ყოველთვის მეტია რეალური შობადობის დონეზე.

შობადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქორწინების ინსტიტუტზე. ეს უკანასკნელი და მისი გავრცელება სხვადასხვა საზოგადოებაში მნიშვნელოვნად განსხვავდება. ქორწინებაში მყოფების შობადობა თითქმის ყოველთვის მეტია, ვიდრე ქორწინებაში არმყოფების. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების წილი უმრავლეს ქვეყანაში დიდი არ არის, თუმცა მისი ცვალებადობა ცალკეული ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია – 0-დან ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში, 70-80%-მდე ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ზოგიერთ ქვეყანაში.

შობადობის გაზომვას აწარმოებენ სხვადასხვა კოეფიციენტის, შობადობის ცხრილებისა და ინდექსების საშუალებით. შობადობის მაჩვენებლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ისეთებს, რომლებიც შობადობას ახასიათებენ არა დაბადებული ბავშვების რაოდენობის საფუძველზე, არამედ შეხედულებათა რაოდენობრივი შეფასების მიხედვით, რომლებიც მიიღება სპეციალური გამოკვლევების შედეგად ოჯახში ბავშვების იდეალური, სასურველი, მოსალოდნელი და სხვ. რაოდენობის დადგენით.

შობადობის დღევანდელი მდგომარეობის გაგებისა და მომავალი ტენდენციების განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მის ისტორიულ ევოლუციას, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან. კაპიტალიზმამდე შობადობის დონე განისაზღვრებოდა ბუნებრივი შობადობის დონით და სხვადასხვა ასაკის დაქორწინებული ქალების წილით. ქორწინება ის ძირითადი ინსტრუმენტი იყო, რომელიც არეგულირებდა შობადობას. ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები უძველესი დროიდან იყო ცნობილი, მაგრამ ისინი ძირითადად გამოიყენებოდა ქორწინების გარეშე ბავშვების გაჩენის თავიდან ასაცილებლად, ხოლო ქორწინებაში რეპროდუქციული ქცევა მიმართული იყო ბავშვების მაქსიმალურად შესაძლებელი რაოდენობის ყოლისაკენ. იმ დროს არ წარმოებდა ბავშვთა შობის ნებელობითი შეზღუდვა და ადგილი არ ჰქონდა ბავშვთა შობის შიგაოჯახურ რეგულირებას. XVIII საუკუნის ბოლოდან თანდათან იწყება ამ უკანასკნელთა გამოყენება და გავრცელება თავდაპირველად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. საქართველოში ეს პროცესი XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო. ამ

მდგომარეობას მოჰყვა შობადობის შემცირება, რომელმაც თანდათან სულ უფრო გამოხატული და მნიშვნელოვანი ხასიათი მიიღო.

შობადობის კვლევის ისტორია XVII-XVIII საუკუნეებიდან იწყება. უკვე ჯ. გრაუნტის ნაშრომებში დადგენილ იქნა შობადობის მახასიათებლები. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე შობადობასთან დაკავშირებული საკითხები – მალთუსიანელებისა და მათი მოწინააღმდეგეების პოლემიკის სახით ძირითადად თეორიული ასპექტით განიხილებოდა. ამასთან, ამ დროს უმრავლეს ქვეყნებში სტატისტიკა არ იყო დამაკმაყოფილებელი. XIX საუკუნის ბოლოს დაგროვდა საკმარისი მონაცემები, მაგრამ შობადობის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი ნაბიჯები ძირითადად მაინც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ხოლო შემდგომში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადაიდგა.

5.2. შობადობის ფაქტორები

ქვემოთ მოცემული იქნება შობადობის ფაქტორების მიღებული კლასიფიკაცია.

A. შუალედური ცვლადები

1. ბიოლოგიური შესაძლებლობა

სქესობრივი მომწიფების ასაკი, მენოპაუზა, უნაყოფობა
ჩასახვის ყოველთვიური ალბათობა
შიდასაშვილოსნო მოკვდაობა
მშობიარობის შემდგომი პერიოდი

2. საქორწინო რეჟიმი

ქორწინების ასაკი (ან სქესობრივი ცხოვრების დაწყება)
უქორწინობის სიხშირე
სიკვდილის, დაქვრივების ან განქორწინების სიხშირე და ასაკი
ხელახალი ქორწინების სიხშირე და ასაკი
პარტნიორების განცალკევებით ცხოვრების პერიოდი

3. სხვა სოციოკულტურული ცვლადები

სქესობრივი ურთიერთობის სიხშირე
ძუძუთი კვების ხანგრძლივობა
სქესობრივი ურთიერთობის შეზღუდვა

4. შობადობის რეგულირების ცვლადები

ურთიერთობის ხანგრძლივობის ინდივიდუალური გადაწყვეტილება
ჩასახვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები: თავშეკავება, კონტრაცეპციის გამოყენება
ორსულობის შედეგზე მოქმედი გადაწყვეტილება: ხელოვნური აბორტი
ნებაყოფლობითი სტერილიზაცია (რომელიმე ერთი პარტნიორის)

B. სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ცვლადები

1. ეთნიკური წარმომავლობა, კულტურული ჯგუფები
2. რელიგია
3. განათლების დონე
4. სოციალურ-პროფესიული სტატუსი
5. ეკონომიკური სტატუსი, შემოსავალი
6. ოჯახის სტრუქტურა
7. საცხოვრებელი ადგილი (ქალაქი, სოფელი)

ჩ. გარემოს ცვლადები

1. ჯანმრთელობა
2. კვება
3. ასაკობრივი სტრუქტურა
4. პოლიტიკური სტრუქტურა

D. ფსიქო-სოციოლოგიური ცვლადები

1. *ბავშვთა შობასთან დაკავშირებული ორიენტაცია (ბავშვების რაოდენობა, ბავშვის სქესი, პროტოგენეტიკური და ინტერგენეტიკული ინტერვალები და სხვა)*
2. *დამოკიდებულება ქორწინებასა და ოჯახისადმი*
3. *დამოკიდებულება სექსუალობისადმი*
4. *დამოკიდებულება ბავშვთა შობის რეგულირებისადმი*

მოტანილ კლასიფიკაციაში შუალედური ცვლადებისას (A) გამოყენებულია დევისისა და ბლეიკის მიერ შემოთავაზებული ფაქტორები და დამატებულია ძუძუთი კვების ხანგრძლივობა.

სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ცვლადები (B) აღწერენ ადამიანის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს და შეუძლიათ ახსნან (A-2, -3, -4 ჯგუფების ცვლადების მეშვეობით) განსხვავებები შობადობის დონეში. სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ცვლადები გარეა შუალედურ ცვლადებთან შედარებით.

გარემოს ცვლადები (C) აღწერენ იმ პრობლემებს, რომლებიც ადამიანების წინაშე დგანან. ისინი ძირითადად მოქმედებენ ბიოლოგიური შესაძლებლობის ცვლადებზე, ან აღწერენ ზოგად სტრუქტურულ ცვლილებებს.

ფსიქო-სოციოლოგიური ცვლადები აღწერენ ადამიანის ინდივიდუალურ დამოკიდებულებას უშუალოდ შობადობის პრობლემისადმი.

მიჩნეულია, რომ სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ცვლადებში შეიძლება შეტანილ იქნას ცვლადები, რომლებიც შემოთავაზებულ იქნა ფრიდმანის მიერ და აღწერენ უშუალოდ ადამიანის გარემოს: სკოლის, კლინიკის, მაღაზიების და ადმინისტრაციული მომსახურების ახლობლობა; აგრეთვე ელექტროობის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის და სხვა ხელმისაწვდომობა.

მოტანილ კლასიფიკაციაში:

- ✓ სქესობრივი ურთიერთობის სიხშირე გავლენას ახდენს ჩასახვის ყოველთვიურ ალბათობაზე
- ✓ ძუძუთი კვების ხანგრძლივობა გავლენას ახდენს მშობიარობის შემდგომ პერიოდზე
- ✓ სქესობრივი ურთიერთობის შეზღუდვა გავლენას ახდენს მშობიარობის შემდგომ პერიოდზე
- ✓ ურთიერთობის ხანგრძლივობის ინდივიდუალური გადაწყვეტილება გავლენას ახდენს საქორწინო რეჟიმზე
- ✓ ჩასახვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები: თავშეკავება, კონტრაცეპციის გამოყენება გავლენას ახდენს სხვა სოციოკულტურულ ცვლადებზე და ჩასახვის ყოველთვიურ ალბათობაზე
- ✓ ორსულობის შედეგზე მოქმედი გადაწყვეტილება: ხელოვნური აბორტი გავლენას ახდენს შიდასაშვილოსნო მოკვდაობაზე

5.2. შობადობის კოეფიციენტები

შობადობის ზოგადი კოეფიციენტი წარმოადგენს გარკვეულ დროში დაბადებულთა საერთო რაოდენობის შეფარდებას იმავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რაოდენობასთან. გამოისახება პრომილებში (‰). უჩვენებს დაბადებულთა რაოდენობას მოსახლეობის 1000 სულზე. მიუხედავად იმისა, რომ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი შობადობის ყველაზე მეტად გავრცელებული მაჩვენებელია, იგი მაინც ამავე დროს მიახლოებითი და უხეში მახასიათებელია. შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (n) შემდეგნაირად გამოიანგარიშება:

$$n = \frac{N}{P} \cdot 1000 ,$$

სადაც N – გარკვეულ პერიოდში (მაგ., წელი) ცოცხლად დაბადებულთა საერთო რაოდენობა; P – იმავე პერიოდში მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

მაგ., შეფასებითი მონაცემებით ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა საქართველოში 2005 წელს შეადგინა 50000, ხოლო მოსახლეობის საშუალო რაოდენობა, ასევე შეფასებითი მონაცემებით, იმავე პერიოდში იყო 3884,5 ათასი. აქედან გამომდინარე

$$n = \frac{50000}{3884500} \cdot 1000 = 12{,}9$$

შობადობის სპეციალური კოეფიციენტი წარმოადგენს გარკვეულ პერიოდში (მაგ. წელი) ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის შეფარდებას ფერტილური ასაკის (15-49) ქალების რაოდენობასთან. გამოისახება პრომილებში (‰) და უჩვენებს ამავე პერიოდში დაბადებული ბავშვების რაოდენობას ფერტილური ასაკის ყოველ 1000 ქალზე. შობადობის სპეციალური კოეფიციენტი გამოიანგარიშება ფორმულით;

$$F_s = \frac{N}{W} \cdot 1000,$$

სადაც N – გარკვეულ პერიოდში (მაგ. წელი) დაბადებული ბავშვების რაოდენობა; W – 15-49 წლის ასაკის ქალების რაოდენობა.

მაგ., შეფასებითი მონაცემებით ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა საქართველოში 2005 წელს შეადგინა 50000, ხოლო 15-49 წლის ასაკის ქალების რაოდენობა, ასევე შეფასებითი მონაცემებით, იმავე დროს იყო 997,3 ათასი. აქედან გამომდინარე

$$F_s = \frac{50000}{997300} \cdot 1000 = 50{,}1$$

შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (n) დაკავშირებულია შობადობის სპეციალურ კოეფიციენტთან (F_s) შემდეგნაირად:

$$n = F_s \cdot L,$$

სადაც L – 15-49 წლის ასაკის ქალების წილი მთელ მოსახლეობაში.

მაგ., 15-49 წლის ასაკის ქალების წილი მთელ მოსახლეობაში 2005 წელს იყო 25,67%, ანუ თუ მთელ მოსახლეობას ავიღებთ ერთის ტოლად, მაშინ 15-49 წლის ასაკის ქალების წილი იქნება 0,26. აქედან გამომდინარე

$$n = 50{,}1 \cdot 0{,}26 = 12{,}9$$

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი წარმოადგენს მოცემული დროის პერიოდში (მაგ., წელი) გარკვეული ასაკის ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობას. გამოისახება პრომილებში (‰). შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი (F_x) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$F_x = \frac{N_x}{W_x} \cdot 1000,$$

სადაც N_x – გარკვეულ x ასაკში დაბადებული ბავშვების რაოდენობა; W_x – იგივე x ასაკის ქალების საშუალო რაოდენობა.

მაგ., შეფასებითი მონაცემებით 2005 წელს საქართველოში 20-24 წლის ასაკის ქალებმა გააჩინეს 17924 ცოცხლად დაბადებული ბავშვი. იმავე დროს 20-24 წლის ასაკის ქალების რაოდენობა იყო 150,3 ათასი. ასეთ დროს

$$F_x = \frac{17924}{150300} \cdot 1000 = 119{,}3$$

მიღებული ნიშნავს, რომ 2005 წელს საქართველოში 20-24 წლის ასაკის 1000 ქალის მიერ ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობა შეადგენდა 119,3.

შობადობის კუმულაციური კოეფიციენტი წარმოადგენს შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების ჯამს ინტერვალში, რომელთაგან პირველი იწყება 15

წლიდან, ხოლო ბოლო მთავრდება *x* ასაკით. გამოისახება პრომილებში (‰). შობადობის კუმულაციური კოეფიციენტი (F_k) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$F_k = \sum_{15}^{x} F_x ,$$

სადაც F_x არის *x* ასაკის შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი.

მაგ., 2005 წელს 15-49 წლის ასაკის ქალების მიერ, რომლებიც 5-წლიანი ინტერვალებით არიან დაყოფილი, ასაკობრივმა კოეფიციენტებმა შეადგინა:

ასაკობრივი ინტერვალი, წლებში	ინტერვალის სიგრძე, წლებში	შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი, ‰	შობადობის კოეფიციენტი ასაკობრივ ინტერვალში	შობადობის კუმულაციური კოეფიციენტი, ‰
15-19	5	51,7	258,5	258,5
20-24	5	119,3	596,5	855,0
25-29	5	89,1	445,5	1300,5
30-34	5	53,8	269,0	1569,5
35-39	5	22,6	113,0	1682,5
40-44	5	5,7	28,5	1711,0
45-49	5	2,1	10,5	1721,5

შობადობის კუმულაციური კოეფიციენტების გაანგარიშება შემდეგნაირად წარმოებს:

1) გაანგარიშებულ უნდა იქნას შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები შესაბამისი ასაკის ქალებისათვის;

2) რომ მივიღოთ შობადობის კოეფიციენტები ასაკობრივი ინტერვალისათვის საჭიროა შესაბამისი ასაკის ქალების შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი გავამრავლოთ ინტერვალის სიგრძეზე – 5-ზე;

3) 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის შობადობის კუმულაციური და ასაკობრივი კოეფიციენტები ინტერვალში მსგავსია;

4) შობადობის კუმულაციური კოეფიციენტის გაანგარიშება სხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის შემდეგნაირად წარმოებს: 15-19 წლის ასაკის შობადობის კუმულაციურ კოეფიციენტს ემატება 20-24 წლის ასაკობრივი ინტერვალის შობადობის კოეფიციენტი და ვიღებთ 20-24 წლის ასაკის ქალების შობადობის კუმულაციურ კოეფიციენტს. ანალოგიურად გაიანგარიშება 25-29 წლის და სხვა ასაკობრივი ჯგუფის ქალების შობადობის კუმულაციური კოეფიციენტები.

45-49 წლის ასაკის ქალების შობადობის კუმულაციური კოეფიციენტი შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ტოლია.

შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი წარმოადგენს ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების განმავლობაში (პირობითად 15-49 წლის ასაკში) დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობას. ეს მაჩვენებელი გამოიანგარიშება შობადობის ერთწლიანი ასაკობრივი კოეფიციენტების ჯამის გაყოფით 1000-ზე (ე.ი. ერთ ქალზე გაანგარიშებით). იმ შემთხვევაში, როდესაც ხუთწლიანი ასაკობრივი ინტერვალებია მოცემული (მაგ., 20-24, 25-29 და ა.შ.) ასაკობრივი კოეფიციენტის ჯამი საჭიროა გავამრავლოთ ხუთზე და შემდეგ გავყოთ 1000-ზე (ერთ ქალზე გაანგარიშებისათვის). შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი წარმოადგენს

შობადობის დონის განმსაზღვრელ საკმაოდ ზუსტ მაჩვენებელს. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (*F*) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$F = \frac{\sum_{15}^{49} F_x}{1000},$$

სადაც F_x შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტია.

მაგ., ზემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები. ისინი უნდა შევკრიბოთ და შემდეგ გავამრავლოთ 5-ზე, ხოლო მიღებული ჯამი გავყოთ 1000-ზე (ერთ ქალზე გაანგარიშებისათვის).

შვილიანობის სტრუქტურული კოეფიციენტი (F_{ST}) წარმოადგენს შვილიანობის დონის მაჩვენებელს. გამოიყენება შობადობის დონის ანალიზისას. შვილიანობის სტრუქტურული კოეფიციენტი უჩვენებს დაბადებულთა ერთობლიობაში ბავშვების საშუალო რიგითობას.

$$F_{ST} = \frac{\sum_{1}^{n} (N_i \cdot R_i)}{N},$$

სადაც R_i – ცოცხლად დაბადებული ბავშვების რიგითობა (პირველი რიგითობის, მეორე, მესამე და ა.შ.); N_i – ცოცხლად დაბადებულები რიგითობის მიხედვით, N – ცოცხლად დაბადებულთა საერთო რაოდენობა.

მაგ., სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 2004 წელს საქართველოში ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობა რიგითობის მიხედვით შეადგენდა: 1 – 28100, მე-2 – 15771, მე-3 – 4209, მე-4 – 1037, მე-5 – 455. აქედან გამომდინარე

$$F_{ST} = \frac{(28100 \cdot 1) + (15771 \cdot 2) + (4209 \cdot 3) + (1037 \cdot 4) + (455 \cdot 5)}{49572} = 1{,}59$$

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაბადებულთა საერთო რაოდენობაში ბავშვების საშუალო რიგითობა იყო 1,59.

შობადობის კოეფიციენტი ბავშვის დაბადების რიგითობის მიხედვით წარმოადგენს მოცემული დროის მანძილზე გარკვეული რიგითობის დაბადებული ბავშვების რაოდენობის შეფარდებას მოსახლეობის საშუალო რაოდენობასთან. გამოისახება პრომილებში (‰). შობადობის კოეფიციენტი ბავშვის დაბადების რიგითობის მიხედვით (n_i) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$n_i = \frac{N_i}{P} \cdot 1000,$$

სადაც N_i – გარკვეული i რიგითობის ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობა; P – მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

მაგ., 2004 წელს პირველი რიგითობის ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობამ შეადგინა 28100, ხოლო მეორე რიგითობისამ – 15771. იმავე დროს 2004 წლის საშუალო მოსახლეობა 4318,5 ათასის ტოლი იყო. აქედან გამომდინარე

$$n_1 = \frac{28100}{4318500} \cdot 1000 = 6{,}5\,‰, \qquad n_2 = \frac{15771}{4318500} \cdot 1000 = 3{,}7\,‰.$$

ქორწინებითი შობადობის კოეფიციენტი წარმოადგენს გარკვეულ პერიოდში (მაგ., წელი) ქორწინებაში დაბადებული ბავშვების რაოდენობის შეფარდებას იმავე პერიოდში 15-49 წლის ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების რაოდენობასთან. გამოისახება პრომილებში (‰). გამოიყენება საქორწინო სტრუქტურის გავლენის ელიმინირებისათვის. ქორწინებითი შობადობის კოეფიციენტი (*Fm*) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$F_m = \frac{N_m}{W_m} \cdot 1000,$$

სადაც N_m – გარკვეულ პერიოდში (მაგ., წელი) ქორწინებაში ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობა; W_m – იმავე პერიოდში 15-49 წლის ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების რაოდენობა.

მაგ., 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით საქართველოში 15-49 წლის ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების რაოდენობა ტოლი იყო 705162. იმავე დროს ქორწინებაში ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობამ შეადგინა 25202. აქედან გამომდინარე

$$F_m = \frac{25202}{705162} \cdot 1000 = 35,7$$

ქორწინების გარეშე შობადობის კოეფიციენტი წარმოადგენს გარკვეულ პერიოდში (მაგ., წელი) რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების რაოდენობის შეფარდებას იმავე პერიოდში არსებული 15-49 წლის დაუქორწინებელი ქალების რაოდენობასთან. გამოისახება პრომილებში (‰). ახასიათებს დაუქორწინებელი ქალების ბავშვთა შობის ინტენსივობას. ქორწინების გარეშე შობადობის კოეფიციენტი (F_r) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$F_r = \frac{N_r}{W_r} \cdot 1000,$$

სადაც N_r არის გარკვეულ პერიოდში (მაგ., წელი) რეგისტრირებული ქორწინების გარეშე ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობა; W_r – 15-49 წლის ასაკის დაუქორწინებელი ქალების რაოდენობა.

მაგ., 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით საქართველოში 15-49 წლის ასაკის დაუქორწინებელი ქალების რაოდენობა ტოლი იყო 455197. იმავე დროს ქორწინების გარეშე ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობამ შეადგინა 21403. აქედან გამომდინარე

$$F_r = \frac{21403}{455197} \cdot 1000 = 47,0$$

შობადობის რედუცირებული კოეფიციენტი გვიჩვენებს ჩვილთა მოკვდაობის გავლენას შობადობის ზოგად კოეფიციენტზე. ის არის იმ ბავშვთა შობადობის კოეფიციენტი, რომლებმაც იცოცხლეს პირველი წელი. შობადობის რედუცირებული კოეფიციენტი რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე შობადობის ზოგადი კოეფიციენტი და ეს სხვაობა მით უფრო მცირეა, რაც ნაკლებია ჩვილთა მოკვდაობა. შობადობის რედუცირებული კოეფიციენტი (n^r) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$n^r = n\ (1 - 0,001 m_0),$$

სადაც n – შობადობის ზოგადი კოეფიციენტი; m_o – ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი.

მაგ., შეფასებითი მონაცემებით 2005 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი შეადგენდა 12,9‰, ხოლო ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი – 23,0. აქედან გამომდინარე $n^r = 12,9\ (1 - 0,001 \cdot 23,0) = 12,6$.

5.3. შობადობის ინდექსები

შობადობის ინდექსები დემოგრაფიული ინდექსების ნაირსახეობას წარმოადგენს.

არსებობს დემოგრაფიული ინდექსების სხვადასხვა სახეობა. ერთ ჯგუფს მიეკუთვნებიან მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მოცემული მოსახლეობის დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობას ეტალონად (სტანდარტად) მიჩნეულ სხვა

მოსახლეობასთან შედარებით (კოულის ინდექსები, ბორისოვის ინდექსი, ქორწინების ინდექსები).

დემოგრაფიული ინდექსების მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ რომელიმე დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობას ურთიერთსაწინააღმდეგო დემოგრაფიულ შემთხვევათა სიმჭიდროვეთა თანაფარდობით – განქორწინებათა – ქორწინებასთან, დაბადებათა – გარდაცვლილებთან (განქორწინების ინდექსი, ცხოველმყოფელობის ინდექსი).

დემოგრაფიული ინდექსების მესამე ჯგუფში შედიან ე.წ. დატვირთვის მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობას ერთი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის რაოდენობის თანაფარდობით – გარკვეული ასაკის ბავშვების რაოდენობის შეფარდება ქალების რაოდენობასთან (შვილიანობის ინდექსი).

კოულის ინდექსებით ახასიათებენ შობადობის არსებული დონის გადახრას შესაძლებელი მაქსიმუმიდან. მაქსიმუმის სტანდარტად აღებულ იქნა ჰუტერიტების (რელიგიური სექტა) 1921-1930 წლების ქორწინებითი შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები (‰): 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის – 300, 20-24 – 550, 25-29 – 502, 30-34 – 447, 35-39 – 406, 40-44 – 222, 45-49 – 61 (ერთ ქალზე გაანგარიშებით: 15-19 – 0,3, 20-24 – 0,55, 25-29 – 0,502, 30-34 – 0,447, 35-39 – 0,406, 40-44 – 0,222, 45-49 – 0,061).

კოულის ინდექსების მნიშვნელობა ყოველთვის 1-ზე ნაკლებია.

ჰუტერიტი ქალების რეალური ნაყოფიერება ძალიან მაღალი იყო და ამასთან მათში პრაქტიკულად გავრცელებული არ იყო ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება.

შესაბამისი სტანდარტები და ინდექსები შემოთავაზებულ იქნა ამერიკელი (აშშ) დემოგრაფის ე. კოულის მიერ 1965 წელს.

ე. კოულის მიერ შემოთავაზებულ იქნა ოთხი ინდექსი: საერთო შობადობის, ქორწინებითი შობადობის, ქორწინების გარეშე შობადობის, ფერტილური ასაკის გათხოვილ ქალთა წილის.

საერთო შობადობის კოულის ინდექსი უჩვენებს რომელიმე კონკრეტულ მოსახლეობაში ქალების მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობა რა ხარისხით უახლოვდება დაბადებათა იმ რაოდენობას, რომლებსაც ისინი იყოლიებდნენ, თუ მათთვის დამახასიათებელი იქნებოდა შობადობის მაქსიმალური მაჩვენებლები.

საერთო შობადობის კოულის ინდექსი (I_f) გამოითვლება ფორმულით:

$$I_f = \frac{N}{\sum W_x \cdot F_x^0},$$

სადაც N რეალურ დაბადებათა რაოდენობაა, W_x – ფერტილური ასაკის x ასაკობრივი ჯგუფის ქალების რაოდენობა; F_x^0 – x ასაკობრივი ჯგუფის ქალებისათვის დამახასიათებელი სტანდარტი (იხ. ზემოთ).

მაგ., 2002 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობამ სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით შეადგინა 46605. იმავე დროს ფერტილური ასაკის ქალების რაოდენობა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ტოლი იყო: 15-19 – 177351, 20-24 – 164902, 25-29 – 159431, 30-34 – 155943, 35-39 – 171454, 40-44 – 177735, 45-49 – 153543. აქედან გამომდინარე:

$$I_f = \frac{46605}{(177351 \cdot 0{,}3) + (164902 \cdot 0{,}55) + (159431 \cdot 0{,}502) + \ldots + (153543 \cdot 0{,}061)} = 0{,}113$$

ქორწინებითი შობადობის კოულის ინდექსი უჩვენებს, თუ რა ზომით განსხვავდება (ან უახლოვდება) ფერტილური ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების

მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობა მაქსიმალურად შესაძლებელ ქორწინებაში დაბადებულთა რაოდენობისაგან.

ქორწინებითი შობადობის კოეფიციენტი (I_g) გამოითვლება ფორმულით:

$$I_g = \frac{B}{\sum m_x \cdot F_x^0},$$

სადაც B – ქორწინებაში მყოფი ქალების მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობა, m_x – x ასაკის (5 წლიან ასაკობრივ ინტერვალში) ქორწინებაში მყოფი ქალების რაოდენობა, F_x^0 – x ასაკობრივი ჯგუფის ქალებისათვის მიჩნეული შობადობის სტანდარტი.

მაგ., საქართველოში 2002 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობამ ქორწინებაში სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით შეადგინა 25202. იმავე დროს ფერტილური ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების რაოდენობა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ტოლი იყო: 15-19 – 21468, 20-24 – 74353, 25-29 – 104514, 30-34 – 115980, 35-39 – 134193, 40-44 – 138570, 45-49 – 116084. აქედან გამომდინარე:

$$I_g = \frac{25202}{(21468 \cdot 0{,}3) + (74353 \cdot 0{,}55) + (104514 \cdot 0{,}502) + \ldots + (116084 \cdot 0{,}061)} = 0{,}103$$

ქორწინების გარეშე შობადობის კოეფიციენტი უჩვენებს ფერტილური ასაკის გაუთხოვარი ქალების მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობის მსგავსება-განსხვავების ხარისხს მაქსიმალურად შესაძლებელ ქორწინების გარეშე დაბადებულთა რაოდენობისაგან.

ქორწინების გარეშე შობადობის კოეფიციენტი (I_h) გამოითვლება ფორმულით:

$$I_h = \frac{U}{\sum U_x \cdot F_x^0},$$

სადაც U – ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების რაოდენობა, U_x – x ასაკის (5 წლიან ასაკობრივ ინტერვალში) გაუთხოვარი ქალების რაოდენობა, F_x^0 – x ასაკობრივი ჯგუფის ქალებისათვის მიღებული სტანდარტი.

მაგ., საქართველოში 2002 წელს ქორწინების გარეშე ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობამ, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით შეადგინა 21403. იმავე დროს ფერტილური ასაკის ქორწინებაში არ მყოფი ქალების რაოდენობა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ტოლი იყო: 15-19 – 155883, 20-24 – 90549, 25-29 – 54917, 30-34 – 39963, 35-39 – 37261, 40-44 – 39165, 45-49 – 37459. აქედან გამომდინარე:

$$I_h = \frac{21403}{(155883 \cdot 0{,}3) + (90549 \cdot 0{,}55) + (54917 \cdot 0{,}502) + \ldots + (37459 \cdot 0{,}061)} = 0{,}127$$

ფერტილური ასაკის გათხოვილ ქალთა წილის კოეფიციენტი – უჩვენებს, თუ რა ზომით უწყობს ხელს ქორწინებაში ყოფნა მაქსიმალურად შესაძლებელი შობადობის მიღწევას.

ფერტილური ასაკის გათხოვილ ქალთა წილის კოეფიციენტი (Im) გამოითვლება ფორმულით:

$$I_m = \frac{\sum m_x \cdot F_x^0}{\sum W_x \cdot F_x^0},$$

სადაც m_x – x ასაკის გათხოვილი ქალების რაოდენობა (5 წლიან ასაკობრივ ინტერვალში), W_x – ფერტილური ასაკის x ასაკობრივი ჯგუფის ქალების რაოდენობა; F_x^0 – x ასაკობრივი ჯგუფის ქალებისათვის მიჩნეული სტანდარტი.

თუ დავაკვირდებით ფორმულის მრიცხველში მოცემულია ქორწინებითი შობადობის კოულის ინდექსის ფორმულის მნიშვნელი, ხოლო მნიშვნელში – საერთო შობადობის კოულის ინდექსის ფორმულის მნიშვნელი. ამდენად, როდესაც კოულის ინდექსებს ვანგარიშობთ, ფერტილური ასაკის გათხოვილ ქალთა წილის კოულის ინდექსისათვის ჩვენ უკვე მიღებული გვაქვს როგორც მრიცხველის, ისე მნიშვნელის სიდიდეები.

ჩვენი კონკრეტული მაგალითის შემთხვევაში $\sum m_x \cdot F_x^0 = 243969{,}7$, ხოლო $\sum W_x \cdot F_x^0 = 412075{,}9$. ჩვენს შემთხვევაში ფერტილური ასაკის გათხოვილ ქალთა წილის ინდექსი (Im) უდრის 0,592.

ბორისოვის ინდექსი, ბუნებრივი შობადობის ჰიპოთეზური მინიმუმის (ბშჰმ) რეალიზაციის ფარდობითი ხარისხი.

იგი ეფუძნება ბუნებრივი შობადობის ჰიპოთეზური მინიმუმის ცნებას და მიუთითებს შობადობის დონის მინიმალურად შესაძლებელ პოტენციალზე. გამოიყენება, როგორც შობადობის შეზღუდვის მასშტაბის განსაზღვრის ერთ-ერთი საზომი.

ბუნებრივი შობადობის ჰიპოთეზურ მინიმუმზე დაბლა საქორწინო შობადობის დონემ შეიძლება დაიკლოს მხოლოდ 4 მიზეზის გამო: დაბადებულთა არასრული აღრიცხვის, უნაყოფო ცოლ-ქმართა მაღალი წილის, განცალკევებით მცხოვრებ ცოლ-ქმართა მაღალი წილისა და ბოლოს, რაც ყველაზე არსებითია, ქორწინებაში შობადობის განზრახ შეზღუდვის გამო.

შობადობის ფაქტობრივი და *ბშჰმ*-ის მაჩვენებლების შედარებისათვის ყველაზე თვალსაჩინო და სავსებით საკმარისია შობადობის ზოგადი კოეფიციენტების გამოყენება.

ბშჰმ-ის გაანგარიშება სხვადასხვა ხერხით შეიძლება, იმისდა მიხედვით, თუ რა სახის მონაცემები გაგვაჩნია. ერთ შემთხვევაში *ბშჰმ*-ის გამოსათვლელად გამოსადეგია შემდეგი ფორმულა:

$$n = \frac{\sum_{20}^{49} W_x^m \cdot 0{,}001 \cdot F_x^0 + (N - \sum_{20}^{49} N_x^m)}{P} \cdot 1000,$$

სადაც n *ბშჰმ*-ის ზოგადი კოეფიციენტია; F_x^0 – საქორწინო ბუნებრივი შობადობის მინიმალური ასაკობრივი კოეფიციენტები (სტანდარტი ასაკობრივი ჯგუფებისათვის: 20-24 – 400‰, 25-29 – 377‰, 30-34 – 349‰, 35-39 – 279‰, 40-44 – 155‰, 45-49 – 31‰); N – დაბადებულთა საერთო ფაქტობრივი რაოდენობა; N_x^m – ქორწინებაში x ასაკის დედების მიერ დაბადებული ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობა; W_x^m – ქორწინებაში მყოფი ქალების რაოდენობა x ასაკში, P – მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

ბშჰმ ახასიათებს აგრეთვე მოსახლეობის საქორწინო-ასაკობრივ სტრუქტურას შობადობის სოციალურ-ბიოლოგიური პოტენციალის მიხედვით, ხოლო ფაქტობრივი შობადობის მაჩვენებლის გადახრა მისი ბუნებრივი მინიმუმის დონისაგან, რეალურ წარმოდგენას იძლევა შობადობის პოტენციალის რეალიზაციის ხარისხზე.

ბშჰმ-ის მეთოდი 1976 წელს შემუშავებული იქნა ვ. ბორისოვის მიერ.

მაგ., 2002 წელს ცოცხლად დაბადებულთა საერთო რაოდენობამ (N) სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით შეადგინა 46605. იმავე დროს

ქორწინებაში მყოფი ქალების რაოდენობა (W_x^m) ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ტოლი იყო: 20-24 – 74353, 25-29 – 104514, 30-34 – 115980, 35-39 – 134193, 40-44 – 138570, 45-49 – 116084. ქორწინებაში დედების მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობა (N_x^m) ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით იყო: 20-24 – 17945, 25-29 – 10077, 30-34 – 7834, 35-39 – 3541, 40-44 – 1150, 45-49 – 225, რომელიც 20-49 წლის ასაკისათვის ჯამში შეადგენდა 40772 ($\sum_{20}^{49} N_x^m$). 2002 წლის მოსახლეობის საშუალო რაოდენობა (P) 4357,05 ათასის ტოლი იყო. აქედან გამომდინარე:

$$n = \frac{(74353 \cdot 0{,}4) + (104514 \cdot 0{,}377) + \ldots + (116084 \cdot 0{,}031)) + (46605 - 40772)}{4357050} = 40{,}8$$

ამდენად, 2002 წელს ბუნებრივი შობადობის ჰიპოთეზური მინიმუმი საქართველოში 40,8 ‰ უდრიდა, ხოლო შობადობის ზოგადი კოეფიციენტი – 12,1‰ (შეფასებითი მონაცემებით) და 10,7‰ (სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით). როგორც ვხედავთ, სხვაობა *ბშჰ*-სა და შობადობის ზოგად კოეფიტიენტს შორის საგრძნობია.

რაც შეეხება თავად ბორისოვის ინდექსს. ის წარმოადგენს შობადობის ზოგადი კოეფიციენტის შეფარდებას *ბშჰ*-თან და გამოისახება პროცენტებში. ბორისოვის ინდექსი უჩვენებს, თუ რა ზომით წარმოებს მოსახლეობაში ან მის ცალკეულ ჯგუფებში პოტენციურად შესაძლებელი შობადობის რეალიზაცია. ამასთან, როდესაც ბორისოვის ინდექსი 100%-ის ფაგლებშია (ან აღემატება 100%-ს) შეიძლება დავასკვნათ, რომ პრაქტიკულად ადგილი არა აქვს ბავშვთა შობის შიგაოჯახურ რეგულირებას. მაგ., XIX საუკუნის ბოლოს ბორისოვის ინდექსი საქართველოში შეადგინა 68,2%, 1979 წელს – 41,2%, ხოლო 2002 წელს – 20,9%. მოტანილიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ 2002 წელს 1979 წელთან შედარებითაც კი პოტენციურად შესაძლებელი შობადობის რეალიზაცია 2-ჯერ შემცირდა.

ბშჰ-ის კოეფიციენტის ერთ-ერთ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს სტანდარტის არარსებობა 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის. მოცემული ასაკობრივი ჯგუფისათვის ვ. ბორისოვის მიერ შემოთავაზებული მეთოდიკა გულისხმობს მათ ფაქტობრივ დაბადებათა გათვალისწინებას. ამავე დროს ფაქტობრივ დაბადებათა რაოდენობა სულაც არ ნიშნავს ბუნებრივი შობადობის გინდაც მინიმუმს. ამასთან, საქორწინო-საოჯახო ტრადიციებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყანაში, 15-19 წლის ასაკის ქალების შობადობის კოეფიციენტები ძალიან მნიშვნელოვნად შეიძლება განსხვავდებოდეს. ასეთ დროს ერთიანი სტანდარტის არარსებობა დამახინჯებულ წარმოდგენას შეგვიქმნის რომელიმე მოსახლეობის შობადობის სოციალურ-ბიოლოგიურ პოტენციალზე.

მაგ., 1965 წელს 15-19 წლის ასაკის ქალების შობადობის კოეფიციენტი იაპონიაში 3,3‰ იყო, ხოლო იმავე დროს კამერუნში – 298,5‰. რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ 15-19 წლის ასაკის იაპონელი ქალების ბუნებრივი შობადობა 90-ჯერ ნაკლები იყო შესაბამისი ასაკის კამერუნელი ქალების ბუნებრივ შობადობაზე.

თვითონ ვ. ბორისოვი 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის სტანდარტის უგულებელყოფას იმით ხსნიდა, რომ საშუალოდ უმრავლესი ქალების რეპროდუქციული სისტემა სრულ განვითარებას აღწევს მხოლოდ 18-19 წლის ასაკისათვის. ამას კი ის მნიშვნელობა აქვს, რომ 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქორწინებითი შობადობის კოეფიციენტები დიდად არის დამოკიდებული 18-19 წლის ქალების წილზე. ამიტომ, 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში შობადობის დონე მიზანშეწონილია გაანალიზებულ იქნას მხოლოდ ერთწლიანი ასაკობრივი კოეფიციენტებით.

რა თქმა უნდა ეს გარემოება ართულებს გაანგარიშებას. ამიტომ, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ შესაძლებელია, მიზანშეწონილი იქნებოდა 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის გარკვეული სტანდარტის მოძებნა.

ამასთან, თვითონ ვ. ბორისოვი თვლიდა, რომ ბუნებრივი შობადობის ჰიპოთეზური მინიმუმის მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდიკა საჭიროებს სრულყოფას.

მისი სრულყოფა, კერძოდ, 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის შესაბამისი სტანდარტის გაანგარიშება, შემოთავაზებულ იქნა 1998 წელს გ. წულაძის, ე. გაჩეჩილაძისა და გ. მელაძის მიერ.

გათვალისწინებული იყო ერთი გარემოება. მოცემულ შემთხვევაში დაცული უნდა ყოფილიყო ის ძირითადი პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობდა ვ. ბორისოვი სტანდარტის მიღებისას 25-29 წლის და უფრო მაღალი ასაკობრივი ჯგუფებისათვის.

საქმე ისაა, რომ მაქსიმალური ბუნებრივი შობადობის ჯგუფისათვის – 20-24 წლის ასაკის ქალებისათვის, შობადობის კოეფიციენტის სტანდარტი გაანგარიშებული იყო ვ. ბორისოვის მიერ გარკვეული მოდელის საფუძველზე. ბუნებრივი შობადობის დანარჩენი, სხვა ასაკობრივი ჯგუფების, მინიმალური კოეფიციენტები მიღებულ იქნა 8 სხვადასხვა მოსახლეობის საქორწინო შობადობის მაჩვენებლების განაწილების გასაშუალოების საფუძველზე. ეს 8 სხვადასხვა მოსახლეობა შერჩეულ იქნა მათი ქორწინებითი შობადობის ძალიან მაღალი ასაკობრივი კოეფიციენტების გამო, რაც გარკვეულად იმაზე მეტყველებდა, რომ ისინი არ აწარმოებდნენ ბავშვთა შობის შეზღუდვას, ან მისი მასშტაბი უმნიშვნელო იყო. ამ მოსახლეობათა არჩევის დამატებითი კრიტერიუმი ის იყო, რომ 20-24 წლის ქალების ქორწინებითი შობადობის კოეფიციენტი 400 ‰-ზე მეტი უნდა ყოფილიყო. შემდეგ გაანგარიშებული იქნა, თუ რა პროცენტს შეადგენდა ესა თუ ის გასაშუალებული ასაკობრივი კოეფიციენტები 20-24 წლის ასაკობრივ კოეფიციენტთან მიმართებაში, რომელიც 100%-ის ტოლად იყო აღიარებული. ამის შემდეგ *ბშჰ*-ის ასაკობრივი კოეფიციენტები – სტანდარტი – გამოყვანილ იქნა მიღებული პროცენტული განაწილების საფუძველზე, წინა მოდელიდან გაანგარიშებული 20-24 წლის ასაკისათვის ბუნებრივი შობადობის მინიმალურ კოეფიციენტთან – 400‰ მიმართებაში, რომელიც მოცემულ შემთხვევაში 100%-ის ტოლად იყო მიჩნეული.

მოცემულ შემთხვევაში, 15-19 წლის ასაკის ქალებისათვის სტანდარტის გაანგარიშებისას, დამატებითი მოთხოვნა ის იყო, რომ მათი ქორწინებითი შობადობის კოეფიციენტი არ უნდა ყოფილიყო მეტი 20-24 წლის ასაკის ქალების შესაბამის მაჩვენებელზე.

გაანგარიშებულ იქნა სხვადასხვა დროისა და ქვეყნის 45 მოსახლეობის ქორწინებითი შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი. მათ საფუძველზე მიღებულ იქნა გასაშუალებული ქორწინებითი შობადობის კოეფიციენტები 15-19 და 20-24 წლის ასაკობრივი ჯგუფების ქალებისათვის: 15-19 წლისათვის – 273‰ და 20-24 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის – 486‰.

15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის ქორწინებითი შობადობის კოეფიციენტი შეადგენს 20-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქორწინებითი შობადობის 56%-ს. ამიტომ სტანდარტებისათვის, ვ. ბორისოვის პრინციპიდან გამომდინარე, აღებულ უნდა იყოს 400‰-ეს 56%, რაც 224‰-ეს შეადგენს.

აქედან გამომდინარე, ვ. ბორისოვის ბუნებრივი შობადობის ჰიპოთეზური მინიმუმის მოდიფიცირებულ ვარიანტში დამატებით შეტანილ იქნა 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის სტანდარტი – 224‰. *ბშჰ*-ს მოდიფიცირებული ვარიანტისა და ბორისოვის მოდიფიცირებული ინდექსის გასაანგარიშებლად იგივე ფორმულებია გამოსადეგი, რაც *ბშჰ*-სა და ბორისოვის ინდექსის ტრადიციული ვარიანტებისათვის. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მოდიფიცირებული

ვარიანტის გაანგარიშებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის სტანდარტი (224).

აღსანიშნავია, რომ განსხვავება მოდიფიცირებულ და ტრადიციულ ვარიანტებს შორის არც თვისებრივია და რაოდენობრივადაც დიდი არ არის. მოდიფიცირებული ვარიანტიდან გამომდინარე მნიშვნელობები, ტრადიციულთან შედარებით, უფრო ზუსტად ასახავს არსებულ მდგომარეობას.

მაგ., საქართველოში 2002 წლისათვის *ბშჰ* (ტრადიციული) შეადგენდა 40,8‰, ხოლო მოდიფიცირებულის შემთხვევაში – 40,6‰.

შვილიანობის ინდექსი წარმოადგენს ჰიპოთეზური თაობის შობადობის დონის ირიბ მაჩვენებელს. შვილიანობის ინდექსი განისაზღვრება დაბალი ასაკის ბავშვების რაოდენობის შეფარდებით იმ ქალების რაოდენობასთან, რომლებიც ასაკით შეიძლება იყვნენ მათი დედები. ძირითადად გამოითვლება ორი შემთხვევისათვის: 1) 0-4 წლის ასაკის ბავშვებისათვის და 2) 0-9 წლის ასაკის ბავშვებისათვის. პირველ შემთხვევაში შვილიანობის ინდექსი (0-4) განისაზღვრება ფორმულით:

$$Q_{0-4} = \frac{P_{0-4}}{W_{20-49}} \cdot 1000$$

მეორე შემთხვევაში შვილიანობის ინდექსი (Q_{0-9}) განისაზღვრება ფორმულით:

$$Q_{0-9} = \frac{P_{0-9}}{W_{20-49}} \cdot 1000,$$

სადაც P_{0-4} – 0-4 წლის ასაკის ბავშვების რაოდენობა, P_{0-9} – 0-9 წლის ასაკის ბავშვების რაოდენობა, W_{20-49} – 20-49 წლის ასაკის ქალების რაოდენობა. ორივე შემთხვევაში გამოისახება პრომილებში (‰).

მაგ., შეფასებითი მონაცემებით, 0-4 წლის ასაკის ბავშვების რაოდენობა საქართველოში 1960 წელს იყო 470,4 ათასი, ხოლო 20-49 წლის ასაკის ქალების რაოდენობა – 977,3 ათასი. 2005 წელს 0-4 წლის ასაკის ბავშვების რაოდენობა საქართველოში 239,1 ათასი იყო, ხოლო იმავე დროს 20-49 წლის ასაკის ქალების რაოდენობა – 858,7 ათასი. აქედან გამომდინარე, შვილიანობის ინდექსი 1960 წელს იქნებოდა:

$$Q_{0-4(1960)} = \frac{470400}{977300} \cdot 1000 = 481,3,$$

ხოლო 2005 წელს – $Q_{0-4(2005)} = \frac{239100}{858700} \cdot 1000 = 278,4$. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში 2005 წელს 1960 წელთან შედარებით, შვილიანობის ინდექსი მნიშვნელოვნად შემცირდა.

5.4. რეპროდუქციული ქცევა

ადრე დემოგრაფიული მეცნიერება კმაყოფილდებოდა შობადობის "აღწერით", მისი დონის დადგენით. რა თქმა უნდა, ეს აუცილებელი იყო და არის, მაგრამ მარტოოდენ იმის ცოდნა, თუ როგორია შობადობის დონე, უკეთეს შემთხვევაში, მისი მექანიზმის შესახებ ძალიან ზოგად წარმოდგენას იძლეოდა და ამიტომ არასაკმარისი აღმოჩნდა.

დემოგრაფიულმა მეცნიერებამ შობადობის კვლევისას დაიწყო სხვა მეცნიერებათა ცოდნისა და მიღწევების გამოყენება.

ქვემოთ რეპროდუქციული ქცევა გადმოცემული იქნება განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის საფუძველზე.

ისევე, როგორც სხვა სახის ქცევის განხორციელებისათვის, რეპროდუქციული ქცევისათვისაც საჭიროა მოთხოვნილება და ის სიტუაცია და ოპერაციული

შესაძლებლობები, სადაც არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა შესაძლებელი.

ამ მდგომარეობას თავიდანვე მიექცა ყურადღება და დემოგრაფიაში შემოტანილი იქნა ისეთი ცნება, როგორიცაა ბავშვების ყოლის მოთხოვნილება.

ზოგადად საზოგადოება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ერთიანი სისტემა, რომელიც ქვესისტემებისაგან შედგება, მათ შორის მასში შედის დემოგრაფიული ქვესისტემა.

დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის ფუნქციონირების გარეშე სხვა ქვესისტემების ფუნქციონირება საზოგადოებრივ ერთიან სისტემაში შეუძლებელია. თავის მხრივ, დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის ფუნქციონირებას გარკვეულწილად სხვა ქვესისტემები (მაგ., მოთხოვნილებათა, ეკონომიკური, სოციალური და სხვა) განსაზღვრავენ. ამიტომ დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია გამოვავლინოთ საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე რომელი ქვესისტემისადმია მისი მოთხოვნილება წინ წამოწეული. უნდა გავარკვიოთ სხვა ქვესისტემების შემადგენელ ელემენტთა, როგორც ცალკეულ ფაქტორთა, ზემოქმედების ხასიათი დემოგრაფიულ ქვესისტემაზე.

მოთხოვნილებათა ზოგადსოციოლოგიური კანონის შესაბამისად, მოთხოვნილებათა ქვესისტემა, სხვებთან შედარებით, განსაკუთრებული განვითარებით ხასიათდება, რაც იმით ვლინდება, რომ საზოგადოების განვითარებასთან ერთად, სულ უფრო სრულყოფილი ხდება მოთხოვნილებათა შინაარსი და შემადგენლობა. მოძველებულ მოთხოვნილებებს ცვლის ახალი.

საზოგადოების მოთხოვნილებათა სისტემა, ადამიანის მოთხოვნილებათა სისტემასთან შედარებით, მნიშვნელოვნად ფართოა, რამდენადაც თავის თავში შეიცავს ამ უკანასკნელს და იგი ლოგიკურად არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ცალკეული ადამიანის, ოჯახის, სოციალური ჯგუფის მიზნებსა და კერძო ინტერესებს.

მოთხოვნილებათა სისტემაში არსებობს ბავშვების ყოლის მოთხოვნილებაც, რომლის მნიშვნელობა საზოგადოების, ცალკეული სოციალური ჯგუფის, ოჯახისა და ადამიანის დონეზე შეიძლება განსხვავებული იყოს, რაც მათი მოთხოვნილებების პრიორიტეტების განსხვავებიდან აშკარად გამოიკვეთება მოთხოვნილებათა ერთიან სისტემაში.

არსებობს აუცილებელი სულიერი და მატერიალური მოთხოვნილება ბავშვებზე საზოგადოდ და მათ გარკვეულ რაოდენობაზე კერძოდ.

ბავშვების ყოლის მოთხოვნილება წარმოსდგება როგორც დემოგრაფიულ ურთიერთობათა სისტემის ერთ-ერთი ელემენტის წარმმართველი ფაქტორი და დემოგრაფიული პოლიტიკის ობიექტი. იგი თაობათა აღწარმოების თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ როგორც საზოგადოების მატერიალური მოთხოვნილება, ხოლო ადამიანის დონეზე – როგორც სულიერი მოთხოვნილება ბავშვებზე, რომელთა რაოდენობას ოჯახში ბავშვების ყოლის სოციალური ნორმების გარდა სხვა ფაქტორებიც განაპირობებენ. ისინი, საზოგადოებრივ სისტემაში არსებული ქვესისტემების სახით აჩქარებენ ან ანელებენ მის სრულ რეალიზაციას.

რეპროდუქციული ქცევა, ისე როგორც ყველანაირი ქცევა, ქვემოთ განიხილება როგორც შესაბამისი განწყობის რეალიზაცია, ე. ი. რეპროდუქციული განწყობა წინ უსწრებს რეპროდუქციულ ქცევას, წარმოადგენს გარკვეული სახის მზაობას და განსაზღვრავს რეპროდუქციული ქცევის მიმდინარეობას.

რეპროდუქციული ქცევა შეიძლება განისაზღვროს როგორც პიროვნების აქტივობა, რომელიც მიმართულია "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" დასაკმაყოფილებლად*.

"ბავშვების ყოლის მოთხოვნილება" ბრჭყალებში იმიტომ არის ჩასმული, რომ ეს ცნება შეიცავს სხვადასხვა მნიშვნელობას.

რეპროდუქციული განწყობისა და რეპროდუქციული ქცევის განხილვისას ერთი არსებითი მნიშვნელოვანი კითხვა შეიძლება გაგვიჩნდეს: რეპროდუქციული განწყობისა და შესაბამისად რეპროდუქციული ქცევის საფუძველს შეადგენს თუ არა ბავშვების ყოლის მოთხოვნილება?

ის, რასაც ჩვენ ბავშვების ყოლის მოთხოვნილებას ვუწოდებთ, ხომ არ შეიძლება იყოს ბავშვების ყოლისადმი მისწრაფება?

მოთხოვნილება დანაკლისის საფუძველზე აღმოცენებული მდგომარეობაა, რომელიც ადამიანს გარკვეული საგნების მიმართულებით ან საგნებისაგან განრიდებისკენ უბიძგებს. მისგან განსხვავებით, მისწრაფებები ადამიანს უჩნდება არა დანაკლისის საფუძველზე, არამედ იმიტომ, რომ მას ადრე ურთიერთობა ჰქონდა გარკვეულ საგნებსა და მოვლენებთან. როგორც მოთხოვნილებები, ისე მისწრაფებებიც გარკვეული საგნის მოხმარების ტენდენციას შეიცავს. ისინი შესაბამისი სიტუაციისა და ოპერაციული შესაძლებლობების შემთხვევაში გარკვეული ქცევის განწყობას ქმნიან, რომელსაც შემდგომში სათანადო ქცევა მოჰყვება. მისწრაფებები ადამიანს გამოცდილების საფუძველზე უყალიბდება, ისინი შეძენილ ტენდენციებს წარმოადგენენ. მათი შინაარსი განპირობებულია იმ სოციალური გარემოთი, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს. მისწრაფებები ადამიანზე ისე მოქმედებენ, როგორც ცნობიერი განცდები. ისინი გარკვეულ ფასეულობებისადმი ტენდენციაზე მიუთითებენ. ადამიანები აცნობიერებენ როგორც თავის მისწრაფებებს, ისე იმ საგნებსა და მოვლენებს, რომელთა ურთიერთობაშიც შეიძლება ამ მისწრაფებების დაკმაყოფილება. ასეთი გზით ადამიანებს ექმნებათ მიზნები და მიზანთა სისტემა. მიზანთა სისტემის ჩამოყალიბებისას ადამიანი ანგარიშს უწევს როგორც მოთხოვნილება-მისწრაფებას, ისე საკუთარ შესაძლებლობას, ფიზიკური და სოციალური გარემოს თავისებურებებს. ამასთან, ითვალისწინებს სოციალურ მოთხოვნებს და იმ ფასეულობებს, რომლებზეც ჯგუფია ორიენტირებული.

მართლაც, თუ დავუკვირდებით, "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" ცნებას, შევძლებთ მის განსხვავებას ბავშვების გაჩენის მოთხოვნის ცნებისაგან.

ბავშვების გაჩენა ბილოგიური შინაარსის მქონეა; ბავშვების ყოლა კი სოციალური შინაარსის და გულისხმობს ბავშვების ყოლის ფასეულიბას, მათდამი მისწრაფებას.

ადამიანის ბუნებას ახასიათებს მთლიანობა, ბილოლოგიური და სოციალური საწყისების ურთიერთკავშირი.

"ბავშვების ყოლის მოთხოვნილება" აერთიანებს როგორც ბავშვების გაჩენას, ისე ბავშვების ყოლის მისწრაფებასა და ფასეულობებს, ე.ი. როგორც ბიოლოგიურ, ისე სოციალურ ელემენტებს.

"ბავშვების ყოლის მოთხოვნილება" წარმოადგენს პიროვნების მდგომარეობას, რომელიც წარმართავს მას ბაშვების ყოლისათვის.

ადამიანის ზოგიერთი ქცევის ფორმის განხილვა მხოლოდ სადღეისოდ არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე დაგვაკარგვინებდა იმ ევოლუციურ "ძაფს", რომელიც მისთვის იყო დამახასიათებელი დაბალი საფეხურიდან მაღალ საფეხურამდე. ეს მდგომარეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს

---

* აქ და შემდგომში, ძირითადი ცნებების განმარტებისას ფიგურირებს პიროვნება. აქტივობის თავისებურებიდან გამომდინარე იგივე ცნებაში პიროვნების ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ინდივიდის, ან სუბიექტის ცნებები.

რეპროდუქციული ქცევის შემთხვევაში, ვინაიდან ისე როგორც ადამიანისათვის, ცხოველებისათვისაც დამახასიათებელია რეპროდუქციული ქცევა. მართალია, სადღეისოდ ადამიანისა და ცხოველების რეპროდუქციული ქცევა თვისებრივად განსხვავებულია, მაგრამ თუ ჩვენ იმ გარემოებით ვიხელმძღვანელებთ, რომ დღევანდელი ადამიანი თავისი "ცხოველი" წინაპრების ევოლუციის შედეგს წარმოადგენს, ნათელი გახდება, რომ ადამიანის განვითარების, დაბალ, საწყის საფეხურზე მისი და ცხოველის რეპროდუქციულ ქცევას შორის გარკვეული მსგავსება უნდა ყოფილიყო.

უდავოა, რომ ასეთივე მსგავსება უნდა ყოფილიყო ადამიანისა და ცხოველის გარკვეული სახის მოთხოვნილებას შორისაც (ჩვენს შემთხვევაში – რეპროდუქციული ქცევის მოთხოვნილებას შორის).

არსებობს მოთხოვნილებათა ორი ძირითადი კატეგორია – სუბსტანციური და ფუნქციური. პირველს მიეკუთვნება ის მოთხოვნილებები, რომელთა დასაკმაყოფილებლად საჭიროა რაიმე სუბსტანციური.

ორგანიზმი ისწრაფვის აქტივობისაკენ, ის თავისთავად საჭიროებს მოქმედებას. ცოცხალი ორგანიზმის ბუნებრივი მდგომარეობაა მისი აქტივობა. ორგანიზმს უჩნდება მოთხოვნილება მოქმედებისადმი, რომელიმე მიმართულებით ფუნქციობისა. ასეთ მოთხოვნილებებს ფუნქციური ეწოდება.

გაჩენის მოთხოვნილება სუბსტანციურს უნდა მიეკუთვნებოდეს, რადგან მისი დაკმაყოფილება გარკვეული სუბსტანციური ობიექტით წარმოებს. ამის სასარგებლოდ ის გარემოებაც მეტყველებს, რომ შემდგომი, უფრო მაღალი დონის მოთხოვნილებამდე განვითარება, ზემოთ მოყვანილი ორი ძირითადი კატეგორიის მოთხოვნილებიდან, მხოლოდ სუბსტანციურისთვისაა არსებითად დამახასიათებელი.

ამავე დროს გაჩენის მოთხოვნილება მიმართულია ფუნქციური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სხვანაირად რომ ვთქვათ, გაჩენის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სუბსტანციური ობიექტით წარმოებს, რომელსაც ორგანიზმი გარკვეული მიმართულებით ფუნქციონირების მოქმედებაში მოჰყავს.

მოთხოვნილებათა ზემოთ განხილული ორი სახეობა ახასიათებს როგორც ადამიანს, ისე ცხოველებს. მაგრამ არის მოთხოვნილებები, რომლებიც ახასიათებს მხოლოდ ადამიანს და რომელიც მას ევოლუციის პროცესში სოციალური ცხოვრების პირობების განვითარებასთან ერთად ჩამოუყალიბდა. მათ თეორიული მოთხოვნილებები მიეკუთვნება.

თეორიული მოთხოვნილება სუბსტანციურ მოთხოვნილებათა კატეგორიებს მიეკუთვნება და მის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. თეორიულ და სუბსტანციურ მოთხოვნილებას ობიექტივაციის აქტი განასხვავებს, რომელიც დამახასიათებელია თეორიული მოთხოვნილებისათვის.

ობიექტივაცია წარმოადგენს მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელ აქტივობას. ობიექტივაცია არის ქცევის შეფერხების შედეგად ადამიანის აქტივობის შეჩერება, რათა აზროვნებისა და ნებელობის დახმარებით გამოინახოს სიტუაციისათვის ადეკვატური ქცევა. "ობიექტივაციის" ცნება დემოგრაფიაში გამოიყენება რეპროდუქციული ქცევის თავისებურებათა ასახსნელად. ობიექტივაციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ადამიანი რეპროდუქციული განწყობის წარმოშობის დროს თეორიული მსჯელობის საგნად გახდის ბავშვებს. ადამიანის წინაშე წარმოიქმნება გადასაჭრელი საკითხი – ბავშვების რა რაოდენობა იყოლიოს მან. ის ასეთ შემთხვევაში დროებით "შეჩერდება", გაიაზრებს შექმნილ ვითარებას და მსჯელობის სპეციალურ ობიექტად აქცევს მას. ადამიანს ასეთ დროს ექმნება ობიექტივირებული წარმოდგენა. ობიექტივაციის შემდეგ ადამიანი უკვე განსაზღვრავს ბავშვების თავისთვის მისაღებ რაოდენობას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ობიექტივაციის შემდეგ ადამიანი ბავშვების შესაძლებელი, "განუსაზღვრელი" რაოდენობიდან ირჩევს ბავშვების გარკვეულ

რაოდენობას, რომელიც მან უნდა იყოლიოს, ე.ი. ობიქტივაცია შერჩევითობის, ანუ არჩევანის შესაძლებლობას იძლევა, რასაც მანამდე არა აქვს ადგილი.

საზოგადოებრივი ურთიერთობისა და სოციალური მემკვიდრობის განვითარებასთან ერთად, ადამიანისათვის ბავშვების ყოლის მისწრაფებამ დაიწყო გაჩენის მოთხოვნილების შეცვლა.

ადამიანისათვის გაჩენის მოთხოვნილების დაქვეითებამ გამოიწვია გაჩენის მოთხოვნილების ტრანსფორმაცია, მისი შეცვლა ბავშვების ყოლის მისწრაფებით.

ბავშვების ყოლის მისწრაფება ადამიანს სოციალური გარემოს ზემოქმედებით უყალიბდება. ადამიანი ხედავს რა, რომ ბავშვები ჰყავთ მის გარშემო მყოფთ, თვითონაც იძენს შესაბამის გამოცდილებასაც და უმუშავდება შესაბამისი მისწრაფება. მას ექმნება შესაბამისი მიზანი და მიზანთა სისტემა, სადაც ბავშვებს, მათ ყოლას, ისე, როგორც თავის თავს, გარკვეულ როლს ანიჭებს.

ადამიანს გაცნობიერებული აქვს ბავშვების ყოლის მისწრაფება. ის წარმოიდგენს ბავშვებს, იმ სიტუაციას, სადაც შესაბამისი მისწრაფების დაკმაყოფილებაა შესაძლებელი. ამგვარად, ადამიანის მიზანთა სისტემაში ბავშვები გარკვეულ ადგილს იკავებენ.

რეპროდუქციული განწყობის აღმოცენებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობის – "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" (ბავშვების ყოლის მისწრაფების) გარდა საჭიროა შესაბამისი სიტუაცია და ოპერაციული შესაძლებლობები.

სიტუაცია – ეს სხვადასხვა სახის ცხოვრებისეული და ყოფითი პირობებია, ურთიერთობები მეუღლეებს შორის და ა.შ..

ოპერაციული შესაძლებლობები შეიძლება განსაზღვრულ იქნას ასაკით და მასთან დაკავშირებული თავისებურებებით, ჯანმრთელობის მდგომარეობით და მთლიანობაში ბავშვთა შობის უნარით.

განწყობა, უსწრებს რა დროში ქცევას, წარმოადგენს მიზანდასახული ქცევის აუცილებელ კონმპონენტს. განწყობაში ასახულია თვით ადამიანის მოთხოვნილება და ამ მოთხოვნილების შესაბამისი გარემო. ამის გამო იძენს მიზანდასახულობას განწყობის საფუძველზე აღმოცენებული ქცევა.

რეგიონული ქცევისა და მისი ევოლუციის სქემა

ამდენად, რეპროდუქციული განწყობა წარმოადგენს პიროვნების მზადყოფნას ფსიქოფიზიკური აქტივობისათვის, მიმართულს "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" დაკმაყოფილებისაკენ.

ზემოთ აღნიშნულს კარგად ახასიათებს რეპროდუქციული ქცევისა და მისი ევოლუციის სქემა. მის საფუძველს შეადგენს შ. ნადირაშვილის მიერ შემუშავებული სქემა. სქემა ასახავს ადამიანის ფსიქიკური აქტივობის სამ დონეს – დაბალიდან უმაღლესამდე. ადამიანის ფსიქიკური აქტივობის ეს დონეები მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფება. ადამიანი, აქტივობის ამა თუ იმ მომენტში, საჭიროების მიხედვით, ფსიქიკური აქტივობის შესატყვის დონეზე მოქმედებს.

მოტანილი სქემა რეპროდუქციული ქცევის გარდა ასახავს რეპროდუქციული ქცევის ევოლუციას, შვილიანობის ტიპების ტრანსფორმაციას.

საქმე ისაა, რომ რეპროდუქციული ქცევის განხორციელებისათვის სულაც არ არის საჭირო მთელი მოტანილი ციკლის, სამივე დონის გავლა. რეპროდუქციული ქცევა შეიძლება პირველივე დონეზე განხორციელდეს, ე.ი. იყოს იმპულსური. ასეთ დროს მას შეესაბამება შვილიანობის გარკვეული ტიპი, რომელიც გაუცნობიერებელი ბავშვთა შობით, ობიექტივაციისა და მისაღები ქცევის შერჩევის გარეშე მიიღწევა. იმპულსური დონის რეპროდუქციული ქცევის დამახასიათებელ ნიშანს ბევრი ბავშვის ყოლა წარმოადგენს. ასეთ დროს ადამიანი იყოლიებს იმდენ ბავშვს, რამდენის გაჩენაც შეუძლია ნაყოფიერებიდან გამომდინარე.

მეორე დონე, მთელი თავისი სისტემით, გონებაჭვრეტით ხასიათს ატარებს, რის შედეგადაც, ობიექტივაციის საფუძველზე, წყდება მისაღები რეპროდუქციული ქცევის შერჩევა.

მესამე დონე სიციალური სახის რეპროდუქციულ განწყობაზე მიგვანიშნებს, რომელიც პიროვნებისათვისაა დამახასიათებელი. მის ერთ-ერთ მთავარ ნიშანს ნებელობა წარმოადგენს.

ნებელობა წარმოადგენს ადამიანის უნარს წარმართოს თავისი ქცევა და საქმიანობა პიროვნულად მისაღები სოციალურ ფასეულობათა სისტემის მიხედვით.

თეორიული განწყობის საფუძველზე ადამიანმა შეიძლება გადაწყვიტა მის წინ წამოჭრილი საკითხი – თუ ბავშვების რა რაოდენობა უნდა იყოლიოს მან. მაგრამ ეს ამოცანა პრაქტიკულად გადაჭრილი არ არის. იწყება აქტივობა, რომელიც მიმართულია თეორიული შედეგის პრაქტიკული განხორციელებისაკენ. ასეთ დროს კი წარმოიქმნება ამ აქტივობის შესატყვისი რეპროდუქციული განწყობა, რომელიც შემდგომში ნებელობის დახმარებით აქტუალურ განწყობად იქცევა და მიმართავს ადამიანის რეპროდუქციულ ქცევას.

სოციალური დონის რეპროდუქციული განწყობისათვის დამახასიათებელია სოციალური განწყობის ყველა თვისება. ცნობილია, რომ ასეთი განწყობის საფუძველზე განხორციელებული ქცევა ადამიანის ისეთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება, რომელიც მას მომავალში შეიძლება გაუჩნდეს. ასეთი ქცევა ზოგჯერ ითვალისწინებს სხვა ადამიანის "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" დაკმაყოფილებას. სოციალური დონის რეპროდუქციული განწყობის ფორმირებაში მონაწილეობას იღებენ სოციალური ფაქტორები.

მესამე დონისათვის პირველისაგან განსხვავებული შვილიანობის ტიპი იქნება დამახასიათებელი, ძირითადად ბავშვთა შობის ნაკლები ინტენსივობა, იმპულსური დონის რეპროდუქციულ ქცევასთან შედარებით. ტოლობა ბავშვთა შობის ინტენსივობის თვალსაზრისით, პირველსა და მესამე დონეს შორის, მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც სოციალური დონის რეპროდუქციული ქცევის მიზანდასახულ შედეგს წარმოადგენს იმდენი ბავშვის ყოლა, რამდენის გაჩენაცაა (ფიზიოლოგიურად) შესაძლებელი. ეს უკანასკნელი, საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე იშვიათობას წარმოადგენს და სადღეისოდ, მრავალშვილიანობის შემთხვევაშიც, სოციალური დონის რეპროდუქციული ქცევისათვის მაინც ნაკლები ბავშვთა შობის ინტენსივობაა დამახასიათებელი,

ვიდრე იმპულსური რეპროდუქციული ქცევისათვის. ძირითადად მოცემული სქემა და მასთან დაკავშირებული და მისგან გამომდინარე პროცესები დაედო საფუძვლად შობადობის განწყობისეულ კონცეფციას.

რეპროდუქციული ქცევის თავისებურებათა გაგებისათვის აუცილებელია სოციალურ ფასეულობათა ორიენტაციის სისტემის გათვალისწინება.

პიროვნებისათვის ბავშვები ფასეულობას წარმოადგენენ. ბავშვებს გარკვეული ადგილი უჭირავთ ფასეულობით სისტემაში. სადღეისოდ, როდესაც ლაპარაკია შობადობის შემცირებაზე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბავშვების ფასეულობა შემცირდა, იკლო მათი ყოლის მისწრაფებამ.

ადამიანებისათვის უფრო მეტად ფასეული ხდება ისეთი მისწრაფებები, როგორიცაა თვითაქტივობის, თვითკმაყოფილების, პრესტიჟის, წარმატებისა და სხვა. მოტანილ მისწრაფებებს სადღეისოდ შეიძლება მეტი ფასეულობა გააჩნდეს, ვიდრე ბავშვებს. ამიტომ ადამიანები უფრო მეტად არიან ორიენტირებული ზემოთ დასახელებული მისწრაფებების მოპოვებისაკენ, ვიდრე ბავშვების ყოლისაკენ.

აქტუალური რეპროდუქციული განწყობის ჩამოყალიბებისას ფიქსირებული სოციალური დონის რეპროდუქციული განწყობა ასრულებს "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" მაგივრობას.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენა ოჯახში ბავშვების რაოდენობის შესახებ ჩამოყალიბებას იწყებს ადრეულ ასაკში. კონკრეტული გამოკვლევებით დადგენილია, რომ პირვანდელი წარმოდგენა ოჯახში ბავშვების რაოდენობის შესახებ წარმოიქმნება 5 წლის ასაკში. ხშირად მისი წარმოქმნა დაკავშირებულია სიუჟეტური ხასიათის თამაშებთან. არსებითი მნიშვნელობა გააჩნია ასევე გარემოსა და ბავშვების გარემოცვაში მიმდინარე მოვლენებს. ისინი დაკავშირებულია პიროვნების სტრუქტურის ფორმირების ერთ-ერთ ეტაპთან.

8 წლის ასაკამდე ოჯახში ბავშვების რაოდენობის შესახებ წარმოდგენის ფორმირების პროცესი მიმდინარეობს შენელებულად. 8-9 წლის ასაკისათვის აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს უფრო ინტენსიურად და 10-11 წლის ასაკისათვის აღწევს განვითარების ახალ საფეხურს, რაც დაკავშირებულია აქტივობის ერთიანი ფსიქიკური სისტემის გამომუშავებასთან.

16-17 წლის ასაკისათვის წარმოდგენა ოჯახში ბავშვების რაოდენობის შესახებ უმრავლესობას ფორმირებული აქვს, თუმცა რჩება ⅓, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს ფორმირებული აღნიშნული წარმოდგენა.

18 წლის ასაკიდან ოჯახში ბავშვების რაოდენობის შესახებ წარმოდგენის ფორმირების პროცესი კიდევ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს და 24 წლის ასაკისათვის პრაქტიკულად დამთავრებულია.

ოჯახში ბავშვების იდეალური რაოდენობის შესახებ წარმოდგენის ფორმირების პროცესი 25 წლის ასაკისათვის სრულდება. ამავე დროს ოჯახში ბავშვების სასურველი რაოდენობის ("ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" გამოხატულება) შესახებ წარმოდგენის ფორმირების პროცესი 25 წლის ასაკისათვის ჯერ საბოლოოდ არ არის დამთავრებული. ეს დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ დაუქორწინებლებსა და ახალდაქორწინებულებში, კონკრეტული ოჯახური სიტუაციის არარსებობის გამო ბავშვების სასურველ რაოდენობას არ გააჩნია ინდივიდუალურად განსაზღვრული და დასრულებული სახე. მხოლოდ ჩამოყალიბებული სიტუაციის შემდეგ, რომელიც ქორწინების რამდენიმე წლის შემდეგ ყალიბდება, "ბავშვების ყოლის მოთხოვნილება" და შესაბამისად ბავშვების სასურველი რაოდენობა მიიღებს განსაზღვრულ და დასრულებულ ხასიათს.

5.5. რეპროდუქციული ქცევის ინდიკატორები

როდესაც რეპროდუქციული ქცევის მაჩვენებლებზეა მსჯელობა, რეალურად განიხილება რეპროდუქციული განწყობის, უფრო სწორედ რომ ვთქვათ,

რეპროდუქციული ორიენტაციები. საქმე ის არის, რომ რეპროდუქციული ქცევის შედეგი ოჯახში ბავშვების გარკვეული რაოდენობის ყოლას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში საქმე გვექნება ოჯახში ბავშვების ფაქტობრივ რაოდენობასთან. ბუნებრივია, რომ დემოგრაფიული თვალსაზრისით, საინტერესოა არა მარტო ოჯახში ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობის დადგენა, არამედ იმის გარკვევა, თუ ბავშვების რა რაოდენობაზეა ორიენტირებული ადამიანი.

აქედან გამომდინარე საქმე ეხება ოჯახის დაგეგმვას. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება ის, თუ რამდენი ბავშვი ეყოლება ოჯახს.

ოჯახის დაგეგმვა ბავშვთა შობის რეგულაციით განისაზღვრება, რომელიც წარმოებს კონტრაცეპტივების, აბორტების, სტერილიზაციის სახეობებისა და შეწყვეტილი სქესობრივი აქტის ფორმების გამოყენების მეშვეობით.

ოჯახის დაგეგმვისა და შობადობის რეგულირების ცნებები თავისთავად შეიცავენ და გულისხმობენ პოტენციურად შესაძლებელი ნაყოფიერებისა და მისგან გამომდინარე ბავშვთა შობის შეზღუდვას, რადგან მათ შემთხვევაში, ბავშვთა შობის მეტ-ნაკლები რაოდენობის მიუხედავად, ადგილი ექნება იმპულსური დონის რეპროდუქციული ქცევის გამორიცხვას.

ამდენად, ოჯახის დაგეგმვა თვისებრივად განსხვავდება იმპულსური დონის რეპროდუქციული ქცევისაგან და მიიღწევა ნებელობითი აქტივობის გზით, რომელიც ობიექტივაციის ნიადაგზე წარმოებს.

კონტრაცეპტივების საშულებებისა და აბორტების მასობრივი და სისტემატური გამოყენება მოითხოვს ბავშვების მიმართ სოციალური დამოკიდებულების შეცვლას და მოსახლეობის გარკვეულ კულტურულ დონეს.

მართალია, თემური წყობილების და ადრეკლასობრივი საზოგადოების დროს გამოიყენებოდა ყველა ზემოთ მოტანილი საშუალება (კონტრაცეპტივები და სხვა), მაგრამ მათ უმთავრესად იყენებდნენ ქორწინების გარეშე ბავშვების გაჩენისაგან თავის დასაცავად და ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (მაგ., რომაელ დიდებულთა შორის ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში) ვერ ჰპოვეს ფართო გავრცელება.

რეპროდუქციული ქცევის სოციალურობის მაჩვენებლად არ შეიძლება ჩაითვალოს სქესობრივ ურთიერთობათა "სეზონურობა", რომელიც ადამიანისათვის შორეულ წარსულში იყო დამახასიათებელი. სქესობრივ ურთიერთობათა "სეზონურობა" ცხოველური სამყაროსათვის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს, რომელიც ადამიანებს ბიოლოგიური მემკვიდრეობით გადაეცათ და მისი გაქრობა თან მოჰყვა სწორედ სოციალურ განვითარებას.

რეპროდუქციული ქცევის სოციალურობის მაჩვენებლად არ შეიძლება ჩაითვალოს ასევე სქესობრივ ურთიერთობისგან თავის შეკავება სეზონურ სამუშაოებთან დაკავშირებით, როდესაც ქალს ალოობისათვის სამუშაოდ ინახავდნენ და ცდილობდნენ ამ დროისათვის ორსულობისაგან თავი აერიდებინათ. იმის გაცნობიერება, რომ ორსული ქალი სრული დატვირთვით ვერ იმუშავებს, მაშინ როდესაც მუშახელის დიდი რაოდენობაა საჭირო, სულაც არ მეტყველებს ბავშვების შობის დაგეგმვაზე. ამ დროისათვის სქესობრივი ურთიერთობისაგან თავის შეკავება მუშახელის მოთხოვნით იყო გამოწვეული და იმდროინდელი კონტრაცეპტივების საშუალებების მცირე ეფექტიანობაზე მეტყველებს და არ გამორიცხავს იმპულსური დონის რეპროდუქციულ ქცევას.

რეპროდუქციული ქცევის არაიმპულსურობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ, როდესაც ობიექტივაციის აქტი იღებს მონაწილეობას და როდესაც მისი მოქმედება უშუალოდ "ეწინააღმდეგება" პოტენციურად შესაძლო ნაყოფიერებასა და ბავშვთა შობას და ეს განსხვავება ადამიანის მიერ გაცნობიერებულია.

დღესაც შეიძლება შევხვდეთ ცალკეულ ხალხს, რომელიც რეპროდუქციულ ქცევას იმპულსურ დონეზე აწარმოებს. ერთ-ერთი ბანტუს ენაზე მოლაპარაკე

ხალხის – ბახაიას გამოკვლევის დროს, იქაური ქალები საერთოდ უაზროდ სთვლიდნენ ბავშვების სასურველი რაოდენობის შესახებ კითხვას. ისინი პასუხობდნენ რომ სურთ იმდენი ბავშვის ყოლა, რამდენის გაჩენასაც შესძლებენ, ან ასახელებდნენ ბავშვების რაოდენობას 50-100.

შესაძლებელია სხვა სახის მოვლენაც: რეგიონში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა რეპროდუქციულ ქცევას არაიმპულსურ დონეზე აწარმოებს, უმცირესობის რეპროდუქციული ქცევა შეიძლება იმპულსურ დონეზე მიმდინარეობდეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სადღეისოდ რეპროდუქციული განწყობა სოციალური დონის განწყობას წარმოადგენს. ამიტომ მის შესახებ ინფორმაციის მოპოვება შეიძლება გამოკითხვის გზით, სოციოლოგიური მეთოდიკის გამოყენების საფუძველზე.

ზოგადად, შობადობის სოციოლოგიურ გამოკვლევაში იგულისხმება რეპროდუქციული ქცევის, რეპროდუქციული განწყობის, რეპროდუქციული მოტივაციისა და მათთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა.

რეპროდუქციული განწყობის სოციოლოგიური გამოკვლევა გულისხმობს ოჯახში ბავშვების რაოდენობის (იდეალური, სასურველი, მოსალოდნელი და სხვა) გამოვლენასა და შესწავლას და მათ განმსაზღვრელ კანონზომიერებათა დადგენას.

გამოკვლევების დროს ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა ოჯახში ბავშვების იდეალური რაოდენობის მაჩვენებელმა.

ოჯახში ბავშვების იდეალური რაოდენობის საშუალო სტატისტიკური სიდიდეები გამოხატავენ ადამიანთა აზრის ჯამს და არა ნორმებს, რადგან როგორც ცნობილია, სოციალური ნორმა არ წარმოადგენს ინდივიდუალური აზრების სტატისტიკურ საშუალოს.

ვინაიდან, სათანადო ანალიზისას, ერთობლიობა, უმრავლეს შემთხვევაში, დიფერენცირებულია სხვადასხვა ჯგუფებად, მათთვის დამახასიათებელი ბავშვების იდეალური რაოდენობის საშუალო სიდიდეები გამოხატავენ ამ ჯგუფში შემავალი წევრების აზრების ჯამს. ასეთი ჯგუფების საშუალო სიდიდეების შედარებისას შეიძლება ვიმსჯელოთ მათთვის დამახასიათებელ ბავშვების იდეალურ რაოდენობაზე, როგორც მათში შემავალ წევრთა აზრის ჯამის საშუალოზე.

ბავშვების სასურველი რაოდენობა წარმოადგენს პიროვნების ბავშვების ყოლის ინდივიდუალური მოთხოვნილების გამოხატულებას. ეს მაჩვენებელი იმ დონეს გამოხატავს, როდესაც ბავშვების ყოლის სურვილი არ ითვალისწინებს კონკრეტულ პირობებს.

რეპროდუქციული განწყობის გამოხატულებას ოჯახში ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა წარმოადგენს.

ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა წარმოადგენს ბავშვების რაოდენობის ინდივიდუალურ ოპტიმუმს კონკრეტულ პირობებში.

საბოლოოდ რეპროდუქციული განწყობა რეპროდუქციულ ქცევაში აისახება. ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა შეიძლება განვიხილოთ ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობისა (ბავშვების ის რაოდენობა, რომელიც რესპონდენტს ჰყავს გამოკითხვის მომენტისათვის) და ბავშვების იმ რაოდენობის ჯამით, რომლის ყოლასაც კიდევ აპირებს პიროვნება.

ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა (კიდევ) გარკვეული აქტივობისადმი მზადყოფნაზე მიგვითითებს და ამდენად შინაარსობრივად ყველაზე მეტად შეესაბამება რეპროდუქციული განწყობის ცნებას. ვინაიდან ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა (სულ) შეადგენს ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობისა და ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობის (კიდევ) ჯამს, ამიტომ შესაძლებელია ისიც განვიხილოთ, როგორც რეპროდუქციული განწყობა.

ზოგადად "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" დაკმაყოფილება შეიძლება ხანგრძლივი დროის მანძილზე იყოს დაგეგმილი. ასეთ დროს შეიძლება

კონკრეტული სიტუაცია შეიცვალოს, ადრე არსებული რეპროდუქციული განწყობა "ჩაქრეს" და "ბავშვების ყოლის მოთხოვნილება" დაუკმაყოფილებელი დარჩეს.

ზემოთ მოტანილი მაჩვენებლების გამოსავლენად საჭიროა ისეთი ტიპის კითხვების შემუშავება, რომლებზედაც პასუხები შინაარსობრივად შეიცავდნენ და სწორად გამოხატავდნენ გამოსავლენი მაჩვენებლების მნიშვნელობას.

ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ რეპროდუქციული ქცევის შესწავლისაკენ მიმართულ ძირითად კითხვებს.

აღვნიშნავთ, რომ ქვემოთ მოტანილი კითხვები საქართველოში ჩატარებული მრავალი კვლევისას იყო გამოყენებული და ამდენად აპრობირებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ოჯახში ბავშვების იდეალური რაოდენობის გამოვლენა მიზანშეწონილია კითხვით: "თქვენი აზრით, რამდენი ბავშვი უნდა იყოს საერთოდ ოჯახში?".

ბავშვების სასურველი რაოდენობა ძირითადად დგინდება კითხვით: "პირადად თქვენ რამდენი ბავშვის ყოლა გსურთ?".

ბავშვების მოსალოდნელ რაოდენობას ადგენენ როგორც საერთოდ მთელი რეპროდუქციული პერიოდისათვის, ისე უახლოესი 5 წლისათვის.

დაბადებათა დიდი ნაწილი ქორწინების პირველ 5 წელიწადზე მოდის.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა მიიღება ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობისა და ბავშვების კიდევ მოსალოდნელი რაოდენობის ჯამით.

ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობის დასადგენად გამოიყენება კითხვა: "ამჟამად რამდენი ბავშვი გყავთ?".

ბავშვების კიდევ მოსალოდნელი რაოდენობა (სულ) დგინდება კითხვით: "კიდევ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებთ?".

აღნიშნულ კითხვაზე მიღებული პასუხისა და ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობის ჯამი წარმოადგენს ბავშვების მოსალოდნელ რაოდენობას მთელი რეპროდუქციული პერიოდისათვის.

კითხვა – "კიდევ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებთ უახლოეს 5 წელიწადში" და ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობის ჯამი იძლევა ინფორმაციას ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობის შესახებ უახლოესი 5 წლისათვის.

რეპროდუქციული ქცევის შესწავლისაკენ მიმართული კვლევებისას მიღებულია როგორც ფაქტობრივი, ისე საუკეთესო პროტოგენეტიკური და ინტერგენეტიკური ინტერვალების გამოვლენა.

პროტოგენეტიკური ინტერვალი წარმოადგენს დროის ინტერვალს დაქორწინებასა და პირველი ბავშვის დაბადებას შორის. ის ძირითადად გამოიანგარიშება ქალების თაობისათვის, თუმცა მისი დადგენა შეიძლება ასევე მამაკაცებისათვის.

პროტოგენეტიკური ინტერვალის დასადგენად გამოიყენება კითხვა: "როდის შეგეძინათ პირველი ბავშვი?" ვარიანტებით – "1. ქორწინებამდე, 2. ქორწინებიდან პირველი წლის განმავლობაში, 3. ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ, 4. ორი წლის შემდეგ, 5. სამი და მეტი წლის შემდეგ" (ფაქტობრივი პროტოგენეტიკური ინტერვალი).

"თქვენი აზრით, როდის სჯობია პირველი ბავშვის ყოლა?" – დგინდება საუკეთესო პროტოგენეტიკური ინტერვალი რესპონდენტის აზრით. ვარიანტები იგივეა, რაც საუკეთესო პროტოგენეტიკური ინტერვალის შემთხვევაში.

ინტერგენეტიკური ინტერვალი წარმოადგენს თაობაში თანმიმდევრულ დაბადებათა შორის (პირველ და მეორე ბავშვს შორის, მეორე და მესამე ბავშვს შორის და ა.შ.) საშუალო ინტერვალს. ინტერგენეტიკური ინტერვალი დამოკიდებულია ფიზიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებზე. ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების გავრცელებასთან ერთად სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ ფაქტორებს. მრავალშვილიან ოჯახებში

ინტერგენეტიკური ინტერვალი, როგორც წესი, ნაკლებია, ვიდრე საშუალოშვილიან ოჯახებში, ხოლო საშუალოშვილიან ოჯახებში უფრო ნაკლებია მცირეშვილიანთან შედარებით. ინტერგენეტიკური ინტერვალის გაზრდას მოჰყვება შობადობის დონის შემცირება.

"თქვენი აზრით, ბავშვების ასაკს შორის რა სხვაობაა საუკეთესო?" – დგინდება საუკეთესო ინტერგენეტიკური ინტერვალი რესპონდენტის აზრით როგორც პირველსა და მეორე ბავშვს შორის, ისე მეორესა და მესამეს შორის და ა.შ..

რეპროდუქციული ქცევის მოტივაციის შესწავლა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

რეპროდუქციული მოტივაცია არის ფსიქიკური მდგომარეობანი, რომლებსაც ადამიანი თავისი ქცევის აღმძვრელ ფენომენებად განიცდის. რეპროდუქციული მოტივაცია ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1) ფსიქიკური ფენომენები, რომლებიც ქცევის პოზიტიურ ძალებად განიცდებიან და 2) ფსიქიკური ფენომენები, რომლებიც ქცევის ნეგატიურ ძალებად განიცდებიან. ადამიანი მათ განიცდის როგორც გარკვეული საგნებისა და სიტუაციისაკენ წარმმართველ, ან საგნებისა და სიტუაციისაგან განმარიდებელ ძალებს.

აქედან გამომდინარე, რეპროდუქციული მოტივაციის შესწავლისას ორი ძირითადი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ: 1) ბავშვების ყოლის მოტივები, ე.ი. ის მოტივები, რომლებიც მიმართავენ ადამიანს ბავშვების ყოლისაკენ, ხელს უწყობენ ბავშვების ყოლას და 2) ბავშვების ყოლის ხელშემშლელი მოტივები, ე.ი. ის მოტივები, რომელთა განცდის შემდეგ ადამიანი ერიდება ბავშვების ყოლას. ამ უკანასკნელის მოქმედება ხელს უშლის "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" დაკმაყოფილებას.

ბავშვების ყოლის მოტივები წარმოადგენენ ფსიქიკურ ფენომენებს, რომლებიც რეპროდუქციული ქცევის პოზიტიურ ძალებად განიცდებიან და წარმართავენ ადამიანს ბავშვების ყოლისკენ. ბავშვების ყოლის მოტივები განაპირობებენ ნებისმიერი რიგითობის ბავშვის ყოლას. იმისდა მიხედვით, თუ რა საფუძვლიდან გამომდინარეობენ, პირობითად განასხვავებენ ბავშვების ყოლის ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ მოტივებს. დაბალი რიგითობის ბავშვების ყოლა ძირითადად განპირობებულია ფსიქოლოგიური სახის ბავშვების ყოლის მოტივებით, ხოლო მაღალი რიგითობის – ძირითადად ეკონომიკური მოტივებით.

ბავშვების ყოლის მოტივების შესწავლას საფუძველი ჩაეყარა 1940-ან წწ. აშშ-ში. საქართველოში ბავშვების ყოლის მოტივების კვლევა პირველად 1976 წლიდან დაიწყო.

საქართველოში ჩატარებული კვლევებისას ბავშვების ყოლის მოტივები ძირითადად გამოვლენილ იქნა შემდეგ კითხვაზე პასუხებით: „იმისდა მიხედვით, თუ რამდენი შვილი გყავთ, მიუთითეთ რამ განაპირობა თითოეული შვილის ყოლა". კითხვას, თითოეული შვილისათვის მოჰყვებოდა შესაძლებელ პასუხთა ვარიანტები.

ბავშვების ყოლის ხელშემშლელი პირობები (მოტივები) ეს ის პირობებია, რომლებიც აღიქმება, როგორც ფსიქიკური ფენომენები და რომლებიც განიცდებიან რეპროდუქციული ქცევის ნეგატიურ ძალებად. ბავშვების ყოლის ხელშემშლელი პირობების მოქმედება ხელს უშლის "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" დაკმაყოფილებას, მის სრულ რეალიზაციას, რის შედეგადაც ადამიანს, ოჯახს ჰყავს იმაზე ნაკლები ბავშვი, ვიდრე სურს ან საერთოდ არა ჰყავს ბავშვი.

ბავშვების ყოლის ხელშემშლელი პირობების შესწავლა საქართველოში 1969 წლიდან დაიწყო.

საქართველოში ჩატარებული კვლევებისას ბავშვების ყოლის ხელშემშლელი პირობები ძირითადად დადგენილ იქნა მოყვანილ კითხვაზე პასუხებით: "თუ თქვენ გყავთ ან აპირებთ იყოლიოთ იმაზე ნაკლები ბავშვი, ვიდრე გსურთ, მიუთითეთ რატომ?" კითხვას მოჰყვება შესაძლებელ პასუხთა ვარიანტები.

კითხვის შინაარსიდან გამომდინარე გასაგებია, რომ ის მიმართულია იმათთვის, ვისთვისაც ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა ნაკლებია სასურველზე.

ანკეტირებისას, მოცემულ კითხვაზე, ისეთი რესპონდენტებიც ასახელებენ მიზეზებს, რომლებისთვის ბავშვების მოსალოდნელი და სასურველი რაოდენობა ერთნაირია. ასეთ დროს, მონაცემთა დამუშავებისას, უნდა მოხდეს იმ პასუხთა გაცხრილვა, სადაც მოსალოდნელი და სასურველი რაოდენობა ტოლია.

რეპროდუქციული ქცევის შესწავლისაკენ მიმართული კვლევებისას ვხვდებით სხვა კითხვებსაც: "ქალისათვის რა ასაკშია ყველაზე უკეთესი უკანასკნელი ბავშვის ყოლა?", "სულ რამდენი ბავშვი ჰყავდათ თქვენს მშობლებს?" და სხვა.

აღსანიშნავია, რომ თავი უნდა ავარიდოთ არაერთმნიშვნელოვან პასუხებს როგორც მოტივაციის შესწავლისას, ისე ბავშვების რაოდენობის დასადგენად მიმართული კითხვებისას.

ამისათვის ინტერვიუერს ეძლევა შემდეგი ტიპის დავალება – "თუ რესპონდენტი დაგისახელებთ ბავშვების რამდენიმე რაოდენობას (მაგ., 1-2, 2-3 და ა. შ.) დააკონკრეტებინეთ: ბავშვების დასახელებული რაოდენობიდან აირჩიოს მხოლოდ ერთი, მისთვის უფრო მისაღები".

არაერთმნიშვნელოვანი პასუხების თავიდან აცილება შესაძლებელია ინტერვიუს დროს. სხვა შემთხვევაში არაერთმნიშვნელოვანი პასუხები ერთმნიშვნელოვანზე დაიყვანება კომპიუტერული დამუშავებისას.

5.6. რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები

რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებს სპეციალური დემოგრაფიული ლიტერატურა იშვიათად იხილავს. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობას აქვს ადგილი დემოგრაფიული სახელმძღვანელოების შემთხვევაში, სადაც რეპროდუქციული ჯანმრთელობა პრაქტიკულად არ განიხილება.

აღნიშნულს თავისი ახსნა აქვს. საქმე ის არის, რომ რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები უხვად მოიცავს სამედიცინო ტერმინოლოგიას და მოითხოვს სამედიცინო განათლებას.

მეორე შემთხვევაში გარკვეულ ნონსენსს აქვს ადგილი, მაშინ, როდესაც რეპროდუქციული ქცევის განხილვისას არ ეხებიან რეპროდუქციულ ჯანმრთელობას.

ქვემოთ მოტანილის მიზანია მკითხველს ძალიან ზოგადი წარმოდგენა შეუქმნას რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ვრცელი ლიტერარტურა არსებობს და დაინტერესებული პირი შესძლებს მის გაცნობას.

ამავე დროს დემოგრაფიის კურსის შემსწავლელ სტუდენტს მინიმალური ინფორმაცია მაინც უნდა ჰქონდეს "ინ ვიტრო" განაყოფიერების და თუნდაც სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ რეპროდუქციული ჯანმრთელობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ოჯახის დაგეგმვის ასპექტებთან.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ოჯახის დაგეგმვა წარმოებს კონტრაცეპციის სხვადასხვა მეთოდისა და აბორტების გამოყენების მეშვეობით. ამავე დროს უდავოა აბორტის მავნებლობა და ამდენად მთავარი აქცენტი კონტრაცეპციაზე კეთდება.

XX საუკუნის მეორე ნახევარში კონტრაცეპციის ტექნოლოგიაში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ოჯახის დაგეგმვა რჩება XXI საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) განმარტებით ოჯახის დაგეგმვა მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსს, რომლებიც ერთდროულად

რამდენიმე ამოცანას გადაჭრის:

- არასასურველი ორსულობის თავიდან აცილებას
- ბავშვების სასურველი რაოდენობის ყოლას
- ორსულობებს შორის ინტერვალის რეგულირებას
- ბავშვების დაბადების დროის შერჩევას ასაკის მიხედვით.

ამ ამოცანების პრაქტიკულ გადაჭრაში ერთ-ერთი წამყვანი როლი ენიჭება კონტრაცეპციის მეთოდებს, რომელთა გამოყენებაც აგვაცილებს არასასურველ ორსულობებს, რაც საშუალებას მოგვცემს შევამციროთ ხელოვნური აბორტებით გამოწვეული გართულებები, დედათა მოკვდაობა და ვარეგულიროთ შობადობა.

ამჟამად არსებული კონტრაცეპციის მეთოდები იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- ჰორმონული კონტრაცეპცია (კომბინირებული ორალური და საინექციო კონტრაცეპცია, "მინი-პილი", პროგესტინული საინექციო კონტრაცეპცია და იმპლანტი)
- საშვილოსნოსშიგა საშუალებები
- ნებაყოფლობითი ქირურგიული სტერილიზაცია
- ლაქტაციური ამენორეის მეთოდი (ლამ)
- ბარიერული მეთოდები
- სპერმიციდები
- ბუნებრივი (რითმული) მეთოდები
- შეწყვეტილი სქესობრივი აქტი.

კონტრაცეპციის მეთოდის არჩევა უნდა მოხდეს პაციენტის მიერ ექიმის დახმარებით, მეთოდის არჩევისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- კონტრაცეპციული ეფექტურობა
- უსაფრთხოება
- გვერდითი მოვლენები
- მეთოდის არაკონტრაცეპციული უპირატესობანი და ნაკლოვანებები
- ფერტილურობის აღდგენა.

ჰორმონალური კონტრაცეპცია – ჰორმონალური კონტრაცეპციის მიზნით გამოიყენება ქალის სასქესო ჰორმონების პროგესტერონისა და ესტროგენების სინთეზური ანალოგები. სინთეზური ანალოგები თვისებებით ძალიან ჰგავს ნატურალურს, ხოლო მათი აქტივობა ბევრად მაღალია.

საშვილოსნოსშიგა კონტრაცეპცია – იყოფა ორ ჯგუფად:

- არამედიკამენტური
- მედიკამენტური.

კონტრაცეპციის ბარიერული მეთოდები და სპერმიციდები – მათ მიეკუთვნება დიაფრაგმა, საშვილოსნოს ყელის ჩაჩები, ღრუბელი და კონდომი. კონტრაცეპციის ბარიერული მეთოდები მექანიკურად აფერხებენ სპერმატოზოიდების მოხვედრას საშოში და საშვილოსნოს ყელის არხში და იცავენ ქალს არასასურველი ორსულობისაგან.

ქალის ნებაყოფლობითი ქირურგიული კონტრაცეპცია – წარმოადგენს უსაფრთხო და ყველაზე მაღალეფექტურ მეთოდს ოჯახის დაგეგმვის მეთოდებს შორის.

მამაკაცის ნებაყოფლობითი ქირურგიული კონტრაცეპცია (ვაზექტომია) – ის სრულდება სტანდარტული მეთოდით, უსკალპელო ტექნოლოგიით.

ლაქტაციური ამენორეის* მეთოდი (ლამ) – ეწოდება ძუძუთი კვებას, როდესაც იგი ქალს იცავს ორსულობისაგან.

---

* ამენორეა – თვიურის უქონლობა. ამენორეა ფიზიოლოგიური მოვლენაა გოგონებში სქესობრივ მომწიფებამდე და ქალებში – ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდში ან კლიმაქტერიული პერიოდის შემდეგ. დანარჩენ შემთხვევებში იგი რაიმე დაავადების შედეგია. ამენორეა შეიძლება იყოს პირველადი, როდესაც ქალს თვიური არასდროს არ

ბუნებრივი მეთოდები – ყველაზე ცნობილია კალენდარული მეთოდი, რომელიც ეფუძნება ფერტილური დღეების დადგენას.

რეპროდუქციული ფუნქციის ჩამოყალიბების თვალსაზრისით ადამიანის ცხოვრებაში განარჩევენ:

- ანტენატალურ პერიოდს
- ახალშობილობის პერიოდს (დაბადების პირველი 10 დღე)
- ბავშვობის, ანუ ნეიტრალურ პერიოდს (ახალშობილობიდან სქესობრივი განვითარების დაწყებამდე)
- სქესობრივი მომწიფობის პერიოდს.

გოგონებში:

- პრეპუბერტატი (მეორადი საქსესო ნიშნების გაჩენიდან მენარხემდე**)
- პუბერტატი (მენარხედან 18 წლამდე)
- ყრმობა (18-დან 20 წლამდე).

ვაჟებში:

- პუბერტატი (10 წლის შემდეგ 3-4 წლის განმავლობაში).

სქესობრივი მომწიფების დასაწყისი ინდივიდუალურია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (1977 წ.) ექსპერტთა მიერ 10-20 წლის ასაკის ინდივიდები განიხილებიან მოზარდებად.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევებისას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებს.

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სასქესო ორგანოების ვირუსული ეტიოლოგიის ინფექციების რიცხვი, რომელთა დიაგნოსტიკა და მკურნალობა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

ინფიცირებული ადამიანი რჩება ვირუსმატარებელი. მთელი ცხოვრება ვირუსი ლატენტურად პერსისტირებს ადამიანის ორგანიზმში და აქვს რეაქტივაციის უნარი. რეციდივები ვითარდება სხვადასხვა ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორებით გამოწვეული იმუნოდეფიციტის ფონზე. ვირუსმა შეიძლება დააზიანოს ვულვის, საშოს, საშვილოსნოს ყელის ლორწოვანი და შიდა სასქესო ორგანოები. ვირუსულმა ინფექციამ შესაძლებელია გამოიწვიოს თვითნებითი აბორტი, ნაადრევი მშობიარობა, მკვდრადშობადობა, ახალშობილთა თანდაყოლილი პათოლოგიების განვითარება და სხვა.

გამოყოფენ სქესობრივი გზით გადამდებ შემდეგ ინფექციებს:

- სიფილისი (ათაშანგი)
- გონორეა (“ტრიპერი”, სუსუნათი)
- ქლამიდიოზი (ქლამიდია)
- სოკოვანი დაავადება, ინფექცია (სოკო, “გრიბოკი”)
- სასქესო ორგანოების ჰერპესი
- სასქესო ორგანოების კონდილომები (“მეჭეჭები”, წანაზარდები)
- ტრიქომონიაზი (“ტრიხომონა”)
- აივ/შიდსი
- პროსტატიტი
- პაპილომავირუსი.

ჰქონია, და მეორეული, როდესაც თვიური ჰქონდა, მაგრამ შეუწყდა. არსებობს ამენორეის იშვიათი ფორმა, როდესაც სისხლი საშვილოსნოდან გარეთ ვერ გამოდის განვითარების მანკების არსებობის გამო.

** მენარხე (მენარქე) – პირველი მენსტრუაცია. ჩვეულებრივ იწყება სქესობრივი მომწიფების პერიოდში – 11-15 წლის ასაკში. მისი გამოჩენის დრო სხვადასხვაა და დამოკიდებულია კლიმატზე, ცხოვრებისა და სოციალურ-ჰიგიენურ პირობებზე, კვებასა და სხვა ფაქტორებზე.

“ინ ვიტრო” (ექსტრაკორპორალური) განაყოფიერება ნიშნავს განაყოფიერებას ორგანიზმის გარეთ, პირობითად სინჯარაში. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი გახდა როგორც ქალის, ისე მამაკაცის უშვილობის პრობლემის გადაწყვეტა. “ინ ვიტრო” განაყოფიერება გულისხმობს საკვერცხიდან ოოციტების ასპირაციას უშუალოდ ოვულაციამდე, ხელოვნურ ინსემინაციას და ემბრიონის გადატანას საშვილოსნოს ღრუში.

განაყოფიერების პროცესის გამოკვლევისა და ადრეული ემბრიონალური განვითარების პროცესის მოდელირების მცდელობა მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობადა. 1978 წელს ინგლისში ქალის ბუნებრივი მენსტრუალური ციკლის მიმდინარეობისას გამოყოფილი იქნა ერთადერთი კვერცხუჯრედი, საშვილოსნოს ღრუში გადატანილი იქნა ერთი ემბრიონი, რის შედეგადაც მოხდა ორსულობა და მსოფლიოში პირველად, კემბრიჯის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის განყოფილებაში პატრიკ სტეპტოსა და რობერტ ედვარდსის დიდი შრომის შედეგად გაჩნდა “სინჯარის” პირველი ბავშვი.

1978 წლიდან აღნიშნულ პრობლემაზე მსოფლიოს მრავალი კლინიკა მუშაობს და სადღეისოდ ამ მეთოდით მილიონამდე ბავშვია დაბადებული.

5.7. დემოგრაფია და სექსუალობა

დემოგრაფიამ საკმაოდ გვიან მიაქცია ყურადღება სექსუალობას, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეისწავლის შობადობას, ქორწინებას, განქორწინებასა და კონტრაცეპციას. მხოლოდ თანამედროვე კონტრაცეპციის და განსაკუთრებით შიდსის გამოჩენის შემდეგ დემოგრაფებმა მიაქციეს ყურადღება სექსუალურ ქცევას.

სადღეისოდ მიჩნეულია, რომ დემოგრაფია კარგად არის აღჭურვილი სექსუალობის შესწავლისა და მისი კრიტიკული ანალიზისათვის.

სექსუალური ქცევის შესწავლა შესაძლებლობას იძლევა უფრო ღრმად ჩავწვდეთ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს და გავერკვიოთ იმ ცვლილებებში, რომელიც მიმდინარეობს ოჯახში.

ადრე დემოგრაფია იმ შემთხვევების ერთობლიობას შეისწავლიდა, რომელიც დაფიქსირებული იყო ოფიციალური სტატისტიკის მიერ. სექსუალობის შესწავლა მიმდინარეობდა მხოლოდ მისი შედეგებიდან გამომდინარე – შობადობისა და ქორწინების რეგისტრირებული მასალის საფუძველზე. მართალია, დემოგრაფები ცდილობდნენ სხვა სახის მიდგომების გამოყენებას, მაგრამ ისინი იმ დროს, დღევანდელი ხედვით, შეიძლება განვიხილოთ როგორც გარკვეული გზების ძიება.

ამ თვალსაზრისით, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კორადო ჯინი. 1920-იან წლებში ჯინიმ წარმოადგინა შობადობის კონცეპცია. ამასთან, ამოსავალი ეფუძნებოდა ნაყოფის ჩასახვის ალბათობას ერთ თვეში. ეს ალბათობა დამოკიდებულია სქესობრივი ურთიერთობის სიხშირეზე, მაგრამ ჯინი არ იზიარებდა ამ აზრს და ვარაუდობდა, რომ ყველა დაქორწინებულ წყვილს ჰქონდა მსგავსი სქესობრივი ურთიერთობის სიხშირე. ამასთან, იგი თვლიდა, რომ სქესობრივი ურთიერთობის სიხშირე არ არის დამოკიდებული არც ასაკზე, და არც სქესობრივი კავშირის ხანგრძლივობაზე. აქედან გამომდინარე იგი ასკვნიდა, რომ ჩასახვის ალბათობა არ არის დამოკიდებული სქესობრივი ურთიერთობის სიხშირესა და ფორმებზე, რაც მართებული არ არის.

ჯინი, ისე, როგორც იმ დროის მრავალი მეცნიერი, სქესობრივ აქტივობას მიიჩნევდა როგორც ბუნებრივად ბოძებულს და განსაზღვრულს მხოლოდ ბიოლოგიური ფაქტორებით.

დემოგრაფებმა ადრევე მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ შობადობამ კლება იქამდე დაიწყო, ვიდრე ფართო გავრცელება ჰპოვა კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდებმა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო გადადგმული კინსლი დევისის და ჯუდი ბლეიკის მხრივ. თავის ნაშრომებში მათ აჩვენეს, რომ არსებობს ფაქტორების სამი ჯგუფი მაინც, რომლებიც ზემოქმედებენ შობადობაზე.

მიუხედავად ამისა, ემპირიული მონაცემების ნაკლებობა წარმოადგენდა გარკვეულ დაბრკოლებას დემოგრაფების მიერ სექსუალობის შესწავლის საკითხში.

გარკვეულმა მოვლენებმა შეცვალა ვითარება და გამოიწვია დემოგრაფიის ინტერესი სექსუალობისადმი. ასეთ მოვლენებს მიაკუთვნებენ კვლევების გაღრმავებასა და გაფართოებას, ოჯახური ქცევის ტრანსფორმაციას, თანამედროვე კონტრაცეპციის მეთოდების გავრცელებას და შიდსის გამოჩენას.

დემოგრაფია სექსუალობის შესწავლისას ითვალისწინებს სქესობრივი ქცევის ისტორიას, სქესობრივ ურთიერთობებს, აქტივობის ტიპს და სხვა.

ადამიანის სქესობრივი ისტორიის დასაწყისი შეესაბამება სქესობრივი ცხოვრების დაწყებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირველი სქესობრივი კავშირის ასაკს, პირველი სქესობრივი პარტნიორის მახასიათებლებს და პერიოდის ხანგრძლივობას პირველი სქესობრივი აქტიდან რეგულარული სქესობრივი ცხოვრების დაწყებამდე. ამასთან, ყურადღება ექცევა სქესობრივი პარტნიორების რაოდენობასა და მათთან ურთიერთობის ხანგრძლივობას. ასევე გასათვალისწინებელია ის მდგომარეობა, რომ სქესობრივი პარტნიორების რაოდენობა და სქესობრივი ურთიერთობის ხანგრძლივობა შეიძლება განსხვავებული იყოს.

თითოეული ადამიანის სექსუალობის ისტორია მოიცავს სქესობრივ ურთიერთობებს. სქესობრივ ურთიერთობებს აქვთ დასაწყისი, განვითარება, უმოქმედობის პერიოდი და დასასრული.

სექსუალობის შესწავლისაკენ მიმართული კვლევები ადგენენ სქესობრივი ურთიერთობის სიხშირეს, ფორმებს, პრაქტიკას, ორგაზმის მიღწევას და სხვა საკითხებს.

დემოგრაფია სექსუალობის კვლევისას ეფუძნება სქესობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული შეხედულებებისა და ნორმების შესწავლას. მაგ., რესპონდენტებს ეკითხებიან ერთგულებისა და ქორწინების გარეშე ურთიერთობების შესახებ დამოკიდებულებაზე. კონკრეტული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ამ საკითხებზე ნორმებსა და პრაქტიკას შორის არის მჭიდრო ურთიერთკავშირი. კვლევების შედეგებიდან ისიც იქნა დადგენილი, რომ სქესობრივ ქცევასთან დაკავშირებული ნორმები უფრო მტკიცეა იქ, რომელ საზოგადოებაშიც მნიშვნელობა ენიჭება რელიგიურ ნორმებს. ამასთან, ბევრ ქვეყანაში სქესობრივ ურთიერთობათა ნორმები განსხვავებულია და ეს განსხვავება შეიმჩნევა სქესის მიხედვით (მამაკაცებსა და ქალებს შორის).

სექსუალობის კვლევისას ერიდებიან პირდაპირი კითხვების დასმას. პასუხების სანდოობა ვერ მოწმდება გარე წყაროებით და ამდენად დამოკიდებულია კითხვარში მოცემული კითხვების შიდა თანმიმდევრობით ანალიზზე.

ბოლო ათწლეულებში იმატა თანაცხოვრების ფორმების ზრდამ და რეგისტრირებულ ქორწინებათა შემცირებამ. ასეთ დროს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება სქესობრივ ურთიერთობათა შესწავლას ქორწინებამდე.

განვითარებულ ქვეყნებში პირვანდელი სქესობრივი ურთიერთობა აღარ არის დამოკიდებული ქორწინების ლეგიტიმაციაზე. სქესობრივი ურთიერთობის ინტენსიურობა და უწყვეტობა თანდათანობით ქმნის წყვილს, შესაძლებლობას იძლევა გაგრძელდეს ეს კავშირი და წყვილმა იყოლიოს ბავშვებიც კი.

მეორე, საკმაოდ გახშირებული ვითარება ის არის, რომ განქორწინების შემთხვევაში ბავშვიან ქალებს, თანაცხოვრების (თანაცხოვრება – მამაკაცისა და ქალის სქესობრივი და სამეურნეო-ყოფითი კავშირი, რომელმაც არ მიიღო არავითარი საზოგადოებრივი აღიარება. ბავშვები, რომლებიც გააჩინეს თანაცხოვრებაში მყოფმა წყვილმა, ითვლებიან ქორწინების გარეშე

დაბადებულებად) გარეშე, ჰყავთ ახალი სქესობრივი პარტნიორები. მოცემულ შემთხვევაში, სქესობრივი და ოჯახური ცხოვრება მკვეთრად განსხვავებულია.

მყარი სქესობრივი ურთიერთობები პარტნიორებს შორის, რომელიც დამახასიათებელია კარიბისა და ზოგიერთი ევროპული ქვეყნისათვის გულისხმობს რამდენიმე სქესობრივი ურთიერთობის თანაარსებობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

ინდივიდუალური სქესობრივი პროფილი ფორმირდება სქესობრივი ცხოვრების დაწყებისას. ზოგიერთი უპირატესობას ანიჭებს საქორწინო ურთიერთობებს. ამან კი შეიძლება მიიყვანოს ადამიანები იმ გარემოებამდე, რომ სქესობრივი ურთიერთობები გადაწეულ იქნას. საქორწინო ორიენტაციის მქონე პირები ჩვეულებრივ გვიან იწყებენ სქესობრივ ცხოვრებას.

ადამიანთა სხვა ჯგუფისათვის სქესობრივი ურთიერთობა და ცხოვრება გაიგივებულია გარკვეული სიამოვნების დაკმაყოფილებასთან და ისინი შედარებით ადრე იწყებენ სქესობრივ ცხოვრებას.

სქესობრივი ქცევის გამოკვლევები მუდმივად აფიქსირებენ განსხვავებას მამაკაცებისა და ქალების პასუხებში.

ქალთა სექსუალობა ძირითადად გამოიხატება ვალდებულებებში, რაც მათ განასხვავებს მამაკაცებისაგან. მაგ., საფრანგეთში ქალების წილი, რომლებიც მიუღებლად მიიჩნევენ ქორწინების გარეშე ურთიერთობებს, 1990-იან წლებში უფრო მაღალი იყო, ვიდრე 1970-იან წლებში. ქალების როგორც საქორწინო, ისე სექსუალური გეგმები ცვლილებას განიცდიდნენ მათ მისწრაფებებში მომხდარი ცვლილებებიდან გამომდინარე. ქალები მამაკაცებთან შედარებით უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ვალდებულებებს, იქნება ეს საქორწინო, თუ უბრალოდ სასიყვარულო.

როდესაც ქალებს ეკითხებიან პირველი სქესობრივი კავშირის შესახებ, მათ პასუხებში ხშირად ფიგურირებს, რომ ეს იყო სქესობრივი კავშირი პარტნიორთან, რომელიც უყვარდათ და რომელიც მათზე უფროსი იყო. მამაკაცები ჩვეულებრივ უფრო ადრე იწყებენ სქესობრივ ცხოვრებას, განსაკუთრებით სამხრეთ ევროპის ქვეყნებში და ჰყავთ უფრო მეტი შემთხვევითი პარტნიორი, ვისთანაც არ არიან ემოციურად დაკავშირებული. როგორც წესი, პირველი მყარი სქესობრივი ურთიერთობის ფორმირებამდე მამაკაცებს უფრო მეტი სქესობრივი პარტნიორი ჰყავთ, ვიდრე ქალებს.

მამაკაცებისა და ქალების სექსუალური გამოცდილება მკვეთრად განსხვავდება 50 წლის ასაკის შემდეგ. მენოპაუზა არის ქალის ნაყოფიერების პერიოდის დასასრული და ბევრ საზოგადოებაში ეს ტრადიციულად მიჩნეული იყო ქალის სქესობრივი ცხოვრების დასასრულად, მაშინ, როდესაც მამაკაცებს ასეთი სიმბოლური შეზღუდვები არ ჰქონდათ. ბოლო 30 წლის განმავლობაში საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებმა შეცვალა აღნიშნულთან დაკავშირებული მდგომარეობა. 50 წლის ასაკზე უფროს ქალებს დღესდღეობით გაცილებით უფრო აქტიური სქესობრივი ცხოვრება აქვთ, ვიდრე მათ დედებს ჰქონდათ ამავე ასაკში.

მამაკაცები სქესობრივი ურთიერთობის საკითხში თავის თავს მეტ თავისუფლებას აძლევენ ქალებთან შედარებით და ხშირად განიხილავენ ქალებს როგორც დაპატრონების ობიექტს. არაიშვიათად ასეთ დამოკიდებულებას მოსდევს სქესობრივი ძალადობა ქალთა მიმართ.

დემოგრაფია ასევე მოწოდებულია სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის სქესობრივი კულტურის განსხვავებების დასახასიათებლად.

დემოგრაფია ცდილობს გაანალიზოს ფენომენი და დაახასიათოს თუ როგორ გავლენას ახდენს სხვადასხვა კულტურაში სქესობრივ ქცევაზე საქორწინო სისტემები, ასაკობრივი ჯგუფების სოციალური ორგანიზაცია, სქესი და სხვა.

1970-1990-იან წლებში 50 ქვეყანაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა საინტერესო შედეგები უჩვენა. სქესობრივ ურთიერთობაში შესვლის სამი ძირითადი ჯგუფი იქნა გამოყოფილი.

ერთ შემთხვევაში მშობლების და ოჯახის სტრატეგია ისეა აგებული, რომ მიმართულია ქალის სქესობრივი მომწიფების დროს მისი დაქორწინებისკენ. ამასთან, მამაკაცი ქალზე გაცილებით უფროსია. ასეთ დროს მამაკაცებს ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობის საგრძნობი პერიოდი აქვთ. ეს მოდელი ძირითადად აფრიკის ქვეყნებისა და ნეპალისათვის არის დამახასიათებელი.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან ლათინური ამერიკის და სამხრეთ ევროპის ქვეყნები. სოციალური კონტროლი აფერხებს ქალების საქორწინო კავშირის ფორმირებას და სქესობრივ ურთიერთობაში შესვლას, იცავს მათ ქალწულობას. მამაკაცებს სქესობრივი ურთიერთობა უფროსი ასაკის ქალებთან აქვთ.

მესამე ჯგუფი პირველ ორთან შედარებით ნაკლებად ერთგვაროვანია. შეიძლება ადგილი ჰქონდეს გვიან ქორწინებებს და ახალგაზრდების ყოფაქცევის მკაცრ კონტროლს (სინგაპური, შრი ლანკა, ჩინეთი, ვიეტნამი). ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში, შვეიცარიაში, გერმანიასა და ჩეხეთში მამაკაცები და ქალები რამდენიმე თაობის განმავლობაში თანასწორუფლებიანი იყვნენ სქესობრივი ურთიერთობის დაწყების საკითხში.

1970-იანი წლების მეორე ნახევარში დაბადებული კოჰორტის შესწავლამ აჩვენა, რომ იქ, სადაც ქალების სქესობრივი აქტივობა მამაკაცებზე ადრე იწყებოდა, ტენდენცია შეიცვალა ბოლო 20 წლის განმავლობაში – გაიზარდა ქალების პირველი სქესობრივი ურთიერთობის ასაკი, ხოლო მამაკაცების – მნიშვნელოვნად შემცირდა.

სქესობრივ ურთიერთობასთან დაკავშირებულ ცვლილებებს ადგილი აქვს აფრიკის ქვეყნებში. აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებში ქალების 40-50 %-ს ქორწინებამდე აქვს სულ ცოტა 2 წლის სქესობრივი ურთიერთობის გამოცდილება.

იმ ქვეყნებში, სადაც ქალების სქესობრივი ურთიერთობის შედარებით გვიანდელი ასაკი არსებობდა, გამოიკვეთა პირველი სქესობრივი კავშირის ასაკის შემცირების ტენდენცია, მაშინ როდესაც მამაკაცების პირველი სქესობრივი კავშირის ასაკი უცვლელი დარჩა.

იქ, სადაც მამაკაცებისა და ქალების პირველი სქესობრივი კავშირის ასაკი მსგავსი იყო, შეიმჩნევა მისი ერთდროული კლება, დაახლოებით ერთი წლით ბოლო 10 წლის განმავლობაში (ევროპა, აშშ). ამასთან, მნიშვნელოვანი გახდა განსხვავება პირველი სქესობრივი კავშირის ასაკსა და ქორწინების ასაკს შორის.

რამდენიმე სქესობრივი პარტნიორის ერთდროული ყოლა შემჩნეულია საფრანგეთსა და ფინეთში. ფინეთში ეს სქესობრივი ურთიერთობები მამაკაცებისა და ქალებისათვის თანაბარი პროპორციით არის წარმოდგენილი. საფრანგეთში, როგორც სამხრეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში, აღნიშნულის თვალსაზრისით, ძირითადად მამაკაცები გვევლინებიან.

ქვეყნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სქესობრივი მორალის მიხედვით, რომელიც კანონმდებლობაშიც კი აისახება. მაგ., ნიდერლანდებში სქესობრივი ორიენტაციის შესახებ კანონმდებლობა კრძალავს ჰომოსექსუალების დისკრიმინაციას.

რამდენიმე ქვეყანაში დაშვებულია ერთი სქესისგან შემდგარი წყვილის ქორწინება. პირველობა ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებს ეკუთვნით (დანია – 1989 წელი). მათ მოჰყვა სამხრეთ ევროპის ქვეყნებიც (საფრანგეთი – 1999 წელი).

არამართებული იქნებოდა სექსუალობის კვლევა რომელიმე მხოლოდ ერთი დისციპლინის ფარგლებში. სექსუალობა დისციპლინათაშორისი კვლევის საგანია და მის გაგებაში დემოგრაფიასაც შეაქვს თავისი წვლილი.

6. მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა

მოკვდაობა თაობათა ამოწყდომის პროცესია. მოკვდაობა მასობრივი პროცესია, რომელიც ყალიბდება სიკვდილის მრავალი ცალკეული შემთხვევისაგან. ეს უკანასკნელნი ხდებიან სხვადასხვა ასაკში და ერთობლიობაში განსაზღვრავენ რეალური ან ჰიპოთეზური თაობის ამოწყდომის რიგითობას.

თაობათა ამოწყდომის პროცესი დამოკიდებულია მოკვდაობის მრავალ ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორზე (ბუნებრივ-კლიმატური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და სხვა). მოკვდაობის დემოგრაფიული ანალიზის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მოკვდაობის ფაქტორების ორ მსხვილ ჯგუფად დაყოფა: 1) ენდოგენური, რომლებიც გამოწვეულია ადამიანის ორგანიზმის შინაგანი განვითარებით და 2) ეგზოგენური, რომლებიც დამოკიდებულია გარემოს მოქმედებაზე. სიკვდილი ყოველთვის არის ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების ურთიერთმოქმედების შედეგი, მაგრამ მათი როლი, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, განსხვავებულია და განსაკუთრებით მნიშვნელოვან განსხვავებას ჰქონდა ადგილი კაცობრიობის ისტორიის ცალკეულ პერიოდში.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მოკვდაობამ განიცადა მნიშვნელოვანი თვისებრივი და რაოდენობრივი ცვლილებები. თვისებრივ ცვლილებებში აღსანიშნავია მოკვდაობის ეგზოგენური ფაქტორების მოქმედების შესუსტება და თაობათა ამოწყდომის პროცესში შემთხვევითობის როლის შემცირება. რაოდენობრივი ცვლილებების თვალსაზრისით აღსანიშნავია ამოწყდომის რიგითობის ტრანსფორმაცია, რომელსაც მოჰყვა ყოველი თაობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა. ამ ცვლილებებს არ გააჩნდათ თანდათანობითი ხასიათი, ისინი ნახტომისებურად ვითარდებოდნენ. მოკვდაობის თვისებრივი და შესაბამისი რაოდენობრივი ნახტომები დაკავშირებული იყო მსხვილ სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებთან.

ისტორიულ-დემოგრაფიული გამოკვლევების შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ჯერ კიდევ შედარებით არც თუ ისე დიდი ხნის წინ ყველა ხალხისათვის დამახასიათებელი იყო ძირითადად ეგზოგენური მოკვდაობა და თაობათა ამოწყდომის მაღალი სიჩქარე. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ჩვეულებრივ დაახლოებით 30 წელს შეადგენდა და არასოდეს აღემატებოდა 35 წელს, ხოლო მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი, როგორც წესი, 32-40‰ ნაკლები არ იყო. ასეთი ვითარების ცვალებადობა პირველად დასავლეთ ევროპაში XVIII საუკუნის ბოლოს დაიწყო და გამოხატული ხასიათი დაახლოებით XIX საუკუნის შუა პერიოდიდან მიიღო. ამ ცვალებადობის შედეგად პირველად ისტორიაში მოხდა არა მარტო მოკვდაობის ეგზოგენური ფაქტორების შეზღუდვა, არამედ მათ გადაინაცვლეს უკანა პლანზე და გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცათ მოკვდაობის ენდოგენურ ფაქტორებს. არსებითად შეიცვალა სიკვდილის მიზეზთა სტრუქტურა. მკვეთრად შემცირდა სიკვდილის წილი, რომლებიც გამოწვეული იყო ისეთი ეგზოგენური მიზეზებით, როგორიცაა შიმშილი, ეპიდემიები, ტუბერკულოზი, კუჭ-ნაწლავთა, ინფექციური და სხვა მსგავსი დაავადებებით. გადამწყვეტი როლი მიენიჭათ ენდოგენურ ფაქტორებს, ძირითადად სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებს. XX საუკუნეში მსგავსი პროცესები თანდათან გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც. საქართველოში აღნიშნული ცვალებადობა დაიწყო XIX საუკუნეში.

მოკვდაობა პირველი დემოგრაფიული პროცესია, რომელიც მეცნიერული ანალიზის ობიექტი გახდა. სწორედ მოკვდაობის შესწავლა დაედო საფუძვლად ჯ. გრაუნტის ნაშრომს (1662 წელი). განვლილი დროის განმავლობაში შემუშავებულ იქნა მოკვდაობის შესწავლის სპეციფიკური მეთოდები. მოკვდაობის შესწავლისას დემოგრაფია მჭიდრო ურთიერთკავშირშია ისეთ სხვა მეცნიერულ დისციპლინებთან, როგორიცაა მათემატიკა, სტატისტიკა, სოციალური ჰიგიენა, გერონტოლოგია და სხვა.

6.1. მოკვდაობასთან დაკავშირებული ცნებები

ანტენატალური მოკვდაობა – ნაყოფის სიკვდილი ორსულობის 28 კვირის გასვლის შემდეგ მშობიარობის დაწყებამდე.

ახალდაბადებულთა მოკვდაობა – იგივეა, რაც ნეონატალური მოკვდაობა.

გენერაციული მოკვდაობა – ქალების მოკვდაობა, რომელიც დაკავშირებულია ბავშვთა შობის ფუნქციის განხორციელებასთან. გენერაციული მოკვდაობის მიზეზებია: აბორტის, ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდის გართულებები; აგრეთვე ავადმყოფობები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ორსულობასა და მშობიარობასთან, მაგრამ რომლებიც გართულებულია მათ მიერ.

დედათა მოკვდაობა – ქალების მოკვდაობა ორსულობის ბოლოს (28 კვირის შემდეგ), მშობიარობისას და მშობიარობის შემდგომ პერიოდში (მშობიარობიდან 6 კვირის მანძილზე).

ინტრანატალური მოკვდაობა – ნაყოფის სიკვდილი მშობიარობის განმავლობაში.

კვაზიენდოგენური მოკვდაობა – ტერმინი, რომელიც გამოიყენება მოკვდაობის ისეთი ტიპის აღნიშვნისათვის, რომელიც დაკავშირებულია ენდოგენურ ფაქტორებთან, თუმცა სინამდვილეში საფუძვლად უდევს გარე მიზეზები.

ნაყოფის მოკვდაობა – ჩანასახის დაღუპვა ორსულობის მეცხრე კვირიდან დაწყებული დაბადების მომენტამდე.

ნეონატალური მოკვდაობა – ჩვილთა მოკვდაობა დაბადების მომენტიდან სიცოცხლის 28-ე დღემდე.

ადრეული ნეონატალური მოკვდაობა – ჩვილთა მოკვდაობა დაბადების მომენტიდან სიცოცხლის პირველ კვირას.

გვიანდელი ნეონატალური მოკვდაობა – ჩვილთა მოკვდაობა სიცოცხლის 2-4 კვირის განმავლობაში.

პერინატალური მოკვდაობა – ნაყოფებისა და ჩვილთა მოკვდაობა პერინატალური პერიოდის განმავლობაში (იხ. პერინატალური პერიოდი). პერინატალური მოკვდაობა შეიცავს მკვდრადშობადობასა და ადრეულ ნეონატალურ მოკვდაობას.

პოსტნატალური მოკვდაობა – იგივეა, რაც ადრეული ნეონატალური მოკვდაობა.

პოსტნეონატალური მოკვდაობა – მოკვდაობა სიცოცხლის 28-ე დღიდან ერთ წლამდე ასაკში.

პროფესიული მოკვდაობა – გულისხმობს მოკვდაობის დიფერენციაციას დასაქმების სახეების მიხედვით სხვა ნიშნების (სქესი, ასაკი და სხვა) გათვალისწინებით. მოკვდაობის შესწავლის ერთ-ერთი მიმართულება. შესაბამისი სტატისტიკური მასალის დამუშავების საფუძველზე შესაძლებელი ხდება პროფესიული მოკვდაობის ასაკობრივ-სქესობრივი კოეფიციენტების გაანგარიშება და ანალიზი. პროფესიული მოკვდაობის ანალიზი შეიძლება შეიცავდეს არა მარტო უფროსი ასაკის მოსახლეობის მოკვდაობის კვლევას, არამედ მკვდრადშობადობისა და ახალდაბადებულთა მოკვდაობასაც მათი მშობლების დასაქმების მიხედვით. პროფესიული მოკვდაობის ანალიზისას დიდი მნიშვნელობა აქვს დასაქმებათა სწორ კლასიფიკაციას. პირველად პროფესიული მოკვდაობის დემოგრაფიული გამოკვლევა ჩატარებულ იქნა ინგლისელი დემოგრაფის უილიამ ფარის მიერ ინგლისისა და უელსის 1861 წლის აღწერის მონაცემებისა და 1860-1861 წლების მოკვდაობის რეგისტრაციის საფუძველზე.

პროფესიული მოკვდაობა დიფერენციული მოკვდაობის შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება.

დიფერენციული მოკვდაობა – მიმართულება მოკვდაობის დემოგრაფიულ ანალიზში. ეფუძნება ცალკეული დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფების მოკვდაობის დონეში განსხვავებების შესწავლას. ფორმალურად დიფერენციული მოკვდაობის ანალიზს მიეკუთვნება მისი ასაკობრივ-სქესობრივი განსხვავებების შესწავლა. პრაქტიკულად დიფერენციულ მოკვდაობას მიაკუთვნებენ მოკვდაობის რასობრივ, ეთნიკურ, სარწმუნოებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, ქორწინებითი მდგომარეობის და ა.შ. განსხვავებათა შესწავლას.

მოკვდაობა სიკვდილის მიზეზების მიხედვით – გულისხმობს მოკვდაობის დიფერენციაციას სიკვდილის მიზეზების მიხედვით. სიკვდილის მიზეზების მიხედვით მოკვდაობის ანალიზი საშუალებას იძლევა: შეფასდეს მოკვდაობაში სიკვდილის ცალკეული მიზეზის მნიშვნელობა, გაკეთდეს დასკვნა იმის თაობაზე, თუ მოკვდაობის დონის შემცირებისათვის რომელი დაავადებების წინააღმდეგ უნდა იქნას მიმართული ძირითადი ძალისხმევა, განისაზღვროს ამა თუ იმ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ღონისძიებათა ეფექტიანობა.

მნიშვნელოვანი ცვლილება მოკვდაობის სტრუქტურაში განპირობებულ იქნა ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებათა შორის თანაფარდობის ცვალებადობით. თუ XX საუკუნის დასაწყისში ინფექციურ დაავადებებს პირველი ადგილი ეკავათ სიკვდილის მიზეზთა სტრუქტურაში, უკვე XX საუკუნის 60-იანი წლებისათვის მოკვდაობა ამ მიზეზით შემცირდა ათჯერ და მეტჯერ და პირველ ადგილზე გამოვიდა მოკვდაობა სისხლის მიმოქცევის სისტემის, ავთვისებიანი ახალწარმონაქმნებისა და აგრეთვე უბედური შემთხვევების, მოწამვლებისა და ტრავმების მიზეზებით.

ჩვილთა მოკვდაობა – ბავშვთა მოკვდაობა სიცოცხლის პირველ წელს (0-12 თვე). ჩვილთა მოკვდაობა მნიშვნელოვნად ჭარბობს მომდევნო ასაკობრივი ჯგუფების მოკვდაობას გარდა ხანდაზმული და მოხუცებულობის ასაკისა. ჩვილთა მოკვდაობა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს, რომელიც არაპირდაპირ ახასიათებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ჩვილთა მოკვდაობის შემცირება ხელს უწყობს მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდას.

დადგენილია, რომ ნაყოფისა და ჩვილთა მოკვდაობა დამოკიდებულია ქორწინებით მდგომარეობაზე, დედის განათლების დონეზე, მამის პროფესიასა და სოციალურ მდგომარეობაზე. დაქორწინებულებში, მაღალი განათლების მქონე დედებსა და მაღალი სოციალური სტატუსის მქონე მამების ჩვილთა მოკვდაობა უფრო დაბალია დაუქორწინებელ, დაბალი განათლების მქონე დედებისა და დაბალი სოციალური სტატუსის მქონე მამებთან შედარებით.

ქვეყნებში, სადაც ჩვილთა მოკვდაობა განსაკუთრებით მაღალი იყო, გამოვლენილ იქნა აგრეთვე, რომ ბიჭებში პირველი რიგითობის ბავშვებში, დაბალი ინტერგენეტიკური ინტერვალისას (2 და ნაკლები წელი), 20 წლამდე ასაკის დედებში, განათლების არმქონე დედებსა და სოფლად ჩვილთა მოკვდაობა უფრო მაღალია, ვიდრე გოგონებში, მე-4 და შემდგომი რიგითობის ბავშვებში, მაღალი (4 და მეტი წელი), 20-29 წლის ასაკის დედებში, განათლების მქონე დედებსა და ქალაქად.

XX საუკუნის 80-იან წლებში ჩვილთა მოკვდაობა ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ქვეყნების მიხედვით. განვითარებულ ქვეყნებში მისი მაჩვენებელი 10-ზე ნაკლები იყო, ხოლო აზიისა და აფრიკის რიგ ქვეყნებში (ლაოსი, პაკისტანი, ომანი, ეთიოპია, ჩადი და სხვა) აღემატებოდა 100-ს.

ჩვილთა მოკვდაობის შემცირების ძირითადი პირობებია: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის კულტურული და მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლება, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება.

მამაკაცთა ზემოკვდაობა (ჭარბმოკვდაობა) – მამაკაცთა მოკვდაობის ინტენსივობის სიჭარბე ქალების მოკვდაობის ინტენსივობასთან შედარებით. მამაკაცთა ზემოკვდაობა გამოიანგარიშება როგორც შეფარდებითი სიდიდე, რომლის მრიცხველია მამაკაცთა მოკვდაობის კოეფიციენტი (ზოგადი ან ასაკობრივი), ხოლო მნიშვნელში ქალების მოკვდაობის კოეფიციენტი (ზოგადი ან ასაკობრივი). ეს მაჩვენებელი გამოისახება პროცენტობით. მამაკაცთა ზემოკვდაობა აიხსნება ბიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებით. პირველს მიეკუთვნება გენეტიკურად განპირობებული ქალის ორგანიზმის უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს ეგზოგენურ ზემოქმედებას; მეორეს – სამუშაო ასაკში მამაკაცთა სიკვდილის მაღალი რისკი საწარმოო ხასიათის ტრავმებისაგან, მავნე ჩვევების (თამბაქოს წევა, ალკოჰოლიზმი) მეტი გავრცელებისა და სხვა სახის ქცევებისაგან, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ჯანმრთელობაზე. მამაკაცთა ზემოკვდაობა განსაკუთრებით მაღალია სამუშაო ასაკში.

მოკვდაობის ძალა – დემოგრაფიული მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს მოკვდაობის ინტენსივობის ზომას ასაკის მცირე ინტერვალში. მოკვდაობის ძალა ტოლია ერთ წელზე დაყვანილი სიკვდილის ალბათობისა უსასრულოდ მცირე ასაკობრივი ინტერვალის მანძილზე. მოკვდაობის ძალა გამოიყენება მოკვდაობის უწყვეტ მოდელებში ძირითადად სხვადასხვა დემომეტრიულ ფუნქციას შორის კავშირის დასამყარებლად. უშუალოდ დემოგრაფიული ანალიზისას მოკვდაობის ძალა, როგორც წესი, არ გამოიყენება. ცნება "მოკვდაობის ძალა" დემოგრაფიულ ლიტერატურაში 1825 წელს შემოიტანა ინგლისელმა მათემატიკოსმა ბენჯამინ გომპერცმა.

6.2. მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ევოლუცია

ერთ-ერთი პირველი ცნობები გარდაცვლილთა ასაკის შესახებ მიეკუთვნება ადრეული პალეოლითის პერიოდს. პალეოდემოგრაფიული გამოკვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ გარდაცვლილთა საშუალო ასაკი დაახლოებით 16 წელს შეადგენდა, თუმცა დაკვირვებათა რაოდენობა საკმაოდ მცირე იყო (სულ 22) და ამდენად ნაკლებად სანდო.

ადრეული სხვა მონაცემები პალეოლითის საშუალო, გვიანდელ და მეზოლითის პერიოდს ეხება. მათი შეჯამებული მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ გარდაცვლილთა საშუალო ასაკი 20,8 წელს შეადგენდა, ხოლო გარდაცვლილთა ასაკის განაწილებას ქვემოთ მოტანილი დიაგრამა ასახავს.

დიაგრამა 6.1. გარდაცვლილთა განაწილება (%) ასაკის მიხედვით პალეოლითისა და მეზოლითის ხანაში



მოტანილ დიაგრამაზე პირველ რიგში ყურადღებას იქცევს გარდაცვლილ ბავშვთა მაღალი წილი. მეორე პიკი 21-30 წლის ასაკის მოსახლეობაზე მოდის, ხოლო 50 წლის ასაკზე უფროსების წილი ძალიან მცირეა.

პალეოდემოგრაფიული გამოკვლევებიდან გამომდინარეობს, რომ ნეოლითის ხანაში გარდაცვლილთა მოდალური ასაკი 32 წელს აღწევდა, მაშინ როდესაც პალეოლითისას ის დაახლოებით 26 წლის ტოლი იყო.

რომის იმპერიის დროის მონაცემებიდან გამომდინარე გარდაცვლილთა საშუალო ასაკი 32 წელს შეადგენდა.

არსებული მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ X-XIV საუკუნის ევროპაში გარდაცვლილთა საშუალო ასაკი 29 წლამდე იყო.

იგივე მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ მოსახლეობის პრივილეგირებულ ფენებშიც კი მხოლოდ მცირე წილი (4,2%) აღწევდა სიბერეს, ხოლო ამასთან ერთად ძალიან მაღალი იყო ჩვილთა ასაკში გარდაცვლილთა წილი (31,2%).

მოკვდაობა საკმაოდ მაღალ დონეზე რჩებოდა და მოსახლეობის 1000 სულზე 40-ის ფარგლებში მერყეობდა. ეპიდემიების შედეგად მოკვდაობის დონე ძალიან მაღალი იყო. მაგ., შავი ჭირის შედეგად, რომელიც ევროპაში 1347-1352 წლებში იყო გავრცელებული, ზოგიერთ რეგიონში მოსახლეობის ნახევარი გაანადგურა.

არსებით განსხვავებებს ვხვდებით რეგიონების მიხედვით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული X-XIV საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში გარდაცვლილთა საშუალო ასაკი 29 წლამდე იყო, მაშინ როდესაც რუსეთში 1798-1805 წლებში და 1806-1834 წლებშიც მხოლოდ 26 და შესაბამისად 26,3 წელს შეადგენდა.

1875 წლისათვის ევროპის რიგ ქვეყნებში (ინგლისი და უელსი, დანია, ნორვეგია, საფრანგეთი, შვეიცარია, შვედეთი) სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას 40-50 წელს შორის მერყეობდა.

მიუხედავად ამისა, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, სხვადასხვა მიზეზით, მოკვდაობა ზოგჯერ მნიშვნელოვნად იზრდებოდა. მაგ., ფინეთში 1868 წლის შიმშილობის დროს მოკვდაობა მოსახლეობის 1000 სულზე 80-მდე გაიზარდა.

სიცოცხლის ხანგრძლივობის დინამიკა, ორივე სქესისათვის, ევროპის რიგი ქვეყნებისა და აშშ-თვის (შეჯამებული სახით), 1840-1950 წწ. მოტანილია დიაგრამა 6.2-ზე.

დიაგრამა 6.2. სიცოცხლის ხანგრძლივობის დინამიკა ევროპის რიგ ქვეყნებსა და აშშ-ში 1840-1950 წწ. (ორივე სქესი)



	1840	1850	1860	1870	1880	1890	1900	1910	1920	1930	1940	1950
—	41.0	41.5	42.2	43.5	45.2	47.1	50.5	54.3	58.3	61.7	64.6	69.8

დიაგრამაზე მოტანილი მონაცემები გაანგარიშებულია ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების საფუძველზე და მოიცავს 6 ევროპულ ქვეყანას (დანია, ინგლისი და უელსი, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვედეთი) და აშშ-ს.

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან XX საუკუნის I ნახევრამდე სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ცხადია, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა მოკვდაობის ასაკობრივი ინტენსივობის კლების შედეგი იყო.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში, იყო წლები, როდესაც მოკვდაობა ძალიან მაღალ დონეს აღწევდა. მაგ., უკრაინაში 1933 წლის შიმშილობის დროს, რომლის მოსახლეობა იმ დროს 30 მილიონს შეადგენდა, გარდაიცვალა 2,5 მილიონი. ამავე დროს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას შემცირდა 7 წლით მამაკაცებისათვის და 10 წლით ქალებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოტანილი ფინეთის მაგალითისაგან განსხვავებით, შიმშილობა უკრაინაში გამოწვეული იყო არა კლიმატური პირობებით, არამედ სოფლის მეურნეობაში იძულებითი კოლექტივიზაციის პოლიტიკის შედეგად.

ორი საუკუნის განმავლობაში, 1920-იან წლებამდე, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა მიმდინარეობდა ჩვილთა და ბავშვთა მოკვდაობის შემცირების შედეგად. 1740-1749 წლებიდან 1925 წლამდე, საშუალოდ, მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა გაიზარდა 29 წლით, ხოლო ქალების – 32 წლით.

დიაგრამა 6.3. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას ეკონომიკურად განვითარებულ და განვითარებად რეგიონებში



1950-იანი წლები და შემდგომი პერიოდი სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდით ხასიათდებოდა. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი განსხვავება შეიმჩნეოდა ეკონომიკურად განვითარებულ და განვითარებად რეგიონებს შორის.

მთლიანობაში, მსოფლიოს მასშტაბით, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას, 1950-1990 წლების პერიოდში 44,8 წლიდან 60 წლამდე გაიზარდა. 15 წლიანი მატება ძალიან მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ.

აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, ზოგიერთ შემთხვევაში, მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდაში. მაგ., მალარიის აღმოფხვრას შრი ლანკაში მოჰყვა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა 12 წლით და ეს მატება ორი წლის განმავლობაში მოხდა.

თვალსაჩინო რეგიონული განსხვავებები თვით ევროპისათვისაც იყო დამახასიათებელი. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპაში ის უფრო დაბალი იყო და ასეთად რჩება, ვიდრე ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში.

1990-იან და შემდგომ წლებში სიცოცხლის ხანგრძლივობა კვლავ განაგრძობდა მატებას. მიუხედავად ამისა, რეგიონული განსხვავებები ისევ საკმაოდ მნიშვნელოვანია და გაეროს ექსპერტთა გაანგარიშებით გარკვეული განსხვავებები მომავალშიც იქნება შენარჩუნებული, თუმცა განსხვავება დღევანდელთან შედარებით გაცილებით ნაკლები იქნება.

ამდენად, სიცოცხლის ხანგრძლივობამ ძველი დროიდან დღემდე მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა და სამომავლოდაც გარკვეული ცვლილებებია მოსალოდნელი. ზოგადი ტენდენცია სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდით გამოიხატება.

დიაგრამა 6.4. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას ეკონომიკურად განვითარებულ და განვითარებად რეგიონებში: 1995-2050 წწ. (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



ზოგიერთი მეცნიერის აზრით სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას მომავალში შეიძლება 115 წლამდე გაიზარდოს. სხვათა აზრით, მოდალური ბიოლოგიური ზღვარი 95 წელს შეადგენს. ასევე სავსებით შესაძლებლად არის მიჩნეული, რომ მომდევნო საუკუნეში სიცოცხლის მოსალოდნელმა ხანგრძლივობამ დაბადებისას მამაკაცებისათვის შეადგინოს 91 წელი, ხოლო ქალებისათვის – 95 წელი.

მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ევოლუციის ჩვენება შესაძლებელია ასევე მოკვდაობის მოდელური ცხრილების საფუძველზე (იხ. მოკვდაობის მოდელური ცხრილები).

კოულ-დემენის მოკვდაობის მოდელური ცხრილები ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ცხრილებია.

ქვემოთ მოტანილი ანალიზი, უძველესი დროიდან დღემდე, სწორედ კოულ-დემენის რეგიონული მოკვდაობის მოდელური ცხრილების დასავლეთის მოდელს ეფუძნება.

პირველი დონე უნდა შეესაბამებოდეს პალეოლითისა და მეზოლითის ხანას. მოკვდაობის კოეფიციენტებიდან გამომდინარეობს, რომ ძალიან მაღალი იყო ჩვილთა მოკვდაობა. ჩვილ ბავშვთა თითქმის ნახევარი 1 წლის ასაკსაც ვერ აღწევდა, ხოლო 5 წლის ასაკამდე დაბადებულთა მხოლოდ 45% რჩებოდა. მოკვდაობის ასეთი ინტენსივობის დროს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა (იხ. დიაგრამა 6.5.).

დიაგრამა 6.5. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა (ორივე სქესისათვის) პალეოლითისა და მეზოლითის ხანაში კოულ-დემენის მოდელური ცხრილებიდან გამომდინარე



როგორც ვხედავთ, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას 20 წელზე რამდენადმე ნაკლებია და მაქსიმუმს აღწევს იმათთვის, ვინს 5 წლის ასაკს მიაღწია, ხოლო შემდეგ სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა მკვეთრად კლებულობს. განსხვავება მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ტრენდის თვალსაზრისით მსგავსია. განსხვავება მათ შორის მხოლოდ იმით გამოიხატება, რომ ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ყველა ასაკში რამდენადმე მეტია მამაკაცებთან შედარებით.

დიაგრამა 6.6. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ევოლუცია პალეოლითის ხანიდან რომის იმპერიის დრომდე კოულ-დემენის მოდელური ცხრილების მიხედვით



რომის იმპერიის პერიოდი, კოულ-დემენის მოდელური ცხრილებიდან გამომდინარე, მე-6-მე-7 დონეს უნდა შეესაბამებოდეს. პალეოლითის ხანიდან რომის იმპერიის დრომდე სიცოცხლის ხანგრძლივობამ ევოლუციის ხანგრძლივი გზა განვლო, რომელიც მე-6.6. დიაგრამაზეა ასახული.

უნდა ვივარაუდოთ, რომ რომის იმპერიის ხანაში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას ორივე სქესისათვის დაახლოებით 33-34 წელს შეადგენდა და შემდეგნაირად გამოიყურებოდა (იხ. დიაგრამა 6.7.).

რომის იმპერიის დროს ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა მართალია ისევ ძალიან მაღალი რჩებოდა და გოგონების და ბიჭების შემთხვევაში შესაბამისად 240-290 შეადგენდა ათასს დაბადებულზე, მაგრამ მნიშვნელოვნად ნაკლები იყო, ვიდრე პალეოლითის ხანაში, სადაც ის 450-530 შეადგენდა.

როგორც ჩვილთა, ისე სხვა ასაკის მოსახლეობის მოკვდაობის ინტენსივობა დროთა განმავლობაში კლებას განიცდიდა, რასაც მოჰყვებოდა სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, თუმცა ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავდა.

დიაგრამა 6.7. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა რომის იმპერიის დროს კოულ-დემენის მოდელური ცხრილებიდან გამომდინარე



რომის იმპერიის დროიდან დაახლოებით 2000 წელი იყო საჭირო, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობას ისეთი ევოლუციური გზა გაევლო, რომ მიეღწია XIX საუკუნის მეორე ნახევარში იმ დონისათვის, რომელიც ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის იყო დამახასიათებელი. კოულ-დემენის მოდელური ცხრილებიდან გამომდინარე ჩვენ ვგულისხმობთ მე-12 – მე-13 დონეს.

დიაგრამა 6.8. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას XIX საუკუნის II ნახევარში, ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კოულ-დემენის მოდელური ცხრილების მიხედვით



იმ დროსათვის ჩვილთა მოკვდაობა ორივე სქესისათვის ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დაახლოებით 140 შეადგენდა 1000 დაბადებულზე, ხოლო 5 წლის ასაკს დაბადებულთა 80% აღწევდა.

როდესაც სიცოცხლის ხანგრძლივობის ევოლუციას ვახასიათებთ, გამოვდივართ ზოგადი ტენდენციებიდან და ამასთან აქცენტირება განვითარებული ქვეყნების მაგალითიდან კეთდება. ბუნებრივია, რომ რეგიონული განსხვავებები კონტინენტებსა და ქვეყნებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო და სადღეისოდაც ასეთად რჩება.

1900 წლიდან 1950 წლამდე სიცოცხლის მოსალოდნელმა ხანგრძლივობამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა ზრდის თვალსაზრისით (იხ. დიაგრამა 6.9.).

აღნიშნულ პერიოდში 1000 დაბადებულზე ჩვილთა მოკვდაობა დაახლოებით 125-დან 28-მდე შემცირდა.

კოულ-დემენის მოდელური ცხრილებიდან გამომდინარე სიცოცხლის ხანგრძლივობის შემდგომი ევოლუციის საფუძველზე მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა 76,6, ხოლო ქალებისა - 80 წლამდე გაიზრდება. ეს არის ის უმაღლესი 25-ე დონე, რომელიც კოულ-დემენის მოდელური ცხრილებიდან გამომდინარეობს.

ამდენად, პირველი დონიდან უმაღლეს დონემდე სიცოცხლის მოსალოდნელმა ხანგრძლივობამ შემდეგი ევოლუცია განიცადა (იხ. დიაგრამა 6.10.).

მოტანილი დიაგრამიდან ნათელია, რომ სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას უძველესი დროიდან დღემდე 60 წლით გაიზარდა. აღნიშნულ ზრდას ხელი შეუწყო ასაკობრივი მოკვდაობის ინტენსივობის შემცირებამ, განსაკუთრებით ჩვილთა ასაკში, სადაც ის განვითარებულ ქვეყნებში თითქმის 500-დან 3-5-მდე შემცირდა 1000 დაბადებულზე.

სადღეისოდ არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა იმაზე მიუთითებს, რომ სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას რიგ ქვეყნებში უფრო მაღალიც კი არის, ვიდრე კოულ-დემენის მოდელური ცხრილების უმაღლესი დონის მიხედვით უნდა იყოს.

დიაგრამა 6.9. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ცვლილება 1900-1950 წლებში კოულ-დემენის მოდელური ცხრილების მიხედვით განვითარებული ქვეყნებისათვის





დიაგრამა 6.10. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ევოლუცია დაბალიდან უმაღლეს დონემდე კოულ-დემენის მოდელური ცხრილების მიხედვით





საქმე ის არის, რომ კოულ-დემენის მოდელური ცხრილების (დასავლეთის მოდელი) უმაღლესი დონისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას მამაკაცებისათვის 76,6, ხოლო ქალებისათვის – 80 წელს შეადგენს.

დიაგრამა 6.11. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას მსოფლიოს რიგ ქვეყნებში 2005 წლისათვის



	კანადა	იაპონია	საფრანგეთი	ისლანდია	ესპანეთი	შვედეთი	შვეიცარია
მამაკაცები	77	78	77	77	77	78	78
ქალები	82	85	84	83	84	83	83

მთელ რიგ ქვეყნებში, 2005 წლისათვის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას უფრო მაღალი იყო, ვიდრე ეს კოულ-დემენის მოდელური ცხრილების უმაღლესი დონიდან გამომდინარეობდა.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ რჩება 5-7 წლამდე განსხვავება მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას შორის.

გაეროს ექსპერტების პროგნოზული გაანგარიშებებიდან გამომდინარეობს, რომ სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა მომავალშიც მოიმატებს. მაგალითად, შვედეთში 2040-2050 წლებში მამაკაცებისათვის 81, ხოლო ქალებისათვის 86 წლამდე გაიზრდება.

XX საუკუნეში აღინიშნა სიცოცხლის ხანგრძლივობის აქამდე არნახული ზრდა, რომელიც ძნელი წარმოსადგენიც კი იყო წარსულში.

როგორი იქნება სიცოცხლის ხანგრძლივობა მომავალში?

აღნიშნულის თაობაზე დემოგრაფებსა და ბიოლოგებს განსხვავებული შეხედულება აქვთ.

ზოგის აზრით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ შემთხვევებს, როდესაც ადამიანი 100-ზე მეტ წელს ცოცხლობს, 85 წლის სიცოცხლის ხანგრძლივობა (იაპონიაში უკვე მიღწეულია ქალებისათვის) ბიოლოგიური ზღვარია.

სხვათა აზრით ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა შეიძლება გაცილებით მეტი იყოს დღევანდელთან შედარებით. ამის სასარგებლოდ მოჰყავთ დიეტისა და ტემპერატურული შეზღუდვის მაგალითი, რომლებსაც შეუძლიათ დაბერების პროცესის შენელება და სიცოცხლის ხანგრძლივობის ამაღლება 150 წლამდე.

ბიბლიის მიხედვით, პირველი ადამიანი – ადამი 930 წელს ცხოვრობდა.

არის მოსაზრება, რომლის მიხედვით სიკვდილი არ არის ბიოლოგიურად გარდაუვალი. მოკვდაობა ევოლუციურად იყო სასარგებლო, თუმცა მისი სარგებლობა უკვე ასეთი სასარგებლო აღარ არის და დროთა განმავლობაში შეიცვლება.

სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას მრავალი კითხვა მოჰყვება. როგორ აისახება სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა მოსახლეობაზე და განსაკუთრებით ხანდაზმულებზე?

უკვე სადღეისოდ არის კითხვები: 1970-1980-იან წლებში სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა იყო ავადობის შემცირების შედეგი, თუ გვიანდელი მოკვდაობა გადავადებული ავადობიდან გამომდინარეობდა?

6.3. მოკვდაობის დონის მაჩვენებლები

მოკვდაობის დონეს სხვადასხვა კოეფიციენტებისა და ინდექსების საფუძველზე ახასიათებენ.

მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი წარმოადგენს მოკვდაობის ყველაზე გავრცელებულ მაჩვენებელს. უჩვენებს გარდაცვლილთა რაოდენობას მოსახლეობის 1000 სულზე. გამოისახება პრომილეთი (‰). მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი (m) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$m = \frac{D}{P} \cdot 1000 ,$$

სადაც D არის გარდაცვლილთა საერთო რაოდენობა რომელიმე პერიოდში (მაგ., 1 წლის განმავლობაში); P – მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

მაგ., შეფასებითი მონაცემებით გარდაცვლილთა რაოდენობა საქართველოში 2005 წელს შეადგინა 50260, ხოლო მოსახლეობის საშუალო რაოდენობა, ასევე შეფასებითი მონაცემებით, იმავე დროს, იყო 3884,5 ათასი. აქედან გამომდინარე

$$m = \frac{50260}{3884500} \cdot 1000 = 12,9$$

მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტი – ზომავს მოკვდაობის დონეს ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების (ერთწლიანი, 5 წლიანი და სხვა) მიხედვით. განისაზღვრება როგორც გარკვეულ დროში (ჩვეულებრივ ერთ წელიწადში) მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილთა აბსოლუტური რაოდენობის შეფარდება ამ ასაკობრივი ჯგუფის საშუალო რაოდენობასთან. გამოისახება პრომილეთი (‰). მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტი (m_x) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$m_x = \frac{D_x}{P_x} \cdot 1000 ,$$

სადაც D_x – გარდაცვლილთა აბსოლუტური რაოდენობა მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში; P_x – მოცემული ასაკობრივი ჯგუფის საშუალო რაოდენობა.

მაგ., შეფასებითი მონაცემებით გარდაცვლილთა რაოდენობამ საქართველოში 2005 წელს 30-34 წლის ასაკის მამაკაცებში შეადგინა 380, ხოლო 30-34 წლის ასაკის მამაკაცების საშუალო რაოდენობა, ასევე შეფასებითი მონაცემებით, იმავე დროს იყო 125,1 ათასი. აქედან გამომდინარე

$$m_x = \frac{380}{125100} \cdot 1000 = 3,0 ,$$

რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში 2005 წელს 30-34 წლის ასაკის ათასი მამაკაციდან გარდაიცვალა 3.

ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი – მაჩვენებელი, რომელიც ზომავს დაბადებიდან ერთ წლამდე ასაკის ბავშვების მოკვდაობის დონეს. ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის გაანგარიშებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ჩვილთა მოკვდაობის დონე მნიშვნელოვნად მაღალია შემდგომი ასაკობრივი ჯგუფების მოკვდაობის დონესთან შედარებით (ხანდაზმული და მოხუცებულობის ასაკის გარდა). მოკვდაობის სხვა კოეფიციენტებისაგან განსხვავებით, მოცემულ შემთხვევაში, გარდაცვლილთა რაოდენობა შეეფარდება ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობას და არა მოსახლეობის საშუალო რაოდენობას. ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი გამოისახება პრომილეთი (‰) და უჩვენებს ერთ წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობას ყოველ 1000 ცოცხლად დაბადებულზე. არსებობს ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის (m_o) გამოთვლის რამდენიმე მეთოდი. ყველაზე მარტივია:

$$m_0 = \frac{D_0}{N} \cdot 1000,$$

სადაც D_0 არის ერთ წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა მოცემულ წელს; N – ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა იგივე წელს.

მაგ., შეფასებითი მონაცემებით 2005 წელს ერთ წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა იყო 1150, ხოლო ცოცხლად დაბადეულთა რაოდენობა – 50000. აქედან გამომდინარე

$$m_0 = \frac{1150}{50000} \cdot 1000 = 23$$

უფრო ზუსტია მეთოდი, რომლის დროსაც გაითვალისწინება შობადობის დონის ცვალებადობის გავლენა. მის შემთხვევაში:

$$m_0 = \frac{D_0}{\frac{2}{3} \cdot N + \frac{1}{3} \cdot N_{-1}} \cdot 1000,$$

სადაც N_{-1} – წინა წელს ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობა; N – მოცემულ წელს ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობა.

ამ ფორმულას, მისი ავტორის საპატივცემულოდ, ხშირად რატსის ფორმულას უწოდებენ.

მაგ., შეფასებითი მონაცემებით 2005 წელს ერთ წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა იყო 1150, ხოლო ცოცხლად დაბადეულთა რაოდენობა იმავე წელს – 50000, ხოლო წინა წელს – 52000. აქედან გამომდინარე

$$m_0 = \frac{1150}{\frac{2}{3} \cdot 50000 + \frac{1}{3} \cdot 52000} \cdot 1000 = 22{,}7$$

თანაფარდობა $\frac{2}{3} - \frac{1}{3}$ ნაცვლად შეიძლება იყოს აღებული თანაფარდობა $\frac{3}{4} - \frac{1}{4}$, ან $\frac{4}{5} - \frac{1}{5}$, რაც დამოკიდებულია ჩვილ ბავშვთა მოკვდაობაზე თვეების მიხედვით.

1940 წლიდან დაწყებული გამოიყენება ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის გაანგარიშების კიდევ უფრო ზუსტი მეთოდი:

$$m_0 = \frac{D_0'}{N} + \frac{D_0''(N - D_0')}{N(N_{-1} - D_{0-1})} \cdot 1000,$$

სადაც D_0' – ერთ წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა მოცემულ წელს დაბადებული ბავშვების რაოდენობიდან; D_0'' – ერთ წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა წინა წელს დაბადებული ბავშვების რაოდენობიდან; $D_{0\ -1}$ – წინა წელს ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა იმავე წელს დაბადებული ბავშვების რაოდენობიდან; N – მოცემულ წელს დაბადებული ბავშვების რაოდენობა; N_{-1} – წინა წელს დაბადებული ბავშვების რაოდენობა.

5 წლამდე ასაკის ბავშვების მოკვდაობის კოეფიციენტი – მაჩვენებელი, რომელიც ზომავს დაბადებიდან 5 წლამდე (0-4 წელი) ასაკის ბავშვების მოკვდაობის დონეს.

გაიანგარიშება როგორც 5 წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვების რაოდენობის შეფარდება ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობასთან. გამოისახება პრომილეთი (‰) და უჩვენებს 5 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობას 1000 დაბადებულზე.

5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (m_{0-4}) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$m_{0-4} = \frac{D_{0-4}}{N} \cdot 1000,$$

სადაც 0-4 – რომელიმე პერიოდში (მაგ., წელი) 5 წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვების რაოდენობა; N – იმავე პერიოდში ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა.

მაგ., 2005 წელს, შეფასებითი მონაცემებით, 5 წლამდე ასაკში გარდაიცვალა 1250 ბავშვი. იმავე დროს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა იყო 50000. აქედან გამომდინარე

$$m_{0-4} = \frac{1250}{50000} \cdot 1000 = 25$$

როგორც ვხედავთ, 5 წლამდე ასაკის ბავშვების მოკვდაობის კოეფიციენტი რამდენადმე მეტია, ვიდრე ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი.

1 წლის ასაკზე უფროსი მოსახლეობის მოკვდაობის კოეფიციენტი – გამოიყენება მოკვდაობის საერთო დონეზე ჩვილთა მოკვდაობის გავლენის აცილებისათვის. 1 წლის ასაკზე უფროსი მოსახლეობის მოკვდაობის კოეფიციენტი (m_{1+}) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$m_{1+} = \frac{D_{1+}}{P_{1+}} \cdot 1000,$$

სადაც D_{1+} არის გარდაცვლილთა აბსოლუტური რაოდენობა 1 წლის ასაკზე უფროს მოსახლეობაში; P_{1+} – 1 წლის ასაკზე უფროსი მოსახლეობის საშუალო წლიური რაოდენობა. გამოისახება პრომილეთი (‰).

მაგ., 2005 წელს, შეფასებითი მონაცემებით, საქართველოში, 1 წლის ასაკზე უფროს მოსახლეობაში გარდაიცვალა 49110 ადამიანი. იმავე დროს 1 წლის ასაკზე უფროსი მოსახლეობის საშუალო წლიური რაოდენობა იყო 3834,7 ათასი. აქედან გამომდინარე

$$m_{1+} = \frac{49110}{3834700} \cdot 1000 = 12,8$$

1 წლის ასაკზე უფროსი მოსახლეობის მოკვდაობის კოეფიციენტი სიდიდით უმნიშვნელოდ ნაკლები იყო შობადობის ზოგად კოეფიციენტთან შედარებით.

დედათა მოკვდაობის კოეფიციენტი – დედათა მოკვდაობის დონის გამომხატველი მაჩვენებელი. უჩვენებს, თუ რამდენი დედა გარდაიცვალა 100000

ცოცხლად დაბადებულზე. დედათა მოკვდაობის კოეფიციენტი (d_M) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$d_M = \frac{D_M}{N} \cdot 100000,$$

სადაც D_M - გარდაცვლილ დედათა საერთო რაოდენობა; N - ცოცხლად დაბადებულთა საერთო რაოდენობა.

მაგ., ჯანდაცვის მონაცემებით, 2004 წელს გარდაიცვალა 21 დედა. ამავე დროს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა, შეფასებითი მონაცემებით, იყო 52 ათასი. აქედან გამომდინარე

$$d_M = \frac{21}{52000} \cdot 100000 = 40,4$$

მკვდრადშობადობის კოეფიციენტი უჩვენებს მკვდრადშობილი ბავშვების რაოდენობას ყოველ 1000 დაბადებულზე. გამოისახება პრომილეთი (‰). მკვდრადშობადობის კოეფიციენტი (m_n) გამოიანგარიშება ფორმულით;

$$m_n = \frac{D_n}{N} \cdot 1000,$$

სადაც D_n – მკვდრადშობილი ბავშვების რაოდენობა; N – დაბადებული (ცოცხლად და მკვდრად) ბავშვების საერთო რაოდენობა.

მაგ., ჯანდაცვის სტატისტიკის მიხედვით 2000 წელს სულ (ცოცხლად და მკვდრად) დაიბადა 47191. იქიდან ცოცხალდ დაბადებული იყო 46765, ხოლო მკვდრად დაბადებული – 840. აქედან გამომდინარე

$$m_n = \frac{840}{47191} \cdot 1000 = 17,8$$

ნეონატალური მოკვდაობის კოეფიციენტი უჩვენებს დაბადებიდან სიცოცხლის 28 დღემდე (0-27 დღე) გარდაცვლილ ჩვილთა რაოდენობას ყოველ 1000 ცოცხლად დაბადებულზე. გამოისახება პრომილეთი (‰). ნეონატალური მოკვდაობის კოეფიციენტი (m_n^0) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$m_n^0 = \frac{m_{0-27}}{N} \cdot 1000,$$

სადაც m_{0-27} არის ჩვილთა რაოდენობა, რომელიც გარდაიცვალა სიცოცხლის პირველ 27 დღეს; N – ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა.

მაგ., სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 2005 წელს დაბადებიდან სიცოცხლის 27 დღის განმავლობაში გარდაიცვალა 858 ჩვილი. 2005 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობამ სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 46512 შეადგინა. აქედან გამომდინარე

$$m_n^0 = \frac{858}{46512} \cdot 1000 = 18,4$$

მოცემულ შემთხვევაში აღებულ იქნა ორივე სქესის გარდაცვლილ ჩვილთა რაოდენობა. ვინაიდან ჩვილთა მოკვდაობისას, მათ შორის, ნეონატალური მოკვდაობისას, შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს გარდაცვლილი ჩვილი გოგონებისა და ბიჭების რაოდენობა, მიღებულია ნეონატალური მოკვდაობის კოეფიციენტის გაანგარიშება ცალკეული სქესის მიხედვით.

იგივე ეხება ქვემოთ მოყვანილ პერინატალური და პოსტნეონატალური მოკვდაობის კოეფიციენტებსაც.

პერინატალური მოკვდაობის კოეფიციენტი წარმოადგენს პერინატალური მოკვდაობის მაჩვენებელს. გამოისახება პრომილებში. პერინატალური მოკვდაობის კოეფიციენტი (m_P^0) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$m_P^0 = \frac{m_n + m_{0-6}}{N},$$

სადაც m_n არის მკვდრადშობილთა რაოდენობა; m_{0-6} – სიცოცხლის პირველი 6 დღის განმავლობაში გარდაცვლილთა რაოდენობა; N – ყველა დაბადებულის (მკვდრად და ცოცხლად) რაოდენობა.

მაგ., 2005 წელს, ჯანდაცვის სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში მკვდრად დაბადებულთა რაოდენობამ შეადგინა 776, ხოლო 6 დღის განმავლობაში გარდაცვლილების რაოდენობამ – 585. მკვდრად და ცოცხლად დაბადებულთა საერთო რაოდენობა იყო 47110. აქედან გამომდინარე

$$m_P^0 = \frac{776 + 585}{47110} \cdot 1000 = 28{,}9$$

პოსტნეონატალური მოკვდაობის კოეფიციენტი – უჩვენებს სიცოცხლის 27 დღის შემდეგ და ერთ წლამდე ასაკის მანძილზე გარდაცვლილ ჩვილთა რაოდენობას. გამოისახება პრომილეთი (‰). პოსტნეონატალური მოკვდაობის კოეფიციენტი (m_p) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$m_P = \frac{m_{28+}}{N - m_{0-27}} \cdot 1000,$$

სადაც m_{28+} – ჩვილთა რაოდენობა, რომელიც გარდაიცვალა სიცოცხლის 28 დღესა და ერთი წლის ასაკს შორის; N – დაბადებული ბავშვების რაოდენობა; m_{0-27} – ჩვილთა რაოდენობა, რომლებიც გარდაიცვალნენ სიცოცხლის პირველ 27 დღეში.

მაგ., სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში, 2005 წელს 28 დღესა და 1 წლის ასაკს შორის გარდაიცვალა 58 ჩვილი. ჩვილთა რაოდენობა, რომლებიც გარდაიცვალნენ სიცოცხლის პირველ 27 დღეში იყო 858. ცოცხლად დაბადებულთა საერთო რაოდენობა იყო 46512. აქედან გამომდინარე

$$m_P = \frac{58}{46512 - 858} \cdot 1000 = 1{,}3$$

6.4. სტანდარტიზაციის მეთოდი

სტანდარტიზაციის მეთოდი დემოგრაფიაში გამოიყენება დემოგრაფიული კოეფიციენტების შედარებისას სტრუქტურულ განსხვავებათა გავლენის აცილების მიზნით.

მაგალითად, მოკვდაობის ასაკობრივ კოეფიციენტს, თუ აღვნიშნავთ m_x-ით, მაშინ განმარტების თანახმად

$$m_x = \frac{[x, x+n] \quad \text{ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილთა რაოდენობა}}{[x, x+n] \quad \text{ასაკობრივ ჯგუფში ნაცხოვრები ადამიან–წლიწადი}},$$

როგორც განსაზღვრიდან ჩანს, x ინდექსი აღნიშნავს ასაკობრივი ინტერვალის დასაწყისს, n კი ინტერვალის სიგრძეს.

ცხრილი 6.1. გვიჩვენებს 1989 წლის დანიის ქალების გარდაცვლილთა რაოდენობას და საშუალო მოსახლეობას ასაკის მიხედვით. საშუალო მოსახლეობის გამოსათვლელად გამოვიყენეთ 1989 და 1990 წლის 1 იანვრისთვის დანიაში მცხოვრები ქალების რაოდენობა ასაკის მიხედვით. ასაკის მიხედვით გარდაცლილთა რაოდენობისა და საშუალო მოსახლეობის საშუალებით გამოთვლილია მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები (იხილეთ ცხრილი 6.1.-ის მე-4 სვეტი). ცხრილი 6.1.–ის მე-5 სვეტში გამოთვლილია ასაკობრივი ჯგუფის პროპორციები. ცხრილ 6.1-ის ბოლო ხუთ სვეტში მოტანილია იგივე მონაცემები საქართველოსათვის.

აღსანიშნავია, რომ მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი (m), რომელიც ნაჩვენებია ცხრილი 6.1.-ის ბოლოში, დანიისთვის უფრო მაღალია, ვიდრე

საქართველოსათვის, რაც ბუნებრივია, რომ გარკვეულ გაკვირვებას იწვევს. მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები თითქმის ყოველ ასაკობრივ ჯგუფში დანიისათვის უფრო დაბალია (გამონაკლისია უმნიშვნელო სხვაობა [40, 45], [50, 55], [55, 60] ასაკობრივ ჯგუფებში), ვიდრე საქართველოსათვის. აღნიშნულის ასახსნელად დავაკვირდეთ მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის გამოსათვლელ ფორმულას:

$$m = \frac{D}{P} = \frac{\sum_{x=0}^{\infty} {}_nD_x}{P} = \frac{\sum_{x=0}^{\infty} \frac{{}_nD_x}{{}_nP_x} {}_nP_x}{P} = \sum_{x=0}^{\infty} \frac{{}_nD_x}{{}_nP_x} \cdot \frac{{}_nP_x}{P} = \sum_{i=1}^{\infty} {}_nm_x \cdot {}_nC_x \,, \quad (1)$$

სადაც ${}_nP_x$ აღნიშნავს $[x, x+n]$ ასაკობრივი ჯგუფის საშუალო წლიური რაოდენობას, P აღნიშნავს მთლიან საშუალო მოსახლეობას, D აღნიშნავს წლის განმავლობაში გარდაცვლილთა რაოდენობას, ${}_nC_x = \frac{{}_nP_x}{P}$ -ით კი აღნიშნულია $[x, x+n]$ ასაკობრივი ჯგუფის საშუალო მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში.

ცხრილი 6.1. მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტებისა და მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების შედარება ორი მოსახლეობისთვის

ასაკობრივი ჯგუფი i	დანია, ქალები, 1989 (*Den*)				საქართველო, ქალები, 1989 (*Geo*)			
	საშუალო მოსახლეობა	წლის განმავლობაში გარდაცვლილთა რაოდენობა	მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები	ასაკობრივი ჯგუფის პროპორცია	საშუალო მოსახლეობა	წლის განმავლობაში გარდაცვლილთა რაოდენობა	მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები	ასაკობრივი ჯგუფის პროპორცია
	P_i^{Den}	D_i^{Den}	m_i^{Den}	C_i^{Den}	P_i^{Geo}	D_i^{Geo}	m_i^{Geo}	C_i^{Geo}
-1	29173	204	6.99	0.01121	43300	847	19.56	0.01522
1-4	108389	41	0.38	0.04164	181950	228	1.25	0.06394
5-9	133800	25	0.19	0.05140	215400	73	0.34	0.07570
10-14	160968.5	22	0.14	0.06183	213050	51	0.24	0.07487
15-19	178835.5	51	0.29	0.06870	202650	70	0.35	0.07122
20-24	198095	78	0.39	0.07609	210500	120	0.57	0.07397
25-29	190014.5	82	0.43	0.07299	240100	170	0.71	0.08438
30-34	181032	125	0.69	0.06954	215000	206	0.96	0.07556
35-39	182570	222	1.22	0.07013	189200	251	1.33	0.06649
40-44	203517.5	410	0. 20	0.07818	141100	266	1.89	0.04959
45-49	168397	509	3.02	0.06469	157950	492	3.11	0.05551
50-54	140730.5	723	5.14	0.05406	181400	832	4.59	0.06375
55-59	129293	1061	8.21	0.04967	161100	1192	7.40	0.05661
60-64	130094.5	1515	11.65	0.04997	168150	2067	12.29	0.05909
65-69	131467.5	2374	18.06	0.05050	104800	2062	19.68	0.03683
70-74	112400.5	3015	26.82	0.04318	85900	3054	35.55	0.03019
75-79	99849.5	4383	43.90	0.03836	68650	4065	59.21	0.02412
80-84	70729.5	5241	74.10	0.02717	38450	3839	99.84	0.01351
85+	53903.5	8865	164.46	0.02071	26950	4902	181.89	0.00947
ჯამი	2603261	28946		1.00000	2845600	24787		1.00000
მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი	11.12				8.71			

ფორმულიდან (1) ცხადად ჩანს, რომ მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი განისაზღვრება ორი ინდიკატორით: m_x მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტით და ${}_nC_x$ ასაკობრივი ჯგუფის პროპორციით. მათემატიკური ტერმინოლოგიით მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი წარმოადგენს მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების შეწონილ საშუალოს. შეწონვა ხდება ასაკობრივი ჯგუფის პროპორციის საშუალებით. ცხადია ${}_nC_x$-ების ჯამი უდრის 1-ს.:

$$\sum_{x=0}^{\infty} {}_nC_n = \sum_{x=0}^{\infty} \frac{{}_xP_x}{P} = \frac{P}{P} = 1.$$

ცხადია, თუ რატომ აქვს საქართველოს ნაკლები მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი, ვიდრე დანიას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში მეტია, ვიდრე დანიის მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები. დანიელი ქალების ასაკობრივი ჯგუფის პროპორციები იმდენად დიდია ზედა ასაკებში საქართველოსთან შედარებით, რომ მიუხედავად მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების სიმცირისა, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი დანიისათვის მაინც უფრო დიდი რჩება, ვიდრე საქართველოსათვის.

ზოგადად, ასაკობრივ სტრუქტურას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, როდესაც შესადარებელი მოსახლეობის მოკვდაობის ასაკობრივ კოეფიციენტებს შორის დიდი განსხვავებაა ან როდესაც დიდი განსხვავებაა შესადარებელი მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფის პროპორციებს შორის. ასაკობრივი სტრუქტურა თვითონ განიხილება, როგორც დემოგრაფიული ცვლადი, რომელიც ცალსახად არის დამოკიდებული შობადობის, მოკვდაობის და ასაკობრივი მიგრაციის ცვლილებაზე.

დანიისა და საქართველოს მაგალითმა გვიჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ასაკობრივი სტრუქტურის გავლენა მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდეზე. ორი მოსახლეობის მოკვდაობის დონის შესადარებლად ხშირად სასურველია ასაკობრივი სტრუქტურის გავლენის უგულებელყოფა ან უკიდურეს შემთხვევაში შემცირება. შედარების დროს ხშირად უშვებენ, რომ ერთ მოსახლეობას აქვს მეორე მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა. ჩვენ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ საქართველოს გააჩნია იგივე ასაკობრივი სტრუქტურა, როგორც დანიას, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$m^* = \sum_i m_i^{Geo} C_i^{Den},$$

m^* წარმოადგენს საქართველოს მოკვდაობის დონის შეფასებას. შეფასების მისაღებად მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის გამოსათვლელად აღებულია საქართველოს მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები და დანიის ასაკობრივი ჯგუფის პროპორციები. m^* გამოთვლა წარმოადგენს იმის კონკრეტულ მაგალითს, თუ როგორ ხდება მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის ასაკის მიხედვით სტანდარტიზაცია.

დავუშვათ j მოსახლეობის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის ასაკის მიხედვით სტანდარტიზაცია აღნიშნულია $ASCDR^J$ (An age-standardized crude death rate for population j – მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის ასაკის მიხედვით სტანდარტიზაცია) -ით, მაშინ

$$ASCDR^J = \sum_{i=1}^{\infty} m_i^j \cdot C_i^S \quad (2)$$

სადაც C_i^S არის სტანდარტულად მიჩნეული მოსახლეობის i-ური ასაკობრივი ჯგუფის პროპორცია. ცხადია $\sum_{i=1}^{\infty} C_i^S = 1$.

ფორმულის (2) თანახმად j მოსახლეობის მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების შეწონვა ხდება არა საკუთარი ასაკობრივი პროპორციით, არამედ სტანდარტულად მიჩნეული მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფის პროპორციის საშუალებით.

სტანდარტიზაციის დროს ხშირად დგება საკითხი, თუ რომელი მოსახლეობის სტრუქტურა აიღონ სტანდარტად. ამის საილუსტრაციოდ ავიღოთ მექსიკის და ინგლისის სტანდარტიზირებული მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები. სტანდარტულად აღებულია ახალგაზრდა და დაბერებული მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა. როდესაც სტანდარტულ მოსახლეობად აღებულია ახალგაზრდა სტრუქტურის მქონე მოსახლეობა, ორივე ქვეყნის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი მცირდება და პირიქით, როდესაც სტანდარტულ მოსახლეობად აღებულია დაბერებული სტრუქტურის მოსახლეობა ორივე ქვეყნის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი იზრდება. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ როდესაც სტანდარტულ მოსახლეობად აღებულია ახალგაზრდა სტრუქტურის მქონე მოსახლეობა, ინგლისს უფრო დაბალი მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი აქვს, ვიდრე მექსიკას, ხოლო, როდესაც სტანდარტულ მოსახლეობად აღებულია დაბერებული სტრუქტურის მქონე მოსახლეობა, მექსიკას უფრო დაბალი მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი აქვს, ვიდრე ინგლისს (იხ. ცხრილი 6.2.). ასეთი შედეგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ, თუ ინგლისს უფრო დიდი მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები ექნება მაღალ ასაკობრივ ჯგუფში და პირიქით, მექსიკას უფრო დიდი მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები ექნება ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფში.

ცხრილი 6.2. მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების და "ახალგაზრდა" და "დაბერებული" ასაკობრივი სტრუქტურის მიმართ სტანდარტიზირებული მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების შედარება

ქალები	მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები	სტანდარტიზირებული მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები, როდესაც სტანდარტად აღებულია	
		"ახალგაზრდა" ასაკობრივი სტრუქტურა	"დაბერებული" ასაკობრივი სტრუქტურა
მექსიკა, 1964	9.30	9.20	11.50
ინგლისი და უელსი, 1931	11.61	8.76	13.13

როგორც მოტანილი მაგალითიდან ჩანს სტანდარტული მოსახლეობის არჩევა არც ისე ადვილია, ამიტომ ხშირად ირჩევენ ორი მოსახლეობის ასაკობრივი კომპოზიციის საშუალოს, ანუ თუ გვაქვს A და B მოსახლეობა, მაშინ სტანდარტული მოსახლეობის i-ური ასაკობრივი ჯგუფის პროპორცია C_i^S

გამოისახება A და B მოსახლეობის i-რი ჯგუფის C_i^A და C_i^B პროპორციებით შემდეგნაირად:

$$C_i^S = \frac{C_i^A + C_i^B}{2},$$

ცხადია $\sum_{i=1}^{\infty} C_i^S = 1$, გამომდინარე იქიდან, რომ $\sum_{i=1}^{\infty} C_i^A = 1$ და $\sum_{i=1}^{\infty} C_i^B = 1$.

სტანდარტული მოსახლეობის ასეთი გზით არჩევას აქვს მნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია. მაგალითად ცხრილ 6.3.-ში ამ მეთოდით გამოთვლილი მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი დანიისათვის (9.16 ‰) უფრო დაბალია ვიდრე საქართველოსათვის (11.08 ‰). თუ ადრე დანიაში მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი ვერ გვიჩვენებდა უფრო დაბალ მოკვდაობას საქართველოსთან შედარებით, ამ შემთხვევაში მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი უფრო მოქნილია რეალური სურათის აღსაწერად.

ცხრილი 6.3. ასაკობრივი სტრუქტურის მიმართ სტანდარტიზაციის მაგალითი

ასაკობრივი ჯგუფი	ასაკობრივი ჯგუფის პროპორცია დანიისათვის	ასაკობრივი ჯგუფის პროპორცია საქართველოსათვის	საშუალო ასაკობრივი პროპორცია	მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები დანიისათვის		მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები საქართველოსათვის	
	C_i^{Den}	C_i^{Geo}	$\frac{C_i^{Den} + C_i^{Geo}}{2}$	m_i^{Den}	$m_i^{Den} \cdot \frac{C_i^{Den} + C_i^{Geo}}{2}$	m_i^{Geo}	$m_i^{Geo} \cdot \frac{C_i^{Den} + C_i^{Geo}}{2}$
-1	0.011206	0.015216	0.013211	6.993	0.009	19.561	0.258
1-4	0.041636	0.063941	0.052788	0.378	0.002	1.253	0.0066
5-9	0.051397	0.075696	0.063546	0.187	0.0012	0.339	0.00215
10-14	0.061833	0.07487	0.068352	0.137	0.0001	0.239	0.00164
15-19	0.068697	0.071215	0.069956	0.285	0.002	0.345	0.00242
20-24	0.076095	0.073974	0.075034	0.394	0.003	0.57	0.00428
25-29	0.072991	0.084376	0.078683	0.432	0.0034	0.708	0.00557
30-34	0.06954	0.075555	0.072548	0.69	0.0051	0.958	0.00695
35-39	0.070131	0.066489	0.068310	1.216	0.0083	1.327	0.00906
40-44	0.078178	0.049585	0.063882	2.015	0.129	1.885	0.12
45-49	0.064687	0.055507	0.060097	3.023	0.182	3.115	0.187
50-54	0.054059	0.063748	0.058903	5.137	0.303	4.587	0.27
55-59	0.049666	0.056614	0.053140	8.206	0.436	7.399	0.393
60-64	0.049974	0.059091	0.054532	11.645	0.635	12.293	0.67
65-69	0.050501	0.036829	0.043665	18.058	0.788	19.676	0.859
70-74	0.043177	0.030187	0.036682	26.824	0.984	35.553	1.304
75-79	0.038356	0.024125	0.031240	43.896	1.371	59.213	1.85
80-84	0.02717	0.013512	0.020341	74.099	1.507	99.844	2.031
85+	0.020706	0.009471	0.015088	164.461	2.481	181.892	2.744
	შობადობის ზოგადი კოეფიციენტი						
					9.167		11.075

$ASCDR^{Den} = \sum_{i=1}^{\infty} m_i^{Den} \cdot C_i^S =$ ასაკით სტანდარტიზირებული მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი დანიისათვის;

$ASCDR^{Geo} = \sum_{i=1}^{\infty} m_i^{Geo} \cdot C_i^S =$ ასაკით სტანდარტიზირებული მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი საქართველოსათვის;

$C_i^S = (\frac{C_i^{Den} + C_i^{Geo}}{2})$ საშუალო ასაკობრივი პროპორცია.

6.5. დეკომპოზიციის მეთოდი

დემოგრაფიაში ხშირად აკვირდებიან სხვადასხვა დემოგრაფიული მახასიათებლების ცვლილებას დროის გარკვეულ მონაკვეთში. დემოგრაფიული მახასიათებელი ზოგჯერ იზრდება, კლებულობს ან არ იცვლის სიდიდეს. დემოგრაფიული მახასიათებლების ცვლილებაზე დაკვირვების გარდა საინტერესო ამოცანად შეიძლება დავისახოთ ახსნა, თუ რატომ მოხდა ესა თუ ის ცვლილება. ბუნებრივია, ცვლილების ახსნის დროს სხვადასხვა მსჯელობა გამოიყენება, ყველაზე მარტივი ახსნა სტატისტიკური მონაცემების უზუსტობის მოშველიება და ერთგვარად პრობლემის იოლად გადაჭრაა. ჩვენი აზრით პრობლემის ასეთი სწრაფი გადაწყვეტა არამეცნიერულია. ალბათ ახსნის სიმარტივეს გულისხმობდნენ უცხოურ წყაროშიც, როდესაც ასეთ ახსნას უწოდეს ნულოვანი დონის ახსნა. პირველი დონის ახსნა მდგომარეობს დემოგრაფიული მახასიათებლის განმსაზღვრელი პარამეტრების აშკარად გამოხატული ცვლილების პოვნაში, მაგალითად, როდესაც მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილება აშკარად არის გამოწვეული მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების ცვლილებით. ასეთ დროს ხშირად ამბობენ, რომ აშკარად იგრძნობა პირდაპირი ეფექტის გავლენა. მეორე დონის ახსნა მდგომარეობს დემოგრაფიულ მახასიათებლებზე მოქმედ პირდაპირ ეფექტთან ერთად არაპირდაპირი ეფექტის პოვნაში, რომელიც მოიცავს კომპოზიციურ-სტრუქტურულ ცვლილებას. სწორედ დემოგრაფიული მახასიათებლების ცვლილების დეკომპოზიცია (დაშლა) იძლევა ცვლილებაზე მოქმედი პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტის მნიშვნელობის შეფასების საშუალებას.

ამ ნაწილში ჩვენ გამოვიყვანთ მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილების დეკომპოზიციის ფორმულას და გამოვიყენებთ მას კონკრეტული მაგალითისთვის.

დავუშვათ გვაინტერესებს A და B მოსახლეობის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების სხვაობის დეკომპოზიცია. თუ i-ური ასაკობრივი ჯგუფის პროპორციას ავღნიშნავთ C_i-ით, i-ური ასაკობრივი ჯგუფის მოკვდაობის ასაკობრივ კოეფიციენტს აღვნიშნავთ M_i-ით და მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტს აღვნიშნავთ CDR-ით, მათ შორის სხვაობას Δ-ს, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის განსაზღვრის თანახმად ექნება შემდეგი სახე:

$$\Delta = CDR^B - CDR^A = \sum_i C_i^B \cdot m_i^B - \sum_i C_i^A \cdot m_i^A \quad (1)$$

ფორმულა (1) შეიძლება გადავწეროთ შემდეგნაირად:

$$\Delta = \frac{\sum_i C_i^B \cdot m_i^B}{2} + \frac{\sum_i C_i^B \cdot m_i^B}{2} - \frac{\sum_i C_i^A \cdot m_i^A}{2} - \frac{\sum_i C_i^A \cdot m_i^A}{2} +$$
$$+ \frac{\sum_i C_i^B \cdot m_i^A}{2} - \frac{\sum_i C_i^B \cdot m_i^A}{2} + \frac{\sum_i C_i^A \cdot m_i^B}{2} - \frac{\sum_i C_i^A \cdot m_i^B}{2}$$

გამარტივების შემდეგ მივიღებთ:

$$\Delta = \sum_i C_i^B \cdot [\frac{m_i^B + m_i^A}{2}] - \sum_i C_i^A \cdot [\frac{m_i^B + m_i^A}{2}] + \sum_i m_i^B \cdot [\frac{C_i^A + C_i^B}{2}] - \sum_i m_i^A \cdot [\frac{C_i^A + C_i^B}{2}] =$$

$$= \sum_i (C_i^B - C_i^A) \cdot [\frac{m_i^B + m_i^A}{2}] + \sum_i (m_i^B - m_i^A) \cdot [\frac{C_i^A + C_i^B}{2}]$$

ბოლო ფორმულით ჩვენ მივიღეთ მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების სხვაობის დეკომპოზიცია. დეკომპოზიცია შედგება ორი შესაკრებისაგან, რომელთაგანაც პირველი გვიჩვენებს ასაკის კომპოზიციის წვლილს სხვაობაში, მეორე კი მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების სხვაობის წვლილს.

ცხრილი 6.4. 2004 წლის საფრანგეთის მამაკაცებისა და 2004 წლის საქართველოს მამაკაცების მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების ცვლილების დეკომპოზიცია

ასაკობრივი ჯგუფი i	C_i^F	C_i^{Geo}	m_i^F	m_i^{Geo}	$(C_i^F - C_i^{Geo})(\frac{m_i^F + m_i^{Geo}}{2})$	$(m_i^F - m_i^{Geo})(\frac{C_i^F + C_i^{Geo}}{2})$
-1	0.013272	0.013332	4.3	26.4	-0.00092	-0.29397
1-4	0.053276	0.053219	0.2	0.8	0.0000284	-0.03195
5-9	0.063157	0.06964	0.1	0.5	-0.00194	-0.02656
10-14	0.065624	0.078365	0.1	0.4	-0.00319	-0.0216
15-19	0.067933	0.083135	0.5	0.7	-0.00912	-0.01511
20-24	0.068008	0.0801	0.9	1.2	-0.0127	-0.02222
25-29	0.064679	0.073867	0.9	1.8	-0.0124	-0.06235
30-34	0.073936	0.068394	1.1	2.9	0.011085	-0.1281
35-39	0.073697	0.068394	1.6	4.1	0.015115	-0.17761
40-44	0.072848	0.069098	2.6	6.3	0.016687	-0.2626
45-49	0.070406	0.065576	4.3	8.7	0.031396	-0.29916
50-54	0.070406	0.053653	6.4	13.6	0.16753	-0.44661
55-59	0.061616	0.047746	8.8	18.2	0.187248	-0.514
60-64	0.043681	0.0478	12.4	20.5	-0.06776	-0.3705
65-69	0.041361	0.046228	18	40.1	-0.14138	-0.96786
70-74	0.037538	0.038858	28.6	54.3	-0.05471	-0.98168
75-79	0.029201	0.025905	46.7	108	0.254964	-1.68901
80-84	0.019391	0.011218	77.9	121.1	0.813219	-0.66117
85+	0.00997	0.005474	170	245.1	0.933268	-0.57992
ჯამი					2.126429	-7.55196

ცხრილ 6.4.-ში გამოთვლილია მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილების დეკომპოზიციის შემადგენელი ნაწილები. შესადარებელ ქვეყნებად აღებულია საფრანგეთი და საქართველო, კერძოდ გამოთვლილია 2004 წლის საფრანგეთის მამაკაცებისა და 2004 წლის საქართველოს მამაკაცების მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების ცვლილების დეკომპოზიციის ფორმულა. 2004 წელს საფრანგეთის მამაკაცებისთვის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი შეადგენდა 8,8472‰, ხოლო საქართველოს მამაკაცებისთვის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი შეადგენდა 14,2727‰. მათ შორის სხვაობა შეადგენს 5,4255‰, რომელიც დეკომპოზიციის შედეგად შეიძლება წარმოვადგინოთ მინუს ნიშნით -7,5520‰-ს

(დეკომპოზიციის მეორე წევრი) და 2,1265‰-ს (დეკომპოზიციის პირველი წევრი) ჯამის სახით. როგორც ვხედავთ, დეკომპოზიციის მეორე წევრი, რომელიც გვიჩვენებს მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების სხვაობის წვლილს, უარყოფითია, რაც მოსალოდნელი იყო საფრანგეთის მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების სიმცირის გამო. დეკომპოზიციის პირველი წევრი დადებითია, მაგრამ მისი სიდიდე ნაკლებია უარყოფითი სიდიდის მქონე მეორე წევრთან შედარებით, რაც განაპირობებს თავის მხრივ ჯამის უარყოფით სიდიდეს.

$$\Delta = \sum_i (C_i^F - C_i^{Geo}) \cdot [\frac{m_i^F + m_i^{Geo}}{2}] + \sum_i (m_i^F - m_i^{Geo}) \cdot [\frac{C_i^F + C_i^{Geo}}{2}]$$

საფრანგეთის მამაკაცების მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი

$$CDR^F = \sum_i C_i^F \cdot m_i^F = 8{,}8472‰$$

საქართველოს მამაკაცების მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი

$$CDR^{Geo} = \sum_i C_i^{Geo} \cdot m_i^{Geo} = 14{,}2727‰$$

$CDR^F - CDR^{Geo} = 8{,}8472 - 14{,}2727 = -5{,}4255$

დეკომპოზიციის პირველი წევრი = 2,1264
დეკომპოზიციის მეორე წევრი = - 7,5520
დეკომპოზიციის წევრების ჯამი = - 5,4256

6.6. მოკვდაობის ცხრილები

მოკვდაობის ცხრილი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას, რომელიც ფართოდ გამოიყენება. მოკვდაობის ცხრილი გვაძლევს ინფორმაციას კოჰორტაში გარდაცვალებების შესახებ. მოკვდაობის ცხრილის პირველი სვეტი წარმოადგენს ასაკს, მომდევნო სვეტები დამოკიდებულია ასაკზე და გვიჩვენებს გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა რაოდენობას, ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვალებების რაოდენობას, მოკვდაობის ასაკობრივ კოეფიციენტებს, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვალების ალბათობას და ა.შ. მოკვდაობის ცხრილი წარმოადგენს კოჰორტაში მოკვდაობის აღსაწერ ერთ-ერთ საშუალებას. მოკვდაობის აღწერა აგრეთვე შესაძლებელია მათემატიკური ფორმულებით და დიაგრამის საშუალებით. მოკვდაობის ცხრილის აგებაში დაგვეხმარება სიცოცხლის ხაზები.

დიაგრამა 6.12.-ზე წარმოდგენილია 1900 წლის 1 იანვარს დაბადებული 10 ადამიანის გარდაცვალების ასაკი და სიცოცხლის ხაზი. მოკვდაობის ცხრილის აგების მეთოდი მოცემულია ცხრილ 6.5.-ში. მოკვდაობის ცხრილის ერთ-ერთ სვეტში მოცემულია x ასაკს მიღწეულ ადამიანთა დარჩენილი საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა, რომელიც აღნიშნულია e_x^0-ით. e_x^0-ის გამოსათვლელათ კოჰორტის მიერ x ასაკის ზევით ნაცხოვრებ ადამიან-წელიწადის რაოდენობას ყოფენ x ასაკს მიღწეულ კოჰორტის წევრთა რაოდენობაზე. დაბადებისას მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის, e_0^0-ის გამოსათვლელად კოჰორტის მიერ ნაცხოვრებ ადამიან-წელიწადების რაოდენობას ყოფენ კოჰორტის საწყის რაოდენობაზე.

დიაგრამა 6.12. 1900 წლის 1 იანვარს დაბადებული კოჰორტის გარდაცვალების ასაკი და სიცოცხლის ხაზები



აღსანიშნავია, რომ e_0^0 ემთხვევა კოჰორტის გარდაცვალების საშუალო ასაკს, გამომდინარე იქიდან, რომ სიცოცხლე მთავრდება ზუსტად იმ ასაკში, როდესაც გარდაცვალება ხდება. მაგალითად, გარდაცვალების საშუალო ასაკი იმ ადამიანთათვის, რომლებმაც მიაღწიეს 50 წლის ასაკს უდრის $50 + e_{50}^0$-ს. ცხრილ 6.5.-ში 1 წლის ასაკს მიღწეულთა დარჩენილი საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა მეტია e_0^0-ზე, რაც აიხსნება იმით, რომ, როდესაც ჩვილთა მოკვდაობა მაღალია, მაშინ ის ადამიანები, რომლებიც მიაღწევენ 1 წლის ასაკს, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – გადარჩებიან სიცოცხლის პირველ წელიწადს, რომელიც რისკიანად ითვლება, საშუალოდ იცოცხლებენ უფრო მეტს, ვიდრე ახალდაბადებულები.

გარკვეულ ახსნას საჭიროებს სვეტი, რომელიც შეიცავს ${}_na_x$ პარამეტრს. ${}_na_x$ განიმარტება როგორც $[x,x+n]$ ასაკობრივ ჯგუფში ნაცხოვრები ადამიან-წელიწადების რაოდენობის ფარდობა ამავე ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილთა რაოდენობასთან. მაგ., დიაგრამა 6.12.-ზე $[60,70]$ ასაკობრივ ჯგუფში გარდაიცვალა 2 ადამიანი 62.91 და 64.05 წლის ასაკში. მათ მიერ ნაცხოვრებია 2.91+4.05=6.96 ადამიან-წელიწადი. მაშინ, განსაზღვრების თანახმად, ${}_{10}a_{60}$=6.96/2=3.48.

აღსანიშნავია, რომ (e_x, T_x, e_x^0) ფუნქციები დამოკიდებულია x ასაკზე, ხოლო $({}_nd_x, {}_np_x, {}_nq_x, {}_nm_x, {}_na_x)$ წარმოადგენენ $[x,x+n]$ ასაკობრივი ჯგუფის ფუნქციებს. ხშირად გვხდება მოკვდაობის მოკლე ცხრილები, სადაც პირველი ასაკობრივი ჯგუფის სიგრძე არის 1 წლიანი ინტერვალის ფარგლებში. მომდევნო ინტერვალის სიგრძე 4 წელია (1-4), ხოლო შემდგომი ასაკობრივი ინტერვალები 5-წლიანია (ბუნებრივია სრული ცხრილებისას ის ყოველთვის ერთწლიანია).

მოკვდაობის ცხრილის სვეტებს შორის არსებობს არითმეტიკული კავშირი. მაგალითად, ${}_nd_x=l_x-l_{x+n}$,,

ანუ $[x,x+n]$ ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილთა რაოდენობა უდრის x ასაკს მიღწეულთა რაოდენობას გამოკლებული $x+1$ ასაკს მიღწეულთა რაოდენობა;

$$ {}_nd_x = l_x \cdot {}_nq_x,$$

$[x,x+n]$ ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილთა რაოდენობა ტოლია x ასაკს მიღწეულთა რაოდენობა გამრავლებული ამავე ასაკობრივი ჯგუფში გარდაცვალების ალბათობაზე. $${}_np_x = \frac{l_{x+n}}{l_x} = \frac{l_x - {}_nd_x}{l_x} = 1 - {}_nq_x$$

ცხრილი 6.5. მოკვდაობის ცხრილი დიაგრამა 6.12.-ში მოტანილი 10 ადამიანისაგან შემდგარი კოჰორტისათვის

ასაკი x	x ასაკს მიღწეულთა რაოდენობა l_x	$[x.x+n]$ ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილ-თა რაოდენობა ${}_nd_x$	$[x.x+n]$ ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვალების ალბათობა ${}_nq_x$	$[x.x+n]$ ასაკობრივ ჯგუფში ცოცხლადობის ალბათობა ${}_np_x$	$[x.x+n]$ ასაკობრივ ჯგუფში ნაცხოვრები ადამიან-წელიწადი ${}_nL_x$	x ასაკს ზევით ნაცხოვრები ადამიან-წელიწადი $T_x = \sum_{a=x}^{\infty} {}_nL_x$	x ასაკს მიღწეულ ადამიანთა მოსალოდნელი საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა $e_x^0 = T_x / l_x$	$[x.x+n]$ ასაკობრივ ჯგუფში მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტი ${}_nm_x$	$[x.x+n]$ ასაკობრივ ჯგუფში ნაცხოვრები ადამიან-წელიწადის რაოდენობის შეფარდება ამავე ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილთა რაოდენობასთან ${}_na_x$
0	10	1	1/10	9/10	9+0.07=9.07	436.79+9.07= 445.86	445.86:10=44.586	1/9.07	0.07
1	9	1	1/9	8/9	8.4+0.22=32.22	404.57+32.22= 436.79	436.79/9=48.532	1/32.22	22
5	8	0	0	1	8*5=40	364.57+40=404.57	404.57/8=50.571	0	–
10	8	1	1/8	7/8	7*10+6.41=76.41	288.16+76.41= 364.57	364.57/8=45.571	1/76.41	6.41
20	7	1	1/7	6/7	6*10+2.12=62.12	226.04+62.12= 288.16	288.16/7=41.166	1/62.12	2.12
30	6	0	0	1	6*10=60	166.04+60=226.04	220.04/6=37.673	0	–
40	6	0	0	1	6*10=60	106.04+60=166.04	166.04/6=27.673	0	–
50	6	1	1/6	5/6	5*10+9.60=59.60	46.44+59.60= 106.04	106.04/6=17.673	1/59.60	9.60
60	5	2	2/5	3/5	3*10+6.96=36.96	9.48+36.96=46.44	46.44/5=9.2888	2/36.96	(2.91+4.05)/2=6.96/2= 3.48
70	3	3	3/3	0	9.48	9.48	9.48/3=3.16	3/9.48	(1.55+1.14+6.79)/3= 9.48/3=3.16
80	0	0	–	–					

ანუ $[x,x+n]$ ასაკობრივ ჯგუფში ცოცხლადობის (ცოცხლად დარჩენის) ალბათობა ტოლია 1 მინუს ამ ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვალების ალბათობა.

როგორც ვხედავთ, ცხრილ 6.5.-ში წარმოდგენილი მოკვდაობის ცხრილის აგება არ წარმოადგენს სირთულეს, მაგრამ ხშირად რეალური კოჰორტის შესახებ მონაცემები არასრულია და მოსაპოვებლად ძნელია, ამიტომ დემოგრაფები და აქტუარები იყენებენ ე.წ. გარკვეული კალენდარული დროისათვის მოკვდაობის ცხრილს, რომელიც ასევე ცნობილია პერიოდული ან ჰიპოთეზური მოკვდაობის ცხრილის სახელით. პრაქტიკაში უფრო ხშირად გამოიყენება სწორედ ასეთი ცხრილები.

ჰიპოთეზური მოკვდაობის ცხრილში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოუვიდოდა კოჰორტას მთელი მისი განვითარების განმავლობაში, თუ მას მოვარგებდით მოკვდაობის კონკრეტულ პირობებს. ასეთ თეორიულ კოჰორტას უწოდებენ ჰიპოთეზურ კოჰორტას, რომელიც განსხვავდება რეალური კოჰორტისაგან (რომლის დროსაც ვაკვირდებით კონკრეტულ დროს დაბადებულთა ერთობლიობას და რომელიც ზემოთ იყო განხილული).

თუ კოჰორტული მოკვდაობის ცხრილი (ანუ როდესაც დაკვირვება ხდება რეალურ კოჰორტაზე) გვიჩვენებს, თუ რეალურად რა გადახდა კოჰორტას, ჰიპოთეზური მოკვდაობის ცხრილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენს მოდელს ჰიპოთეზური კოჰორტის შესახებ მოკვდაობის კონკრეტულ პირობებში.

ჰიპოთეზური მოკვდაობის ცხრილის აგება ეფუძნება მოკვდაობის ასაკობრივ კოეფიციენტებს, რომლის საშუალებითაც გამოითვლება შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვალების ალბათობა.

როგორც ცნობილია მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტი ${}_nm_x$ გამოითვლება შემდეგი ფორმულით

$$ {}_nm_x = \frac{{}_nd_x}{{}_nL_x} = \frac{[x,\ x+n] \quad \text{ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილთა რაოდენობა}}{[x,\ x+n] \quad \text{ასაკობრივ ჯგუფში ნაცხოვრები ადამიან - წელიწადი}}. $$

უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში მნიშვნელის შეფასებად იღებენ შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის საშუალო რაოდენობას.

$[x,x+n]$ ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვალების ალბათობა $({}_nq_x)$, გაიანგარიშება ფორმულით:

$$ {}_nq_x = \frac{{}_nd_x}{l_x} = \frac{[x,\ x+n] \quad \text{ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილთა რაოდენობა}}{x \quad \text{ასაკს მიღწეულთა რაოდენობა}} $$

$$ {}_nL_x = n \cdot l_{x+n} + {}_nA_x $$

${}_nL_x$ — ასაკობრივ ჯგუფში ნაცხოვრები ადამიან-წელი

$n \cdot l_{x+n}$ — $[x,x+n]$ ასაკამდე მიღწეულთა რაოდენობა გამრავლებული მათ მიერ $[x,x+n]$ ასაკობრივ ჯგუფში ნაცხოვრებ ადამიან-წლების რაოდენობაზე

${}_nA_x$ — $[x,x+n]$ ასაკობრ.ივ ჯგუფში გარდაცვლილთა მიერ ამ ასაკობრივ ჯგუფში ნაცხოვრები ადამიან-წლების რაოდ.

ან, სადაც ${}_nA_x = {}_na_x \cdot {}_nd_x$. აქედან გამომდინარე ${}_nL_x$ ექნება შემდეგი სახე:

$$ {}_nL_x = n \cdot l_{x+n} + {}_na_x \cdot {}_nd_x $$

$[x,x+n]$ ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილი კოჰორტის წევრების მიერ ამ ასაკობრივ ჯგუფში ნაცხოვრები ადამიან-წელთა საშუალო რაოდენობა

$[x,x+n]$ ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილი კოჰორტის წევრების რაოდენობა

ბოლო ფორმულა შეიძლება ჩავწეროთ შემდეგნაირად:

$$ {}_nL_x = n \cdot (\, l_x - {}_nd_x)\, {}_na_x \cdot {}_nd_x, $$

საიდანაც

$$ n \cdot l_x = {}_nL_x + n \cdot {}_nd_x, - {}_na_x \cdot {}_nd_x, $$
$$ l_x = 1/n\, [\, {}_nL_x + n \cdot {}_nd_x, - \cdot {}_nd_x,], $$

თუ l_x -ის ბოლო გამოსახულებას ჩავსვამთ ${}_nq_x$ გამოსათვლელ ფორმულაში, მივიღებთ

$$ {}_nq_x = \frac{{}_nd_x}{l_x} = \frac{n \cdot {}_nd_x}{{}_nL_x + (n - {}_na_x) \cdot {}_nd_x}, $$

თუ ბოლო გამოსახულების მრიცხველს და მნიშვნელს გავყოფთ ${}_nL_x$, მივიღებთ

$$ {}_nq_x = \frac{n \cdot \frac{{}_nd_x}{{}_nL_x}}{\frac{{}_nL_x}{{}_nL_x} + (n - {}_na_x)\frac{{}_nd_x}{{}_nL}} = \frac{n \cdot {}_nm_x}{1 + (n - {}_na_x)\, {}_nm_x} $$

მოტანილი ფორმულის თანახმად ${}_nm_x$-ის ${}_nq_x$-ად გარდაქმნა დამოკიდებულია ${}_na_x$ პარამეტრზე.

ხშირად უშვებენ, რომ კოჰორტამ $[x, x+n]$ ასაკობრივ ჯგუფში საშუალოდ იცხოვრა ასაკობრივი ჯგუფის სიგრძის ნახევარი, მაშინ ${}_na_x = \frac{n}{2}$ და ${}_nq_x$-ის გამოსათვლელი ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$ {}_nq_x = \frac{n \cdot {}_nm_x}{1 + \frac{n}{2} \cdot {}_nm_x} = \frac{2n \cdot {}_nm_x}{2 + n \cdot {}_nm_x}. $$

ზემოთ წარმოდგენილი ფორმულა მოუხერხებელია ღია ინტერვალისათვის. იგულისხმება ბოლო ასაკობრივი ჯგუფი, მაგალითად, 85 და უფროსი ასაკი. ამ პრობლემის გადასაჭრელად გავიხსენოთ მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტის გამოსათვლელი ფორმულა: ${}_nm_x = \frac{{}_nd_x}{{}_nL_x}$, როდესაც $n = \infty$, მაშინ

$$ {}_\infty m_x = \frac{{}_\infty d_x}{{}_\infty L_x}, \text{ საიდანაც } \quad {}_\infty L_x = \frac{{}_\infty d_x}{{}_\infty m_x} $$

აღსანიშნავია, რომ კოჰორტაში გარდაცვლილი წევრების რაოდენობა x ასაკსა და უფროს ასაკში, დამოუკიდებლად იმისა კოჰორტა რეალურია, თუ ჰიპოთეზური, უნდა უდრიდეს x ასაკამდე მიღწეული კოჰორტის წევრების რაოდენობას $({}_\infty d_x = l_x)$, ამგვარად ${}_\infty L_x = \frac{l_x}{{}_\infty m_x}$.

მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტის გარდაცვალების ალბათობად გარდაქმნის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ${}_na_x$ თვითონ არის დამოკიდებული მოკვდაობის დონეზე. ქვემოთ მოტანილ ცხრილში (6.6.) მოცემულია კოულისა და დემენის მიერ გამოყვანილი ფორმულა, რომლის საშუალებითაც დადგენილია კავშირი ${}_1a_0$, ${}_4a_1$-ს და ${}_1q_0$-ს შორის. ფორმულა გამოყვანილია სხვადასხვა მოსახლეობაზე დიდი რაოდენობის დაკვირვებების შედეგად.

ცხრილი 6.6. ${}_{n}a_{x}$ მნიშვნელობები 5 წლის ასაკის ქვემოთ

	მამაკაცები	ქალები
${}_{1}a_{0}$ სიდიდე თუ ${}_{1}m_{0} \geq 0.107$ თუ ${}_{1}m_{0} < 0.107$	330 $0.045+2.684\cdot {}_{1}m_{0}$	350 $0.053+2.800\cdot {}_{1}m_{0}$
${}_{4}a_{1}$ სიდიდე თუ ${}_{1}m_{0} \geq 0.107$ თუ ${}_{1}m_{0} < 0.107$	1.352 $1.651-2.816\cdot {}_{1}m_{0}$	1.361 $1.522-1.518\cdot {}_{1}m_{0}$

მოკვდაობის ცხრილის აგებისთვის საჭიროა შემდეგი საფეხურების გავლა:

1) მოკვდაობის ცხრილის აგებისას პირველ რიგში გამოითვლება მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები. უშვებენ, რომ მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტი კოჰორტისთვის ემთხვევა ჰიპოთეზური მოსახლეობის მოკვდაობის ასაკობრივ კოეფიციენტს.

2) ${}_{n}q_{x}$ გამოითვლება შემდეგი ფორმულით

$$ {}_{n}q_{x} = \frac{2n\cdot {}_{n}m_{x}}{2 + n\cdot {}_{n}m_{x}} $$

იგულისხმება, რომ კოჰორტამ $[x,x+n]$ ასაკობრივ ჯგუფში საშუალოდ იცხოვრა ასაკობრივი ჯგუფის სიგრძის ნახევარი, $({}_{n}a_{x} = \frac{n}{2})$

მაგ., 0-დან 1 წლამდე ასაკობრივ ინტერვალში მამაკაცებისათვის ${}_{1}m_{0}$=0,0244

$$ {}_{1}q_{0} = \frac{2 \cdot 1 \cdot 0.0244}{2 + 1 \cdot 0.0244} = 0.0241 $$

იმ შემთხვევაში, თუ ინტერვალი იქნებოდა აღებული 0-დან 5 წლის ასაკამდე, მაშინ 1-ის მაგივრად n-ის მნიშვნელობად ავიღებდით 5-ს.

3) ვირჩევთ l_0-ს, რომელიც ცნობილია ფუძის (ფესვის) სახელწოდებით. ის შეიძლება იყოს 1000, 10000, 100000 და 1000000. ჩვეულებრივ და უფრო ხშირად l_0-ს უტოლებენ 100000-ს.

4) ვითვლით $l_{x+n}= l_x\cdot (1- {}_{n}q_{x})$-ს დაბალი ასაკებიდან მაღალი ასაკების ჩათვლით.

$$ l_1= l_0\cdot (1- {}_{1}q_{0}) $$

$$ l_5= l_1\cdot (1- {}_{4}q_{1}) $$

$$ l_{10}= l_5\cdot (1- {}_{5}q_{5}) $$

მაგ., $l_1 = 100000\cdot(1 - 0.0241) = 97589$

5) ვითვლით ${}_{n}d_{x}$-ს, რომელიც წარმოადგენს შემდეგ სხვაობას $l_x - l_{x+n}$. იგივე სხვაობა შეიძლება გამოისახოს ნამრავლის სახით $l_x\cdot {}_{n}q_{x}$

მაგ., ${}_{1}d_{0} = 100000 - 97589 = 2411$, ან სხვაობა გამოსახული ნამრავლით იქნება: $100000 \cdot 0.02411 = 2411$

6) ვითვლით $[x,x+n]$ ასაკობრივ ჯგუფში ნაცხოვრებ ადამიან-წელთა რაოდენობას

$$ {}_{n}L_{x} = n\cdot l_{x+n} + \frac{n}{2}\cdot {}_{n}d_{x}; $$

$$ {}_{1}L_{0} = 1 \cdot 97589 + \frac{1}{2} \cdot 2411 \approx 98795 $$

7) ვითვლით $T_x = \sum_{a=x}^{\infty} {}_nL_x$ -ს

T_x-ის მისაღებად საჭიროა ყველა L_x-ის შეჯამება.

8) x ასაკს მიღწეულთა დარჩენილ საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობას ვითვლით შემდეგი ფორმულით: $e_x^0 = T_x / l_x$

მაგ., 50 წლის ასაკისათვის $T_{50} = 2018151$, ხოლო $l_{50} = 84947$. მაშინ 50 წლის ასაკს მიღწეულ მამაკაცთა დარჩენილი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა იქნება: $e_{50}^0 = \frac{2018151}{84947} = 23.76$.

ცხრილი 6.7. საქართველოს მოსახლეობის 2005 წლის მოკვდაობის ცხრილი

x	${}_nm_x$	${}_nq_x$	l_x	${}_nd_x$	L_x	T_x	e_x
			მამაკაცები				
0	0.02440	0.0241	100000	2411	98795	6732997	67.33
1	0.00060	0.0024	97589	234	389888	6634203	67.98
5	0.00121	0.0061	97355	590	485301	6244314	64.14
10	0.00022	0.0011	96765	106	483563	5759013	59.52
15	0.00060	0.0030	96660	289	482577	5275450	54.58
20	0.00124	0.0062	96371	598	480360	4792873	49.73
25	0.00181	0.0090	95773	865	476703	4312513	45.03
30	0.00304	0.0151	94908	1431	470963	3835809	40.42
35	0.00411	0.0204	93477	1903	462627	3364847	36.00
40	0.00670	0.0330	91574	3021	450318	2902220	31.69
45	0.00830	0.0407	88553	3606	433751	2451902	27.69
50	0.01274	0.0618	84947	5254	411601	2018151	23.76
55	0.01764	0.0847	79693	6751	381589	1606550	20.16
60	0.01775	0.0852	72942	6217	349170	1224962	16.79
65	0.03693	0.1697	66726	11326	305313	875792	13.13
70	0.05263	0.2335	55400	12937	244655	570479	10.30
75	0.10008	0.3999	42462	16982	169856	325824	7.67
80	0.12128	0.4630	25480	11797	97910	155968	6.12
85+	0.23569	1	13684	13684	58058	58058	4.24
			ქალები				
0	0.02170	0.0215	100000	2147	98927	7460770	74.61
1	0.00040	0.0016	97853	156	391099	7361844	75.23
5	0.00106	0.0053	97697	515	487194	6970745	71.35
10	0.00019	0.0010	97181	94	485671	6483550	66.72
15	0.00035	0.0017	97087	169	485014	5997879	61.78
20	0.00057	0.0028	96918	274	483907	5512865	56.88
25	0.00068	0.0034	96645	329	482399	5028958	52.04
30	0.00105	0.0053	96315	506	480311	4546559	47.20
35	0.00132	0.0066	95809	629	477474	4066248	42.44
40	0.00227	0.0113	95180	1075	473213	3588774	37.71
45	0.00296	0.0147	94105	1384	467064	3115561	33.11
50	0.00431	0.0213	92721	1979	458655	2648497	28.56
55	0.00701	0.0345	90741	3128	445887	2189842	24.13
60	0.00900	0.0441	87613	3863	428410	1743955	19.91
65	0.02101	0.1001	83751	8383	397796	1315545	15.71
70	0.03334	0.1545	75368	11642	347733	917750	12.18
75	0.06588	0.2838	63726	18084	273418	570017	8.94
80	0.10588	0.4178	45641	19070	180533	296599	6.50
85+	0.22893	1	26572	26572	116066	116066	4.37

6.7. მოკვდაობის მოდელური ცხრილები

მოკვდაობის მოდელური ცხრილები მოკვდაობის ცხრილების სისტემაა, რომელთაგან თითოეული ასახავს ასაკთან ერთად მოკვდაობის ინტენსივობის ცვლილებას მსგავსი ამოწყდომის რიგითობის მქონე მოსახლეობისათვის. მოკვდაობის ცხრილები, რომლებიც შედიან მოდელურ სისტემაში შეიძლება განსხვავდებოდნენ რიგი პარამეტრებით, რომელთა შორის, როგორც წესი, შედის მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. მოკვდაობის მოდელური ცხრილების რიგი, რომელიც მოწესრიგებულია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება განვიხილოთ როგორც ამოწყდომის რიგითობის ევოლუციის მოდელი მოკვდაობის ტრადიციული ტიპიდან თანამედროვეზე გადასვლისას.

მოკვდაობის მოდელური ცხრილები უმრავლეს შემთხვევაში აიგება ცალ-ცალკე ყოველი სქესისათვის და წარმოადგენს წყვილადი ცხრილების სისტემას, სადაც ყოველ „მამრობით" ცხრილს შეესაბამება ერთი „მდედრობითი" ცხრილი. ითვლება, რომ ასეთი წყვილადი სისტემა ასახავს მამაკაცებისა და ქალების მოკვდაობის ყველაზე ტიპურ თანაფარდობას.

მოდელური ცხრილები დემოგრაფიაში გამოიყენება მოკვდაობის დემოგრაფიული ანალიზისას ასაკობრივი მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის შეფასებისათვის (იმ ქვეყნებში, სადაც გარდაცვლილთა არასანდო აღრიცხვაა), დემოგრაფიული პროგნოზის შემუშავებისათვის.

მოკვდაობის მოდელური ცხრილების აგების ერთ-ერთი პირველი, ფართოდ ცნობილი, ცდა ეკუთვნის ფ.ნოუტსტაინს 1944 წელს. იმ დროს გამოიცა ფ. ნოუტსტაინის და მისი თანამშრომლების მონოგრაფია „ევროპისა და საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მომავალი", სადაც განხილული იყო მოკვდაობის ასაკობრივი განაწილება და ტენდენციები, რომელსაც მოკვდაობა გაივლის მაღალიდან დაბალ დონემდე. კონკრეტულად განზოგადება წარმოდგენილია ხაზოვანი რეგრესიის დამოკიდებულების სახით. მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება რეგრესიის ერთი პარამეტრი. ამიტომ ინტერპრეტაცია შედარებით ადვილია: მოკვდაობის ევოლუცია ერთ ხაზს მიჰყვება, რომელიც რეგრესიული დამოკიდებულებით აღიწერება. მისგან გამომდინარეობს, რომ სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა დაბალიდან მაღალ დონემდე მსგავს გზას გაივლის.

ცნობილია აგრეთვე ფრანგული დემოგრაფიული სკოლის მოკვდაობის მოდელური ცხრილები. მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში, გულისხმობენ ს. ლედერმანისა და ჟ. ბრეას მოდელურ ცხრილებს, რომლებიც ფაქტორულ ანალიზს ეფუძნება. აღნიშნული მიდგომის საფუძველზე შესაძლებელი გახდა სამი მთავარი კომპონენტის გამოყოფა, რომლებიც მოკვდაობის ვარიაციის 92,6% ხსნიდა.

ასევე ცნობილია ბურჟუა-პიშას მოკვდაობის მოდელური ცხრილები, რომლებიც ეფუძნება ს. ლედერმანისა და ჟ. ბრეას მიღწევებს ამ სფეროში. იგი ეყრდნობა მსოფლიოს 42 ქვეყნის 244 ცხრილის ანალიზს. ამ შედეგების საფუძველზე ჟ. ბურჟუა-პიშამ ააგო მოკვდაობის მოდელური ცხრილების ხუთგანზომილებიანი სისტემა, რომელშიც აცილებულ იქნა გაეროს (1955) მოკვდაობის მოდელური ცხრილების გარკვეული ნაკლი.

გაეროს მოკვდაობის მოდელური ცხრილები (1955), მოკვდაობის მოდელური ცხრილების ერთ-ერთი სისტემაა. იგი შემუშავებულ იქნა 1955 წელს გაეროს ექსპერტების მიერ, მოკვდაობის 158 სხვადასხვა ცხრილის სტატისტიკური დამუშავების გზით. მათ საფუძველზე აგებულ იქნა 40 ცხრილისაგან შემდგარი მოკვდაობის მოდელური ცხრილების სისტემა, რომელიც მოწესრიგებულია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდისა (18-დან 75 წლამდე) და მოკვდაობის დონის მიხედვით. ცხრილები შეიცავენ ცოცხლად დარჩენილთა

რიცხვსა და გარდაცვალების ალბათობას 0-დან 85 და უფროსი ასაკებისათვის 5-წლიანი ინტერვალით, ორივე სქესისათვის ცალ-ცალკე.

გაეროს მოკვდაობის მოდელური ცხრილები (1982) შემუშავებულ იქნა 1982 წელს გაეროს ექსპერტების მიერ განვითარებადი ქვეყნებისათვის გარდაცვალების შემთხვევების რეგისტრაციისას შესაძლებელ შეცდომათა შესწორების გათვალისწინებით. მიჩნეულია, რომ გაეროს მოკვდაობის მოდელური ცხრილები (1982) მოკვდაობის ევოლუციის მრავალვარიანტიან კონცეფციას ეფუძნება.

კოულ-დემენის მოკვდაობის მოდელურ რეგიონულ ცხრილებს საფუძვლად დაედო მოკვდაობის 326 ცხრილის სტატისტიკური გამოკვლევა, რომლის დროსაც ასაკობრივი გარდაცვალების ალბათობები და მათი ლოგარითმები წარმოდგენილ იქნენ როგორც ერთი პარამეტრის ფუნქციები, რომელიც ზომავდა მოკვდაობის საერთო დონეს. ასეთ პარამეტრად აღებულ იქნა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 5 წლის ასაკში. ცხრილების მონაცემების საშუალო მნიშვნელობებიდან გადახრის ანალიზის საფუძველზე შედგენილ იქნა მოკვდაობის მოდელური ცხრილების 4 რეგიონული სისტემა: „დასავლეთი" (რომელმაც ყველაზე მეტი გამოყენება ჰპოვა დემოგრაფიულ გამოკვლევებში), „ჩრდილოეთი", „სამხრეთი" და „აღმოსავლეთი". ისინი ძირითადად ასახავენ განვითარებული ქვეყნების (უმთავრესად დასავლეთ ევროპის) მონაცემებს, რაც ართულებს მათ გამოყენებას განვითარებადი ქვეყნებისათვის. კოულ-დემენის მოდელური ცხრილები გამოქვეყნებულ იქნა 1966 წელს. 1989 წელს გამოქვეყნებულ იქნა დამატებითი მოდელური ცხრილები, რომელშიც გათვალისწინებულია მოკვდაობის თანამედროვე ტენდენციები.

6.8. მოკვდაობა სიკვდილის მიზეზების მიხედვით

იგი გულისხმობს მოკვდაობის დიფერენციაციას სიკვდილის მიზეზების მიხედვით. მოკვდაობის ანალიზი სიკვდილის მიზეზების მიხედვით საშუალებას იძლევა: შეფასდეს მოკვდაობაში სიკვდილის ცალკეული მიზეზის მნიშვნელობა, გაკეთდეს დასკვნა იმის თაობაზე, თუ მოკვდაობის დონის შემცირებისათვის რომელი დაავადებების წინააღმდეგ უნდა იქნას მიმართული ძირითადი ძალისხმევა, განისაზღვროს ამა თუ იმ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ღონისძიებათა ეფექტიანობა.

მნიშვნელოვანი ცვლილება მოკვდაობის სტრუქტურაში განპირობებულ იქნა ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებათა შორის თანაფარდობის ცვალებადობით. თუ XX საუკუნის დასაწყისში ინფექციურ დაავადებებს პირველი ადგილი ეკავათ სიკვდილის მიზეზთა სტრუქტურაში, უკვე XX საუკუნის 60-იან წლებში მოკვდაობა ამ მიზეზით შემცირდა ათჯერ და მეტად და პირველ ადგილზე გამოვიდა მოკვდაობა სისხლის მიმოქცევის სისტემის, ახალწარმონაქმნებისა და აგრეთვე უბედური შემთხვევების, მოწამვლებისა და ტრავმების მიზეზებით.

სადღეისოდ სიკვდილის მიზეზების მიხედვით მოკვდაობის ანალიზისათვის გამოიყენება დაავადებათა ძირითადი კლასები მეათე გადახედვის მიხედვით.

ამასთან დაკავშირებით გამოყოფენ ძირითად 19 კლასს (XX კლასი "ავადობისა და სიკვდილობის გარეგანი მიზეზები" იმეორებს XIX კლასს), რომელიც ქვემოთ არის მოტანილი. მოკვდაობის სიკვდილის მიზეზების მიხედვით ანალიზისათვის გამოიყენება მოკვდაობის კოეფიციენტი სიკვდილის მიზეზების მიხედვით. ამასთან, მიღებულია მოკვდაობის კოეფიციენტების სიკვდილის მიზეზების მიხედვით დიფერენცირება რამდენიმე დონეზე: მთლიანად ქვეყნისათვის ორივე სქესის მიხედვით ერთად, ცალ-ცალკე მამრობითი და მდედრობითი სქესისათვის, სქესისა და ასაკის მიხედვით.

დაავადებათა ძირითადი კლასები X დსკ-ს* მიხედვით

I	ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადება
II	ახალწარმონაქმნები
III	სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების და იმუნური მექანიზმის ჩათრევით მიმდინარე ცალკეული დარღვევები
IV	ენდოკრინული სისტემის, კვების მოშლილობის და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დაავადებები
V	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები
VI	ნერვიული სისტემის დაავადებები
VII	თვალისა და მისი დანამატების დაავადებები
VIII	ყურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებები
IX	სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები
X	სუნთქვის ორგანოების დაავადებები
XI	საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები
XII	კანისა და კანქვეშა უჯრედისის დაავადებები
XIII	ძვალკუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის დაავადებები
XIV	შარდსასქესო სისტემის დაავადებები
XV	ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა, აბორტით დამთავრებული ორსულობა
XVI	პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობები
XVII	განვითარების თანდაყოლილი ანომალიები, დეფორმაციები და ქრომოსომური ანომალიები
XVIII	სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრები, გამოვლენილი კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევებისას, რომლებიც არ არიან კლასიფიცირებული სხვა რუბრიკებში
XIX	ტრავმები, მოწამვლები და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი

მოკვდაობის კოეფიციენტის სიკვდილის მიზეზების მიხედვით გაანგარიშების წესი იგივეა, რაც მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების. განსხვავება ის არის, რომ მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები გაიანგარიშება შესაბამისი ასაკისა და სქესის 1000 სულზე, ხოლო მოკვდაობის კოეფიციენტი სიკვდილის მიზეზების მიხედვით გაიანგარიშება შესაბამისი ასაკისა და სქესის 100000 სულზე.

არის განსხვავებაც. XV კლასის შემთხვევაში (ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა, აბორტით დამთავრებული ორსულობა) გაითვალისწინება მხოლოდ 15-49 წლის ასაკის ქალები.

6.9. თვითშენახვითი ქცევა

თვითშენახვითი (თვითშენარჩუნებითი, თვითმოვლითი) ქცევა წარმოადგენს ადამიანის აქტივობას, რომელიც მიმართულია ჯანმრთელობის დაცვისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდისაკენ. ის შეიძლება იყოს გაცნობიერებული და გაუცნობიერებელიც. თვითშენახვითი ქცევა ეფუძნება ადამიანის ჯანმრთელობის თვითდაცვისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის

* დსკ – დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია

მოთხოვნილებას, თუმცა სოციალური ქცევის დონისას შეიძლება ამ მიმართულებით ითვალისწინებდეს სხვა ადამიანების მოთხოვნილებასაც. თვითშენახვითი ქცევის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მოკვდაობის კვლევისას და აქტუალურია მოსახლეობის აღწარმოების პროცესის ანალიზისას. თვითშენახვითი ქცევის არსის გაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი დემოგრაფიული და ჯანდაცვის პოლიტიკის ღონისძიებათა განსაზღვრისათვის.

ისე, როგორც რეპროდუქციული ქცევის შემთხვევაში, თვითშენახვითი ქცევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლად სავსებით გამოსადეგია განწყობის ფსიქოლოგია.

თვითშენახვითი ქცევის განწყობა წარმოადგენს პიროვნების მზადყოფნას ფსიქოფიზიკური აქტივობისაკენ, რომელიც მიმართულია ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდისაკენ.

თვითშენახვითი ქცევის განწყობის საფუძველი არის დიდხანს სიცოცხლის მოთხოვნილება (სუბიექტური მხარე).

სიტუაციას მიეკუთვნება სხვადასხვა სახის ყოფითი და ცხოვრებისეული პირობები, ურთიერთობები საზოგადოების წევრებთან, ჯანდაცვის განვითარების დონე (ობიექტური პირობები).

ოპერაციული შესაძლებლობები ეს არის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მემკვიდრეობა.

თვითშენახვითი ქცევა მიეკუთვნება პიროვნებათაშორისი ურთიერთობის ფორმას (მოვლა და თვითმოვლა).

თვითშენახვითი ქცევის განწყობისას ადამიანს ახასიათებს სხვადასხვა დონის აქტივობა.

I დონის აქტივობას მიეკუთვნება ინსტინქტური, ჩვეული, იმპულსური ქცევები, რომლებიც ადამიანის ავტომატური მექანიზმების საფუძველზე ხორციელდება.

II დონის აქტივობისას სუბიექტის ქცევა ცნობიერებისა და აზროვნების დონეზე სრულდება. ამ დროს ადამიანი თავის განწყობაში რთავს საზოგადოებრივ და პიროვნულ მოთხოვნებს. აქ გადამწყვეტია ობიექტივაცია – დამაბრკოლებელი ობიექტის დაკვირვება, ქცევის ხელშემშლელი აქტების გამოყოფა, მიზეზების გარკვევა და მიზანშეწონილი ქცევის გაგრძელების გზების დასახვა.

თვითშენახვითი ქცევის წინ ადამიანს უჩნდება დიდხანს სიცოცხლის მოთხოვნილება. ის ახდენს ობიექტივაციას, ანუ დაკვირვებას თავის თავზე, როგორ, რა მიმართულებით წარმართოს ქცევა, ახდენს შესაძლებლობების მობილიზებას და იწყებს მიზანდასახულ მოქმედებას, რომელიც მიმართულია სიცოცხლის გასახანგრძლივებლად.

სადღეისოდ თვითშენახვითი ქცევის განწყობა სოციალურ დონეს მიეკუთვნება. მისთვის დამახასიათებელია სოციალური მოთხოვნები, მოტივაციის პროცესები, მისაღები ქცევის წარმოსახვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

თვითშენახვითი ქცევის დასახასიათებლად ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია სიცოცხლის იდეალურ, სასურველ და სავარაუდო (მოსალოდნელ) ხანგრძლივობას.

სიცოცხლის იდეალური ხანგრძლივობა არის ადამიანის წარმოდგენა სიცოცხლის ხანგრძლივობის საუკეთესო წლოვანების შესახებ საერთოდ პირადი მიდრეკილებებისა და კონკრეტული ცხოვრებისეული პირობების გათვალისწინების გარეშე.

სიცოცხლის სასურველი ხანგრძლივობა წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის ინდივიდუალური მოთხოვნილების გამოხატულებას. ეს სიცოცხლის ის ხანგრძლივობაა, რომელსაც ამჯობინებდა ადამიანი, რომ ეცოცხლა, გამომდინარე პირადი მიდრეკილებებიდან, მაგრამ ცხოვრების კონკრეტული პირობების გაუთვალისწინებლად.

სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა წარმოადგენს სიცოცხლის ხანგრძლივობის ინდივიდუალურ ოპტიმუმს კონკრეტულ პირობებში. ეს სიცოცხლის ხანგრძლივობაა, რომელზედაც ორიენტირებულია ადამიანი, გამომდინარე პირადი მიდრეკილებებიდან და ცხოვრებისეული კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

ჩატარებული გამოკვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ მართალია წარმოდგენის ფორმირება თვითშენახვით ქცევაზე ადრეულ ასაკში იწყება, მაგრამ ჩამოყალიბებული სახე უფრო 16-18 წლის ასაკისათვის აქვს.

აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა ახლოს არის რეალობასთან და პრაქტიკულად დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მსგავსია.

გამოკვლევის შედეგებიდან ასევე გამომდინარეობს, რომ ქალებში სიცოცხლის იდეალური და სასურველი ხანგრძლივობა უფრო მაღალია დაქორწინებულთათვის, ხოლო სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა – ქორწინებაში არმყოფი ქალებისათვის. მამაკაცებში სამივე შემთხვევაში (იდეალური, სასურველი, სავარაუდო) სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლები დაქორწინებულებისათვის უფრო მაღალია.

თავიანთ ჯანმრთელობას უფრო კარგად ახასიათებენ დაუქორწინებელი ქალები.

გამოკვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ თვითშენახვითი ქცევის ისეთი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები როგორიცაა შემოსავლის დონე, ბინის ფართობი და დასაქმება პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია სიცოცხლის ხანგრძლივობასთან. ასევე, სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობის მაღალ წლებს უმეტესად ასახელებს უფრო მეტად უზრუნველყოფილი მოსახლეობა.

აღმოჩნდა, რომ თვითშენახვითი ქცევა კავშირშია რეპროდუქციულ ქცევასთან. კერძოდ, განსაკუთრებით მაღალია სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა იმათთვის, რომელთა ბავშვების მოსალოდნელმა რაოდენობამ შეადგინა 3-4 ბავშვი. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო მაღალია ოჯახში ბავშვების სასურველი რაოდენობა, მით უფრო დიდია როგორც მამაკაცების, ისე ქალების მიერ დასახელებული სიცოცხლის იდეალური, სასურველი და სავარაუდო ხანგრძლივობა.

ამდენად, ადამიანებს შეუძლიათ, თავისი თვითშენახვითი ქცევიდან გამომდინარე, შეამცირონ ან გაზარდონ დაავადებებისა და სიკვდილის დონე და საერთო ჯამში სიცოცხლის ხანგრძლივობა.

თვითშენახვითი ქცევა მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული იმ ურთიერთობებით, რომლებიც გამომდინარეობს კულტურული მემკვიდრეობიდან, ცხოვრების პირობებიდან და ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე პოლიტიკიდან.

ქვემოთ მოკლედ იქნება ჩამოთვლილი ის ელემენტები, რომლებიც მოქმედებს თვითშენახვით ქცევაზე.

აღვნიშნავთ, რომ ჯანმრთელობის შენარჩუნება, თუ გაუარესება დამოკიდებულია ადამიანის ყოველდღიურ, ისეთ საქმიანობაზე როგორიც არის პირადი ჰიგიენა, სიგარეტის მოწევა, კვება, მოძრაობა ქუჩაში, სამუშაო, გარემოს ტემპერატურა, სქესობრივი ურთიერთობები, სპორტი და დამოკიდებულება სხვა ადამიანებთან. ინდივიდუალური ქცევის სია, რომელსაც გავლენა აქვს ჯანმრთელობაზე, ძალიან გრძელია. მიუხედავად ამისა, საკითხთან დაკავშირებით გამოყოფენ (ვალენი, კასელი და სურო) შემდეგ არსებით ასპექტებს:

I. ქცევითი ფაქტორები

1. პირადი ჰიგიენა, სპორტი და თავისუფალი დრო
   ა) დასვენება სამედიცინო მომსახურებით
   ბ) ინდივიდუალური ჰიგიენა
   გ) კვება – რაოდენობა და ხარისხი, დაბალანსებული დიეტა

დ) ალკოჰოლის, თამბაქოსა და ნარკოტიკების მოხმარება
ე) სპორტი და თავისუფალი დრო
2. სქესობრივი ქცევა
3. ცხოვრების რეგულირება და პროფესიული საქმიანობა
ა) საცხოვრებელი გარემო
ბ) ტრანსპორტი
გ) სამუშაო, შრომის პირობები
დ) მიგრაცია
4. პირადი ურთიერთობები
ა) დამოკიდებულება ბავშვებისადმი
ბ) ძალადობა
გ) თაობათა დამოკიდებულება და ურთიერთობა ოჯახში
5. ერთობლივი მოქმედება

II. სოციოკულტურული ფაქტორები და დამოკიდებულება სხეულისა და ჯანმრთელობისადმი

1. დამოკიდებულება სხეულისადმი
2. სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი
ა) განათლება
ბ) მატერიალური კეთილდღეობა
გ) სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა
3. სოციალური პირობები
ა) სოციალური კატეგორიები
ბ) სქესი
გ) ქორწინებითი მდგომარეობა
დ) ურბანიზაცია
ე) რელიგია
4. ჯანდაცვის პოლიტიკა
ა) საშუალებათა არსებობა
ბ) ქცევის ორიენტაცია

ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა პირველ რიგში დამოკიდებულია გენეტიკურად დაპროგრამებულ სასიცოცხლო რესურსებსა და გარემოში არსებულ პირობებს შორის ბალანსზე. მიუხედავად ამისა, არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ადამიანების მიერ ამ ბალანსის მართვას როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე. გარემოსთან ადამიანებისა და საზოგადოების დამოკიდებულებამ შეიძლება მიგვიყვანოს მნიშვნელოვან განსხვავებამდე ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაში.

6.10. მოკვდაობის პრობლემები

მოკვდაობის შემცირებასთან დაკავშირებით ორი სახის პრობლემაზე ამახვილებენ ყურადღებას. ჯერ ერთი, მოკვდაობის კლება სამომავლოდ შეიძლება არ წარმოადგენდეს ესოდენ უდავო მოვლენას. XX საუკუნეში მიღწეული წარმატებები მოკვდაობის შემცირებასთან დაკავშირებით, ბოლო დროს, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, პრობლემად იქცა დაავადებებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოწვეულია თამბაქოს მოხმარებით და სიმსუქნით. მეორეც ერთი, მსოფლიოს ყველა ქვეყანამ თანაბრად ვერ ისარგებლა მომხდარი მოკვდაობის კლებით. განვითარებულ ქვეყნებშიც კი რჩება მოსახლეობის დაუცველი ჯგუფები.

ჩვეულებრივ ადამიანებს სურთ ხანგრძლივი სიცოცხლე და ასეთს დადებითად აღიქვამენ, ხოლო მოკლე სიცოცხლესა და ზოგადად სიცოცხლის შეწყვეტას

უარყოფითად აფასებენ. აქედან გამომდინარე, სიცოცხლის ნებისმიერი შეწყვეტა და სიკვდილის დადგომა მოკვდაობის პრობლემას წარმოადგენს.

მოტანილთან დაკავშირებით დემოგრაფიულ მეცნიერებაში პრობლემად მიიჩნევენ და ჩვეულებრივ სვამენ კითხვებს:

საზრუნავს წარმოადგენს მნიშვნელოვანი განსხვავებები მოკვდაობასა და მისგან გამომდინარე სიცოცხლის ხანგრძლივობაში ქვეყნების, ხალხების, კლასების, სქესისა და ასაკის მიხედვით.

რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს არსებულ განსხვავებათა შენარჩუნებას?

მოკვდაობის ინტენსივობის შესაძლებელი კლება ყოველთვის არ მიიჩნევა უდავოდ. ეპიდემიოლოგიური გადასვლის თეორიიდან ცნობილია და ამის შესახებ მიდიოდა მსჯელობა, რომ მოკვდაობის ევოლუციასთან დაკავშირებით შესაძლებელია ეპიდემიოლოგიური გადასვლის უკუსვლა და ზოგჯერ ეს უკუსვლა არა მარტო შესაძლებლად, არამედ გარდაუვალად მიიჩნევა. იმის მაგალითიც მოჰყავთ, რომ ასეთი უკუსვლა განპირობებული იქნება ინფექციურ დაავადებათა აღმოცენებით, ეკოლოგიური დაბინძურებით, მკვლელობათა ზრდით და სხვა.

რეალობაში საქმე გვაქვს ევროპაში მოკვდაობის კლების შემცირებასა და მის ანულირებასთანაც კი და ახალ პანდემიათა გამოჩენასთან, განსაკუთრებით აივ/შიდსის, თამბაქოს მოხმარებასა და სიმსუქნიდან გამომდინარე დაავადებებთან.

1997 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ცნობით მოკვდაობის კრიზისებს ევროპის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში და ნაადრევ სიკვდილს დაბალ სოციალურ კლასებში თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში ფაქტობრივად მოჰყვა ევროპული სიცოცხლის ხანგრძლივობის კლება, პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ყოფილ საბჭოთა კავშირში, 2003 წლისათვის 1980 წელთან შედარებით, სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ შემცირდა 4,2 წლით მამაკაცებისა და 1,6 წლით ქალებისათვის.

აღმოსავლეთ ევროპაში სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის შეჩერებისა და კლების ასახსნელად მოჰყავთ ისეთი არგუმენტები როგორიცაა სიღარიბე, უსახლკარობა, ალკოჰოლიზმი, თამბაქოს მოხმარება, უმუშევრობა და სხვა.

უფრო დიდ უბედურებად მიიჩნევა ინფექციური დაავადებების გამოჩენა (დიფტერია, ქოლერა, გრიპი, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები, ტუბერკულიოზი, პნევმონია და მალარია), რომლებიც მრავალი ათწლეულის მანძილზე არ იყო ევროპაში.

ცხოვრების წესთან დაკავშირებული მოკვდაობაც სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირების მიზეზად მიიჩნევა.

ნეგატიური ტენდენციები ევროპაში სიცოცხლის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოადგენდეს დროებით მოვლენას, რომელიც დაკავშირებულია ევროპაში მიმდინარე ეკონომიკურ და სოციალურ რესტრუქტურიზაციასთან. ახალი ინფექციური დაავადებები როგორიც აივ/შიდსია და ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი დაავადებები, აგრეთვე თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებული მოკვდაობა არ არის უნიკალური დამახასიათებელი მხოლოდ ევროპისათვის და ჯერ-ჯერობით დროებით მოვლენას არ წარმოადგენს.

მოკვდაობის საყოველთაოდ აღიარებულ პრობლემას მიეკუთვნება აივ/შიდსის პანდემია. ის მცირე შემთხვევები, რომლებიც პირველად 1980-იან წლებში გვხდებოდა, 20 წლის შემდეგ გახდა ათობით მილიონობით ადამიანის ამ დაავადებით დასნეულებისა და სიკვდილის მიზეზი. აივ/შიდსიდ დაავადებულთა განკურნების უნივერსალური ვაქცინა სადღეისოდ არ არსებობს, თუმცა 1990-იან წლებში განვითარებული ანტირეტროვირალური დამუშავება (ARV) ეფექტური აღმოჩნდა დაავადების განვითარების არსებითი შენელებისათვის. სამწუხაროდ, ქვეყნები, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ ARV თერაპია ნაკლებად არიან ამით უზრუნველყოფილი. აფრიკის დაავადებული მოსახლეობის მხოლოდ 2%

ღებულობდა ARV თერაპიას, მაშინ, როდესაც ევროპაში პრაქტიკულად სრულ მოცვას აქვს ადგილი.

მრავალი განვითარებადი ქვეყანა, განსაკუთრებით აფრიკის საჰარაში გაუკაცრიელდა. აფრიკაში უფროსი მოსახლეობის თითქმის 10%-მდე დაავადებულია აივ/შიდსით. იგივე მძიმე ეკონომიკური პირობები, რომლებიც ხელს უწყობს აივ/შიდსის გავრცელებას, ასევე იწვევს სხვა ინფექციური დაავადებების (მალარია, ბაქტერიოლოგიური დაავადებები, ტუბერკულიოზი) მაღალ ნორმებს.

დიაგრამა (6.13) უჩვენებს სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას დაბადებისას შიდსით დაავადების შემთხვევაში და მის გარეშე, აფრიკის 29 ქვეყანაში, რომლებშიც ყველაზე მეტად იყო გავრცელებული აივ/შიდსი.

როგორც ვხედავთ, ის მცირე განსხვავება, რომელიც გამომდინარეობდა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაში დაბადებისას შიდსის დაავადების შემთხვევაში და შიდსის გარეშე 1985-1990 წლებში, საკმაოდ არსებით სიდიდეს აღწევს 20 წლის შემდეგ, ანუ 2005-2010 წლებში და 9 წელს შეადგენს.

კიდევ უფრო თვალსაჩინო განსხვავებებია იმ შემთხვევაში, როდესაც შედარება მიმდინარეობს ცალკეული ქვეყნის მიხედვით, სადაც აივ/შიდსი ფართოდ არის გავრცელებული.

მაგ., აივ/შიდსის დაავადების გამო სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას ზიმბაბვეში შემცირებული იყო 37 წლით, ხოლო კენიაში – 25 წლით. აივ/შიდსის გამო სამხრეთ აფრიკის მოსახლეობა 2050 წლისათვის 50%-ით ნაკლები იქნება, ვიდრე დაავადების გარეშე იქნებოდა.

დიაგრამა 6.13. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა აფრიკის 29 ქვეყანაში შიდსიდ დაავადების შემთხვევაში და მის გარეშე



აივ/შიდსის გავლენა მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე, დაავადების ფართოდ გავრცელების შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანია. მაგ., ბოტსვანაში 2020 წლისათვის აივ/შიდსის დაავადების გავრცელების გამო მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა ძალიან დაბერებული მოსახლეობის მსგავს სახეს მიიღებს, რომელიც დამახასიათებელია რეგრესული ტიპის მოსახლეობისათვის. აივ/შიდსის დაავადების გარეშე ბოტსვანის მოსახლეობის პირამიდა აშკარად განსხვავებული სახის იქნებოდა და შეესაბამებოდა პროგრესული ტიპის მოსახლეობის სტრუქტურას.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2008 წელს ბოტსვანაში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას საშუალოდ 38,2 წელი იყო, მაშინ როდესაც შიდსის ინფექციის გავრცელების გარეშე სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას 71,6 წელი იქნებოდა. 2010 წლისათვის შიდსის გამო

ბოტცვანის მოსახლეობა ნახევარ მილიონ ადამიანს დაკარგავს და 2,1 მილიონის ნაცვლად 1,6 მილიონი იქნება.

დიაგრამა 6.14. ბოტცვანის მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობა 2020 წლისათვის შიდსითა და შიდსის გარეშე



ევროპის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აივ/შიდსი ერთადერთი დაავადება არ არის, რომელიც იდენტიფიცირებული იყო არც თუ ისე დიდი ხნის წინ. 1973 წლიდან ჯანმრთველობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმო) გამოაქვეყნა 30-ზე მეტი ახალი დაავადება, რომლებსაც იწვევენ მიკრობები ან ინფექციები. მათ რიცხვს მიეკუთვნება ებოლა (1977), ლეგიონერების დაავადება (1977), ჰემორაგიული ცხელება (1977), აივ/შიდსი (1983), ჰეპატიტი C (1989), შიდსთან დაკავშირებული HHV-8 (1995), ფრინველის გრიპი H5N1 (1997), ატიპური პნევმონია (2003) და სხვა. მართალია, აივ/შიდსმა სხვა დაავადებებთან შედარებით იქონია ყველაზე მეტი გავლენა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უგულებელყოფილი იქნას სხვა დაავადებები. მსოფლიო მოსახლეობის 3%-ზე მეტი დაავადებულია C ჰეპატიტით. საყურადღებოა ფრინველის გრიპი. მით უფრო რომ მისი ვირუსი სახეცვლილებებს განიცდის. ახალ დაავადებებთან ერთად თავი იჩინეს ძველმა დაავადებებმაც. აფრიკასა და ცენტრალურ ამერიკაში თავი იჩინა ყვითელმა ცხელებამ და მენინგიტმა. 50-წლიანი არარსებობის შემდეგ აზიასა და აფრიკაში ისევ გამოჩნდა შავი ჭირი.

საკითხავი ის არის – შეუძლია თუ არა კაცობრიობას დაავადებათა აღმოცენების და გავრცელების ადეკვატურად მიიღოს შესაბამისი სამედიცინო ზომები და წარმატებით აწარმოოს ჯანდაცვა.

მეორე პანდემია, რომელიც აივ/შიდსზე ნაკლებადაა გამოხატული, მაგრამ კონკურენციას უწევს მას მზარდი მოკვდაობის თვალსაზრისით, ეს თამბაქოს მოხმარებაა. სიკვდილის ამ მიზეზის თავიდან აცილება თითქოს შესაძლებელია. მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად თამბაქოს გამოყენების მიზეზით მსოფლიოში იღუპება დაახლოებით 5 მილიონი ადამიანი და ვარაუდობენ, რომ 2020 წლისათვის თამბაქოს გამოყენებით გამოწვეული მოკვდაობა გაორმაგდება.

თამბაქოსთან დაკავშირებული მოკვდაობა შედარებით ახალი პრობლემაა. 1930-იან წლებში ფილტვის კიბო იშვიათ დაავადებას წარმოადგენდა აშშ-სა და ევროპაში. რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, განვითარებულ ქვეყნებში, ის გახდა სიკვდილის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი და ყველა სასიკვდილო შემთხვევის დაახლოებით 7%-ს შეადგენს.

განვითარებულ ქვეყნებში მოწევა ჯერ მამაკაცებში დაიწყო და შემდეგ ქალებშიც გავრცელდა. მაგ., საფრანგეთში გოგონები მეტს ეწევიან, ვიდრე ვაჟები. განვითარებულ ქვეყნებში ეწევა მამაკაცების საშუალოდ 35% და ქალების 22%. გასული წლების განმავლობაში მოწევის საწინააღმდეგოდ აქტიური კამპანიები იქნა გატარებული, რის შედეგადაც თამბაქოს გამოყენება შემცირდა აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიასა და დიდ ბრიტანეთში, თუმცა ევროპის უმრავლეს ქვეყნებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში ის ისევ საკმაოდ გავრცელებულია.

განვითარებად ქვეყნებშიც მატულობს თამბაქოს გამოყენებასთან დაკავშირებული სიკვდილის შემთხვევები. ამასთან, განვითარებად ქვეყნებში თამბაქოს მოხმარება ზრდას განაგრძობს. ამის შედეგად, ამჟამად, მსოფლიოში მწეველთა უმრავლესობა განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს.

ვარაუდობენ, რომ 2020 წლისათვის თამბაქო მოკლავს მეტ ადამიანს, ვიდრე ნებისმიერი ერთი რომელიმე დაავადება და აივ/შიდსის სასიკვდილო შემთხვევებსაც კი გადააჭარბებს.

მოსახლეობა როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში არასწორი კვების პრობლემას განიცდის. თუმცა მსგავსება მათ შორის ამით მთავრდება და მხოლოდ განსხვავებაზე შეიძლება ვისაუბროთ.

განვითარებად ქვეყნებში არაჯანსაღი, არასწორი კვების პრობლემა არასაკმარის კვებასთან არის დაკავშირებული, მაშინ, როდესაც არასწორი კვების შედეგად წარმოშობილი სიმსუქნე განვითარებული ქვეყნების პრობლემაა.

განვითარებად ქვეყნებში, XXI საუკუნის დასაწყისში, 170 მილიონამდე ბავშვის წონა ნორმაზე ნაკლები იყო და ყოველწლიურად 3 მილიონამდე კვდებოდა. ამისგან განსხვავებით, განვითარებულ ქვეყნებში მილიარდზე მეტი ადამიანი ნორმაზე მეტს იწონის და ამ მიზეზით მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში ყოველწლიურად საშუალოდ ნახევარი მილიონი ადამიანი კვდება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სიმსუქნე განვითარებული ქვეყნების გარდა სხვა რეგიონებშიც იწყებს გავრცელებას.

სიმსუქნეს, რომელიც გამომდინარეობს ნაკლებად მოძრავი ცხოვრების წესისა და არასწორი კვებისაგან, მოჰყვება გულის დაავადებები, ინსულტი, დიაბეტი, კიბო და სხვა. სიმსუქნისგან გამომდინარე დემოგრაფებმა უკვე დაიწყეს სიცოცხლის ხანგრძლივობის პროგნოზის გადახედვა განვითარებული ქვეყნებისათვის. მაგ., მიჩნეულია, რომ სიმსუქნე შეამცირებს სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას დაბადებისას აშშ-ში 5 წლით.

პრობლემათა სხვა რიგად წარმოსდგება მოკვდაობა ადამიანთა იმ ჯგუფებში, რომლებშიც სხვებისგან განსხვავებით მოკვდაობა არ შემცირდა. მოკვდაობის მიზეზთა უმრავლესობა განსხვავდება სხვადასხვა სოციალური ჯგუფისათვის. მაღალი მოკვდაობა ასევე არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ხალხისათვის არის დამახასიათებელი.

განსხვავება სიცოცხლის ხანგრძლივობაში განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, ადრეულთან შედარებით, მართალია, შემცირდა, მაგრამ სადღეისოდ მაინც საკმაოდ მაღალია და საშუალოდ 10 წელს შეადგენს.

განსხვავება შეიმჩნევა თვითონ განვითარებადი რეგიონების ქვეყნებს შორის. მაგ., აფრიკის ქვეყნებში საშუალოდ სიცოცხლის ხანგრძლივობა ნაკლებია სხვა

განვითარებად ქვეყნებთან შედარებით, რაც ძირითადად გამოწვეულია აივ/შიდსის მეტი გავრცელებით აფრიკაში.

საერთაშორისო განსხვავებები თვალსაჩინოა. მრავალ განვითარებად ქვეყანაში ინფექციურ დაავადებათა შემცირებას მოჰყვა მოკვდაობის კლება და მოსახლეობის მატება, თუმცა აღნიშნულთან ერთად არ მიმდინარეობდა ეკონომიკური ზრდა. ამის სანაცვლოდ მოსახლეობის ზრდას მოჰყვებოდა ღარიბი, დაბალი კლასების მატება, რომლებსაც ახასიათებდათ უფრო მაღალი მოკვდაობა, ვიდრე მაღალ და საშუალო კლასებს. მეორე მხრივ, ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში სიცოცხლის ხანგრძლივობის მატებასა და ეკონომიკურ განვითარებას მოჰყვა ქრონიკული და დეგენერაციული სახის დაავადებების "ნაადრევი" ზრდა შედარებით შეძლებულ მოსახლეობაში.

განვითარებულ ქვეყნებშიც რჩება მოკვდაობის სოციალური განსხვავებები. მაგ., შემცირების მიუხედავად რჩება განსხვავება ჩვილთა და დედათა მოკვდაობაში სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე და ეთნიკურ ჯგუფებს შორის აშშ-ში.

პრობლემას ქმნის დემოგრაფიული დაბერების მაღალი დონე განვითარებულ ქვეყნებში. დიდი ეკონომიკური რესურსების მიუხედავად, განვითარებულ ქვეყნებს სულ უფრო მეტად უძნელდება მზარდი უფროსი, საპენსიო ასაკის მოსახლეობის სოციალური და სამედიცინო დაცვა. სულ უფრო აშკარად იკვეთება არჩევანი ღარიბი სოციალური ჯგუფების დახმარებასა და დაბერებული მოსახლეობის ჯანდაცვისათვის ასიგნირებას შორის.

სხვადასხვა რეგიონები, ეროვნებები და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფები განსხვავდებიან მოკვდაობით, რომელიც ხშირად ნაადრევია და შეიძლება აცილებულიც კი იყოს. გაერო მნიშვნელობას ანიჭებს ასეთი, ნაკლებად დაცული, ჯგუფების იდენტიფიკაციასა და მათი ჯანმრთელობის დაცვას. აღნიშნული დაუცველი ჯგუფები ასევე გამოირჩევიან სიღარიბით, უმუშევრობითა და ცუდი ჯანმრთელობით.

ორსულობა და მშობიარობა სიკვდილის ძირითადი მიზეზებია განვითარებადი ქვეყნების რეპროდუქციული ასაკის ქალებისათვის. ამავე ქვეყნებზე მოდის მსოფლიოში მომხდარი დედათა მოკვდაობის 99%.

განვითარებულ ქვეყნებშიც კი საკმაოდ მაღალია მოკვდაობა იმ მიზეზებით, რომლის აცილება შესაძლებელია. მაგ., აშშ-ში ყველა გარდაცვლილი მოზარდის 73%-ის მიზეზს წარმოადგენდა ავტომანქანის ავარია, განუზრახავი ჭრილობები, მკვლელობა და თვითმკვლელობა.

ახალგაზრდა ასაკებში სიკვდილის მიზეზების შემცირება, რომლის აცილებაც შესაძლებელია, ხელს შეუწყობდა სიცოცხლის ხანგრძლივობის არსებით ზრდას.

მოკვდაობის შემცირებისათვის საჭირო რეზერვები თითქოს არსებობს. მიუხედავად ამისა ფიქრობენ, რომ მოკვდაობასთან დაკავშირებული ახალი პრობლემები მაინც წარმოიქმნება და საზოგადოებას მოუწევს მეტი ძალისხმევა ჯანდაცვის სფეროში.

7. მოსახლეობის აღწარმოება

მოსახლეობის აღწარმოება და მასთან დაკავშირებული თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები განხილულ იყო პირველ ნაწილში. ამიტომ აქ მათ არ შევეხებით და განვიხილავთ უშუალოდ მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლებს.

7.1. მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლები

მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი წარმოადგენს თაობათა შენაცვლების მაჩვენებელს, რომელიც არ ითვალისწინებს მოკვდაობას. ის არის მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ერთ-ერთი მახასიათებელი და იძლევა შობადობის კრებსით დახასიათებას. მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი შეიძლება გაანგარიშებულ იქნას ცალ-ცალკე ორივე სქესის მოსახლეობისათვის, თუმცა მიღებულია და უმრავლეს შემთხვევაში გამოითვლება ქალებისათვის. იმის გამო, რომ ის არ ითვალისწინებს ქალიშვილების მოკვდაობას მათ მიერ დედის ასაკის მიღწევამდე, მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ქალიშვილების თაობის მიერ დედათა თაობის შენაცვლების რეალური მაჩვენებელი. მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი უჩვენებს ერთი ქალის მიერ თავისი ცხოვრების მანძილზე დაბადებული გოგონების საშუალო რაოდენობას (თუ ქალი იცოცხლებდა ფერტილური პერიოდის ბოლომდე და მისი სიცოცხლის განმავლობაში ყოველ ასაკში შენარჩუნებულ იქნებოდა შობადობის თანამედროვე არსებული დონე) მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი (R) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$R = \delta \sum_{15}^{49} F_x ,$$

სადაც δ – ცოცხლად დაბადებულთა შორის გოგონათა წილი, რომელიც მიახლოებით 0,49 ტოლია; $\sum_{15}^{49} F_x$ – შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი.

მაგ., შეფასებითი მონაცემებით, საქართველოში, 2005 წელს, ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობამ შეადგინა 50000, მათ შორის გოგონებისამ 24300. ანუ გოგონათა წილი ყველა ცოცხლად დაბადებულში იქნება:

$$\delta = \frac{24300}{50000} = 0{,}486$$

იმავე დროს, შეფასებითი მონაცემებით, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ($\sum_{15}^{49} F_x$) 1,722 იყო. აქედან გამომდინარე მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი იქნება: $R = 0{,}486 \cdot 1{,}722 = 0{,}837$.

ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი ქალი თავისი ცხოვრების განმავლობაში საშუალოდ იყოლიებს 0,837 გოგონას (თუ შენარჩუნებული იქნებოდა 2005 წლის შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები და გოგონათა წილი ცოცხლად დაბადებულებში).

მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი წარმოადგენს მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის განმაზოგადებელ მახასიათებელს, რომელშიც გათვალისწინებულია შობადობა და მოკვდაობა. მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი ცნობილია აგრეთვე ბეკი-კუჩინსკის კოეფიციენტის სახელით. მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი შეიძლება გაანგარიშებულ იქნას ცალ-ცალკე ორივე სქესისათვის, თუმცა, მიღებულია და როგორც წესი, გამოითვლება ქალების შემთხვევაში. მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი წარმოადგენს ქალიშვილების თაობის მიერ დედათა თაობის

შენაცვლების რაოდენობრივ მაჩვენებელს. მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი უჩვენებს ერთი ქალის მიერ თავისი ცხოვრების მანძილზე დაბადებული გოგონების საშუალო რაოდენობას, რომლებიც იცოცხლებენ იმ ასაკამდე, რომელშიც დედა იყო თითოეული ამ გოგონას გაჩენისას. მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი (R_o) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$R_0 = \delta \sum_{15}^{49} F_x \cdot l_x ,$$

სადაც δ – ცოცხლად დაბადებულთა შორის გოგონათა წილი; $\sum_{15}^{49} F_x$ – შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი; l_x – ცოცხლად დარჩენილების რაოდენობა ქალების მოკვდაობის ცხრილიდან.

მაგ., ზემოთ მოტანილიდან გამომდინარე, ჩვენთვის ცნობილია, რომ 2005 წელს, შეფასებითი მონაცემებით, δ=0,486, ხოლო $\sum_{15}^{49} F_x$ =1,722 და ამდენად R (ბრუტო კოეფიციენტი) ტოლი იყო 0,837.

სხვანაირად რომ ვთქვათ, მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი ეს არის მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი გამრავლებული გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა რაოდენობაზე.

შემდგომი გაანგარიშებისათვის საჭიროა დედის საშუალო ასაკის ცოდნა. დედის საშუალო ასაკმა ბავშვების გაჩენისას 2005 წელს შეადგინა 25,6 წელი.

2005 წლის ქალების მოკვდაობის ცხრილიდან ამ ასაკს (25,6 წელს) ერთი ქალიდან მიაღწევდა 0,96645. აქედან გამომდინარე:

$$R_0 = 0{,}486 \cdot 1{,}722 \cdot 0{,}96645 = 0{,}809 .$$

ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი ქალის მიერ თავისი ცხოვრების განმავლობაში დაბადებული გოგონების საშუალო რაოდენობიდან დედის ასაკს მიაღწევს 0,809 გოგონა.

რამდენადაც ბრუტო კოეფიციენტთან შედარებით, ნეტო კოეფიციენტში გათვალისწინებულია l_x ქალების მოკვდაობის ცხრილიდან დედის ასაკს მიღწეული ქალების რაოდენობა, ამიტომ იგი ბრუტო კოეფიციენტთან შედარებით უფრო ზუსტია და მას მოსახლეობის აღწარმოების წმინდა კოეფიციენტსაც უწოდებენ.

მოსახლეობის ბუნებრივი მატების ჭეშმარიტი კოეფიციენტი წარმოადგენს სტაბილური მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტს, რომელიც შეესაბამება მოსახლეობის აღწარმოების მოცემულ რეჟიმს. მოსახლეობის ბუნებრივი მატების ჭეშმარიტი კოეფიციენტი არ არის დამოკიდებული ფაქტობრივი მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე და ზომავს შობადობისა და ამოწყდომის რიგითობის ერთობლივ გავლენას მოსახლეობის რაოდენობის დინამიკაზე. მოსახლეობის ბუნებრივი მატების ჭეშმარიტი კოეფიციენტი ასევე ცნობილია მოსახლეობის ბუნებრივი მატების საკუთარი კოეფიციენტისა და მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის პროგრესულობის კოეფიციენტის სახელით. მოსახლეობის ბუნებრივი მატების ჭეშმარიტი კოეფიციენტი (r) გამოიანგარიშება ფორმულით (მიახლოებითი ვარიანტი):

$$r = \frac{\ln R_0}{T},$$

სადაც R_o არის მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტი; T – დედის საშუალო ასაკი ბავშვის გაჩენისას.

მოსახლეობის ბუნებრივი მატების ჭეშმარიტი კოეფიციენტის ცნება შემოთავაზებულ იქნა ა. ლოტკას მიერ.

მაგ., 2005 წლის შეფასებითი მონაცემებით R_o=0,809, ხოლო T =25,6. აქედან გამომდინარე:

$$r = \frac{\ln 0{,}809}{25{,}6} = \frac{-0{,}212}{25{,}6} = -0{,}008 .$$

ცხოველმყოფელობის ინდექსი. ცნობილია ასევე პოკროვსკი-პირლის ინდექსის სახელწოდებით.

წარმოადგენს გარკვეული დროის განმავლობაში (ჩვეულებრივად, წელიწადის მანძილზე) დაბადებულთა რაოდენობის შეფარდებას გარდაცვლილთა რაოდენობასთან. ცხოველმყოფელობის ინდექსი არის მოსახლეობის აღწარმოების პირობითი მაჩვენებელი. მისი პრაქტიკული გამოყენება მარტივია, რადგან არ საჭიროებს მოსახლეობის რაოდენობისა და სხვა მონაცემების ცოდნას. "დადებითი" ბუნებრივი მატებისას ცხოველმყოფელობის ინდექსის მნიშვნელობა ერთზე მეტია, ხოლო ბუნებრივი კლებისას, ანუ როდესაც მოკვდაობა აღემატება შობადობას – ერთზე ნაკლები. მისი გამოყენება დაიწყო XIX საუკუნის ბოლოს, თუმცა შემდგომში მოსახლეობის აღწარმოების უფრო სრულყოფილი მაჩვენებლების გამოჩენასთან ერთად თანდათან "განიდევნა" და სადღეისოდ ნაკლებად გამოიყენება.

მაგ., 1960 წელს საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა იყო 102866, ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობა – 27015. 2005 წელს, შეფასებითი მონაცემებით, ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობამ შეადგინა 50000, ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობამ – 50260. აქედან გამომდინარე:

$$I_{1960} = \frac{102866}{27015} = 3{,}808 , \qquad I_{2005} = \frac{50000}{50260} = 0{,}995$$

მოტანილი მაგალითებიდან გამომდინარეობს, რომ 2005 წელს 1960 წელთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობის აღწარმოება არა მარტო მნიშვნელოვნად გაუარესდა, არამედ მოკვდაობამ გადააჭარბა შობადობას.

7.2. მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმი

მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმი დემოგრაფიული კატეგორიაა, რომელიც აღნიშნავს განსახილველი დროის მომენტისათვის მოსახლეობის აღწარმოების პროცესის კონკრეტული რაოდენობრივი მახასიათებლების ერთობლიობას. მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმს აღწერენ ეგზოგენური და ენდოგენური პარამეტრების ნაკრების თანმიმდევრობითი ინტერპრეტაციით სტაბილური მოსახლეობის მოდელის ფარგლებში. მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის პარამეტრები შეიძლება იცვლებოდეს ფართო ფარგლებში, მაგრამ ისინი არ სცილდება როგორც ადამიანის ბიოლოგიურ შესაძლებლობებს, ასევე მოსახლეობის აღწარმოების ტიპის ისტორიულ საზღვრებს. ამ მხრივ შეიძლება ვილაპარაკოთ მოსახლეობის აღწარმოების რომელიმე ტიპის რეჟიმზე. მრავალი მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმი შეიძლება დაყვანილ იქნას აგრეთვე სამ სახეობაზე – გაფართოებული, მარტივი ან შეკვეცილი.

მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოება წარმოადგენს მოსახლეობის აღწარმოების ისეთ რეჟიმს, როდესაც მომდევნო თაობის რაოდენობა აღემატება წინა თაობის რაოდენობას, რაც განაპირობებს მოსახლეობის რაოდენობის მატებას. მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების დროს მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთზე მეტია.

მოსახლეობის მარტივი აღწარმოება არის მოსახლეობის აღწარმოების ისეთი რეჟიმი, როდესაც მომდევნო და წინა თაობის რაოდენობა ტოლია (დაახლოებით). მოსახლეობის მარტივი აღწარმოების დროს მოსახლეობის აღწარმოების ნეტო

კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთის ტოლია, ხოლო შობადობის ჯამობრივი და შობადობის ზოგადი კოეფიციენტები შესაბამისად 2,10 და 13,7 (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემდეგი პირობებისათვის: ორივე სქესი – 73,1, ქალები – 75,0, მამაკაცები – 71,2).

მოსახლეობის შეკვეცილი (შევიწროებული) აღწარმოება არის მოსახლეობის აღწარმოების ისეთი რეჟიმი, როდესაც მომდევნო თაობის რაოდენობა ნაკლებია წინა თაობის რაოდენობაზე. მოსახლეობის შეკვეცილი (შევიწროებული) აღწარმოების დროს მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთზე ნაკლებია. ნეტო კოეფიციენტის ასეთი სიდიდე არ ნიშნავს მოსახლეობის რაოდენობის დაუყოვნებლივ შემცირებას. მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების რეჟიმი მიგვანიშნებს მომავალში პოტენციურ დეპოპულაციაზე.

მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობა წარმოადგენს დემოგრაფიული "დანახარჯებისა" და "შედეგების" თანაფარდობას.

თუ დანახარჯებს შევაფასებთ მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო-კოეფიციენტით (R), ხოლო შედეგებს – ნეტო-კოეფიციენტით (R_0), მაშინ მათი თანაფარდობა (R/R_0) შეიძლება განვიხილოთ როგორც მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ზომა. მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობა (E) უჩვენებს, თუ საშუალოდ რამდენი გოგო უნდა გააჩინოს ერთმა ქალმა, რომ უზრუნველყოფილ იქნას დედათა თაობის მარტივი შენაცვლება (მარტივი აღწარმოება). მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობა რაც უფრო მაღალია, მით უფრო უახლოვდება აღნიშნული თანაფარდობა ერთს.

მაგ., საქართველოში 1958-1959 წლებში მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი – R=1,237, ხოლო მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი – R_0=1,146. 2005 წელს, შეფასებითი მონაცემებით, R=0,837, ხოლო R_0=0,809. აქედან გამომდინარე:

$$E_{1958-1959} = \frac{1,237}{1,146} = 1,079, \qquad E_{2005} = \frac{0,837}{0,809} = 1,035$$

მოტანილი მაგალითებიდან გამომდინარეობს, რომ 2005 წელს 1958-1959 წლებთან შედარებით მოსახლეობის აღწარმოების ეკონომიურობა გაიზარდა, ანუ 1958-1959 წლებთან შედარებით 2005 წელს დედათა თაობის მარტივი შენაცვლებისათვის საჭირო იყო ერთი ქალის მიერ უფრო ნაკლები გოგოს გაჩენა.

შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, *რომელიც საჭიროა მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის (F_0).*

იგი მიიღება მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტის (R) შეფარდებით ცოცხლად დაბადებულთა შორის გოგონების წილისა (Δ) და მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის (R_0) ნამრავლით, ანუ:

$$F_0 = \frac{R}{\Delta \cdot R_0}$$

მაგ., საქართველოში, 2005 წელს, მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი – R=0,837, მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი – R_0=0,809, ხოლო გოგონათა წილი ცოცხლად დაბადებულებში – 0,486. აქედან გამომდინარე:

$$F_0 = \frac{0,837}{0,486 \cdot 0,809} = 2,13$$

ამდენად, 2005 წლისათვის, საქართველოში, მოსახლეობის მარტივი აღწარმოების უზრუნველყოფისათვის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი უნდა ყოფილიყო 2,13. მაშინ, როდესაც იმავე წელს რეალურად შობადობის ჯამობრივმა

კოეფიციენტმა (*F*), შეფასებითი მონაცემებით, 1,722 შეადგენდა, ანუ ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას.

მიღებული მონაცემების საფუძველზე საკმაოდ მარტივად იანგარიშება ის ***სიდიდე, რომლითაც შემცირდება მოსახლეობის რაოდენობა ერთი თაობის განმავლობაში (H),*** ანუ $H = \frac{F}{F_0}$.

მაგ., ზემოთ მოტანილიდან გამომდინარე, $H = \frac{1,722}{2,13} = 0,808$, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი თაობის განმავლობაში (25,6 წელი) საქართველოს მოსახლეობა, რომელიც, შეფასებითი მონაცემებით, 2006 წლის 1 იანვარს იყო 3869,2 ათასი, შემცირდება 3126,3 ათასამდე (3869,2 · 0,808), მხოლოდ ბუნებრივი გზით, გარე მიგრაციის გაუთვალისწინებლად.

7.3. მოსახლეობის აღწარმოების ევოლუცია

მოსახლეობის აღწარმოების ზოგადი კანონზომიერები განხილულ იყო მოცემული სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში. ამდენად, მას, მოცემულ შემთხვევაში, არ შევეხებით.

მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის საფუძველზე ქვემოთ განხილულ იქნება მოსახლეობის აღწარმოების დინამიკა მსოფლიოსა და მსოფლიოს ძირითად რეგიონებში 1950-2005 წლების პერიოდისათვის.

დიაგრამა 7.1. მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის დინამიკა 1950-2005 წლებში



როგორც მოტანილი დიაგრამიდან ჩანს მსოფლიოში მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის კლების მიუხედავად ის უზრუნველყოფს მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას.

მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში, მოსახლეობის რეჟიმის აღწარმოების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი განსხვავებაა განვითარებულ და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს შორის.

1970-1975 წლებიდან განვითარებულ ქვეყნებში დამკვიდრებას იწყებს მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილი რეჟიმი. საქართველოში მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილი რეჟიმი 1992 წლიდან იჩენს თავს.

2000-2005 წლებისათვის საქართველოსა და განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმი მსგავსია.

დიაგრამა 7.2. მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობა 1950-2005 წლებში



როგორც მოტანილი დიაგრამიდან (7.2.) გამომდინარეობს, მნიშვნელოვნად განსხვავდება განვითარებული და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობა. 2000-2005 წლებში საქართველოსა და განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობა მსგავსი იყო.

8. ქორწინება, ოჯახი და ქორწინების შეწყვეტა

8.1. ქორწინება

ქორწინება ეს არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების გარკვეულ საფეხურზე კანონით ან ჩვეულებით ნებადართული კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის, რომელიც აწესრიგებს მათ ურთიერთობას, შვილებისადმი დამოკიდებულებას და განსაზღვრავს თითოეული მათგანის ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქორწინების წარმოშობა-განვითარების შესახებ მრავალი შეხედულება არსებობს. შუა და ზედა პალეოლითის ხანაში, გვაროვნული წყობილების ჩამოყალიბების საფეხურზე, წარმოიქმნა ეგზოგამია და ჯგუფური ქორწინება. გვაროვნულ წყობილებაში შეიქმნა წყვილადი ქორწინება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საქორწინო ურთიერთობის ამ საფეხურზე ცოლი და ქმარი საცხოვრებლად რჩებოდნენ თავ-თავიანთ გვარში. უფრო მოგვიანებით ქმარი დასახლდა ცოლის გვარში, ხოლო შემდეგ ცოლი გადავიდა ქმრის გვარში. მეუღლეთა პირადი ქონება გაუყოფელი იყო, ხოლო ქორწინება – არამყარი. წყვილადი ქორწინების ყველა აღნიშნული ფორმა ინარჩუნებდა ჯგუფური ქორწინების გადმონაშთებს. გვაროვნული წყობილების დაშლის ხანაში მომზადდა ნიადაგი კლასობრივი საზოგადოებისათვის, არსებითად შეიცვალა ქორწინების ბუნებაც. გვარის დაშლის საფუძველზე შეიქმნა დიდი პატრიარქალური ოჯახი, ანუ საოჯახო თემი და მონოგამიური ქორწინება.

ქორწინების ყველაზე მყარი ფორმაა ცოლ-ქმრული წყვილისა და მათი შთამომავლობის მტკიცე კავშირი მამაკაცის ხაზით. მონოგამიურმა ქორწინებამ დასრულებული სახე მიიღო ინდივიდუალური, ანუ პატარა ოჯახის ჩამოყალიბების დროიდან, რაც პირველყოფილ-თემური წყობილების დაშლისა და კერძო საკუთრების განვითარების პირობებში მოხდა. კლასობრივ საზოგადოებაში მონოგამიურმა ქორწინებამ შეითვისა ამა თუ იმ ფორმაციისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები, რომელთაგან არსებითია ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ქორწინება ოჯახთან ერთად წარმოადგენს იმ ინსტიტუტს, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დემოგრაფიულ პროცესებს, განსაკუთრებით – შობადობას.

ქორწინება ქორწინებით შეუღლებული წყვილების წარმოქმნის პროცესია. იგი ასევე აღნიშნავს აგრეთვე თაობის ან მოსახლეობის ქორწინებაში ყოფნას, მოიცავს როგორც პირველ, ისევე ხელახალ ქორწინებას. დაქვრივებასა და განქორწინებასთან ერთად, ქორწინება განსაზღვრავს მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურის აღწარმოებას. დამოკიდებულია "საქორწინო ბაზარზე" არსებულ ვითარებაზე, საქორწინო წრის ფორმირებაზე, საქორწინო არჩევანზე და სხვა. ქორწინება წარმოადგენს სოციალურ-დემოგრაფიულ პროცესს, რომელიც განპირობებულია და რეგულირდება სოციალურ-კულტურული ნორმებით, აქვს იურიდიული, სოციალური, ეკონომიკური და სხვა ასპექტები, რომელთაც მრავალი საზოგადოებრივი მეცნიერება შეისწავლის. ქორწინების დემოგრაფიულ მნიშვნელობას წარმოადგენს მისი მჭიდრო კავშირი მოსახლეობის აღწარმოებასთან. ქორწინება – შობადობის, ოჯახის ფორმირებისა და მოსახლეობის ოჯახური სტრუქტურის ცვალებადობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. დემოგრაფიაში ქორწინება ძირითადად შეისწავლება ფერტილური ასაკის ფარგლებში.

ქორწინებისა და მისი ინტენსივობის დახასიათებისათვის დემოგრაფიაში გამოიყენება სხვადასხვა სახის კოეფიციენტები და ინდექსები.

ქორწინების შესწავლა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაიწყო, თუმცა ვითარდებოდა ნელა. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში

შემუშავებულ იქნა ქორწინების გაზომვის ძირითადი მეთოდოლოგიური ხერხები. ქორწინების ფართო და გაღრმავებული დემოგრაფიული კვლევა კი ძირითადად მაინც XX საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება.

როგორც ცოცხალი ორგანიზმების უდიდესი უმრავლესობა, ადამიანი ბუნებაში წარმოდგენილია სქესობრივი დიმორფიზმით – ცალკე მამაკაცისა და ცალკე ქალის სახით. ცალ-ცალკე აღებული, მამაკაცი იქნება თუ ქალი, ბიოლოგიურად ფუნქციურ მთლიანობას არ წარმოადგენს. ბიოლოგიურად ფუნქციურ მთლიანობას ქმნის მათი შეერთება, რომელიც, ამავე დროს, ახალი სიცოცხლის წარმოშობის, ადამიანთა მოდგმის გაგრძელების აუცილებელი პირობაა. ამიტომ, ბუნებამ ადამიანის განსხვავებული სქესის ფიზიკური ტიპები ისე ჩამოაყალიბა, რომ მათი ანატომიური აღნაგობა ერთმანეთის დამატება-შევსებას წარმოადგენენ შეერთებისათვის და ადამიანის ბიოლოგიური ფუნქციის გამოხატულების შესრულებისათვის – შთამომავლობის შექმნისათვის. ამის განსახორციელებლად ადამიანმა ბუნებისაგან მემკვიდრეობით მიიღო სქესობრივი რეფლექსი. სქესობრივი რეფლექსის წყალობით სქესთა ფსიქო-ბიოლოგიური განსხვავებანი თვითონ ქმნიან დაძაბულობას, რომელიც ერთ სქესს წაუბიძგებს მეორისაკენ და წარმოშობს მისწრაფებას შეერთებისაკენ, აიძულებს ადამიანს ეძებოს და ჰპოვოს თავისი დამატება-შევსება მეორე ადამიანში. ამდენად, ადამიანის თანდაყოლილი ბიოლოგიური სქესობრივი ინსტინქტის საფუძველზე წარმოქმნილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და გამრავლება ყოველი ადამიანის ბიოლოგიური ფუნქციაა. ადამიანის არსის სოციალურობიდან გამომდინარე, ეს მოვლენები სოციალური შინაარსის შემცველებიც არიან. აქედან გამომდინარე, ბიოლოგიური ემოციური ურთიერთსწრაფვა ერთდროულად ორი ადამიანის ურთიერთობაა. ადამიანთა ურთიერთობა კი უკვე სოციალური კატეგორიაა. გრძნობებისა და პარტნიორის არჩევა-ცვლის შეუზღუდავი თავისუფლების პირობებში ზოგჯერ რამდენიმე პიროვნების ინტერესი ეჯახება ერთმანეთს და წარმოშობს კონფლიქტს საზოგადოების წევრებს შორის. საზოგადოების ჩამოყალიბებისთანავე შემჩნეულ იქნა სექსუალური ინსტინქტის ძალა და თავიდანვე დაიწყო სექსუალური ქცევის ამა თუ იმ სახით ნორმირება. სწორედ ცალკეული ადამიანების ფსიქო-ბიოლოგიური მახასიათებლებისა და მთელი საზოგადოების ინტერესების დამთხვევამ, თანდათან შექმნა სქესობრივი ქცევის ნორმირების სოციალური ინსტიტუტი – ქორწინება.

ქორწინებითი მდგომარეობა წარმოადგენს ადამიანის მდგომარეობას ქორწინების მიმართ, რომელიც განისაზღვრება ქვეყანაში არსებული ჩვეულებებითა და სამართლებრივი ნორმების შესაბამისად. ქორწინების სახისა და ფორმის მიუხედავად, განასხვავებენ: ქორწინებაში არმყოფებს და ქორწინებაში მყოფებს. ქორწინებაში არმყოფები თავის მხრივ იყოფიან: ქორწინებაში არასდროს მყოფებად, ქვრივებად და განქორწინებულებად (განშორებულებად). ქორწინებითი მდგომარეობის ჩამოთვლილი კატეგორიები მიჩნეულია ძირითადად და გამოიყოფიან მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებათა უმრავლესობისას.

ქორწინების, განქორწინებისა და დაქვრივების შემთხვევაში ხდება ადამიანის გადასვლა ქორწინებითი მდგომარეობის ერთი კატეგორიიდან მეორეში. ასეთ გადასვლათა ერთობლიობა წარმოადგენს მოსახლეობის საქორწინო სტრუქტურის აღწარმოების პროცესს, რომელიც დემოგრაფიაში განიხილება როგორც მოსახლეობის აღწარმოების შემადგენელი ნაწილი.

ზოგიერთი ქვეყნის სტატისტიკა ზემოჩამოთვლილ ქორწინებითი მდგომარეობის კატეგორიების გარდა გამოჰყოფს აგრეთვე კონსენსუალურ და რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფებს, განცალკევებით მცხოვრებ მეუღლეებს, პირველ და ხელახალ ქოწინებაში მყოფებს.

8.2. ქორწინებასთან დაკავშირებული ცნებები

დისლოკალური ქორწინება – ქორწინების ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცოლ-ქმრის ცალ-ცალკე ცხოვრება (თითოეული თავის ნათესაურ ჯგუფში). ზოგიერთი მკვლევარის აზრით, დისლოკალური ქორწინება მომდინარეობს მატრიარქატიდან პატრიარქატზე გარდამავალი პერიოდიდან. ზოგიერთ ტომში (ნაირებში – ინდოეთი) შემორჩენილი იყო XX საუკუნემდე.

ერთეროვნული ქორწინება – ჰომოგამური ქორწინების სახეობა, რომლის დროს ცოლ-ქმარი ერთი ეროვნებისანი არიან.

ეროვნულად შერეული ქორწინება – ჰეტეროგამური ქორწინების სახეობა, რომლის დროს ცოლ-ქმარი სხვადასხვა ეროვნებისაა.

იურიდიული ქორწინება – ქორწინება, რომელიც გაფორმებულია იმ ქვეყნის კანონების შესაბამისად, სადაც იყო რეგისტრირებული. იგივეა, რაც რეგისტრირებული ქორწინება.

კონსენსუალური ქორწინება – თავისუფალი (იურიდიულად გაუფორმებელი) კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის, რომელიც ატარებს ცოლ-ქმრული ურთიერთობის სახეს და ასეთად არის აღიარებული საზოგადოებაში.

კუზენური ქორწინება – ქორწინების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც დამახასიათებელი იყო გვაროვნული წყობილებისა და ადრინდელი კლასობრივი საზოგადოებისათვის. განასხვავებენ კუზენური ქორწინების ორ ძირითად ტიპს: კროსკუზენურს – ქორწინებას დედის ძმის ქალიშვილთან ან მამიდაშვილთან და ორთოკუზენურს – ქორწინებას მამის ძმის ქალიშვილთან ან დეიდაშვილთან.

მატრილოკალური ქორწინება – ქორწინების ფორმა, როცა ქმარი საცხოვრებლად ცოლის თემში გადადიოდა. გავრცელებული იყო მატრიარქატის დროს.

მონოლოკალური ქორწინება – ქორწინება, რომლის დროსაც მეუღლეები შედიან შინამეურნეობის შემადგენლობაში. თანამედროვე ქორწინების ყველაზე გავრცელებული ტიპი.

მორგანატული ქორწინება – არათანაბარი ქორწინება, რომლის დროს ცოლზე არ ვრცელდება ქმრის წოდებრივი პრივილეგიები (ან პირიქით), ხოლო შვილებზე მამისა.

პატრილოკალური ქორწინება – როცა ცოლი საცხოვრებლად გადადის ქმრის თემში. პატრილოკალური ქორწინება ჩაისახა მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლისას.

რეგისტრირებული ქორწინება – ცოლ-ქმრული ურთიერთობა, რომელიც გაფორმებულია მოცემულ ქვეყანაში მიღებული კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

საეკლესიო ქორწინება – ერთი შვიდ საიდუმლოთაგან ქრისტიანულ რელიგიაში. ასრულებს ეკლესიაში მღვდელი ან ეპისკოპოსი. წარმოადგენს შესაუღლებელ პირთა მონაწილეობით ჩატარებულ საეკლესიო ცერემონიალს. ქრისტიანული რელიგია საიდუმლოთი შეკრულ ცოლ-ქმრულ კავშირს განიხილავს როგორც ქრისტეს სულიერ კავშირს ეკლესიასთან და ძალიან ძნელად (მართლმადიდებელი) ან საერთოდ არ აუქმებს (კათოლიკური) მას.

სამოქალაქო ქორწინება – ქორწინება, რომელიც ფორმდება სახელმწიფო ხელისუფლების სათანადო ორგანოებში ეკლესიის მონაწილეობის გარეშე.

სისხლითნათესაური ქორწინება – ქორწინება ადამიანებს შორის, რომლებიც დაკავშირებული არიან სისხლით ნათესაობით მამის ან დედის ხაზით. მის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს კუზენური ქორწინება (იხ. კუზენური ქორწინება); გვხვდებოდა აგრეთვე ინცესტის სახითაც (იხ. ინცესტი).

ფაქტობრივი ქორწინება – ცოლ-ქმრული ურთიერთობა, რომელიც გაფორმებული არ არის კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერებისას მხედველობაში მიიღებოდა ქორწინებაში ფაქტობრივად ყოფნა, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებული იყო თუ არა ქორწინება.

ფიქციური ქორწინება – ქორწინება, რომელიც რეგისტრირებული იყო რაიმე მიზნით, მაგრამ რომელსაც არ მოსდევს ფაქტობრივი ცოლ-ქმრული ურთიერთობები.

წყვილადი ქორწინება – პირველყოფილ საზოგადოებაში გავრცელებული ქორწინების ფორმა. მონოგამიური ქორწინებისაგან განსხვავდება იმით, რომ წყვილადი ქორწინების დროს ჯერ კიდევ არ იქმნება ოჯახი როგორც ეკონომიკური ერთეული. ასეთი ქორწინება არამდგრადია. წყვილადმა ქორწინებამ შეცვალა ჯგუფური ქორწინება, რომლისგანაც შემოინახა ქორწინებამდელი და არასაქორწინო ურთიერთობები, "დამატებითი" ქმრები და ცოლები. სხვა მოსაზრებათა თანახმად, წყვილადი ქორწინება სქესთა შორის ჯგუფური ურთიერთობების გადმონაშთებთან ერთად ქორწინების უძველეს ფორმას წარმოადგენდა.

ჯგუფური ქორწინება – ქორწინების უძველესი ფორმა, რომლის დროსაც ერთი ფრატრიის, გვარის ან გვარის შიგა რომელიმე ჯგუფის ყველა მამაკაცს საქორწინო კავშირი ჰქონდა დამყარებული სხვა ასეთივე ჯგუფის ყველა ქალთან.

ჰეტეროგამური ქორწინება – ქორწინება ადამიანებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა სოციალურ, ეთნიკურ, რელიგიურ და სხვა ჯგუფებს, ან ერთობებს. თანამედროვე პირობებში ჰეტეროგამური ქორწინება ფართოდ არის გავრცელებული და გამოდევნა ჰომოგამური ქორწინება.

ჰომოგამური ქორწინება – ჩვეულება ან ტენდენცია, რომლის მიხედვით ქორწინება ხდება გარკვეული სოციალური, ეთნიკური, რელიგიური და სხვა ჯგუფის ან ერთობის შიგნით. უძველესი დროიდან, შუა საუკუნეების ჩათვლით, ჰომოგამური ქორწინება გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა. საზოგადოების განვითარებასთან ერთად ჰომოგამური ქორწინება მცირდებოდა და მის ადგილს იკავებდა ჰეტეროგამური ქორწინება, რომელიც სადღეისოდ გავრცელებული ფორმაა. ჰეტეროგამური ქორწინების ცალკეული სახეობები (მაგ., უპირატესი ქორწინება ერთი ეროვნების წარმომადგენლებში) დღეისთვისაც არის შემორჩენილი.

ეგზოგამია – საქორწილო ურთიერთობების აკრძალვა ნათესაური, უფრო იშვიათად კი ლოკალური კოლექტივების წევრებს შორის. ეგზოგამია წარმოიშვა და საყოველთაოდ გავრცელდა პირველყოფილ-თემური წყობილების დროს. ეთნოგრაფიულ ყოფას ეგზოგამია გვიანდლამდე შემორჩა. ეგზოგამიის წარმოშობის შესახებ არსებული თეორიები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: 1) წარმოშობის მიზეზად მიიჩნევს შთამომავლობაზე სისხლით ნათესავთა შორის ქორწინების მავნე ბიოლოგიური გავლენის თავიდან აცილებაზე ზრუნვას; 2) ადამიანის ლტოლვა გააფართოოს თავისი სოციალური კონტაქტები და კავშირი დაამყაროს სხვა კოლექტივებთან; 3) სქესობრივი ურთიერთობისა და მასთან დაკავშირებული კონფლიქტების კოლექტივის გარეთ გატანით სოციალური მშვიდობის დამყარება.

ენდოგამია – ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ქორწინება ნებადართული იყო გარკვეული საზოგადოების ჯგუფის – ტომის, კასტის, საგვარეულოს და ა.შ. ფარგლებში. პირველყოფილ საზოგადოებაში გვარი იყო ეგზოგამური, ტომი კი – ენდოგამური. პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პერიოდში რიგ ხალხში (მაგ., არაბები, უზბეკები და სხვ.) საგვარეულოები ან უფრო ხშირად შიდა საგვარეულო ჯგუფები – პატრონიმიები გახდა ენდოგამური, რაც გამოწვეული იყო ქონების ახლო ნათესავებში შენარჩუნების მისწრაფებით. ამასთან, ქორწინება მყარდებოდა (მამის მხრიდან, უფრო იშვიათად დედის მხრიდან) დებსა და ძმებში, ბიძაშვილ-მამიდაშვილებში და ა.შ. (ე.წ. ორთოკუზენური ქორწინება).

ინცესტი – საქორწინო-სქესობრივი ურთიერთობები უახლოეს ნათესავებს შორის (მამა – ქალიშვილი, დედა – ვაჟიშვილი, და – ძმა). ინცესტი დამახასიათებელი იყო შორეული წარსულისათვის და აკრძალულ იქნა ეგზოგამიის წესებით, თუმცა მისი დაშვებული შემთხვევები ადრეკლასობრივ ფორმაციებშიც გვხვდება. მაგ., ეგვიპტელი ფარაონები უპირატესობას ანიჭებდნენ ქორწინებას თავის დასთან. განვითარებულ კლასობრივ საზოგადოებაში ინცესტი ამორალურად მიიჩნევა და უმრავლეს ქვეყნებში კანონით იკრძალება. ამასთან, ინცესტი უაღრესად არაკეთილსასურველია გენეტიკური თვალსაზრისით.

პოლიანდრია – მრავალქმრიანობა, ჯგუფური ქორწინების იშვიათი გადმონაშთი, როცა ერთ ქალს რამდენიმე ქმარი ჰყავდა. XIX საუკუნეში შემორჩენილი იყო ალეუტებსა და ესკიმოსებთან, ხოლო ტიბეტისა და სამხრეთ ინდოეთის ზოგიერთ ჯგუფში უფრო გვიანაც არის დამოწმებული.

პოლიგამია – მრავალქორწინება. ხშირად ტერმინი "პოლიგამია" არაზუსტად იხმარება მრავალცოლიანობის აღსანიშნავად.

პოლიგინია – მრავალცოლიანობა, ქორწინების ერთ-ერთი ისტორიული ფორმა, როცა ერთ მამაკაცს რამდენიმე ცოლი ჰყავდა. დამახასიათებელი იყო უმთავრესად პატრიარქატისათვის. პოლიგინია შემონახული იყო კლასობრივ საზოგადოებაში აღმოსავლეთის მთელ რიგ მუსლიმანურ ხალხებში და გაბატონებული კლასების პრივილეგიას წარმოადგენდა. მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში პოლიგინია აკრძალულია.

საქორწინო აკრძალვები – ადამიანთა ქორწინების შეზღუდვა კანონმდებლობით, რელიგიური ნორმებით ან ადათ-წესებით.

საქორწინო არჩევანი – საქორწინო პარტნიორის არჩევა მოცემული საქორწინო წრის ფარგლებში. საქორწინო არჩევანზე მოქმედებს სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, ფსიქოლოგიური, ანთროპოლოგიური კრიტერიუმები. თითოეული მათგანის მნიშვნელობა ცვალებადია დროში და დამოკიდებულია საზოგადოებაში არსებულ სოციალურ-კულტურულ ნორმებსა და ტრადიციებზე. ცალკეული კრიტერიუმის გავლენის მნიშვნელობა საქორწინო არჩევანზე იზომება ქორწინების ინდექსებით.

„საქორწინო ბაზარი" – ტერმინი, რომელიც გამოიყენება დემოგრაფიაში ქორწინების ასაკის უნარიანი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის რაოდენობათა თანაფარდობის აღსანიშნავად. ვითარება „საქორწინო ბაზარზე", დაქორწინების ალბათობა, დამოკიდებულია მოსახლეობაში პოტენციური საქორწინო პარტნიორების რაოდენობაზე, მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურაზე. „საქორწინო ბაზრის" ვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგრეთვე შობადობის დონის მკვეთრი ცვალებადობა და სქესობრივად არადაბალანსებული ინტენსიური მიგრაციული პროცესები. თავის მხრივ არახელსაყრელი ვითარება „საქორწინო ბაზარზე" მოქმედებს როგორც ქორწინების, ისევე განქორწინების პროცესებზე.

საქორწინო და საოჯახო კოდექსი – კანონთა კრებული, რომელიც ქორწინებასთან და ოჯახთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობებს აწესრიგებს. საქორწინო და საოჯახო კოდექსით დადგენილია დაქორწინებისა და განქორწინების პირობები და წესი, მოწესრიგებულია ოჯახში, თუ ოჯახის სხვა წევრთა შორის წარმოშობილი პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, აგრეთვე შვილად აყვანისა და სხვა საკითხები.

საქორწინო კონტრაქტი – მრავალი ქვეყნის სამართალში ნეფე-დედოფლის მიერ დაქორწინების დროს დადებული შეთანხმება ქონების მართვისას ურთიერთუფლებებისა და მოვალეობების მოწესრიგების თაობაზე.

საქორწინო კოჰორტა – ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც დაქორწინდა ერთი და იმავე პერიოდში, ჩვეულებრივ ერთი ან ხუთი წლის მანძილზე. ესა თუ ის დემოგრაფიული შემთხვევა საქორწინო კოჰორტაში განიხილება დაქორწინების მომენტიდან გასული ინტერვალით. საქორწინო კოჰორტა წარმოადგენს კოჰორტის ზოგადი ცნების კერძო შემთხვევას.

საქორწინო წრე – მოცემული ადამიანისათვის შესაძლებელი საქორწინო ერთობლიობა. საქორწინო წრე განისაზღვრება როგორც საკანონმდებლო სისტემათა და საზოგადოების ზნეობრივ-ეთიკური ნორმებით, ისევე მოცემული ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, მისი ხასიათის თავისებურებებით და სხვა. მონოგამიური ქორწინების პირობებში საქორწინო წრეში ფორმალურად არ შედიან ქორწინებაში მყოფი პირები, მაგრამ განქორწინების თავისუფლების დროს საქორწინო წყვილთა გარკვეული ნაწილი შეირჩევა ქორწინებაში მყოფთა კატეგორიიდან. პოტენციურ საქორწინო პარტნიორებად არ განიხილებიან ის პირები, რომლებთანაც ქორწინებას კრძალავს კანონი ან ადათ-წესები.

საქორწინო წყვილთა შერჩევა – ტერმინი, რომლითაც დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნავენ ცალკეულ პირთა ან ურთიერთშესაფერის წყვილთა მოძებნის სპეციალურ ორგანიზაციათა საქმიანობას.

ტრადიციული ოჯახის პირობებში შვილებისათვის მეუღლეების შერჩევას აწარმოებდნენ მშობლები ან შუამავლები (მაჭანკლები). თანამედროვე პირობებში პარტნიორის შერჩევას ძირითადად აწარმოებენ თვითონ დაქორწინების მსურველნი, თუმცა შესაბამისი პარტნიორის ძიებისას გამოიყენებიან როგორც ნაცნობ-მეგობრები, ისევე მშობლები და სხვა. სპეციალური საშუამავლო ორგანიზაციების საქმიანობა მიმართულია შესაძლებელი არჩევანის გაფართოებისაკენ.

ქორწინების ხანგრძლივობა – სიდიდე, რომელიც ახასიათებს ქორწინების ხანგრძლივობას დაქორწინების მომენტიდან დაკვირვების ან რომელიმე დემოგრაფიული შემთხვევის დადგომის (მიმდინარე ქორწინების ხანგრძლივობა) ან ქორწინების შეწყვეტის მომენტამდე (ბოლო ქორწინების ხანგრძლივობა). იზომება წლებით როგორც საშუალო ქორწინების ხანგრძლივობა რეალური ან ჰიპოთეზური საქორწინო კოჰორტისათვის.

ანსხვავებენ იურიდიული და ფაქტობრივი ქორწინების ხანგრძლივობას. დემოგრაფიას აინტერესებს ფაქტობრივი ქორწინების ხანგრძლივობა, მაგრამ ვინაიდან მონაცემები მის შესახებ ძნელად არის მოსაძიებელი იყენებს იურიდიულ ქორწინების ხანგრძლივობას.

პირველ ქორწინებაში ყოფნის ხანგრძლივობა საშუალოდ უფრო მეტია, ვიდრე ხელახალი ქორწინების; განქორწინების მიზეზით ქორწინების შეწყვეტისას ის უფრო ნაკლებია, ვიდრე მეუღლის გარდაცვალებით (დაქვრივებით) გამოწვეული ქორწინების შეწყვეტის ხანგრძლივობისას.

ქორწინების ევროპული ტიპი – მისთვის დამახასიათებელია: 1) გვიანდელი ქორწინება და 2) უქორწინობის მაღალი წილი. ქორწინების ეს ტიპი დამახასიათებელი იყო ევროპისათვის მისი აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონების გამოკლებით, ე.ი. ძირითადად – დასავლეთ ევროპისათვის. მაგ., XIX საუკუნის ბოლოს საფრანგეთში 25-29 წლის ასაკის ქალებში დაუქორწინებელი იყო 30%, ხოლო 45-49 წლის ასაკში – 12% (მამაკაცებში შესაბამისად 48% და 11%). იმავე დროს ბულგარეთში 25-29 წლის ქალებში დაუქორწინებელი იყო მხოლოდ 3%, ხოლო 45-49 წლის ასაკში – 1 % (მამაკაცებში შესაბამისად 23% და 3%).

ქორწინების ევროპული ტიპის გავრცელებამ დასავლეთ ევროპაში ხელი შეუწყო შობადობის შემცირებას.

8.3. ქორწინების მაჩვენებლები

ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი – წარმოადგენს გარკვეულ პერიოდში დაქორწინებულთა რაოდენობის შეფარდებას იმავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რაოდენობასთან. გამოისახება პრომილებში (‰). ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი უჩვენებს დაქორწინებულთა რაოდენობას მოსახლეობის 1000 სულზე. ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი (k) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$k = \frac{K}{P} \cdot 1000,$$

სადაც K – დაქორწინებულთა რაოდენობა; P – მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

მაგ., რეგისტრირებულ დაქორწინებულთა რაოდენობამ საქართველოში 2005 წელს შეადგინა 18012. იმავე დროს, შეფასებითი მონაცემებით საქართველოს საშუალო წლიური მოსახლეობა ტოლი იყო 3884,5 ათასის. აქედან გამომდინარე:

$$k = \frac{18012}{3884500} \cdot 1000 = 4{,}6$$

ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი განიცდის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურისა და ქორწინებითი მდგომარეობის გავლენას. ამ მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება ქორწინების სხვა მაჩვენებლები (მაგ., სპეციალური კოეფიციენტები), რომლებიც უფრო გამოსადეგია ქორწინების ანალიზისათვის.

ქორწინების სპეციალური კოეფიციენტი წარმოადგენს დაქორწინებულთა რაოდენობის შეფარდებას ქორწინების უნარის მქონე ასაკის მოსახლეობასთან (ჩვეულებრივ 15 და უფროსი ასაკის). ქორწინების სპეციალური კოეფიციენტი (K_S) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$k_S = \frac{K}{P_{15+}} \cdot 1000,$$

სადაც K არის გარკვეულ პერიოდში (მაგ., ერთი წელი) დაქორწინებულთა რაოდენობა; P_{15+} – 15 და უფროსი ასაკის მოსახლეობის საშუალო წლიური რაოდენობა. გამოისახება პრომილებში (‰).

მაგ., როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობამ საქართველოში 2005 წელს შეადგინა 18012. იმავე დროს, შეფასებითი მონაცემებით, 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა საქართველოში იყო 3139,1 ათასი. აქედან გამომდინარე:

$$k_S = \frac{18012}{3139100} \cdot 1000 = 5{,}7$$

ქორწინების უნარიანი მოსახლეობის ქორწინების სპეციალური კოეფიციენტი – წარმოადგენს ქორწინების სპეციალური კოეფიციენტის დაზუსტებულ ვარიანტს.

იგი გამოსადეგია საერთაშორისო შედარებისათვის და მოცემულ ქვეყანაში ქორწინების დონის დახასიათებისათვის, თუმცა არ ითვალისწინებს ქორწინების უნარიანი მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის განსხვავებას. ქორწინების უნარიანი მოსახლეობის ქორწინების სპეციალური კოეფიციენტი (k_S^1) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$k_S^1 = \frac{K}{P_{15+}^1} \cdot 1000,$$

სადაც K – გარკვეულ პერიოდში (წელი) დაქორწინებულთა რაოდენობა; P_{15+}^1 – 15 და უფროსი ასაკის მოსახლეობაში უცოლოების (ან უქმროების), ქვრივებისა და განქორწინებულების რაოდენობა. გამოისახება პრომილებში (‰).

ქორწინების უნარიანი მოსახლეობის ქორწინების სპეციალური კოეფიციენტი განისაზღვრება ცალ-ცალკე ქალებისა და მამაკაცებისათვის.

მაგ., საქართველოში, 2002 წელს რეგისტრირებულ დაქორწინებულთა რაოდენობა იყო 12535. იმავე დროს 15 წლისა და უფროსი ასაკის დაუქორწინებელი, ქვრივი და განქორწინებული მამაკაცების რაოდენობა იყო 562785.

$$k_S^1 = \frac{12535}{562785} \cdot 1000 = 22{,}3$$

ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტი წარმოადგენს გარკვეულ ასაკში დაქორწინებულთა რაოდენობის შეფარდებას იმავე ასაკის მოსახლეობის რაოდენობასთან. გამოისახება პრომილებში (‰). ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტი (k_x) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$k_x = \frac{K_x}{P_x} \cdot 1000,$$

სადაც k_x – გარკვეულ x ასაკში დაქორწინებულთა რაოდენობა; P_x – იმავე x ასაკის მოსახლეობის რაოდენობა.

ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტი გაიანგარიშება ცალ-ცალკე მამაკაცებისა და ქალებისათვის, როგორც ყველა, ისე პირველი და ხელახალი ქორწინებისათვის.

მაგ., საქართველოში, 2005 წელს დაქორწინდა 20-24 წლის ასაკის 4655 მამაკაცი. იმავე დროს, საქართველოში იყო 148,8 ათასი 20-24 წლის ასაკის მამაკაცი. აქედან გამომდინარე:

$$k_x = \frac{4655}{148800} \cdot 1000 = 31{,}3,$$

რაც იმას ნიშნავს, რომ 20-24 წლის ასაკის ათასი მამაკაციდან 2005 წელს საქართველოში დაქორწინდა 31,3.

ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი – წარმოადგენს ქორწინებათა პირობით საშუალო რაოდენობას, რომელიც მოცემულ თაობაში მიიღება მათი ცხოვრების მანძილზე, მოკვდაობისა და თაობის ცვალებადობის გამომწვევი სხვა მიზეზების არარსებობის შემთხვევაში. მიიღება როგორც ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტების ჯამი, ერთ ადამიანზე გაანგარიშებით. ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები განისაზღვრება 15-60 წლის ასაკებისათვის. 60 წელზე უფროს ასაკში ქორწინებები შეჰყავთ 60 წლის ასაკის ქორწინებათა რაოდენობაში. ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი შეიძლება განისაზღვროს როგორც ყველა, ისე პირველი და ხელახალი ქორწინებისათვის. ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი (k_T) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$k_T = \sum_{15}^{60+} k_x : 1000,$$

სადაც k_x რომელიმე x ასაკის ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტია.

მაგ., საქართველოში, 2005 წელს, ქალებისათვის ქორწინების ასაკობრივმა კოეფიციენტებმა ასაკობრივი ჯგუფებისათვის შეადგინა: 15-19 – 21,0, 20-24 – 45,8, 25-29 – 27,5, 30-34 – 14,5, 35-39 – 6,9, 40-44 – 3,5, 45-49 – 2,0, 50-54 – 1,3, 55-59 – 0,9, 60+ – 1,0. აქედან გამომდინარე:

$$k_T = \frac{(21{,}0 + 45{,}8 + 27{,}5 + 14{,}5 + 6{,}9 + 3{,}5 + 2{,}0 + 1{,}3 + 0{,}9 + 1{,}0) \cdot 5}{1000} = 0{,}622$$

ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტების 5-ზე გამრავლება იქიდან გამომდინარეობს, რომ აღებულ იქნა 5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფები.

8.4. ოჯახი

ოჯახი არის ქორწინების თუ ნათესაობის საფუძველზე შექმნილი მცირე სოციალური ჯგუფი, რომლის წევრები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ყოფა-ცხოვრების ერთიანობით, ურთიერთმხარდაჭერითა და მორალური პასუხისმგებლობით. ოჯახის სოციალურ აუცილებლობას განაპირობებს საზოგადოების ფიზიკური და სულიერი განახლების მოთხოვნილება. ამ სოციალური ერთეულის ბიოლოგიურ საწყისს ქორწინება და შობადობა წარმოადგენს. მათი და ნათესაობის გათვალისწინებით ოჯახი სოციობიოლოგიურ ინსტიტუტს შეიძლება მივაკუთვნოთ. ამასთან, ოჯახი საზოგადოების სპეციფიკური ქვესისტემაა, რომელიც ურთიერთგანმსაზღვრელ კავშირშია საზოგადოების სხვა ქვესისტემებთან (თუმცა გარკვეული დამოუკიდებლობითაც ხასიათდება); მას აქვს განვითარების ფაზები და ოჯახის წევრთა გარკვეული სტრუქტურა. ოჯახის მნიშვნელობა გამომდინარეობს მისი მრავალფეროვანი ფუნქციებიდან, რომლებიც მთელი საზოგადოების, თუ პიროვნების მოთხოვნილებების განვითარების კვალდაკვალ იცვლება. ერთი რიგის ფუნქციები თითქმის მუდმივად ინარჩუნებენ ძირითადობას (შთამომავლობის შექმნის, აღზრდის და სხვა), მეორენი სხვადასხვა კულტურულ-ისტორიული, თუ სოციალურ-ეკონომიკური წყობის პირობებში, სხვადასხვა ძალით მოქმედებენ (მაგ., მეურნეობრივი), სუსტდებიან (ეკონომიკური) ან ქრებიან (მწარმოებლური). მესამენი კი თანდათან მზარდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენენ (სოციალიზაციის, ოჯახის წევრთა ემოციური ურთიერთობის განხორციელების, დასვენების ორგანიზაციის და სხვა ფუნქციები). თანამედროვე პირობებში ოჯახის სიმტკიცე სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანია – სახელმწიფო ახდენს მისი შექმნის თუ დაშლის, ქორწინების, განქორწინების ფიქსაციას.

ოჯახი აღმოცენდა პირველყოფილ საზოგადოებაში (შუა პალეოლითი) ქორწინების, როგორც სოციალური ინსტიტუტის, წარმოშობის კვალდაკვალ. ქორწინებისა და ოჯახის პირველი ფორმა იყო წყვილადი ოჯახი (ერთი წყვილის არა მარტო სქესობრივი, არამედ სოციალურ-ეკონომიკური კავშირი, რომელმაც შეცვალა მანამდე არსებული ჯგუფობრივი სქესობრივი ურთიერთობა). მაგრამ წყვილადი ოჯახი მტკიცე არ იყო და ადვილად იშლებოდა. ამას განაპირობებდა ის ფაქტი, რომ ოჯახის განვითარების ამ საფეხურზე ადამიანთა შრომითი და ყოფა-ცხოვრებითი ერთობის ფორმას, ძირითად სოციალურ ორგანიზმს, გვარი წარმოადგენდა.

როგორც მყარი სოციალური და მწარმოებლური ჯგუფი, ოჯახი ჩამოყალიბდა გვიანდელი ნეოლითის ეპოქაში გვაროვნული წყობის დაშლის, კერძო საკუთრებისა და კლასების წარმოშობასთან ერთად. ეს არის მონოგამიური ოჯახი, რომლის ჩამოყალიბება განაპირობა კერძო საკუთრების დაგროვებამ და პირდაპირი მემკვიდრისთვის მისი გადაცემის მოთხოვნამ. წყვილადიდან მონოგამიურზე გარდამავალ ფორმას წარმოადგენდა პატრიარქალური ოჯახი, რომელიც მკაცრად მონოგამიური მხოლოდ ქალისათვის იყო. მისი განვითარების გვიანდელ

საფეხურზე შექმნილმა საოჯახო თემმა საზოგადოების ცხოვრების განმსაზღვრელი ხასიათი მიიღო. ეს იყო მშობლებისა და მათი დაოჯახებული ვაჟიშვილების ინდივიდუალური ოჯახებისაგან შემდგარი მრავალრიცხოვანი სოციალური ერთეული, რომელიც ხასიათდებოდა შრომის ორგანიზაციის შიგაოჯახური ურთიერთობების განსაზღვრული სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციით და იერარქიით, ოჯახის უფროსი მამაკაცის ავტორიტარულობით. ოჯახის ეს ფორმა დაშალა კაპიტალისტურმა ურთიერთობამ. მან დაარღვია ადრინდელი ეპოქებისათვის დამახასიათებელი კავშირი ოჯახსა და წარმოებას შორის. დიდი ოჯახი დაიშალა მხოლოდ მშობლებისა და შვილებისაგან შემდგარ პატარა, ნუკლეარულ ოჯახებად. ამაში სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ცვლილებებთან ერთად, დიდი როლი ითამაშა წარმოებაში ქალის ჩაბმამ და მის მიერ სამოქალაქო უფლებების მოპოვებამ. აღმოცენდა ოჯახი, რომლის სრულ განვითარებას ხელს უწყობდა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობა. საქორწინო და საოჯახო ურთიერთობაში შექმნილმა პროგრესულმა ტენდენციებმა შემდგომში სრული განვითარების შესაძლებლობა მიიღეს.

ოჯახს შეისწავლის მრავალი მეცნიერება – სოციოლოგია, ეკონომიკა, ეთნოგრაფია, სამართალი, ფსიქოლოგია, დემოგრაფია და სხვა. დემოგრაფიაში ოჯახი შეისწავლება მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, რის გამოც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მის რეპროდუქციულ ფუნქციას, რომელიც სხვა ფუნქციებთან ურთიერთკავშირში განიხილება. ამავე დროს შესწავლის ობიექტს წარმოადგენს თვით ოჯახების წარმოქმნისა და განვითარების პროცესი. ამასთან, განიხილება ოჯახის შემადგენლობის ცვალებადობა, რომელიც გავლენას ახდენს მოსახლეობის აღწარმოებაზე: დაქორწინება, ბავშვების გაჩენა, განქორწინება ან ოჯახის რომელიმე წევრის სიკვდილი, ახალგაზრდა ოჯახის წარმოქმნა. ვითარდება რა, ოჯახი გაივლის რიგ ეტაპებს, რომელთა თანმიმდევრობა ოჯახის სიცოცხლის ციკლს წარმოქმნის.

8.5. ოჯახთან დაკავშირებული ცნებები

ტერმინი "ოჯახი" თურქული წარმოშობისაა. თავდაპირველად ქართულში მის ნაცვლად გამოიყენებოდა ტერმინი "სახლი" და "კომლი".

ავტორიტარული ოჯახი – იგულისხმება ურთიერთობის ფორმა ოჯახის წევრებს შორის, რომელსაც ახასიათებს ცოლის ქმრისადმი დაქვემდებარება და მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობაში მკაცრი დისციპლინა. ავტორიტარული ოჯახი ძირითადად დამახასიათებელი იყო ტრადიციული ოჯახისათვის და უმთავრესად გავრცელებული იყო კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებამდე.

არასრული ოჯახი – ერთ-ერთი მშობელი ერთი ან რამდენიმე დაუქორწინებელი შვილით. ამგვარად არასრულობის დახასიათება ეხება ცოლ-ქმარს. არასრული ოჯახი ძირითადად წარმოიქმნება განქორწნების, ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილის, მეუღლეთა განცალკევებული ცხოვრების, აგრეთვე ქორწინების გარეშე ბავშვების დაბადების (მარტოხელა დედა) შედეგად.

ბიოლოგიური ოჯახი – ცოლ-ქმარი და მათი შთამომავლობა. ჩვეულებრივ მხედველობაში მიიღება მხოლოდ ორი თაობა, ე.ი. მშობლები და მათი შვილები ბიოლოგიურ ოჯახს წარმოქმნიან მხოლოდ სისხლით ნათესაობით დაკავშირებული ადამიანები.

დემოკრატიული ოჯახი – იგულისხმება ურთიერთობის ფორმა ოჯახის წევრებს შორის. დემოკრატიული ოჯახი ეფუძნება მეუღლეებს შორის როლების განაწილებას არა ტრადიციების შესაბამისად, არამედ მათი პიროვნული

თვისებებისა და უნარის მიხედვით, თითოეული მათგანის თანაბარ მონაწილეობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, მოვალეობათა ნებაყოფლობით განაწილებაზე, ბავშვების აღზრდას დაფუძნებულს შეგნებაზე და არა ძალდატანებაზე. დემოკრატიული ოჯახი ძირითადად გავრცელებას იწყებს კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებასთან ერთად.

დიდი ოჯახი – გვარიდან გამოყოფილი ოჯახის ისტორიული ფორმა, პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური უჯრედი. ჩამოყალიბდა მატრიარქალური გვარის დაშლისა და პატრიარქალური გვარის ფორმირების პერიოდში. აერთიანებდა სისხლით ნათესავთა რამდენიმე თაობას (3-4 ან მეტს) მამის მხრიდან. დიდი ოჯახი წარმოადგენდა გარდამავალ საფეხურს წყვილადი ოჯახიდან მონოგამიურ ოჯახზე. დიდი ოჯახის გადმონაშთი მსოფლიოს მთელმა რიგმა ხალხმა XIX საუკუნემდე შეინარჩუნა.

ეგალიტარული ოჯახი – იგულისხმება ურთიერთობის ფორმა ოჯახის წევრებს შორის. სპეციალურ ლიტერატურაში გამოიყენება ორი მნიშვნელობით: 1) როგორც დემოკრატიული, ე.ი. თანასწორი (ეგალიტარული ნიშნავს თანასწორს, თანასწორუფლებიანს) ოჯახის სინონიმი; 2) ოჯახი, რომელშიც ცოლი და ქმარი ერთმანეთის გარდა თავისუფალია თავისთვის სხვა სქესობრივი პარტნიორის არჩევანში.

მრავალშვილიანი ოჯახი – შობადობის მაღალი დონის ზოგადი დახასიათება. ჩვეულებრივად იგულისხმება ქალის მიერ დაბადებული ბავშვების დიდი რაოდენობა. მხედველობაში მიიღება საშუალო ან დაბადებათა ტიპური რაოდენობა. მრავალშვილიან ოჯახად დემოგრაფიაში მიჩნეულია ხუთი და მეტშვილიანი ოჯახი.

საშუალოშვილიანი ოჯახი – ჩვეულებრივ იგულისხმება ქალის მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობა. მხედველობაში მიიღება საშუალო ან დაბადებულთა ტიპური რაოდენობა. საშუალოშვილიან ოჯახად დემოგრაფიაში ითვლება 3-4 შვილიანი ოჯახი.

მცირეშვილიანი ოჯახი – შობადობის დაბალი დონის ზოგადი დახასიათება. ჩვეულებრივად იგულისხმება ქალის მიერ დაბადებული ბავშვების მცირე რაოდენობა. მხედველობაში მიიღება საშუალო ან დაბადებათა ტიპური რაოდენობა. მცირეშვილიან ოჯახად ითვლება 1-2 შვილიანი ოჯახი.

უშვილო ოჯახი – ნუკლეარული ოჯახი, რომელშიც ცოლ-ქმარს განზრახ ან უნაყოფობის გამო არ ჰყავთ არცერთი შვილი.

ნუკლეარული ოჯახი (მარტივი) – ოჯახი, რომელიც შედგება ცოლ-ქმრისა და შვილებისაგან, ან შვილების გარეშე, ან ერთ-ერთი მშობლისა და დაუქორწინებელი შვილებისაგან. ნუკლეარულ ოჯახად ჩვეულებრივ ითვლება ცოლ-ქმარი და მხოლოდ მათი ის შვილები, რომლებიც ცხოვრობენ მშობლებთან ერთად. მაგ., დედა შვილით წარმოქმნის ნუკლეარულ ოჯახს, ხოლო ბებია შვილიშვილით – არა.

რთული ოჯახი – ოჯახი, რომელიც შედგება ნათესაური ურთიერთობებით გაერთიანებული რამდენიმე ნუკლეარული ოჯახისაგან, რომელთაგან თითოეული შეიძლება იყოს სრული ან არასრული და ამასთან შეიცავდეს მეუღლეთა ნათესავებს. მაგ., რთულ ოჯახს წარმოქმნის ცოლ-ქმარი შვილით და შვილის ცოლით.

სრული ოჯახი – ოჯახი, რომლის შემადგენლობაში შედის ორივე მეუღლე. ჩვეულებრივ მხედველობაში აქვთ ნუკლეარული ოჯახი.

ოჯახის ბიუჯეტი – ოჯახის ფაქტობრივი შემოსავლისა და გასავლის მოცულობა და სტრუქტურა. ოჯახის ბიუჯეტი წარმოადგენს ოჯახის ცხოვრების

დონის მნიშვნელოვან მახასიათებელს. ოჯახის ბიუჯეტის შესწავლა დაიწყო დასავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ოჯახის ბირთვი – ცოლ-ქმარი ან ერთ-ერთი მეუღლე შვილებით. გაერო-ს სტატისტიკური კომისიის რეკომენდაციების თანახმად, მოსახლეობის აღწერებისას, ოჯახის ბირთვად ითვლება: 1) ცოლ-ქმარი შვილების გარეშე; 2) ცოლ-ქმარი ერთი ან რამდენიმე ქორწინებაში არასდროს მყოფი შვილით (სრული ოჯახის ბირთვი); 3) ერთ-ერთი მშობელი (დედა ან მამა) ერთი ან რამდენიმე ქორწინებაში არასდროს მყოფი შვილით (არასრული ოჯახის ბირთვი).

ოჯახის დაგეგმვა – ადამიანის, ცოლ-ქმრის მიერ გადაწყვეტილების მიღება ოჯახის ზომის შესახებ, კერძოდ ოჯახში ბავშვების გარკვეული რაოდენობის ყოლის შესახებ და ამ გადაწყვეტილების განხორციელებისაკენ მიმართული ქცევა.

ოჯახის დაგეგმვა ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირებით განისაზღვრება, რომელიც წარმოებს კონტრაცეპციის სხვადასხვა მეთოდისა და აბორტების გამოყენების მეშვეობით.

ოჯახის დაგეგმვა ხელს უწყობს ბავშვების სასურველი რაოდენობის ყოლას, არასასურველი ორსულობის თავიდან აცილებას, პროტოგენეტიკური და ინტერგენეტიკური ინტერვალების არჩევასა და დაცვას.

ოჯახის დაგეგმვის შედეგად მცირდება ჩვილთა მოკვდაობა, მტკიცდება დედისა და ბავშვის ჯანმრთელობა, კლებულობს მეორადი უნაყოფობა.

ზოგიერთ ქვეყანაში და საერთაშორისო ორგანიზაციებში ოჯახის დაგეგმვაში იგულისხმება ოჯახის დაგეგმვის სპეციალური პროგრამები, რომელიც ცნობილია აგრეთვე "შობადობის კონტროლის" სახელწოდებით. ასეთი პროგრამების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რომელიც მიმართულია ოჯახში ბავშვთა შობის შეზღუდვისაკენ.

ოჯახის სიდიდე (ზომა) – დროის მოცემული მომენტისათვის, ოჯახის შემადგენლობაში შემავალი, ნათესაობით დაკავშირებული, ერთად მცხოვრები ადამიანების რაოდენობა. ოჯახის სიდიდე დამოკიდებულია ოჯახის მიღებულ განსაზღვრებაზე. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს იმას, გათვალისწინებულია თუ არა ერთად მცხოვრები ნათესავების ბიუჯეტის ერთობა. ოჯახის სიდიდე განისაზღვრება ოჯახის ბირთვის (ერთია თუ რამდენიმე), ბავშვების რაოდენობით, ოჯახში სხვა ნათესავების არსებობით.

ოჯახის ზოგადი სტრუქტურის სქემა – საფუძვლად უდევს ოჯახის ძირითადი საწყისები – სოციობიოლოგიური და სოციალური, რომლებიც წარმოქმნიან პირველი დონის სტრუქტურებს. თავის მხრივ, ისინი განაპირობებენ მეორე დონის სტრუქტურებს – დემოგრაფიულს და ურთიერთობების. ყოველ მათგანს საკუთარი ქვესტრუქტურული ელემენტები აქვს. მთლიანობაში, სქემატურად ოჯახის ზოგადი სტრუქტურა მოყვანილია ქვემოთ (იხ.).

მოცემული სახით ოჯახის ზოგადი სტრუქტურის სქემა შემოთავაზებულ იქნა მზია ბექაიას მიერ 1998 წელს, თუმცა ის მის მიერვე უფრო ადრე იყო შემუშავებული (1980-იან წლებში).

ოჯახის საშუალო სიდიდე (ზომა) – წარმოადგენს ოჯახების სიდიდის მიხედვით განაწილების განმაზოგადებელ მაჩვენებელს. ოჯახის საშუალო სიდიდე ახასიათებს ჰიპოთეზურ თაობას და ამიტომ დამოკიდებულია მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობისა და ქორწინებითი მდგომარეობის ცვალებადობაზე. ოჯახის საშუალო სიდიდის მნიშვნელობა იცვლება ფართო საზღვრებში და დამოკიდებულია რთული ოჯახების გავრცელებასა და ოჯახში ბავშვების რაოდენობაზე. ოჯახის საშუალო სიდიდე გამოიანგარიშება როგორც ნებისმიერი სხვა საშუალო სიდიდე.

ოჯახის ზოგადი სტრუქტურის სქემა



ოჯახის კრიზისი – ოჯახის როგორც სოციალური ინსტიტუტის დეგრადაცია. ძირითადად გამოიხატება ოჯახის მიერ საზოგადოებისათვის აუცილებელი ისეთი ფუნქციების გაუარესებაში, როგორიცაა მოსახლეობის აღწარმოება და ახალი თაობების აღზრდა.

ოჯახის მოდერნიზაცია – ოჯახის კრიზისის ალტერნატიული კონცეფცია, რომელიც ისტორიულად განპირობებულად და ამდენად დასაშვებად მიიჩნევს ოჯახის კრიზისთან დაკავშირებულ პრობლემებს. თვლის, რომ ადგილი აქვს ოჯახის მოდერნიზაციას და არა მის კრიზისს.

ოჯახის ნუკლეარიზაცია – დაქორწინებასთან დაკავშირებით ოჯახიდან შვილების გამოყოფის ტენდენცია, რომელსაც მოჰყვება მოსახლეობაში ნუკლეარული ოჯახების წილის ზრდა.

ოჯახის სოციობიოლოგიური სტრუქტურის სქემა – ოჯახის სოციობიოლოგიური არსის, შიგა აღნაგობის სქემატური გამოსახულება (იხ.).

ოჯახის სოციობიოლოგიური არსი, ტიპოლოგია და ოჯახის სოციობიოლოგიური სტრუქტურის სქემა მოცემულ იქნა მზია ბექაიას მიერ.



ოჯახი როგორც სოციალური ინსტიტუტი – ოჯახის სოციალურ ინსტიტუციურობას ქმნის მისი სოციალური საწყისები, რომელთა ქმედითობა ოჯახის ცხოვრების თითქმის ყველა მხარეში ვლინდება. ამავე დროს, ოჯახი საზოგადოების ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტთაგანია, ძირითადად რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საზოგადოების ცხოვრება.

ფამილისტიკაში ოჯახი ყველაზე ფართოდ, მრავალმხრივ და სიღრმისეულად შესწავლილია როგორც სოციალური ინსტიტუტი. მიზანშეწონილია მოვიტანოთ იმ საკითხების მოკლე თანმიმდევრული ჩამონათვალი, რომლებიც გამოხატავენ ოჯახის სოციალურობას, მისი სოციალური საწყისების ქმედითობას.

1. ოჯახის ისტორია

- წარმოშობა
- ისტორიული განვითარების ძირითადად ზოგადი, ერთიანი ხაზი
- ისტორიული განვითარების ძირითადი ისტორიული ფორმები
- უნივერსალობა
- საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან კავშირით განპირობებული ცვლილებები ოჯახის ფუნქციებში
- საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან კავშირით განპირობებული განსხვავებანი სხვადასხვა ქვეყნის საოჯახო და საქორწინო ტრადიციებში
- ოჯახისა და ქორწინების სანქცირების ფორმები და პრინციპები
- საოჯახო შრომის ორგანიზაციის (ისტორიული თვალსაზრისით) პრინციპები
- თანამედროვე პროცესები ოჯახის განვითარებაში
- მომავლის პერსპექტივები

2. ოჯახი – მცირე სოციალურ-ფსიქოლოგიური ჯგუფი

- ოჯახი არის პირველადი ჯგუფი
- ფორმალიზებული
- მცირე
- ჩაკეტილი
- მთლიანი სისტემაა
- ბავშვთა შობის გზით შინაგანი მობილობის უნარის მქონე
- თვითმმართველია
- ხასიათდება ურთიერთობების მოქნილი კოორდინაციით
- აქვს საკუთარი ცხოვრების ფსიქოლოგიური ატმოსფერო
- ახასიათებს ობიექტური და სუბიექტური წინააღმდეგობები
- წარმოადგენს ამა თუ იმ ეთნოსის კუთვნილებას
- აქვს სხვადასხვა დემოგრაფიული სტრუქტურა
- აერთიანებს სხვადასხვა სქესის, ასაკის და თაობის წევრებს
- კავშირი აქვს სხვა სოციალურ ჯგუფებთან
- და სხვა.

3. სოციალური ფუნქციები

ოჯახთან დაკავშირებით სოციალური ფუნქცია არის ურთიერთკავშირი, რომელიც განაპირობებს ოჯახის ჩართვას საზოგადოებაში. ესაა როლი, რომელსაც ოჯახი ასრულებს მთელი საზოგადოებისა თუ ოჯახის ცალკეული წევრების წინაშე. ესაა ოჯახის ქცევის ძირითადი მიმართულება თავისი და საზოგადოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ოჯახის სოციალური ფუნქციების რანჟირება შემდეგნაირია:

- შთამომავლობის მოვლა-აღზრდა
- შთამომავლობის სოციალიზაცია
- ოჯახის წევრთა ნორმების განხორციელება
- ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების მოწესრიგება
- პირველადი სოციალური და სექსუალური კონტროლი

– სოციალური სტატუსის აღწარმოება
– ხანდაზმულთა ყოფა-ცხოვრების უზრუნველყოფა
– ეთნოკულტურის მემკვიდრეობით გადაცემა-დაცვა
– კაცობრიობის კულტურული მიღწევების მემკვიდრეობითი გადაცემა

4. ოჯახის ფუნქციათა ერთობლიობა

4.1. სოციო-ბიოლოგიური ფუნქციები

–ქორწინება – მეუღლეთა სანქცირებული სექსუალური თანაცხოვრება

–შობადობა – მოსახლეობის აღწარმოება

–ეთნოსის გენოფონდის გაგრძელება

–ეთნიკური ასიმილაცია (ერის ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფების კონსოლიდაცია, თუ უცხო ეთნოსის შერწყმა)

–პიროვნების ფიზიკური, ბიოლოგიური არსებობის უზრუნველყოფა

4.2. სოციალური ფუნქციები (იხ. ზემოთ)

4.3. ეკონომიკური ფუნქციები

–საზოგადოებრივი წარმოების მომხმარებლობა

–ოჯახის მატერიალურ-მომხმარებლური და სამეურნეო საკითხების ორგანიზება

–ოჯახის წევრთა სხვადასხვა სახის მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი ეკონომიკური საფუძვლების შექმნა

–საბინაო საკითხების მოგვარება

–შთამომავლობის უზრუნველყოფა მემკვიდრეობით

–კაპიტალის დაგროვება და წარმოება

4.4. სულიერი ფუნქციები

–ოჯახის წევრთა ემოციური ურთიერთობების განხორციელება

–ზნეობრივი ნორმების გადაცემა-განვითარება

–ურთიერთობის კულტურისა და ესთეტიკის განვითარება

–პიროვნების პერსონიზაცია

–ჰარმონიული პიროვნების ფორმირება

–ურთიერთმხარდაჭერა

–საერთო წარმატებისაკენ სწრაფვა

–გარე სტრესებისაგან ფსიქოლოგიური თავშესაფარის როლის შესრულება

ოჯახის სოციოლოგია – სოციოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის ოჯახს, როგორც ადამიანთა ერთობლივი ცხოვრების ფორმას, მის ფუნქციებს, ოჯახში პიროვნებათაშორის ურთიერთობებს, პიროვნების მოტივაციის მდგრადობას ქორწინებისადმი. ოჯახის სოციოლოგია მჭიდრო კავშირში იმყოფება დემოგრაფიასთან.

განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენენ საკითხები, რომლებიც ეხება ქორწინებისა და ოჯახის წარმოშობას, ქორწინებისა და ოჯახის ფორმირების ევოლუციას, ოჯახისა და მისი ფუნქციების მდგომარეობას საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ოჯახისა და საზოგადოების ურთიერთკავშირს და სხვა.

ოჯახის უფროსი – ოჯახის ერთ-ერთი წევრი, რომელიც ასრულებს მისი ლიდერის როლს. ზოგიერთ ქვეყანაში ოჯახის უფროსს გააჩნია განსაკუთრებული უფლებები და პასუხისმგებელია მასზე. ზოგჯერ ოჯახის უფროსად განიხილება პირი, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის სხვა წევრებს ცხოვრებისათვის საჭირო ძირითადი პირობებით. ოჯახის უფროსის ინსტიტუტის არსებობა და შინაარსი დამოკიდებულია ოჯახის ფუნქციებსა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების დონეზე. პირობებში, როდესაც ოჯახი იყო მწარმოებლური უჯრედი,

ოჯახის უფროსის მახასიათებლებით განსაზღვრავდნენ ოჯახის სხვა წევრებისა და მთელი ოჯახის სოციალურ კუთვნილებას. ოჯახის სოციალური ფუნქციების ცვლილებებთან ერთად ოჯახის უფროსის ეკონომიკური მდგომარეობა უკვე აღარ არის მისი სოციალური სტატუსის ერთადერთი კრიტერიუმი და ოჯახის კუთვნილებას ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფთან განსაზღვრავს მისი სხვა წევრებისა და მთელი ოჯახის მახასიათებლები.

ოჯახის უფროსის კატეგორიის შენარჩუნება მოსახლეობის სტატისტიკაში გამოწვეულია იმით, რომ ოჯახის ყველა წევრის მიერ ნათესაური ურთიერთობის მითითება ერთი მათგანის მიმართ, მოსახლეობის აღწერებისა და გამოკვლევებისას, ერთი ოჯახის მეორისაგან გამიჯვნისა და ოჯახის ყველა წევრის ოჯახური მდგომარეობის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

გაერო-ს რეკომენდაციების შესაბამისად, ზოგიერთ ქვეყანაში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) ბოლო დროს ჩატარებული მოსახლეობის აღწერებისას ოჯახის უფროსის კატეგორია არ გამოიყენება. ოჯახის წევრების ოჯახური მდგომარეობა განისაზღვრება აღწერის ფურცელში პირველად ჩაწერილი წევრის მიმართ.

ოჯახის სიცოცხლის ციკლი – სოციალური და დემოგრაფიული თვალსაზრისით იმ არსებით მდგომარეობათა თანმიმდევრობა, რომელშიც იმყოფება ოჯახი ჩამოყალიბების მომენტიდან იქამდე, სანამ შეწყვეტს თავის არსებობას. საყოველთაოდ აღიარებული, ერთიანი ოჯახის სიცოცხლის ციკლის სქემა არ არსებობს. ჩვეულებრივ გამოჰყოფენ შემდეგ ფაზებს: 1) ოჯახის წარმოქმნა – პირველი ქორწინება; 2) ბავშვთა შობის დაწყება – პირველი შვილის გაჩენა; 3) ბავშვთა შობის დასრულება – უკანასკნელი შვილის გაჩენა; 4) პირველი შვილის დაქორწინება (გამოყოფა ცალკე ოჯახად); 5) უკანასკნელი შვილის დაქორწინება (გამოყოფა ცალკე ოჯახად); 6) ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილი ან განქორწინება (ოჯახის არსებობის შეწყვეტა). ოჯახის სიცოცხლის ციკლი ჩვეულებრივ განიხილება ნუკლეარული ოჯახისათვის, მაგრამ თუ შვილს დაქორწინების შემდეგ მოჰყავს მეუღლე ოჯახში, მაშინ ოჯახი ხდება რთული. ოჯახის სიცოცხლის ციკლი განიხილება ოჯახთა ერთობლიობისათვის ერთ-ერთი მეუღლის (ძირითადად ცოლის) ასაკის ან ქორწინების ხანგრძლივობის მიხედვით. ამასთან, გამოიანგარიშება საშუალო ასაკი, რომლის შედარება თანმიმდევრობითი ფაზებისათვის შესაძლებლობას იძლევა დადგენილ იქნას როგორც ცალკეული ფაზის, ისევე მთელი ციკლის ხანგრძლივობა. ოჯახის სიცოცხლის ციკლის ფაზების ცვალებადობას შეესაბამება ოჯახის შემადგენლობის ცვალებადობაც და აგრეთვე როლის სტრუქტურისა და გარკვეულ ფარგლებში, ცხოვრების წესის ცვლილებაც.

ოჯახის წევრი – პირი, რომელსაც აქვს უფლება-მოვალეობანი ოჯახური ურთიერთობებიდან გამომდინარე. კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ განსაზღვრავს ოჯახის წევრის პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობებს, ხოლო სამოქალაქო კანონმდებლობა – ოჯახის წევრის უფლება-მოვალეობებს მემკვიდრეობით, საბინაო და სხვა ურთიერთობათა სფეროში.

ოჯახის ცალკე მცხოვრები წევრი – ოჯახური მდგომარეობის კატეგორია, რომელსაც ზოგიერთ ქვეყანაში გამოყოფენ მოსახლეობის აღწერებისას. ოჯახის ცალკე მცხოვრებ წევრად მიჩნეულია ოჯახის ის წევრი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს ოჯახისაგან განცალკევებით, მაგრამ მასთან საერთო ბიუჯეტი ან რეგულარული მატერიალური კავშირი აქვს. ოჯახის ცალკე მცხოვრებ წევრად აგრეთვე ითვლებიან ის პირები, რომლებიც მოსახლეობის აღწერის მომენტისათვის დროებით ცხოვრობდნენ ოჯახისაგან განცალკევებით. ოჯახის ცალკე მცხოვრები

წევრის კატეგორიაში შეიძლება შედიოდნენ სტუდენტები, რომლებიც ცხოვრობენ სწავლის ადგილას, სარემონტო და სამშენებლო ორგანიზაციის მუშაკები და ა.შ.

დემოგრაფიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მოსახლეობის ამ კატეგორიის ცალკე გამოყოფა ეწინააღმდეგება ოჯახის განმარტებას.

ოჯახური მდგომარეობა – ადამიანის მდგომარეობა ოჯახის დემოგრაფიულ სტრუქტურაში. ქორწინებითი მდგომარეობისაგან (იხ. ქორწინებითი მდგომარეობა) განსხვავებით მიუთითებს იმაზე, შედის თუ არა ადამიანი ოჯახში და რა ადგილი უჭირავს ოჯახის სხვა წევრებს შორის. ანსხვავებენ ოჯახური მდგომარეობის ორ მსხვილ კატეგორიას: 1) ოჯახის წევრები და 2) პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახებს. პირველი კატეგორია იყოფა ქვეკატეგორიებად, რომელსაც შეესაბამება ადამიანის ადგილი ოჯახის სტრუქტურაში – მეუღლეები, შვილები, მეუღლეთა მშობლები და სხვა ნათესავები. მეორე კატეგორიას შეადგენენ მარტოხელები, რომელთა შორის გამოჰყოფენ იმ მარტოხელებს, რომლებსაც აქვთ დამოუკიდებელი მეურნეობა და მარტოხელებს, რომლებიც ცხოვრობენ საერთო საცხოვრებლებში.

ოჯახური ურთიერთობები – სხვადასხვა სახის ურთიერთობები ოჯახის წევრებს შორის. ოჯახურ ურთიერთობებში გამოჰყოფენ: ნათესაობით, სულიერ, ზნეობრივ, ძალაუფლებრივ, ავტორიტეტულ და სამართლებრივ ურთიერთობებს. როლების მიხედვით – თაობებს შორის, მეურნეობით და სხვა ურთიერთობებს.

ქორწინებითი მდგომარეობა – ადამიანის მდგომარეობა ქორწინების მიმართ, რომელიც განისაზღვრება ქვეყანაში არსებული ჩვეულებებითა და სამართლებრივი ნორმების შესაბამისად. ქორწინების სახისა და ფორმის მიუხედავად, განასხვავებენ: ქორწინებაში არმყოფებს და ქორწინებაში მყოფებს. ქორწინებაში არმყოფები თავის მხრივ იყოფიან: ქორწინებაში არასდროს მყოფებად, ქვრივებად და განქორწინებულებად (განშორებულებად). ქორწინებითი მდგომარეობის ჩამოთვლილი კატეგორიები მიჩნეულია ძირითადად და გამოიყოფიან მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებათა უმრავლესობისას.

ქორწინების, განქორწინებისა და დაქვრივების შემთხვევაში ხდება ადამიანის გადასვლა ქორწინებითი მდგომარეობის ერთი კატეგორიიდან მეორეში. ასეთ გადასვლათა ერთობლიობა წარმოადგენს მოსახლეობის საქორწინო სტრუქტურის აღწარმოების პროცესს, რომელიც დემოგრაფიაში განიხილება როგორც მოსახლეობის აღწარმოების შემადგენელი ნაწილი.

ზოგიერთი ქვეყნის სტატისტიკა ზემოჩამოთვლილ ქორწინებითი მდგომარეობის კატეგორიების გარდა გამოჰყოფს აგრეთვე კონსენსუალურ და რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფებს, განცალკევებით მცხოვრებ მეუღლეებს, პირველ და ხელახალ ქორწინებაში მყოფებს.

შინამეურნეობა – სოციალურ-ეკონომიკური უჯრედი, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების, კვების საერთო წესებს და დაკავშირებულია ერთმანეთთან საერთო ბიუჯეტით (მისი ნაწილით), ნათესაური ან არანათესაური ურთიერთობებით, ან ორივეთი ერთად. შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი დამოუკიდებლად მცხოვრები ადამიანისაგან.

გაერო-ს რეკომენდაციების თანახმად, შინამეურნეობის განმარტება ეფუძნება ყოფით წყობას, რომლის ფარგლებში ცალკეული პირები ან ადამიანთა ჯგუფები უზრუნველყოფენ თავის თავს საჭმელით და ცხოვრებისათვის ყოველივე საჭიროთი. შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი, ან რამდენიმე პირისაგან, რომელთაც გაერთიანებული აქვთ თავიანთი შემოსავალი და ერთობლივად ეწევიან მეურნეობას. ისინი შეიძლება იყვნენ როგორც ნათესავები, ისევე არანათესავები, ან ერთიც და მეორენიც.

ანსხვავებენ შინამეურნეობების კერძო და კოლექტიურ სახეობებს.

8.6. შვილიანობა და შიგაოჯახური როლების სტრუქტურა

ოჯახი იცვლება ისტორიის მანძილზე. ცვალებადობას განიცდის მისი ფორმები, გარემოსთან ურთიერთქმედების საშუალებები, ის ფუნქციები, რომელსაც ოჯახი ასრულებს საზოგადოებაში. თანამედროვე ოჯახისათვის სულ უფრო დამახასიათებელი ხდება მცირეშვილიანობა. დროთა განმავლობაში ცვალებადობა განიცადა ოჯახის მოთხოვნილებათა მთელმა სისტემამ. მათ შორის მოხდა "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" განვითარება და მისი შემცირება.

კომპლექსური ანალიზი საშუალებას იძლევა ნეგატიურად შევაფასოთ ის თვისებრივი თვისებები მეუღლეების ურთიერთობას შორის, მშობლებსა და შვილებს შორის და ზოგადად ფსიქოლოგიური კლიმატის შესახებ, რომელიც მოჰყვება ოჯახში ბავშვების რაოდენობის შემცირებას.

ოჯახში ბავშვების რაოდენობის გავლენა შიგაოჯახური ორგანიზაციის პროცესებზე შესწავლილი ჰქონდათ ჯ. ბოსარდს, გ. ელდერს, ე. ბოლს და სხვებს. მათი გამოკვლევებიდან გამომდინარეობს, რომ: 1) ოჯახში ბავშვების რაოდენობის მატებასთან ერთად იზრდება მეუღლეების შეწყობილობა და მათი ქორწინებით კმაყოფილება; 2) ასეთ დროს ნაკლებია განქორწინება და მშობლები უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან; 3) მშობლებისა და შვილების ინტერესები უფრო მრავალფეროვანია მრავალშვილიან ოჯახში; 4) მრავალშვილიანი ოჯახი გამოირჩევა თავისი ცხოველქმედობის ორგანიზაციით, კოოპერაციით და ოჯახის წევრების სპეციალიზაციით, რომელსაც მოჰყვება მათი მაღალი შეთანხმებულობა და ურთიერთდამოკიდებულება.

ცნობილია, რომ 3-შვილიან ოჯახში, 2-შვილიანისაგან განსხვავებით, კომუნიკაციური კავშირების რიცხვი ორჯერ მეტია და შეადგენს 12-ს, 6-ის ნაცვლად.

გასათვალისწინებელია, რომ ოჯახი წარმოადგენს აგრეთვე მცირე სოციალურ ჯგუფს, სადაც რაოდენობრივი ცვლილებები კავშირშია ჯგუფური ორგანიზაციის ნიშნების სრულიად ახალი თვისებების წარმოქმნასთან.

ჩვეულებრივ, მცირე ჯგუფს მიაკუთვნებენ ადამიანთა ერთობას რაოდენობით 3-დან 15-20-მდე. ამასთან, სოციალურ ფსიქოლოგებს და სოციოლოგებს მცირე ჯგუფის ოპტიმალურ ზომად 5-7 წევრი მიაჩნიათ.

ოჯახის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრისას ფსიქოლოგიური "კლიმატისა" და მასში მისი წევრების შემჭიდროებულობის თვალსაზრისით საჭიროა ოჯახის როგორც მცირე ჯგუფის სპეციფიკის გათვალისწინება.

ოჯახის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნას აგრეთვე დემოგრაფიული ასპექტი. სადღეისოდ მრავალშვილიანმა ოჯახმა დაკარგა ობიექტური აუცილებლობა მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით და ამ მხრივ უფრო მიზანშეწონილია საშუალოშვილიანი ოჯახი.

ვინმემ შეიძლება თქვას, რომ ასეთი ლოგიკით, ვინაიდან მცირეშვილიანობის გავრცელებამ მასობრივი ხასიათი მიიღო და საშუალოშვილიანმა ოჯახმა დაკარგა თავისი პოზიცია, ეს უკანასკნელიც განვლილი ეტაპია და წარსულს ჩაბარდა.

საქმე ისაა, რომ არსებობს ობიექტური აუცილებლობა მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით. ამ მხრივ საშუალოშვილიანი ოჯახების გარკვეული წილის არსებობა აუცილებელია. სხვა შემთხვევაში შობადობის დონე საკმარისი არ იქნება მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის და ამდენად დამკვიდრდება მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების რეჟიმი, რომელსაც დეპოპულაცია მოჰყვება.

ა. ანტონოვმა შეისწავლა ნუკლეარულ ოჯახებში შიგაოჯახური როლების სტრუქტურის ცვალებადობა ბავშვების რაოდენობასთან ურთიერთკავშირში. ამის შედეგად მან გამოჰყო 21 სახეობა. სათანადო ანალიზის საფუძველზე ა. ანტონოვი მივიდა დასკვნამდე, რომ დემოგრაფიული და ფსიქოლოგიური ასპექტების

გათვალისწინებით სრული ნუკლეარული ოჯახის ოპტიმალურ სიდიდეთ უნდა მიჩნეულ იქნას 5-6 წევრიანი ოჯახი, ე.ი. ოჯახი, სადაც ცოლ-ქმარი და სამი ან ოთხი შვილია (ე.ი. საშუალოშვილიანი ოჯახი).

ვნახოთ, თუ რამდენად აკმაყოფილებს საშუალოშვილიანი ოჯახი შიგაოჯახური როლების სტრუქტურის პირობას. ამისათვის მოვიყვანთ და განვიხილავთ აგრეთვე მრავალშვილიანი, მცირეშვილიანი და უშვილო ოჯახის როლების სტრუქტურას.

ქვემოთ მოტანილი დაჯგუფებისას გამოყენებულ იქნა ა. ანტონოვის სქემა.

შედარებისას გათვალისწინებულ იქნა ოჯახის ტიპი (უშვილო, მცირე, საშუალო და მრავალშვილიანი), ოჯახის სიდიდე, ბავშვების რაოდენობა ოჯახში, შვილების სქესი, როლების რაოდენობა, როლების სტრუქტურა – სულ 6 პარამეტრი.

ამდენად, შიგაოჯახური როლების სტრუქტურიდან გამომდინარე, ვღებულობთ ნუკლეარული ოჯახის 21 სახეობას, რომელიც ქვემოთ არის მოტანილი (იხ. ცხრილი).

როგორც მოტანილი ცხრილიდან გამომდინარეობს, მე-20 და 21-ე სახეობები (ოჯახის ტიპი) ამოწურავენ სრული ნუკლეარული ოჯახის როლების სტრუქტურასა და როლების შესაძლებელ რაოდენობას. როლების სტრუქტურისა და რაოდენობის თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს იქნება მრავალშვილიან ოჯახში 3 ვაჟი და 2 ქალიშვილი, თუ კიდევ მეტი. როლების მაქსიმალური რაოდენობა სრულ ნუკლეარულ ოჯახში 12-ის ტოლია.

როლების მრავალფეროვანი სტრუქტურით და როლების დიდი რაოდენობით გამოირჩევა მრავალშვილიანი და საშუალოშვილიანი ოჯახი.

ამდენად, დემოგრაფიული, თუ საოჯახო პოლიტიკის შემუშავებისას, დემოგრაფიული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია საშუალოშვილიანი ოჯახის უპირატესობა.

№	ოჯახის ტიპი	ოჯახის სიდიდე	ბავშვების რაოდენობა ოჯახში	შვილების სქესი	როლების სტრუქტურა	როლების რაო-დენობა
1	უშვილო	2(ცოლ-ქმარი)	0	-	ცოლი, ქმარი	2
2	მცირეშვილიანი	3	1	მდედრობითი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ქალიშვილი	5
3	მცირეშვილიანი	3	1	მამრობითი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ვაჟი	5
4	მცირეშვილიანი	4	2	2 ქალიშვილი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ქალიშვილი, ქალიშვილები, და, დები	8
5	მცირეშვილიანი	4	2	2 ვაჟი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ვაჟი, ვაჟები, ძმა, ძმები	8
6	მცირეშვილიანი	4	2	1 ქალიშვილი, 1 ვაჟი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ვაჟი, ქალიშვილი, ძმა, და	8
7	საშუალოშვილიანი	5	3	3 ქალიშვილი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ქალიშვილი, ქალიშვილები, და, დები	8
8	საშუალოშვილიანი	5	3	3 ვაჟი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ვაჟი, ვაჟები, ძმა, ძმები	8

№	ოჯახის ტიპი	ოჯახის სიდიდე	ბავშვების რაოდენობა ოჯახში	შვილების სქესი	როლების სტრუქტურა	როლების რაო-დენობა
9	საშუალოშვილიანი	5	3	2 ქალიშვილი, 1 ვაჟი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ქალიშვილი, ქალიშვილები, და, დები, ვაჟი, ძმა	10
10	საშუალოშვილიანი	5	3	2 ვაჟი, 1 ქალიშვილი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ვაჟი, ვაჟები, ძმა, ძმები, ქალიშვილი, და	10
11	საშუალოშვილიანი	6	4	4 ქალიშვილი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ქალიშვილი, ქალიშვილები, და, დები	8
12	საშუალოშვილიანი	6	4	4 ვაჟი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ვაჟი, ვაჟები, ძმა, ძმები	8
13	საშუალოშვილიანი	6	4	3 ქალიშვილი, 1 ვაჟი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ქალიშვილი, ქალიშვილები, და, დები, ვაჟი, ძმა	10
14	საშუალოშვილიანი	6	4	3 ვაჟი, 1 ქალიშვილი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ვაჟი, ვაჟები, ძმა, ძმები, ქალიშვილი, და	10
15	საშუალოშვილიანი	6	4	2 ვაჟი, 2 ქალიშვილი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ვაჟი, ვაჟები, ძმა, ძმები, ქალიშვილი, ქალიშვილები, და, დები	12
16	მრავალშვილიანი	7+	5+	5+ ქალიშვილი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ქალიშვილი, ქალიშვილები, და, დები	8
17	მრავალშვილიანი	7+	5+	5+ ვაჟი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ვაჟი, ვაჟები, ძმა, ძმები	8
18	მრავალშვილიანი	7	5	4 ქალიშვილი, 1 ვაჟი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ქალიშვილი, ქალიშვილები, და, დები, ვაჟი, ძმა	10
19	მრავალშვილიანი	7	5	1 ქალიშვილი, 4 ვაჟი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ვაჟი, ვაჟები, ძმა, ძმები, ქალიშვილი, და	10
20	მრავალშვილიანი	7	5	3 ქალიშვილი, 2 ვაჟი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ქალიშვილი, ქალიშვილები, და, დები ვაჟი, ვაჟები, ძმა, ძმები	12
21	მრავალშვილიანი	7	5	3 ვაჟი, 2 ქალიშვილი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, ვაჟი, ვაჟები, ძმა, ძმები, ქალიშვილი, ქალიშვილები, და, დები	12

8.7. ქორწინების შეწყვეტა

ქორწინების შეწყვეტა საქორწინო კავშირის დაშლაა ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილის ან ქორწინების გაუქმების შედეგად. იურიდიული თვალსაზრისით, ქორწინების შეწყვეტა ქორწინების გაბათილებულად მიჩნევის საფუძველზეც ხდება.

ქორწინების შეწყვეტის ალბათობა განქორწინების შედეგად მაღალია ქორწინების პირველ წლებში, ხოლო ქორწინების ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად იზრდება ქორწინების შეწყვეტის ალბათობა გამოწვეული ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების საფუძველზე. თავის მხრივ, ქორწინების შეწყვეტის სიხშირის ზრდა ხელს უწყობს მოკვდაობის გადიდებას, ვინაიდან ქვრივებისა და განქორწინებულების მოკვდაობა უფრო მაღალია, ვიდრე ქორწინებაში მყოფების.

ქორწინების შეწყვეტაში ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებისა და განქორწინების წილი განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში.

ამდენად, ცალ-ცალკე განვიხილავთ განქორწინებასა და დაქვრივებას და მათ მაჩვენებლებს.

8.7.1. განქორწინება და განქორწინების მაჩვენებლები

განქორწინება ქორწინების რეგისტრაციის გაუქმების შედეგად საქორწინო წყვილების დაშლის პროცესია.

განქორწინება რთული სოციალური პროცესია. განქორწინების დონე განისაზღვრება მრავალი გარემოებით, რომელთა შორის წამყვანი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების მოცემული ეტაპისათვის დამახასიათებელ სოციალურ-კულტურულ ნორმებს, ქორწინების გაბატონებულ ნორმებს, ქალის მდგომარეობას საზოგადოებაში, ოჯახის ცხოვრების წესს და სხვა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქვეყანაში მოქმედ ქორწინების გაუქმებასთან (განქორწინებასთან) დაკავშირებულ კანონმდებლობას.

დემოგრაფია განქორწინებას განიხილავს როგორც მოსახლეობის საქორწინო და საოჯახო სტრუქტურის ფორმირების ფაქტორს, მის ურთიერთკავშირს სხვა დემოგრაფიულ პროცესებთან და მის გავლენას მოსახლეობის აღწარმოებაზე. დემოგრაფიას აინტერესებს არა ქორწინების გაუქმების ცალკეული შემთხვევები, არამედ ასეთ შემთხვევათა ერთობლიობა საქორწინო კოჰორტებში.

განქორწინების მაჩვენებლებად გამოიყენება განქორწინების სხვადასხვა სახის კოეფიციენტები, განქორწინების ცხრილები და სხვა.

განქორწინების ინტენსივობა, ჩვეულებრივ, ქალაქის მოსახლეობაში უფრო მაღალია, ვიდრე სოფლისაში; დიდ ქალაქებში უფრო მაღალია, ვიდრე მცირეში. განქორწინების დონის ზრდას ხელს უწყობს მოსახლეობის სტრუქტურაში სქესთა მკვეთრი დისპროპორცია, ჰეტეროგამური ქორწინებები, მეუღლეების ასაკს შორის დიდი განსხვავება, უნაყოფობა ან შეგნებული უშვილობა, მცირეშვილიანობა და სხვა.

დემოგრაფიაში ერთმანეთისაგან ანსხვავებენ განქორწინებულებს და განშორებულებს.

განქორწინებულები არიან პირები, რომლებიც იმყოფებოდნენ ქორწინებაში და რომელიც შეწყდა ქორწინების გაუქმების შედეგად და ეს მდგომარეობა იურიდიულად არის გაფორმებული. განქორწინებულები წარმოადგენენ ქორწინებითი მდგომარეობის ერთ-ერთ კატეგორიას.

განშორებულები არიან პირები, რომლებმაც ფაქტობრივად შეწყვიტეს ქორწინება, თუმცა ქორწინება, ან მისი შეწყვეტა არ იყო იურიდიულად გაფორმებული. განშორებულები ქორწინებითი მდგომარეობის ერთ-ერთი კატეგორიაა.

განქორწინების მაჩვენებლები

განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი წარმოადგენს განქორწინების ყველაზე მარტივ მაჩვენებელს. განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი (g) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$g = \frac{G}{P} \cdot 1000,$$

სადაც G არის გარკვეულ დროში განქორწინებათა რაოდენობა; P – იმავე დროში მოსახლეობის საშუალი რაოდენობა. გამოისახება პრომილებში (‰).

მაგ., საქართველოში 2005 წელს რეგისტრირებული იყო 1928 განქორწინების შემთხვევა. იმავე დროს, შეფასებითი მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის საშუალო რაოდენობა ტოლი იყო 3884,5 ათასის. აქედან გამომდინარე:

$$g = \frac{1928}{3884500} \cdot 1000 = 0,5$$

განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტი ახასიათებს სხვადასხვა ასაკის ადამიანების განქორწინებათა სიხშირეს. გაიანგარიშება ცალ-ცალკე მამაკაცებისა და ქალებისათვის. განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტი (g_x) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$g_x = \frac{G_x}{P_x} \cdot 1000,$$

სადაც G_x არის გარკვეულ დროში x ასაკის ქალების (მამაკაცების) განქორწინებათა რაოდენობა; P_x – იმავე დროში, x ასაკის ყველა ქალის (მამაკაცის) საშუალო რაოდენობა. გამოისახება პრომილებში (‰).

მაგ., საქართველოში, 2005 წელს, რეგისტრირებული იყო 30-34 წლის ასაკის 233 განქორწინებული მამაკაცი. ამავე დროს საქართველოში იყო 125,1 ათასი აღნიშნული ასაკის მამაკაცი. აქედან გამომდინარე:

$$g_x = \frac{233}{125100} \cdot 1000 = 1,9$$

განქორწინების სპეციალური ასაკობრივი კოეფიციენტი წარმოადგენს განქორწინების სიხშირის ერთ-ერთ მაჩვენებელს. განქორწინების სპეციალური ასაკობრივი კოეფიციენტი გამოირჩევა მეტი სიზუსტით, ვიდრე განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტი, ვინაიდან არ არის დამოკიდებული მოსახლეობის ქორწინებით სტრუქტურაზე. განქორწინების სპეციალური ასაკობრივი კოეფიციენტი (g_{xs}) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$g_{xs} = \frac{G_x}{W_x} \cdot 1000,$$

სადაც G_x გარკვეულ დროში x ასაკის ქალების (მამაკაცების) განქორწინებათა რაოდენობა; W_x – იმავე დროში x ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების (მამაკაცების) საშუალო რაოდენობა. გაიანგარიშება ცალ-ცალკე მამაკაცებისა და ქალებისათვის. გამოიხატება პრომილებში (‰).

მაგ., 2002 წელს, 30-34 წლის ასაკში, რეგისტრირებული იყო 251 განქორწინებული მამაკაცი. 2002 წელს საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ აღნიშნულ ასაკში ქორწინებაში იმყოფებოდა 100234 მამაკაცი. აქედან გამომდინარე:

$$g_{xs} = \frac{251}{100234} \cdot 1000 = 2,5$$

განქორწინების სპეციალური კოეფიციენტი – წარმოადგენს განქორწინების ერთ-ერთ მაჩვენებელს. განქორწინების სპეციალური კოეფიციენტი (g_s) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$g_s = \frac{G}{B} \cdot 1000,$$

სადაც G არის გარკვეულ დროში განქორწინებათა რაოდენობა; B – იმავე დროში დაქორწინებული წყვილების საშუალო რაოდენობა. გამოისახება პრომილებში (‰).

მაგ., საქართველოში, 2005 წელს, განქორწინებულთა რაოდენობამ შეადგინა 1928. იმავე დროს საქართველოში რეგისტრირებული იყო 18012 დაქორწინებული წყვილი. აქედან გამომდინარე:

$$g_s = \frac{1928}{18012} \cdot 1000 = 107,0$$

განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი (g_t) წარმოადგენს ყველა ასაკის განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტების ჯამს. უჩვენებს განქორწინებათა საშუალო რაოდენობას თაობის სიცოცხლის განმავლობაში, ასაკის მიხედვით განქორწინებათა სიხშირის არსებული დონის შენარჩუნებისას. გამოიანგარიშება ფორმულით:

$$g_t = \sum_{15}^{60+} g_x : 1000,$$

სადაც g_x განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტი.

გამოიანგარიშება ქორწინებისა და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტების მსგავსად, რომელთა კონკრეტული მაგალითები ზემოთ იყო მოტანილი. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში მაგალითი არ მოგვყავს.

განქორწინების ინდექსი წარმოადგენს მოცემულ პერიოდში (მაგ. ერთ წელიწადში) განქორწინებათა რაოდენობის შეფარდებას იგივე პერიოდის ქორწინებათა რაოდენობასთან. განქორწინების ინდექსი გარდა ზოგადისა, შეიძლება გაანგარიშებულ იქნას აგრეთვე ცალ-ცალკე ყველა ასაკისათვის. ასეთ დროს მივიღებთ ასაკობრივი განქორწინების ინდექსებს. შესაძლებელია განქორწინების ინდექსის პროცენტებში გამოსახვა, რისთვისაც შეფარდებით მიღებული განქორწინების ინდექსი უნდა გავამრავლოთ 100-ზე. ასეთ შემთხვევაში მიღებული სიდიდე გვიჩვენებს, თუ რამდენი განქორწინება მოდის ყოველ 100 ქორწინებაზე. განქორწინების ინდექსის მაჩვენებელზე გავლენას ახდენს მოსახლეობის ასაკობრივი და ქორწინებითი სტრუქტურა, ქორწინებისა და განქორწინების დინამიკა წარსულში. მართალია განქორწინების ინდექსი გარკვეულ წარმოდგენას იძლევა განქორწინებაზე, მაგრამ მისი გამოყენება განქორწინების ინტენსივობის დახასიათებისათვის მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან მნიშვნელი არ მოიცავს ყველა იმ ქორწინებას, რომელიც შეიძლება შეწყვეტილიყო (რეგისტრირებულ ქორწინებათა წლიური რაოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლებია ფაქტობრივად არსებულ ქორწინებათა რაოდენობასთან შედარებით).

ამიტომ განქორწინების დონის უფრო ზუსტი და ადეკვატური მახასიათებელია განქორწინების ინდექსი, რომელიც მიიღება განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტისა და ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტის შეფარდებით. გამოიანგარიშება ცალ-ცალკე მამაკაცებისა და ქალებისათვის.

მაგ., საქართველოში, 2005 წელს, განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი მამაკაცებისათვის იყო 0,06, ხოლო ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი – 0,68. აქედან გამომდინარე, განქორწინების ინდექსი ტოლი იქნება: 0,06 : 0,68=0,088.

8.7.2. დაქვრივება და დაქვრივების მაჩვენებლები

დაქვრივება ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილის შედეგად გამოწვეული ქორწინების შეწყვეტაა. დაქვრივების შედეგად იცვლება გათხოვილი ქალის ან ცოლიანი მამაკაცის ქორწინებითი მდგომარეობა. დაქვრივება, განქორწინებასთან ერთად, დემოგრაფიაში განიხილება როგორც კოჰორტაში ქორწინების შეწყვეტის გამომწვევი მიზეზი და მოსახლეობისა და ოჯახის აღწარმოების ერთ-ერთი კომპონენტი. დაქვრივების შესწავლა მჭიდროდ არის დაკავშირებული მოკვდაობის კვლევასთან. სხვა დემოგრაფიული პროცესებისაგან განსხვავებით, დაქვრივების სიხშირე განისაზღვრება მდგომარეობით, რომელიც შეემთხვათ არა მოცემულ, არამედ სხვა ადამიანებს. განასხვავებენ ქორწინების შეწყვეტას ქმრის სიკვდილისა (ქალთა დაქვრივება) და ცოლის სიკვდილის (მამაკაცთა დაქვრივება) შედეგად. დაქვრივების დემოგრაფიული მნიშვნელობა ის არის, რომ კანონმდებლობითი, რელიგიური და სხვა ნორმების შესაბამისად, როგორც წესი, დაქვრივებული მეუღლე კვლავ შეიძლება დაქორწინდეს (გამონაკლისია – ინდუიზმში ქვრივი ქალების დაქორწინების დაგმობა). დაქვრივების სიხშირე განისაზღვრება ქორწინებაში მყოფი მოპირდაპირე სქესის პირთა მოკვდაობის დონით. იგი დამოკიდებულია მოკვდაობის სტრუქტურაზე და განსხვავებულია მამაკაცისა და ქალისათვის. სხვადასხვა ქვეყნისათვის ის მნიშვნელოვან ფარგლებში მერყეობს და მცირდება სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად.

ინფორმაცია დაქვრივების შესახებ მიიღება მოკვდაობის მიმდინარე აღრიცხვის, მოსახლეობის აღწერებისა და სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე. დაქვრივების ინტენსივობას გვიჩვენებს დაქვრივების ასაკობრივი და სპეციალური კოეფიციენტები.

დაქვრივების ასაკობრივი კოეფიციენტი წარმოადგენს დაქვრივების ერთ-ერთ მახასიათებელს. დაქვრივების ასაკობრივი კოეფიციენტი უჩვენებს მოცემული სქესისა და ასაკის 1000 ქორწინებაში მყოფზე დაქვრივების შემთხვევათა რაოდენობას.

დაქვრივების სპეციალური კოეფიციენტი წარმოადგენს მოცემული სქესისათვის დაქვრივების შემთხვევათა რაოდენობის შეფარდებას იმავე სქესის ქორწინებაში მყოფი პირების საშუალო რაოდენობასთან. ჩვეულებრივ გამოიანგარიშება წლის განმავლობაში 1000 სულზე. მონოგამიის შემთხვევაში, ყოველ წელს ქვრივდება იმდენი მამაკაცი, რამდენი დაქორწინებული ქალიც კვდება და პირიქით. ამიტომ, მაგ., დაქვრივების სპეციალური კოეფიციენტი მამაკაცებისათვის ტოლია დაქორწინებული ქალების მოკვდაობის კოეფიციენტის, ხოლო დაქვრივების სპეციალური კოეფიციენტი ქალებისათვის – დაქორწინებული მამაკაცების მოკვდაობის კოეფიციენტისა. დაქვრივების სპეციალური კოეფიციენტი მამაკაცებისათვის უფრო ნაკლებია ქალებთან შედარებით, რაც მამაკაცების მოკვდაობის უფრო მაღალი ინტენსივობიდან გამომდინარეობს.

მონაცემთა მოპოვებისა და გაანგარიშების სირთულეებიდან გამომდინარე, დაქვრივების ასაკობრივი კოეფიციენტები ნაკლებად გამოიყენება. ლიტერატურაში უფრო ხშირად უთითებენ დაქვრივების სპეციალურ კოეფიციენტებს.

მაგ., დაქვრივების სპეციალური კოეფიციენტი 1980 წელს პოლონეთში მამაკაცებისათვის 5,0 იყო, ხოლო ქალებისათვის – 14,4. იმავე დროს საქართველოში მამაკაცებისათვის ის შეადგენდა 7,7, ხოლო ქალებისათვის – 13,4.

9. მოსახლეობის მიგრაცია

9.1. მოსახლეობის მიგრაცია

მოსახლეობის მიგრაცია არის ადამიანების გადაადგილება ამა თუ იმ ტერიტორიის საზღვრებს იქით საცხოვრებელი ადგილის, სამუშაოდ ან მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროით ადგილის შეცვლის მიზნით. გადაადგილების ხანგრძლივობის მიხედვით გამოყოფენ მუდმივ და დაბრუნებით მიგრაციას. ეს უკანასკნელი შეიცავს დროებით მიგრაციას. მიგრაციის ცნება შეიცავს სეზონურ და ქანქარისებურ მიგრაციას, თუმცა ვიწრო გაგებით მოსახლეობის მიგრაცია სწორედ მის მუდმივ ფორმას გულისხმობს.

მიგრაციის ძირითადი მიზეზები სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისაა, თუმცა არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ და სამხედრო მიზეზებსაც, აგრეთვე ბუნებრივ პირობებს. მიგრაციამ მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი როლი ითამაშა კაცობრიობის განვითარებაში.

მიგრაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე. ასევე დიდია მიგრაციის გავლენა მოსახლეობის სოციალურ და ეთნიკურ სტრუქტურაზე, მოსახლეობის განლაგებასა და განსახლებაზე.

მოსახლეობის მიგრაციას, როგორც განსაკუთრებულ პროცესს, შეისწავლის დემოგრაფია, სოციოლოგია, ეკონომიკა, ისტორია, გეოგრაფია. ამ დარგების ფარგლებში მოსახლეობის მიგრაციის თაობაზე გარკვეული თეორიული წარმოდგენები გამომუშავდა. სხვა დისციპლინებისათვის (სოციალური ჰიგიენა, სოციალური ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია და სხვა) მოსახლეობის მიგრაცია – მხოლოდ ერთ-ერთია იმ ფაქტორთაგან, რომლებიც გავლენას ახდენს ამ დისციპლინების ჩარჩოებში მიმდინარე პროცესებზე. მოსახლეობის მიგრაციის შესახებ მონაცემების ძირითადი წყარო სახელმწიფო სტატისტიკაა, რომელიც მიგრაციის მიმდინარე აღრიცხვას და მოსახლეობის აღწერების მასალებს ეფუძნება. ამის გარდა, მიმდინარეობს შერჩევითი კვლევებიც, რომელთა მიზანი, როგორც წესი, ადამიანთა გადაადგილების ჭეშმარიტი მოტივების გარკვევაა. მოსახლეობის მიგრაციას იკვლევენ მაჩვენებელთა სისტემის მეშვეობით, თითოეული მათგანი კი წარმოგვიჩენს ამ ზოგადი მოვლენის ამა თუ იმ უპირატეს მხარეს (მიგრანტების შემადგენლობა, მათი მოცულობა, გადაადგილებათა მიმართულება, მათი ინტენსივობა და შედეგიანობა და სხვა).

ამასთან, მიგრაციის ცუდი აღრიცხვის პირობებში წარმოებს ექსპერტების მიერ მისი სიდიდის შეფასება, რომელიც სხვადასხვა მეთოდს ემყარება.

მოსახლეობის მიგრაცია ტერიტორიულ გადაადგილებათა ნაწილს შეადგენს. მოსახლეობის მიგრაციის იდენტიფიკაციის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი ტერიტორიის (სახელმწიფოს, ოლქის, ქალაქის და ა.შ.) ადმინისტრაციული საზღვრების გადაკვეთაა. ამ საფუძველზე უწინარეს ყოვლისა გამოიყოფა გარე მიგრაცია (ემიგრაცია და იმიგრაცია) და შიდა მიგრაცია.

მოსახლეობის გარე მიგრაცია (საერთაშორისო) უკავშირდება სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას და ასევე იყოფა საკონტინენტშორისო და შიდასაკონტინენტო მიგრაციებად (თუმცა კი ამგვარი დაყოფა პირობითია).

შიდა მიგრაციას განეკუთვნება გადაადგილება ადმინისტრაციულ ან ეკონომიკურ რეგიონებსა თუ დასახლებულ პუნქტებს შორის ერთი ქვეყნის ფარგლებში. გადაადგილებები დასახლებებს შიგნით (მაგ. საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ერთი ქალაქის ფარგლებში) არ განიხილება როგორც მოსახლეობის მიგრაცია.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ *სოფლის მოსახლეობის მიგრაციასა* და *ქალაქის მოსახლეობის მიგრაციას*, ქალაქთაშორის მიგრაციასა და მიგრაციას სოფლად – მიგრაციულ ნაკადებს “სოფელი – ქალაქი”, "ქალაქი – ქალაქი",

"ქალაქი – სოფელი", "სოფელი – სოფელი". გადამწყვეტი მნიშვნელობა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, აქვს მოსახლეობის მიგრაციას "სოფელი – ქალაქი", თუმცა ურბანიზაციის განვითარებასთან დაკავშირებით, იზრდება მიგრაცია "ქალაქი – ქალაქის" როლი. გამოყოფენ მოსახლეობის მიგრაციას მსხვილი ტერიტორიული ერთეულების (მაგ. ოლქის, მხარეს, რესპუბლიკის, ეკონომიკური რეგიონის) ფარგლებში და მათ შორის. ამ ნიშნის მიხედვით მოსახლეობის მიგრაცია იყოფა შიდასაოლქო და ოლქთაშორის, შიდასარაიონო და რაიონთაშორის მიგრაციებად.

დროის (ხანგრძლივობის) კრიტერიუმთან შესაბამისობაში გამოყოფენ მუდმივ, ანუ შეუქცევად, მიგრაციასა (მაგ., ჩვეულებრივ შეუქცევადი ხასიათისაა საკონტინენტშორისი მიგრაცია) და შექცევად (დაბრუნებით) მიგრაციას, რომელშიც შედის დროებითი მიგრაცია სწავლის გამო, მიგრაცია შორეულ რეგიონებში განსაზღვრული ვადით და ა.შ.

მნიშვნელოვანია მოსახლეობის მიგრაციის კლასიფიკაცია სხვადასხვა მიზეზების მიხედვით – მათ შორის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური ხასიათისაა (გადაადგილება სამუშაოს შოვნის მიზნით, განათლების მისაღებად, დაქორწინების მიზნით და ა.შ.). არცთუ მცირე როლს თამაშობენ ასევე პოლიტიკური, ეროვნული, რელიგიური, სამხედრო, ეკოლოგიური თუ სხვა მიზეზები. სწორედ მათი გავლენის ზრდის შედეგად 1990-იან წლებში მსოფლიოში იმატა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა რიცხვმა.

რეალიზაციის ხერხების მიხედვით მოსახლეობის მიგრაცია იყოფა ორგანიზებულ მიგრაციად, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანოების მიერ და მათი დახმარებით, და არაორგანიზებულ მიგრაციად (როდესაც ის ინდივიდუალურად ხორციელდება), საკუთრივ მიგრანტების ძალებითა და სახსრებით. იმისდა მიხედვით თუ როგორ ხორციელდება ადამიანების ადგილგადანაცვლება – ნებაყოფლობით თუ იძულებით, – მოსახლეობის მიგრაცია იყოფა ნებაყოფლობითად და იძულებითად. მსოფლიოში დაგროვილია მოსახლეობის მიგრაციის ორგანიზების დიდი გამოცდილება. მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაციის ისტორიულ განვითარებაში არსებითი როლი შეასრულეს სხვადასხვა ემიგრაციულმა სააგენტოებმა და ბიუროებმა, სამუშაო ძალის იმიგრაციისა და ემიგრაციის სამართავად შექმნილმა სპეციალურმა სამთავრობო ორგანიზაციებმა და ა.შ.

მოსახლეობის მიგრაციის შესწავლისას ხშირად გამოყოფენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიგრაციას. საზოგადოების განვითარებაზე ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამუშაო ძალის მიგრაცია. ის მოიცავს შრომისუნარიანი მოსახლეობის გადაადგილებას და მას ზოგჯერ *შრომით მიგრაციას* უწოდებენ. ცნება "სასწავლო მიგრაცია" გულისხმობს ადამიანების (ძირითადად ახალგაზრდობის) გადაადგილებას განათლების მისაღებად. მიგრანტების კლასიფიკაციას ასევე ახდენენ, მაგალითისთვის, მიგრაციაში მათი მონაწილეობის ჯერადობის მიხედვით: პირველადი, მეორადი, მრავალჯერადი.

მოსახლეობის მიგრაციის პროცესი შეიცავს სამ სტადიას: პოტენციალურ მიგრაციას, საკუთრივ მიგრაციასა და მიგრანტების ადაპტაციას არსებული საცხოვრებელი პირობების მიმართ ახალი დასახლების ადგილზე. ყოველი ცალკეული პიროვნებისთვის მიგრაცია – ერთეული შემთხვევაა. მაგრამ როგორც მასობრივი პროცესი მოსახლეობის მიგრაცია შედგება მიგრაციული ნაკადებისაგან, რომლებიც გარკვეულ დროსა და ტერიტორიებთანაა მიბმული. მიგრაციის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება – მიგრანტების გასვლისა და შემოსვლის ადგილებს შორის შემხვედრი ნაკადების არსებობაა. მოსახლეობის მიგრაციის (განსაკუთრებით შიდასი) ინტენსივობა, როგორც წესი, იზრდება მანძილის შემცირებასთან ერთად (მაგ., რეგიონებს შორის).

მოსახლეობის მიგრაციამ კაცობრიობის განვითარებაში უდიდესი და მრავალმხრივი როლი შეასრულა. იგი რთული სოციალური პროცესია, რომელიც მჭიდრო კავშირშია სხვადასხვა რეგიონებში ეკონომიკის განვითარების დონესთან. მოსახლეობის მიგრაციის შედეგები წინააღმდეგობრივია. მოსახლეობის მიგრაცია არსებით გავლენას ახდენს შრომის ბაზრის დაბალანსებაზე, ცვლის მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, არცთუ იშვიათად მას თან ახლავს მოსახლეობის მიგრაციაში მონაწილე ადამიანების სასწავლო და პროფესიული მომზადების, მათი მოთხოვნილებების დონის ზრდა. მეორეს მხრივ, მიგრანტების მომზადების დონის მასობრივმა ზრდამ შეიძლება მოიტანოს უმუშევრობის მატება, ძლიერად დააწვეს სოციალურ ინფრასტრუქტურას (საცხოვრებელი, ჯანდაცვა და სხვა). ამრიგად, მოსახლეობის მიგრაცია ირიბად გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. მოსახლეობის მიგრაციამ შეიძლება გამოიწვიოს რომელიმე რეგიონის გაუკაცრიელება და ეკონომიკური რეგრესი ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ მოსახლეობის ზედმეტი კონცენტრაცია სხვა რომელიმე რეგიონში. არცთუ იშვიათად გარე მიგრაციას თან სდევს უცხოეთიდან შემოსული სამუშაო ძალის დისკრიმინაცია, რაც აპირობებს სოციალური კონფლიქტების გაძლიერებას. მოსახლეობის მიგრაციაში სახელმწიფოს ჩარევა რეგიონული და მიგრაციული პოლიტიკის მეშვეობით (განსაკუთრებით მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაციისა და დიდ ქალაქებში მიგრანტების მოდინების სფეროში) ვერ ერევა ვერც სტიქიურობასა და ვერც ამ პროცესის თანმდევ სხვა უარყოფით შედეგებს.

მოსახლეობის მიგრაცია ძალზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე. ვინაიდან მიგრაციის პროცესში ძირითადად ჩართულია შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, მიგრანტების მიმღებ რეგიონებში მოსახლეობა იზრდება უფრო სწრაფი ტემპებით და აქ ყალიბდება ასაკობრივი სტრუქტურა, რომელიც ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფების უფრო მაღალი წილით არის წარმოდგენილი. პირიქით, იმ რეგიონებში, საიდანაც მოსახლეობის მუდმივი გადინება ხდება, არცთუ იშვიათად მცირდება მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა, ხოლო მის სტრუქტურაში იზრდება უფროსი ასაკობრივი ჯგუფების წილი. მამაკაცებისა და ქალების მოძრაობის დონეთა შორის არსებული სხვაობა კი შესაძლოა გამოვლინდეს მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობის დისპროპორციაში როგორც მიგრანტების გამცემ, ისე მიმღებ რეგიონებში.

მოსახლეობის მიგრაცია ახდენს დიდ გავლენას მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაზე, მის განთავსებაზე და განსახლებაზე, აგრეთვე მის ეთნიკურ შემადგენლობაზე.

გაერო საერთაშორისო მიგრანტის განსაზღვრის შემდეგ რეკომენდაციას იძლევა:

1. საერთაშორისო მიგრანტი არის პირი, რომელიც ტოვებს იმ ქვეყანას, რომელშიც ის ჩვეულებრივ ცხოვრობს. ქვეყანა, რომელშიც პირი ჩვეულებრივ ცხოვრობს, ეს ის ქვეყანაა, სადაც ის ყოველდღიურად ისვენებს. დროებით გასვლებს საზღვარგარეთ დასასვენებლად, არდადაგებზე, მკურნალობისათვის ან რელიგიურ დღესასწაულებზე დასასწრებად არ მოჰყვება ჩვეულებრივი საცხოვრებელი ქვეყნის შეცვლა.

2. ცნება – "ქვეყანა, რომელშიც პირი ჩვეულებრივ ცხოვრობს" – გაითვალისწინება ქვემოთ მოტანილი სხვა ცნებების განმარტებისას.

- საერთაშორისო ვიზიტორი – ნებისმიერი პირი, რომელიც მოგზაურობს რომელიმე ქვეყანაში, რომელიც არ წარმოადგენს ქვეყანას, რომელშიც ის ჩვეულებრივ ცხოვრობს და რომლის გასვლა არ აღემატება 12 თვეს. ამასთან, მოგზაურობის ძირითად მიზანს არ წარმოადგენს საქმიანობა, დაკავშირებული ფულად ანაზღაურებასთან
- გრძელვადიანი მიგრანტი წარმოადგენს პირს, რომელიც იმყოფება ქვეყანაში, სადაც ის ჩვეულებრივ არ ცხოვრობს და ამასთან საზღვარგარეთ გასვლა ერთ წელზე ნაკლები ხანგრძლივობისა არა აქვს
- მოკლევადიანი მიგრანტი წარმოადგენს პირს, რომელიც იმყოფება ქვეყანაში, სადაც ის ჩვეულებრივ არ ცხოვრობს, 3 თვიდან 1 წლამდე ვადით. ამასთან, გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს დასვენება მიმღებ ქვეყანაში, რელიგიურ დღესასწაულებზე დასწრება, ან სამკურნალოდ გასვლა.

9.2. მოსახლეობის მიგრაციის ისტორია

მოსახლეობის მიგრაცია უძველესი დროიდან არსებობს. შრომის პირველად განაწილებასთან – სამწყემსო ტომების გამოყოფასთან – დაკავშირებული იყო მოსახლეობის მიგრაციის მნიშვნელოვანი მასშტაბები. მესაქონლეობის მიმდევარი ტომების მიგრაცია მიმდინარეობდა ჩრდილო აფრიკისა და არაბეთის სტეპებიდან, მოგვიანებით კი შუა და ცენტრალური აზიიდანაც. მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად მოსახლეობა გადადის ბინადარ ცხოვრებაზე, ჩნდება სოფელი. მიწათმოქმედებისაგან ხელობის გამოყოფამ განაპირობა ქალაქების შექმნა და შემდეგ მიგრაცია მათში.

უდიდესი გავლენა ევროპისა და აზიის მოსახლეობაზე მოახდინა *ხალხების დიდმა გადასახლებამ.*

შუასაუკუნოვან ევროპაში მოსახლეობის გადაადგილებას ადგილი ჰქონდა ძირითადად იმ რეგიონებიდან, რომლებშიც შიმშილი ან ეპიდემიები მძვინვარებდნენ. უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენების (XV-XVII საუკუნე) შედეგად წარმოიქმნა მიგრაციული ნაკადები პორტუგალიიდან და ესპანეთიდან, შემდეგ კი ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან, ირლანდიიდან, ძირითადად ჩრდილოეთი ამერიკის მიმართულებით. კოლონიზაციას თან სდევდა ამერიკის კონტინენტის ვრცელ რეგიონებში ადგილობრივი მოსახლეობის ამოწყვეტა. დიდ მასშტაბებს აღწევდა აფრიკის მოსახლეობის იძულებითი ემიგრაცია ამერიკაში, რასაც თან ადამიანთა მასობრივი მსხვერპლი ახლდა.

მოსახლეობის მიგრაციის მოცულობა მკვეთრად მატულობს ინდუსტრიული საზოგადოების ეპოქაში. მიგრანტების პირველი მასობრივი საერთაშორისო ნაკადი იყო ირლანდიის სოფლის მოსახლეობის დიდ ბრიტანეთში გადანაცვლება XIX საუკუნის დასაწყისში. შემდგომში იმიგრაციის მთავარ ცენტრად იქცა აშშ, და ნაკლებად, ლათინური ამერიკის ქვეყნები, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთი აფრიკა. მთლიანად XIX საუკუნის დასაწყისიდან 1914 წლამდე ევროპიდან ემიგრაციაში წავიდა 50 მილიონამდე ადამიანი, მათი დაახლოებით 1/3 სხვადასხვა მიზეზის გამო უკან, სამშობლოში დაბრუნდა. XIX საუკუნის 70-იან წლებამდე მიგრანტებს შორის უმეტესობა წარმოშობით დასავლეთი და ჩრდილო ევროპიდან იყო (ე.წ. ძველი ემიგრაცია). XIX საუკუნის ბოლოს მიგრაციის ძირითადმა წყარომ ინაცვლა ახალი ემიგრაციის ქვეყნებისაკენ – სამხრეთი და აღმოსავლეთი ევროპის სახელმწიფოებისკენ. XX საუკუნეში მოსახლეობის მიგრაციაზე დიდი გავლენა იქონიეს ომებმა. ასე მაგალითად, მეორე მსოფლიო ომმა მოსახლეობის მასობრივი გადაადგილებები გამოიწვია.

მოსახლეობის მთავარი მსოფლიო მიგრაციები
XVII-XIX საუკუნეებში



I – ევროპიდან ჩრდილოეთ ამერიკაში
II – ევროპიდან სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში
III – ევროპიდან სამხრეთ აფრიკაში და ავსტრალიაში
IV – აფრიკელი მონების გაყვანა ამერიკაში
V – რუსი და უკრაინელი ხალხების განსახლება
VI – მიგრაცია ჩინეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში
VII – მიგრაცია ინდოეთიდან აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში
VIII – შიდა მიგრაცია აშშ-ში

მოსახლეობის მიგრაცია XIX საუკუნის ბოლოსა და
XX საუკუნის დასაწყისში



I – "ძველი" ემიგრაცია ევროპიდან ჩრდილოეთ ამერიკაში
II – "ახალი" ემიგრაცია ევროპიდან ჩრდილოეთ ამერიკაში

მოსახლეობის მიგრაციის მიზეზებს შორის წამყვანად კვლავაც ეკონომიკური მიზეზი რჩება. 1946-1961 წლებში ევროპის ქვეყნებიდან ამერიკაში მიგრაციის მასშტაბმა 6,9 მილიონ ადამიანს მიაღწია; მნიშვნელოვანი მიგრაციული ნაკადები მიემართებოდა ავსტრალიაში, ასევე სამხრეთი აფრიკის ზოგიერთ სახელმწიფოში (უპირატესად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში).

თანამედროვე პერიოდის საერთაშორისო მიგრაციის საწყისი დროის განსაზღვრა პირობით ხასიათს ატარებს. ზოგიერთი დემოგრაფი თანამედროვე პერიოდის მიგრაციის ამოსავალ საწყისად 1965 წელს იღებს, თუმცა ისიც აღინიშნება, რომ თანამედროვე პერიოდი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დროიდან იწყება. წინა ათწლეულებთან შედარებით მიგრაციულმა ნაკადებმა განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ძირითადად ევროპის მოსახლეობასა და პოლიტიკურ ისტორიაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე. არსებითი იყო აგრეთვე გლობალური ეკონომიკური განვითარება და კონფლიქტები, ძირითად განვითარებადი ქვეყნების ფარგლებში.

მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაციის მსხვილი ნაკადები 1965-2005 წწ.



1. მიგრაცია ევროპიდან ამერიკასა და ოკეანეაში
2. ლათინური ამერიკიდან და კანადიდან შეერთებულ შტატებში*
3. ჩრდილოეთ აფრიკიდან, განვითარებადი ქვეყნებიდან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან დასავლეთ ევროპაში*
4. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ცენტრალურ რუსეთში*
5. ლტოლვილები (მაგ., აფრიკული, ავღანური, ბალკანური, პაკისტანური, ირანული, პალესტინური და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიიდან)
6. ბანგლადეში, პაკისტანი და შრი ლანკიდან საზღვარგარეთ*
7. ფილიპინები საზღვარგარეთ*

იმიგრაცია შეერთებულ შტატებში ევროპიდან გრძელდებოდა, თუმცა წინა პერიოდთან შედარებით შემცირდა. ამავე დროს გაიზარდა მიგრაცია ლათინური ამერიკიდან. 1980-იან წლებში აშშ მიიღო დაახლოებით 6 მილიონი ლეგალური მიგრანტი.

ვრცელი ტერიტორიისა და განსხვავებული ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პირობების მქონე მთელი რიგი ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოებისთვის (აშშ, კანადა და სხვა) დამახასიათებელია მოსახლეობის

* დროებითი შრომითი მიგრაციის ჩათვლით.

შიდა მიგრაციის დიდი მასშტაბები და მაღალი ინტენსივობა.

ომის შემდგომ ევროპაში პოლიტიკურ ცვლილებებსა და ეკონომიკურ აღორძინებას მოჰყვა მიგრაცია აღმოსავლეთიდან. დემოგრაფიულმა დაბერებამ ევროპაში გარკვეულწილად ხელი შეუწყო მუშახელის მოზიდვას ჩრდილოეთ აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან. 1990-იანი წლების დასაწყისში დასავლეთ ევროპაში უცხოელი მუშახელის რაოდენობამ შეადგინა დაახლოებით 15 მილიონი. გავრცელებულია სამეცნიერო-ტექნიკური კადრების მიგრაცია – როგორც წესი, ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში. ამ მოვლენას "ტვინთა გადინებას" უწოდებენ.

საბჭოთა კავშირის დაშლას ყოფილი რესპუბლიკებიდან მოჰყვა მიგრაცია, ძირითადად ცენტრალურ რუსეთში. მიგრაციული ნაკადები მოიცავდნენ როგორც ეთნიკურ რუსებს, რომლებიც ბრუნდებოდნენ თავის ისტორიულ სამშობლოში, ისე სხვა ეროვნების წარმომადგენლებს. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა შრომით მიგრაციასაც.

თანამედროვე მიგრაციაში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები ეხება მის ისეთ სახეს როგორიც არის ლტოლვილები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაიზარდა იძულებითი მიგრაციის მასშტაბი. 1965 წელს 2 მილიონამდე ლტოლვილი იყო, რომელთა რაოდენობა 2005 წლისათვის 9 მილიონამდე გაიზარდა. ცვლილება განიცადა ლტოლვილთა წარმოშობის "წყაროებმაც". 1940 და 1950-იან წლებში ლტოლვილების წარმოშობის ძირითად წყაროს მიმდინარე ომები, იმპერიების დაშლა და ახალ სახელმწიფოთა წარმოქმნა* წარმოადგენდა. ამის შემდეგ სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე კონფლიქტები.

თანამედროვე მიგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს დროებითი შრომითი მიგრაცია.

მოსახლეობის მიგრაციის ანალიზი მიმდინარეობს სხვადასხვა თეორიული კონცეფციების ფარგლებში. თანამედროვე პირობებში დიდი ყურადღება ეთმობა მიგრაციის იდენტიფიცირებას მოსახლეობის მკვეთრად გაზრდილი ტერიტორიული მობილობის ჩარჩოებში, მის მიზეზებსა და იმ შედეგებს, რომელთა ანალიზისას არსებით როლს თამაშობენ შერჩევითი კვლევები და მოდელირება.

9.3. გარე (საერთაშორისო) მიგრაციის შესახებ მონაცემთა მოპოვების სისტემები

გარე მიგრაციის შესახებ ინფორმაციის მრავალი წყარო შეიძლება იყოს გამოყენებული: 1. მოსახლეობის რეგისტრები; 2. უცხოელთა რეგისტრები; 3. ქვეყანაში ცხოვრების უფლება; 4. ვიზები; 5. უფლება მუშაობაზე; 6. ოფიციალური ჩანაწერები მიგრანტი სამუშაო ძალის შესახებ; 7. თავშესაფარის მაძიებელთა შუამდგომლობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; 8. სახელმწიფო საზღვრის მონაცემები; 9. მოსახლეობის აღწერები; 10. შინამეურნეობათა გამოკვლევები და სხვა.

ზემოთ მოტანილი ყველა სისტემა შეიძლება ძირითადად 4 ჯგუფად იქნას კლასიფიცირებული. კერძოდ:

1. ადმინისტრაციული რეგისტრები
2. სხვა ადმინისტრაციული წყაროები
3. მონაცემთა მოპოვება საზღვარზე
4. შინამეურნეობათა გამოკვლევების შესაბამისი შედეგები

---

* 1947 წელს ინდოეთისა და პაკისტანის გაყოფის შედეგად 7 მილიონი ინდუსი გახდა იძულებული გადასახლებულიყო პაკისტანიდან ინდოეთში. 1948 წელს ისრაელის სახელმწიფოს შექმნას მოჰყვა 700 ათასი პალესტინელი არაბის გაქცევა. 1971 წელს ინდოეთ-პაკისტანის ომს მოჰყვა ბანგლადეშის სახელმწიფოს შექმნა და მილიონობით ადამიანის გაცვლა-გადასახლება.

ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ მათ.

1. ადმინისტრაციული რეგისტრების კატეგორიაში შედის მოსახლეობის რეგისტრები, უცხოელთა რეგისტრები და სხვა სახის სიები, რომლებიც შეიცავენ მონაცემებს კონკრეტულ პირთა ჯგუფების შესახებ, მაგალითად, იმ პირთა სიები, რომლებმაც მიმართეს თავშესაფარის მისაღებად.

გარე მიგრაციის შესახებ სტატისტიკური მონაცემების მიღების თვალსაზრისით ის რეგისტრებია გამოსადეგი, რომლებშიც ფიქსირდება ჩვეულებრივ საცხოვრებელი ქვეყნის ცვლილება.

2. სხვა ადმინისტრაციული წყაროების მეშვეობით, მონაცემები გარე მიგრაციის შესახებ, როგორც წესი, მიიღება იმ ადმინისტრაციული პროცედურების გატარებისას, რომლებიც მოწოდებული არიან აკონტროლონ გარე მიგრაცია. ამიტომ ადმინისტრაციული წყაროები ჩვეულებრივ მხოლოდ გარე მიგრანტების კონკრეტული კონტინგენტის შესახებ იძლევიან ინფორმაციას. მაგალითად, სტატისტიკური მონაცემები მოცემულ ქვეყანაში ცხოვრების უფლების შესახებ მხოლოდ უცხოელებს ეხება. ასევე, ინფორმაცია დეპორტაციის შესახებ მიიღება მხოლოდ უკანონო მიგრანტებზე.

3. მონაცემთა მოპოვება საზღვარზე ტრადიციულად ითვლება გარე მიგრაციის შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროდ. სტატისტიკურ მონაცემთა მოპოვება საზღვარზე შეიძლება მიმდინარეობდეს ადმინისტრაციული ან სტატისტიკური კრიტერიუმების საფუძველზე.

სტატისტიკური კრიტერიუმების გამოყენება მოითხოვს იმ მონაცემთა რეგისტრაციას, რომლებიც ყოველთვის არ მიიღება დოკუმენტური მასალით და რომელთა შეგროვებაც გასული და შემოსული მგზავრების მიერ სტანდარტული ფორმების შევსებით ხდება.

საზღვარზე შეგროვებულ სტატისტიკურ მონაცემებს ის უპირატესობა გააჩნიათ, რომ ისინი მაღალი სიზუსტით ასახავენ ადამიანთა ფაქტობრივ მოძრაობას და ამდენად გარე მიგრაციის შესახებ სასარგებლო ინფორმაცია შეიძლება მოგვცეს.

4. შინამეურნეობათა გამოკვლევების შესაბამისი შედეგები, გარე მიგრაციის შესახებ, შეიძლება მოპოვებულ იქნას როგორც უშუალოდ შინამეურნეობათა გამოკვლევების, ისე მოსახლეობის აღწერების საფუძველზე.

როგორც წესი ასეთი სახის გამოკვლევები (და აღწერები) არ იძლევიან სანდო სტატისტიკურ მონაცემებს გარე მიგრაციული ნაკადების შესახებ. თავისი ხასიათიდან გამომდინარე აღნიშნული გამოკვლევები არ მოიცავენ იმ პირთა გადაადგილებას, რომლებმაც დატოვეს ქვეყანა გამოკვლევამდე.

მიუხედავად ამისა მოსახლეობის ზოგიერთი აღწერისას (პროგრამიდან გამომდინარე) ყველა აღწერილი პირისაგან გროვდებოდა ინფორმაცია, აღწერამდე ერთი ან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათი საცხოვრებელი ადგილის შესახებ. ეს კი იმ გარე მიგრანტების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც ჩამოვიდნენ განსახილველი პერიოდის მანძილზე და აღწერისას (გამოკვლევისას) იმყოფებოდნენ ქვეყანაში.

გარე მიგრაციის გაზომვისას წარმოიქმნება სირთულე – როგორ დავადგინოთ ხანგრძლივი, თუ მცირე პერიოდით იცვლის მიგრანტი ქვეყანას, რომელშიც ის ჩვეულებრივ ცხოვრობს. პასუხი მოცემულ შეკითხვაზე ხანგრძლივობის შესახებ მიიღება მხოლოდ იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც მიგრანტი თვითონ იძლევა და რომელიც, როგორც წესი, პირობით ხასიათს ატარებს.

9.4. გარე მიგრანტების შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა განზოგადების ძირითადი პრინციპები

გარე მიგრაციის შესახებ სრული სპექტრისა და ყოველმხრივი წარმოდგენის მისაღებად ხშირად საჭიროა სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული შესაბამისი მონაცემების გათვალისწინება და ურთიერთშედარება.

მოცემული ნაწილის ძირითადი დანიშნულებაა გარე მიგრაციის შესახებ სრული და ნათელი სურათის მიღებისათვის იმ სახის დაჯგუფებების მოცემა, რომელიც რაციონალურად თავს მოუყრის მრავალფეროვან ინფორმაციას.

ამ მიზნით წარმოდგენილია გარე მიგრაციის შესწავლასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის წარმოდგენის ძირითადი პრინციპები.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ მიგრანტების განზრახვები, სურვილები და მოლოდინები კლასიფიკაციის საფუძველს არ უნდა წარმოადგენდეს.

საზღვარზე გადაადგილებულ პირებს შორის ძირითადად გამოჰყოფენ ორ კატეგორიას: მიგრანტებს და არამიგრანტებს. თავის მხრივ ამ ორ ძირითად კატეგორიაში შედის საზღვარზე გადაადგილებულ პირთა სხვადასხვა ჯგუფები.

არამიგრანტები – თავის მხრივ შეიძლება იყვნენ ქვეყნის მოქალაქეები და უცხოელებიც.

არამიგრანტებში შედიან:

1. პირები მცხოვრებნი სასაზღვრო რაიონში – რომლებმაც მიიღეს ნებართვა მიმღებ ქვეყანაში მუდმივ სამსახურზე იმ პირობით, რომ ისინი შეძლებენ ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად გადაკვეთონ საზღვარი.
2. ტრანზიტული უცხოელი მგზავრები – მიმღებ ქვეყანაში მყოფი პირები, რომელთა შემოსვლაც ოფიციალურად არ არის დაფიქსირებული, რადგანაც ისინი იმყოფებიან გზად საბოლოო დანიშნულების პუნქტამდე.
3. ტურისტები (რომლებიც ერთ დღეზე მეტ ხანს რჩებიან, მაგრამ მათი საზღვარგარეთ ყოფნა არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ წელიწადს), აგრეთვე, პირები, რომლებიც ქვეყანაში იმყოფებიან დასვენების, ჯანმრთელობის განმტკიცების ან რელიგიური მიზნით. ასევე მეგობარ-ამხანაგების ან ნათესავების მოსანახულებლად.
4. ექსკურსანტები (ერთდღიანი ვიზიტორები) – პირები, რომლებიც იმყოფებიან მიმღებ ქვეყანაში მხოლოდ ერთ დღემდე და რომლებიც არ ათევენ ღამეს სასტუმროს ტიპის საცხოვრისში.

ამავე კატეგორიაში შედიან: მგზავრები, რომლებიც ქვეყანაში მოხვდნენ კრუიზით და რომლებიც ღამის გასათევად უკანვე ბრუნდებიან გემზე, ან მატარებელზე აგრეთვე, გემის ან მატარებლის ეკიპაჟის წევრები, რომლებიც ღამეს არ ათევენ მიმღებ ქვეყანაში.

5. პირები, რომლებიც საქმიანი ვიზიტით იმყოფებიან – მათ მიეკუთვნებიან ისინი, რომლებიც მცირე ვადიანი ვიზიტით იმყოფებიან ქვეყანაში ბიზნესის ან პროფესიული საქმიანობის მიზნით, რომელიც არ ნაზღაურდება მიმღები ქვეყნის სახსრებით და მათი ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ წელიწადს.
6. ვიზიტორები (ქვეყნიდან საზღვარგარეთ გამსვლელი) – პირები, რომელთა ჩვეულებრივი ცხოვრების ქვეყანაა ის ადგილი საიდანაც მიემგზავრებიან და რომლებიც საზღვარგარეთ ერთ წელზე ნაკლები ხანგრძლივობით იქნებიან ჯანმრთელობის განმტკიცების, დასვენების, ამხანაგ-მეგობრების ან ნათესავების მონახულების, რელიგიური და სხვა მიზნით.
7. დიპლომატიური და საკონსულო პერსონალი, აგრეთვე მათი თანმხლები პირები (კმაყოფაზე მყოფები და შინამოსამსახურეები) – პირები, რომლებიც ქვეყანაში იმყოფებიან დიპლომატიური მიზნებით ან უფლებებით და საელჩოებში ან საკონსულოებში მუშაობის ნებართვით.

8. სამხედრო პერსონალი და მათი თანმხლები პირები (კმაყოფაზე მყოფები და შინამოსამსახურეები) – სამხედრო პირები ან მრჩევლები, რომლებიც ქვეყანაში შესაბამისი მისიით იმყოფებიან.

9. მომთაბარეები – პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ სტაბილური საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილდებიან ერთიდან მეორე ადგილას. მათი აღრიცხვა მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოებს, როდესაც ისინი გადაკვეთს ქვეყნის საზღვრებს.

გარე მიგრანტების კატეგორიას მიეკუთვნებიან:

1. უცხოელები, რომლებიც ჩამოვიდნენ ქვეყანაში განათლების მისაღებად ან პროფესიული დონის ასამაღლებლად (და მათ კმაყოფაზე მყოფები) – პირები, რომლებიც დაშვებულნი არიან სწავლების გარკვეული კურსის გასავლელად მიმღები ქვეყნის რომელიმე სასწავლო დაწესებულებაში ან გარკვეული ცოდნის მიღებისა და სწავლების მიზნით სამუშაო ადგილზე.

2. უცხოელები, რომლებიც დაშვებულნი არიან მიმღებ ქვეყანაში დასაქმების მიზნით (აგრეთვე მათ კმაყოფაზე მყოფები და შინამოსამსახურეები) – პირები, რომლებიც დაშვებულნი არიან სხვა ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის ზუსტად მითითებული მიზნით, რომელიც ანაზღაურდება მიმღებ ქვეყანაში არსებული წყაროებიდან.

ამავე კატეგორიაში შედიან მიგრანტები და მათ კმაყოფაზე მყოფი პირები და შინამოსამსახურეები, რომლებიც მიმღები ქვეყნის საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობენ.

3. მიგრანტები, რომლებიც აპირებენ ოჯახის შექმნას, ან ახლო ნათესავებთან გაერთიანებას – პირები, რომლებიც დაიშვებიან მიმღებ ქვეყანაში შემდეგ საფუძველზე: წარმოადგენენ ახლონათესავებს ან საქმროს (საპატარძლოს); აგრეთვე უცხოელი ნაშვილები ბავშვები, რომლებსაც ქვეყანაში შესვლის უფლება აქვთ.

4. მიგრანტები, რომლებსაც თავისუფალი ცხოვრების ან გადაადგილების უფლება აქვთ (აგრეთვე მათ კმაყოფაზე მყოფები) – პირები, რომლებსაც მიმღებ ქვეყანაში თავისუფალი შემოსვლის, ყოფნისა და შრომითი მოწყობის უფლება აქვთ გამომდინარე იქიდან, რომ მიმღებ ქვეყანასა და საკუთარი მოქალაქეობის ქვეყანას შორის მოქმედებს გარკვეული შეთანხმება.

5. მიგრანტები, რომლებიც მუდმივ საცხოვრებლად აპირებენ ჩასვლას (აგრეთვე მათ კმაყოფაზე მყოფები) – პირები, რომლებმაც მიმღებ ქვეყანაში ხანგრძლივი ან შეუზღუდავი დროით ყოფნის უფლება მიიღეს. მათთვის ეკონომიკური საქმიანობის პრაქტიკულად არავითარი შეზღუდვა არ არსებობს.

6. ჰუმანური თვალსაზრისით დაშვებული უცხოელები.

ლტოლვილები და მათ კმაყოფაზე მყოფი პირები – ამ კატეგორიაში შედიან ის უცხოელები, რომლებსაც ქვეყანაში ჩამოსვლამდე ან ჩამოსვლის შემდეგ მიენიჭებათ ლტოლვილის სტატუსი.

თავშესაფარის მაძიებელი პირები – მათ მიაკუთვნებენ იმ პირებს, რომლებმაც თავშესაფარის მიღებასთან დაკავშირებული შუამდგომლობა ითხოვეს მშობლიური ქვეყნის გარეთ.

დაცვის დროებითი სტატუსის მიმღები უცხოელები – მათ მიეკუთვნებიან პირები, რომლებსაც უფლება აქვთ დროებით, ამასთან შესაძლებელია გაურკვეველი ვადით, იმყოფებოდნენ მიმღებ ქვეყანაში, იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ მათი მოქალაქეობის ქვეყანაში დაბრუნებისას მათ სიცოცხლეს გარკვეული საშიშროება შეიძლება ემუქრებოდეს.

ჰუმანურობის სხვა თვალსაზრისით მიღებული პირები – მათ მიეკუთვნებიან უცხოელები, რომლებმაც ვერ მიიღეს დევნილის სტატუსი, მაგრამ ამის მიუხედავად დაშვებულნი არიან მიმღებ ქვეყანაში ჰუმანიტარული ხასიათის მიზეზებით, ვინაიდან ისინი ლტოლვილების მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ამ კატეგორიაში შედის ჰუმანიტარული თვალსაზრისით მიღებული ყველა ის შემთხვევა, რომელიც ვერ ხვდება ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში.

7. უცხოელები, რომელთა სტატუსი დაზუსტების სტადიაშია – პირები, რომელთა ქვეყანაში ჩამოსვლა ან მასში ყოფნა არ იყო სანქციონირებული მიმღები ქვეყნით, ან რომლებმაც დაარღვიეს ქვეყანაში მათი შეშვებისადმი წამოყენებული მოთხოვნები, მაგრამ მიუხედავად ამისა მიიღეს თავისი სტატუსის დაზუსტების უფლება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფის მიგრანტი ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება იყოს:

1. სამი თვიდან ერთ წლამდე;
2. ერთი და მეტი წელი, მაგრამ შეზღუდვით;
3. შეუზღუდავი ხანგრძლივობით.

მიგრანტების შესახებ მიზანშეწონილია შემდეგი ინფორმაციის მოპოვება:

1. ქვეყანა, რომლის მოქალაქეობაც აქვს;
2. სქესი;
3. დაბადების თარიღი;
4. ქვეყანაში ჩამოსვლის თარიღი;
5. ქვეყანაში ყოფნის სავარაუდო ხანგრძლივობა;
6. წინა ჩვეულებრივ საცხოვრებელი ქვეყანა;
7. ქვეყანა, რომელშიც დაიბადა;
8. ქორწინებითი მდგომარეობა;
9. განათლება;
10. საზღვარგარეთ ყოფნის მიზანი;

ჩამოთვლილს, ჩამოსული მიგრანტებისთვის (ვინც მუშაობდა) და გამსვლელი მიგრანტებისათვის (ვინც აპირებს საზღვარგარეთ მუშაობას) მიზანშეწონილია დადგენილ იქნას დასაქმების, ან მეურნეობის დარგი.

ყოველივე ზემოთ მოტანილი მიზნად ისახავს აგრეთვე იმ ინსტრუმენტარის შემუშავებას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება გარე მიგრაციის კვლევა.

9.5. მიგრაციის ძირითადი მაჩვენებლები

მიგრაციის ზოგადი კოეფიციენტი უჩვენებს მიგრანტთა (მიგრაციის) რაოდენობას მოსახლეობის 1000 სულზე.

მიგრაციის ზოგადი კოეფიციენტი (M) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$M = \frac{MI}{P} \cdot 1000,$$

სადაც MI არის გარკვეულ დროში არსებული მიგრაციის (მიგრანტების) რაოდენობა; P – მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

მაგ., საქართველოში, თუ დავუშვებთ, რომ მიგრანტების საერთო რაოდენობა (როგორც გასულების, ისე შემოსულების) 2005 წელს, 70 ათასი იყო, ხოლო იმავე დროს მოსახლეობის საშუალო რაოდენობა შეადგენდა 3884,5 ათასს, მაშინ მიგრაციის ზოგადი კოეფიციენტი

$$M = \frac{70000}{3884500} \cdot 1000 = 18,$$

რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მოსახლეობის 1000 სულზე შემოვიდა და გავიდა 18 პირი.

მიგრაციის ზოგადი კოეფიციენტი გასვლის ინტენსივობის მიხედვით – წარმოადგენს გასულთა რაოდენობას მოსახლეობის 1000 სულზე. მიგრაციის ზოგადი კოეფიციენტი (M_i) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$M_i = \frac{MI_i}{P} \cdot 1000,$$

სადაც (MI_i) – გასულ მიგრანტთა რაოდენობა; P – მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

მაგ., საქართველოდან გასული მიგრანტების რაოდენობა 2005 წელს, თუ დავუშვებთ, რომ 50 ათასი იყო, ხოლო იმავე დროს მოსახლეობის საშუალო რაოდენობა შეადგენდა 3884,5 ათასს, მაშინ მიგრაციის ზოგადი კოეფიციენტი გასვლის ინტენსივობის მიხედვით იქნება:

$$M_i = \frac{50000}{3884500} \cdot 1000 = 12{,}9,$$

რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობის 1000 სულზე 2005 წელს გადიოდა 12,9 პირი.

მიგრაციის ზოგადი კოეფიციენტი შემოსვლის ინტენსივობის მიხედვით – უჩვენებს შემოსულთა რაოდენობას მოსახლეობის 1000 სულზე. მიგრაციის ზოგადი კოეფიციენტი შემოსვლის ინტენსივობის მიხედვით (M_j) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$M_j = \frac{MI_j}{P} \cdot 1000,$$

სადაც MI_j – შემოსულ მიგრანტთა რაოდენობა; P – მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

მაგ., საქართველოში შემოსული მიგრანტების რაოდენობა 2005 წელს, თუ დავუშვებთ, რომ 20 ათასი იყო, ხოლო იმავე დროს მოსახლეობის საშუალო რაოდენობა შეადგენდა 3884,5 ათასს, მაშინ მიგრაციის ზოგადი კოეფიციენტი შემოსვლის ინტენსივობის მიხედვით იქნება:

$$M_j = \frac{20000}{3884500} \cdot 1000 = 5{,}1,$$

რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობის 1000 სულზე, 2005 წელს შემოსულ მიგრანტთა რაოდენობამ შეადგინა 5,1.

მიგრაციის წმინდა ინტენსივობის კოეფიციენტი – წარმოადგენს წმინდა მიგრაციის (ნეტო-მიგრაციის) შეფარდებას მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის რაოდენობასთან და ახასიათებს მიგრაციის შედეგიანობას. მიგრაციის წმინდა ინტენსივობის კოეფიციენტი (M_n) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$M_n = \frac{MI_j - MI_i}{P} \cdot 1000,$$

სადაც MI_j – შემოსულ მიგრანტთა რაოდენობა; MI_i – გასულ მიგრანტთა რაოდენობა; P – მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

მაგ., საქართველოში შემოსული მიგრანტების რაოდენობა 2005 წელს, თუ დავუშვებთ, რომ 20 ათასი იყო, ხოლო გასული მიგრანტების რაოდენობა 50 ათასი და იმავე დროს მოსახლეობის საშუალო რაოდენობა შეადგენდა 3884,5 ათასს, მაშინ მიგრაციის წმინდა ინტენსივობის კოეფიციენტი იქნება:

$$M_n = \frac{20000 - 50000}{3884500} \cdot 1000 = -7{,}7,$$

რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში 2005 წელს, სხვაობა შემოსულებსა და გასულებს შორის უარყოფითი იყო და მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით შეადგენდა 7,7.

მიგრაციული კავშირების ინტენსივობის კოეფიციენტი გამოიანგარიშება მიგრანტების გამოსვლის რაიონის მიგრაციული შესაძლებლობების გამორიცხვის მიზნით, რომელიც დამოკიდებულია როგორც გამოსვლის, ისე შესვლის რაიონების

(რეგიონების) მოსახლეობის რაოდენობაზე. მიგრაციული კავშირების ინტენსივობის კოეფიციენტი (M_k) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$M_k = P\frac{MI_{ij}}{P_i \cdot P_j} \cdot 1000,$$

სადაც MI_{ij} არის მიგრაციული ნაკადი გამოსვლის i რაიონიდან შემოსვლის j რაიონში; P_i – გამოსვლის რაიონის მოსახლეობის რაოდენობა; P_j – შემოსვლის რაიონის მოსახლეობის რაოდენობა; P – მოცემული რაიონების მოსახლეობის საერთო რაოდენობა.

მაგ., სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 2005 წელს საშუალო მოსახლეობა თბილისში იყო 1091,5 ათასი, ხოლო იმერეთში – 694,5 ათასი. თბილისისა და იმერეთის მოსახლეობა ჯამში შეადგენდა 1786000. დავუშვათ, იმერეთიდან თბილისში, იმავე 2005 წელს, ჩამოვიდა 3 ათასი ადამიანი. ასეთ შემთხვევაში მიგრაციული კავშირის ინტენსივობის კოეფიციენტი იქნება:

$$M_k = 1786000 \cdot \frac{3000}{694500 \cdot 1091500} \cdot 1000 = 7{,}1$$

მოცემული კოეფიციენტი შედარების კარგ საშუალებას იძლევა და მას მაშინ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, როდესაც კოეფიციენტი გაიანგარიშება ყველა, ან რამდენიმე რაიონისათვის (რეგიონისათვის).

მიგრაციული კავშირების ინტენსივობის მოდერნიზებული კოეფიციენტი – ეფუძნება რაიონებს (რეგიონებს) შორის წმინდა მიგრაციის განსაზღვრას. მიგრაციული კავშირების ინტენსივობის მოდერნიზებული კოეფიციენტი (M_m) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$M_m = P\frac{MI_{ij} - MI_{ji}}{P_i \cdot P_j} \cdot 1000,$$

სადაც MI_{ij} არის მიგრაციული ნაკადი i რაიონიდან j რაიონში; MI_{ji} – მიგრაციული ნაკადი j რაიონიდან i რაიონში; P_i – გამოსვლის რაიონის მოსახლეობის რაოდენობა; P_j – შემოსვლის რაიონის მოსახლეობის რაოდენობა; P – მთელი მოსახლეობა.

მაგ., სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 2005 წელს საშუალო მოსახლეობა თბილისში იყო 1091,5 ათასი, ხოლო იმერეთში – 694,5 ათასი. თბილისისა და იმერეთის მოსახლეობა ჯამში შეადგენდა 1786000. დავუშვათ, იმერეთიდან თბილისში იმავე 2005 წელს ჩამოვიდა 3 ათასი ადამიანი, ხოლო თბილისიდან იმერეთში გავიდა 1 ათასი. ასეთ შემთხვევაში მიგრაციული კავშირის ინტენსივობის კოეფიციენტი იქნება:

$$M_k = 1786000 \cdot \frac{3000 - 1000}{694500 \cdot 1091500} \cdot 1000 = 4{,}7$$

წინა კოეფიციენტისაგან განსხვავებით მოცემულ შემთხვევაში გათვალისწინებულია როგორც შემოსვლა, ისე გასვლა, ანუ პრაქტიკულად გაითვალისწინება მიგრაციის სალდო (ნეტო მიგრაცია).

მიგრაციის სპეციალური კოეფიციენტები გამოიყენება გარკვეული მახასიათებლების მქონე (სქესი, ასაკი, განათლება და ა.შ.) მიგრანტების ანალიზისათვის. შედარებისათვის გამოიყენება ამავე მახასიათებლების მქონე მოსახლეობის რაოდენობა (P). მიგრაციის სპეციალური კოეფიციენტები (M_S) გამოიანგარიშება ფორმულით: $M_S = \frac{S}{P_S} \cdot 1000$, სადაც S გარკვეული მახასიათებლის მქონე მიგრანტებია; P_S – ამავე მახასიათებლის მქონე მოსახლეობის რაოდენობა.

მაგ., შეფასებითი მონაცემებით 2005 წელს საქართველოსათვის უარყოფითმა სალდომ 25-29 წლის ასაკის მამაკაცებისათვის 3,6 ათასი შეადგინა. შეფასებითი მონაცემებით იმავე დროს, 25-29 წლის ასაკის მამაკაცების რაოდენობა საქართველოში 137,8 ათასის ტოლი იყო. აქედან გამომდინარე

$$M_{25-29} = \frac{3600}{137800} \cdot 1000 = 26{,}1,$$

რაც იმას ნიშნავს, რომ 25-29 წლის ასაკის 1000 მამაკაცისათვის უარყოფითმა სალდომ შეადგინა 26,1.

მიგრაციის ფარდობითი ინტენსივობის ინდექსი მიგრაციის ზოგად ინტენსივობაში შემთხვევით განსხვავებათა გავლენის ელიმინირების საშუალებას იძლევა. ამ მხრივ ის უფრო სანდოა, ვიდრე მიგრაციის სპეციალური კოეფიციენტები. მიგრაციის ფარდობითი ინტენსივობის ინდექსი (I_M) გაანგარიშების ერთ-ერთი ხერხია:

$$I_M = \frac{M_S}{M},$$

სადაც M_S – მოცემული ჯგუფის მიგრაციის სპეციალური კოეფიციენტი; M – მიგრაციის ზოგადი კოეფიციენტი.

მაგ., მიგრაციის სპეციალურმა კოეფიციენტმა 25-29 წლის ასაკის მამაკაცებისათვის შეადგინა 26,1, ხოლო მიგრაციის ზოგადმა კოეფიციენტმა – 18. აქედან გამომდინარე

$$I_{25-29} = \frac{26{,}1}{18} = 1{,}45.$$

10. დემოგრაფიული პროგნოზი

დემოგრაფიული პროგნოზი მოსახლეობის მოძრაობის ძირითადი პარამეტრებისა და მომავალი დემოგრაფიული ვითარების მეცნიერულად დასაბუთებული განსაზღვრაა. დემოგრაფიული პროგნოზისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა: მოსახლეობის რაოდენობის, მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი და ქორწინებითი შემადგენლობის, შობადობის, მოკვდაობის, მიგრაციისა და მოსახლეობის თვისებრივი მახასიათებლების განსაზღვრას. დემოგრაფიული პროგნოზი გამომდინარეობს პერსპექტიული გაანგარიშებებიდან, რომლებიც ეფუძნება დემოგრაფიული პროცესების მოსალოდნელი დინამიკის ზოგიერთ ჰიპოთეზას. ამგვარი გაანგარიშებები, როგორც წესი, კეთდება რამდენიმე ვარიანტად. მათ შორის ყველაზე შესაძლებელი ვარიანტი, რომელსაც პრეტენზია აქვს მოსახლეობის აღწარმოების მომავალი მსვლელობის სიზუსტეზე, ჩვეულებრივ მიიჩნევა დემოგრაფიულ პროგნოზად. დემოგრაფიული პროგნოზის სანდოობა დამოკიდებულია როგორც ამოსავალი ინფორმაციის სიზუსტეზე, ისევე დემოგრაფიული პროცესების ცვალებადობის შესახებ გამოყენებული ჰიპოთეზების დასაბუთება-მართებულობაზე.

მოსახლეობის მომავალი რაოდენობის განჭვრეტის ცდები ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის პერიოდს განეკუთვნება. დემოგრაფიული პროგნოზის მეცნიერულად დასაბუთებული პირველი ცდები XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში გაკეთდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლეონარდ ეილერის დამსახურება, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მოსახლეობის ზრდის მათემატიკური თეორიის შექმნაში.

დემოგრაფიაში მოიხსენიება ანალიტიკური პროგნოზი და პროგნოზ-გაფრთხილება.

ანალიტიკური პროგნოზი დემოგრაფიაში წარმოადგენს პროგნოზის სახეს, რომლის მიზანია მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტენდენციების შესწავლა მოსახლეობის მომავალი რაოდენობისა და შემადგენლობის შეფასების თვალსაზრისით. ანალიტიკური პროგნოზი კეთდება მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის უცვლელობიდან გამომდინარე, მოცემული დროისათვის შობადობისა და მოკვდაობის არსებული ტენდენციების შენარჩუნების ან მათი უმნიშვნელო ცვალებადობის გათვალისწინებით. პროგნოზის სხვადასხვა ვარიანტის შედარება შესაძლებლობას იძლევა შეფასებულ იქნას მოსახლეობის აღწარმოების თითოეული კომპონენტის გავლენის ხარისხი.

პროგნოზ-გაფრთხილება მოსახლეობის პერსპექტიული გაანგარიშებაა, რომელიც უჩვენებს ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ვითარების შესაძლებელ არახელსაყრელ და საშიშ შედეგებს, რომელთა თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება.

პროგნოზის ხანგრძლივობიდან გამომდინარე ანსხვავებენ მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პროგნოზებს.

10.1. დემოგრაფიული პროგნოზის არსი

დემოგრაფიულ მეთოდებს დიდი გამოყენება აქვს სხვადასხვა სფეროში. დემოგრაფიული მეთოდებიდან ყველაზე დიდი მოთხოვნაა მოსახლეობისა და დემოგრაფიული პროცესების პროგნოზებზე.

ნებისმიერი სახელმწიფო დაინტერესებულია დემოგრაფიული პროგნოზებით, რათა შეაფასოს და დაგეგმოს ასაშენებელი გზების, სკოლების, სამედიცინო დაწესებულებების და ა.შ. მშენებლობა. კერძო ბიზნესი აგრეთვე დაინტერესებულია მოსახლეობის პროგნოზით, რათა შეაფასოს მომავალი ბაზრის პოტენციური სიდიდე.

იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ მომხმარებლების ინტერესები და წმინდა დემოგრაფიული ინტერესებიდან გამომდინარე, დემოგრაფები ატარებენ მოსახლეობისა და დემოგრაფიული პროცესების პერსპექტიულ გაანგარიშებებს.

დემოგრაფების ინტერესი პროგნოზირების გარკვეულ შედეგთან არის დაკავშირებული, რომლის ძირითადი არსი მდგომარეობს არა მარტო მოსახლეობის რაოდენობისა, თუ მისი სტრუქტურის და დემოგრაფიული ინდიკატორების პერსპექტივაში განსაზღვრაში, არამედ ასევე არსებითად აქცენტირება კეთდება დემოგრაფიულ პარამეტრებს შორის კავშირის დადგენაში, როგორიცაა, მაგალითად, ასაკობრივი სტრუქტურა და სხვა დემოგრაფიული ინდიკატორები.

მოსახლეობის პროგნოზი ეფუძნება დაშვებებს შობადობის, მოკვდაობის და მიგრაციის შესახებ. ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მოსახლეობის პროგნოზი წარმოადგენს სათანადო გამოთვლებს, რომლის შედაგადაც ვღებულობთ მოსახლეობის განვითარებას შობადობის, მოკვდაობისა და მიგრაციის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

მოსახლეობის პროგნოზის დროს შობადობის, მოკვდაობისა და მიგრაციის შესახებ დგება სხვადასხვა სცენარი.

პროგნოზის არსის გასაგებად განვიხილოთ მარტივი მაგალითი.

დავუშვათ ვიცით მოსახლეობის რაოდენობა (P) გარკვეული საწყისი კალენდარული დროისათვის (0) და მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა რომელიმე დროისათვის (T). ცნობილია. რომ

$$P(T) = P(0) \cdot e^{\int_0^T r(t)dt} = P(0) \cdot e^{\bar{r}[0,T] \cdot T},$$

სადაც $\bar{r}[0,T]$ არის [0, *T*] ინტერვალში ბუნებრივი მატების საშუალო მნიშვნელობა. თუ ჩვენ შევძლებთ [0, *T*] ინტერვალში საშუალო ბუნებრივი მატების განსაზღვრას, მაშინ ბოლო განტოლების საშუალებით მივიღებთ *P(T)*-ს შეფასებას. იმ შემთხვევაში, თუ არა გვაქვს ბუნებრივი მატების შესახებ ინფორმაცია, მარტივი პროგნოზი იქნება ბუნებრივი მატების მუდმივად ჩათვლა.

10.2. პროგნოზირების მეთოდი

პერსპექტიული გაანგარიშებებისათვის გამოიყენება კოჰორტ-კომპონენტების მეთოდი. კოჰორტ-კომპონენტთა მეთოდის არსი მდგომარეობს მოსახლეობის სხვადასხვა ქვეჯგუფებად სეგმენტაციაში, რომლებისათვისაც დამახასიათებელია შობადობის, მოკვდაობისა და მიგრაციის საკუთარი, კონკრეტული რეჟიმი და რომელთა ცვლილებაც გამოითვლება გარკვეული კალენდარული დროისათვის.

კოჰორტ-კომპონენტთა მეთოდი წარმოადგენს დისკრეტულ მოდელს. მოსახლეობის მახასიათებლები გამოითვლება კალენდარული დროის განსაზღვრული მომენტებისათვის. საპროგნოზო პერიოდი დაყოფილია დროის ტოლ მონაკვეთებად, რომელთა სიგრძე ემთხვევა საწყისი მოსახლეობის ასაკობრივი ინტერვალების სიგრძეს. კოჰორტ-კომპონენტთა მეთოდით მოსახლეობის პროგნოზირება შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

1. გამოითვლება, თუ რამდენი დარჩება ცოცხალი დროის საწყისი მომენტისათვის მოსახლეობის არსებული ქვეჯგუფებიდან დროის საბოლოო მომენტისათვის
2. ყოველი ქვეჯგუფისათვის გამოითვლება დაბადებულთა რაოდენობა საპროგნოზო დროის ინტერვალისათვის და დაბადებულთაგან ინტერვალის ბოლოს ცოცხლად მიღწეულთა რაოდენობა
3. საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში ყოველ ქვეჯგუფს ემატება იმიგრანტთა და აკლდება ემიგრანტთა რაოდენობა, გამოითვლება მიგრანტთა რაოდენობა და მათ შორის ცოცხლად დარჩენილთა რაოდენობა დაემატება შესაბამის ქვეჯგუფებს.

სიმარტივისათვის დავუშვათ, რომ გვაქვს ჩაკეტილი მოსახლეობა (რომლისთვისაც არ არის დამახასიათებელი მიგრაცია). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დროის საპროგნოზო სიგრძე უნდა ემთხვეოდეს ასაკობრივი ჯგუფის ინტერვალის სიდიდეს.

პროგნოზისათვის დაგვჭირდება მოკვდაობის ცხრილი, რომელიც აიღება საპროგნოზო დროის დასაწყისისათვის არსებული და აგრეთვე შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები იმავე დროისათვის.

მაგალითისათვის განვიხილავთ პროგნოზს ქალების შემთხვევისათვის. დავუშვათ ქალები დაჯგუფებულია 5-წლიანი ასაკობრივი ინტერვალებით და საპროგნოზო პერიოდის დასაწყისისთვის x ასაკიდან x+5 ასაკამდე ქალების რაოდენობა აღნიშნულია

$_5P_x^F(t)$ და $_5P_x^F(t+5)$-ით

5 წლის შემდეგ ცოცხალი ქალების რაოდენობა $_5P_x^F(t+5)$ გამოითვლება შემდეგი ფორმულის საშუალებით:

$$_5P_x^F(t+5) = {}_5P_{x-5}^F(t) \cdot \frac{{}_5L_x}{{}_5L_{x-5}},$$

სადაც $_5L_x$ და $_5L_{x-5}$ წარმოადგენენ $[x, x+5]$ და შესაბამისად $[x-5, x]$ ასაკობრივ ჯგუფში ნაცხოვრებ ადამიან-წელთა რაოდენობას.

$\frac{{}_5L_x}{{}_5L_{x-5}}$ წარდობას სხვანაირად ასაკგადანაცვლების კოეფიციენტი ეწოდება. აღსანიშნავია, რომ $t+5$ წელს, ღია ინტერვალში, ქალების რაოდენობა $_\infty P_x^F(t+5)$ გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$_\infty P_x^F(t+5) = ({}_5P_{x-5}^F(t) \cdot \frac{{}_5L_x}{{}_5L_{x-5}}) + ({}_\infty P_x^F(t) \cdot \frac{T_{x+5}}{T_x}),$$

სადაც T_x წარმოადგენს x ასაკს ზემოთ ნაცხოვრებ ადამიან-წელთა რაოდენობას.

სრული პროგნოზისათვის ჩვენ გვესაჭიროება 0-4 ასაკობრივ ინტერვალში გოგონების რაოდენობა, რომელიც მიიღება საპროგნოზო დროის განმავლობაში მთლიანად დაბადებულთა რაოდენობიდან. $[t, t+5]$ საპროგნოზო პერიოდში $[x, x-n]$ ასაკობრივი ჯგუფის მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$_5F_x \cdot 5 \cdot [\frac{{}_5P_x^F(t) + {}_5P_x^F(t+5)}{2}] = {}_5F_x \cdot 5 \cdot [{}_5P_x^F(t) + {}_5P_{x-5}^F(t) \cdot \frac{{}_5L_x}{{}_5L_{x-5}}]$$

გამოსათვლელ ფორმულაში ნამრავლი შედგება შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტის $_5F_x$-გან და ამ ასაკობრივ ჯგუფში საპროგნოზო დროის განმავლობაში ქალების მიერ ნაცხოვრები ადამიან-წლების რაოდენობისაგან.

$[t, t+5]$ საპროგნოზო პერიოდისათვის მთლიანად დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა $B[t, t+5]$ გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$B[t, t+5] = \sum_{x=\alpha}^{\beta-5} \frac{5}{2} \cdot {}_5F_x \cdot ({}_5P_x^F(t) + {}_5P_{x-5}^F(t) \cdot \frac{{}_5L_x}{{}_5L_{x-5}}),$$

სადაც α და β წარმოადგენს ქალთა ფერტილური ასაკის ქვედა (15 წლის ასაკი) და ზედა (49 წლის ასაკი) ზღვარს. დაბადებულ გოგოთა რაოდენობას $B^F(t, t+5)$-ს მივიღებთ მთლიანად დაბადებულთა $B(t, t+5)$ რაოდენობიდან შემდეგი ფორმულით:

$$B^F(t, t+5) = \frac{1}{1+SRB} \cdot B(t, t+5),$$

სადაც *SRB* წარმოადგენს დაბადებულ ბიჭთა რაოდენობის ფარდობას დაბადებულ გოგონათა რაოდენობაზე (ჩვეულებრივ 100 ცოცხლად დაბადებულ გოგონაზე მოდის 106 ბიჭი).

0-4 ასაკობრივ ჯგუფში საპროგნოზო მოსახლეობის რაოდენობა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$ {}_5P_0(t+5) = \frac{B(t,t+5)\cdot {}_5L_0}{5\cdot l_0} $$

მაგ., ცხრილში მოტანილია საქართველოში მცხოვრები ქალების პროგნოზი 2011 წლის 1 იანვრისათვის, რომელიც ეფუძნება 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქალების რაოდენობას.

ასაკი x	ქალების რაოდენობა 2006.01.01 ${}_5P_x^F$ (ათასი)	[x, x+5] ასაკობრივ ჯგუფში ნაცხოვრებ ადამიან-წელთა რაოდენობა ${}_5L_x^F$	შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები (ერთ ქალზე გაანგარიშებით) ${}_5F_x$	ქალების რაოდენობა 2011.01.01 ${}_5P_x^F$	დაბადებულთა რაოდენობა 5 წლის განმავლობაში ${}_5B_x$
0-4	117.5	495083		117.6	
5-9	112.2	488821		116.0	
10-14	127.0	487232		111.8	
15-19	141.9	486624	0.05	126.8	33.59
20-24	149.4	485531	0.119	141.6	86.57
25-29	146.1	484076	0.089	148.9	65.65
30-34	137.2	482024	0.0538	145.5	38.02
35-39	135.2	479141	0.0226	136.4	15.34
40-44	139.3	474851	0.0057	133.9	3.89
45-49	141.7	468603	0.0021	137.5	1.46
50-54	124.0	460136		139.1	
55-59	109.5	447347		121.5	
60-64	109.5	429822		105.2	
65-69	112.7	399114		101.7	
70-74	101.8	348920		98.5	
75-79	77.8	274364		80.0	
80-84	44.9	181140		51.4	
85+	22.9	116468		26.5	
სულ	2050.6			2039.9	244.52
B[2006-2011] დაბადებულთა რაოდენობა სულ=244.52 ათასი					
B^F[2006-2011] დაბადებულ გოგონების რაოდენობა სულ=118.70 ათასი					
B^M[2006-2011] დაბადებულ ბიჭების რაოდენობა სულ=125.82 ათასი					
2006-2010 წლებში წლის განმავლობაში საშუალოდ დაბადებული ბავშვების რაოდენობაა 48,9 ათასი					

მამაკაცების პროგნოზის შემთხვევაში, მეორე სვეტში, ${}_5P_x^M$ ითვალისწინებს მამაკაცების რაოდენობას შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ამასთან, გასათვალისწინებელია სათანადო პარამეტრების გამოთვლა შემდეგი ფორმულებით:

$$ {}_5P_x^M(t+5) = {}_5P_{x-5}^M(t)\cdot \frac{{}_5L_x^M}{{}_5L_{x-5}^M}, \qquad {}_\infty P_{85}^M(t+5) = [{}_5P_{80}^M(t) + {}_\infty P_{85}^M(t)]\cdot \frac{T_{85}^M}{T_{80}^M}, $$

$$ B^M(t,t+5) = \frac{1.06}{1+1.06}\cdot B(t,t+5), \qquad {}_5P_0^M(t+5) = \frac{B^M(t,t+5)\cdot {}_5L_0^M}{5\cdot l_0} $$

ღია მოსახლეობის შემთხვევაში, წინა მოტანილისაგან განსხვავებით, როდესაც გაითვალისწინება გარე მიგრაცია, მიღებულია შემდეგი ფორმულების გამოყენება:

$$ {}_5P_x^F(t+5) = [({}_5P_{x-5}^F(t) + \frac{{}_5I_{x-5}^F[t,t+5]}{2})\cdot \frac{{}_5L_x}{{}_5L_{x-5}}] + \frac{{}_5L_x^F[t,t+5]}{2} $$

$$B[t, t+5] = \sum_{x=\alpha}^{\beta-5} \frac{5}{4} \cdot {}_5P_x \cdot ({}_5I_x^F(t) + {}_5I_{x-5}^F(t) \cdot \frac{{}_5L_x}{{}_5L_{x-5}})$$

$${}_5P_0^F(t+5) = B^F[t, t+5] \cdot \frac{{}_5L_0}{5 \cdot l_0} + \frac{{}_5I_0^F[t, t+5]}{2}$$

სადაც I წარმოადგენს მიგრაციის სალდოს. როდესაც I (სალდო) დადებითია, მაშინ გამოიყენება მიმატების ნიშანი (+), ხოლო როდესაც სალდო უარყოფითია, ადგილი ექნება კლებას (გამოიყენება ნიშანი "-").

მაგ., გავიანგარიშოთ საქართველოს ქალების მოსახლეობა 2011 წლის 1 იანვრისათვის. საწყის პერიოდს წარმოადგენს 2006 წლის 1 იანვარი. ამასთან, წინა მაგალითისაგან განსხვავებით, გათვალისწინებული იქნება მიგრაცია, რომელიც 2006-2010 წლებისათვის პირობითად აღებულია 150000-ის ტოლად.

ასაკი x	ქალების რაოდენობა 2006.01.01 ${}_5P_x^F$ (ათასი)	$[x, x+5]$ ასაკობრივ ჯგუფში ნაცხოვრებ ადამიან-წელთა რაოდენობა ${}_5L_x^F$	შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები (ერთ ქალზე გაანგარიშებით) ${}_5F_x$	მიგრაციის სალდო 2006-2010 წლებში ${}_5I_x^F$ (ათასი)	ქალების რაოდენობა 2011.01.01 ${}_5P_x^F$	დაბადებულთა რაოდენობა 5 წლის განმავლობაში ${}_5B_x$
0-4	117.5	495083		4.5	106.7	
5-9	112.2	488821		7.0	110.3	
10-14	127.0	487232		9.4	103.6	
15-19	141.9	486624	0.05	10.0	117.1	31.75
20-24	149.4	485531	0.119	14.7	129.0	80.71
25-29	146.1	484076	0.089	17.2	133.0	60.18
30-34	137.2	482024	0.0538	16.2	128.8	34.69
35-39	135.2	479141	0.0226	16.3	120.2	13.96
40-44	139.3	474851	0.0057	15.7	118.0	3.55
45-49	141.7	468603	0.0021	12.4	123.6	1.36
50-54	124.0	460136		8.9	128.7	
55-59	109.5	447347		4.6	113.9	
60-64	109.5	429822		4.8	100.6	
65-69	112.7	399114		3.1	97.9	
70-74	101.8	348920		2.0	96.2	
75-79	77.8	274364		1.6	78.5	
80-84	44.9	181140		1.0	50.3	
85+	22.9	116468		0.6	25.9	
სულ	2050.6			150.0	1882.3	226.2
B[2006-2011] დაბადებულთა რაოდენობა სულ=226.2 ათასი						
B^F[2006-2011] დაბადებულ გოგონების რაოდენობა სულ=109.81 ათასი						
B^M[2006-2011] დაბადებულ ბიჭების რაოდენობა სულ=116.39 ათასი						
2006-2010 წლებში წლის განმავლობაში საშუალოდ დაბადებული ბავშვების რაოდენობაა 45.2 ათასი						

11. დემოგრაფიული პოლიტიკა

დემოგრაფიული პოლიტიკა წარმოადგენს ღონისძიებათა კომპლექსს, მიმართულს დემოგრაფიული პროცესების ისეთი რეგულირებისაკენ, რომელიც საზოგადოების მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. დემოგრაფიული პოლიტიკის ობიექტია მოსახლეობის აღწარმოება. დემოგრაფიული პოლიტიკა მიმართულია პერსპექტივაში მოსახლეობის აღწარმოების სასურველი რეჟიმის მიღწევისაკენ.

დემოგრაფიული პოლიტიკა არ უნდა გავაიგივოთ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასთან, ან არ უნდა მივიჩნიოთ მარტოოდენ მის ნაწილად. დემოგრაფიულ პოლიტიკად მხოლოდ ის მიზანდასახული ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს, რომლებიც გამიზნულია მოსახლეობის აღწარმოების პროცესზე ზემოქმედებისაკენ. ამასთან, ასეთი სახით წარმოდგენილი დემოგრაფიული პოლიტიკა შეიძლება დავყოთ:

1. სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია დემოგრაფიული პროცესების რეგულირებისაკენ და გულისხმობენ სხვადასხვა სახის დახმარებებს, პირობების შექმნას და ა.შ. 2. უშუალოდ დემოგრაფიული პოლიტიკა – ღონისძიებები გამიზნული დემოგრაფიული პროცესების განმსაზღვრელ შინაგან ფაქტორებზე ზემოქმედებისათვის.

დემოგრაფიულ პოლიტიკას არ მიეკუთვნება ზოგადად სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი ღონისძიებები, რომლებსაც ამა თუ იმ სახით ან ზომით შეიძლება გავლენა ჰქონდეთ მოსახლეობის აღწარმოებაზე, მაგრამ დემოგრაფიულ პროცესებზე ზემოქმედებას თავის კონკრეტულ მიზნად არ ისახავენ.

დემოგრაფიული პოლიტიკის მეთოდები შეიძლება დავყოთ: სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი, აღმზრდელობით-ფსიქოლოგიური. სოციალურ-ეკონომიკურს მიეკუთვნება ოჯახის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ერთჯერადი და პერიოდული მატერიალური დახმარება, სესხები და სხვა. სამართლებრივი – ნების მიმცემი ან ამკრძალავი აქტები, რომლებიც ეხება მაგ., აბორტებს ან კონტრაცეპტივების გაყიდვას, ქორწინების ასაკს და სხვა. აღმზრდელობით-ფსიქოლოგიური – მასობრივი ინფორმაციის ან სხვა საშუალებებით ოჯახის სასურველი ტიპის, რეპროდუქციული ქცევის გარკვეული სტანდარტების და ა.შ. პროპაგანდა – ფიქსაცია.

დემოგრაფიული პოლიტიკა და მისი კონკრეტული ღონისძიებები ბევრად არის დამოკიდებული რომელიმე ქვეყანაში შექმნილი დემოგრაფიული ვითარების სახელმწიფოებრივ შეფასებაზე. სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მსგავსი დემოგრაფიული ვითარების (ან დემოგრაფიული პროცესის მიმდინარეობის) სახელმწიფოებრივი შეფასება შეიძლება განსხვავდებოდეს, რაც იწვევს განსხვავებას როგორც დემოგრაფიული პოლიტიკის ორიენტაციაში, ისე თვით დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების აუცილებლობაში. მაგ., საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში არსებული მსგავსი მოსახლეობის მატების ტემპისა და შობადობის დონის სახელმწიფოებრივი შეფასება განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. საფრანგეთში ის ძალიან დაბალად იყო ჩათვლილი, ხოლო დიდ ბრიტანეთში – დამაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარე, საფრანგეთში მოსახლეობის მატების ტემპისა და შობადობის დონის ამაღლების აუცილებლობა იყო მიჩნეული, ხოლო დიდ ბრიტანეთში, მათ მიმართ, მთავრობის მხრიდან, ჩაურევლობა იქნა აღიარებული.

ზოგჯერ დემოგრაფიულ პოლიტიკას განიხილავენ სხვადასხვა დონეზე. მაგ., გამოყოფენ დემოგრაფიული პოლიტიკის შემდეგ დონეებს: მეგა, მაკრო, მეზო და მიკრო. ამასთან, დემოგრაფიულ პოლიტიკას განიხილავენ როგორც "ვიწრო" გაგებით, ისე „ფართო" გაგებით, როგორც სოციალურ-დემოგრაფიულ პოლიტიკას.

დემოგრაფიული პოლიტიკის იდეები და მაგალითები ძველი დროიდან არის ცნობილი. პლატონის, არისტოტელეს და ანტიკური ხანის სხვა ავტორების ნაშრომებში გვხვდება იდეები საზოგადოების მხრიდან ქორწინებისა და შობადობის პროცესებზე ზემოქმედების შესახებ. ძველ რომში, ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე, მიღებულ იქნა კანონები, რომელიც მიმართული იყო შობადობის ამაღლებისა და ქორწინების წახალისებისაკენ.

11.1. დემოგრაფიული პოლიტიკის არსისა და მიზნის თეორიულ-მეთოდოლოგიური წანამძღვრები

საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური და სხვა სახის პრობლემების გვერდით ერთობ აქტუალურია დემოგრაფიული პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემების კვლევა. მისი ობიექტურად განმაპირობებელი კრიტერიუმების ახლებური გააზრება საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ამა თუ იმ ეტაპზე გასატარებელი თვისებრივად ახალი დემოგრაფიული პოლიტიკის არსი, ობიექტი, მიზანი, ადგილი და როლი ერთიან სახელმწიფო პოლიტიკაში, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზოგადოების ერთიანი სისტემის ევოლუციურ განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ დემოგრაფიული პოლიტიკის მეცნიერულად გააზრებულ დონეზე მართვის არსი, სწორედ საზოგადოების ერთიან სისტემაში არსებული ობიექტურად განპირობებული (ცალკეულ ქვესისტემათა) სპეციფიკურ კანონთა ფუნქციონირების შეცნობაა. აქედან გამომდინარე დემოგრაფიულ ქვესისტემასთან ერთად გასააზრებელია ერთიან საზოგადოებრივ სისტემაში არსებულ ცალკეულ ქვესისტემათა ფუნქციონირების კანონთა მოქმედების შინაარსი, მათი მოქმედების არეალი და დემოგრაფიულ ქვესისტემასთან მათი ურთიერთქმედების ხასიათი.

საქმე ისაა, რომ მართალია ისინი, მეტ-ნაკლებად, საბოლოოდ განაპირობებენ ცალკეულ სისტემათა ფუნქციონირების კოორდინაციას, მაგრამ ქვესისტემათა შორის ხშირად წარმოიქმნება არაშეთანაწყობილი და უთანაბრო განვითარება. მეცნიერული მართვა საშუალებას იძლევა, გამოვავლინოთ ქვესისტემათაშორის ურთიერთმიმართებაში თითოეული ქვესისტემის განვითარების როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი შეუსაბამისობები და მათ შორის ოპტიმალური ურთიერთკავშირით ვუზრუნველყოთ საზოგადოების ერთიანი სისტემის ფუნქციონირება, რაც ამა თუ იმ ეტაპზე მნიშვნელოვან სულიერ და მატერიალურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული და არც თუ ადვილად მისაღწევია.

ერთიან საზოგადოებრივ სისტემაში, სხვა ქვესისტემების გვერდით თავისი ადგილი და როლი გააჩნია დემოგრაფიულ ქვესისტემასაც, რომელიც ისევე როგორც სხვა ქვესისტემები გარკვეულწილად თავისი ფუნქციონირების ავტონომიურობით ხასიათდება და შესაბამისად, საკუთარი განვითარების კანონები და კანონზომიერებანი გააჩნია. მათი მოქმედების თავისებურებათა შესწავლა კი საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ, თუ რას მოითხოვს დემოგრაფიული სისტემის ნორმალური ფუნქციონირება. მხოლოდ დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას, თუ დემოგრაფიული ვითარების გამოსწორების მიზნით აუცილებელია სხვა სახის (მაგ., სოციალური, ეკონომიკური და სხვ.) პოლიტიკის გატარებაც ამა თუ იმ ეტაპზე.

ეს საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ დემოგრაფიის კვლევის ძირითადი ობიექტის არსი და თვით საგნის ვიწრო და ფართო გაგება, რომლის შესაბამისად, არსებობს დემოგრაფიული პოლიტიკის ვიწრო და ფართო გაგება.

11.2. მოსახლეობის აღწარმოება, როგორც დემოგრაფიულ ურთიერთობათა კვლევის საგანი და დემოგრაფიული პოლიტიკის ობიექტი

გასული საუკუნიდან მსოფლიო დემოგრაფიულ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა. გაჩნდა ახალი კონცეფციები და თეორიული გამოკვლევები. მსოფლიოს ქვეყნების დემოგრაფიული განვითარების კანონზომიერებათა შესწავლის პროცესში მრავალი საკამათო საკითხი წამოიჭრა, რაც თვით დემოგრაფიის საგნისა და შესაბამისად, დემოგრაფიული პოლიტიკის ახლებურად გააზრებაშიც აისახა. დემოგრაფიის კვლევის ობიექტად ძირითადად მოსახლეობის აღწარმოება იქნა მიჩნეული, მაგრამ ამ უკანასკნელის შინაარსის არაერთგვაროვნობის გამო, ჯერ კიდევ საკამათოა დემოგრაფიის საგნის "ვიწრო" და "ფართო" გაგება. შესაბამისად, მიუხედავად სპეციფიკურობისა, დემოგრაფიული პოლიტიკის შინაარსიც არაერთმნიშვნელოვანია. იგი წარმოდგება, როგორც "ვიწრო", ასევე "ფართო" შინაარსით. ამიტომ, დემოგრაფიული პოლიტიკის არსის, ობიექტის, მიზნებისა და ამოცანების გარკვევა თვით დემოგრაფიის საგნის გაგებიდან უნდა დავიწყოთ.

პირველი მიდგომის მომხრეები დემოგრაფიის შესწავლის ობიექტში გულისხმობენ მოსახლეობის მხოლოდ "ბუნებრივ" აღწარმოებას და მის განმსაზღვრელ დემოგრაფიულ პროცესებს, ანუ თაობის ბუნებრივი განახლების პროცესს.

მათგან განსხვავებით მეორე მიდგომის მომხრენი, გამოდიან რა მოსახლეობის მოძრაობის სამი სახიდან, (ბუნებრივი, მიგრაცია და სოციალური), მიიჩნევენ, რომ მათ შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობისა და ურთიერთგანპირობებულობის შესწავლის გარეშე მოსახლეობის აღწარმოების პროცესზე ვერ შევიქმნით სრულ წარმოდგენას.

ზოგიერთი მეცნიერი მოსახლეობის აღწარმოების პროცესიდან გამორიცხავს მიგრაციას, თუმცა არაფერს ამბობს მის სოციალურ მოძრაობაზე.

სხვები აღნიშნავენ რომ: დემოგრაფიამ უნდა შეისწავლოს გამრავლება, მოსახლეობის აღწარმოება "ვიწრო გაგებით"... დემოგრაფიული პროცესების ფართოდ წარმოჩენა თუნდაც მიგრაციით, უფრო მეტიც, ადამიანთა "სოციალური მოძრაობით", კერძოდ, ადამიანთა გადასვლით ერთი სოციალური ჯგუფიდან მეორეში მიზანშეუწონილია... მიგვაჩნია, რომ უნდა წავიდეთ არა გაფართოებებზე, არამედ გარღმავებაზე ... სამასი წლის მანძილზე "კლასიკური დემოგრაფიის" ძირითადი ამოცანა იყო აღწარმოების მხოლოდ ერთი მხარის–თაობის ფიზიკური განახლების რაოდენობრივი კანონზომიერებების გამოვლენა... მაგრამ მოსახლეობის აღწარმოებას აქვს სხვა აუცილებელი მხარეც – დემოგრაფიულ ურთიერთობათა აღწარმოება. ეხლა სულ უფრო ნათელი ხდება მოსახლების აღწარმოების ორივე მხარის შემსწავლელი "ნეოკლასიკური" დემოგრაფიის შექმნა, ე.ი. მისი აღწარმოება "ფართო გაგებით".

"ნეოკლასიკური" დემოგრაფიის თაობაზე ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ, არ არის საჭირო არავითარი "ახალი", "უფრო ღრმა" დემოგრაფიის შექმნა. მიმდინარეობს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების ბუნებრივი პროცესი, მათ შორის დემოგრაფიაშიც. ფართოვდება ფაქტორთა წრე, მოზიდულნი მისი საგნის (მოსახლების აღწარმოების) შესწავლისათვის, მაგრამ თვით საგნის საზღვრები, მასთან ერთად არ ფართოვდება, რჩება მუდმივი.

ფრანგი მეცნიერის ა. სოვის აზრით დემოგრაფია შეიცავს ორ განსხვავებულ ნაწილს: ერთი – უფრო მკაცრი, მათემატიკური გაანგარიშებების შინაარსით, ეგრეთწოდებული წმინდა დემოგრაფია, და მეორე – დემოგრაფია სიტყვის ფართო გაგებით, ზუსტად გამოკვეთილი საზღვრებით, რომელიც მოიცავს უფრო ფაქიზ სფეროს, ვიდრე წმინდა დემოგრაფიის სფერო და იკვლევს ეკონომიკურ და

სოციალლურ მიზეზებს და დემოგრაფიული პროცესების მიმდინარეობას... და პრობლემის განმარტების დიდი უთანხმოებისათვის საფუძველს იძლევა.

ამდენად, მოსახლეობის აღწარმოების შესახებ, როგორც დემოგრაფიის საგანზე არსებული არაერგვაროვანი შეხედულებები გარკვეულწილად დამაბნეველია და შესაბამისად ართულებს მისი მართვის სწორი პოლიტიკის შემუშავებას. ამიტომ დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე მოსახლეობის აღწარმოებას, როგორც დემოგრაფიის კვლევის ობიექტს სისტემური მიდგომით განვიხილავთ.

საქმე ისაა, რომ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა, როგორც დემოგრაფიული პროცესი, მიმდინარეობს საზოგადოების განვითარების ერთიან სისტემაში და ცალკე ქვესისტემის სახით წარმოგვიდგება. სწორედ დემოგრაფიულ პროცესთა ურთიერთდამოკიდებულების და მასთან ერთად დემოგრაფიულ ურთიერთობათა კანონზომიერებების გამოვლენა და შეცნობა წარმოადგენს დემოგრაფიის კვლევის ობიექტს. ამასთან, დემოგრაფიული პროცესები არის ცალკეულ სუბიექტთა საბოლოო სოციალურ-ბიოლოგიური შედეგის დემოგრაფიულ შემთხვევათა ერთობლიობა. შესაბამისად, საზოგადოების განვითარების ერთიან სისტემაში დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა, შობადობისა და მოკვდაობის სახით განიხილება „ვიწრო" გაგებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც საუბარია მოსახლეობის აღწარმოების შეცნობასა და მართვაზე, დემოგრაფიული პროცესები მიჩნეულია, როგორც მოსახლეობის აღწარმოების პროცესში მონაწილე სუბიექტების სოციალურ-დემოგრაფიულ ურთიერთობათა საბოლოო სოციალურ-ბიოლოგიური შედეგი და როგორც დემოგრაფიის საგნის კვლევის ობიექტი. დემოგრაფიული პროცესების კანონზომიერების ანალიზისა და გაცნობიერების შედეგად დადგენილი სოციალურ-დემოგრაფიულ ურთიერთობათა მიზეზები და ფაქტორები კი მართვის ობიექტადაა მიჩნეული.

შესაბამისად, დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით დემოგრაფიულ პროცესთა სასურველი ტენდენციებით წარმართვა შესაძლებელია მხოლოდ უშუალოდ მათი წარმომქმნელი სუბიექტების სოციალურ-დემოგრაფიულ ურთიერთობებზე და არა დემოგრაფიულ პროცესებზე ზემოქმედებით.

მეცნიერულად შესამუშავებელი სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის მეთოდოლოგიურ საკითხთა განსაზღვრისათვის, აუცილებელია გამოვავლინოთ დემოგრაფიულ პროცესთა, როგორც ქვესისტემის ადგილი საზოგადოებრივ ერთიან სისტემაში, მისი ურთიერთკავშირი სხვა ქვესისტემებთან ურთიერთდამოკიდებულებაში და რამდენად ასრულებს იგი საზოგადოების განვითარების ფაქტორის როლს. სხვა შემთხვევაში, ვერ გავაცნობიერებთ დემოგრაფიულ, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა ფაქტორთა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს.

სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის არსის, შინაარსის და მიზნის ძირითადი მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავებიდან გამომდინარე, არ არის აუცილებელი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთიან სისტემაში არსებული ყველა ქვესისტემის სიღრმისეული კვლევა. ძირითადი ყურადღება უნდა დავუთმოთ ამ სისტემაში დემოგრაფიული პროცესების, როგორც ქვესისტემის არსის და ადგილის განსაზღვრას, განსაკუთრებით მისი ტრანსფორმაციის პროცესს. საქმე ისაა, რომ თუ წინათ დემოგრაფიულ ურთიერთობათა სისტემა, როგორც საზოგადოების განვითარების ფაქტორი, უპირატესად განიხილებოდა რაოდენობრივი და ეკონომიკური დატვირთვის თვალსაზრისით, თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე უკვე მისმა სოციალურმა და თვისებრივმა განვითარებამ წამოიწია.

საზოგადოების ერთიან სისტემაში დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემასთან სხვა ქვესისტემების ურთიერთკავშირის შესწავლით გავარკვევთ საზოგადოების განვითარების რომელი პრიორიტეტული პოლიტიკის გატარებას

მოითხოვს მათი ურთიერთგავლენა, მხოლოდ დემოგრაფიულის, სოციალურის, ეკონომიკურის თუ მათ ერთიან კომპლექსს.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის აღწარმოებაზე მოქმედი ფაქტორები გაბნეულია როგორც თვით დემოგრაფიულ, ისე არადემოგრაფიულ ქვესისტემებში. საზოგადოებრივ სისტემაში ცალკეული ქვესისტემების არსებობას კი ერთმანეთზე ურთიერთმოთხოვნილება განაპირობებს. რამდენადაც თითოეული მათგანის ფუნქციონირებას, სხვა ქვესისტემათა ფუნქციონირების მოთხოვნილება განსაზღვრავს, ეს მიუთითებს თითოეული მათგანის შედარებით დამოუკიდებლობაზეც და ურთიერთდამოკიდებულებაზეც. მაგალითად: დემოგრაფიული ქვესისტემის ფუნქციონირების გარეშე სხვა ქვესისტემების ფუნქციონირება საზოგადოებრივ სისტემაში შეუძლებელია. თავის მხრივ დემოგრაფიული ქვესისტემის ფუნქციონირებას კი გარკვეულწილად სხვა ქვესისტემები (მაგ., ეკონომიკური, სოციალური და სხვა) განაპირობებენ.

ამიტომ, დემოგრაფიული ქვესისტემის ფუნქციონირებისათვის გასარკვევია თუ რომელი ქვესისტემისადმია მისი მოთხოვნილება წინ წამოწეული საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. ანუ საჭიროა გამოვავლინოთ სხვა ქვესისტემების შემადგენელ ელემენტთა, როგორც ცალკეულ ფაქტორთა, ზემოქმედების ხასიათი დემოგრაფიულ ქვესისტემაზე, რათა მოხდეს ამ უკანასკნელის ნორმალური ფუნქციონირების მეცნირულად დასაბუთებული მართვა.

მიუხედავად კვლევის ერთიანი, ძირითადი მეთოდოლოგიური ამოსავლისა, დემოგრაფთა შორის საზოგადოებრივ სისტემაში დემოგრაფიულ ურთიერთობათა სისტემის ფუნქციონირების კვლევის შედეგები ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო და განსხვავებული იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ მართალია დემოგრაფთა უმრავლესობა კონკრეტულად არ შეისწავლიდა დემოგრაფიულ ურთიერთობათა სისტემის არსს, მაგრამ მათ შრომებში აშკარად შეინიშნებოდა დემოგრაფიული საკითხების კვლევისადმი სისტემური მიდგომა, რითაც ფაქტიურად აღიარებდნენ დემოგრაფიული ფაქტორის როლს საზოგადოებრივ პროცესებში.

საქმე ისაა, რომ მოსახლეობის აღწარმოების ერთი ტიპიდან მეორეზე გადასვლა ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს და მისი თვისებრივი განვითარების ცალკეულ გარდამავალ პერიოდებად მის შიგნით არსებული ფაზები უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, მოსახლეობის აღწარმოების ისტორიულ ტიპებს შორის არსებული ტიპთაშორის გარდამავალი პერიოდის შესახებ ჯერ-ჯერობით ფუნდამენტური ნაშრომი არ შეგვხვედრია.

მოსახლეობის აღწარმოების ისტორიული ტიპების გარდამავალ პერიოდში თუ ცალკეულ ფაზებს მივიჩნევთ, მაშინ ფაზებს შორისაც უნდა არსებობდეს ფაზათაშორისი გარდამავალი პერიოდი, მოკლე დროით მაინც. ფაზიდან ფაზაზე გადასვლა ხომ ერთბაშად არ ხდება. ანუ დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემაში განვითარებული დემოგრაფიული ურთიერთობის ახალ მოთხოვნილებებთან შესაბამისობა თანდათანობით მიმდინარეობს და მისი ახლებური, საბოლოო სახით ფორმირებას გარდა თვითგანვითარების თვისებისა, ერთიან საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში არსებულ სხვა ქვესისტემათა თვისებრივი და რაოდენობრივი განვითარებაც განაპირობებს, რომელთაც ანალოგიურად გააჩნიათ საკუთარი განვითარების გარდამავალი პერიოდი, რაც მათ ტრანსფორმაციულ პროცესში გამოიხატება.

ამიტომ, დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის ერთბაშად თვისებრივი ცვლილებით წარმოჩენა მის უკვე ახალ ფორმირებულ ფაზაში მიუღებელია. აუცილებელია ტრანსფორმაციული პროცესის როგორც ფაზათაშორისი, ისე ტიპთაშორისი გარდამავალი პერიოდის სახით კვლევა, რაც ჯერჯერობით ნაკლებად არის შესწავლილი და შესაბამისად, არ არის ცნობილი, თუ როგორ

მიმდინარეობს იგი, რა პირობებში და ძირითადად რომელი ფაქტორები (საკუთარი და გარე) განსაზღვრავენ მის ტრანსფორმაციას.

საერთოდ, საზოგადოების ერთიანი სისტემის და მის ცალკეულ ქვესისტემათა ტრანსფორმაცია დროის მოთხოვნაა და იგი სხვადასხვაგვარად წარიმართება. ეს პროცესი შეიძლება ერთიანი სისტემის ცალკეულ ქვესისტემათა ერთდროული, ან თითოეული მათგანის თანამიმდევრული რეფორმის ფონზე განვითარდეს და ბევრად იყოს დამოკიდებული როგორც მსოფლიოში, ასევე გეოარეალში (რომელშიც ქვეყანა მდებარეობს) განვითარებული გლობალური და ლოკალური სახის მოვლენებზე. ამ უკანასკნელთა განვითარების სიმწვავე ცვლის როგორც სისტემის, ასევე მის ქვესისტემათა ევოლუციური განვითარების მიმართულებას და ტემპს, აჩქარებს ან ანელებს მას და შესაბამისად გარკვეული დროით არღვევს ერთიან სისტემაში არსებულ ცალკეულ ქვესისტემათა შორის "მოწესრიგებულ თამაშის წესებს" და "თამაშის ახალი წესების" ფორმირებით გარკვეულწილად აისახება თითოეული მათგანის ტრანსფორმაციის საბოლოო შედეგებში.

ამიტომ, დემოგრაფული განვითარების ერთი ფაზიდან მომდევნო ფაზაზე ფაზათაშორისი პერიოდის გარეშე, ერთბაშად გადასვლა ნაკლებად შესაძლებელია და არსებობს ფაზიდან ფაზაზე გადასვლის ფაზათაშორისი, თუნდაც მცირე პერიოდი, რასაც სხვა ქვესისტემებთან ერთად დემოგრაფიული ქვესისტემის ტრანსფორმაციის სიმწვავე განსაზღვრავს.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ერთიან სისტემაში პოლიტიკურ ურთიერთობათა ქვესისტემის სტაბილური განვითარება გარკვეულწილად განაპირობებს დანარჩენ ქვესისტემათა განვითარების მშვიდ და ევოლუციურ ხასიათს, რომლის დროსაც შესაძლებელია რომელიმე ქვესისტემის (ან რამდენიმეს ერთდროულად) განვითარებამ მნიშვნელოვნად გაუსწროს დანარჩენ ქვესისტემათა განვითარების ტემპს. ამ დროს სისტემის (ქვესისტემათა) შემადგენელი კომპონენტების თვისებრივი ცვლილების ფონზე მიმდინარეობს სხვა სისტემის (ქვესისტემათა) ფარული ტრანსფორმაცია, რაც სტაბილური, რაოდენობრივად უმნიშვნელო ცვლილების ტენდენციის საერთო ფონზე დროში იწელება და ხშირად შეუმჩნეველიც კი რჩება.

მისგან განსხვავებით, პოლიტიკური ქვესისტემის რადიკალური ტრანსფორმაციის პროცესში სხვადასხვა ტემპით, ხშირად ასინქრონულად მიმდინარეობს სხვა ქვესისტემათა და მისი შემადგენელი კომპონენტების თვისებრივი გარდაქმნის პროცესი, რაც რაოდენობრივ შედეგებში აშკარად გამოკვეთილია და ხშირად ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე არასასურველი ტენდენციაც გააჩნია.

საერთოდ, მსოფლიოსა და ცალკეული ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების მხოლოდ დემოგრაფიული გადასვლის თეორიით ახსნა უმთავრესად დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის შიგნით მიმდინარე ცვლილებების რაოდენობრივ შედეგებს ასახავს და ნაკლებ წარმოდგენას გვაძლევს საზოგადოების ერთიან სისტემაში არსებული სხვა ქვესისტემების ტრანსფორმაციის გავლენის შესახებ დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის ელემენტების "თამაშის წესებზე". დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის განვითარების თაობაზე მხოლოდ დემოსტატისტიკურ მაჩვენებელთა რაოდენობრივი ცვლილებებით მსჯელობა, საკმარისი არ არის ქვესისტემათაშორისი ურთიერთდამოკიდებულების ასახსნელად, მით უფრო სხვა ქვესისტემათა განვითარებით, დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემაში გამოწვეული დემოგრაფიული ქცევის თვისებრივი ცვლილებების შესასწავლად, რასაც ხშირად შეცდომაში შევყავართ, განსაკუთრებით კი არაზუსტი დემოსტატისტიკური აღრიცხვის პირობებში. ამის გამოა, რომ ხშირად იცვლება დემოგრაფთა შეხედულებანი ამა თუ იმ ქვეყნის დემოგრაფიული გადასვლის დროზე და პერიოდზე.

გამოვყოფთ ფაზიდან ფაზაზე გადასვლის ორ სახეს: პირველი ფარული, ანუ დახურული და მეორე – აშკარა, ღია.

მიჩნეული იყო, რომ საქართველო მეორე ფაზაში 1920-იანი წლების შუა ხანიდან გადავიდა, მაგრამ ამ ასპექტით ჯერ ერთი არ იყო გათვალისწინებული 1926 წლის მოსახლეობის აღწერის საანდობაა; მეორეც – იმ პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და სხვა ქვესისტემათა ტრანსფორმაცია და ა.შ., რის გამოც დაშვებულ იქნა მცირეოდენი უზუსტობა. დაზუსტების შემდეგ, 1914–1928 წწ. მიჩნეულ იქნა ფაზათაშორის გარდამავალ პერიოდად, რაც რევოლუციურმა, გლობალურმა და ლოკალურმა გარდაქმნებმა განაპირობა. დემოგრაფიულ ურთიერთობათა და სხვა ქვესისტემათა ტრანსფორმაციის რევოლუციური ფორმის სიმწვავემ, პირველიდან მეორე ფაზაზე გადასვლა დროში გაწელა და მეორე ფაზის დასაწყისად 1928–1930 წწ. უნდა ვივარაუდოთ.

საქმე ისაა, რომ საზოგადოების ერთიანი სისტემის და მისი ცალკეული ქვესისტემების ტრანსფორმაცია სხვადასხვა ტემპით მიმდინარეობს, რაც იწვევს დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემასთან მათ არასტაბილურ ურიერთდამოკიდებულებას. ამიტომ, ტრანსფორმაციის გაწელილ პერიოდში დემოგრაფიული პროცესები ხშირად ტალღისებური რხევებით გამოირჩევა და მათ საბოლოო სახით სტაბილიზაციას გარკვეული დრო სჭირდება, რაც საზოგადოების ერთიანი სისტემის ტრანსფორმაციის ტემპზეა დამოკიდებული და შეიძლება საკმაო ხნის მანძილზე გაგრძელდეს. ამიტომ, ასეთ სიტუაციაში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემასთან სხვა ქვესისტემათა ტრანსფორმაციის გავლენის ხარისხი, რეფორმის სიმწვავე და ა.შ.

გლობალური ტრანსფორმაციული პროცესების ფონზე დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის შესწავლამ აშკარად დაგვანახა, რომ მას, ისევე როგორც სხვა ქვესისტემებს, გააჩნიათ ტრანსფორმაციის პერიოდი, რომლის დროსაც მათი გამწვავებული ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარეობს ქვესისტემათა შიგა თვისებრივი ქცევის ცვლილებები, რომელთა ხანგრძლივობა გარკვეული დროით გრძელდება.

დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის ტრანსფორმაციის გარდამავალი ეტაპის კრიტერიუმებად შეიძლება მივიჩნიოთ:

1. დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის, სხვა ქვესისტემებთან ურთიერთდამოკიდებულების ბალანსის დარღვევის შედეგად თვისებრივი ცვლილების ასინქრონული ხასიათი;
2. შიგა დემოგრაფიულ ფაქტორებთან შედარებით, გარე არადემოგრაფიულ ფაქტორთა უპირატესი გავლენით, დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის თვითგანვითარების პროცესის დეფორმაცია;
3. დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის ტრანსფორმაციის მწვავე ხასიათი;
4. დემოგრაფიულ პროცესთა მკვეთრი რაოდენობრივი ცვლილება;
5. რეპროდუქციულ ქცევაში მიმდინარე ცვლილებების ტემპის შესაბამისად შობადობის ინერციული ბუნების გარკვეული დროით შეჩერება;
6. გამწვავებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფორმირების შედეგად ინტენსიური ემიგრაციული პროცესების განვითარება და მასთან ერთად ბუნებრივი მატების მკვეთრი შემცირებით მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის კლება;
7. დაბალი შობადობის მქონე ქვეყნებში დეპოპულაციური პროცესის სპონტანური დროებითი ხასიათი ან განვითარება;
8. ქორწინებათა და სასურველ ბავშვთა შობის გადავადება;
9. განქორწინებათა ფაქტობრივი დონის ზრდა;
10. არარეგისტრირებულ ქორწინებათა მკვეთრი ზრდის შესაბამისად არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფთა შობადობის ზრდის მაღალი ტემპი;

11. მოკვდაობის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილების შედეგად მისი მაღალი ზოგადი დონე;

12. დემოგრაფიული სტრუქტურის დარღვევით დემოგრაფიული დაბერების ზრდა და შესაბამისად დემორაფიული სტრუქტურის ტიპის ცვლილება და სხვა.

დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის გარდამავალი პერიოდის თვისებრივ ცვლილებათა გამოვლენის შეფასების კრიტერიუმების ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ჩამოთვლილიც კარგად ასახავს მისი ტრანსფორმაციის ხასიათს.

ამასთან, აღნიშნული კრიტერიუმები ფაზათაშორის გარდამავალ პერიოდში, ერთიანი სისტემის ტრანსფორმაციის მასშტაბურობიდან გამომდინარე, შეიძლება დროში სხვადასხვაგვარად მოგვევლინონ და შესაბამისად მათ სხვადასხვაგვარი შეფასება მიეცეთ. ნათელია, რომ თითქმის ყველა გარდამავალ პერიოდს მოჰყვა შობადობის შემცირების და მოკვდაობის ზრდის ტენდენცია. მისი მდგრადობა ყველა ქვეყანაში სხვადასხვა დონეზე გამოვლინდება და შეიძლება დეპოპულაციაში არ გადაიზარდოს. აღნიშნულს ადასტურებს დსთ-ს ზოგიერთი ქვეყნისა და კერძოდ საქართველოს დემოგრაფიული ტრანსფორმაცია 1960-2001 წლებში არსებულ ორ ფაზათაშორისი გარდამავალ პერიოდში, რასაც ერთი მხრივ გლობალური, მეორე მხრივ ლოკალური ტრანსფორმაციის დემოგრაფიული შედეგი მოჰყვა.

საერთოდ, დემოგრაფიული თეორიებიდან (ნებისმიერი იდეოლოგიის) გამომდინარე კაცობრიობის დემოგრაფიული გენეზისის მოდელი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ: არარეგულირებადი შობადობა, გადამეტმოსახლეობა, დემოგრაფიული აფეთქება და დეპოპულაცია, რაც კაცობრიობის დემოგრაფიული განვითარების ისტორიამ დაადასტურა.

სხვადასხვა შეხედულებანი ერთობლივად ასაბუთებენ დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის დამოუკიდებლად არსებობას ერთიან საზოგადოებრივ სისტემაში. ამასთან, რამდენადაც საზოგადოებრივ ერთიან სისტემაში მისი ფუნქციონირება და სხვა ქვესისტემებთან ურთიერთკავშირი ცალკე მსჯელობის საგანია, მათზე არ შევჩერდებით. მაგრამ, რამდენადაც დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითად ობიექტს მოსახლეობის აღწარმოება წარმოადგენს და მის ერთ-ერთ კომპონენტს – შობადობას, თანამედროვე გამოკვლევების თანახმად, ძირითადად განაპირობებს ადამიანში, ოჯახში და საზოგადოებაში არსებული ბავშვთა ყოლის მოთხოვნების დონე, დემოგრაფიული პოლიტიკის სპეციფიკურობის უკეთ გააზრების მიზნით მოკლედ განვიხილოთ დემოგრაფიული და მოთხოვნილებათა ქვესისტემების ურთიერთდამოკიდებულება.

საზოგადოებრივ ერთიან სისტემაში დემოგრაფიულ და სხვა ქვესისტემათა მსგავსად თავისი ადგილი გააჩნია მოთხოვნილებათა ქვესისტემას, რომელიც შედგება მრავალფეროვან მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა ერთობლიობისგან. რამდენადაც არ არსებობს ცალკე სახით მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები, ყოველ მატერიალურ მოთხოვნილებაში გარკვეული ზომით და ფორმით ჩართულია სულიერი მოთხოვნილებების ელემენტები. თავის მხრივ სულიერი მოთხოვნილებები, რა სახისაც არ უნდა იყოს ისინი, პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია მატერიალურ დანახარჯებთან. მაგრამ ნებისმიერ მოთხოვნილებაში არის რაღაც ძირითადი, რაც განსაზღვრავს მის მატერიალურ ან სულიერ უპირატესობას.

მოთხოვნილებათა აღმავლობის ზოგადსოციოლოგიური კანონის შესაბამისად მოთხოვნილებათა ქვესისტემა განვითარებადია, რაც იმით ვლინდება, რომ საზოგადოების ისტორიულ განვითარებასთან ერთად სულ უფრო სრულყოფილი ხდება მოთხოვნილებათა შინაარსი და შემადგენლობა; მოძველებულ მოთხოვნილებებს ცვლის ახალი. ზოგადსოციოლოგიური კანონის მოთხოვნა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოცემული მომენტისათვის საზოგადოებაში

მოთხოვნილებათა ქვესისტემის პოტენციურ ცვლილებას არა თავისთავად, დამოუკიდებლად, არამედ ქვესისტემაში არსებული სპეციფიკური კანონების ფუნქციონირების და განვითარების შესაბამისად.

საზოგადოების მოთხოვნილებათა ქვესისტემა, ინდივიდების მოთხოვნილებათა ქვესისტემასთან შედარებით მნიშვნელოვნად ფართოა, რამდენადაც თავის თავში შეიცავს ამ უკანასკნელს და იგი ლოგიკურად არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ცალკეული ოჯახის, სოციალური ჯგუფის მიზნებს და კერძო ინტერესებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორც მთლიანად საზოგადოების, ისე თითოეული ინდივიდის, ოჯახის, საზოგადოებრივი ჯგუფის მიერ ხდება მოთხოვნილებათა ქვესისტემიდან ცალკეული იმ მოთხოვნილებების პრიორიტეტულად შერჩევა, რომელთა დაკმაყოფილება რეალურად შესაძლებელია, თუმცა შეიძლება ისინი საზოგადოების მოთხოვნილებებს ნაკლებად შეესაბამებოდეს. ან პირიქით – არსებობდეს საზოგადოებაში რაღაცაზე სულიერი მოთხოვნილება, მაგრამ მისი მატერიალიზება არ მოხდეს მასზე მატერიალური მოთხოვნილების არ არსებობის გამო.

მოთხოვნილებათა ქვესისტემაში სპეციფიკური ადგილი უკავია ბავშვთა ყოლის მოთხოვნილებას. მისი მნიშვნელობა საზოგადოების, ცალკეულ სოციალურ ჯგუფთა და ინდივიდთა (ოჯახის) დონეზე განსხვავებულია, რაც მათი მოთხოვნილებების განსხვავებული პრიორიტეტებიდან აშკარად გამოიკვეთება მოთხოვნილებათა ერთიან ქვესისტემაში. საზოგადოებას არ შეუძლია ინდივიდის (ოჯახის) ბავშვთა ყოლის რაოდენობრივი მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილების უზრუნველყოფა, თუმცა ამის სურვილიც (ნება) უნდა გააჩნდეს. ამიტომ, ინდივიდის და ოჯახის მოთხოვნილებათა სისტემაში პრიორიტეტი სხვა მოთხოვნილებებს უკავია, რისთვისაც მიზნის ადვილად მიღწევისათვის ხშირად ანომალიურ ქმედებასაც ეწევა.

მოთხოვნილებათა ქვესისტემაში ბავშვთა ყოლის მოთხოვნილებაზე გარკვეულწილად განსხვავებული შეხედულებები არსებობს ცნობილ დემოგრაფთა შორის.

როგორც სხვა მოთხოვნილებების, ისევე ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების მნიშვნელობა საზოგადოებისთვის და ინდივიდისთვის (ოჯახისთვის) საზოგადოების განვითარების კონკრეტულ ეტაპზე არაერთგვაროვანია. იგი შეიძლება ერთმანეთის მსგავსი ან ურთიერთგანსხვავებული იყოს. მისი, როგორც უპირატესი სულიერი ან მატერიალური მოთხოვნილება საკამათოა, საზოგადოებისაგან განსხვავებით, ინდივიდში ბავშვის ყოლის სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთადერთი აუცილებელი ელემენტია ბავშვის შობა. აქ ვლინდება შობადობის სოციობიოლოგიური მხარე. ბიოლოგიური შესაძლებლობები ამ შემთხვევაში სოციალური მოთხოვნილების რეალიზაციას განსაზღვრავს. რაც მიანიშნებს მათ ურთიერთგანპირობებულობაზე.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დემოგრაფიულ ურთიერთობათა სისტემის ერთ-ერთი ელემენტის წარმმართველი ფაქტორი და, შესაბამისად, როგორც წმინდა დემოგრაფიული პოლიტიკის ობიექტი. იგი უნდა განვიხილოთ როგორც საზოგადოებრივი მოთხოვნილება, თაობათა განუხრელი აღწარმოების თავლსაზრისით, და მასთან ერთად როგორც პრიოვნების სულიერი მოთხოვნილება ბავშვებზე, რომელთა რაოდენობას ბავშვთა ყოლის სოციალური ნორმების გარდა სხვა ფაქტორებიც განაპირობებენ. ისინი საზოგადოებირვ სისტემაში არსებული ქვესისტემების სახით აჩქარებენ ან ანელებენ მის სრულ რეალიზაციას, ან ვითარების შესაბამისად მათი ზემოქმედება ხელს უშლის მათ სასურველ ბავშვთა რაოდენობის ყოლის რეალიზაციას სოციალურ ნორმამდეც კი.

დემოგრაფიულ ურთიერთობათა სისტემას, როგორც შედარებით დამოუკიდებელს და საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ ფაქტორს, გააჩნია

საკუთარი განვითარების ძირითადი და სპეციფიკური კანონები. თითოეული მათგანი ერთი მხრივ ობიექტურად განაპირობებს მის ფუნქციონირებას და ადგილს ერთიან საზოგადოებრივ სისტემაში; მეორე მხრივ ეს კანონები ურთიერთდამოკიდებულებაში არიან სხვა ქვესისტემების განვითარების კანონებთან. ამიტომ, დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის კანონების და მათი სხვა ქვესისტემათა კანონებთან ურთიერთმოქმედების გაცნობიერების გარეშე, დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება და პრაქტიკული რეალიზაცია არაეფექტიანი იქნება.

საერთოდ, საზოგადობის არსებობის ერთ-ერთი უპირველესი განმსაზღვრელი პირობაა თაობათა უწყვეტი განახლება დროსა და სივრცეში, რაც მოსახლეობის ბუნებრივი და სოციალური აღწარმოებით ხორციელდება. თითოეულ მათგანს თავისი ფუნქციით ცალ-ცალკე მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ერთი შეხედვით მათ შორის არ არსებობს დიალექტიკური ერთიანობა, რამდენადაც მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილება ხშირად არ გადადის თვისებრივ განსხვავებაში და პირიქით მოსახლეობის გარკვეული თვისებრივი განვითარების დონე ყოველთვის არ გულისხმობს მის რაოდენობრივობას.

თაობის აღწარმოება რაოდენობრივი "წარმოების" ასპექტით საზოგადოებაში ხორციელდება გარკვეული საზოგადოებრივი ფუნქციით, დემოგრაფიული ურთიერთობების ხასიათით. ქმარსა და ცოლს შორის ბავშვთა შობის, ბავშვთა აღზრდის პირადული და სუბიექტური ინტერესების გარდა, როგორც საზოგადოების წევრებს შორის არსებობს საზოგადოებრივი ურთიერთობებიც (ინტერესი), რაც სოციალური ურთიერთობების სახით შინაარსობრივად მოსახლეობის (თაობის) სოციალურ აღწარმოებაში გამოიხატება და სოციალურ კანონთა სისტემის ფუნქციონირებაში აისახება.

სოციალური სისტემა კი გვევლინება დემოგრაფიული სისტემის გარე დემოგრაფიულ ფაქტორად. შესაბამისად სოციალური კანონები ირიბ ზეგავლენას ახდენენ თაობის ბუნებრივ (რაოდენობრივ) აღწარმოებაზე, ხოლო პირდაპირ გავლენას – სოციალურ (თვისებრივ) აღწარმოებაზე. ეს უკანასკნელი, საზოგადოების განვითარებიდან გამომდინარე, გარკვულწილად განსაზღვრავს დემოგრაფიულ ურთიერთობებს საზოგადოებაში და აისახება როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოების ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ფორმირებაში. სწორედ ამაში გამოიხატება თაობის ბუნებრივი და სოციალური აღწარმოების ერთიანობის დიალექტიკა. ამიტომ დემოგრაფიულ ურთიერთობათა გარკვეულ ტიპს თავისი სპეციფიკური სოციალური კანონები შეესაბამება.

თაობათა აღწარმოების პროცესზე სოციალურ კანონთა მოქმედებას განსაზღვრავს დემოგრაფიულ ურთიერთობათა სისტემის შინაგანი მდგრადი ხასიათი, რაც თავის მხრივ განაპირობებს სოციალური და სხვა სახის კანონთა ფუნქციონირებას და რაც საზოგადოებაში თაობის მუდმივი რაოდენობრივი და თვისებრივი განახლების მოთხოვნილების კანონიდან გამომდინარეობს. საზოგადოებაში სოციალური თვალსაზრისით ზოგადად არსებობს რამდენიმე თაობა და თითოეულს საზოგადოების განვითარებაში საკუთარი ფუნქცია აკისრია.

თაობათა, როგორც ბუნებრივი, ასევე სოციალური აღწარმოება სოციოკულტურული მემკვიდრეობითი ცვალებადობის ფონზე მიმდინარეობს. მოსახლეობის, როგორც დემოგრაფიულ ურთიერთობათა სისტემის ძირითად ელემენტებს – შობადობასა და მოკვდაობას შორის დროში საკმაო ლაგი არსებობს, რაც სიცოცხლის ხანგრძლივობაში გამოიხატება და რომელ პერიოდშიც, გარკვეული ცვლილებით ადამიანის მემკვიდრეობითი სოციალიზაციის პროცესი მიმდინარეობს, ანუ ბიოტიკურს მოსდევს სოციალიზაცია. მისი ტემპის შესაბამისად ფორმირდება გარკვეულ პერიოდში დაბადებულ ადამიანთა ერთობლიობა თაობის სახით. სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა მნიშვნელოვნად

განაპირობებს საზოგადოებაში თაობათა რაოდენობას, რომელთაც საზოგადოებაში სხვადასხვაგვარი დემოგრაფიული დატვირთვა და მიზანი გააჩნია.

საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე საზოგადოების და ოჯახის ტრანსფორმაციის შესაბამისად ბავშვის სოციალური აღწარმოების ფორმები თანდათან იხვეწებოდა. თაობის სოციალურ აღწარმოებაში მარტო მშობლები არ მონაწილეობენ, დღეისათვის მასში აქტიურად არის ჩართული ბებია-ბაბუებიც (შეიძლება ითქვას ორი თაობის), მთელი ოჯახი. თაობის სოციალური აღწარმოების მოთხოვნებიდან გამომდინარე რამდენიმე თაობის ყურადღების ცენტრში უახლესი თაობის სახით ბავშვია და მისი სოციალური აღწარმოებისკენაა მიმართული ყველანაირი სულიერი და მატერიალური ფასეულობანი.

ოჯახის ბიუჯეტი კი რამდენი ბავშვის ასეთ აღზრდას ეყოფა? ამიტომ ოჯახი ირჩევს იყოლიოს მცირე რაოდენობის ყოველმხრივ განვითარებული ბავშვი, ვიდრე რამდენიმე გაუნათლებელი. სწორედ აქ, მიკროდონეზე, ერთვება წინა თაობები სოციალური ფაქტორის სახით ბავშვთა ყოლის რაოდენობის ფორმირებაში, რაც ადრე ნაკლებად შეინიშნებოდა.

ამიტომ, თაობის ბუნებრივ აღწარმოებაში აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მოსახლეობის სოციალური აღწარმოების კანონთა მოთხოვნები, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მეზოდონეზე ფორმირებულ სოციალურ-დემოგრაფიულ გარემოში ბავშვთა შობის რაოდენობრივ მოთხოვნილებას.

თუ გავითვალისწინებთ კანონის მოთხოვნას მისი ობიექტურობის, მიზნის, ფუნქციონირების თაობაზე, ძირითად დემოგრაფიულ კანონში მოცემული უნდა იყოს საზოგადოებრივ სისტემაში დემოგრაფიულ ურთიერთობათა სისტემის ფუნქციონირების ობიექტურობა და მიზანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დემოგრაფიულ კანონში დემოგრაფიულ ურთიერთობათა სისტემის ფუნქციონირება უნდა აისახოს, როგორც თაობათა სოციალური აღწარმოების ბუნებრივი საფუძველი არადემოგრაფიულ კანონებთან ურთიერთკავშირში. ამ თვალსაზრისით შობადობა უნდა მივიჩნიოთ, დემოგრაფიული ურთიერთობების მემკვიდრეობის ცვლილების ფონზე ბავშვთა ყოლის მოთხოვნილებაზე ინდივიდის სულიერ და საზოგადოების განვითარების მატერიალურ, სულიერ, კულტურულ და სხვა მოთხოვნილებათა დიალექტიკური ერთიანობის გამოვლენად, რაც მიმართულია საზოგადობის ცალკეულ თაობათა სოციალური განახლებისაკენ.

აქედან გამომდინარე, ძირითადი დემოგრაფიული კანონი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ: თაობათა მუდმივგანახლებადი სოციალიზაციის პროცესის უზრუნველსაყოფად, დემოგრაფიულ ურთიერთობათა მემკვიდრეობითი ცვლილების შესაბამისი რეპროდუქციული ქცევით მოსახლეობის უწყვეტი აღწარმოება.

11.3. დემოგრაფიული პოლიტიკის კონცეპტუალური შეხედულებანი

თვით დემოგრაფიის საგნის ორგვარი შინაარსიდან გამომდინარე გამოკვეთილია დემოგრაფიული პოლიტიკის "ვიწრო" და "ფართო" გაგება. პირველი – ძირითადად პრონატალური ხასიათისაა და უმთავრესად სამედიცინო დემოგრაფიის პროგრამებში აისახება, ხოლო მეორეში იგი სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასთან ერთად განიხილება. თუმცა, დემოგრაფიის საგნის "ვიწრო" გაგებიდან გამომდინარე, თავისი სპეციფიკურობით იგი შეიძლება განვასხვავოთ სოციალური პოლიტიკის შემადგენელი სხვა ნაწილებისაგან.

დემოგრაფიული საგნის ორი გაგებიდან გამომდინარე, დემოგრაფიული პოლიტიკის მიმართაც არსებობს არაერთგვაროვანი "ვიწრო" და "ფართო" გაგება. შესაბამისად, არსებობენ დემოგრაფიული პოლიტიკის განსხვავებული

კონცეფციები, რომლებიც შეიცავენ მისი არსის და ობიექტურად განპირობებული მიზნის ურთიერთდამაკავშირებელ საკითხებს და თითოეული მათგანი ეფუძნება (გამომდინარეობს) საზოგადოებაში დემოგრაფიული ფაქტორის ადგილის და როლის გარკვეულ გაგებას.

დემოგრაფიული პოლიტიკის ორიენტაცია მხოლოდ დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის შემადგენელი ნაწილების შინაგანი წონასწორობის უზრუნველსაყოფად, სხვა ქვესისტემებთან ყოველგვარი, ან ნაწილობრივი ურთიერთობის გარეშე, ნიშნავს იმას, რომ პრაქტიკულად ამ წონასწორობის დაცვას არ ექნება საზოგადოების სხვა ქვესისტემებიდან არავითარი მხარდაჭერა, რის გამოც საბოლოო ჯამში ვერ ვუზრუნველვყოფთ დემოგრაფიულ ურთიერთობათა სისტემის შინაგანი ელემენტების წონასწორობის დაცვას, თუნდაც რაღაც გარკვეულ დონეზე.

ზოგიერთი მეცნიერი დემოგრაფიული პოლიტიკის უშუალო ზემოქმედების ობიექტად დემოგრაფიულ პროცესებს მიიჩნევს, მაგრამ მას არ განიხილავენ, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედარებით დამოუკიდებელ ნაწილს, როგორც თანასწორს მის დანარჩენ სახეებთან (მაგ. ეკონომიკურ პოლიტიკასთან), რომელსაც გააჩნია თავისი ობიექტი – სპეციფიკური ურთიერთობები და განსაკუთრებული მიზანი. უფრო მეტიც, მოსახლეობის პოლიტიკაში დემოგრაფიულ პროცესთა მართვის თვალსაზრისით, მის სხვა შემადგენელ ნაწილებთან შედარებით, იგი წარმოდგენილია როგორც არათანაბარმნიშვნელოვანი და არაარსებითი. ანუ, როგორც სხვა პოლიტიკა, არა პირველადი, არამედ მეორადი, რომლის ამოცანაა ლოკალური, კერძოდ, გამწვავებული პრობლემების (მაგ.შობადობა, მოკვდაობა) გადაწყვეტა.

აქედან გამომდინარე, ავტორთა შეხედულებით: "სოციალურ-ეკონომიკური განვითარება იწვევს სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური ქვესისტემების ხარისხობრივ და რაოდენობრივ ცვლილებებს". მისი შედეგია მოსახლეობის, როგორც საზოგადოებრივი წარმოების სუბიექტის, მთავარი საწარმოო ძალის განვითარება, (მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებით), რომელიც "მოვლენათა ზედაპირზე ღებულობს დემოგრაფიული პროცესების ფორმებს".

რეალურად მოსახლეობის განვითარება არის არა მხოლოდ ადამიანთა ცხოვრებისა და შრომის პირობების ცვლილებების უშუალო შედეგი, არამედ დემოგრაფიული განვითარების შედეგიც და განისაზღვრება დემოგრაფიული ურთიერთობებით. ამიტომ, დემოგრაფიული პოლიტიკა არის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და წარმოადგენს დემოგრაფიული პროცესების განვითარების მართვის ფორმას. მისი მიზანი გამომდინარეობს არა მხოლოდ დემოგრაფიული პროცესების ლოკალური, ტაქტიკური ამოცანებიდან, არამედ მათი ობიექტური განვითარების შინაარსიდან.

დემოგრაფიული პოლიტიკა, თავისი არსით, თავის თავში აერთიანებს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ელემენტებს, რომლებიც გვევლინება სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის დამოუკიდებელ ნაწილებად, აქვთ მართვის საკუთარი ობიექტები (შესაბამისი საზოგადოებრივი პროცესები) და ობიექტურად დასაბუთებული მიზნები. რამდენადაც სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა ურთიერთკავშირშია დემოგრაფიულ პოლიტიკასთან, ამდენად მათი წარმატებული გატარება გვევლინება დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად, მაგრამ ვერ ცვლის დემოგრაფიული პროცესების განვითარების მექანიზმების ასამოქმედებელ სპეციალურ ღონისძიებებს.

დემოგრაფიული პოლიტიკის ორიენტაცია არა მის სპეციფიკურ, არამედ არსებითად მხოლოდ სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებზე, თავისი არსით უკვე აღარ ნიშნავს მოსახლეობის აღწარმოებაზე მიმართულ პოლიტიკას.

ნამდვილ დემოგრაფიულ პოლიტიკას, როგორც დემოგრაფიული ფაქტორის განვითარების მართვის ფორმას აქვს სრულიად განსაზღვრული ადგილი. მიზანი კი ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში განპირობებულია მისი არსით, შინაარსით და ადგილით საზოგადოების განვითარებაში. ამ პოლიტიკის მიზანი არსებითად არაა შეზღუდული და გარკვეულწილად განსაზღვრულია დემოგრაფიულ კანონთა შინაარსით.

ბუნებრივია, რომ დემოგრაფიულ პროცესთა მართვა, როგორც საკმაოდ ზუსტად ფორმირებული მიზნების მისაღწევად მიმართული ზემოქმედების ღონისძიებათა სისტემა, შეიცავს მოსახლეობის პროცესების, როგორც მართვის ობიექტის თავისებურებით განპირობებულ, თავის სპეციფიკურ ნიშნებს.

უწინარესად აღვნიშნავთ, რომ ამ ზემოქმედების ობიექტად უნდა იყოს მიჩნეული ყველა დემოგრაფიული პროცესი კომპლექსში. დემოგრაფიული პროცესები რეალურ ცხოვრებაში იმდენად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, რომ მართვის სისტემის შემუშავება მათგან მხოლოდ ერთისთვის არარეალურია. დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებაში კომპლექსურობის პრინციპი ითვლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად.

საკამათო არ არის, რომ დემოგრაფიული ქცევა გვევლინება დემოგრაფიული პოლიტიკის ობიექტად, ხოლო მისი ცვლილება და ახალის ფორმირება კი მიზნად, მაგრამ არა როგორც ერთადერთი და ძირითადი. იგი გარკვეულწილად შუალედური ხასიათისაა. საქმე ისაა, რომ დემოგრაფიული ქცევის (კერძოდ, რეპროდუქციული, თვითშენახვითი და ა.შ.) ცვლილების და მოსახლეობის აღწარმოების პრინციპულად ახალი ტიპის ფორმირების მექანიზმი მთლიანობაში არსებობს არა თავისთავად, არამედ როგორც საზოგადოების განვითარების წანამძღვარი, რაც ჩართულია მოსახლეობის "საზოგადოებრივი წარმოების" ფუნქციონიერებისა და განვითარების მექანიზმში. ამ მექანიზმის არსი ის არის, რომ განვითარებადი, ცვლადი დემოგრაფიული ურთიერთობანი მეტ-ნაკლებად ერგებიან ახალ დემოგრაფიულ ქცევებსაც და ამიტომ სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობებთან (მაგ. წარმოებით ურთიერთობებთან) შედარებით გააჩნია განსაკუთრებული მდგომარეობა და ინერციულობა. ანუ, განპირობებულნი არიან ისტორიულად განსაზღვრული დემოგრაფიული ურთიერთობების განვითარების დონით, რომელიც თავის მხრივ მართვის ძირითადი ობიექტია.

დემოგრაფიული პოლიტიკისადმი ასეთი მიდგომა ბევრად უფრო მართებულია, რამდენადაც მათ მართვის ობიექტად გააჩნიათ საზოგადოების განვითარების წინამძღვარი მოსახლეობის აღწარმოების ტიპის მიღწეული დონე; მიზანი კი მიმართულია ობიექტურად განპირობებული, საზოგადოებაში დემოგრაფიული პროცესების განვითარებული ტიპის ფორმირებისკენ და მისი შენარჩუნების მხარდაჭერისაკენ.

დემოგრაფიული პოლიტიკა, როგორც მთელი, თავისი შინაარსით შედგება ორი ნაწილისაგან: მეცნიერებისა და პოლიტიკისაგან. პირველის გარეშე მეორე არაეფექტიანია, თუმცა საბოლოო ეფექტიანობის თვალსაზრისით პირველის განმსაზღვრელად, პოლიტიკური ნებიდან გამომდინარე გვევლინება მეორე.

პირველი – მეცნიერება დემოგრაფიულ პროცესთა რეგულირებისათვის, იძლევა გამოკვლევათა შედეგად გაცნობიერებულ და დასაბუთებულ რეკომენდაციული ხასიათის ღონისძიებებს, რომელთა პრაქტიკული რეალიზაცია უნდა მოხდეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ. ანუ, მომდევნო ეტაპზე მეცნიერული რეკომენდაციები პოლიტიკურ ხასიათს იძენს და მათი რეალიზაცია დამოკიდებულია ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე.

მსოფლიოში დემოგრაფიული განვითარების პრობლემები როგორც მეცნიერთა, ისე მთავრობათა ყურადღებას იქცევს და მის იგნორირებას საზოგადოებისათვის გამოუსწორებელი შედეგები მოაქვს. საზოგადოებრივი და სახელმწიფო ზემოქმედება დემოგრაფიულ პროცესებზე გარკვეული ფორმით ყოველთვის

არსებობდა და არსებობს, მაგრამ მათ შორის პრინციპული განსხვავება ისაა, თუ რამდენადაა გაცნობიერებული დემოგრაფიულ პროცესთა მართვა და რამდენად შეესაბამება მისი გატარება წინასწარ დასახული მიზნების გადაჭრას.

ამ პრობლემას განსაკუთრებით მწვავე ხასიათი შესძინა თ. მალთუსმა და მისმა მიმდევრებმა. მათ მიერ მოსახლეობის, გარემოსა და ეკონომიკური განვითარების ოპტიმალური ბალანსის ფორმირების შესახებ ჩამოყალიბებულმა სისტემურმა მიდგომამ, საფუძველი ჩაუყარა საზოგადოების ერთიან სისტემაში სისტემათაშორისი "თამაშის წესების" განსაზღვრას. მასლთუსიანელთაგან განსხვავებით ევროპაში მოსახლეობის ზრდას დადებითად აფასებდნენ მერკანტელისტები და მხარს უჭერდნენ ქორწინებათა და მრავალშვილიან ოჯახთა სტიმულირების პოლიტიკას. მოსახლეობის ზრდას პოზიტიურ მოვლენად მიიჩნევენ ჯულიან საიმონის სკოლის წარმომადგენლები.

გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ მოსახლეობის სფეროში გატარებული პოლიტიკა ძირითადად გლობალიზაციის თვალთახედვის არედან გამომდინარეობს და მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის ტემპის შემცირების მიზნით ძირითადად შობადობის შემცირებისკენ მიმართულ დეკლარაციებს იღებს და შესაბამისად ასეთ პროექტებს აფინანსებს. ამ ფონზე ნაკლებად ითვალისწინებენ მცირერიცხოვან ერთა ბუნებრივი უწყვეტობისა და არსებობის საკითხს.

1969 წელს გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაში მოსახლეობის ზრდა განიხილებოდა, როგორც მსოფლიო კრიზისის პირველი ნიშანი.

მოსახლეობის პირველ მსოფლიო სამთავრობოთაშორისო კონფერენციაზე (1974 წ. – ბუქარესტი) მოსახლეობის ზრდის ტემპი განისაზღვრა მოსახლეობის ერთ სულზე მსოფლიოს რესურსებთან თანაფარდობაში. მეორე ანალოგიურ კონფერენციაზე (1984 წ. – მეხიკო) გარემოსა და მოსახლეობის თანაფარდობის საკითხი უკვე გლობალურ დონეზე იქნა დაყენებული და იმ ქვეყნებს, სადაც მოსახლეობის ზრდის ტემპსა და რესურსებზე მოთხოვნილებას შორის უთანაბრობა აღინიშნებოდა, მიეთითათ არა ის, რომ გაეზარდათ ეკონომიკური ზრდის ტემპი, არამედ ის, რომ ეს უთანაბრობა აღმოეფხვრათ შობადობის შემცირების ხარჯზე.

1992 წელს რიო-დეჟანეიროს კონფერენციაზე, მსოფლიოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების დეკლარაციაში აღინიშნა, რომ: "მსოფლიოს მოსახლეობის ზრდა და წარმოების მასშტაბები, მოხმარების ირაციონალურ სტრუქტურასთან მიმართებაში სულ უფრო და უფრო მძიმე დაღად აწვება ჩვენი პლანეტის ცხოვრების უზრუნველმყოფელ პოტენციალს".

ამ საკითხის გაგრძელებას წარმოადგენდა კაიროს (1994 წელი), მოსახლეობის მსოფლიო სახელმწიფოთაშორისი კონგრესი, სადაც ხაზგასმით აღინიშნა დეკლარაციაში, ხოლო მოქმედების პროგრამაში აისახა, რომ: "მოსახლეობის ზრდის ტემპების შემცირებით ბევრმა ქვეყანამ შეძლო მოეგო დრო და შეგუებოდა მოსახლეობის რაოდენობის ზრდას მომავალში. ამან გააფართოვა ამ ქვეყნების სიღატაკესთან ბრძოლის შესაძლებლობები, გარემოს აღდგენა და დაცვის უზრუნველყოფა და შექმნა მომავალში მდგრადი განვითარების საფუძვლები. 10 წელიწადში შობადობის მდგრად დონეზე გადასვლისას შეიძლება ცხოვრების ხარისხზე არსებითი დადებითი გავლენის მოხდენა... მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის სწრაფი სტაბილიზაცია გადამწყვეტ წვლილს შეიტანს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში (პუნქტი 1.1)".

გაეროს გენერალური ანსამბლეათაშორის სესიებზე (1997წ. და 1999 წ.) ერთობ დადებითი შეფასება მიეცა მსოფლიოში შობადობის შემცირების მიზნით განხორციელებულ პროგრამებს და აღინიშნა, რომ "მიმდინარეობს მოსახლეობის მატების ტემპის შემცირება გლობალური მასშტაბით, რომ ამ ტენდენციის შენარჩუნება მიგვიყვანს XXI საუკუნის შუა ხანებისთვის მსოფლიო მოსახლეობის

სტაბილიზაციამდე". ამ პროცესში კი ძნელია გამორიცხო მსოფლიოში რომელიმე მცირერიცხოვან ერთა დეპოპულაცია და გადაშენება.

გლობალისტთა პოზიცია – სიღატაკის დაძლევა ეკონომიკური ზრდის ტემპების გარეშე, მხოლოდ მოსახლეობის, კერძოდ შობადობის შემცირებით ნაკლებ რეალურად გვეჩვენება, რასაც პრაქტიკულად პოსტკომუნისტურ ქვეყნებში არსებული ვითარებაც ადასტურებს.

მსოფლიოს მოსახლეობის სტაბილიზაცია, არაა ახალი და დემოგრაფიული გადასვლის კონცეფტუალურ მოდელშია გათვალისწინებული, იგი მოსახლეობის აღწარმოების მესამე ფაზის ლოგიკური გაგრძელებაა. თუმცა პრაქტიკულად იგი მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ აღნიშნულა. თვით მსოფლიო დემოგრაფთა შორისაც უკვე გაჩნდა ეჭვი დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე ფაზის მიმართ. თითქმის ორი საუკუნის მანძილზე პირველი სამი ფაზის რეალიზაციის ფონზე მეოთხე ფაზა უკვე მირაჟია, რამდენადაც შობადობის და საერთოდ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტაბილიზაცია, კარგა ხნის მანძილზე ლოდინის შემდეგ არცერთ განვითარებულ ქვეყანაში არ აღნიშნულა. ამის არგუმენტად ევროპისა და პოსტკომუნისტური ქვეყნების დემოგრაფიული განვითარებაც კმარა რომლებშიც რეალურად არ მომხდარა დემოგრაფიული სტაბილიზაცია და პირდაპირ დეპოპულაციის პროცესი განვითარდა.

დეპოპულაციის გაგრძელების შემთხვევაში დემოგრაფიული პერსპექტივა ორი ფორმით შეიძლება განვიხილოთ:

1. გარკვეული დროის შემდეგ, შეიძლება დემოგრაფიული სისტემის თვითრეგულაციის ამოქმედების (რაც ნაკლებადრეალურია) მერე შობადობა გათანაბრდეს მოკვდაობასთან და მოხდეს სტაბილიზაცია;

2. საზოგადოებრივი განვითარების შედეგად თვითრეგულაციის ეს მექანიზმი უკვე დეფორმირებული სახით ვეღარ მოქმედებს და აუცილებებლია მასში ჩარევა.

ასეთი მსჯელობის ფონზე, 1980-იანი წლების დასაწყისში წარმოიშვა დემოგრაფიული განვითარების ახალი ჰიპოთეზა: "მეორე დემოგრაფიული გადასვლის" შესახებ.

"მეორე დემოგრაფიული გადასვლა" – უწინარესად, გამომდინარეობს დემოგრაფიული ვითარების არასტაბილურობიდან, რასაც ძირითადად მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარს ქვემოთ განსაზღვრავს შობადობის დონის დაცემა; დემოგრაფიული დაბერების მაღალი დონის შედეგად იზრდება მოკვდაობა და კლებულობს მოსახლეობის ბუნებრივი მატება; მიგრაციის ოპტიმიზაცია ხდება საბაზრო მექანიზმებით; ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობრივი სტაბილიზაციისთვის მიგრაციასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ჩვილთა და მოზარდთა, ასევე შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მოკვდაობის შემცირებით მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას, ხოლო დემოგრაფიული სტაბილიზაცია მიიღწევა თვითრეგულაციით შობადობისა და მოკვდაობის სტაბილურობით თანაბარ დონეზე (ნულოვანი მატება).

მაგრამ, ქვეყანაში მაკროდონეზე ცალკეული დემოგრაფიული პროცესების სასურველი ტენდენციების წინასწარ განსაზღვრა რთულია, რამდენადაც საზოგადოების ერთიან სისტემაში ცალკეულ სისტემათაშორისი ურთიერთობებიდან გამომდინარე სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების მიზეზშედეგობრივი კავშირის მექანიზმები ჯერ კიდევ არასაკმარისადაა გამოვლენილი. ევროპის განვითარებული, პოსტკომუნისტური ქვეყნების და საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ტენდენციების, კერძოდ, მოსახლეობის რეპროდუქციული ორიენტაციების ცვლილება ადასტურებს, რომ მინიმუმ ერთი თაობის (28-30 წელი) მანძილზე შობადობის დონე მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის აუცილებელი დონის ქვემოთ შეიძლება დარჩეს, ხოლო მოკვდაობა მაღალ დონეზე დასტაბილიზდეს.

მიიჩნევენ, რომ ევროპაში მეორე დემოგრაფიული გადასვლა XX საუკუნის 60-იანი წლების შუა პერიოდიდან იწყება. კერძოდ, როცა დამთავრდა "ბები-ბუმი" და დაიწყო შობადობის შემცირება. მიუხედავად იმისა, რომ ამ აზრს ბევრი დემოგრაფი არ იზიარებს, მათ შორის თანხმობა მაინც არსებობს შობადობის შემცირების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორის თაობაზე – საზოგადოებაში ინდივიდუალიზმის პრიორიტეტის ფართოდ განვითარებაზე.

კერძოდ, დემოკრატიზაციისა და ლიბერალიზმის შედეგად საზოგადოების ფასეულობათა სისტემაში შეიცვალა პიროვნების ქცევის ფორმები (მათ შორის დემოგრაფიულიც) და შესაბამისად მნიშვნელოვნად გაიზარდა ინდივიდუალური მიზნების და მათი რეალიზების საშუალებათა არჩევის თავისუფლებაც.

თავი რომ დავანებოთ მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების ანალიზიც კარგად წარმოაჩენს, რომ ინდივიდუალიზმი აქტიურად სწორედ 1960-იანი წლების შუახანებიდან იწყებს წარმოჩინებას (რაც ადასტურებს მეორედან მესამეზე გარდამავალ პერიოდს), რომელიც 1970-იანი წლებიდან გარკვეულწილად განვითარდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუმცა საბჭოური ტოტალიტარიზმისა და დიქტატორულ სისტემასთან შეუთავსებადობის გამო მახინჯი ფორმით გამოვლინდა.

ინდივიდუალიზმმა, ძირითადად ჩრდილოვან ეკონომიკაში ჰპოვა საზრდო, რითაც საქართველოს ბევრი რამ დააკლდა. დემოგრაფიულ ქცევაში ინდივიდუალიზმი ბავშვთაცენტრიზმში აისახა, რის შედეგადაც ოჯახში ბავშვთა რაოდენობრიობა თვისებრიობაში გადაიზარდა. განათლების მაღალი დონის პირობებში, ოჯახმა 5 და მეტ საშუალო ან სპეციალური განათლების და დაბალი კვალიფიკაციის მქონე შვილს, ორი ან სამი უმაღლესგანათლებული და მაღალპრესტიჟული პროფესიის მქონე შვილის ყოლა ამჯობინა. საზოგადოებრივი ცნობიერების პროგრესმა განაპირობა ინდივიდუალური რეპროდუქციული განწყობის შემდგომი ცვლა და ოჯახში ბავშვთა შობის რეგულირების დონის ზრდა, რასაც ქართველ მეცნიერთა სოციოლოგიური და დემოგრაფიული გამოკვლევები ადასტურებენ. ამდენად, საზოგადოებრივ ინტერესზე წინ პიროვნული ინტერესები დადგა. ამას გარკვეულწილად, ქვეყანაში ოჯახის დაგეგმვის მახინჯი ფორმით განვითარებამაც (ძირითადად აბორტებით) შეუწყო ხელი.

ვან დე კაა მეორე დემოგრაფიულ გადასვლას განიხილავს, როგორც სოციალური და დემოგრაფიული ფასეულობებისადმი ახალ ქცევათა მოდელების ტოლერანტობისადმი საზოგადოებრივი პროგრესული აზროვნების შედეგს და გამოყოფს მის ოთხ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს:

1. იურიდიულად გაუფორმებელი ერთობლივი ცხოვრების (არარეგისტრირებული ქორწინება) და ოჯახის ალტერნატიული ფორმების ფართოდ გავრცელება;

2. ოჯახის ბავშვთაცენტრული მოდელიდან შვილზე ინდივიდუალურად ორიენტირებულ პარტნიორულ წყვილზე გადასვლა;

3. პრევენციული კონტრაცეპციიდან, ბავშვთა შობის გაცნობიერებულ დაგეგმვაზე გადასვლა;

4. ოჯახის უნიფიცირებული მოდელიდან პლურალისტურ მოდელზე გადასვლა.

თუ განვიხილავთ ამ ნიშნებს თუნდაც საქართველოში ოჯახისა და პიროვნების სოციალურ-დემოგრაფიულ ქცევასთან მიმართებაში, მეორე დემოგრაფიული გადასვლის თაობაზე მსჯელობა აზრსმოკლებული არ უნდა იყოს და მიკროდონეზე (ოჯახი, ინდივიდი) სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისას ალბათ გასათვალისწინებელია.

საქმე ისაა, რომ ამ ასპექტით ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ რა სოციალურ-ეკონომიკური და სხვა სახის შედეგები შეიძლება მოიტანოს ხანგრძლივი პერიოდით დეპოპულაციის განვითარებამ მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე. შეიძლება იგი დადებითი, ან ისეთი ნეგატიური აღმოჩნდეს, რომლის

გამოსწორებასაც საკმაო ხანი დასჭირდეს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად კი აუცილებელია სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის რეფორმით დეპოპულაციის ტენდენციის შეჩერება და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ნეგატიური სოციალურ-დემოგრაფიული შედეგების გავლენის შერბილებით მისი თანდათანობით აღმოფხვრა მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე.

თანამედროვე დემოგრაფთა შორის შობადობის შემცირება მიჩნეულია, როგორც საზოგადოებრივი განვითარების (პროგრესის) შედეგი. აქედან გამომდინარე გამოყოფენ პრობლემის რეგულირების ორ ძირითად მიმართულებას:

პირველს – მემარჯვენე ლიბერალურ-დემოგრაფიული პოლიტიკა, რომლის წარმომადგენლები შობადობის ზრდის სტიმულირების წინააღმდეგ იშველიებენ პოლიტიკურ, მორალურ-ეთიკურ, ეთნიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის არგუმენტებს. საქმე ისაა, რომ დემოგრაფიული პოლიტიკა თავისი ბუნებით სელექციურია და აქედან გამომდინარე, დემოკრატიის ფონზე მათ მიერ იგი ადამიანის უფლებათა დარღვევად მიიჩნევა. მათი აზრით დემოგრაფიულ სტრუქტურაში მათი რაოდენობა, ვის მიმართაც უნდა წარიმართოს პრონატალური პოლიტიკა, დაბალი შობადობის გამო ყოველთვის ნაკლებია სიცოცხლის ხანრძლივობის ზრდის შედეგად სოციალურ-დემოგრაფიულად დაბერებულ უმრავლესობაზე, რაც ერთობლივი ეროვნული პროდუქტის უთანაბრო გადანაწილებას გამოიწვევს.

ამასთან, ეს უმრავლესობა ძირითადად პენსიონერებს წარმოადგენენ, რომლებიც სიღატაკის პირობებში ფიზიკური გადარჩენისთვის შობადობის სტიმულირების საწინააღმდეგოდ ყოველთვის მოითხოვენ მათთვის პენსიებისა და სოციალური დახმარების უპირატეს ზრდას. მათ ნაკლებად აინტერესებთ, როგორი იქნება დემოგრაფიული სტრუქტურა ერთი თაობის ან თუნდაც 20 წლის შემდეგ – უფრო რეგრესული (დაბერებული) თუ პროგრესული (ახალგაზრდული). ანუ თავისი ფიზიკური გადარჩენის ინსტინქტიდან გამომდინარე ხანრძლივი პერსპექტივის ინვესტირების წინააღმდეგ არიან, მით უფრო როცა მისი დადებითი შედეგის გარანტიები საეჭვოა.

ზოგიერთ ქვეყანასთან (თუნდაც, საქართველო) მიმართებაში, გარკვეულწილად პოლიტიკურადაც და მორალურადაც ეს ასპექტი გასათვალისწინებელია, მით უფრო, თუ პენსიონერებს გარდა ქვეყანაში არის ძალდატანებით მიგრანტთა (დევნილები, ლტოლვილები) დიდი მასა და საერთოდ მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი ღატაკია.

მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია მაკროდონეზე ეთნიკური ნიშნით დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისას დაშვებულ შეცდომას, რაც წარმატებით შეიძლება გამოიყენოს როგორც დაინტერესებულმა შიგა პოლიტიკურმა ძალამ, ასევე შოვინისტური იდეებით განწყობილმა სეპარატისტულმა მოძრაობებმა. მიუხედავად ტრადიციულად ინტერნაციონალური ხასიათის ღონისძიებების მიმართ ავტოქტონული მოსახლეობის ტოლერანტული შინაგანი ბუნების გამოვლენის, ყოველთვის არსებობს ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტების საშიშროება, რომლის რეალიზაცია წარმატებით შეიძლება განახორციელონ სეპარატისტებმა, თუმცა ამაში გარკვეული წილი როგორც წესი, ადგილობრივ ნაციონალისტებსაც მიუძღვით.

მაგრამ, ყველაზე მთავარი, რაც წითელ ზოლად გასდევს მემარჯვენეობას, გამომდინარეობს, ერთი მხრივ ინდივიდუალურის პრიმატში საზოგადოებრივთან (კოლექტიურთან) შედარებით, მეორე მხრივ – უშუალოდ ეკონომიკური პოლიტიკიდან. პირველზე ზემოთ ვისაუბრეთ. რაც შეეხება მეორეს – საბაზრო ეკონომიკის პირობებში ლიბერალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზანი ეკონომიკური შედეგია, ანუ წმინდა ეკონომიკური ეფექტი და არ ითვალისწინებს თანმდევ სოციალურ-დემოგრაფიულ შედეგებს. ამიტომ მემარჯვენეთა შეხედულებით შობადობის შემცირების ტენდენციების ძირითადი განმაპირობებელი

საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შეუქცევადი ბუნებაა და დემოგრაფიულ პროცესთა კანონზომერი ტენდენციების მის წინააღმდეგ წარმართვა ნაკლებრეალურია. დემოგრაფიულ პროცესებზე ზემოქმედების ნაცვლად უმჯობესია ახალ დემოგრაფიულ ვითარებას შევუსაბამოთ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე სახელმწიფო მართვის მექანიზმები.

მემარჯვენეები გამოდიან რა დემოგრაფიული პროცესების გლობალური განვითარების ინტერესებიდან, არ გამორიცხავენ დემოგრაფიული სისტემის თვითრეგულაციით შობადობის ზრდას მოსახლეობის მარტივი აღწარმოების დონის ზემოთაც კი. მათი შეხედულებით, რამდენადაც ჯერ კიდევ კარგად არ არის შეცნობილი დემოგრაფიულ პროცესთა დეტერმინანტები, დემოგრაფიულ პოლიტიკაში პრიმატი ისევ აპრობირებულ მეთოდებს უნდა მივანიჭოთ.

დემოგრაფიული პოლიტიკის მემარჯვენე მიმართულება არც სამუშაო ძალის რაოდენობრივ აღწარმოებას მიიჩნევს პრობლემად. პირიქით, მათი აზრით, მისი სიმცირე ხელს შეუწყობს შრომის მწარმოებლურობის ზრდას და გვევლინება უმუშევრობისა და სიღატაკის შემცირების მნიშვნელოვან ფაქტორად. შობადობის შემცირებით მიღწეული დემოგრაფიული დატვირთვის დაბალი დონის შედეგად კი ბევრად უფრო სრულყოფილი და ეფექტიანი ხდება ხანდაზმულთა სოციალური უზრუნველყოფის სისტემა.

ამ თვალსაზრისით მოიხსენება დემოგრაფიული პოლიტიკის მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემაც, რასაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპი განაპირობებს. საქმე ისაა, რომ არასაკმარისი მატერიალური და ფინანსური რესურსების პირობებში მხოლოდ დემოგრაფიული პოლიტიკის უმნიშვნელო დაფინანსებამაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ სოციალურზე, შესაძლოა ვერ მოიტანოს სასურველი ეფექტი და ამ მიმართულებით წარმართული მცირე ინვესტიცია დააკლდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ზრდისკენ მიმართულ ინვესტიციებს, რაც გამოიწვევს ცხოვრების დონის გაუარესებას.

შობადობის შემცირება, იწვევს რა არასასურველ დემოგრაფიულ დაბერებას, საერთო ჯამში ქვეყანას მნიშვნელოვან პრობლემებს უყენებს დეფორმირებული მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის თვალსაზრისით. ამ კუთხით ე. კოულმა და პ. დემენმა დაიანგარიშეს დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტი მოსახლეობის სტრუქტურასთან მიმართებაში. შედეგად აღმოჩნდა, ის რომ შობადობის სტიმულირებას ამ მხრივ ძალიან დიდი ეფექტი არ მოუტანია. სტაბილურ მოსახლეობაში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, არსებული მოკვდაობის პირობებში 1,6-დან 2,0-მდე ანუ 25% გაიზარდა, რის შედეგად 65 წელს გადაცილებული მოსახლეობა მხოლოდ 6%-ით, – 26%-დან 20%-მდე შემცირდა.

ეკონომიკური განვითარების პროცესში მოსახლეობა ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს გარემოს დაბინძურებას. თუ ეკონომიკის ცალკეული დარგების არასწორი განვითარების პოლიტიკით გამოწვეული უარყოფითი შედეგები კარგა ხანს გაგრძელდა ქვეყანაში არსებული რთული ეკოლოგიური ვითარება კიდევ უფრო დამძიმდება. რამდენადაც ეკოლოგიური პროცესების მოქმედება ხშირ შემთხვევაში ხანგრძლივია და ადამიანი ეკოლოგიურ დაბინძურებას გარემოსთან ურთიერთობაში ხშირად ვერც კი შეიგრძნობს, იმდენად გარკვეულწილად რთულია შეაფასო მისი უარყოფითი გავლენა დემოგრაფიულ პროცესებზე, მით უფრო უნაყოფობის თვალსაზრისით.

მეორე მიმართულების მომხრენი მემარცხენე ცენტრისტული, სოციალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის წარმომადგენლებია, რომლებიც თვლიან, რომ მიუხედავად იმისა, რომ შობადობის დაცემა საზოგადოებრივი პროგრესის შედეგია, საზოგადოების ერთიან სისტემაში დემოგრაფიული სისტემის გარკვეული ავტონომიურობის შედეგად, შესაძლებელია სხვა სისტემათა გააქტიურებით სასურველი სოციალურ-დემოგრაფიული კლიმატის აღდგენა და დემოგრაფიულ

პროცესებზე ზემოქმედება, უწინარესად ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ზრდა მიკრო დონეზე.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მიმდინარე რთული ტრანსფორმაციული პროცესების ნეგატიურმა შედეგებმა მართლაც დაარღვია მოსახლეობის აღწარმოების არსებული სოციალურ-დემოგრაფიული გარემო, ხოლო ახალი, ჯერ არ არის ფორმირებული. მისი ფორმირება კი შესაძლებელია დემოგრაფიულ სისტემაზე სხვა სისტემების მეშვეობით გარედან ჩარევითაც, მაგრამ მანამდე უნდა მოხდეს თვით ამ უკანასკნელთა საბაზრო ეკონომიკის პირობების შესაბამისი ტრანსფორმაცია. მათ სრულ ტრანსფორმაციამდე ზემოქმედება უნდა წარიმართოს შობადობაზე მაკრო და მეზო დონეზე მოქმედ ფაქტორთა შერბილებისკენ კომპლექსურად მოკლევადიანი პროგრამებით, ხოლო მათი სრული ტრანსფორმაციის შემდეგ შემუშავდეს თვისებრივად ახალი შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკა. რაც ძირითადად პრონატალისტურ პოლიტიკას გულისხმობს.

ამ მიმართულების არგუმენტებია ის, რომ დეპოპულაციის პროცესში იმიგრანტთა რაოდენობრივი ზრდა, აბორიგენთა რეპროდუქციულ ქცევას ვერ ცვლის, მით უფრო, როცა დაბალი რეპროდუქციული ქცევით გამოირჩევა ავტოქტონური მოსახლეობა. ამ შემთხვევაში იმიგრაციის ტემპიდან გამომდინარე მოსალოდნელია "ეგზოტიკური" მოსახლეობის წარმოქმნა, ეს უკანასკნელი კი, შესაძლოა რიგი ეთნიკური და რასობრივი დაპირისპირების ფაქტორადაც მოგვევლინოს.

ამდენად, შესაძლებელია, რომ იმიგრაციის პოლიტიკურად ნეგატიური შედეგები დეპოპულაციის სოციალურ-ეკონომიკურ და ეთნიკურ ნეგატიურ შედეგებზე უარესი აღმოჩნდეს. გარდა ამისა, ადრე თუ გვიან მსოფლიოს მაღალი შობადობის მქონე ქვეყნებში, შობადობის დონის შემცირების შედეგად შეიძლება ამოიწუროს იმიგრანტთა პოტენციალი, რის გამოც იმიგრაციით მოსახლეობის რაოდენობის დამბალანსებელი ქვეყნები იძულებულნი იქნებიან თვითონ გაატარონ აქტიური პრონატალისტური პოლიტიკა, თუმცა იგი შეიძლება შემდეგ დაგვიანებული აღმოჩნდეს.

მეორე მიმართულების მომხრენი ნაკლებად იზიარებენ მემარჯვენეთა პოლიტიკურ-მორალურ მოსაზრებებს და მიიჩნევენ, რომ როდესაც ერს დეპოპულაცია ემუქრება, მორალზე ლაპარაკი გამორიცხულია.

საერთოდ თანამედროვე ეტაპზე არც მეცნიერები და არც სახელმწიფო მოღვაწეები არ უარყოფენ დემოგრაფიულ პოლიტიკას, მაგრამ ამ უკანასკნელთა მხრიდან ამისათვის აუცილებელია პოლიტიკური ნება და დემოგრაფიული პოლიტიკის კონცეპტუალური არჩევანი. საქმე ისაა, რომ ამა თუ იმ ფორმით სახელმწიფო მეტ-ნაკლებად ყოველთვის ზემოქმედებდა მოსახლეობის აღწარმოებაზე, მაგრამ აქ პრინციპული საკითხი იდგა, თუ როგორ იყო იგი გაცნობიერებული თვით სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ჯგუფების, ოჯახისა და პიროვნების მიერ, ანუ რა მიზანს და ამოცანებს ისახავდა ეს პოლიტიკა მეგა, მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე და რა დოზით იყო გათვალისწინებული პრონატალური პოლიტიკა.

მემარჯვენე მიმართულების მომხრეთათვის დემოგრაფიულ პროცესებზე, უწინარესად შობადობის რეგულირებაზე სუბიექტთა ჩარევის საზღვრები მოხსნილია იმდენად, რამდენადაც ისინი ეწინააღმდეგებიან დემოგრაფიული პოლიტიკით ამ პროცესებში საერთოდ ჩარევას. მეორე მიმართულების მომხრეთათვის საკითხი გარკვეულწილად პრობლემატურია, გამომდინარე იქიდან, თუ როგორაა გაცნობიერებული დემოგრაფიული პოლიტიკა – ფართო თუ ვიწრო გაგებით. ანუ იგულისხმება შობადობაზე და მოკვდაობაზე ზემოქმედება, თუ მხოლოდ შობადობის რეგულირებისკენ მიმართული პრონატალური პოლიტიკა.

საერთოდ მოკვდაობაზე ზემოქმედება მხოლოდ ერთი მიმართულებით, მისი შემცირებისკენ წარიმართება, სხვა შემთხვევაში პოლიტიკა ამორალური იქნება. იგი ძირითადად სოციალური და ჯანდაცვის სფეროს სრულყოფისა და გაუმჯობესებისკენაა მიმართული. რაც შეეხება შობადობას, აქ მეგა, მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ფორმირების მიმართულებები განსხვავებულია.

მეგა დონედ უნდა მივიჩნიოთ 1984 წელს მოსახლეობის მსოფლიო კონფერენციაზე მეხიკოში მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმად დემოგრაფიული პოლიტიკა იძულებით ხასიათს არ უნდა ატარებდეს. თავის მხრივ იგი სხვადასხვაგვარად გაიგება. ერთის მხრივ იგი ნიშნავს განქორწინებების, აბორტების და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების, ოჯახის დაგეგმვის პროპაგანდის და დემოგრაფიული პოლიტიკის სხვა ღონისძიებათა აკრძალვას, რაშიც ასევე შეიძლება ვიგულისხმოთ დახმარების მიცემა მესამე ბავშვზე, ანუ თუ დედას (ოჯახს) ვაიძულებთ გააჩინოს მესამე ბავშვი დახმარებისათვის, სხვა შემთხვევაში მას არ დაეხმარებიან და ა.შ. ამ საკითხს თავის დროზე ყოფილი სოციალისტური ქვეყნების დემოგრაფთა მხრიდან საკმაო კრიტიკა მოჰყვა.

მაგრამ თუ დემოგრაფიული პოლიტიკის მიზნები კეთილშობილურია და მისი ღონისძიებები საზოგადოების ყველა წევრს აძლევს საშუალებას სასურველ ბავშვთა სრული რეალიზაციისათვის, იგი არ უნდა ჩაითვალოს იძულებითად და პოლიტიკურ-მორალური თვალსაზრისით გამართლებულია. ამიტომ მეგა დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე.

სოციალური ზემოქმედების მეორე დონე დაკავშირებულია ფორმალურ და არაფორმალურ საზოგადოებასთან, რომლებშიც ცხოვრობს, შრომობს და ახორციელებს კონტაქტს ყველა პიროვნება, რომლის სოციალურ ფასეულობათა მიმართ განწყობის გარემოს ქმნის შრომითი კოლექტივი, ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფი და ა.შ.

მესამე დონეში – ჩართულია საოჯახო სფერო, რომელსაც მიეკუთვნება ოჯახთან დაკავშირებული მატერიალური და სულიერი ყოფა, მოთხოვნილებები, მოღვაწეობა და რომელშიც უშუალოდ ხდება მოსახლეობის აღწარმოება.

მეოთხე დონე – მოიცავს პიროვნებების ცხოვრებისეულ პოზიციას და მისწრაფებას პროფესიული სრულყოფისკენ და სხვა, რაც პიროვნების შრომით და სოციალურ მოღვაწეობაში ფორმირდება.

დემოგრაფიული პოლიტიკის სუბიექტებად საერთოდ მიჩნეულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები. გამომდინარე აქედან, სუბიექტებს უნდა წარმოადგენდნენ: მაკროდონეზე – სახელმწიფო, მეზოდონეზე – საზოგადოებრივი ჯგუფები (ახალგაზრდობა, ქალები, ხანდაზმულები, ლტოლვილები და სხვა) და რეგიონალური მმართველობასა და თვითმმართველობის ინსტიტუტები, ხოლო მიკროდონეზე – ოჯახი და ინდივიდი.

ამასთან, მაკრო და მეზოდონეზე მიღებული გადაწყვეტილებების მიზნები უნდა შეესაბამებოდეს მიკროდონეზე – ოჯახისა და პიროვნების ინტერესებს. მხოლოდ სამივეს ინტერესთა შეთანაწყობით შეიძლება მივაღწიოთ მოსახლეობის აღწარმოებისათვის საზოგადოებრივად საჭირო ბავშვთა რაოდენობის თანდათან, ეტაპობრივ მიახლოებას მიკროდონეზე. ამასთან, მიკროდონეზე ოჯახს არასდროს არ უნდა აეკრძალოს დემოგრაფიული ქცევის ალტერნატიული მოდელის არჩევა, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა იგი საზოგადოებრივად მაკრო და მეზოდონეზე აღიარებულ მოდელს.

წარმოდგენილი სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის დონეები არგუმენტირებულია იმით, რომ პიროვნებაში ბავშვთა რაოდენობაზე მოთხოვნილების ფორმირება ადრეულ ასაკში იწყება. გამოკვლევიდან გამომდინარე, 13-14 წლის ადამიანში (მიკროდონე), მოსახლეობის

აღწარმოებისათვის საჭირო ბავშვთა რაოდენობის ფორმირებაში მონაწილეობს მაკროდონეზე – სახელმწიფო და საზოგადოება (პოლიტიკური ნებით და გატარებული პოლიტიკით); მეზოდონეზე – საზოგადოებრივი ჯგუფები, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ოჯახის წევრს და მათში ცალ-ცალკე (ახალგაზრდებში, ქალებში, პენსიონერებში და ა.შ.) საზოგადოებრივად საჭირო ბავშვთა რაოდენობის გაცნობიერებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიკრო დონეზე – ოჯახში და პიროვნებაში (განსაკუთრებით ადრეულ ასაკში) სასურველ ბავშვთა რაოდენობის ფორმირებაში.

ცხადია, ასეთი რეპროდუქციული განწყობის საწინდარად რჩება მაკრო, მეზო და მიკროდონეზე არადემოგრაფიულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რაც ქმნის სასურველ ბავშვთა ყოლის რეალიზაციის სასურველ სოციალურ-დემოგრაფიულ კლიმატს. ეს კი გულისხმობს სოციალური პოლიტიკის აქტივიზაციას. საერთოდ, დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება ნაკლებეფექტიანი იქნება სოციალური პოლიტიკის გარეშე, დემოგრაფიული სისტემის თვითრეგულაციის პროცესშიც კი. ამიტომ დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობას არსებითად განაპირობებს ის, თუ როგორ გავიაზრებთ დემოგრაფიული პოლიტიკის საზღვრებს, ანუ გავატარებთ მას დემოგრაფიის საგნის "ვიწრო" თუ "ფართო" გაგებიდან გამომდინარე. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს წმინდა პრონატალურ პოლიტიკასთან და იგი გარკვეულწილად მხოლოდ რეპროდუქციული ქცევის კორექტირებას გულისხმობს, მაშინ როდესაც "ფართო" გაგებით დემოგრაფიული პოლიტიკა სოციალური და სხვა სახის პოლიტიკის ელემენტებსაც შეიცავს. მათი პრინციპები და მეთოდები ამ შემთხვევაში თანხვედრილია და ხშირად გამოიყენება ერთი და იგივე ღონისძიებების სახით.

დემოგრაფიულ პოლიტიკას "ფართო გაგებით", მოსახლეობის პოლიტიკასაც უწოდებენ, ეს უკანასკნელი თავისი მასშტაბებით ერთობ ფართოა და მოსახლეობის სხვა სფეროებსაც (კულტურა, რელიგია და სხვა) მოიცავს. ამიტომ დემოგრაფიული პოლიტიკა "ფართო გაგებით" უნდა განვიხილოთ, როგორც სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკა, რაც უფრო ზუსტად და კონკრეტულად ასახავს დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების პოლიტიკის მიზანს, როლს და მისი მიღწევის პროგრამულ მიმართულებებს. მასში უფრო ზუსტად გამოიკვეთება მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე გასატარებელი ღონისძიებები. იგი უკვე განსაკუთრებული ფორმით წარმოდგება და თავის თავში მოიცავს:

1. დემოგრაფიული პროცესების (ყველა სახის) ცვლილებაზე პირდაპირ მიმართულ პოლიტიკას;
2. სხვა მიზნებით გატარებულ, მაგრამ სასურველი ან შესაძლებელი დემოგრაფიული შედეგების მიღების გათვალისწინებულ პოლიტიკას;
3. ყოველგვარი განსაკუთრებული დემოგრაფიული მიზნების გარეშე გატარებულ, მაგრამ დემოგრაფიულ სფეროში მნიშვნელოვანი შედეგების მომტან პოლიტიკას.

სხვადასხვა ქვეყნებში გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკის ანალიზი ადასტურებს, რომ დემოგრაფიული პოლიტიკა "ფართო გაგებით" საკმაოდ ხანგრძლივ, თითქმის მუდმივ ხასიათს ატარებს, თუმცა ხანდახან წინააღმდგობრივი ხასიათისაა, მაშინ, როცა "ვიწრო" დემოგრაფიული პოლიტიკა ყოველთვის პერიოდული და დროებითია.

ამდენად, "ფართო გაგებით" დემოგრაფიული პოლიტიკა თავისი პოტენციალური შესაძლებლობებით უფრო ახდენს ზეგავლენას მოსახლეობის რეპროდუქციულ ქცევაზე, ვიდრე "ვიწრო გაგებით", მით უფრო, ამ უკანასკნელის ღონისძიებების ეფექტი, როგორც წესი ხანმოკლეა, ან სულაც არ მოაქვს სასურველი შედეგი.

რამდენადაც "ვიწრო" დემოგრაფიული პოლიტიკა, ძირითადად დემოგრაფიული პროცესების მაკორექტირებელ ფუნქციას ასრულებს, ამდენად, მისი პროგრამები,

ფაქტიურად წინასწარ არიან განწირული. ფუნდამენტური მიზნების პროგრამების რეალიზაცია პოტენციურად მხოლოდ "ფართო" დემოგრაფიული პოლიტიკის მეშვეობითაა შესაძლებელი. ამიტომ არარეალურია ცალკეული პროგრამების ან ღონისძიებების მეშვეობით ვიმოქმედოთ მოსახლეობის განვითარების გლობალურ ტენდენციებზე, განსაკუთრებით კი თუ ისინი ეწინააღმდეგება საზოგადოების ცხოვრების ეკონომიკურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ პირობებს.

"ფართო გაგებით" დემოგრაფიული პოლიტიკის უარყოფით თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მისი გატარებისას ხშირად იშლება ზღვარი დემოგრაფიულ და სოციალურ პოლიტიკას შორის. მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის მის წარმატებით გამოყენებაში. მთავარია მიზნის მიღწევა. დემოგრაფიული პროცესების სასურველ ცვლილებასთან ერთად თუ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური პირობები გაუმჯობესდება, არსებითი მნიშვნელობა აღარ უნდა მივანიჭოთ იმას, თუ რას – დემოგრაფიულ, თუ სოციალურ პოლიტიკას მიეკუთვნება იგი.

პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის, სადაც თითქმის ყველა სახის პრობლემა ერთმანეთთანაა დაკავშირებული, კონკრეტული, დემოგრაფიული "ვიწრო გაგებით" პროგრამის ერთმნიშვნელოვნად გატარება (თუნდაც მარტო შობადობის ზრდის თვალსაზრისით) მიუღებელია. შეიძლება ითქვას, მხარდაჭერას უკვე ჰპოვებს არა დემოგრაფიული პოლიტიკა "ვიწრო გაგებით", არამედ "ფართო გაგებით". მათ შორის არსებობს ორი პოზიცია:

პირველს შეიძლება ვუწოდოთ კლასიკური, რამდენადაც იგი დაფუძნებულია საუკუნის წინ საფრანგეთში შემუშავებულ დემოგრაფიულ პოლიტიკაზე. ამ კონცეფციის თანახმად საზოგადოების დონეზე განისაზღვრება მოსახლეობის ოპტიმალური განვითარების პარამეტრები, მისი მიღწევის გზები და საშუალებანი. ამის შესაბამისად, სახელმწიფო მიკროდონეზე ანუ, ოჯახში რეპროდუქციული ქცევის სასურველი ტიპის ფორმირებისათვის, მაკროდონეზე წარმართვას გაძლიერებული დემოგრაფიული პოლიტიკის ხელშემწყობ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პროგრამულ ღონისძიებებს. ამ მიმართლებას "პატერნალისტურ" პოლიტიკასაც უწოდებენ.

ასეთი პოლიტიკის ეფექტიანობის უკმარისობამ და დემოგრაფიულ სფეროში დემოკრატიული თავისუფლების გაგებამ, თანდათანობით განსაზღვრა ახალი დემოგრაფიული პოლიტიკის კონცეფციის ფორმირება "საოჯახო პოლიტიკის" სახით, რომელიც უშუალოდ ორიენტირებულია ოჯახისა და პიროვნების ინტერესებზე. ასეთი პოლიტიკის მოქმედების არე არაა მარტო რეპროდუქციული ქცევა, არამედ თვითმოვლითი, (ჯანმრთელობა), ბავშვთა, მარტოხელების, ინდივიდების და ხანდაზმულთა სოციალური უზრუნველყოფაცაა.

ასეთი პოლიტიკის ორიენტაცია რაოდენობრივი მიზნებიდან უპირატესად გადადის ადამიანის თვისებრივი განვითარების მიზნებზე, რაშიც იგულისხმება: მოსახლეობის ჯანმრთელობა, მისი ქორწინებითი, საგანმანათლებლო და სოციალური სტრუქტურა, ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე საშუალებათა გავრცელების ხარისხი და თითოეული ოჯახის უზრუნველყოფა სასურველი რაოდენობის შვილთა ყოლისთვის, ოჯახში და საზოგადოებაში ქალთა თანასწორობის რეალურად მიღწევა და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ საოჯახო პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს ოჯახისა და პიროვნებისათვის სასურველი ტიპის ქორწინებისა და რეპროდუქციული ქცევის არჩევის რეალური თავისუფლების გაფართოება. ამასთან, მასში იგულისხმება, ეკონომიკური, სოციალური, მორალური და ფსიქოლოგიური თავისუფლება. არსებითად ხდება პრონატალური პოლიტიკის მიზნების შეცვლა რაციონალური დემოგრაფიული ქცევის თავისუფალი რეალიზაციის გაფართოებული უზრუნველყოფის ორიენტაციაზე.

ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ საოჯახო პოლიტიკა სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის ადეკვატურია, მაგრამ ეს უკანასკნელი იმით

განსხვავდება საოჯახო პოლიტიკისგან, რომ იგი უშუალოდ მიმართულია შობადობის ზრდისკენ და ტარდება ყველა დონეზე. ინდივიდში ბავშვთა ყოლის რაოდენობრივი მოთხოვნილების ფორმირების პროცესში მონაწილეობს საზოგადოების ყველა ფენა, რომელთა ინტერესები გათვალისწინებულია არა მხოლოდ მიკრო, არამედ მეზო და მაკრო დონეზე.

განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიზანია სიღატაკის დაძლევა, ერთი მხრივ უმუშევრობის შემცირებით, მეორე მხრივ საარსებო მინიმუმთან მინიმალური ხელფასის ეტაპობრივი დაახლოებით, რაც მაკროდონეზე უნდა მოხდეს და იგი საოჯახო პოლიტიკის საზღვრებს სცილდება. საქმეს ართულებს ისიც, რომ შობადობის შემცირებას, მნიშვნელოვნად განაპირობებს დასავლეთის ქვეყნების ცხოვრების დონის უნიფიკაციის მაღალი ტემპი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რის შედეგადაც რეპროდუქციულ ქცევას უკვე განსაზღვრავს არა იმდენად ინდივიდის სურვილი, რამდენადაც "იმპორტირებული", ახლად ფორმირებული ქცევის მოდა, რაც უპირატესად მიკროდონეზე ოჯახზე ახდენს გავლენას. მისი ორიენტაცია მიმართულია ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფისაკენ, ცვლის შეხედულებებს ბავშვთა ყოლის რაოდენობაზე.

ამიტომ, მაღალი უმუშევრობისა და სიღატაკის მქონე განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის რეალიზაცია ძლიერი სოციალური პოლიტიკის გარეშე არაეფექტიანია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია კომპლექსური ერთიანი სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკა, სადაც პრიმატი ქვეყანაში და ოჯახში სიღატაკის დაძლევას უნდა მიენიჭოს. სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის რეალიზაციამ უნდა შექმნას საოჯახო პოლიტიკაზე გადასვლის პირობები, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ უკანასკნელის ცალკეული ღონისძიებების გატარებაზე საერთოდ უარი ვთქვათ. საოჯახო პოლიტიკა ქვეყანაში ფუფუნებაა, რისთვისაც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები მზად არ არიან არც ფინანსური და არც სოციალური სისტემის მართვის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ საოჯახო პოლიტიკის გატარება დიდ ფინანსურ დანახარჯებთან ერთად მოითხოვს სისტემურ რეფორმას, სოციალური მენეჯმენტის ახალ ფორმას და შინაარსს. თავი რომ დავანებოთ აღმსრულებელი ხელისუფლების სტრუქტურულ რეფორმას, მის გასატარებლად აუცილებელია კადრების მომზადება. ისეთი ახალი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტთა სახით როგორიცაა სოციალური მუშაკი. არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯერ კიდევ არასაკმარისი რაოდენობა შემთხვევითი კადრებით და არასათანადო გამოცდილება, ვერ შეასრულებენ სოციალური მუშაკის ფუნქციას, რომელთა მომზადებას და საოჯახო პოლიტიკის ღონისძიებებში ჩართვას ევროპაში საკმაო დრო დასჭირდა.

11.4. სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები

როგორც მრავალი ქვეყნის გამოცდილება მოწმობს, ქვეყნის დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრა მხოლოდ დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით, ნაკლებ ეფექტიანია. ამიტომ ბოლო წლებში ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ, მასთან ერთად, სრულიად ახალი საოჯახო პოლიტიკის გატარება დაიწყო. საქმე ისაა, რომ მსოფლიოში ლიბერალური და დემოკრატიული პროცესების შემდგომმა განვითარებამ აშკარად დაადასტურა ოჯახის ავტონომიურობისა და დამოუკიდებლად განვითარების აუცილებლობა. ამან კი, მანამდე არსებული სახელმწიფო სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკისგან განსხვავებული საოჯახო პოლიტიკის შემუშავება მოითხოვა. იგი მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ოჯახს სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით, დამოუკიდებლად, ავტონომიურად

გადაეწყვიტა ოჯახის არა მხოლოდ დემოგრაფიული, კერძოდ, ოჯახში სასურველ ბავშვთა რაოდენობის ყოლა, არამედ, საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და სხვა პრობლემები.

ბუნებრივია, ისევე, როგორც დემოგრაფიულ პოლიტიკას, საოჯახო პოლიტიკის შემუშავებას თავისი ეტაპები გააჩნია. ამ თვალსაზრისით პირველ ეტაპზე, მთავრობის პოლიტიკური ნებიდან გამომდინარე, აუცილებელია ქვეყანაში და, კერძოდ, ოჯახში არსებული სოციალურ-დემოგრაფიული ქცევის მეცნიერულ დონეზე შესწავლა, რასაც სპეციალური სოციოლოგიური, სტატისტიკური და დემოგრაფიული გამოკვლევა ესაჭიროება. მომდევნო ეტაპზე კი უკვე ხდება დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების მიხედვით ღონისძიებების შემუშავება და დაფინანსების წყაროების მოძიება.

მთავრობის მიერ დამტკიცებული, მეცნიერულ დონეზე შემუშავებული, სახელმწიფო დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის კომპლექსური პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად, ხშირად საჭირო ხდება სოციალური სამსახურების ინსტიტუციონალიზაცია და შესაბამისი კადრების მომზადება-გადამზადება.

სახელმწიფო დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის კომპლექსურობა ბევრად უფრო ეფექტიანია და რაც მთავარია, საშუალებას იძლევა სახელმწიფო პროგრამები გატარებულ იქნას ერთდროულად მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე ცალკეული, კერძოდ: სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, პროპაგანდისტული და სხვა მიმართულებების მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის, განსაკუთრებით კი, ოჯახის დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, როგორც სამართლებრივი, ასევე სოციალურ-ეკონომიკური და პროპაგანდისტული თვალსაზრისით, მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე არსებითად განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს, დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის შემუშავებული ღონისძიებები, მათი ეფექტიანობის მიზნით, აუცილებელია კომპლექსურად ერთიანი სისტემის სახით იქნას გატარებული. ამასთან, დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდის თვალსაზრისით, მაკრო და მეზო დონეზე აუცილებელია სოციალური პოლიტიკის ცალკეული ღონისძიების გატარება, როგორც მთელ მოსახლეობაში, ასევე ცალკეულ სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერულ დონეზე შემუშავებული დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა წარმოგვიდგება, როგორც დემოგრაფიულ პროცესთა მართვის ხელშემწყობი სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, პრონატალური და სხვა სახის ღონისძიებათა კომპლექსის ერთიანი სისტემა, რომელიც განსაზღვრავს და ხელს უწყობს ქვეყანაში სასურველი დემოგრაფიული კლიმატის ფორმირებას და ოჯახის სტაბილურ განვითარებას.

დემოგრაფიული პოლიტიკა ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკურ ნებას წარმოადგენს და გენერალური მიზნიდან გამომდინარე, იგი შეიძლება გატარდეს შობადობის როგორც ზრდის, ასევე შემცირების მიმართულებით, რაც გულისხმობს შობადობის ოპტიმიზაციას ქვეყნის დემოგრაფიული განვითარებისათვის საჭირო დონეზე.

მოკვდაობის მიმართულებით, ნებისმიერი ქვეყნის დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ძირითად მიზანს მისი შემცირება და მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა უნდა წარმოადგენდეს. სხვა შემთხვევაში, ასეთი სახელმწიფოს არსებობა არაჰუმანურია და მას მსოფლიოს მთელი საზოგადოებრიობა დაუპირისპირდება.

ქვეყანაში სასურველ დემოგრაფიულ ქცევას ბევრად განსაზღვრავს ქორწინება-განქორწინების დონე, თუმცა უკვე გასათვალისწინებელია ოჯახის შექმნის ისეთი უახლესი ლიბერალურ-დემოგრაფიული ფორმების გავრცელება,

როგორიცაა: თანაცხოვრება, ხელშეკრულებით ვადიანი ქორწინება და სხვა, რაც თავის მხრივ, ასახულ უნდა იქნას საოჯახო პოლიტიკის ღონისძიებებში.

რაც შეეხება მიგრაციას, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეტაპზე მის ინტენსივობას საბაზრო ურთიერთობები განაპირობებენ, მისი რეგულირების სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმები, როგორც ცალკე მიმართულება დემოგრაფიულ პოლიტიკაში, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

როგორც დემოგრაფიული, ისე საოჯახო პოლიტიკა, მიუხედავად მათ შორის გარკვეული განსხვავებისა, თითოეულის შინაარსიდან გამომდინარე, ძირითადად ჰუმანურ მიზნებს ემსახურება და შესაბამისად, მათი პრინციპებიც ერთგვაროვანია და ადამიანისა და ოჯახის ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობებიდან გამომდინარეობს. ისინი ძირითადად საერთაშორისო კონფერენციებსა და სახელმწიფო კონსტიტუციას ეფუძნებიან და შემდეგნაირად წარმოგვიდგებიან: კონსტიტუციურობა და სამართლიანობა, დემოგრაფიულობა, არაპარტიულობა, არაეროვნულობა და არასექტიურობა, ნეოტრადიციონალიზმი, ეტაპობრიობა, რეგიონალიზმი, ობიექტურობა, ოჯახისა და პიროვნების არჩევანის თავისუფლება, თვითგანვითარება და ა.შ.

რამდენადაც ქვეყნის დემოგრაფიული განვითარებისათვის ბავშვთა საჭირო რაოდენობის საბოლოო რეალიზაცია ძირითადად ოჯახში ხდება, ამიტომ როგორც დემოგრაფიული, ისე საოჯახო პოლიტიკის პროგრამული მიმართულებების ცალკეული ღონისძიების შემუშავებისას უწინარესად გათვალისწინებულ უნდა იქნას ოჯახის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები, რომელთა გათვალისწინებას დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ეფექტიანობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ.

ოჯახის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები

ოჯახის სტაბილურობა ბევრად განსაზღვრავს ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების რეალიზაციას და შესაბამისად, ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებას, ხოლო ოჯახის სტაბილურობაზე ზემოქმედებენ შიგა და გარე ფაქტორები. გარე ფაქტორების ცვლილება მნიშვნელოვნად ზემოქმედებს შიგა ფაქტორების მდგრადობაზე, რაც საბოლოო სახით ძირითად ფუნქციათა აღწარმოებითი, აღმზრდელობითი (ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სხვა) რეალიზაციის ეფექტიანობაში გამოვლინდება და სტაბილურ სოციალურ-დემოგრაფიულ ქცევაში აისახება.

თაობათა აღწარმოებაზე მოქმედ მრავალ ფაქტორთაგან მნიშვნელოვან შიგა ფაქტორად გვევლინება მსოფლიოსა და ევროპის განვითარებული ქვეყნების მსგავსი ცხოვრებისა და ქცევის ინტერნაციონალურ დონეზე ფორმირებული სტილის გარკვეული უნიფიკაცია და სტანდარტიზაცია ოჯახში. სწორედ ამის შედეგად, 1960-იანი წლების შუა პერიოდში, ოჯახში ფორმირებულმა "ბავშვთა ცენტრიზმმა" განაპირობა შიგა ფაქტორის "ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების" შესუსტება. ცალკეული გამოკვლევები ადასტურებენ, რომ უკვე 1980-იან წლებში მომავალ თაობაში, დედებთან შედარებით, ორიენტაცია საშუალოშვილიან (3-4 ბავშვი) ოჯახზე 2,5-ჯერ, ხოლო მრავალშვილიანზე (5 და მეტი ბავშვი) 33-ჯერ დაბალი იყო. ამდენად, მომავალ თაობაში უკვე ფორმირებული სასურველი ოჯახის ტიპი, როგორც შიგა ფაქტორი, დემოკრატიზაციისა და პიროვნების თავისუფლების პროგრესულ პროცესთან ერთად, მნიშვნელოვნად მოქმედებს მომავალში ახალგაზრდა ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიულ ქცევაზე.

ოჯახის სტაბილიზაციაზე და სოციალურ-დემოგრაფიულ განვითარებაზე მოქმედი გარე ფაქტორები სტრუქტურულად შემდეგნაირად შეიძლება დავაჯგუფოთ:

პოლიტიკური:

- სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის კონცეფცია-პროგრამებისადმი სახელმწიფო მიდგომა
- ერთაშორისი ურთიერთობის არსებული კლიმატი და ეთნოკონფლიქტების წარმოქმნის უსაფრთხოების დონე
- ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების სპეციფიკურობიდან გამომდინარე გაეროსა და მოსახლეობის საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება
- ოჯახისა და სოციალურ-დემოგრაფიული განვითარებისთვის არსებული საკანონმდებლო ბაზა
- მოსახლეობის განათლებისა და კულტურის დონე და ა.შ.

ეკონომიკური:

- ეკონომიკური განვითარების დონე
- ფინანსური სტაბილიზაცია და საბიუჯეტო მარაგები
- ეკონომიკის დარგების განვითარების დონე
- საოჯახო ბიზნესის ფორმირების და განვითარების დონე
- კორუფციის დონე
- საგადასახადო პოლიტიკის შესაბამისობა საოჯახო ბიზნესთან
- სოციალური შედეგების თვალსაზრისით, ეკონომიკური პროგრამების სრულყოფილება და მათი დაფინანსების შესაძლებლობები.

სოციალური:

- სოციალური ინფრასტრუქტურის არსებული დონე
- ჯანდაცვის, განათლების და სოციალური დაცვის სისტემის არსებული დონე
- სოციალური პროგრამების დაფინანსების ეფექტიანობა
- სოციალური სფეროს სამართლებრივი ბაზის სრულყოფილება
- უმუშევრობისა და სიღატაკის დონე
- საარსებო მინიმუმთან მინიმალური ხელფასის თანაფარდობა
- ქონებრივი უთანასწორობის შედეგად სოციალური პოლარიზაციის დონე
- ოჯახის, განსაკუთრებით ახალგაზრდა ოჯახების, საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები
- სოციალური ანომალიების (ნარკომანია, პროსტიტუცია, ლოთობა, მათხოვრობა და ა.შ.) არსებული დონე
- მომავალი თაობის აღზრდაში სკოლისა და ოჯახის პარტნიორული ურთიერთობის დონე
- ახალგაზრდობის პროფორიენტაციის სისტემის სრულყოფილება; საოჯახო პოლიტიკის ფორმების განვითარების შესაძლებლობა და ოჯახის სოციალური სამსახურის არსებობა
- ქალთა საკითხებისადმი საზოგადოების და სახელმწიფოს მიდგომა;
- ხანდაზმულთა და ინვალიდთა სოციალური დაცულობის დონე.

პრონატალური და დემოგრაფიული:

- დემოგრაფიული ქცევის სტაბილურობის დონე
- მოსახლეობის თვითმოვლითი ფუნქციის (თვითმკურნალობის სათანადო გამოცდილება და ა.შ.) არსებული დონე, განსაკუთრებით ახალგაზრდა გოგონებში

- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ეფექტიანობის არსებული დონე
- ქვეყნის რაიონებში რეპროდუქტოლოგიური კაბინეტების, ოჯახის დაგეგმვის სამსახურის ქსელის არსებობა და ეფექტიანობა
- ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების დონე; მათი წარმოების საწარმოთა არსებობა
- სამკურნალო პრეპარატებზე ხელმისაწვდომლობა
- ბავშვთა და მოზარდთა ადრეული რეპროდუქციული ანომალიების პროფილაქტიკისა და მკურნალობის, ასევე ქალთა უნაყოფობის დონე
- ორსული ქალებისთვის არსებული შეღავათები
- მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი და ქორწინებითი სტრუქტურა
- დემოგრაფიული დაბერების დონე
- ქორწინების და სასურველ ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების დონე
- გარე მიგრაციის ინტენსივობის დონე
- მოსახლეობის განსახლების სისტემა
- სოციალურ-დემოგრაფიული და პრონატალური პოლიტიკის პროგრამების რაოდენობა და ხარისხი
- ოჯახში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების და სოციალურ-დემოგრაფიულ საკითხებში მიზნობრივი პროპაგანდის დონე
- ერთიანი სახელმწიფო სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის გამტარებელი კადრების, სახელმწიფო ინსტიტუტის (უწყების) და არასამთავრობო ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობა და ა.შ.

ფაქტორთა ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა, კერძოდ: სამედიცინო, ეთნიკური დემოგრაფიის მიმართულებებით, მაგრამ მათგან ძირითადად უნდა გამოეყოთ უახლოეს მომავალში ოჯახის განვითარებისათვის უწინარესად გადასაჭრელი პრობლემები.

ერთიანი სახელმწიფო სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები

ოჯახის განვითარებაზე მოქმედ ძირითად ფაქტორთა გამოვლენის შემდეგ, განსაზღვრულ უნდა იქნას ერთიანი სახელმწიფო სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის სტრატეგიული მიზნის მიღწევის უმთავრესი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებიც გვევლინებიან ერთის მხრივ ხელშემწყობ, მეორეს მხრივ, ხელისშემშლელ ფაქტორებად, რაც მაგალითად, დღეისათვის ძირითადად შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ.

მიზნის მიღწევის ხელშემწყობი ფაქტორები (ძლიერი მხარე)

- სახელმწიფოს პოლიტიკური ნება
- პროფესიონალური და საგანმანათლებლო პოტენციალი
- მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების და საერთაშორისო არასამთავრობო ფონდების მხარდაჭერა
- რეკრეაციული პოტენციალი
- სოციალური (სამედიცინო, სადაზღვევო, საგანმანათლებლო და ა.შ.) ინფრასტრუქტურა არსებული მატერიალური ბაზით
- რელიგიური და კულტურული ტრადიციების შედარებითი მდგრადობა

- სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების გამოცდილება და სხვა.

მიზნის მიღწევის ხელის შემშლელი ფაქტორები (სუსტი მხარე)

- მწირი საფინანსო რესურსები
- საკანონმდებლო ბაზის და ადმინისტრირების არასრულყოფილება
- თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში საოჯახო პოლიტიკის გატარების გამოუცდელობა
- ინსტიტუციონალიზაციის დაბალი დონე. სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების ერთობლივი მოქმედების პროგრამების არარსებობა
- დასაქმების პოლიტიკის დაბალი ეფექტიანობა
- სოციალური პოლიტიკის გაუმჭვირვალობა
- ეკოდემოგრაფიული პრობლემები
- ცხოვრების ჯანსაღი წესის არასაკმარისი და არამიზანმიმართული პროპაგანდა.

სუსტი და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით პასუხი ეცემა კითხვებს: როგორ მივაღწიოთ მიზანს და რა რესურსები გაგვაჩნია მიზნის მისაღწევი ამოცანების გადასაჭრელად.

ერთიანი სახელმწიფო სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის სისტემა

ერთიანი სახელმწიფო სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის სისტემა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-დემოგრაფიულ პროცესებსა და ოჯახის განვითარებაზე მოქმედ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, ეთნიკურ, რეგიონულ და სხვა ფაქტორთა ანალიზიდან გამომდინარეა და წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-დემოგრაფიული და ოჯახის სტაბილური განვითარების კანონზომიერებათა შესახებ მეცნიერულად დასაბუთებულ შეხედულებათა სისტემას. იგი ითვალისწინებს ქვეყნის სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების და ოჯახის სტაბილურობის მიზნებს და ამოცანებს მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

იგი სამ ურთიერთგანმაპირობებელ სოციალურ, დემოგრაფიულ და საოჯახო პრობლემათა გადაწყვეტას გულისხმობს და ამდენად, წარმოგვიდგება როგორც ცალკეული მიმართულების ღონისძიებათა ერთიანი კომპლექსური სისტემა.

სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ერთიანი სისტემის მიზნები საკმაოდ მრავალფეროვანია და იგი შეიძლება გატარებულ იქნას როგორც:

- უშუალოდ დემოგრაფიული პროცესების გაუმჯობესებისკენ პირდაპირ მიმართული პოლიტიკა
- უშუალოდ ოჯახის სტაბილურობისკენ მიმართული პოლიტიკა
- სხვადასხვა მიზნებით გატარებული, მაგრამ სასურველი ან შესაძლებელი სოციალურ-დემოგრაფიული შედეგების მისაღებად გათვალისწინებული პოლიტიკა (სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების აქტივიზაცია, ქორწინებათა ზრდა, განქორწინებათა შემცირება, ავადობისა და მოკვდაობის შემცირება და ა.შ.)
- ყოველგვარი განსაკუთრებული დემოგრაფიული მიზნების გარეშე გატარებული, მაგრამ სოციალურ და საოჯახო სფეროში მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი პოლიტიკა (მრავალშვილიანთა, მარტოხელების, ინვალიდების, უზედამხედველო ბავშვების, ხიზნების პრობლემათა მოგვარება და ა.შ.).

სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ერთიანი სისტემის სახით შემუშავება და გატარება მნიშვნელოვნად განაპირობებს მის მდგრადობას, რომელიც წარმოადგენს ოჯახის სტაბილურ განვითარებას და თაობათა

განახლების ოპტიმალური რეჟიმის უზრუნველყოფას. მისი დიაპაზონი საკმაოდ ფართოა და ძირითად პრობლემად მიიჩნევა ის, თუ რამდენადაა გაცნობიერებული იგი ხელისუფლებისა და საზოგადოების მიერ სხვადასხვა მაკრო-მეზო-მიკრო დონეებზე და რამდენად შეესაბამება მისი გატარება წინასწარდასახული მიზნების გადაჭრას სხვადასხვა ვადიან პერსპექტივაში.

სოციალური, დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შემუშავება და გატარება ვიწრო სპექტრით, სადაც მხოლოდ დემოგრაფიულ ქცევათა (რეპროდუქციული, მიგრაციული, თვითმოვლითი) ან სოციალურ პრობლემათა (ხელფასი, პენსია, ინვალიდების, ქალთა, ბავშვთა საკითხები, სოციალური ანომალიები და ა.შ.) ცალკეულ მიმართულებებზე იქნება ძირითადი აქცენტი გადატანილი, დაბალი ეფექტის მომტანია. აუცილებელია, აგრეთვე, ეკონომიკური ბაზის მიმართულებით (პროგრამათა დაფინანსება, ეკონომიკური სტაბილიზაცია, საოჯახო ბიზნესი და ა.შ.) ღონისძიებათა დასახვა. ამიტომ იგი, როგორც ერთიანი სისტემა გულისხმობს ისეთ სტრატეგიულ პოლიტიკას, რომლის რეალიზაციის ტაქტიკური მეთოდები და ხერხები უფრო ფართო სპექტრისაა და ერთიანი სისტემით იქნება წარმოდგენილი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამ სახით სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა, თითოეულის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, მეცნიერულად დასაბუთებული სახით უნდა გატარდეს მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე. შესაბამისად, ამ პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა ცალკეულ პროგრამულ ღონისძიებათა ზემოქმედების ობიექტი მაკროდონეზე უნდა იყოს მთელი მოსახლეობა, მეზოდონეზე ცალკეული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფები, ხოლო მიკროდონეზე ოჯახი. ამასთან, პროგრამული ღონისძიებები, დროის მიხედვით, სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, უნდა იყოს როგორც გრძელვადიანი, ისე საშუალოვადიანი და მოკლევადიანი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ზოგიერთი მოკლევადიანი პროგრამა ეფექტიანობის თვალსაზრისით საკმაო დროით არ გახანგრძლივდეს.

ერთიანი სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის როგორც სისტემის სტრატეგიული მიზნებია:

<u>მაკროდონეზე</u>

- განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების დონის კიდევ უფრო ზრდა, ხოლო განვითარებად ქვეყნებში სიღატაკის დაძლევა
- მოსახლეობის აღწარმოების სასურველი ტიპის ოპტიმიზაცია
- მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა და ჯანმრთელობის განმტკიცება, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა
- ახალგაზრდული ოჯახების ხელშეწყობა და ოჯახის განმტკიცება
- მიგრაციული პროცესების რაციონალიზაცია და განსახლების სისტემის სრულყოფა
- ეკოლოგიური დემოგრაფიის მოთხოვნათა შესაბამისი ღონისძიებების გატარება და ა.შ.

<u>მეზოდონეზე</u>

- ახალგაზრდობის პრობლემების მოგვარება
- ხანდაზმული ადამიანების აქტივიზაცია
- ქალთა სოციალურ-დემოგრაფიული პრობლემების დაძლევა
- ეთნიკურ ურთიერთობათა სრულყოფა
- სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა გამრავალფეროვნება და სხვა.

- ოჯახის ავტონომიურობის უზრუნველყოფით თვითგანვითარების პოტენციალის სტიმულირება
- ოჯახის სოციალური დაცვის სახელმწიფო, მ.შ. რეგიონული პროგრამების შემუშავება და სოციალურ დახმარებათა რეალიზაცია
- საქორწინო-საოჯახო ურთიერთობათა, რეპროდუქციულ, თვითმოვლით, აღმზრდელობით, კულტურულ და სხვა ფუნქციათა რეალიზაციისათვის ოჯახში სასურველი გარემოს ფორმირება
- ოჯახის დაგეგმვის მეთოდების დანერგვა და განვითარება
- შვილად აყვანის და უზედამხედველო ბავშვთა მზრუნველობის საკითხთა სამართლებრივი და ინსტიტუციური უზრუნველყოფა
- ოჯახში სოციალური ანომალიების აღმოფხვრის ხელშემწყობი პირობების შექმნა
- ოჯახის სოციალური სამსახურების ფორმირება და განვითარება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, აუცილებელია განსაზღვრულ იქნას სახელმწიფო ერთიანი დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის გენერალური მიზანი და მისი მიღწევისათვის გადასაჭრელი ძირითადი ამოცანები, რომლის მოდელიც ქვემოთაა წარმოდგენილი.

ერთიანი სახელმწიფო დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის გენერალური მიზანი

ოჯახისა და პიროვნების ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფით დამოუკიდებელი სტაბილური და მტკიცე ოჯახის ფორმირება; თაობათა განახლების საზოგადოებრივად საჭირო რეჟიმის მიღწევა და ამ მიზნით სამართლებრივი აქტებითა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრამებით უზრუნველყოფა.

გენერალური მიზნიდან გამომდინარე, აუცილებელია შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრა:

- სახელმწიფო პრიორიტეტულ მიმართულებად სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის გამოცხადება;
- სამართლებრივი ბაზით უზრუნველყოფა;
- საოჯახო პოლიტიკის მიმართულებათა დაფინანსებისთვის სათანადო ეკონომიკური ბაზის ფორმირება და ოჯახში ცხოვრების დონის ამაღლება;
- ქვეყანაში და ოჯახში სასურველი სოციალური და დემოგრაფიული კლიმატის ფორმირება;
- ოჯახის დამოუკიდებლობის გარანტიების უზრუნველყოფა;
- ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში სამედიცინო დემოგრაფიის მიმართულებათა გათვალისწინება;
- ცალკეული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების ინტერესების დაცვა;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის აქტიური პროპაგანდა;
- ოჯახის ყოველწლიური მონიტორინგი;
- სამოქალაქო რეგისტრის შექმნა და ინფორმაციული უზრუნველყოფა;
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ინსტიტუციონალური და საკადრო რეფორმა: ოჯახის და დემოგრაფიის სამთავრობო კომისიის შექმნა და ა.შ.

ერთიანი დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის გენერალური მიზნიდან გამომდინარე, ცალ-ცალკე უნდა შემუშავდეს დემოგრაფიული და საოჯახო

პოლიტიკა, სადაც გამოკვეთილი უნდა იყოს ცალკეული მიმართულების მიზნის რეალიზაციისათვის საჭირო სტრატეგიული პროგრამები.

ქვემოთ, საქართველოს მაგალითზე წარმოვადგენთ დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის კონცეპტუალურ მოდელს.

<u>დემოგრაფიული პოლიტიკა</u>

დემოგრაფიული პოლიტიკის გენერალური მიზანია ქვეყნის ოპტიმალური დემოგრაფიული განვითარება, რაც მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალურ რეჟიმს გულისხმობს. აქედან გამომდინარე, დემოგრაფიული ანალიზის საფუძველზე აუცილებელია და მნიშვნელობა ენიჭება ხელისუფლებისა და მთავრობის მიერ დემოგრაფიული პოლიტიკის მიზნების დეკლარირებას, სადაც ზუსტად იქნება განსაზღვრული ქვეყნისათვის დემოგრაფიული პროცესების მისაღები ორიენტირება.

მსოფლიო პრაქტიკის გამოცდილებიდან გამომდინარე, ცნობილია, რომ რაიმე დემოგრაფიული სახის ღონისძიებების გატარებამდე სახელმწიფო:

- აფასებს ქვეყანაში შექმნილ დემოგრაფიულ ვითარებას
- შემდეგ ღებულობს გადაწყვეტილებას – ჩაერიოს თუ არა დემოგრაფიული პროცესების რეგულირებაში
- ამის შემდეგ ახდენს მიღებული გადაწყვეტილების დეკლარირებას

2007 წლისათვის მოსახლეობის მატებას როგორც "ძალიან დაბალს" მსოფლიოს 39 ქვეყანა (20%) აფასებდა, ხოლო "ძალიან დაბალ" შობადობას – 47 ქვეყანა (24%).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიოს 31 ქვეყანა (16%) მიმართავდა დემოგრაფიულ პოლიტიკას მოსახლეობის მატების ამაღლებისაკენ, ხოლო 39 ქვეყანა (20%) – შობადობის ამაღლებისაკენ.

ცხრილი 11.1. საქართველოს დემოგრაფიული ვითარების სახელმწიფო შეფასება და დემოგრაფიული პოლიტიკის ორიენტაცია

დემოგრაფიული მაჩვენებელი	დემოგრაფიული მაჩვენებლის სიდიდე (2007)*	ტენდენცია	შეფასება	პოლიტიკის ორიენტაცია
მოსახლეობის მატება წელიწადში (%)	-0,65	კლების	უარყოფითი, ძალიან მაღალი	შემცირდეს
ბუნებრივი მატება (‰)	0,4	კლების	ძალიან დაბალი	გაიზარდოს
გარე მიგრაციის სალდო (ათასი)	-26,3	კლების	მაღალი	შემცირდეს
გარე მიგრაციის სალდო (‰)	-6,9	კლების	მაღალი	შემცირდეს
შობადობა (‰)	13,1	კლების	ძალიან დაბალი	გაიზარდოს
მოკვდაობა (‰)	12,7	ზრდის	მაღალი	შემცირდეს
ჩვილთა მოკვდაობა (1000 ცოცხლადდაბადებულზე)	22,0	კლების	მაღალი	შემცირდეს
5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობა (1000 ცოცხლად-დაბადებულზე)	23,8	კლების	მაღალი	შემცირდეს
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას:				
ორივე სქესი	71,5	ზრდის	დაბალი	გაიზარდოს
მამაკაცები	67,3	ზრდის	დაბალი	გაიზარდოს
ქალები	75,6	ზრდის	დაბალი	გაიზარდოს
დემოგრაფიული დაბერება (65 და უფროსი ასაკის მოსახლეობის %)	15,6	ზრდის	მაღალი	ჩაურევლობის
რეგისტრირებული ქორწინება (‰)	6,5	სტაბილური	დაბალი	გაიზარდოს
რეგისტრირებული განქორწინება (‰)	0,6	ნელი ზრდის	დაბალი	ჩაურევლობის

* შეფასებითი მონაცემებით

მოტანილ ცხრილში პირობითად ნაჩვენებია, თუ როგორი შეიძლება იყოს დემოგრაფიული ვითარების სახელმწიფო შეფასება და დემოგრაფიული პოლიტიკის ორიენტაცია საქართველოში.

დემოგრაფიული განვითარების მიზნობრივი ორიენტირებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რაც არსებითად შემდეგნაირად წარმოდგება:

- შობადობის ოპტიმიზაცია
- მოსახლეობის ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა
- ქორწინება და მტკიცე ოჯახი
- მიგრაციის რაციონალიზაცია და განსახლების ოპტიმიზაცია.

- ✓ შობადობის ოპტიმიზაციის მიზანია შობადობის შემცირების შეჩერება და საშუალოვადიანი პროგრამით მისი მიახლოება მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვართან შემდგომი სტაბილიზაციით
- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის მიმართულების მიზანია: მოკვდაობის მაღალი დონის შემცირება შრომისუნარიან ასაკებში, განსაკუთრებით კი – ჩვილთა და ბავშვთა შორის. მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცება თვითმოვლით ქცევაში ცხოვრების ჯანსაღი წესის მეთოდების ფართოდ დანერგვით
- ✓ ქორწინებისა და მტკიცე ოჯახის მიმართულების მიზანია შეიქმნას ქორწინების სასურველი გარემო. ქორწინებაში უნდა შევიდეს სოციალურ-ფსიქოლოგიურად მომზადებული ახალგაზრდობა, რაც მტკიცე ოჯახის ფორმირებისა და განქორწინებათა შემცირების საწინდარია
- ✓ მოსახლეობის მიგრაციის რაციონალიზაციისა და განსახლების ოპტიმიზაციის მიზანია: დაარეგულიროს ქვეყანაში უმართავი გარე და შიგა მიგრაციული პროცესები, ხელი შეუწყოს მოსახლეობის ორგანიზებულ ჩასახლებებს და სრულყოს დეგრადირებული განსახლების სისტემა.

თითოეულ მიმართულებას აქვს შესაბამისი სტრატეგიული მიმართულება.

მაგალითად, შობადობის ოპტიმიზაციის სტრატეგიული მიმართულება:

მოსახლეობასა და ოჯახში საზოგადოებრივად "საჭირო" ბავშვთა ყოლის მოთხოვნილებისა და შესაბამისი განწყობის ჩამოყალიბება. ამ გზით მიღებული ეფექტი ჭარბობს შობადობის ოპტიმიზაციის ყველა სხვა დანარჩენი ღონისძიებით მიღებულ ეფექტს. ამასთან, იგი გაცილებით იაფია, თუმცა, რეალური შედეგი მისგან დაახლოებით ორი ათეული წლის შემდეგ მიიღება. ღონისძიება გულისხმობს აღმზრდელობით-ფსიქოლოგიური მეთოდის გამოყენებას. უნდა ვიმოქმედოთ ძირითადად სკოლის ასაკის ბავშვებზე, მათ არაფორმირებულ რეპროდუქციულ ორიენტაციაზე.

შობადობის ოპტიმიზაციის ღონისძიებათა მეორე კომპლექსია ფაქტობრივად არსებული "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" რეალიზაციისათვის საჭირო სოციალურ-ეკონომიკური პირობების სრულყოფა. ამ მიზნით, მიღებული მაქსიმალური ეფექტი უკეთეს შემთხვევაში შეიძლება განისაზღვროს თითოეული გათხოვილი ფერტილური ასაკის ქალზე დაახლოებით 0,5 ბავშვით. მის მისაღწევად უმთავრესად საჭიროა სამედიცინო, მატერიალური, სოციალური, სამართლებრივი და სხვა ღონისძიებების გატარება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ დედათა დაავადებებისა და მოკვდაობის შემცირებას, რაც როგორც ამ ეტაპზე, ასევე მომავალში, შობადობისა და მოსახლეობის ზრდის ერთ-ერთი რეზერვია. ამ მიზნით აუცილებელია ქალთა და დედათა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომუშავე პერსონალის განათლების

ერთიანი და უწყვეტი სისტემის შექმნა, რაც უნდა უზრუნველყოს სამედიცინო სამსახურის ორგანიზებულმა მეთვალყურეობამ. თანამედროვე ეტაპზე შობადობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მეორადი უნაყოფობის შემცირებას, რაშიც არსებითი როლი ენიჭება ოჯახის დაგეგმვის სრულყოფას. ქვეყანაში ხელოვნური აბორტების ერთობ დიდი რაოდენობა განპირობებულია არასასურველი ორსულობებით. დედათა ავადობისა და მოკვდაობის ზრდა დღის წესრიგში აყენებს მოსახლეობის აღწარმოებისა და ადამიანთა რეპროდუქციული ფუნქციის სწორი რეგულირებისათვის ოჯახის დაგეგმვის მეცნიერულად დამუშავებული მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებას. ამ მიზნით, განსაკუთრებული ყურადრება უნდა მიექცეს ოჯახის ნებაყოფლობითი დაგეგმვისა და უშვილობის თერაპიის ერთიანი ეროვნული სამსახურის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს პრინციპს: ყველა ბავშვი უნდა იყოს სასურველი და დაცული; მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული "ჯანმრთელი დედობის" პროგრამის რეალიზაციას; შობადობის რეგულაციის აუცილებლობის პროპაგანდას და ა.შ.

საოჯახო პოლიტიკის მიზანი და ძირითადი მიმართულებები

სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკა არის ერთიანი სახელმწიფო სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და წარმოადგენს სახელმწიფო სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ორგანიზაციული ღონისძიებების სისტემას, მიმართულს ოჯახის ღირსეული ცხოვრების უზრუნველსაყოფად. მისი რეალიზაცია მიმდინარეობს უშუალოდ ოჯახის მიერ, სახელმწიფოსთან პარტნიორული ურთიერთობის საფუძველზე. ასეთი პოლიტიკით სახელმწიფო შემუშავებული პროგრამებით ეხმარება ოჯახს და არ ცვლის და არ ითავსებს მის რომელიმე ფუნქციას.

საოჯახო პოლიტიკის რეალიზაციაში, სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადრება ენიჭება არასამთავრობო ორგანიზაციათა აქტივიზაციას, მათ ფართომასშტაბიან ჩართვას ოჯახის პრობლემების გადაწყვეტაში. სწორედ ამ მიზნით გაეროს ოჯახის არასამთავრობო ორგანიზაციათა კომიტეტმა შეიმუშავა დოკუმენტი "ოჯახის საკითხებზე სახელმძღვანელო პრინციპები", რომელიც მოიცავს საერთაშორისო დოკუმენტების დებულებებს და, საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, საფუძვლად ედება ცალკეულ ქვეყნებში საოჯახო პოლიტიკის ეროვნული სისტემის ფორმირებასა და განვითარებას. სწორედ ამ დოკუმენტების შესაბამისად უნდა განისაზღვროს საოჯახო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, გენერალური მიზანი, ამოცანები და მიმართულებები.

სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

- სახელმწიფოებრიობა
- ოჯახის დამოუკიდებლობა და ავტონომიურობა საკუთარი განვითარებისათვის გადაწყვეტილებათა მიღებაში
- სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი და იდეოლოგიური ღონისძიებების არარეგლამენტურობა ოჯახის ქცევაზე; ოჯახის მხარდაჭერის ფორმების თავისუფლად არჩევის უფლება
- თავისუფალი არჩევანის საფუძველზე ოჯახის ყველა წევრის თანასწორუფლებიანობა მიუხედავად ეროვნების, რელიგიური მრწამსისა და სოციალური წარმოშობისა
- ყოველი ბავშვის ინტერესთა თანაბარი პრიორიტეტი, მიუხედავად მათი დაბადების რიგითობისა, წარმომავლობისა და ოჯახში ცხოვრების სტაჟისა
- ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა: საოჯახო ვალდებულებებზე თანაბარი პასუხისმგებლობა

- ოჯახისა და სახელმწიფოს პარტნიორობა: სახელმწიფოს მიერ ოჯახის სოციალური უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა
- საოჯახო პოლიტიკის ერთიანობა და რეგიონალიზმი
- საოჯახო პოლიტიკის ღონისძიებათა თანმიმდევრულობა, სტაბილობა და ა.შ.

სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის გენერალური მიზანია სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციათა კონკრეტულ მიზნობრივ პროგრამულ ღონისძიებათა სისტემის საფუძველზე შექმნას ოჯახის სპეციფიკურ ფუნქციათა აქტიური თვითრეალიზაციის კეთილსასურველი პირობები. ოჯახის სტაბილური განვითარებისათვის უზრუნველყოს ოჯახის წევრთა ღირსეული ცხოვრების დონე.

გენერალური მიზნიდან გამომდინარე, სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- ოჯახის ინსტიტუტის ფასეულობათა პროპაგანდა და მხარდაჭერა
- საოჯახო პოლიტიკის საკანონმდებლო ბაზის შექმნა
- ოჯახის ძირითად ფუნქციათა რეაბილიტაცია და მათი დამოუკიდებლად რეალიზაციის უზრუნველყოფა
- პიროვნულიდან ოჯახურ კეთილდღეობაზე გადასვლა, აქტიური და მოქნილი საოჯახო პოლიტიკით საბაზრო ეკონომიკას მისადაგებული ნეოტრადიციული ოჯახის ფორმირება
- საბაზრო ეკონომიკისადმი ოჯახის ცალკეული ტიპების ადაპტაციის ხელშეწყობა; ოჯახის თვითგანვითარების პოტენციალის სტიმულირება, განსაკუთრებით კი ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა
- ოჯახის სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო, მათ შორის რეგიონული, პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია
- საქორწინო-საოჯახო ურთიერთობათა, რეპროდუქციულ, თვითმოვლით (თვითშენახვით), აღმზრდელობით, კულტურულ და სხვა ფუნქციათა რეალიზაციისათვის ოჯახში სასურველი გარემოს ფორმირება
- პიროვნების სოციალურ-დემოგრაფიული თვითშეგნების განვითარება. ამ მიზნით ოჯახის დაგეგმვის მეთოდების და მისი საშუალებების მუდმივი სრულყოფა
- მშობელთა და ბავშვთა პრობლემების მოგვარება, ბავშვთა გაშვილებისა და უზედამხედველო ბავშვთა მზრუნველობის საკითხთა სამართლებრივი და ინსტიტუციონალური რეფორმა
- ოჯახში სოციალური ანომალიების აღმოფხვრა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება
- საოჯახო პოლიტიკის სახელმწიფო სისტემის განვითარება, მასში არასამთავრობო ორგანიზაციების ფართოდ ჩართვით. ამ მიზნით ახალი პროფესიის – "სოციალური მუშაკის" კადრების მომზადება და ა.შ.

საოჯახო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების მოკლე ანოტაცია

- ✓ სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფის მიზანს წარმოადგენს შექმნას ქვეყანაში საოჯახო პოლიტიკის ცალკეულ ღონისძიებათა გასატარებელი სამართლებრივი გარემო.
- ✓ ოჯახის ეკონომიკური ფუნქციის აქტივიზაციის მიზანია ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში კომპლექსური ღონისძიებების გატარებით ხელი შეუწყოს ოჯახის საბაზრო ეკონომიკასთან ადაპტაციას.
- ✓ ოჯახის ჯანდაცვის მომსახურების გაუმჯობესების მიზანია შეიტანოს ოჯახში ჯანმრთელობის დაცვის თვითმოვლითი ფორმა, უზრუნველყოს

ცხოვრების ჯანსაღი წესი და შექმნას საბაზრო ეკონომიკას მისადაგებული ოჯახის სამედიცინო მომსახურების ახალი სისტემა

- ✓ ოჯახის სოციალური პოლიტიკის მიზანია მომავალ თაობაში ეროვნული ტრადიციების ფონზე, თანამედროვე სოციალურ ფასეულობათა შერწყმა. ცალკეულ ეროვნებათა კულტურული განვითარება და მათი ჩართვა სახელმწიფოებრივი კულტურის განვითარებაში.
- ✓ ოჯახისათვის ახალი სახის მომსახურების სისტემის ფორმირების მიზანი ითვალისწინებს ოჯახის ისეთი ახალი მომსახურების ფორმების (იურიდიული, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სხვა სახის საკონსულტაციო სამსახურები) ფართო ქსელის შექმნას, რომელიც კარგა ხანია მოქმედებს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. ამ სამსახურების მიზანია ოჯახის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა
- ✓ არასამთავრობო ორგანიზაციების მიზანია ხელი შეუწყონ სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის ღონისძიებათა რეალიზაციას მიკროდონეზე, გაუწიონ ოჯახს შესაბამისი მხარდაჭერა და, საჭიროების შემთხვევაში, პატრონაჟი
- ✓ განსაკუთრებულ პირობებში მყოფი ბავშვების მხარდაჭერის მიზანია ასეთი კატეგორიის ადამიანების – ინვალიდი, ობოლი, იძულებით გადაადგილებულ ოჯახთა და უზედამხედველო ბავშვების მიმართ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციათა მხარდამჭერი და პატრონაჟის საოჯახო პოლიტიკის პროგრამათა რეალიზაცია
- ✓ პენსიონერებისა და ხანდაზმული ადამიანების აქტივიზაციის ძირითადი მიზანია მათი აქტიური ცხოვრების გახანგრძლივება და სიბერეში ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფა
- ✓ ქალის სოციალურ-დემოგრაფიული პრობლემების დაძლევის მიზანია: ქალთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა; ოჯახში ბავშვთა შობის, მოვლისა და აღზრდის პროცესთან საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწეობის ჰარმონიული შეთავსება
- ✓ ეთნიკურ ურთიერთობათა სრულყოფის მიზანია: ქართველ, აფხაზ და საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებებს შორის ნეოტრადიციული ეროვნული ურთიერთობების ფორმირება, მათი ფიზიკური და კულტურული უწყვეტობისათვის ზრუნვა. მეზობელ სახელმწიფოებთან ეროვნულ-კულტურული ურთიერთობების გაღრმავება და რეგიონული ეთნოკონფლიქტების თავიდან აცილება
- ✓ ახალგაზრდობის პრობლემების მოგვარების ძირითად მიზანს წარმოადგენს აღნიშნული სოციალური ფენის საზოგადოებრივ ურთიერთობებში ჩართვის პროგრესული თანამედროვე ფორმების გატარება. მათი სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-პროფესიული მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება და მომზადება საზოგადოებაში სტაბილური ოჯახური ცხოვრებისათვის.

საოჯახო პოლიტიკის პრიორიტეტულ ცალკეულ მიმართულებას აქვს თავისი სტრატეგიული პროგრამა.

მაგალითად, სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფის *სტრატეგიული პროგრამა.*

აუცილებელია შემუშავდეს საქართველოს საოჯახო პოლიტიკის საკანონმდებლო საფუძვლები, რომლებიც გაითვალისწინებს:

- საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე ოჯახზე სოციალური პოლიტიკის ორიენტაციას. ამ მიზნით, იურიდიულად უნდა გაფორმდეს საოჯახო პოლიტიკა როგორც სახელმწიფოს პრიორიტეტული მიმართულება, განისაზღვროს ოჯახის განვითარების ინდიკატორები
- მრავალშვილიანი სოციალური მომსახურებისათვის ოჯახის მხარდამჭერი სოციალური სამსახურების ქსელების სამართლებრივ გარანტიებს
- კანონს იმის თაობაზე, რომ დედები, რომლებიც სამ და მეტ შვილს იყოლიებენ, ბოლო ბავშვის 16 წლის ასაკის მიღწევამდე დედობა ჩაეთვალოთ შრომის სტაჟად
- ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე, სოციალურ საკითხებზე საკანონმდებლო აქტებსა და ნორმატივებში ცვლილებებს
- ოჯახის პატერნალისტური მოდელიდან ახალ თვითუზრუნველყოფის, თვითგანვითარების მოდელებზე გადასვლისთვის ოჯახის მხარდამჭერ და დახმარების სისტემას
- ოჯახის სტატუსს (მრავალშვილიანი, ახალგაზრდა, მარტოხელა და ა.შ.)
- საოჯახო საკანონმდებლო კონცეფციას, თანამედროვე ცხოვრებისეული მოთხოვნების გათვალისწინებით. კარგი იქნება ამ საქმეში უცხოეთის (მაგ. საფრანგეთი) გამოცდილების გათვალისწინება.

სახელმწიფო ერთიანი დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ორგანიზაცია-მართვა

სახელმწიფო ერთიანი დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ეს ამოცანა გულისხმობს:

1. დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის სტრატეგიული პროგრამების ორგანიზაციისა და მართვის სამართლებრივ და ინსტიტუციურ უზრუნველყოფას;
2. მეცნიერული კვლევისა და მონიტორინგის საფუძველზე პროგრამების კორექტირებას;
3. სასურველი დემოგრაფიული კლიმატის უზრუნველსაყოფად სოციალურ-დემოგრაფიული განათლების დონის ასამაღლებლად აგიტაცია-პროპაგანდის ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებას;
4. მონიტორინგს და ინფორმაციული ბაზის სრულყოფას;
5. კადრების მომზადებას.

დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის რეალიზაციის ეფექტიანობის მიზნით საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- მართვის მუდმივმოქმედი მექანიზმის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას ან გაძლიერდეს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში სპეციალური ტერიტორიული ქვედანაყოფები სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციისათვის
- ოჯახის პრობლემებით დასაქმებული არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, საქველმოქმედო ფონდების სახელმწიფოებრივი ხელშეწყობა
- სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის დაფინანსების საიმედო მექანიზმის (სააგენტოს) შექმნა (ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების სახსრების მოზიდვას ხარჯზე)
- ყველა კანონპროექტის ექსპერტიზა გასატარებელი ღონისძიებების ოჯახის მდგომარეობაზე ზეგავლენის თვალსაზრისით
- ოჯახის სამართლებრივი განათლების პროგრამების დამუშავება და რეალიზაცია

- საქართველოს ოჯახების ეკონომიკური, დემოგრაფიული, სამართლებრივი, პედაგოგიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების პერიოდული შესწავლა
- საქართველოს ოჯახთა მდგომარეობის მუდმივი ყოველწლიური მონიტორინგის საფუძველზე სამთავრობო ანგარიშის "საქართველოს ოჯახები" ყოველწლიურად მომზადება
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა ოჯახის პრობლემების ფართოდ და სრულად ასახვის მიზნით
- სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის საკადრო უზრუნველყოფის მიზნით, სამეცნიერო და აღმზრდელობითი კადრების, აგრეთვე ოჯახებთან მომუშავე ფართო პროფილის სპეციალისტების: სოციალური მუშაკების, პედაგოგების, დემოგრაფების, მედიკოსების, ფსიქოლოგების, სოციოლოგების და სხვათა მომზადება და გადამზადება.

11.5. დემოგრაფიული პოლიტიკის მსოფლიო გამოცდილება

გარკვეული დემოგრაფიული მაჩვენებლების გრძელვადიანი დაგეგმვის, ანუ დემოგრაფიული პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და გატარების მცდელობებს, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ცივილიზაციებსა და ეპოქებში ვხვდებით. უმთავრესი დასკვნა, რომლის გამოტანა ამ მხრივაა შესაძლებელი ისაა, რომ ასეთი პოლიტიკის წესები ყოველთვის ნაკარნახევი იყო იმ სრულიად კონკრეტული ვითარებით, რომელიც შეიქმნებოდა რომელიმე სახელმწიფოებრიობის მატარებელ და, როგორც წესი, ტიტულარულ ეთნოსში. ზოგჯერ ეთნოსი – თავისი მმართველი პოლიტიკური ბირთვის მეშვეობით – რაოდენობრივ ზრდაში იჩენდა დაინტერესებას, ზოგჯერ რიცხოვნობის მეტ-ნაკლებად შენარჩუნებისა და მატების დარეგულირებისაკენ მიისწრაფოდა, ზოგ შემთხვევაში კი ძლიერი სახელმწიფო ღონისძიებების საშუალებებით ბუნებრივი მატების მაქსიმალურად შეზღუდვას ცდილობდა. ასე იყო ადრე, ასეა დღესაც. ყველა ამ შემთხვევაში საქმე კარგად ან ცუდად გააზრებულ, მაგრამ დემოგრაფიულ პოლიტიკასთან გვაქვს. ეს კი ნიშნავს, რომ სათანადო სახელმწოფო ორგანოებს კარგად უნდა ესმოდეთ ამ პოლიტიკური პრობლემის არსი, გააჩნდეთ უნარი შეაფასონ პოტენციური გრძელვადიანი შედეგი, რომელიც შეიძლება დადგეს ქვეყანაში დემოგრაფიული პოლიტიკის ამა თუ იმ ნაირსახეობის გატარების ან, სულაც, დემოგრაფიულ პოლიტიკაზე ხელის აღების შემთხვევაში.

ამასთან, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მსოფლიო დემოგრაფიული პოლიტიკის გამოცდილების შესწავლას პრაქტიკული დატვირთვა საკუთრივ ჩვენი ქვეყნისათვის – საქართველოსათვის – აქვს. აქ იბადება კითხვა: როგორ შეიძლება აისახოს ქვეყნის ესა თუ ის პოლიტიკური, თუ სოციალურ-ეკონომიკური ორიეტაცია დემოგრაფიულ პოლიტიკაზე. საქმე ისაა, რომ რეალური დემოგრაფიული პოლიტიკა, მაგალითისათვის, განვითარებად ქვეყნებში მიმართულია მოსახლეობის შემცირებაზე. აქედან გამომდინარე არჩევანი, თუ რომელ სამყაროს მიაკუთვნებს თავს საქართველო – განვითარებულ ევროპასა, თუ განვითარებად "მესამე სამყაროს" – სავსებით პრაგმატულ დემოგრაფიულ განზომილებას იძენს.

დემოგრაფიული აზროვნება უძველეს ხანაში

მოსახლეობის რაოდენობასა და საზოგადოების პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნილებებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევის მცდელობები, ამისთვის სათანადო გზების მოძიება – ანუ ის, რასაც შემდგომ ეპოქებში დემოგრაფიული პოლიტიკა ეწოდა, – უძველესი დროიდან განსაკუთრებული განსჯის საგანი იყო. სხვადასხვა ცივილიზაციის დიდმა

მოაზროვნეებმა – პლატონმა, არისტოტელემ, კონფუციმ – საკუთარი შეხედულებები ამ საკითხებზე თავიანთი, ჩვენამდე მოღწეული, ნაშრომების საშუალებით მოგვაწოდეს. მიუხედავად იმისა, რომ მათი მოსაზრებები ყოველთვის როდი აისახებოდა თანადროულ პოლიტიკურ პრაქტიკაში, მსოფლიო დემოგრაფიული აზროვნების სათავეები სწორედ მათ მიერ ჩამოყალიბებულ კონცეფციებში უნდა ვეძიოთ.

ძველი საბერძნეთი: პლატონი და არისტოტელე

ძველი საბერძნეთის ორმა უდიდესმა მოაზროვნემ – პლატონმა და არისტოტელემ – განავითარეს მოსახლეობის თეორიები პოლიტიკური უტოპიის სქემის ფარგლებში. მათ წარმოგვიდგინეს საზოგადოების ისეთი ორგანიზაცია, რომელიც იმდროინდელი ელინური სამყაროს გეოპოლიტიკურ კონტექსტში რადიკალურად ახალი იყო: ქალაქი, პატარა ტერიტორია ცენტრის გარშემო, სადაც მოქალაქეები (თავისუფალი მამაკაცები) ახორციელებენ სახალხო, სამოქალაქო და სამხედრო საქმიანობას, ხოლო ქალები და მონები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებენ. პლატონისა და არისტოტელეს მიერ შექმნილი აზროვნების მიმართულება ტრადიციულ რელიგიასა და მორალს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. წინაპართა თაყვანისცემაზე დაფუძნებული ძველი მორალი რეპროდუქციას რელიგიურ მოვალეობად განიხილავდა, ახალი თვალთახედვის მიხედვით კი რეპროდუქციული ქცევა სამოქალაქო მორალის, ანუ სახელმწიფოს მიმართ სამოქალაქო მოვალეობის კუთვნილება ხდებოდა.

პლატონმა (ახ.წ-მდე 428–348 წწ.) თავის *"რესპუბლიკასა"* და *"კანონებში"* წარმოგვისახა იდეალური ქალაქი, რომლის წყობა და კანონები მიმართული იყო ინდივიდის ცხოვრების მკაცრი რეგლამენტაციისაკენ. ცალკეულ პიროვნებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ უნდა გაებედა ქალაქში სამუდამოდ გამეფებული იმ სტატიკური წონასწორობის დარღვევა, რომელიც სახელმწიფო მოწყობის პლატონისეული იდეალის შინაარსს წარმოადგენდა.

პლატონმა ორი სახის ნაყოფიერების ცნება შემოიტანა – სულიერი და არასულიერი. მისი თეორიის დემოგრაფიული შემადგენელი ის იყო, რომ არასულიერი ნაყოფიერება – ესაა რეპროდუქცია (გამრავლება), რომლის მნიშვნელობა მარტივი ბიოლოგიური და სოციალური აუცილებლობის დონემდეა დაყვანილი. სოციალური არეულობები, მათი თანმხლები ვნებები, აჯანყებები, კრიმინალი, – ამ ორი ნაყოფიერების ერთმანეთში შეზავების შედეგია. ამიტომ ნაყოფიერების ეს სახეები ბავშვობიდანვე ნებისმიერ ფასად და პიროვნული ღირსებისათვის მისაღები ყველა ხერხის გამოყენებით მაქსიმალურად უნდა გამიჯვნოდა ერთმანეთს.

პლატონის აზრით, სახელმწიფომ უნდა არეგულიროს არა მარტო ქორწინების ინსტიტუტი, არამედ სქესობრივი ურთიერთობანი. მან უნდა აწარმოოს "ვაჟების შერჩევა", ბავშვების განათლება, უზრუნველყოს მათი ფუნქციონალური სპეციალიზაცია საზოგადოების ინტერესებში. სახელმწიფოს ძალა და ავტორიტეტი ამ საკითხებში უნდა იყოს აბსოლუტური, მას წინ ვერ უნდა დაუდგეს ვერც ოჯახური და ვერც რაიმე სხვა ინტერესები. ამ ხისტი პრინციპის გაზიარებამ პლატონი მეტად საზარელი, არაადამიანური დემოგრაფიული კანონების ჩამოყალიბებამდე მიიყვანა.

პლატონის ძირითადი იდეის მიხედვით, ქალაქი არ უნდა იყოს არც დიდი და არც პატარა. *"რესპუბლიკაში"* პლატონი აღნიშნავდა, რომ იდეალური ქალაქის მოსახლეობა უნდა იყოს სტაციონარული, ეს კი აშკარად მიუღწევადია თუ რეპროდუქციული ქცევა ინდივიდებისა და ოჯახების საკუთრებად რჩება. ამ დელიკატური ბიოსოციალური ფუნქციის სადავეები უნდა მოექცეს სახელმწიფოს (ე.წ. "მსაჯულების არისტოკრატიის") ხელში. სწავლულებისა და ბრძენებისაგან შემდგარი ელიტა ზრუნავს ხალხის ბედნიერებაზე, მათი ავტორიტეტი

აბსოლუტურია, დანარჩენი მოქალაქეები ვალდებულნი არიან მათ მიმართ სრული მორჩილება გამოამჟღავნონ. სახელმწიფოს ძალაუფლება ტოტალიტარულია, ტოტალური წესრიგი კი ვერ იტანს უმნიშვნელო ინდივიდუალურ ინიციატივასაც კი. აქედან გამომდინარე, პლატონი ლოგიკურად მიდის კერძო საკუთრებისა და ტრადიციული ოჯახის გაუქმებამდე, ვინაიდან ყველაფერი მსაჯულების (მაგისტრების) ძალაუფლებას ექვემდებარება. მსაჯულები, ყველაფერთან ერთად, სრულყოფილი დემოგრაფებიც უნდა ყოფილიყვნენ. გამოთვლების გამოყენებით (ამ გამოთვლების რაობაზე პლატონი არაფერს გვეუბნება) მათ უნდა გააჩნდეთ დროული ინფორმაცია იმაზე, თუ რამდენი ახალდაბადებულია საჭირო ქალაქის მოსახლეობის მუდმივი დონის შესანარჩუნებლად, რაც გულისხმობს ქორწინებების განსაზღვრული ოდენობის დადგენას. გარდა ამისა, საუკეთესო მამაკაცის პარტნიორი საუკეთესო ქალი უნდა ყოფილიყო – სოციალური ფუნქციის უკეთ შესრულების მიზნით. სუსტი, მახინჯი, ფიზიკური ნაკლის მატარებელი ბავშვები, ასევე მაგისტრების ნებართვის გარეშე გაჩენილი ბავშვები, ექვემდებარებიან განადგურებას (ინფანტიციდის ტექნიკა ძველ საბერძნეთში, პლატონის აღნიშვნით, გულისხმობდა ბავშვების სხეულების შემადგენელ ნაწილებად დანაწევრებას). დანარჩენი ბავშვები კი უნდა აღზრდილიყვნენ კოლექტიურად და საზოგადოების მიერ დაწესებული მოვალეობების შესრულების შეგნებით. საკუთარი მშობლებისა და და-ძმების შესახებ მათ არასოდეს არაფერი უნდა სცოდნოდათ.

ორმოცი წლის შემდეგ დაწერილ *"კანონებში"* პლატონი ეცადა – თუმცა, დიდი წარმატების გარეშე – თავისი უტოპიური ხედვის რეალისტური მომენტებით გამაგრებას. მოსახლეობის სტაციონარულობის შენარჩუნებისა და გენეტიკური სელექციის ფუძემდებლურ პრინციპებს ამჯერად სოციალური ორგანიზაციისა და კანონმდებლობის შედარებით რეალისტური მოთხოვნები დაემატა. პირდაპირი ძალადობა შემცირდა მოტივირებისა (ჯილდოები, ჯარიმები, დასჯის სხვადასხვა ფორმები) და სოციალური ზეწოლის (ტაბუების) სასარგებლოდ. ოჯახისა და საკუთრების გაუქმების ნაცვლად პლატონი მიმართავდა მათ ნეიტრალიზაციას: ისინი რჩება, მაგრამ ყველაფერი კეთდება რათა მათ არ შეუქმნან რაიმე ხიფათი მსაჯულების მიერ წარმართულ სოციალურ ინჟინერიას. ვინაიდან მოქალაქეებს შორის მიწების განაწილება ძველბერძნულ პოლისებში სერიოზული პრობლემა იყო (ზოგჯერ სამოქალაქო ომის გამომწვევიც კი), პლატონმა გამოთვალა და დაადგინა, რომ იდეალური ქალაქის მოსახლეობა უნდა შედგენილიყო არა უმეტეს 5040 ოჯახიდან, მიწა უნდა სამართლიანად განაწილებულიყო 5040 განუყოფად ნაკვეთად – ოჯახზე თითო – და ეს განაწილება უნდა ყოფილიყო მუდმივი და უცვლელი. ამ ნაკვეთს უნდა ჰყოლოდა ერთადერთი მფლობელი და ერთადერთი მემკვიდრე (მხოლოდ მამაკაცი). შესაბამისად პლატონმა დააზუსტა თავისი დემოგრაფიული კანონები: მსაჯულებს უნდა შეეფასებინათ და ემართად საოჯახო ერთეულები იმგვარად, რომ ოჯახების საერთო რიცხვი არც გაზრდილიყო და არც შემცირებულიყო, თანაც თითოეულ ნაკვეთზე ერთადერთი მემკვიდრე უნდა მოსულიყო. პლატონი ძალზე განიცდიდა, რომ შეუძლებელი იყო თითო ოჯახს ზუსტად ერთი ბიჭი და ერთი გოგო შეძენოდა და ამ ხარვეზის გამოსწორებას მკაცრი ზომების გატარებით გეგმავდა: დიდ ოჯახებს უნდა მოემარაგებინათ ბავშვებით უნაყოფო წყვილები, ზედმეტი ჩვილები ისევ და ისევ განადგურებას, ხოლო სრულწლოვანები ქალაქიდან განდევნას ექვემდებარებოდნენ. თუ ქალაქი ბავშვების ნაკლებობას განიცდიდა, მსაჯულებს უნდა გაეცათ სპეციალური ბრძანება გამრავლების შესახებ გარკვეული პერიოდის მანძილზე, ხოლო თუ ამის შედეგად ბავშვების ზედმეტი რაოდენობა გაჩნდებოდა, ახალი ბრძანებით გარკვეული დროით, ქალაქში სქესობრივი კავშირები უნდა აკრძალულიყო. ბრძანებების შესრულებაზე კონტროლი ე.წ. "საქორწინო ინსპექტორებს" დაევალებოდა.

მიგრაციას პლატონი განიხილავს როგორც უკიდურეს შემთხვევას, იმიგრაციას კი გამორიცხავს, როგორც სახიფათო წინაპირობას ქალაქში განსხვავებული მორალის შეღწევისა. სამაგიეროდ ემიგრაცია არის ქალაქიდან ყველა სახის არასასურველი ელემენტის – ანტისოციალურის, შფოთის მომტანის, უბრალოდ ზედმეტის და სხვათა – მოცილების კარგი საშუალება.

ამრიგად, პლატონი ქალაქის სტაციონარულ მოსახლეობად მიიჩნევს 5040 ოჯახს, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა მრავალ თანაბარ ჯგუფად და ქვეჯგუფად. დროთა განმავლობაში თითოეული ოჯახის უფროსს უნდა ჰყოლოდა ცოლი, ვაჟი-მემკვიდრე და ქალიშვილი, რომელიც მეზობელ მემკვიდრეს გაყვებოდა ცოლად. ასე რომ ქალაქის მოსახლეობა 20000-მდე თავისუფალ მოლაქეს დაითვლიდა. აღსანიშნავია, რომ პლატონს არ აინტერესებს ქალაქის სრული მოსახლეობა, რადგან მონების რაოდენობას საერთოდ არ მიიჩნევს დემოგრაფიულ ფაქტორად. მონა – ცოცხალი ინვენტარია, რომელსაც თავისუფალი მოქალაქეები ეკონომიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად იყენებენ.

ამდენად, პლატონის მიერ გამოანგარიშებული ოპტიმალური მოსახლეობა სულაც არ გულისხმობს ეკონომიკურად ოპტიმალურს – მიწის, პროდუქციისა ან მოხმარების ბალანსის თვალსაზრისით. მოსახლეობის იდეალური რაოდენობაა ის, რომელსაც სახელმწიფო საუკეთესოდ გააკონტროლებს პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე. ჭარბმოსახლეობა წმინდა რაოდენობრივი მოვლენაა, რომელიც იქმნება მაშინ, როცა ქალაქში ერთდროულად იარსებებს 5040 მამაკაც მემკვიდრეზე მეტი.

არისტოტელე (ახ.წ-მდე 384-322 წწ.) თავის *"პოლიტიკაში"* პლატონის თეორიებს პრინციპულ მხარდაჭერას უცხადებს. მართალია, ის არბილებს მათ ზოგიერთ ასპექტს, მაგრამ ფუნდამენტურ პრინციპებს (აბსოლუტიზმს, სტაციონარულ მოსახლეობას) უცვლელად ტოვებს. მას ასევე აშინებს მოსახლეობის ზრდა იმ მოტივით, რომ მზარდ მოსახლეობას შორის მიწისა და პროდუქციის ახლებურად განაწილებამ შეიძლება გააღარიბოს ზოგიერთი ადამიანი, რასაც შესაძლებელია სოციალური არეულობა მოყვეს. ამასთან, მოსახლეობის შემცირებაც სახიფათოა, ვინაიდან, ამან შეიძლება საზოგადოებას შრომის განაწილებიდან გამომდინარე ეკონომიკური სიკეთეები დაუკარგოს. მთელ რიგ საკითხებში არისტოტელე პლატონზე არანაკლებ ავტორიტარულია. მაგალითად, მას მიაჩნია, რომ სახელმწიფოს აქვს უფლება იძულებით შეაწყვეტინოს ქალებს ორსულობა იმ შემთხვევაში, თუკი არსებული ბავშვების რაოდენობას ჭარბად ჩათვლის.

ძველი რომი: ავგუსტუსი

მწყობრ კანონმდებლობაში რეალური დემოგრაფიული განზომილების არსებობას ვხვდებით რომის იმპერიის შექმნის პირველ ეტაპზე (ე.წ. "ავგუსტუსის კანონები". იმპერატორი ავგუსტუსი: ძვ.წ. 63 – ახ.წ 14 წლები). როდესაც ავგუსტუსი არმიის ოფიცერთა რიგების შევსებისას ახალგაზრდა კეთილშობილი რომაელების ნაკლებობის პრობლემის წინაშე დადგა, მან გზა მისცა გონივრულ კანონებს, მიმართულებს ქორწინებისა და მოსახლეობის ზრდის წასახალისებლად. ამ კანონებიდან უმთავრესი ცნობილია როგორც იულიას კანონი (ძვ.წ. 17 წ.) და პაპია პოპეას კანონი (ახ.წ 9 წ.). ამ კანონების ძალით ცოლ-ქმრული ღალატი სასტიკად ისჯებოდა, ქალისა და კაცის თანაცხოვრება ავტომატურად ლეგალიზდებოდა, დაუქორწინებლად ყოფნის ჩვეული ფინანსური უპირატესობა ქრებოდა. გარკვეული პრივილეგიები აღარ ვრცელდებოდა მარტოხელებზე, უშვილო წყვილებზე, იმ ქალებზე, ვინც სამ შვილზე ნაკლებს გააჩენდა, გაშორებულ ქალებზე და იმ ქვრივებზე, რომლებიც ხელმეორედ არ გათხოვდნენ. ჩამორთმეული მემკვიდრეობის ნაწილი გადაეცემოდა დიდ ოჯახებს. ოჯახები, სადაც სამ შვილზე მეტი

იზრდებოდა, დიდ პატივში ჰყავდათ. აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად საუკუნეების მანძილზე მოქმედებისა, ავგუსტუსის კანონებმა ძირითადი დემოგრაფიული ტენდენციის გარდატეხა მაინც ვერ მოახერხეს. მათი ეფექტიანობა დაბალი აღმოჩნდა. საბოლოოდ, რომის იმპერიის დაცემა ნაწილობრივ მაინც მისი არისტოკრატიის სუსტი დემოგრაფიული დინამიკით იყო გამოწვეული.

ძველი ჩინეთი: კონფუცი

კონფუციმ (ძვ.წ. 555–479 წწ.), მოახდინა რა მანამდე არსებული უძველესი თეორიების გადამუშავება და უნიფიცირება, გაამდიდრა ჩინური ცივილიზაცია ისეთი მორალური და პოლიტიკურ-ფილოსოფიური სისტემებით, რომლებმაც უღრმესი კვალი დააჩნიეს მთელ ჩინურ იმპერიულ ისტორიას, შეაღწიეს უმნიშვნელოვანეს სოციალურ ინსტიტუტებში და ჩინელების მავანი თაობის ქცევა განაპირობეს. კონფუციანობის მრავალ ასპექტს დემოგრაფიული მნიშვნელობა აქვს.

კონფუციანობის მიხედვით ყველა ჩინელს – უკანასკნელი მათხოვრიდან იმპერატორამდე – გააჩნია მორალური პასუხისმგებლობა შვილის მიმართ. მამაკაცისათვის გამრავლება არის როგორც წინაპრებისადმი მოვალეობის მოხდა, ისე პირადი ვალდებულება. გვარში მამრობითი ხაზი აუცილებლად უნდა შენარჩუნებულიყო, ამისათვის კი – ადრეულ ასაკში მაღალი მოკვდაობის გათვალისწინებით – ოჯახში საკმარისად ბევრი მამრობითი სქესის ბავშვი უნდა დაბადებულიყო, მაშინ რამდენიმე მათგანი მაინც გადარჩებოდა და მომავალში – თავის მხრივ – თავად მოასწრებდა ბიჭების გაჩენას. ინდივიდუალური ნაყოფიერებისა და მოკვდაობის მაჩვენებლების უკიდურესი არასტაბილობის გამო ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად ერთადერთი ვარგისიანი სტრატეგია იყო – მაქსიმალური ბავშვთა შობა ნებისმიერ ფასად. სოციალური ინსტიტუტებიც და მორალიც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. მამრობითი სქესის შთამომავლობის უზრუნველსაყოფად დასაშვები იყო მამაკაცს ცოლის გარდა ხასაც ჰყოლოდა. ამავე დროს ქვრივების ხელახლა გათხოვება იკიცხებოდა. ცოლთან გაყრა ნებადართული და ადვილად მისაღწევი იყო, უნაყოფობა განქორწინებისათვის საკმარის მიზეზად მიიჩნეოდა. ქალის სიცოცხლის გამართლება ქმრისათვის ვაჟების საკმაო რაოდენობით გაჩენაში მდგომარეობდა, გოგონას დაბადება კი უიღბლობად ითვლებოდა. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ღარიბებისათვის გოგონა დიდი ეკონომიკური ტვირთი იყო.

იმპერატორის პერსონას გააჩნდა სპეციფიკური მოვალეობა და პასუხისმგებლობა, რომელიც გულისხმობდა გულმოწყალეობის გამოჩენას ქვეშევრდომების მიმართ მათი აბსოლუტური მორჩილების სანაცვლოდ. იმპერატორსა და მის ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ აპარატს უნდა უზრუნველყო საზოგადოებრივი ჰარმონია და წონასწორობა რეალისტური და სამართლიანი პოლიტიკის გატარების გზით. ამ მიზნის მისაღწევად კონფუცი ურჩევდა იმპერატორს დაეთვალა (აღეწერა) მოსახლეობა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით: სქესით, ასაკით, სოციალური მდგომარეობით, ჯანმრთელობითა და ვაჭრობით, რაც საშუალებას მისცემდა მთავრობას სწორად განესაზღვრა მოთხოვნილებები და რესურსები. მართლაც, აღწერების რეგულარულად ჩატარება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ჩინეთის იმპერიის სხვადასხვა ადმინისტრაციისათვის.

კონფუციელობა ზოგადად პოპულაციონისტური თეორია გახლავთ. მისი მტკიცებით მოსახლეობის სიდიდე და – აქედან გამომდინარე – მისი დიდი შრომა საყოველთაო კეთილდღეობის, ქვეყნის გამდიდრებისა და იმპერატორის ძალაუფლების განმტკიცების საწინდარია. ოღონდ ამ მიზნების მისაღწევად თვით იმპერატორი უნდა იჩენდეს კეთილგანწყობას ქვეშევრდომების მიმართ, ხოლო მიწისა და რესურსების განაწილება სამართლიანი უნდა იყოს.

კონფუცის ოპტიმიზმი ვლინდებოდა მის რწმენაში. მას სწამდა, რომ თუ მთლიანად ხალხი, იმპერატორი და მისი ხელქვეითები პატიოსნად შეასრულებენ თავის მოვალეობას და დაიცავენ ზნეობრივი საქციელის წესებს, ჰარმონია საზოგადოებასა და მსოფლიოში მიღწეული იქნება.

კონფუცის ზოგიერთმა მიმდევარმა შეამჩნია გარკვეული წინააღმდეგობის არსებობა მოსახლეობის ზრდის მოთხოვნასა და ბუნებრივი რესურსების შემცირებას შორის. მათი აზრით გადამეტმოსახლეობის პრობლემა შეიძლება გადაჭრილიყო დაბალი დონის მოხმარების ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით. ანუ: მოსახლეობასა და რესურსებს შორის ყოველთვის შეიძლება ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა, რაც იმპერატორის მიერ ბრძნული სახელმწიფო კურსის გატარებითაა გარანტირებული.

დემოგრაფიული პოლიტიკა ევროპის ქვეყნებში

ევროპის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ისტორიულად შედარებით ადრე შეიქმნა დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელი წინაპირობები, ვინაიდან მათ უფრო ადრე იწვნიეს საკუთარ თავზე დემოგრაფიული გადასვლის შედეგად წარმოშობილი დემოგრაფიული პრობლემები, პირველ რიგში – შობადობის შემცირება. რადგან დღევანდელი საქართველო კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგა, ხოლო პოლიტიკურ სისტემებს შორის დემოკრატია აირჩია, ჩვენთვის მეტად ფასეულია ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების გამოცდილება დემოგრაფიულ პროცესებთან მიმართებაში. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ომისშემდგომ ევროპაში შობადობის შემცირების კვალობაზე ნელ-ნელა იცვლებოდა წარმოდგენები დემოგრაფიული განვითარების შესახებ. კერძოდ, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის ფუძემდებლური კონცეფციიდან გამომდინარე, თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის სამეცნიერო წრეებში დიდი სიფრთხილით ეკიდებიან თვით ცნებას "დემოგრაფიული პოლიტიკა". დღეს ამ ფენომენის მიმართ ორგვარი დისკურსი არსებობს. დემოგრაფიული პოლიტიკის “ვიწრო” და “ფართო” განმარტება, რომელიც ზემოთ იყო განხილული და ამდენად მათზე აქ არ შევჩერდებით.

ისტორიული თვალსაზრისით დემოგრაფიული პრობლემის გააზრებასა და შესაბამისი სახელისუფლებო ზომების გატარებას პირველად ადგილი ჰქონდა XVIII საუკუნის საფრანგეთში. საფრანგეთი ერთგვარ გამონაკლისადაც კი შეიძლება მოვიაზროთ დიდ ევროპულ სახელმწიფოებს შორის, რადგან ინგლისის ხელისუფლება ყოველთვის უფრო ინდიფერენტული იყო საკუთარ ქვეყანაში ფაქტობრივად შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციის მიმართ და არ თვლიდა საჭიროდ რაიმე პირდაპირ ჩარევას დემოგრაფიულ პროცესებში. რაც შეეხება გერმანიას, აქ ხელისუფალთა დაინტერესება გაცილებით ძლიერი იყო, მაგრამ XX საუკუნეში ნაცისტურმა პრაქტიკამ თვით ცნება "დემოგრაფიული პოლიტიკის" ისეთი დისკრედიტაცია მოახდინა, რომ 1945 წლის შემდეგ დასავლეთ გერმანიაში მის ხსენებასაც კი გაურბოდნენ. სხვა ვითარება შეიქმნა საფრანგეთში. შობადობის შემცირების საკითხის განხილვა იქ იწყება XIX საუკუნის შუაწლებიდან, რამაც მომდევნო ხანაში ქვეყანაში პრონატალისტური განწყობები განაპირობა. 1870–1940 წლების მთელი პერიოდის განმავლობაში არ წყდებოდა მწვავე მსჯელობები "დეპოპულაციის" პრობლემაზე, რომლებშიც მეცნიერებთან ერთად ღებულობდნენ მონაწილეობას მწერლები, ჟურნალისტები, საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. საფრანგეთში ჯერ კიდევ 1896 წელს დაარსდა ეროვნული კავშირი მოსახლეობის ზრდის მხარდასაჭერად. ხსენებული პერიოდის გავლის შემდეგ, 1945 წელს შეიქმნა მოსახლეობისა და ოჯახის პრობლემათა უმაღლესი საკონსულტაციო კომიტეტი, რომლის დაარსება დე გოლის პიროვნებას უკავშირდება. იმავე 1945 წელს საფრანგეთში შეიქმნა დემოგრაფიული კვლევების ეროვნული ინსტიტუტი (INED) –

თანამედროვე დასავლეთის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაცია დემოგრაფიულ კვლევათა საკითხში.

სწორედ საფრანგეთი გახდა პირველი განვითარებული სახელმწიფო, რომელმაც საკუთარი დემოგრაფიული ევოლუციის მართვა სპეციალური საკანონმდებლო ზომების მეშვეობით სცადა. ვინაიდან დემოგრაფიული პოლიტიკის ფარგლებში სხვადასხვა პრონატალისტური ზომების გატარება ამ ქვეყანაში ასზე მეტ წელს ითვლის, საფრანგეთი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ერთგვარი დემოგრაფიული პოლიგონი, რომლის წყალობით მიღებულია დიდძალი დემოგრაფიული მასალა, რაც დემოგრაფიულ ტენდენციებში სახელმწიფო ჩარევის სხვადასხვა მეთოდის ეფექტიანობის შეფასებას გვაძლევს.

საფრანგეთში გატარებულ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია მატერიალურ დახმარებათა სისტემა. ორსული ქალები, რომლებმაც განაცხადეს თავისი ორსულობის შესახებ და გაიარეს რამდენიმე სამედიცინო შემოწმება, ღებულობენ გარკვეულ მატერიალურ დახმარებას. ორსულობის შემდგომი დახმარება გაიცემა ნაწილ-ნაწილ: პირველად ბავშვის სიცოცხლის 8 დღის შემდეგ, ხოლო თუ ეს ბავშვი რიგით მესამეა – თანხა ორკეცდება; დახმარება გაიცემა ბავშვის სიცოცხლის მე-9 მე-10 თვის და ასევე ორი წლის ასაკის მიღწევისას. მრავალნაყოფიანი მშობიარობისას დახმარებათა სიდიდე იზრდება. ყოველთვიური დახმარებათა სიდიდე მეორიდან მესამე ბავშვის გაჩენისას ორმაგდება (ისე, როგორც შემდგომი ბავშვების ყოლისას). დახმარებები გაიცემა ბავშვის 16 წლის ასაკის მიღწევამდე, ხოლო სწავლის გაგრძელების შემთხვევაში – 23 წლის ასაკამდე. ამასთან, ოჯახები, რომლებსაც 3 წლის ასაკამდე ერთი ბავშვი მაინც ჰყავთ, ღებულობენ ყოველთვიურ დამატებით მატერიალურ დახმარებას. მარტოხელა მშობლებს მიეცემათ ყოველთვიური დახმარება ბავშვის 3 წლის ასაკის მიღწევამდე. შვებულება ორსულობისა და მშობიარობისათვის 16 კვირას შეადგენს და ანაზღაურდება ხელფასის 90%-ის ფარგლებში. აღნიშნულის გარდა სახელმწიფო ითვალისწინებს დახმარებათა სხვა კატეგორიებს, რომლებსაც მოცემულ შემთხვევაში არ განვიხილავთ.

გერმანიის მაგალითი – საფრანგეთისაგან განსხვავებით – განსაკუთრებულია, ვინაიდან მეორე მსოფლიო ომში დამარცხებას გერმანიაში გაბატონებული პრონატალისტურ-რასისტული დემოგრაფიული პოლიტიკის სრული კრახი მოყვა. შედეგად, ამ ქვეყანაში დემოგრაფიულმა აზროვნებამ დიდი წყვეტა განიცადა, ხოლო თვით ეს დისციპლინა კარგა ხნით დისკრედიტირებული აღმოჩნდა.

ისტორიულად საზოგადოებრივი აზრის რეაქცია შობადობის შემცირებაზე გერმანიაში პირველად აღინიშნა XIX საუკუნის ბოლოს. პირველი მსოფლიო ომის დანაკარგების ფონზე პრონატალისტური განწყობები შემდგომშიც ძლიერდებოდა და 1921 წელს გერმანიაში დაარსდა დიდი ოჯახების ასოციაციათა ეროვნული კავშირი. 1930-იან წლებში გერმანიაში იმარჯვებს ფაშიზმი. ფაშისტების მილიტარისტულ პროპაგანდას საფუძვლად "დიდი გერმანიის" კონცეფციიდან გამომდინარე თეორიულად გამართლებული დემოგრაფიული მოსაზრებები დაედო. გერმანიის სპეციფიკა ის იყო, რომ ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლამ განაპირობა ბავშვთა შობაზე შიგაოჯახური ტრადიციული კონტროლის მორღვევა. ნაცისტების დემოგრაფიული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ლოზუნგი გახდა ნაციონალისტურ-რასისტული პრონატალიზმი (რაიხს ბევრი ჯარისკაცი სჭირდებოდა). 1941 წლიდან ფაშისტური მთავრობის დემოგრაფიული კურსი უკვე ოფიციალურადაც გულისხმობდა ბავშვთა შობის შიგაოჯახური კონტროლის შესუსტებას, რამაც ტრადიციული გერმანული საოჯახო ფასეულობების ნიველირება გამოიწვია. ასე მაგალითად, მამაკაცი აღარ იყო ვალდებული ცოლის ერთგული ყოფილიყო და სრული უფლება ჰქონდა ბავშვები – რაიხის მომავალი ჯარისკაცები – სხვა ქალთან (ან ქალებთან) გაეჩინა. "არასრულფასოვან" გერმანელებს ეკრძალებოდა შთამომავლობის შექმნა. "მეორეხარისხოვანი" ერების

გამრავლება მკაცრად უნდა დარეგულირებულიყო, ებრაელები კი საერთოდ განადგურებას ექვემდებარებოდნენ. რასაკვირველია, ასეთ ფონზე ომისშემდგომ, დემოკრატიის გზაზე მდგარ გერმანიაში, დემოგრაფიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, რეაბილიტაცია დიდი ხნის მანძილზე ძალზე დიდ სირთულეებს აწყდებოდა.

ბოლო დროს მდგომარეობა გერმანიაში გარკვეულწილად შეიცვალა, რასაც ხელი შეუწყო უაღრესად მძიმე დემოგრაფიულმა ვითარებამ. 2007 წლის 1 იანვრიდან შემოღებულ იქნა ფულადი დახმარებები. ბავშვის დაბადებიდან 1 წლის განმავლობაში მშობლები სახელმწიფოსაგან მიიღებენ დახმარებას ხელფასის 67%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 1800 ევროსი თვეში. ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით მამის მხრიდან სამუშაოს 2 თვით მიტოვების შემთხვევაში ოჯახი ღებულობს დამატებით დახმარებას 2 თვის ოდენობით. მარტოხელა დედები და მამები ასევე ღებულობენ მატერიალურ დახმარებას 14 თვის განმავლობაში.

XIX საუკუნის ბოლოს პრონატალისტური განწყობები დაფიქსირდა აგრეთვე შვედეთში. XX საუკუნის 30-იან წლებში აქ ოფიციალურად ჩამოყალიბდა სახელისუფლებო დემოგრაფიული კურსი, რომლის ფარგლებში ბავშვთა შობის მატერიალური სტიმულირება შეხამებული იყო შობადობის რეგულირებისადმი ლიბერალურ მიდგომასთან. ამგვარად, შვედეთის ხელისუფლების ამ საკითხებისადმი მიდგომა განსხვავდებოდა თანადროულ საფრანგეთსა და გერმანიაში გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკისაგან.

მსგავსი პრონატალისტური ღონისძიებები გატარდა აგრეთვე ბელგიასა და დანიაში. უნდა დავეთანხმოთ ცნობილი ახალზელანდიელი დემოგრაფის ქ-ნ კ. ალისონ მაკინტოშის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ომთაშორის და კიდევ უფრო ადრეულ პერიოდებში საზოგადოებრივი აზრის პრონატალისტური განწყობები ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. საფრანგეთში), უკავშირდებოდა ამ ქვეყნების ეროვნულ-სტრატეგიულ და თავდაცვით ინტერესებს.

ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე დიდი და განვითარებული სახელმწიფო – დიდი ბრიტანეთი – XIX საუკუნეში ფაქტობრივად დემოგრაფიული პოლიტიკის გარეშე დარჩა. ინდიფერენტული დამოკიდებულება დემოგრაფიული ვითარებისადმი აქ მთელი XX საუკუნის განმავლობაშიც მძლავრობდა.

საზოგადოდ, დღევანდელი ევროკავშირისათვის დამახასიათებელი დემოგრაფიული ტენდენციები სათავეს იღებენ დასავლეთ ევროპაში XX საუკუნის ბოლოს (80-იანი წლებიდან მოყოლებული) შობადობის მიმართ წარმოქმნილ განწყობებში. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საბოლოო ჯამში სწორედ საზოგადოებრივი აზრი აპირობებს ამა თუ იმ ქვეყანაში კონკრეტული დემოგრაფიული პოლიტიკის საჭიროებას.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპული ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი დემოგრაფიული სიტუაციის შეფასებისას მეტწილად სიფრთხილესა და ზომიერებას იჩენდა. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთშიც კი – სხვა, უფრო ტოლერანტულ ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ – უსაფუძვლო იქნებოდა მთელი მოსახლეობის "არადიფერენცირებული პრონატალიზმის" მხარდამჭერად განხილვა. იმასაც კი აღნიშნავდნენ, რომ გერმანიაში მოსახლეობის ზრდის მხარდამჭერებს პრაქტიკულად ვერ შეხვდები ვერც საზოგადოებრივ წრეებში და ვერც მეცნიერებს შორის, რაც აიხსნება გერმანელების კარგი ინფორმირებულობით იმის თაობაზე, თუ რა პრობლემები გაჩნდა განვითარებად ქვეყნებში დემოგრაფიული აფეთქების შედეგად. როგორც უკვე აღინიშნა, გერმანიის შემთხვევა განსაკუთრებულია. ნაცისტური გერმანიის უარყოფითი ისტორიული გამოცდილების შედეგად ომის შემდგომ წლებში დემოგრაფია გერმანიაში დისკრედიტირებული, ხოლო თვით ტერმინი "დემოგრაფიული პოლიტიკა" კარგა ხნით ტაბუირებული აღმოჩნდა. შესაბამის

სპეციალისტებს უნივერსიტეტებში თითქმის არ ამზადებდნენ. დემოგრაფიულ მოვლენებზე ყურადღების ოდნავი გამახვილება ფედერატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ წრეებში შეიმჩნეოდა მხოლოდ 1976 წლის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ამ მხრივ რაიმე აქტიური ზომების გატარებაზე მცირედი მინიშნებაც კი მეტისმეტად მტკივნეულად აღიქმებოდა. დღემდე გერმანიაში არსებულ დემოგრაფიულ ტენდენციებზე საუკეთესო რეაგირებად მათთან ადაპტაციაა მიჩნეული. XX საუკუნის 80-იან წლებამდე არსებული განწყობების გათვალისწინებით მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაცია უნდა მომხდარიყო მიმდინარესთან შედარებით გაცილებით დაბალ დონეზე. მას შემდეგ შეხედულებები მცირეოდენ შეიცვალა, თუმცა დემოგრაფიული პოლიტიკა მაინც "არ არსებობს", სათანადო სოციალურ-ეკონომიკური ზომები კი საოჯახო პოლიტიკის ფარგლებშია განსახილველი. იმასაც კი აღნიშნავენ, რომ თუკი გერმანიის მთავრობა და პარლამენტი (ბუნდესტაგი) ოდესმე მიაღწევენ შეთანხმებას დემოგრაფიული პოლიტიკის ერთობლივი მიზნის თაობაზე, ასეთი მიზანი მხოლოდ მოსახლეობის ნულოვანი ზრდა შეიძლება იყოს.

ისტორიული ფაქტორიდან გამომდინარე დასავლეთი ევროპის ქვეყნებთან შედარებით განსხვავებულ დემოგრაფიულ სტილს ვხვდებით აღმოსავლეთ ევროპაში, ანუ ევროკავშირის ე.წ. "ახალ" ქვეყნებში. აღმოსავლეთი ევროპა წინა საუკუნეში ორი უმოწყალო მსოფლიო ომის თეატრი გახლდათ, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ამ რეგიონის ქვეყნები ერთიანად სოციალისტურ ბანაკში აღმოჩნდნენ, რამაც თავის მხრივ დემოგრაფიული ქცევის სპეციფიკა განაპირობა. ამ ქვეყნების დემოგრაფილი პოლიტიკა ორიენტირებული იყო მოსახლეობის ზრდაზე, რაც აიხსნებოდა როგორც წმინდა დემოგრაფიული, ისე ეკონომიკური და იდეოლოგიური მოტივაციით. პრონატალისტურ პოლიტიკას საფუძვლად დაედო როგორც ობიექტური სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნები, ისე სოციალიზმის ზოგადი იდეოლოგიური თეზისი იმის თაობაზე, რომ პროგრესულ წყობას ძალუძს, როგორც ეთნოსის ზრდის უზრუნველყოფა, ისე ეკონომიკურ დაგეგმვასთან შესაბამისობაში მისი რაოდენობის გეგმიანი რეგულირება.

საკუთრივ პრონატალისტური დემოგრაფიული პოლიტიკის ჩამოყალიბებულ სახეს აღმოსავლეთი ევროპის ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკა ღებულობს XX საუკუნის 60-იან წლებში. მანამდე ცალკეული ზომების მიღება ამ სფეროში, მაგ., მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარების გაწევა, სპორადიული ხასიათისა იყო, სოციალური დახმარების ფუნქციას ასრულებდა და დემოგრაფიულ განვითარებაზე ზემოქმედებას არ ახდენდა.

აღმოსავლეთი ევროპის სოციალისტური ქვეყნების დემოგრაფიული პრაქტიკა გულისხმობდა როგორც აკრძალვითი, ისე მასტიმულირებელი ზომების გატარებას. ამ ზომების ეფექტიანობა მეტად ხანმოკლე იყო, ხოლო ამ ქვეყნების გამოცდილება მიგვითითებს როგორც დემოგრაფიული პოლიტიკის შესაძლებლბებზე, ისე მის ობიექტურად არსებულ შეზღუდულობაზე.

ქვემოთ მაგალითისათვის მოკლედ განვიხილავთ დემოგრაფიულ პოლიტიკას, რომელიც შობადობის სტიმულირებისაკენ იყო მიმართული ბულგარეთში, უნგრეთსა და გდრ-ში (გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკა) 1970-იან წლებში.

1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში ბულგარეთში დაიწყო დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რომელიც პირველ რიგში მიმართული იყო შობადობის ზრდისაკენ.

მიუხედავად ამისა, მოსახლეობის აღწარმოების ისეთი განმაზოგადებელი მაჩვენებელი, როგორიცაა აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი, ბულგარეთში სულ კლებულობდა. მცირდებოდა აგრეთვე ერთი ქალის მიერ დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა (2,01-დან 1965 წელს. 1,87-მდე 1975 წელს). არსებული შობადობის დონე ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის მარტივ აღწარმოებასაც კი.

კვლევის მონაცემები უჩვენებდნენ, რომ ბულგარული ოჯახები სულ უფრო მეტად იყვნენ ორიენტირებული 1-2 ბავშვზე. შობადობის შემცირებამ ბულგარეთში განაპირობა სხვა დემოგრაფიული პროცესებისა და სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილება. კერძოდ, გაიზარდა იმ პირთა აბსოლუტური რაოდენობა და წილი, რომლებიც შრომისუნარიან ასაკს აღემატებოდნენ და შემცირდა დაბალი და შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი.

იმდროინდელი ბულგარული ხელისუფლების მიერ გამოტანილ იქნა დასკვნა – ნათელია, რომ ის სიტუაცია, რომელშიც ბულგარეთი აღმოჩნდება გარკვეული დროის შემდეგ, კერძოდ კი მოსახლეობა დაიწყებს კლებას, არასასურველია.

მიუხედავად ზემოთ მოყვანილისა, ზოგჯერ, რატომღაც ბულგარეთი იმ ქვეყნებს შორის მოიხსენიებოდა, რომლებშიც დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას შედეგი მოჰყვა.

შედარებით უფრო ეფექტური აღმოჩნდა შობადობის სტიმულირებისაკენ მიმართული დემოგრაფიული პოლიტიკა უნგრეთში.

დემოგრაფიული პოლიტიკა უნგრეთში პირველად 1950-იანი წლების დასაწყისში გატარდა, ხოლო შემდეგ 1970-იანი წლების პირველ ნახევარში. ორივე შემთხვევაში მას მოჰყვა შობადობის შემცირების შეჩერება და შემდგომ მისი ერთგვარი ზრდა. თუმცა საბოლოოდ ამანაც ვერ იქონია სტაბილური ხასიათი და 1976 წლიდან დაწყებული შობადობა უნგრეთში განაგრძობდა კლებას. არსებული გაანგარიშებით 1978 წელს გათხოვილმა ქალებმა საშუალოდ გააჩინეს 2 ბავშვზე ნაკლები. ამგვარი ტენდენციის შენარჩუნებას უნდა მოჰყოლოდა მოსახლეობის შეკვეცილი რეჟიმის დამკვიდრება და მომავალში მოსახლეობის კლება.

უკვე 1960-იანი წლების ბოლოს შობადობის დონე გდრ-ში ძალიან დაბალი იყო, ხოლო 1970-იანი წლების დასაწყისში ის საკმარისი არ იყო მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვისაც კი. ამიტომ, ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ოჯახში ბავშვების რაოდენობის საშუალოდ 2-3 ბავშვამდე გაზრდა.

განსაზღვრულ იქნა დემოგრაფიულ პოლიტიკის ამოცანები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ოჯახის განმტკიცებასა და შობადობის გადიდებას. გათვალისწინებული იყო: ბინით უზრუნველყოფა, საბავშვო დაწესებულებათა გაფართოება, მატერიალური დახმარება ბავშვის გაჩენისას, ახალგაზრდების მომზადება ოჯახური ცხოვრებისათვის, მრავალშვილიანი ოჯახებისა და იმ ოჯახების დახმარება, რომლებშიც სკოლანდელი ასაკის ორი და მეტი ბავშვია და სხვა.

1976 წლიდან მეორე და ყოველი შემდგომი ბავშვის გაჩენის შემთხვევაში მშობიარობიდან ერთი წლის განმავლობაში ქალებს ენახებოდათ სამუშაო ადგილი. ასეთ დროს, მშობიარობის შემდგომი შვებულების დამთავრების შემდეგ, ბავშვის ერთ წლამდე შესრულებამდე, დედას უხდიდნენ თანხას, რომელიც ავადმყოფობის დახმარების ტოლი იყო. მარტოხელა, სამუშაოთი დაკავებული დედები, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის მოწყობა სხვადასხვა მიზეზის გამო შეუძლებელი იყო საბავშვო დაწესებულებაში, იღებდნენ ხელფასის დამატებით ავადმყოფის დახმარების ოდენობის თანხას.

1972 წლიდან ახალდაქორწინებულებს (26 წლის ასაკამდე) ეძლეოდათ უპროცენტო 8 წლიანი კრედიტი 5000 მარკის ოდენობით. კრედიტის დაფარვა შემდეგნაირად წარმოებდა: პირველი ბავშვის გაჩენისას ახალდაქორწინებულები თავისუფლდებიან 1000 მარკა გადასახადისაგან, მეორე ბავშვის გაჩენისას კიდევ – 1500 მარკა გადასახადისაგან, მესამე ბავშვის გაჩენისას კიდევ – 2500 მარკა გადასახადისაგან, ანუ ამით იფარებოდა მთელი კრედიტი. ე. ი. თუ ქალი გააჩენდა 3 ბავშვს, სახელმწიფო მას (ოჯახს) უხდიდა 1500 მარკას (სხვა დახმარების გარდა).

1977 წლის 30 ივნისამდე გაცემული იყო 398117 კრედიტი.

ზემოთ მოტანილ ღონისძიებათა გატარებამ გამოიწვია შობადობის ზრდა. 1974-1977 წლებში შობადობა 1974 წლამდე არსებულ დონესთან შედარებით გაიზარდა 1,5-14,2%-ით, თუმცა შემდგომში (1977-1979 წწ.) ისევ დაიკლო და 1979 წელს შობადობის მატების ტემპმა დაიწია 1974 წლის დონემდე, ე.ი. ჩატარებულმა ღონისძიებებმა დადებითი ეფექტი იქონია შობადობაზე მხოლოდ მცირე დროის განმავლობაში. წინანდებურად ოჯახების დიდ უმრავლესობას ერთი-ორი ბავშვი ჰყავდა. გადასაწყვეტი დარჩა მესამე ბავშვის პრობლემაც. მესამე და შემდგომი ბავშვების წილი მხოლოდ 10%-ს შეადგენდა, ხოლო მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის საჭირო იყო უახლოეს წლებში სამბავშვიანი ოჯახების წილის 18-20%-მდე გაზრდა.

როგორც ვხედავთ, ერთი შეხედვით მნიშვნელოვან ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

რატომ მოხდა ასე?

საქმე ისაა, რომ, როგორც ჩანს, ზემოთ მოტანილ ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებისას მხოლოდ ლოგიკური, აპრიორული დასკვნებით ხელმძღვანელობდნენ, რომელიც მოცემულ შემთხვევაში საკმარისი არ აღმოჩნდა.

მხოლოდ შემდგომში დაისვა რეპროდუქციული განწყობის, ბავშვების სასურველი რაოდენობის, რეალური ქცევის მოტივაციისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების სრული და ღრმა შესწავლის ამოცანა.

ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ჯერ ეს საკითხები შესწავლილიყო და მას შემდეგ, მიღებული ცოდნის გამოყენებით განხორციელებულიყო შობადობის სტიმულირების ღონისძიებათა მთელი ზემოთ აღწერილი კომპლექსი.

რატომ არ იქონია პრაქტიკულად გავლენა მიღებულ ღონისძიებათა კომპლექსმა შობადობაზე?

მოცემულის შესახებ შეიძლება ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა.

როგორც ჩანს, გატარებულ ღონისძიებათა კომპლექსმა არავითარი გავლენა არ იქონია "ბავშვების ყოლის მოთხოვნილებაზე", არ გამოიწვია მისი ზრდა და შესაბამისი განწყობის ფორმირება.

შობადობის ნაწილობრივი მომატება აღნიშნულ პერიოდში გამოწვეული იყო იმით, რომ ახალდაქორწინებულები თავისი "ბავშვების ყოლის მოთხოვნილებიდან" გამომდინარე, მაინც აპირებდნენ ბავშვების გარკვეული რაოდენობის ყოლას. გატარებულ ღონისძიებათა ნაწილი კი ბავშვების გაჩენისათვის ითვალისწინებდა მატერიალურ წახალისებას. ახალდაქორწინებულებმაც "ისარგებლეს" ამ მდგომარეობით და იყოლიეს ბავშვების ის რაოდენობა რომელიც სურდათ (შესაძლებელია უფრო ნაადრევად, ვიდრე დაგეგმილი ჰყონდათ). თან ამისათვის მატერიალურ "ჯილდოს" იღებდნენ. მაშინ როდესაც საქმე შეეხო იმ ბავშვების გაჩენას, რომლის "მოთხოვნილებაც" არ ჰქონდათ, საქმის ვითარება შეიცვალა და მათ უარი თქვეს არასასურველი ბავშვის ყოლაზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, ახალდაქორწინებულების უდიდესმა ნაწილმა მაინც იმდენი ბავშვი იყოლია, რამდენი ბავშვის ყოლას აპირებდა და ყოველგვარი მატერიალური წახალისების გარეშე მათი უდიდესი ნაწილი მაინც იმდენივე ბავშვს იყოლიებდა.

გარკვეული გაანგარიშებებიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო 1977 წლის 30 ივნისამდე დაახლოებით 500-600 მილიონი მარკა (მარტო კრედიტის სახით გამოყოფილი) პრაქტიკულად უშედეგოდ დახარჯა, რადგან ამ თანხის მიუღებლადაც ახალდაქორწინებულები მაინც იყოლიებდნენ ბავშვებს.

ჩვენი ვარაუდით, "ბავშვების ყოლის მოთხოვნილება" გდრ-ში იმდენად დაბალი იყო, რომ მისი სრული დაკმაყოფილებაც კი მაინც არ იქნებოდა საკმარისი მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის.

ისეთი სპეციალისტების აზრით, როგორიც ბერელსონი, ელდრიჯი, ბორი და გლასია, იმ ეფექტის შესახებ, რომელიც შეიძლება მოგვცეს დემოგრაფიულმა პოლიტიკამ, არსებითად არაფრის თქმა არ შეიძლება. მონაცემები, რომლებიც მისი

მოქმედების სასურველ შედეგებზე მეტყველებს, არადამაჯერებელია. არ შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, თითქოსდა გატარებულ ღონისძიებებს მოჰყოლია შობადობის დონეზე რაიმე არსებითი ზემოქმედება მისი ზრდის მიმართულებით. მართალია, ისტორიას დემოგრაფიული პოლიტიკის ბევრი მაგალითი ახსოვს, მაგრამ არ არსებობს მონაცემები, რომლებიც მისი წარმატების შესახებ მეტყველებდნენ.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სადღეისოდ ჩვენ არ გაგვაჩნია არც ერთი მაგალითი, რომელიც იმას გვიჩვენებს, რომ შობადობის ზრდისაკენ მიმართულ დემოგრაფიულ პოლიტიკას მოჰყოლოდა შობადობის სტაბილური მატება მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში. უმეტეს შემთხვევაში ადგილი ჰქონდა არა შობადობის ფაქტობრივ ზრდას, არამედ მის კონცენტრაციას მოკლე პერიოდში, დაბადებათა კალენდრის გადმოტანას.

ამავე დროს, დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა იყოს მოქნილი, მრავალმხრივი, ღრმად გააზრებული და განსაზღვრული ხანგრძლივ პერიოდზე. სწორედ დემოგრაფიული პროცესების სფეროშია მეტად მნიშვნელოვანი ისეთი ღონისძიებების ჩატარების გათვალისწინება, რომელთა ეფექტს ექნება ადგილი არა რამდენიმე წლის განმავლობაში, არამედ მრავალი ათწლეულის მანძილზე.

დემოგრაფიული პოლიტიკა აშშ-ში

აშშ-ში ხანგრძლივი დროის განმავლობაში დემოგრაფიული ვითარება არ წარმოადგენდა რაიმე საზოგადოებრივი შეშფოთების საგანს, შობადობის დონის გადაფარვა კი იმიგრაციის შედეგად ხდებოდა. ამერიკას ყოველთვის "იმიგრანტების" ქვეყანად მიიჩნევდნენ, რომლის ხელისუფლება კმაყოფილი იყო მოსახლეობის ზრდის ტემპებით და ამ პროცესში რაიმე ხელოვნურ ჩარევას საჭიროდ არ მიიჩნევდა.

XX საუკუნის 70-იან წლებში იმიგრაციის ზრდის პრობლემამ მაინც იქონია გარკვეული ზეგავლენა აშშ-ს საზოგადოებრივ აზრზე. 1970-იანი წლების დასაწყისში ამერიკის კონგრესმა შექმნა კომისია "მოსახლეობის ზრდა და ამერიკის მომავალი" (სხვაგვარად "როკფელერის კომისია"). კომისიამ გაანალიზა ამერიკის დემოგრაფიული წარსული და მივიდა იმ დასკვნამდე (1974 წ.), რომ მოსახლეობის ზრდა უფრო მაღალი ტემპებით, ვიდრე წარსულში (აწმყოზე ექსტრაპოლაციის გათვალისწინებით), ვერ მოუტანს შეერთებულ შტატებს ვერც ეკონომიკურ, ვერც ეკოლოგიურ, ვერც სოციალურ და ვერც სახელმწიფო მოგებას და ამიტომ უფრო სასურველია მოსახლეობის სტაბილიზაციაზე ზრუნვა. კომისიის რეკომენდაციები ეხებოდა აბორტების ლეგალიზებას, კონტრაცეპტივების მოხმარებაზე დაწესებული შეზღუდვების გაუქმებას, სქესობრივი განათლების შემოღებას, არალეგალური მიგრაციის შეწყვეტის ფონზე ლეგალური მიგრაციის კვოტის წელიწადში 400 ათასი მიგრანტით შეზღუდვას. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ ნიქსონის დამოკიდებულება კომისიის რეკომენდაციებისადმი ნეგატიური აღმოჩნდა, მათი უმრავლესობა (იმიგრაციის გარდა) მაინც განხორციელდა.

დღეისათვის აშშ-ს ხელისუფლებას არ გააჩნია რაიმე კონკრეტული, ზუსტად ჩამოყალიბებული დემოგრაფიული პილიტიკა. ერთადერთი სფერო, რაშიც ამერიკული ადმინისტრაცია უამრავ შეზღუდვას აწესებს – იმიგრაციაა. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი მატების ფონი აქ რამდენადმე მაღალია სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებთან შედარებით, დღევანდელ აშშ-ში მოსახლეობის ზრდის ნახევარი იმიგრაციაზე მოდის. გასათვალისწინებელია, რომ 1965 წელს მიგრაციის კანონში შეტანილი შესწორების შედეგად, იმიგრაციის შესაძლებლობა ყველა დონორი ქვეყნისთვის გახდა მისაწვდომი (ადრე უპირატესობა ევროპულ ქვეყნებს ეძლეოდა). ამჟამად აშშ-ს მოსახლეობა შედგება მრავალრიცხოვანი ეთნიკური და ეროვნული ჯგუფებისგან, რომლებიც აქ მიგრაციული პროცესის სხვადასხვა

ტალღებს ჩამოყვნენ. დროდადრო სახელმწიფო დაინტერესებას იჩენს არალეგალური იმიგრაციის მიმართ, მაგრამ რადგანაც არალეგალი იმიგრანტები ასრულებენ ისეთ სამუშაოს, რომლის შესრულება თავად ამერიკელებს აღარ უნდათ, არალეგალების წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარებამ შესაძლოა ეკონომიკური და პოლიტიკური სირთულეები გამოიწვიოს. ამიტომაა, რომ მიუხედავად გაზრდილი ტერორისტული საფრთხისა და სასაზღვრო კონტროლის გაძლიერებისა, არალეგალური იმიგრაციის პრობლემის რადიკალურად გადაჭრა დღევანდელ აშშ-ში პრაქტიკულად შეუძლებელია, თუმცა ბიუროკრატიული ზომები ამ მიმართულებით 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის გამო შესამჩნევად გამკაცრდა.

ამჟამად აშშ-ში მოქმედი საიმიგრაციო კანონი იმიგრანტების ორ ფართო კატეგორიას განსაზღვრავს: მუდმივსა და დროებითს. ამასთან, იმიგრანტის ლეგალურ სტატუსს მხოლოდ მუდმივებს ანიჭებენ – მათ აძლევენ მუდმივ საცხოვრებელ ვიზებს, რომელთაც პოპულარულ ენაზე "მწვანე ბარათი" ეწოდებათ. ასეთი ტიპის იმიგრანტებს უფლება აქვთ 5 წლის შემდეგ მიმართონ ხელისუფლებას თხოვნით აშშ-ის მოქალაქეობის მინიჭებაზე. დროებითი იმიგრანტების დიდ ნაწილს კი ტურისტები და ქვეყანაში საქმიანი ვიზიტით ჩასულები შეადგენენ (მაგალითად 2003 წელს ასეთი 27,8 მლნ. კაცი იყო).

აშშ-ს რეალური დემოგრაფიული პოლიტიკის (გინდაც მას ოფიციალურად ასე არ ეწოდებოდეს) უმნიშვნელოვანესი კომპონენტი განვითარებული ჯანდაცვის სისტემაა. პროგრამები Medicare (სამედიცინი დაზღვევის პროგრამა) და Medicaid (ღარიბებისთვის სამედიცინო დახმარების პროგრამა) პრაქტიკულად უზრუნველყოფენ ჯანმრთელობის დაცვას დაბალშემოსავლიანი პირებისათვის. ყოველივე ამან კი საბოლოო ჯამში უდავოდ დიდი ეფექტი მოახდინა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდაზე.

ამრიგად, თუმცა აშშ-ს არ გააჩნია ოფიციალურად აღიარებული დემოგრაფიული პოლიტიკა, ქვეყანაში მოქმედი კანონები და პროგრამები საკმაოდ ეფექტიანად ემსახურება შედარებით ოპტიმალური დემოგრაფიული პარამეტრების მიღწევასა და შენარჩუნებას. შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ს იმიგრაციული კანონმდებლობა ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია მსოფლიოში. მართალია, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ვიზების გაცემის პროცედურა ქვეყანაში გამკაცრდა და გაცემული ვიზების რაოდენობა შემცირდა, ამას საფუძვლად არა დემოგრაფიული, არამედ პოლიტიკური უსაფრთხოების მოსაზრებები დაედო.

დემოგრაფიული პოლიტიკა თანამედროვე ჩინეთში

თანამედროვე მსოფლიოში სწორედ ჩინეთი წარმოადგენს ისეთი ქვეყნის მაგალითს, სადაც ცნების "დემოგრაფიული პოლიტიკა" ხმარებას თან არავითარი კომპლექსები არ მოსდევს. ეს მართლაც პოლიტიკაა თავისი კონკრეტული შედეგებით. ამ პოლიტიკას ყველა ეტაპზე ახორციელებდა და ახორციელებს მძლავრი, ტოტალიტარული მეთოდების მოყვარული და ძლიერ ცენტრალიზებული ხელისუფლება. რა თქმა უნდა, პოლიტიკური ხერხებით მსგავსი დემოგრაფიული ზომების პირდაპირი გატარება კლასიკური დემოკრატიის ქვეყნებში უბრალოდ შეუძლებელია, მაგრამ მსოფლიოს იმ ნაწილისათვის, სადაც დღესაც დედამიწის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი ცხოვრობს, ჩინეთის მიერ გატარებულმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ მართლაც ფრიად ღირებული მაგალითის როლი შეიძლება შეასრულოს.

1945 წელს ქვეყნის სათავეში იარაღის ძალით მოსულ ჩინელ კომუნისტებს ჩან კაიშის განდევნილი რეჟიმისაგან გაჩანაგებული და დაუძლურებული ქვეყანა ერგოთ. კომუნისტური მმართველები ქადაგებდნენ თანასწორობას, რესურსებისა და წარმოებების საშუალებებზე უმკაცრესი სახელმწიფო კონტროლის დაწესებასა და სამართლიანი განაწილების საფუძველზე ეკონომიკის ჰარმონიულ განვითარებას.

ასევე მათ მიერ პროკლამირებულ მიზნებს შორის სათანადო ადგილი ეკავა მოსახლეობის ხარისხის გაუმჯობესებას მოკვდავობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებით. ამ მხრივ წვლილი უნდა შეეტანა აგრეთვე მასების ცნობიერების ამაღლებას საყოველთაო განათლების მეშვეობით.

სახალხო რესპუბლიკის არსებობის პირველ წლებში კომუნისტური იდეოლოგები ქვეყნის უზარმაზარ მოსახლეობას ეკონომიკური აყვავების წინაპირობად მიიჩნევდნენ. სოციალიზმთან შეუთავსებელი უმუშევრობის პრობლემა მათ არ აშინებდათ; კოლექტივიზაციის შედეგად საკვები, ჯანდაცვა და განათლება ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო. ერთი სიტყვით, იმ პერიოდში ჩინეთის კომუნისტური ხელისუფლება აშკარა პრონატალისტურ პოლიტიკას მისდევდა (1949 წელს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსებისას, ხელისუფლების შეფასებით ჩინეთის მოსახლეობა 500 მლნ. იყო, თუმცა ოფიციალურად 800 მლნ-ს აცხადებდნენ), რასაც თან ღია პრონატალისტური რიტორიკაც მოსდევდა.

პირველმა აღწერამ ჩინეთში აჩვენა, რომ მოსახლეობამ 1940-1950-იანი წლების დასაწყისში 590 მილიონს მიაღწია, რაც მოსალოდნელზე 100 მილიონით მეტი იყო. მოსახლეობის გადაჭარბებულად სწრაფ ზრდაში კომუნისტებმა ეკონომიკური ზრდის შესაძლო შეჩერების საფრთხე დაინახეს. ამის შედეგად მაოს წინადადებით უკვე 1956 წელს ქვეყანაში დაიწყო შობადობაზე კონტროლის დაწესების (გარდა ეროვნული უმცირესობებისა) კამპანია. ამ კამპანიის ფარგლებში ჩინეთში დაიწყო კონტრაცეპტივების წარმოება, სტერილიზაციისა და აბორტების მიმართ ლიბერალური დამოკიდებულების პროპაგანდა. მაგრამ მასობრივი კონტრაცეპციის ეფექტიანი მეთოდების არარსებობის, კვალიფიცირებული პერსონალის მწვავე ნაკლებობისა და ჩინურ ოჯახში სექსუალური საკითხების მიმართ ტრადიციული მიდგომის პირობებში ოჯახის დაგეგმვის პროპაგანდა ძირითადად ქალაქებით შემოიფარგლა. რეგულირების თავდაპირველ მცდელობებს შობადობაზე შესამჩნევი გავლენა არ მოუხდენია. მალე აღნიშნული კამპანია შეაჩერეს. დემოგრაფია, სხვა ჰუმანიტარული დისციპლინების მსგავსად, ტაბუდადებული მეცნიერება აღმოჩნდა, მოსახლეობის ზრდაზე კონტროლი გამოცხადდა რეაქციულ შეხედულებად, შობადობის რეგულირების მცდელობები აღიკვეთა და კონტრაცეპტივების წარმოება შეწყდა.

1959-1961 წლებში განხორციელებული და ჩავარდნილი "დიდი ნახტომის" პოლიტიკის უმთავრესი შედეგი საშინელი შიმშილობა გახდა, რამაც დაახლოებით 30 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამ ტრაგიკული მოვლენების ფონზე დღის წესრიგში კვლავ აღმოჩნდა შობადობაზე კონტროლის დაწესების საკითხი. შობადობის დონე ამ წლებში მერყეობდა. 1960 წელს მოკვდავობამ შობადობას 3 მილიონით გადააჭარბა, მაგრამ შემდეგ აღდგენის პერიოდი დადგა. სწორედ "დიდი ნახტომის" პოლიტიკაზე ფაქტიური უარის შემდეგ, 1960-იანი წლების პირველ ნახევარში, დაიწყო ჩინური "ბები-ბუმი", რაც ყოველწლიურად 25–30 მილიონი ბავშვის დაბადებაში გამოიხატა.

1962 წელს დაიწყო მოსახლეობის შობადობაზე კონტროლის მეორე კამპანია. ამჯერად, შობადობის რიცხვის შესამცირებლად კამპანიის ავტორებმა უფრო "რბილ" მეთოდებს მიმართეს, კერძოდ, ქორწინების გადავადებასა და კონტრაცეპტივების ფართოდ გავრცელებას. ოჯახში ბავშვთა რაოდენობა ორით, ზოგიერთ შემთხვევაში სამით, შემოიფარგლა, ხოლო მათ გაჩენებს შორის სავალდებულო გახდა 3–5 წლიანი ინტერვალის დაცვა. აბორტი იყო უფასო, კონტარაცეპციის მიზნით ქალები ხშირად მიმართავდნენ სპირალს, კვლავ ამოქმედდა პროპაგანდის მექანიზმი. ახალგაზრდებს აფრთხილებდნენ, რომ ადრეული სექსუალური აქტივობა არათუ უარყოფითად აისახებოდა მათ ფიზიკურ და ინტელექტუალურ ჯანმრთელობაზე, არამედ მიუღებელი იყო იდეოლოგიური თვალსაზრისითაც.

1960-იან წლებში შობადობაზე კონტროლის ეს მცდელობა უკეთ იყო ორგანიზებული, ვიდრე პირველი. იგი შედარებით წარმატებულად ჩატარდა დიდ ქალაქებში, მაგრამ სასოფლო რეგიონებში მის გავრცელებას ხელი შეუშალა 1966 წელს დაწყებულმა ე.წ. "დიდმა კულტურულმა რევოლუციამ" თანმდევმი არეულობითა და სასტიკი ექსცესებით.

1970-იანი წლების დასაწყისიდან მოკვდავობამ შემცირება დაიწყო, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 20 წლით გაიზარდა – 41 წლიდან (1950–1958) 60 წლამდე (1965–1970), თუმცა შობადობის მაჩვენებელი კვლავაც იზრდებოდა. ამის შედეგად მოსახლეობის ყოველწლიური ზრდა 2%-ს აღწევდა (1968 წ. – 2,8%), რაც წელიწადში მოსახლეობის ოცმილიონიან მატებას (ან ცოტა მეტს) ნიშნავდა. ბუნებრივია, რომ შობადობაზე კონტროლი კვლავ ეროვნული პრიორიტეტების რიცხვში შევიდა. 1971 წელს გაჩაღდა შობადობაზე კონტროლის მესამე კამპანია, ხოლო 1973 წელს უმაღლესი ხელისუფლების მიერ გამოიცა მორიგი სამი დირექტივა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რამაც ასახვა ჰპოვა ლოზუნგში "გვიან, ცალ-ცალკე, ცოტა", რაც გულისხმობდა: დაქორწინდი გვიან, დაიცავი ინტერვალი ბავშვთა დაბადებებს შორის და იყოლიე ცოტა ბავშვი. შემოღებულ იყო კვოტა შობადობის წლიურ რაოდენობებზე. მოსახლეობა დაიყო სამ ნაწილად: ქალაქისა და სოფლის მოსახლეობად და ეროვნულ უმცირესობებად. ამ კამპანიამ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია. 10 წელიწადში შობადობა განახევრდა – ერთ ქალზე 5,7 ბავშვიდან 1970 წელს 2,8-მდე შემცირდა. ეს იყო მსოფლიოში შობადობის არნახულად სწრაფი შემცირება ასეთ მოკლე ვადაში. მაგრამ საკმარისი არც ეს აღმოჩნდა. 1978 წელს დენ სიაოპინის თაოსნობით გატარებული რეფორმები გულისხმობდნენ შობადობაზე შემდგომი შეზღუდვების დაწესებას, რაც 1979 წელს აისახა ოჯახში მხოლოდ ერთი ბავშვის ყოლის უფლებაში. შესაბამისი კანონი ქალაქის მოსახლეობის 95%-ს და სოფლის მოსახლეობის 90%-ს შეეხო. ამ ღონისძიების წახალისებისათვის შემოიღეს სხვადასხვა ჯილდოები, პრემიები და სოციალური კომპენსაციები, ხოლო დამრღვევებისათვის – უმძიმესი ჯარიმები, საოჯახო ნაკვეთების ნაწილობრივი კონფისკაციის ჩათვლით. 1982 წელს შობადობის შეზღუდვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეთათვის კონსტიტუციური მოვალეობა გახდა (თუმცა ქვეყნის ზოგიერთ პროვინციაში ამ მხრივ დღესაც მოქმედებენ გარკვეული შეღავათები – ეროვნული უმცირესობების მიმართ). ეს პოლიტიკა იმდენად ეფექტიანი აღმოჩნდა, რომ 2002 წლის სექტემბერში ჩინეთმა მიიღო მოსახლეობისა და შობადობის კონტროლის აქტი, რომელშიც კვლავაცაა დადასტურებული მკაცრი შეზღუდვა ოჯახში ბავშვების რაოდენობაზე, თუმცა ახალ პროგრამაში მაინც ხაზი გაესვა მის ნებაყოფლობითობას ორი მიზეზის გამო: 1) სახელმწიფოს სულ უფრო მეტად უჭირს წყვილთა პირად ცხოვრებაში ჩარევა და 2) მოსახლეობის უწყვეტი ზრდის საფრთხე უკვე გამოირიცხა და ყურადღება ჯანმრთელობის დაცვაზეა გადატანილი: რეპროდუქციული ჯანმრთელობა, განათლება და სათანადო ინფორმაციის მოსახლეობისათვის მიწოდება ძირითადი პრიორიტეტების რიცხვში შევიდნენ.

დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობა ჩინეთში იმან განაპირობა, რომ მკაცრ კონტროლს თავს ვერავინ აღწევს. მთავრობის მასებზე ზემოქმედების არსენალი შეიცავდა და შეიცავს კერძო სახლებში გამაფრთხილებელ ვიზიტებს, დამრღვევების სახალხოდ განსჯასა და დასჯას, კოლექტიურ ზეწოლას, შემოსავლიდან პროცენტის ჩამოჭრას, მძიმე ჯარიმებს, ქალთა მენსტრუალური კალენდრების საწარმოსა, თუ დაწესებულების შესასვლელებში გამოკიდებას, ორსულობაში ეჭვმიტანილი ქალების სამსახურიდან დათხოვნას და სხვა. რასაკვირველია, დემოკრატიულ ქვეყნებში მსგავსი დრაკონული მეთოდების არათუ გამოყენების, არამედ თეორიული დაშვების მცდელობებიც კი განწირულია.

დემოგრაფიული პოლიტიკა ინდოეთში და აზიისა და აფრიკის სხვა განვითარებად ქვეყნებში

განვითარებადი ქვეყნები კოლონიური მსოფლიოს მემკვიდრენი არიან. სწორედ კოლონიური უღლიდან დახსნისა და პოლიტიკური განთავისუფლების მიღწევის შემდეგ მათი მთავრობების წინაშე მთელი აქტუალობით დაისვა ცვლად დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე, პირველ რიგში კი მოკვდავობასა და შობადობაზე აქტიურად ზემოქმედების ამოცანა. აღსანიშნავია, რომ მოკვდავობის წინააღმდეგ ბრძოლა კოლონიურ პერიოდშიც მიმდინარეობდა, მაგრამ მხოლოდ პოლიტიკურმა განთავისუფლებამ და მედიცინის ომისშემდგომმა მიღწევებმა ერთად უზრუნველყვეს ამ ბრძოლის შედეგიანობა. სწორედ მოკვდავობის დონის შემცირება უცვლელი, ზოგჯერ კი ზრდადი შობადობის ფონზე გახდა ე.წ. დემოგრაფიული აფეთქების ძირითადი მიზეზი.

დემოგრაფიულმა აფეთქებამ უკიდურესად გაამწვავა განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ითამაშა მძლავრი კატალიზატორის როლი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ეტაპებზე. ამ პოლიტიკის ძირითადი შინაარსი დღეს უკვე შობადობის შემცირების გზით მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალ ტემპებთან შებრძოლება გახდა. დემოგრაფიული პრობლემები იმდენად გამწვავდა, რომ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1974 წელს ბუქარესტის მოსახლეობის მესამე მსოფლიო კონფერენციაზე ხაზგასმით ითქვა: "რა წარმატებებსაც არ უნდა აღწევდნენ განვითარებადი ქვეყნები ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში გეგმიური განვითარების შედეგად, ყველა ეს წარმატება არარაობად იქცევა მოსახლეობის სწრაფი ზრდის გამო".

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამ მხრივ ინდოეთი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოსახლეობის მქონე ქვეყანა მსოფლიოში. სწორედ ინდოეთი, რომლის მოსახლეობამ 1947 წელს 343 მილიონი ადამიანი შეადგინა, იყო პირველი განთავისუფლებული ქვეყანა, რომელმაც შობადობის შეზღუდვის პოლიტიკა გამოაცხადა (1952 წ.). პირველი ოცი წლის განმავლობაში ამ პოლიტიკის ეფექტიანობა ძალზე დაბალი იყო. მხოლოდ 1970-იან წლებში, როდესაც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ინდოეთში მეტისმეტად დამძიმდა, ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ყურადღება მიაქციეს არსებულ უმწვავეს დემოგრაფიულ პრობლემებს. თითქოსდა საქმე პარადოქსთან გვაქვს: დემოგრაფიული პოლიტიკის მესვეურებმა სხვებზე ადრე დაიწყეს მისი გატარება, ლოზუნგებიც კარგი მოიგონეს, გონივრული მიზნებიც დასახეს, განშტოებული ინფრასტრუქტურაც შექმნეს, საბოლოოდ კი დემოგრაფიული ვითარების მუდმივი და უწყვეტი გაუარესება მიიღეს. მაგრამ კარგი დაკვირვებისას ეს პარადოქსი ადვილად იხსნება: საწყისი ფაზა ძალზე დუნე იყო, ფინანსური ბაზა მოიკოჭლებდა, ლოზუნგები სრულიად მოწყდა არსებულ რეალობას, სიტყვასა და საქმეს შორის ღრმა უფსკრული გაჩნდა, მძლავრი ინფრასტრუქტურა კი ძვირადღირებულ ბიუროკრატიულ აპარატად გადაიქცა.

ყოველივე ამის შედეგად ინდოეთის დემოგრაფიულმა პოლიტიკამ 1970-იანი წლების მეორე ნახევარში დრამატული ცვლილებები განიცადა. IV ხუთწლედში შობადობის შემცირების გეგმის სრული ჩავარდნით გამწარებული ინდირა განდის მთავრობამ 1976 წლის აპრილში მიიღო ახალი და მეტად შორს მიმავალი დემოგრაფიული პროგრამა: "მოსახლეობის ეროვნული პოლიტიკა". არსებული პრობლემის უფრო თანმიმდევრულად გადაჭრის აუცილებლობის დასაბუთებისას ჯანდაცვის მინისტრმა ჯ. სინგჰმა განაცხადა: "არარეალისტურია ველოდოთ იმას, რომ განათლება და ეკონომიკური ზრდა თავისთავად გამოიწვევენ შობადობის შემცირებას. ამ მანკიერი წრიდან ჩვენ უნდა გავაღწიოთ პრობლემაზე პირდაპირი შეტევის გზით".

ამის შემდეგ სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნა ორ და მეტშვილიან ოჯახებში ერთ-ერთი მეუღლის სტერილიზაციაზე. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ინდოეთს გეზი არა ტოტალიტარული სოციალიზმის (ჩინეთის მსგავსად), არამედ სტანდარტული დემოკრატიის განვითარებაზე ჰქონდა (და აქვს) აღებული. ამ დროს კი სტერილიზაციების რიცხვი გაიზარდა 942 ათასიდან 1974/75 წლებში 8261 ათასამდე 1976/77 წლებში. ესოდენ მკვეთრი ზრდა, ცხადია, ვერ ჩაივლიდა ადამიანის უფლებათა მასობრივი შელახვის გარეშე. ამით ისარგებლეს ოპოზიციურმა პარტიებმა, რომლებმაც რიგითი ამომრჩეველი ძალისმიერი ქირურგიული ჩარევის პერსპექტივით დააშინეს. მომდევნო არჩევნებში გაიმარჯვა (დროებით) ოპოზიციურმა "ჯანათა პარტიმ", რასაც დემოგრაფიული პოლიტიკისათვის კატასტროფული შედეგები მოყვა. მისი ბიუჯეტი შემცირდა ორჯერ, სტერილიზაციების რაოდენობა – 8,7-ჯერ. საბოლოოდ შვილების ფაქტობრივმა საერთო რაოდენობამ ოჯახებში 4-ს გადააჭარბა, მაშინ როცა სასურველი დაგეგმილი რაოდენობა 3-ს არ აღემატებოდა. ეს სხვაობა ვერც 1990-იან წლებისთვის შემცირდა. დემოგრაფიული ვითარება ინდოეთში რთული რჩება.

რაც შეეხება აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებს, თითოეულ ასეთ ქვეყანაში დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების დასაწყისის ზუსტი თარიღის დასახელება შეუძლებელია, ვინაიდან ასეთ ოფიციალურ გამოცხადებას ყოველთვის წინ უძღოდა რაღაც კერძო ან ნახევრადსახელმწიფო ორგანიზაციების აქტივობა. მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება სამხრეთ კორეაში, ტაივანში, სიანგანში (ჰონკონგში) და სინგაპურში იწყება 1960-იანი წლების პირველ ნახევარში, რეგიონის დანარჩენ ქვეყნებში კი 1970-იანი წლების პირველი ნახევრიდან. ოთხ ქვეყანაში (ბრუნეი, კამპუჩია, ლაოსი და მიანმა) ეს პროცესები გაცილებით გვიან დაიწყო. შობადობის შემცირებასთან დაკავშირებული პროგრამები შედარებით წარმატებით მიმდინარეობდა ისეთ დემოგრაფიულ "გიგანტებში" როგორც ინდონეზია და ტაილანდია. ცალკე უნდა გამოიყოს დემოგრაფიული კატასტროფა კამპუჩიაში 1970-იანი წლების მეორე ნახევარში პოლ პოტის ბარბაროსული რეჟიმის მმართველობის წლებში. 1975-1978 წლებში 8-მილიონიანმა კამპუჩიამ სხვადასხვა მონაცემით 1,5 მილიონიდან 3 მილიონ ადამიანამდე დაკარგა.

დემოგრაფიული თვალსაზრისით ცალკე გამოსაყოფია ისლამური ქვეყნები. ისლამის ფორმირებისა და გავრცელების თავისებურებებმა იგი ყველაზე "პრონატალურ" რელიგიად აქცია. XX საუკუნის მეორე ნახევრამდე ისლამის "აღმატებული" პოპულაციონიზმის კომპენსირება მხოლოდ მაღალი მოკვდავობის ხარჯზე ხდებოდა.

მაჰმადიანურ ქვეყნებში დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისას ყველაზე დიდ სირთულეს ქალის დამცირებული მდგომარეობა წარმოადგენს – ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურული თვალსაზრისით. ასეთ ვითარებაში დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობა ძირითადად მამაკაცის პოზიციაზეა დამოკიდებული, ვინაიდან ოჯახის უფროსი და, როგორც წესი, გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიმღები სწორედ მამაკაცია.

მაინც უნდა აღინიშნოს, რომ რეპროდუქციული ქცევის რეგულირების წინაშე აღმართული "ისლამური ბარიერი" სამუდამო არ უნდა იყოს. ამის მაგალითებია კონტრაცეპციის ტრადიციულად მაღალი დონე ტუნისში, მისი სწრაფი გავრცელება მაროკოში, გარკვეული ძვრები რომლებიც შეიმჩნევა თურქეთსა და ეგვიპტეში.

რაც შეეხება აფრიკის ქვეყნებს, განსაკუთრებით ტროპიკულ ზონაში, აქ მაღალი შობადობა უსასტიკესი სიღატაკის ფონზე ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად რჩება. კონტინენტის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაზე შეიძლება ითქვას, რომ იქ გადაიდგა რამდენადმე გააზრებული ნაბიჯები დემოგრაფიული პოლიტიკის წარმოების კუთხით. ეს პოლიტიკა ყველაზე წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს

პატარა კუნძულ მავრიკიზე, სადაც 1980-1985 წლებში ბუნებრივი მატების ტემპი 3,2%-დან 1,9%-მდე შემცირდა.

დემოგრაფიული პოლიტიკა ლათინურ ამერიკაში

დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით ლათინური ამერიკა ძალზე არაერთგვაროვანი რეგიონია. დემოგრაფიული პროგრამებისა და ინსტიტუტების შექმნის ისტორია ამ კონტინენტზე ძალზე ხანმოკლეა, ხოლო 1980-იანი წლების მეორე ნახევრამდე იგი საერთოდ არ ვრცელდებოდა მის ყველა ქვეყანაზე. დემოგრაფიული ზომების მიღებას აქ ამუხრუჭებდა კათოლიკური ეკლესია, რომელიც ყველა დონეზე – საკანონმდებლოდან მასობრივ შეგნებამდე – უპირისპირდებოდა რაიმე დემოგრაფიული პოლიტიკის წარმოებას. მაგრამ 1970-იან წლებში აქაც მოხდა არსებული რეალობის გათვალისწინებაზე დაფუძნებული გარდატეხა. კერძოდ, კონტრაცეპციის ფართო გავრცელებას ადგილი ჰქონდა მექსიკაში, სადაც დემოგრაფიული პოლიტიკა აღმავლობას განიცდის. გარკვეული დემოგრაფიული ზომები გატარდა ასევე კოლუმბიასა და ბრაზილიაში. კონტინენტის მთელ რიგ ქვეყნებში (პერუ, გვატემალა, გაიტი, ბოლივია, პარაგვაი და სხვა) XX საუკუნის ბოლოსთვისაც კი საერთოდ არ წარმოებდა რაიმე დემოგრაფიული პოლიტიკა.

დემოგრაფიული პოლიტიკა რუსეთში

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთი მაღალი შობადობის ქვეყანა იყო. მისი მოსახლეობა ტერიტორიის ზრდასთან ერთად იზრდებოდა და დემოგრაფიულ პროცესებში ჩასარევად რაიმე სერიოზული მიზეზი არ არსებობდა. ერთადერთი შემაწუხებელი პრობლემა მოკვდაობის მაღალი დონე იყო. ამიტომ რევოლუციის შემდეგ გატარდა რიგი ღონისძიებები ჯანდაცვის სისტემის შესაქმნელად, რაც თავისთავად მოკვდაობის შემცირებისაკენ იყო მიმართული.

ინდუსტრიის განვითარების შედეგად წარმოქმნილი შიგამიგრაცია რუსეთში ახალ დემოგრაფიულ პრობლემად იქცა. ძალიან მოკლე დროში ათეულობით მილიონი გლეხი მოწყდა სოფელს და გადმოსახლდა ქალაქებში ან გაემგზავრა ახალი რეგიონების ასათვისებლად. მთავრობამ სწრაფად შეიგნო მასიური მიგრაციულ ნაკადებზე კონტროლის საჭიროება.

ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1970-იან წლებში, რუსეთი ახალი დემოგრაფიული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა – დაბალი შობადობისა. ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იანი წლების ბოლოს კი მორიგი პრობლემა გაჩნდა – ძლიერი იმიგრაცია სსრკ-ს ყოფილი რესპუბლიკებიდან, რასაც ემიგრაციის არსებითი ტალღაც მოყვა.

დასახელებული ძირითადი საკითხების გარდა, რუსეთის დემოგრაფიული პოლიტიკა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში მოიცავდა დემოგრაფიული ქცევის სხვა ასპექტებსაც. ხდებოდა გარკვეული პოლიტიკის გატარება ქორწინებისა და განქორწინების მიმართ, შესაბამისი კანონების გამკაცრება ან შერბილება, აბორტების აკრძალვა ან დაშვება და ა.შ. ყოველივე ეს უდავოდ ახდენდა გავლენას დემოგრაფიულ ვითარებაზე, თუმცა უფრო მეტად საშინაო პოლიტიკის არამყარ, მერყევ ხასიათზე მეტყველებდა, თავისებურად ასახავდა მას. მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ბოლო ათწლეულებში მრავალშვილიანობის ათვლა დედებისათვის (რაც სახელმწიფო დახმარების გაცემას გულისხმობდა) შემცირდა შვიდიდან ხუთამდე, ოთხამდე ან სამამდე. გათვალისწინებული იყო სხვა ზომებიც. გარეგნულად ისე ჩანდა, რომ ასეთმა მიდგომამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია, რადგან შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ერთ პერიოდში გაიზარდა. მაგრამ ამ კოეფიციენტის ზრდა დროებითი ხასიათისა იყო. ქალების დიდმა ნაწილმა ცოტა უფრო ადრე გააჩინა

ბავშვები, რომლებიც მაინც დაიბადებოდნენ რაიმე დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების გარეშეც. უბრალოდ დაჩქარდა დედების რეპროდუქციული ქცევის რეალიზაცია. აღნიშნული ღონისძიებების გავლენა შობადობაზე მალე გაქრა და 1988 წლიდან თვით ამ ტენდენციამ მიმართულება შეიცვალა.

საბჭოთა რუსეთის მთავრობა დაბალი შობადობის მიზეზს შიგაოჯახურ დაგეგმვაში ხედავდა. XX საუკუნის რუსეთში შობადობაზე კონტროლის თითქმის ერთადერთი მეთოდი აბორტი იყო. თუმცა 1960-იანი წლებიდან აბორტების რიცხვმა იკლო, მათი რიცხვი მაინც ყველაზე დიდი იყო მსოფლიოში. 1970 წელს 15–49 წლის ასაკის 1000 ქალზე 135 აბორტი მოდიოდა, ორსულობის 2/3 აბორტებით მთავრდებოდა. არ არსებობდა ოჯახის დაგეგმვის სხვა მეთოდები, გარდა კონტრაცეპტივების შეზღუდულად გამოყენებისა (პრაქტიკულად კონდომებიც კი არ იყო ხელმისაწვდომი). აბორტები კი სამედიცინო დაწესებულებებში უფასოდ კეთდებოდა. შესაბამისად იზრდებოდა აბორტებში სპეციალიზირებული ექიმებისა და კლინიკების რაოდენობა.

1970-იანი წლების ბოლოს გაჩნდა პრობლემისადმი ახლებური მიდგომა, რომლის მიზანი აბორტების თანამედროვე კონტრაცეპტივებით ჩანაცვლება იყო. ჯანდაცვის სამინისტრომ შეიძინა დიდი რაოდენობის კონტრაცეპცია. გაჩაღდა საინფორმაციო კამპანია. ყოველივე ამან ცოტაოდენ შეამცირა აბორტების რიცხვი.

ხელისუფლებამ ოჯახის დაგეგმვის ცენტრების განვითარების წახალისება მხოლოდ გვიან 1980-იან და ადრეულ 1990-იან წლებში დაიწყო. შეიქმნა ოჯახის დაგეგმვის ეროვნული ასოციაცია. ახალი პოლიტიკის შედეგად აბორტების რიცხვმა კიდევ უფრო იკლო და შეადგინა 15-49 წლის ასაკის 1000 ქალზე 75 აბორტი 1995 წელს და 50 აბორტი 2002 წელს. დღეისთვის რუსეთში ერთი ქალი თავისი რეპროდუქციული ცხოვრების მანძილზე საშუალოდ ორ აბორტს იკეთებს.

1996 წლისათვის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 1,28-მდე შემცირდა და დემოგრაფიული ვითარება მწვავე დებატების საგანი გახდა. დემოგრაფიული ვითარების გართულებას ზოგი ეკონომიკური და სოციალური ვითარების გაუარესებით ხსნიდა, ზოგი კი ევოლუციით, რომელსაც საფუძველად დემოგრაფიული ქცევის შეცვლა ედო. 1995-1996 წლებში მთავრობამ მიიღო რამდენიმე პროგრამა, რომელიც ავტონომიური ოჯახისა და სოციალური ინსტიტუტების პარტნიორობას ეყრდნობოდა (“მოქმედების ეროვნული გეგმა ბავშვებისათვის”, “საოჯახო პოლიტიკის სქემა”).

ამავე პერიოდში შემცირდა ბავშვების რიცხვი სკოლამდელ დაწესებულებებში. ჯერ ერთი, დაწესდა შესაბამისი გადასახადი, მეორეც – უმუშევრობამ დედების დიდი ნაწილი დიასახლისებად აქცია და მათ ბავშვების გარე მოვლაზე უარი თქვეს.

სახელმწიფომ ყველაზე მძიმე წლებშიც კი შეინარჩუნა ბავშვებზე ფულადი დახმარების გაცემა. დახმარების თანხა იცვლებოდა, მაგრამ მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების სისტემას საბოლოო ჯამში მხოლოდ შემარბილებელი ეფექტი ჰქონდა. მით უმეტეს, რომ ფედერალურმა მთავრობამ პასუხისმგებლობა ადგილობრივ ორგანოებს აუცილებელი რესურსების უზრუნველყოფის გარეშე გადასცა.

ბოლო 15 წლის მანძილზე შობადობის მუდმივმა შემცირებამ რუსეთის საზოგადოებაში მწვავე პოლემიკა გამოიწვია. ამჟამად აქცენტი კეთდება იმაზე, რომ მოსახლეობის პოლიტიკის საბოლოო მიზანი საშუალო ზომის ოჯახი (3–4 შვილიანი) უნდა იყოს. ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარებისადმი მიძღვნილი ოფიციალური სამთავრობო დოკუმენტები სწორედ ამ საოცნებო ვითარებას ისახავენ მიზნად.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის მხოლოდ რამდენიმე რეგიონს ჰქონდა დღემდე სურვილიც და საშუალებაც რათა ოჯახის დახმარების საკუთარი პროგრამა შეექმნა. მაგ., 2001 წელს მოსკოვის მუნიციპალური მთავრობის მიერ

დამტკიცებული მრავალშვილიანი საოჯახო დახმარებები საშუალო ეროვნულ დონეს რამდენჯერმე აღემატება. მსგავსი, ოღონდ უფრო მოკრძალებული პროგრამა შეიქმნა ასევე სანქტ-პეტერბურგში.

ამრიგად, შობადობის ამაღლება რუსეთის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის დღეს პრიორიტეტად იქცა. ამავე დროს, ნაკლები ყურადღება ექცევა დემოგრაფიული განვითარების სხვა ალტერნატივებს და დემოგრაფიულ ვითარებასთან მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ ადაპტაციას.

მიგრაციული პოლიტიკა როგორც თანამედროვე დემოგრაფიული პოლიტიკის ნაწილი

საკუთრივ მიგრაციული პოლიტიკის ელემენტებად შეიძლება მივიჩნიოთ ამა თუ იმ ხელისუფლების ის პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ, თუ ირიბ (სოციალური ღონისძიებების გატარებით) ზეგავლენას ახდენენ მიგრანტებზე და მიგრაციულ ქცევაზე. სიმარტივისთვის მიგრაციული პოლიტიკის ქვეშ აქ ვიგულისხმებთ მხოლოდ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც, ძირითადად, შრომით მიგრაციას ეხება. ლტოლვილების, ასევე ადგილნაცვალ და თავშესაფრის მაძიებელი პირების მიგრაციულ გადაადგილებებს ამ შემთხვევაში არ ვიხილავთ.

ადამიანის სამუშაოდ წასვლის მთავარი მიზეზი უკეთესი ცხოვრების პირობების (ზოგჯერ თვითგადარჩენის) ძიებაა. თანამედროვე ეკონომიკური ვითარება მსოფლიოში, ძლიერი კონტრასტები მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის, უბიძგებს ამ უკანასკნელების ბევრ მაცხოვრებლებს მიგრაციისაკენ. მიგრაციული ნაკადის ზეწოლას ასევე აძლიერებს მზარდი დემოგრაფიული გაუწონასწორლობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებს შორის.

ფაქტობრივად, საერთაშორისო შრომითი ნაკადები უზარმაზარი პოტენციის წყაროა როგორც მოსახლეობის მიმღები, ისე მისი გამშვები ქვეყნებისათვის, თუმცა ორივე შემთხვევაში დიდ პოლიტიკურ პრობლემასთან გვაქვს საქმე.

გაერო-ს ეგიდის ქვეშ ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებულ სამოქმედო პროგრამაში აღნიშნულია (კაირო, 1994, მუხლი 1995ბ 10.15): "ყველა ეროვნული სახელმწიფოს უფლებაა თავად გადაწყვიტოს, თუ ვის და რა პირობებში შეუძლია შესვლა და დარჩენა მის ტერიტორიაზე. თუმცა, ეს უფლება უნდა გამორიცხავდეს რასისტულ და ქსენოფობიურ ქმედებებს". სინამდვილეში მთავრობები და სახელისუფლებო ბიუროკრატია ნაკლებ ყურადღებას უთმობს იმიგრაციით გამოწვეულ პრობლემებს, რომლებიც ხშირად გადაიზრდება ხოლმე ადგილობრივი მოსახლეობის იმიგრანტების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებაში, ხელს უწყობს ქსენოფობიურ რიტორიკას და ისეთი საზოგადოებრივი აზრის წარმოქმნას, რომელიც უცხოელი სამუშაო ძალის გამოყენების შეზღუდვისკენაა მიმართული.

ანალიტიკური თვალსაზრისით მიგრაციული პოლიტიკა ოთხ კომპონენტად შეიძლება დაიყოს:

1. მიმღები ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკა
2. გამშვები (ემიგრაციის) ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკა
3. პოლიტიკური შეთანხმებები მიგრაციაზე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან
4. ახალი ელემენტები მიგრაციულ პოლიტიკაში

1. მიმღები ქვეყნების მიგრაციული პოლიტიკა

მიმღები ქვეყნის მიგრაციულ დონეებზე ზეგავლენისათვის გამიზნულ პოლიტიკას შეიძლება რამდენიმე მიმართულება ჰქონდეს. მის ფარგლებში გატარებულმა ღონისძიებებმა შესაძლოა გაზარდოს (პოზიტიური ღონისძიებები),

შეამციროს (ნეგატიური ღონისძიებები), ან სტაბილურ დონეზე შეინარჩუნოს ქვეყანაში შემოშვებული მიგრანტების რაოდენობა.

მიგრაციულ დონეებზე მოქმედი ყველაზე მნიშვნელოვანი პოზიტიური ელემენტი – ესაა დასაქმების მოთხოვნა. მიგრაციული ნაკადების სიდიდე, შემადგენლობა და რეგულარობა (გრაფიკი) უფრო ხშირად განისაზღვრება სწორედ დასაქმების მოთხოვნით, ვიდრე სამუშაო ძალის მიწოდებით.

აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ განვითარებულ მიმღებ ქვეყნებში შრომის ბაზარი დაყოფილია სხვადასხვა სეგმენტებად. გარკვეულ სეგმენტებში მაღალია უმუშევრობა ადგილობრივებს შორის, ვინაიდან სამუშაო ან არაპრესტიჟულია, ან მაღალ რისკებთანაა დაკავშირებული (მაგ., მომპოვებელი მრეწველობა), ან სულაც არალეგალურია (პროსტიტუცია, ნარკოტიკებით ვაჭრობა და ა.შ.). იმიგრაციის მაღალი დონე აქ იმითაცაა განპირობებული, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არ მიისწრაფვის ასეთ სეგმენტებში სამუშაო ადგილების დასაკავებლად.

აგრეთვე, მდიდარ ქვეყნებში დაბერებული მოსახლეობით მიმზიდველია იმიგრანტების გამოყენება ისეთ სპეციფიურ სექტორებში როგორიცაა მომსახურების სფერო (საოჯახო მომსახურება, კვების ობიექტები), სამშენებლო ინდუსტრია და საზოგადოებრივი სამუშაოები.

არსებობს მიზეზების მთელი რიგი, თუ რატომ თანხმდებიან (განსაკუთრებით დასაწყისში) იმიგრანტები დაბალკვალიფიციურ და დაბალანაზღაურებად სამუშაოს. იმიგრანების უმეტესობა წარმოშობით მსოფლიო "სამხრეთის" აგრარული არეალებიდანაა, განათლების დაბალი ან უმდაბლესი დონით, ზოგჯერ სრულიად წერა-კითხვის უცოდინარებიც არიან; არ გააჩნიათ სამუშაო გამოცდილება. მათ აგრეთვე ენობრივი ადაპტაციის პრობლემებიც აქვთ. გარდა ამისა, ქვეყანაში ხშირად არალეგალურად არიან შემოსული და მათი იურიდიული პოზიციები სუსტია, როდესაც საქმე ეხება დამსაქმებელთან ხელფასის თაობაზე შეთანხმებას. რაც მთავარია, ასეთი იმიგრანტები ოღონდ თავი გადაირჩინონ და თანხმდებიან ყველაზე ცუდ პირობებსაც კი.

ფაქტობრივად ბევრი იმიგრანტი არღვევს მიმღები ქვეყნის იმიგრაციულ კანონმდებლობას. ამ მოვლენას არალეგალური ან ფარული იმიგრაცია ეწოდება, ხოლო თვით მიგრანტებს – არალეგალი ან უნებართვო. ცხადია, რომ არალეგალი მუშახელის არსებობა გულისხმობს არალეგალი დამსაქმებლის არსებობასაც.

როგოც ზემოთ აღვნიშნეთ, მიმღები ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკა შეიცავს საკუთარ თავში პოზიტიურ და ნეგატიურ ღონისძიებებს.

იმიგრაციის ხელშემწყობი პოზიტიური ღონისძიებები შეიძლება გამოიყენებოდეს მიმღები ქვეყნის ხელისუფლების სხვადასხვა პირდაპირი და არაპირდაპირი მიზნების მისაღწევად.

ისტორიული თვალსაზრისით ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ევროპაში იმიგრაციის სტიმულირება გამოწვეული იყო ეკონომიკის მომპოვებელი სექტორის განვითერების აუცილებლობით. XX საუკუნეში დასავლეთი ევროპა იყენებდა იმიგრანტებს ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპიდან, ასევე აზიიდანაც, პერსონალური მომსახურების (საშინაო, სამედიცინო) სექტორში. ჩრდილოეთი ამერიკა, ავსტრალია და ახალი ზელანდია კი ყოველთვის იყენებდნენ იმიგრაციას თავისი ეკონომიკის განსავითარებლად.

უკანასკნელ წლებში იმიგრაციის განსაკუთრებული საჭიროება იგრძნობა მსოფლიოს განვითარებული "ჩრდილოეთის" ქვეყნებში, სადაც დაბალმა შობადობამ და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდილმა დონემ მოსახლეობის უპრეცედენტო დემოგრაფიული დაბერება გამოიწვიეს. მართალია, დღემდე არც აშშ-ს და არც ევროკავშირის რომელიმე ქვეყანას არ მიუღია ოფიციალურად მიგრაციული პოლიტიკა მიმართული მათი ეკონომიკური საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ სამომავლოდ არც ესაა გამორიცხული (ყოველ

შემთხვევაში, გაერო-ს რეკომენდაციები ამ ქვეყნებს სწორედ ასეთი გადაწყვეტილებებისაკენ უბიძგებს).

ამა თუ იმ მიმღები ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინება ზოგჯერ ნეგატიური ღონისძიებების გატარებასაც გულისხმობს. ასეთი ღონისძიებები მიზნად ისახავენ მიგრაციულ ნაკადებზე კონტროლის წარმოებას, ხოლო არასასურველი იმიგრაციის პირობებში ამ ნაკადების მკაცრად შეზღუდვას, ზოგჯერ კი მათ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაყვანასაც.

მიუხედავად კონტროლისა, მიგრანტები, როგორც წესი, მაინც ახერხებენ საზღვრების გადაკვეთას. არალეგალური იმიგრანების ყველაზე დიდი რაოდენობაა აშშ-ში. იმიგრაციისა და ნატურალიზაციის (ამჟამად მოქალაქეობისა და ნატურალიზაციის) სამსახურის შეფასებით 2000 წელს აშშ-ს ტერიტორიაზე 7 მილიონი არალეგალი იმყოფებოდა. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით ევროკავშირის ქვეყნებში ყოველწლიურად ნახევარი მილიონი არალეგალური მიგრანტი შედის.

იმიგრაციის კონტროლმა საბოლოო ჯამში შეიძლება მიიყვანოს მიმღები ქვეყნები საზღვრების მილიტარიზაციამდე, ამან კი, თავის მხრივ, ზეგავლენა მოახდინოს ამ ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებზე. საზღვრების მილიტარიზაცია შეიძლება გადაიზარდოს საზოგადოების მილიტარიზაციაში. დასავლური დემოკრატიის პირობებში საზღვრებზე სრული კონტროლის დაწესება შეუძლებელია. გარდა ამისა, ასეთი კონტროლი აუცილებლად უარყოფდა ტურიზმს, რადგან არალეგალური მიგრანტების მნიშვნელოვანი რაოდენობა ქვეყანაში როგორც ლეგალური ტურისტი ისე შედის.

მიუხედავად გარკვეული მოკლევადიანი ეკონომიკური სარგებლიანობისა, იმიგრაცია ხშირად მუქარას უქმნის მიმღები ქვეყნის ეკონომიკას მთლიანად. იგი მიჩნეულია უმუშევრობის ზრდის ერთ-ერთ ფაქტორად და ზოგჯერ აღიქმება როგორც საფრთხე სოციალური სტაბილობის მიმართ.

ადგილობრივ საზოგადოებასთან იმიგრანტების შერწყმის სხვადასხვა ხარისხი შეიძლება დაიყოს ასე: ა) ასიმილაცია, ბ) ეთნიკური დაახლოება და გ) ინტეგრაცია.

ასიმილაცია შეიძლება განხილულ იქნას, როგორც იმიგრანტების სრული შერწყმა ადგილობრივ საზოგადოებასთან. ამ დროს ხდება იმიგრანტის ეთნიკური იდენტურობის შერევა ადგილობრივ იდენტურობასთან და, საბოლოო ჯამში, უკანასკნელით პირველის ჩანაცვლება. ასიმილაციის ნებისმიერი ფორმა აადვილებს ინტეგრაციას, მაგრამ დემოკრატია კრძალავს ასიმილირების ძალადობრივ ფორმებს. ნებაყოფლობითი ასიმილაცია კი თანამედროვე სამყაროში საკმაოდ იშვიათი მოვლენაა.

უფრო ხშირად იმიგრანტებს არ სურთ ასიმილაცია ადგილობრივ საზოგადოებასთან (მაგ., აზიელებს დიდ ბრიტანეთში). ასეთ შემთხვევებში ისინი ქმნიან თემებს და პარალელურად ინარჩუნებენ მჭიდრო კავშირებს ადგილობრივ საზოგადოებასთან.

ეთნიკური დაახლოება გულისხმობს ტოლერანტობის გამოვლენას იმიგრაციული თემებისადმი ხელისუფლების მხრიდან (მაგ. დიდი ბრიტანეთი). ასეთი კურსის გატარებისას მიმღები ქვეყნის მთავრობა არა მარტო უზრუნველყოფს იმიგრანტის ინდივიდუალურ მისწრაფებას ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულუფლებიან მონაწილეობაზე, არამედ იცავს მის უფლებას შეინარჩუნოს საკუთარი რელიგიური რწმენა და კულტურული იდენტურობა. მეტიც, XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დასავლურ ცივილიზაციაში სულ უფრო დიდ გავრცელებას ჰპოვებს მულტიკულტურალიზმის პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს იმიგრანტი ეთნიკური ჯგუფების მიმართ არა მხოლოდ ტოლერანტობას, არამედ პირდაპირ მხარდაჭერასაც კი.

საკუთრივ ინტეგრაცია ზოგადისტორიული თვალსაზრისით შეიძლება იყოს ორგვარი – იმიგრანტების ინტეგრაცია ადგილობრივ საზოგადოებასთან (რაც უმტესწილად გვხდება) და ადგილობრივი მოსახლეობის ინტეგრაცია იმიგრანტულ საზოგადოებასთან (როდესაც ხდება უცხოელთა ტრადიციებისა და რელიგიის გადმოღება).

ინტეგრაცია ყოველთვის როდია შეგნებული პროცესი. არსებული კანონმდებლობა, ან შრომით ბაზარზე დამკვიდრებული ადმინისტრაციული პრაქტიკა აიძულებს მიგრანტებს ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრირებას. ასეთი ინტეგრაცია ხდება არა კულტურული და კონფესიური იდენტურობის ხარჯზე, არამედ ყოველდღიური შრომითი საქმიანობის შედეგად. ასეთი ინტეგრაცია არის ხანგრძლივი ფსიქო-სოციალური პროცესი, რომელიც, როგორც წესი, მოიცავს თაობებს. დროებითი იმიგრანტები იშვიათად არიან დაინტერესებულნი ინტეგრაციით, რადგან სუბიექტურად სამშობლოში დაბრუნების სურვილი გააჩნიათ – ისინი ფიქრობენ, რომ მიმღებ ქვეყანაში ხანმოკლე ვადით არიან ჩასულნი. მაგრამ ცხოვრებას ხშირად კორექტივები შეაქვს ადამიანების, ჩვენ შემთხვევაში იმიგრანტების, სუბიექტურ მისწრაფებებში.

2. გამშვები (ემიგრაციის) ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკა

მიგრაციის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია ემიგრაციის ქვეყნებში. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი დემოგრაფიული მაჩვენებლებია: მოსახლეობის ზრდა, შობადობა და მოკვდაობა, მოსახლეობის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით. თუ რომელიმე ქვეყანაში შობადობა მაღალია და საგრძნობლად აჭარბებს მოკვდაობას, ეს ნიშნავს, რომ სწრაფად იზრდება იმ მოსახლეობის წილი, რომელიც შრომის ბაზარზე შედის. ძალზე ხშირად განვითარებად ქვეყნებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მაჩვენებელი ძლიერ ჩამორჩება სამუშაო ძალის ზრდის მაჩვენებელს. ასეთი ტიპის ქვეყნებში სამუშაო ასაკის მოსახლეობის ემიგრაცია ნაწილობრივ მაინც წყვეტს გამშვები ქვეყნის დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. ამასთან ხელს უწყობს გამშვები ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი მყარი უცხოური ვალუტის შემოდინებასაც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რაც უფრო გაურკვეველია ეკონომიკური სიტუაცია გამშვებ ქვეყანაში, მით უფრო იზრდება იმ პირთა რაოდენობა, ვისაც სურთ ემიგრაციაში წასვლა და მცირდება მათი რაოდენობა, ვისაც სამშობლოში დაბრუნება სურს.

დასავლეთის ქვეყნებში მოსახლეობის ყოველწლიური მატება 0,5%-ს არ აღემატება, ან ბუნებრივი მატების თვალსაზრისით "ნულოვანი", ზოგჯერ კი "უარყოფითიც" არის, ხოლო განვითარებადებში – 2%-ზე მეტს შეადგენს. ასეთ ვითარებაში ჩრდილოეთი აფრიკის ქვეყნები (მიუხედავად იმისა, რომ შობადობამ იქ ბოლო ხანს მკვეთრად იკლო) დარჩებიან მიგრაციის წყაროდ ევროკავშირში შემავალი ქვეყნებისათვის მომავალი ორი ათეული წლის განმავლობაში მაინც.

3. პოლიტიკური შეთანხმებები მიგრაციაზე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან

მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციას სხვადასხვა დონეზე აქვს კავშირი მიგრაციულ პოლიტიკასთან. მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებაში დიდ როლს თამაშობენ ასევე საერთაშორისო კონფერენციები, ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები. მიგრაციულ პოლიტიკასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმებებია ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება (მიზნად ისახავს მექსიკის ეკონომიკის მხარდაჭერას აშშ-ში

არალეგალური იმიგრაციის შესამცირებლად) და შენგენის ხელშეკრულება. ეს უკანასკნელი ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს შორისაა დადებული. ორივე ხელშეკრულება მიმართულია არალეგალური მიგრაციის შეზღუდვისაკენ. შენგენის ხელშეკრულების თანახმად ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს შორის გაუქმებულია შიგა სასაზღვრო კონტროლი (გარდა პიროვნული იდენტიფიკაციისა საერთაშორისო კრიმინალის ასაცილებლად) და გამკაცრებულია კონტროლი ევროკავშირის გარე (ერთიან) საზღვარზე (შენგენის ხელშეკრულებაზე ჯერჯერობით ევროკავშირში შემავალ ყველა ქვეყანას ხელი არ მოუწერია).

4. ახალი ელემენტები მიგრაციულ პოლიტიკაში

დღეისათვის ბევრი მიმღები ქვეყნის ხელისუფლება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გამშვები (ემიგრაციული) ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია იმიგრაციული ტალღის შემცირება. ამ თვალსაზრისით მიმღებმა ქვეყნებმა შეიმუშავეს ისეთი ღონისძიებები როგორც ამ ქვეყნებთან საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის ზრდა, მათში ინვესტიციების ჩადება, მათი საგარეო ვალების რესტრუქტურიზაცია, პირდაპირი დახმარების გაწევა. აღმოჩნდა, რომ ბევრი მიმღები ქვეყანა რეალური ალტერნატივის წინაშე დგას: დააფინანსოს ემიგრაციის ქვეყნები, თუ თავისთან დააფინანსოს სოციალური ინფრასტრუქტურა, რომელიც სათანადოდ მოემსახურება იმიგრანტებს. ეს ნიშნავს, რომ თანამშრომლობა მიმღებ და გამშვებ ქვეყნებს შორის ხარისხობრივად მაღალ საფეხურზე უნდა ავიდეს. თავად ეს პრობლემა გააზრებულია, თუმცა სათანადოდ მოგვარებული ჯერ კიდევ არ არის.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს გაჩნდა მიგრაციის ახალი ფორმა – ტრანზიტული მიგრაცია. ასეთ დროს მიგრანტები ჯერ ერთ ქვეყანაში მიდიან, მოგვიანებით კი სხვა, უფრო მიმზიდველ ქვეყანაში ცდილობენ გადასვლას. სინამდვილეში ეს ჩვეულებრივი არალეგალური მიგრაციის ნაირსახეობაა.

მოკლე ცნობები სახელმძღვანელოში მოტანილი ზოგიერთი მეცნიერის შესახებ

ანთაძე კონსტანტინე – 1929-2006 წწ., ქართველი ისტორიკოსი. 1955 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1974 წ. მოიპოვა ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1956 წ. დაიწყო მუშაობა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, ხოლო 1961 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1980-2003 წწ. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის გამგე. მის მნიშვნელოვან დემოგრაფიულ ნაშრომს მიეკუთვნება 1973 წ. გამოცემული "საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში".

ანრი (Henry) ლუი – 1911-1991 წწ., ფრანგი ისტორიკოსი და დემოგრაფი. ისტორიული დემოგრაფიის ფუძემდებელი. ამუშავებდა ისტორიული დემოგრაფიის მეთოდებს. ცნობილია მისი მიშელ ფლორისთან (Michel Fleory) თანაავტორობით 1956 წ. გამოცემული ნაშრომი "მრევლის რეგისტრები მოსახლეობის ისტორიაში. ყოფილი სამოქალაქო მდგომარეობის შესწავლისა და გამოყენების სახელმძღვანელო" (Des registres paroissiaux à l'histoire de la population. Manuel de dépouillement et d'exploitation de l'état civil ancien). ანრის სახელთან არის ასევე დაკავშირებული ბუნებრივი შობადობის ცნება.

არიესი (Ariès) ფილიპი – 1914-1984 წწ., ფრანგი ისტორიკოსი. ცნობილია მისი შრომები მოსახლეობის ისტორიაში. ფართო აღიარება მოიპოვა მისმა ნაშრომმა, რომელშიც ძირითადად XVII-XVIII ს. ევროპის ისტორიის მასალებზე, პირველად განიხილებოდა ბავშვობის ისტორია. ასევე ცნობილია მისი ნაშრომი, რომელიც ეძღვნება ქრისტიანულ სამყაროში სიკვდილისადმი დამოკიდებულებას. არიესმა ახალი მიმართულებები შექმნა და გაამდიდრა ისტორიული დემოგრაფია. არიესის აღიარებულ ნაშრომებს მიეკუთვნება "ფრანგების ისტორია და მათი დამოკიდებულება სიცოცხლისადმი XVIII საუკუნიდან" (Histoire de populations françaises et de leurs attitudes devant la vie depui le XVIII^{e} siècle) და "ადამიანი სიკვდილის პირისპირ" (L'homme devant la mort).

ბერნული (Bernoulli) დანიელი – 1700-1782 წწ., შვეიცარიელი მეცნიერი. 1725 წ-დან პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. 1734 წ-დან ბაზელის უნივერსიტეტის პროფესორი. ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ალბათობის თეორიის მეთოდები ავადობის პროფილაქტიკის ღონისძიებათა ეფექტურობისა და მოკვდაობის დონის შემცირების შეფასებისათვის. თავის ნაშრომებში პირველმა აჩვენა, თუ როგორ მოქმედებს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე სიკვდილის რომელიმე მიზეზით (ყვავილი) გამოწვეული მოკვადაობის აცილება. დ. ბერნულიმ საყურადღებო წვლილი შეიტანა მათემატიკური დემოგრაფიის ჩამოყალიბებაში.

ბერტილიონი (Bertillon) ლუი ადოლფი – 1821-1883 წწ., ფრანგი სტატისტიკოსი. პარიზის ანტროპოლოგიის სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1876 წ. დაინიშნა იქვე დემოგრაფიის პროფესორად. ცნობილია 1874 წ. გამოქვეყნებული მისი ნაშრომი "საფრანგეთის დემოგრაფიული სურათი" (Démographique figurée de la France), რომელიც საფრანგეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან სტატისტიკურ კვლევას წარმოადგენდა.

ბექაია მზია – 1936-2000 წწ., ქართველი სოციოლოგი, ეთნოგრაფი. 1961–1990 წწ. მუშაობდა საქართველოს მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. 1990 წ-დან ხელმძღვანელობდა

ოჯახის კვლევის განყოფილებას საქართველოს მეცნ. აკად. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტში. მ. ბექაია ძირითადად ოჯახის პრობლემებს იკვლევდა. ცნობილია მის მიერ ჩატარებული განქორწინებულთა გამოკვლევა და 10 წლის შემდეგ მათივე პანელური კვლევა. აღსანიშნავია ბექაიას მიერ შემუშავებული "ოჯახის ზოგადი სტრუქტურის სქემა" და "ოჯახის სოციობიოლოგიური სტრუქტურა". მ. ბექაიას აღიარებულ ნაშრომებს მიეკუთვნება: "ოჯახი და შინაოჯახური სოციალური პროცესები" (1974); "ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები" (1980); ეთნოსოციოლოგიური კვლევის მეთოდური საკითხები (1988): "ოჯახის ძირითადი არსი (თეორიის ზოგიერთი საკითხი)" (1996) და სხვა.

ბოულდინგი (Boulding) კენეტი – 1910-1993 წწ., ეკონომისტი და სოციოლოგი, დაიბადა ინგლისში, მოღვაწეობდა აშშ-ში. 1949-1967 წწ. კითხულობდა ლექციებს მიჩიგანის უნივერსიტეტში. 1967 წ-დან მოღვაწეობდა კოლორადოს უნივერსიტეტში. ცნობილია ბოულდინგის ნაშრომები ეკონომიკაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ევოლუციური ეკონომიკა, რომელშიც ის გაერთიანებულად განიხილავს ეკონომიკურ და ბიოლოგიურ განვითარებას. ბოულდინგი იყო მრავალი პროექტის ფუძემდებელი ეკონომიკასა და სოციოლოგიაში. მის ცნობილ ნაშრომებს მიეკუთვნება: "ევოლუციური ეკონომიკა" (Evolutionary Economics); "ეკონომიკის განვითარება როგორც ევოლუციური სისტემა" (Economic Development as an Evolutionary System) და მრავალი სხვა.

ბურჟუა-პიშა (Bourgeois-Pichat) ჟან ლუი ერნესტი – 1912-1990 წწ., ფრანგი დემოგრაფი. 1945-1953 წწ. ხელმძღვანელობდა დემოგრაფიული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის (INED) საფრანგეთის დემოგრაფიული სიტუაციის ანალიზის განყოფილებას. 1953-1962 წწ. იყო გაეროს სამდივნოს მოსახლეობის განყოფილების დირექტორის მოადგილე. 1962-1971 წწ. იყო დემოგრაფიული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის (INED) დირექტორი და საფრანგეთის მოსახლეობის კომისიის წევრი. 1971 წ-დან იყო მის მიერ დაარსებული დემოგრაფიის სფეროში ეროვნულ კვლევათა საერთაშორისო თანამშრომლობის კომიტეტის (Committe for International Cooperation of National Research in Demography – CICRED) თავმჯდომარე. ცნობილია ბურჟუა-პიშას ნაშრომები დემოგრაფიული გადასვლის, მოსახლეობის დაბერების, სტაბილური მოსახლეობის, პროგნოზირებისა და სხვათა შესახებ.

გამყრელიძე გიორგი – 1902-1953 წწ., ქართველი ეკონომისტი და სტატისტიკოსი. 1944 წ-დან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სტატისტიკის კათედრის გამგე. 1955 წ. გამოქვეყნდა მისი ნაშრომი "დემოგრაფიული სტატისტიკა", რომელიც შეიძლება მივაკუთვნოთ პირველი დემოგრაფიული სახის სახელმძღვანელოს საქართველოში.

გიიარი (Guillard) ჟან კლოდ აშილი – 1799-1876 წწ., ფრანგი სტატისტიკოსი, დემოგრაფი, ბუნების მკვლევარი და სხვა. 1853 წელს სტატისტიკის საერთაშორისო კონგრესის პირველ სესიაზე ბრიუსელში გამოვიდა მოხსენებით მოსახლეობის სტატისტიკის ორგანიზების შესახებ და შესთავაზა შესადარის დაავადებათა საერთაშორისო ნომენკლატურისა და სიკვდილის მიზეზთა შედგენა. გაიანგარიშა 1840-1849 წწ. საფრანგეთის მოკვდაობის ცხრილები მის მიერ ე. გალეის გაუმჯობესებული მეთოდის საფუძველზე. აშილ გიიარმა 1855 წ. თავისი წიგნის სათაურში – "ადამიანთა სტატისტიკის ელემენტები ანუ შედარებითი დემოგრაფია" (Eléments de statistique humaine ou Démographie comparée) – პირველად გამოიყენა ტერმინი "დემოგრაფია".

გლასი (Glass) დევიდი – 1911-1978 წწ., ინგლისელი დემოგრაფი. 1971 წ-დან ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრი. იკვლევდა შობადობის, მიგრაციისა და მოსახლეობის პოლიტიკის პრობლემებს. ერთ-ერთმა პირველმა განაზოგადა სახელმწიფოს ღონისძიებების შედეგები ქორწინებასა და შობადობასთან დაკავშირებით რიგი ევროპული ქვეყნებისათვის. დიდ ყურადღებას უთმობდა ისტორიული დემოგრაფიის პრობლემებს. იყო რედაქტორი და შემდგენელი (დ. ევერსლისთან ერთად) 1965 წ. გამოქვეყნებული ფუნდამენტური კოლექტიური ნაშრომის – "მოსახლეობა ისტორიაში" (Population in History).

გომპერცი (Gompertz) ბენჟამინი – 1779-1865 წწ., ინგლისელი მათემატიკოსი და აქტუარი. 1819 წ-დან ლონდონის სამეფო საზოგადოების აკადემიის წევრი. 1821 წ-დან სამეფო ასტრონომიული საზოგადოების წევრი. 1824-1847 წწ. ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიას. 1825 წ. მის მიერ შემოთავაზებულ იქნა ე.წ. "მოკვდაობის კანონი" (Law of mortality), რომლის მიხედვით სიკვდილი არის ორი მიზეზის შედეგი – ერთი განაპირობებს მოკვდაობის ინტენსივობის მუდმივობას და ცოცხლად მყოფთა რიცხვის შემცირებას ასაკის მიხედვით გეომეტრიული პროგრესიით, ხოლო მეორე ამცირებს სიკვდილისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარს, რომელიც კლებულობს პროპორციულად დროის მიხედვით. მოგვიანებით (1859 წ.) გომპერცის იდეა სრულყოფილ იქნა უილიამ მეიკჰემის (Makeham) მიერ და სადღეისოდ ცნობილია როგორც გომპერც-მეიკჰემის ფორმულა. ბ. გომპერცს დიდი წვლილი მიუძღვის მათემატიკური დემოგრაფიის ჩამოყალიბებაში.

გრაუნტი (Graunt) ჯონი – 1620-1674 წწ., ინგლისელი ვაჭარი. 1662 წ. გამოქვეყნდა მისი ნაშრომი "ბუნებრივი და პოლიტიკური დაკვირვებანი მოკვდაობის ბიულეტენთა საფუძველზე" ("Natural and Political Observations made upon the Bills of Mortality,"). იყო თუ არა აღნიშნული წიგნის ერთადერთი ავტორი დადგენილი არ არის. წიგნში განხორციელებული გამოკვლევა დაკავშირებული იყო პოლიტიკური ეკონომიკის ჩასახვასთან, მასობრივი მოვლენების რაოდენობრივი შესწავლის დასაწყისთან, რომელიც ვითარდებოდა მოსახლეობასთან დაკავშირებულ მასალებზე. მოკვდაობის ბიულეტენების პერიოდული გამოცემები შეიცავდნენ ლონდონის მოსახლეობის შესახებ გარდაცვლილებისა და დაბადებულების სიებს სქესის, ასაკისა და სიკვდილის მიზეზების მიხედვით. წიგნმა მიიქცია ყურადღება და 1662 წ. ჯონ გრაუნტი არჩეულ იქნა ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრად, თუმცა ამის შემდეგ მან მალე შეწყვიტა სამეცნიერო მოღვაწეობა. ჯ. გრაუნტი მიჩნეულია მოსახლეობის განვითარების კანონზომიერებათა შესახებ მეცნიერული კვლევის ფუძემდებლად.

გუგუშვილი პაატა – 1905-1987 წწ., ქართველი ეკონომისტი, დემოგრაფი, სოციოლოგი. 1940 წ-დან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. 1944-1976 წწ., მისი ინიციატივით დაარსებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი. 1958-1967 წწ. ჟურნალ "საქართველოს ეკონომისტის" მთავარი რედაქტორი. 1961 წ. არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1966 წ-დან ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის წევრი და მისი ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე. 1974 წ. აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1976 წ-დან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემათა განყოფილების გამგე. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს მოსახლეობის (დემოგრაფიის) სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 1977-1979,

1981-1983, 1985 წწ. ხელმძღვანელობდა მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიულ ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა რაიონში. პაატა გუგუშვილის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ჩამოყალიბება და განვითარება. ცნობილია პაატა გუგუშვილის ნაშრომები დემოგრაფიასა და სოციოლოგიაში. მისი ცნობილი დემოგრაფიული ნაშრომებია: "საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე (1800-1959)" (1963); "საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები" (1974); "მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა" (1985); "დემოგრაფიული ნარკვევები" (1986) და სხვა.

დოდი (Dodd) სტიუარტი კარტერი – 1900-1975 წწ., სოციოლოგი. დაიწყო კარიერა როგორც ბეირუთის ამერიკული უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორმა. 1947 წ. დაინიშნა ვაშინგტონის შტატის სოციოლოგიის პროფესორად და საზოგადოებრივი აზრის ლაბორატორიის დირექტორად. ს. დოდი ითვლებოდა შერჩევითი გამოკვლევების წამყვან სპეციალისტად. დოდი იყო ერთადერთი სპეციალისტი, რომელმაც 1960-იან წლებში ზუსტად იწინასწარმეტყველა პრეზიდენტი ტრუმენის გამარჯვება გუბერნატორ დიუიზე. ცნობილია მისი კვლევითი სამუშაოები ბოგარდუსის სკალასთან დაკავშირებით. 1946 წ. ს. დოდის მიერ შემოთავაზებულ იქნა ტერმინი "დემოსკოპია".

ეილერი (Euler) ლეონარდი – 1707-1783 წწ., წარმოშობით შვეიცარიელი. მათემატიკოსი, ფიზიკოსი და ასტრონომი. განათლება მიიღო ბაზელის უნივერსიტეტში. დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა რუსეთში. 1731 წ-დან პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. მათემატიკური პრობლემების დამუშავებისას ყურადღება მიაქცია შობადობას, მოკვდაობასა და მოსახლეობის აღწარმოებას როგორც მასობრივ პროცესს. შეიმუშავა მოკვდაობის ცხრილების აგების მეთოდი, რომელიც მის სახელს ატარებს (ეილერის მეთოდი – Euler method). არსებითად ეილერის მიერ იქნა შემუშავებული სტაბილური მოსახლეობის ერთ-ერთი მოდელი.

ენგელი (Engel) ერნსტი – 1821-1896 წწ., გერმანელი ეკონომისტი და სტატისტიკოსი. სწავლობდა პროლეტარული ოჯახების ბიუჯეტის სტრუქტურას. დაასაბუთა მთელი რიგი სტატისტიკური კანონზომიერებები – "ენგელის კანონი" (Engel's law). გამოდიოდა მალთუსიანელების კრიტიკით. 1871 წ. მის მიერ შემოთავაზებული იყო ტერმინი "დემოლოგია".

ვინკლერი (Winkler) ვილგელმი – 1884-1984 წწ., ავსტრიელი სტატისტიკოსი და დემოგრაფი. პროფესორი 1929 წ-დან. ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. ვენის უნივერსიტეტის სტატისტიკის ინსტიტუტის ფუძემდებელი და ხელმძღვანელი. 1925-1938 წწ. ავსტრიის სტატისტიკური სამმართველოს მოსახლეობის სტატისტიკის განყოფილების გამგე. 1950-1951 წწ. ვენის უნივერსიტეტის იურიდიულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი. ავსტრიის სტატისტიკური საზოგადოების ფუძემდებელი და საპატიო პრეზიდენტი, მოსახლეობის სფეროში კვლევების საერთაშორისო კავშირის (International Union for the Scientific Study of Population) ვიცე-პრეზიდენტი, საერთაშორისო და ეროვნული სტატისტიკური ორგანიზაციების საპატიო წევრი. 1959 წ. ვენაში საერთაშორისო დემოგრაფიული კონფერენციის ორგანიზატორი. მისი უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბებულ იქნა დემოგრაფიის ინსტიტუტი ავსტრიაში. ხელი შეუწყო ტერმინი "დემომეტრიის" გავრცელებას, მას შემდეგ, რაც 1969 წ. გამოვიდა მისი წიგნი იგივე სათაურით.

იბნ ხალდუნი (აბუ ზაიდი აბდურაჰმან ბინ მუჰამედ ბინ ხალდუნ ალ-ჰადრამი. ინგლისურად – **Ibn Khaldun.** არაბულად – **أبو زيد عبد الرحمن بن محمد بن**

ხალდუნი) – 1332-1406 წწ., არაბი სწავლული, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი და სხვა. ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარის აზრით მიჩნეულია დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ფუძემდებლად. 1377 წ. თავის მონუმენტურ ნაშრომში – "შესავალი" (Mugaddimah) იგი განიხილავს მოსახლეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე შეხედულებებს საზოგადოების განვითარებასთან და სხვა.

კეინსი (Keynes) ჯონ მეინარდი – 1883-1946 წწ., ინგლისელი ეკონომისტი. 1920 წ-დან. კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი. სახელმწიფო რეგულირების თეორიაში აანალიზებდა მოსახლეობის მატებისა და ეკონომიკის დამოკიდებულებას დასაქმების გარკვეული პოლიტიკის შედეგებისა და კაპიტალდაბანდებათა საფუძველზე. კეინსმა ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით ჩამოაყალიბა მოსახლეობის დასაქმების ზოგადი თეორიის ახალი ფორმულირება. მან აგრეთვე ჩამოაყალიბა კვაზისტაციონარული საზოგადოების პირობები, სადაც ცვლილებები და პროგრესი გამომდინარეობდნენ მხოლოდ ტექნოლოგიის, მოსახლეობის გემოვნებისა და დემოგრაფიული ცვლილებებიდან. კეინსის მოძღვრებას ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შესახებ და მის მოდიფიკაციებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ეკონომიკის თეორიასა და პრაქტიკაში.

კეტლე (Quételet) ლამბერ ადოლფ ჟაკი – 1796-1874 წწ., ბელგიელი მეცნიერი. 1820 წ-დან ბელგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. 1847 წ-დან პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. სტატისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. კეტლეს ნაშრომებმა მოსახლეობის შესახებ ხელი შეუწყვეს დემოგრაფიული მეცნიერებების ჩამოყალიბებას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1835 წ. გამოცემულ მის ნაშრომს "ადამიანი და მისი უნარების განვითარება, ან საზოგადოებრივი ფიზიკის განვითარება" (L'homme et le developpement de ses facultés, essai d'une physique sociale). კეტლეს ინიციატივით მოწვეულ იქნა საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესები. მან ხელი შეუწყო სტატისტიკისა და დემოგრაფიის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებასა და აღნიშნულ მეცნიერებათა პროპაგანდას. კეტლეს სახელთან არის დაკავშირებული მოსახლეობის ერთდღიანი აღწერა და ზოგადად აღწერების მეთოდოლოგიის სრულყოფა.

კოული (Coale) ენსლი – 1917-2002 წწ., ამერიკელი დემოგრაფი. 1959-1975 წწ. პრინსტონის მოსახლეობის კვლევის ოფისის (Office of Population Research) დირექტორი. 1967-1968 წწ. ამერიკის მოსახლეობის ასოციაციის (Population Association of America) პრეზიდენტი. 1977-1981 წწ. მოსახლეობის სამეცნიერო კვლევის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი (International Union for the Scientific of Population – IUSSP). კოულის ღვაწლი დემოგრაფიაში აღიარებულად ითვლება. აღსანიშნავია კოულის ნაშრომები დემოგრაფიულ გადასვლასთან დაკავშირებით, კოულის ინდექსები, აგრეთვე პოლ დემენისთან თანაავტორობით შემუშავებული მოკვდაობის რეგიონული მოდელური ცხრილები და სხვა. 1963 წ-დან ხელმძღვანელობდა ევროპის შობადობის პროექტს (European Fertility Project). ე. კოულის ცნობილ და აღიარებულ მონოგრაფიებს მიეკუთვნება: "Population Growth and Economic Development in Low Income Countries. Princeton: Princeton Univercity Press. 1958 (co-autor Edgar M. Hoover)"; "Regional Model Life Tables and Stable Populations. N-Y: Academic Press. 1966"; "The Growth and Structure of Human Populations: A Mathematical Investigation. Princeton: Princeton Univercity Press. 1972"; "Human Fertility in Russia since the Nineteenth Century. Prinecton: Princeton Univercity Press. 1979 (co-autors: Barbara A. Anderson, Erna Härm)"; "Rapid

Population Change in China, 1952-1982. Washington, D.C.: National Academy Press. 1984"; "The Decline of Fertility in Europe. Princeton: Princeton Univercity Press. 1986".

ლანდრი (Landry) ადოლფი – 1874-1956 წწ., ფრანგი დემოგრაფი. პარლამენტის დეპუტატი (1910 წ.), შრომის მინისტრი (1932 წ.), სენატორი (1946 წ.). ცნობილია ლანდრის თეორიული ნაშრომი დემოგრაფიაში. 1934 წ. გამოქვეყნდა მისი ცნობილი ნაშრომი "La Révolution demographique", რომელშიც საბოლოოდ იქნა ჩამოყალიბებული ლანდრისეული დემოგრაფიული რევოლუციის (გადასვლის) თეორია, რომელიც მის მიერ პირველად იქნა ფორმულირებული 1909 წელს. ცნობილია აგრეთვე 1945 წ. გამოქვეყნებული ლანდრის ფუნდამენტური შრომა "Traité de démographie".

ლევასიერი (Levasseur) პიერ ემილი – 1828-1911 წწ., ფრანგი ეკონომისტი, ისტორიკოსი და დემოგრაფი. 1889-1892 წწ. გამოცემული ისტორიულ-დემოგრაფიული კოლექტიური, სამტომეული ნაშრომის "საფრანგეთის მოსახლეობა: მოსახლეობის ისტორია 1789 წლამდე და საფრანგეთის დემოგრაფია" (La population française: histoire de la population avant 1789 et démographie France) გამოცემის ორგანიზატორი და თანაავტორი.

ლექსისი (Lexis) ვილგელმი – 1837-1914 წწ., გერმანელი სტატისტიკოსი, აქტუარი და ეკონომისტი. 1837-1914 წწ. გიოტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი. წამოაყენა "აბსტრაქტული ადამიანის" კონცეფცია, რომელიც ეფუძნებოდა დემოგრაფიული პროცესების არასოციალური მიდგომის ანალიზს. მოსახლეობის სტატისტიკას ვ. ლექსისი ყოფდა დემოგრაფიულად და ე.წ. "მორალურად". იგი მუშაობდა მოკვდაობის ცხრილების შედგენის მეთოდებზე. ვ. ლექსისი დემოგრაფიაში გრაფიკული მეთოდების ავტორია. მის სახელთანაა დაკავშირებული დემოგრაფიული ბადე, რომელიც "ლექსისის ბადის" (Lexis diagram) სახელწოდებით არის ცნობილი.

ლოტკა (Lotka) ალფრედ ჯეიმსი – 1880-1949 წწ., ამერიკელი ბიოლოგი და დემოგრაფი. 1924-1947 წწ. ხელმძღვანელობდა მათემატიკურ კვლევებს ამერიკის უმსხვილეს სადაზღვევო კომპანიაში. 1938-1939 წწ. მოსახლეობის ამერიკის ასოციაციის პრეზიდენტია, ხოლო 1942 წ. ამერიკის სტატისტიკური ასოციაციის პრეზიდენტი, აგრეთვე მოსახლეობის კვლევის სფეროში მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. 1907 წ. აჩვენა, რომ უცვლელი ტემპით მზარდი მოსახლეობისათვის ამოწყდომის უცვლელობისას მოსახლეობა ისწრაფვის გარკვეული ასაკობრივი სტრუქტურისაკენ და შობადობისა და მოკვდაობის მუდმივი კოეფიციენტებისაკენ. ლოტკას მიერ იქნა შემოთავაზებული მოსახლეობის ბუნებრივი მატების ჭეშმარიტი კოეფიციენტი. მან აგრეთვე აჩვენა ამ კოეფიციენტისა და მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის კავშირი, როგორც სტაბილური მოსახლეობის მახასიათებლები. მის მიერ იქნა შემოთავაზებული მოსახლეობის აღწარმოების ინტეგრალური განტოლება. ა. ლოტკა სტაბილური მოსახლეობის თეორიის ავტორია. უდავოა ა. ლოტკას დამსახურება დემოგრაფიის განვითარებაში. იგი მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომის ავტორია.

მალთუსი (Malthus) თომას რობერტი – 1766-1834 წწ. ინგლისელი ეკონომისტი და პუბლიცისტი. 1788 წ. დაამთავრა კემბრიჯის უნივერსიტეტი. 1793 წ. მიიღო საღვთისმეტყველო სამეცნიერო ხარისხი. 1797-1803 წწ. იყო ალბერის სამწყსოს მღვდელი. 1805-1834 წწ. იყო ოსტ-ინდოეთის კომპანიის კოლეჯის თანამედროვე ისტორიისა და პოლიტეკონომიის პროფესორი და ამავე კოლეჯის მღვდელი. 1798 წ.

ლონდონში ანონიმურად გამოვიდა მისი ნაშრომი: "მოსახლეობის კანონის გამოცდილება და მისი ზემოქმედება მომავალი საზოგადოების გაუმჯობესებაზე, ბატონი გოდვინის, ჟ. კონდორსესა და სხვა ავტორების კვლევებზე შემოშვნებით" (An essay on the principle of population as it effects the future improvement of society, with remarks on the speculations of Mr. Godwin, J. Condorcet and other writers). 1803 წ. გამოვიდა მეორე გამოცემა გადამუშავებული და დამატებული. მალთუსის ცხოვრების განმავლობაში გამოვიდა 6 გამოცემა. აღნიშნული ნაშრომით მალთუსმა პირველად ისტორიაში შექმნა მოსახლეობის თეორია. მალთუსის სახელთან არის დაკავშირებული დემოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებები – მალთუსიანელობა და ნეომალთუსიანელობა. მალთუსის იდეებმა არსებითი გავლენა იქონიეს როგორც მოსახლეობის შესახებ კონცეფციების გამვითარებაზე, ისე რიგ სხვა მეცნიერულ მიმართულებაზე (მაგ., ჩ. დარვინის თეორიაზე).

ნოუტსტაინი (Notestein) ფრანკ უოლასი – 1902-1983 წწ., ამერიკელი დემოგრაფი. 1936 წ. მისი ინიციატივით, პირველად აშშ-ში, პრინსტონის უნივერსიტეტში შეიქმნა დემოგრაფიული სამეცნიერო ცენტრი – მოსახლეობის კვლევის ოფისი (Office of Population Research), რომელსაც ის ხელმძღვანელობდა 1941-1959 წწ. 1959-1968 წწ. იყო საერთაშორისო დემოგრაფიული ორგანიზაციის – მოსახლეობის საბჭოს (Population Council) პრეზიდენტი. 1946-1948 წწ. იყო გაეროს სამდივნოს მოსახლეობის განყოფილების (Population Division of the Department of International Economic and Social Affairs of the United Nations Secretariat) დირექტორი. საყოველთაოდ ცნობილია მისი ნაშრომები: "ევროპისა და საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მომავალი" (The future population of Europe and Soviet Union: population projections 1940-1970); "მსოფლიოს მოსახლეობა 2000 წ." (The population of the world in the Year 2000) და სხვა.

რაბინოვიჩი (Rabinowicz, Radzinowicz) ლეონი – 1906-1999 წწ., წარმოშობით პოლონელი. კრიმინოლოგი. 1934 წ. შეიცალა გვარი რაბინოვიჩი რაძინოვიჩზე. 1928-1931 წწ. ჟენევის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი. 1932-1936 წწ. ვარშავის უნივერსიტეტის დოცენტი. 1949-1959 წწ. ხელმძღვანელობდა კემბრიჯის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინოლოგიის მიმართულებას. 1960 წ. მან დააარსა კემბრიჯში კრიმინოლოგიის ინსტიტუტი და იყო მისი დირექტორი 1972 წ-მდე. 1973 წ-დან ბრიტანეთის აკადემიის ნამდვილი წევრი, ხელოვნებისა და მეცნიერების ამერიკის აკადემიისა და ავსტრალიის სამართლის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი. ფართო აღიარება მოიპოვა რაძინოვიჩის მრავალმა ნაშრომმა კრიმინოლოგიაში. დემოგრაფიული თვალსაზრისით აღსანიშნავია 1929 წ. პარიზში გამოქვეყნებული მისი ნაშრომი "მოსახლეობის პრობლემა საფრანგეთში" (Le problème de la population en France. Précédé d'une historie générale de la population. Etude de sociologie de la population), რომელშიც ერთ-ერთმა პირველმა ჩამოაყალიბა დემოგრაფიული გადასვლის იდეები.

რავენშტაინი (Ravenstein) ერნსტ გეორგი – 1834-1913 წწ., გერმანული წარმოშობის გეოგრაფი. მუშაობდა ლონდონის სამეფო გეოგრაფიულ საზოგადოებაში. ვიქტორიის სახელობის პირველი ოქროს მედალოსანი. 1885 წ. სტატისტიკური საზოგადოების ჟურნალში გამოაქვეყნა ნაშრომი "მიგრაციის კანონები" (The Laws of Migration). რავენშტაინის აღნიშნულ ნაშრომში მოტანილი კანონები საფუძვლად დაედო მიგრაციის თეორიის შექმნას და დიდი ხნის მანძილზე საკმაოდ წარმატებით გამოიყენებოდა მიგრაციის ტენდენციების ასახსნელად.

როსლავსკი-პეტროვსკი (Рославский-Петровский) ალექსანდრე პეტრეს-ძე – 1816-1871 წწ., რუსი სტატისტიკოსი და დემოგრაფი. პროფესორი 1845 წ-დან. ეწეოდა

კეტლეს იდეების პროპაგანდას. გამოთქვა მოსაზრებები მოსახლეობაზე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მოქმედების შესახებ.

